

780
1990
1990/4

ISSN 0134-9848

საქართველო

ქართული
ბიბლიოთეკა

თბილისი—აგვისტო

285
(4)



齊璜

白石印



16135340
2084010133

寄萍堂上人白名作



საშუაშე

1990/4
 ივლისი
 აგვისტო
 14 მთავარი
 გვერდი (97)



შინაარსი

პროზა, პოეზია

ვილიამ ფოლკანერი, აგვისტოს ნათელი, რომანი, დასაწყისი, ანგლისურიდან თარგმნა ზაზა კილაძემ	8
ავგო კუპერიტი, ლექსები, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ შამანაძემ	110
თეიმოზ ჩუბინაძე, ლექსები, თარგმნა გივი ბერიძემ	112
თომას მანი, ვალთაბანდ ფილიპს კრულის აღსაბრძოლა, რომანი, გაგრძელება, გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ	118
პანს პენი იბანი, მუდრა, პიესა, გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახიაშვილმა	207
ანტონ ჩეხოვი, ნადირთბისას მომხდარი დრამა, მოთხრობა, დასაწყისი, თარგმნა ლია იმერლიაშვილმა	218

წერილები

ავგო ფრიდრიხი, თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა, გაგრძელება, გერმანულიდან თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა	289
თამარ ციციშვილი, ნაწარმი ლიტერატურულ-ფორმალისტობათა საკითხებზე	289
გონდო არველაძე, „ბარათის ბარათი“ წერილი შემთხვევითი დასასრული	292
სულხან მორჯანიანი, თვითგაცნობის სუბლიმაცია	302
ლიუ. განდარკალი ბუანგონი, ჩინური ფორმირა — „ბოზუა“, თარგმნა ეთერ უურაშვილმა	311

საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი
მსოფლიო ლიტერატურის ორთქიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



წერილობითი
გეგმვა

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1990 № 4

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

მთავარი რედაქტორი:

შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პე. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:

ჯემალ ახიაშვილი

მზია ბაბრიაძე

ბარბანა ბრეგვაძე

ნოდარ ბურაშვილი

მაგალი თოფაძე

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიშნიანიძე

დალი ზაქარაიძე

ნეკო შიასაშვილი

დავით ნეკრელიანი

ბარბანის გვირგვინი ნიშნიანიძის მხატვრობის ინსტიტუტი

მხატვარი ა. თოდრაძე, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, გამომცემი ნანა ბარბაძე

ჩვენს მისამართს: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, განყოფილებების მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გოდ. წარმ. 2. 67, 90 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 17. 10. 90 წ., ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆
მაკორ: თ. 35,51. სასტ. თ. 28. სალუბრის გატ. 28,7. ტირ. 10.000. შედეგ. № 1492.

ფასი: 325 იმ აპპ.

საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის

ორდენისანი სტამბა, თბილისი, კობახიძის, 14

უილიამ ფოლკნერი

ავვისტოს ნათელი



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა შილაძემ

მის პირას ჩამომჯდარი ღინა აღმართზე ტაატით ამომავალ ფორანს მისჩერებია და ფიქრობს, „ღმერთმანი, კაიხელა გზა გამოვიარე; ხუმრობაა, ალაბამადან მოვდივარ ფეხითო“. ფიქრობს ალბათ ერთი თვეც არ იქნება, რაც გზაზე ვდგავარ და აი, უკვე მიხისიპისაც მოვადექი, ჩემს დღეში ასე შორს შინიდან ჩერ არასოდეს წამოვსულვარ, თორმეტისა რაც შევხრულდი, მას მერე არც დოუნის სამხერხაოდან ვყოფილვარ ასე შორს.

არადა, ვიდრე დედა-მამა ცოცხალი ჰყავდა, არც დოუნის სამხერხაო ენახა თვალით, თუმცა ყოველ წელიწადს სულ ცოტა რვაჯერ მაინც უნდა წაყვანა მამას ქალაქში, შაბათობით — ფოსტით გამოწერილ კაბაში გამოწყობილი, შიშველ ფეხებს ფორნის ძირზე მიატყუებდა ხოლმე, ქალაქში გახვეული ფეხსაცმელები კი გვერდით ეწყო, კოფოზე, და მხოლოდ მაშინღა იცვამდა, როცა ფორანი ქალაქს მიადგებოდა. ცოტა რომ წამოიზარდა, მამას ქალაქის განაპირას აჩერებინებდა ფორანს და მერე ფეხით აგრძელებდა გზას. ვინ იცის, მამამისს ეგონა, სწორ ქუჩებში, გლუვ ტროტუარებზე სეირნობა მოსწონსო, ღინას კი ფორანზე ჯდომას ფეხით სიარული იმიტომ ერჩია, იქნებ მეც ქალაქელად ჩამთვალონ გამვლელებმაო.

თორმეტისა იყო, როცა მშობლები დაეხოცა. ერთ ზაფხულს მოუკვდა დედაცა და მამაც, სამოთახიან, ძელურ, უფარდებო სახლში, ქინკლით გარშემორტყმული ნავთის ლამპით განათებულ ოთახში, რომლის იატაკიც ძველი ვერცხლივით გადაეპრიალებინა შიშველ ფეხისგულებს. ცოცხლად დარჩენილ დედმამიშვილებში ღინა ნაბოლარა იყო. დედამ სიკვდილის წინ დაუბარა — მამას მიხედეო — და ისიც ერთგულად ასრულებდა დანაბარებს, ვიდრე ახლა მამა დაუძახებდა და ეტყოდა: „მაკკინლის უნდა გაჰყვე დოუნის სამხერხაოში და აბა შენ იცი, დროულად გაემზადე, არ ალოდინოო“. ამის თქმა იყო და მამამაც განუტევა სული. ხოლო მაკკინლიმ, უფროსმა ძმამ, ფორნით ჩამოაკითხა. მამა სოფლის ეკლესიის უკან, ქალაქში დამარხეს, ნაშუადღევს, საფლავის თაფით ფიჭვის ჯვარი დაუსვეს და მეორე დღეს ღინა სამუდამოდ გამოეთხოვა იქაურობას, თუმცა მაშინ, როცა ფორნის კოფოზე ძმის გვერდით დასკუპული დოუნის სამხერხაოსკენ მიიჩქაროდა, შეიძლება

509651

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამდენი არც კი გაეგებოდა. მის ძმას ფორანი ვილაკისგან ენათხოვრა და, პირობის თანახმად, სალამომდე უნდა დაებრუნებინა პატრონობის.

ლინას ძმა სამხერხაოში მუშაობდა. იმ დაბაში საერთოდ ყველა მამაკაცი ან თავად სამხერხაოში მუშაობდა, ანდა სამხერხაოში უჭირდა ტყეს და ამით ჭამდა პურს. უკვე მეშვიდე წელი იწურებოდა და უკვე უჭირდნენ. კიდევ ერთი ამდენიც და ხე სანთლით საძებარი გახდებოდა ირგვლივ. ხოლო თუკი ასე მოხდებოდა, მაშინ მანქანა-იარაღებიცა და იმათი უმრავლესობაც, ვინც ამ მანქანა-იარაღების წყალობით არსებობდა, ვისაც ამ მანქანა-იარაღების წყალობით ედგა სული, სატვირთო ვაგონებში ჩაეყრებოდა და სამუდამ აიკრავდა აქედან გუდა-ნაბადს. თუმცა მანქანა-იარაღების ნაწილი — რაკიდა ახლის შესყიდვა ყოველთვის შეიძლება განვადებით — მაინც აქვე დარჩებოდა ალბათ — უშნოდ ამოშვერილი დაფხვნილი აგურის ბორცვებიდან და სარეველა ბალახებიდან: გაშეშებული, უძრავი ბორბლები თუ გამოშიგნული საქვაბეები, თავიანთი ჩაყანგებული, ჩამქრალი მილებით ჭიუტად და დაბნეულად მიშტერებულნი ვრცელ, უდრტვინელ, გადაჩეხილსა და გაპარტახებულ უდაბნოს, რომელიც წითელ, ბინძურ ორმოდ გადიქცეოდა თანდათანობით, შემოდგომის გულისგამაწვრილებელი, მოსაბეზრებელი წვიმებისა და გაზაფხულის ბუნიობის თავაწყვეტილი სიშმაგის წყალობით. მერე კი ამ პატარა დაბას, საფოსტო უწყების დავთრებში კარგ დროსაც რომ არ ღირსებია სახელი, აღარც შემთხვევითი, კუჭგამხმარი მემკვიდრეები მოიგონებდნენ, რაკი საბოლოოდ მოუთავებდნენ (ხელს აჭაურობას და ფერფლად აქცევდნენ სამზარეულოს ბუხრებსა თუ ღუმელებში.

ლინას ჩასვლისას სულ ხუთიოდე ოჯახილა ცხოვრობდა დაბაში, დაბას შორიახლოს რკინიგზა ჩაუდიოდა, ასე რომ, დაბელებს თავიანთი ბაქანიც ჰქონდათ და დღეში ერთხელ სატვირთო-სამგზავრო მატარებელიც ჩაუქროლებდათ ხოლმე კივილით. მატარებლის გაჩერება წითელი დროშით შეიძლებოდა. ჩვეულებრივ კი შიშველი გორაკებიდან მოჩვენებასავით მოულოდლად გამოვარდნილი და ყურისწამლებად აკივლებული მატარებელი ისე ჩაუქროლებდა ხოლმე ამ ვითომ დაბას, ზედაც არ შეხედავდა, თითქოს ვერც ამჩნევდა გაწყვეტილი მძივის მარცვალივით ჩაკარგულს ერთფეროვან გორაკებში. ძმა ოცი წლით იყო ლინაზე უფროსი და წასაყვანად რომ ჩააკითხა, ლინამ ძლივსლა იცნო. ოთხ თვალად გატიხრულ, შეუღებავ სახლში ცხოვრობდა ჯაფითა და ხშირი მშობიარობით ქანცგაწყვეტილ ცოლთან ერთად. ლინას რძალი წელიწადში ექვსი თვე ან მოსალოგინებლად ემზადებოდა, ანდა, უკვე მოლოგინებული, ღონეს იკრებდა. ასეთ დროს, სახლის საქმეცა და ბავშვების მოვლა-პატრონობაც ლინას კისერზე გადადიოდა. მოგვიანებით თავს გამოუტყდა: „ეტყობა, ასე უცებ ამიტომაც გავაჩინე შეილიო“.

ლინას სახლზე მიშენებულ პატარა ოთახში ეძინა. ოთახს ერთადერთი სარკმელი ჰქონდა და ლინამ იოლად ისწავლა სიბნელეში იმ სარკმლის უხმოდ გაღებაც და დაკეტვაც. თუმცა მასთან ერთად ოთახში ჯერ ერთი ძმისშვილი იწვა, მერე — ორი და ბოლოს — სამიც. რვა წელი გაატარა ძმასთან, სანამ პირველად გააღებდა იმ სარკმელს. ათჯერაც არ ვაელო, როცა მიხვდა, რამდენად უკეთესი იქნებოდა, თუკი სათოფეზეც არ გაეკარებოდა საერთოდ, თუმცა ბოლოს მაინც აღიარა, „ეს ყოფილა ჩემი ბედო“.

რძალმა ყველაფერი ქმარს ჩაუთქაკლა, რის მერეც აღარც იმას გასჭირვებია ლინას ცვლილებების შემჩნევა, რაც, წესით, ადრევე უნდა სცემოდა თვალ-

ში. ლინას ძმა მძიმე კაცი გახლდათ — სინაზეც, სიმშვიდეცა და სიკაბუ-
კეც (ჯერ ორმოცისა თუ იქნებოდა მხოლოდ). თითქმის ყველაფერი, უტე-
ნი, უსასოო სიჯიუტისა და პირქუში. მემკვიდრეობით შეძენილი, სისხლში
გამჭდარი სიამაყის გარდა, ოფლთან ერთად გამოსვლოდა სხეულზე დას-
ქუჩის ქალი და კანბა ეძახა დას. არც ლინას გამაბედნიერებელი სიტყვებია
გასჭირვებია (ანკი რა იმდენი იქნებოდნენ ერთ პატარა დაბაში უცოლო ბიჭები
თუ მეტყველი კაზანოვები). მაგრამ ლინა არამც და არამც არ გატყდა, თუმ-
ცა მისი რჩეული უკვე ექვსი თვის წინ გასცლოდა იქაურობას. „დღე დღეზე
წერილს ველოდები, თავისთან უნდა დამიბაროსო“, — ჯიუტად იმეორებდა
ერთსა და იმავეს, გაკერპებული, გაბღუზული, იმ ყოვლისმომთმენი და ყვე-
ლაფრის ამტანის ერთგულების ამოუწურავი მარაგის ამარა დარჩენილი, რი-
სი იმედითაც უდგათ სული და რითაც ყოველთვის სიამოვნებით სარგებლო-
ბენ ლუკას ბარჩები, სწორედ მაშინ რომ გადაიკარგებიან ხოლმე, როცა
ყველაზე მეტად არიან საჭირონი. ორი კვირის შემდეგ ლინა ისევ გადაძვრა
სარკმელში და, ამჯერად, ცოტა არ იყოს გაუძნელდა გადაძრომა. „თავიდან-
ვე ასე რომ გამძნელებოდა, არც ახლა ვიწვალებდი ამდენსო“, — გაეცინა
თვითონვე. ისე, კაცმა რომ თქვას, კარიდანაც თავისუფლად შეეძლო გასუ-
ლიყო, დღისით, მზით, არავინ დაუჭერდა კალთას; ეს ალბათ თვითონაც
მშვენივრად იცოდა, მაგრამ მაინც ღამით გაპარვა ამჯობინა, სარკმელში გა-
დაძრომა. ხელში პალმის შტოს მარაო და ქრელ ხილაბანდში კობტად გა-
მოკრული მზითევი ეჭირა. სხვა წვრილმანებთან ერთად ფუთაში ცოტა ხურ-
და ფულიც გამოეკრა, ოცდათხუთმეტი ცენტი. სულ ხუთ და ათცენტიანები.
ფეხზე იმის ნახმარი და ძმისავე ნაჩუქარი ფეხსაცმელი ეცვა. ოდნავ გაცვე-
თილი — ზაფხულში ხომ შინ და გარეთ ყველანი ფეხშიშველნი დადიოდ-
ნენ — ხოდა, იგრძნო თუ არა ფეხქვეშ შარაგზის მტვერი, იმანაც მაშინვე
გაიხადა ფეხსაცმელი და ხელში დაიჭირა.

მეოთხე კვირა იყო უკვე, რაც ასე მოდიოდა. ეს ოთხი კვირა, მანძი-
ლად გარდაქმნილი დრო, წყნარი დერეფანივით რჩება უკან, შეურყეველი და
აუმღვრეველი რწმენით მოკირწყლული. კეთილი, უცნობი სახეებითა და
ხმებით დასახლებული: ლუკას ბარჩი? არა, ეგეთს არავის ვიცნობ. ჩვენში
ეგეთი არავინ მეგულება. ეს გზა? პოკაპონტასისკენ. იქნებ იქაც იყოს. ვინ
იცის. აგე, ფორანი მიდის იქით, დაემგზავრე, გაგიყოლებენ, უარს არ
გმტყვიან; უკან რჩება დღისა და ღამის. ღამისა და დღის მშვიდი, მარადიული
მონაცვლეობის გრძელი, მოსაწყენი ერთფეროვნება და თვითონაც ისე
მოგზაურობს ამ ერთფეროვნებაში შემთხვევითი, ზანტი ფორნებით, თით-
ქოს ერთი ჭრილაბორბლებიანი და ყურებპარტყუნა ავატარადან გადადის
მეორეში. განუწყვეტლივ კი მოძრაობს, ოღონდ ლარნაკზე მიხატულივით,
თითქოს არც წინ მიიწევს და არც ადგილს იცვლის.

ცოტაც და ფორანი აღმართს ამოათავებს. უფრო მოუახლოვდება. წე-
ლან, აქედან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით, ჩამოუარა ამ ფორანს,
მაშინ ფორანი გზის პირას იდგა და ჭაპანში შებმულ ჯორებს ზეზეურად
ეძინათ. იქით გაეშვირათ თავები, საითაც ლინას ედო გზა. ფორანიც დაინახა
და ღობის გადაღმა, ფარდულის ჩრდილში ჩაცუცქული ორი კაციც, ფორანსაც
და კაცებსაც მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი, ნაბიჯიც არ შეუნელებია,
ისე სტუორცნა ყოვლისმომცველი, სწრაფი, მიაპიტი და ჭკვიანი მზერა. ღო-
ბის იქით ჩაცუცქულ კაცებს ალბათ არც შეუმჩნევიათ მისი წამიერი გამო-

ჩედვა, და აღარც ლინას გაუხედავს იმათკენ მეორედ, ნელ-ნელა გავიდა იმათი თვალთახედვიდან და, თუმცა ფეხსაცმლის ზონრები გახსნილი ჰქონდა, ერთი მილის მერეღა გაჩერდა, უკვე გორაკის წვერზე ასული, იქ თხრილის პირას ჩამოჯდა, ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხები დამშრალ თხრილში ჩაკიდა. მალე ფორნის კრიალიც მოესმა და ცოტა ხანს შემოხედა უსმინა, ვიდრე თავად ფორანიც გამოჩნდებოდა, აღმართს შეჭიდებულნი.

ფორნის გაცვეთილი გაუპოხავი ხე და რკინა ზანტად, გულისგამაწვრალეზლად, მშრალად მოჭრიალებს და მოღრჭიალებს: აგვისტოს შუადღის თაკარა, გარინდულ მდუმარებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმის ნახევარი მილის სიშორიდან მომავალი ხრინწიანი, გაუთავებელი რახრაბი. დასიცხული ჯორებიც ზარმაცად, მაგრამ ჭიუტად მოაბიჯებენ, ოღონდ ეგაა, ფორანს მაინც არ ეტყობა, ადგილიდან თუ იძვრის. თითქოს სამუდამოდ შუა გზაში გამოკიდულაო, ისე ნელა მოიწევს წინ — მძივის პაწაწინა მარცვალსა ჰგავს, გზის უძრავ, წითელ ძაფზე აგებულს. ისე ნელა მოდის, თვალი ფორანს უკვე ფორანადაც ვეღარ აღიქვამს, რულმორეულს ბინდი ეკვრება და გრძნობს, როგორ კარგავს სახეს ყოველივე ხილული, როგორ ითქვიფება ღამისა და დღის მშვიდსა და მომაბეზრებელ მონაცვლეობაში გზასავით, ერთხელ უკვე გადაზომილი და კოჭზე ხელახლა დახვეული ძაფივით. ბოლოს და ბოლოს იმდენად ნელა, თითქოს რაღაც მიყრუებულნი და მივარდნილი, შორზე კიდევ უფრო შორი ადგილიდან მოდის ეს ზანტი, შემადრწუნებელი, აზრისაგან დაცლილი ხმა და იმ მოჩვენებასა ჰგავს, ნახევარი მილით წინ რომ გამოუსწრია საკუთარი სხეულისათვის. „არა ჩანს და მაინც ისმისო“, ფიქრობს ლინა. ფიქრში უკვე ფორანზე ზის, უკვე გზას დასდგომია. ფიქრობს ჯერ ვერ ვხედავ და უკვე ფორანზე ვზივარ, ჩამოვალ და, კიდევ დიდხანს ირახრახებს ჩემიანად ზის და იცდის, ფორნისაკენ არც იყურება, უცნობი, კეთილი სახეებითა და ხმებით სავსე ფიქრიც ლაღად, სწრაფად, დაუბრკოლებლად მიქრის: მაშ ლუკას ბარჩიო, ამბობ? პოკაპონტასშიც ეძებე? ეს გზა? ეს სფრინგვეილის გზაა. აქ მოიცადე. მალე ფორანი გამოივლის და შენც თან გაგაყოლებს, ფიქრობს, „თუ ღმერთიც შემეწია და ჯეფერსონამდე ჩამიყვანა, მაშინ ლუკას ბარჩიც მანამდე გაიგონებს ხმას, ვიდრე დამინახავდეს. ფორნის კრიალი რომ მოესმება, ჯერ არაფერი ეცოდინება, ჯერ გაიგონებს, მერე დაინახავს. დამინახავს და აღელდება. დაგვინახავს და გავახსენდებითო“.

უინთერბოთომის თავლის ჩრდილში ჩაცუცქულმა არმსთიდმა და უინთერბოთომმა კარგად დაინახეს, როგორ ჩაიარა გზაზე. სინორჩეც იმწუთას შეატყვეს, ორსულობაცა და უცხოობაც.

„სად იშოვა ამოდენა მუცელი“, თქვა უინთერბოთომმა.

„მართლაც, ნეტავი საიდან მოტანტალებს ასე მარტოდმარტო“, ჩაილაპარაკა არმსთიდმაც.

„გაღმა სტუმრად იქნებოდა ვინმესთან“, თქვა უინთერბოთომმა.

„არაა, გავიგებდი. ჩვენკენაც არავინ უნდა ღყავდეს, ეგეც მეცოდინებოდა“.

„თვითონაც კი იცის, სადაც მიდის და...“ თქვა უინთერბოთომმა. „სიარულზე ეტყობა“.

„ეგ მარტოკა დიდხანს ვეღარ ივლის“. თქვა არმსთიდმა. ქალი გასცდათ.

ნელა ჩაიარა თავისი გამობერილი თვალში საცემი ტვირთიანად. ორივემ დაინახა, ერთის მეტად რომ არ შეუვლია ამითვის თვალი, სრულ, გაბუნებულ ცისფერ კაბაში გამოწყობილს, ხელში პალმის შტოს მარაო და პატარა ფუთა ეჭირა. დახლოდან მოძვალს რაღაც არ უნდა ჰგავდეს თქვა არმსთიდმა — ისე მოაბიჯებს, კახელა გზა ექნება გამოვლილი დასავლელი უჩანს ნაკლები.

„ალბათ სტუმრად იქნებოდა ვინმესთან“, გაიმეორა უინთერბოთომმა.

„არა, კაცო, მეცოდინებოდა-მეთქი“, გაჯიუტდა არმსთიდი. ქალი კი თავის გზას მიუყვებოდა. უკან არც მოუხედავს. შარაზე მიაბიჯებდა და ნელ-ნელა ეფარებოდა თვალს: გაბერილი, დინჯი, მიზანდასახული, აუჩქარებელი და დაულაღავი, როგორც თავად გაღვივებული შუადღე. მათი საუბრიდანაც გავიდა და, იქნებ, ფიქრიდანაც, რადგან ცოტა ხნის მერე არმსთიდმა უკვე ისა თქვა, რის სათქმელადაც იყო საერთოდ მოსული. ამ საქმეზე აკი აღორევს ორჯერ გამოველო ხუთი მილი თავისი ფორნით, მაშინაც ასე ჩაცუცქული იპურტყებოდა უინთერბოთომის ფარდულის ჩრდილში მთელი სამი საათი და თავისებურად, გულისგამაწვრილებელი სიღინჯითა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით მაშინაც ასე აცოდვილებდა სათქმელს: ვერა და ვერ გამოწირა, მაინც რამდენს გამოიბეტებდა, რამდენს გადაიხდიდა უინთერბოთომის კულტივატორში ახლა კი, როგორც იქნა, დააყენა საშველი, მზეს ახედა და ის ფასი ამოღერდა. სამი დღით ადრე, დასაძინებლად დაწოლილს რომ დასჯდომოდა ტკუაში „ერთი ვიცი ჩეფერსონში, ამ ფასად ულაპარაკოდ მომყიდის“. თქვა არმსთიდმა.

„მოგყიდის და ხელიდან არ გაუშვა“. უპასუხა უინთერბოთომმა. „ნაჩუქარივითაა“.

„ჰო“, თქვა არმსთიდმა. ერთიც გადააბურჭყა, მერე ისევ ახედა მზეს და წამოდგა. „ჩემი წასვლის დროც მოსულა“.

კოფოზე აძვრა და ჯორები გაადვიძა. უფრო სწორად, შეაფუცხუნა, თორემ ზანგის მეტი ვინ შეატყობს ჯორს ძილსა და ღვიძილს. უინთერბოთომში ლობემდე მიჰყვა, მკლავები ლობეზე ჩამოაწყო. „ეგრეა, ჩემო ძმაო“, უთხრა არმსთიდს. „მაგ ფასად ყიდვა უეჭველად ღირს. შენ თუ არ აიღებ, გამაგებინე, კაცი არ ვიყო, ხელიდან თუ გავუშვა. ისე, ის შენი ჩეფერსონელი წყვილ ჯორსაც ხომ არ ყიდის ხუთ დოლარად, ჰა?“

„სხვა რა გინდა კიდე“, თქვა არმსთიდმა. მერე ფორანი დაიძრა და მაშინვე დაიწყო ზანტი, მანძილის შთანთქმელი რახრახიც, არმსთიდს უკან აღარ მიუხედავს. ეტყობა, არც წინ იყურება, რადგან გზის პირას ჩამომჭდარ, თბრილში ფეხებჩაკიდებულ ქალს ჯერ ვერ ხედავს, იქამდე ვერ ამჩნევს, ვიდრე ფორანი ლამის თხემზე არ მოექცევა გორაკს. მაშინლა სცნობს ცისფერ კაბას, ოღონდ დაბეჯითებით მაინც ვერ იტყვის, ქალმაც დაინახა ფორანი თუ არა. არც თვითონ შესტყობია, ქალს რომ შეხედა, თითქოს არც ერთი არ იძვრის ადგილიდან, მაგრამ ნელ-ნელა მაინც უახლოვდებიან ერთმანეთს, ფორანი ღინასკენ მილოღავს, მძიმედ, შემაწუხებლად — რინდისა და წითელი მტვრის დუნე, ლამის ხელშესახებ შარავანდედში ჩანთქმული. ხანდახან მოსართავეები თუ გაიყლარუნებენ ხოლმე, ჯორები თითქოს ბურანში მიაბიჯებენ ჯიუტად, კურდღლებივით დაცქვეტილი ყურები უთრთით, მაგრამ ისევ ძნელი სათქმელია — სძინავთ თუ ღვიძავთ.

ღინას თვალებზე ჩამოუფხატია ცისფერი, გაცრეცილი ქუდი, რომე-

ლიც ალბათ მარტო იაფფასიან საბონს არ გამოუხუნებია ასე უღმერთოდ, მშვიდი, კეთილი სახით ასცქერის არმსთიდს: ახალგაზრდა, სანდომიანი, ალალი, ფრთხილი და ხალისიანი. ჯერ ერთხელაც არ შერხეულა ქუდივით გამოხუნებულ ცისფერ კაბაში ფორმალაკარგული სხეული გაფუჭულა. მარაო და ფუთა კალთაში უწყვია. ფეხზე წინდებიც არ აცვია. მშვენიერი ტერფები დამშრალ თხრილში მიუტყუებებია ერთმანეთისათვის. კოფოსს ვეღარც ვეღარც გარინდულა, როგორც გვერდით დაწყობილი მამაკაცური. მძიმე, მტვრიანი ფეხსაცმელები. გაჩერებულ ფორანზე არმსთიდი მხრებში მოხრილი, თვალბამოცარიელებული ზის. ახალა ამჩნევს, თურმე მარაოსაც ქუდივით და კაბასავით გახუნებული. ცისფერი ქსოვილის არშია აქვს კობტად შემოვლებული.

„შორს მიდიხარ?“ ეკითხება ლინას.

„შებინდებამდე ცოტას კიდევ ჭავივლი-მეთქი“, პასუხობს ქალი. მერე დგება, ფეხსაცმელებს იღებს. ნელ-ნელა, ფრთხილად გადმოდის გზაზე და ფორანს უახლოვდება. არმსთიდი გაუნძრევლად ზის, მიხმარებას არ აპირებს. მარტო ჯორებს აოკებს, ვიდრე ლინა მძიმე-მძიმედ ამობობლდებოდეს, ბორბალზე გადმოაბიჭებდეს და დაჯდომამდე კოფოსს ქვეშ შეაწყობდეს ფეხსაცმელებს. მერე ფორანი ისევ გზას აგრძელებს. „მადლობელი ვარ“, ამბობს ქალი. „დამაწყდა ფეხები“.

არმსთიდს ჯერ აშკარად ერთხელაც არ შეუთვალეირებია თანამგზავრი. თუმცა მაინც შეამჩნია, ნიშნობის ბეჭედი რომ არ უკეთია თითზე. ახლაც არ უყურებს. ფორანი უწინდებურად დინჯად მირახრახებს. „საიდან მოდიხარ?“ ეკითხება ქალს.

ლინა ერთს ხმამალა ამოისუნთქავს, თითქოს საკუთარი გაოცების გამოსახატავად. „ახლა რომ ვფიქრობ, მართლაც კარგა შორიდან. ალაბამადან“, პასუხობს მშვიდად.

„ალაბამადან? შენა? კი მაგრამ, პატრონი არა გყავს?“

არც ქალი იყურება არმსთიდისაკენ. „ჩემ კაცს ვეძებ. იქნება იცნობთ კიდევ. ლუკას ბარჩი ჰქვია. ამწინებზე მითხრეს, ჯეფერსონშიაო, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ლუკას ბარჩი“. იმეორებს არმსთიდიც, ისიც ლინასავით გამოთქვამს. გვერდიგვერდ სხედან ჩაღუნულ, მორყეულ კოფოზე. არმსთიდი ცალი თვალთ ქალის მშვიდ პროფილსა და კალთაში დაკრეფილ ხელებს ხედავს, ქალი კი ჯორების მთრთოლვარე ყურებს შორის გაწოლილ გზას გასცქერის. „მაშ, იმის ძებნაში ამოდენა გზა მარტომმარტომ ფეხით გამოიარე, არა?“

ლინა ცოტა ხანს დუმს. „კეთილი ხალხი მხვდებოდა. კეთილ ხალხს რა გამოლევს?“ ამბობს მერე.

„ქალებიც?“ შეფარვით უცქერის ლინას პროფილს და ფიქრობს ნეტავი მართა რას იტყვის ფიქრობს, „კარგად ვიცი, რასაც იტყვის. ქალი იქნებ ძალიან კეთილი არც იყოს და მაინც გითანაგრძნოს. კაცებისა რა მოგახსენო, აი, დიდ სიკეთეს კი მარტო ავი დედაკაცი თუ დაანახვებს მეორეს, სიკეთეს დანატრებულს“. ფიქრობს კი, ზუსტად ვიცი რასაც იტყვის მართა.

ლინა ოდნავ წინ წახრილა. გაქვავებული ზის, პროფილიც გაქვავებულია, ლოყაც. „უცნაური ამბავი კია“, ამბობს უცებ.

„რა არის უცნაური? ამოდენა მუცლით შარაზე გამოსულს ყველა მაშინვე რომ გატყობს, ამ გოგოს ქმარი გაქცევიაო?“ ლინა არ ირხევა. ფო-

რანი ახლა რიტმულად მიიწევა. გაუბოხავი და დაქრული ღერძის ჭრალიც თითქოს ზარმაც შუადღეს, გზას, ხვალ შეიწყობია. „მაშ აქ, ჩვენს მხარეში გინდა ქბოვო, არა?“

ლინა გაუნძრევლად ზის. ეტყობა, ისევ ჯორების ყურებს შორის გაფიქრებულ შარას გასცქერის — გზადქცეულ სივრცეს. „ვიპოვი კიდევ...“ არ უნდა გამიჭირდეს. იქ იქნება, საცა ხალხი იყრის თავს, საცა მეტი ქრია-მულია და დროსტარება. ამ საქმეში მარჯვეა“.

არმსთიდი რაღაცას ბუზლუნებს თავისთვის, ხმაგაუხეშებული, გამკაცრებული. „ჰააა. ჯორებო“. უწყრება ჯორებს, გულში კი, ნაფიქრალსა და ხმამაღლა ნათქვამს შორის, თავისთვის ამბობს: „იპოვის კიდევ, ღმერთმანი, ის ბიჭი მალე ინანებს, არკანზასი, არკანზასი კი არა, სულაც ტეხასი რომ არ მოიტოვა ზურგს უკან“.

მზე უკვე გადახრილა, ერთი საათიც და ჰორიზონტს იქით ჩაესვენება. ერთი საათიც და უცებ ჩამოწვება ღამე. შარაგზას ბილიკი ერთვის, შარაგზაზე კიდევ უფრო უკაცრიელი და წყნარი. „მოვსულვარ და ეგაა“, ამბობს არმსთიდი.

ლინაც მაშინვე გამოცოცხლდება. დაბლა იხრება, კოფოს ქვეშ ფეხსაცმელებს ეძებს; უფრო არ დავაყოვნოთ — ეტყობა, ფეხშიშველი აბირებს ფორნიდან ჩასვლას. „დიდი მადლობა“, ეუბნება არმსთიდს. „ძალიან მიშველეთ“.

ფორანი ისევ ჩერდება. ლინა ჩასასვლელად ემზადება. „შებინდებამდე გინდაც ვარნერის დუქანს მიალწიო, ჯეფერსონამდე მაინც თორმეტი მილი გექნება გასავლელი“. ამბობს არმსთიდი.

ლინას ფეხსაცმელიც, ფუთაც და მარაოც უხერხულად უჭირავს ცალ ხელში, ჩასასვლელად გამზადებულს მეორე ხელი გაუთავისუფლებია. „მაინც წასვლა ჯობია“, ამბობს ლინა.

არმსთიდი ხელს არ აშველებს, „მოდო, მე გამომყევი. ჩვენსა გაათიე ღამე“, ამბობს არმსთიდი: „რამე თუ გაგიჭირდა, ქალები... ქალი მაინც მოგხედავს. წამო, წავიდეთ. დილაადრიან კიდე მე თვითონ მიგიყვან ვარნერის დუქანამდე. იქედან რაღა... ხვალ შაბათია, ვინმე უთუოდ გაგიყოლებს ქალაქში. შენი ბიჭი ამაღამ არსად გაგეჭყევა. საერთოდ თუა ჯეფერსონში, ხვალაც იქ დაგხვდება“.

ლინა ორკოფობს. თავისი ავლადიდებაც ერთად მოუჭუჩებია. ისევ წინ იყურება, იქით, სადაც ირიბი ჩრდილებით დასერილი გზა მიიკლავება და შორეთში იკარგება. „ჩემი ანგარიშით, რამდენიმე დღე კიდევ უნდა მქონდეს მარაგში“.

„დრო თავზე საყრელი გაქვს, ოლონდ, შენ რომ დღე-დღეზე თანამგზავრს ელოდები, ის ჯერ გვერდში ვერ გამოგყვება. ბოდა, დამიჯერე“, არმსთიდი პასუხსაც არ ელოდება, ისე სძრავს ადგილიდან ჯორებს. ფორანი შარაგზიდან უკაცრიელ ბილიკზე გადადის. ლინაც კვლავ კოფოზე ჯდება, თუმცა მარაოც, ფუთაც და ფეხსაცმელებიც ძველებურად ცალ ხელში უჭირავს.

„აბა ეგრე რატომ უნდა შეგაწუხოთ“, ამბობს ლინა. „ისედაც გაგაწვა-ლეთ“.

„შენ ეგა თქვი და...“ ამბობს არმსთიდი. ჯორები პირველად უჩქარებენ ნაბიჯს საკუთარი სურვილით. „საქმლის სუნი იგრძნეს აი“, ამბობს არმსთიდი. თან ფიქრობს, „ქალი კიდევ ეგ არი, საკუთარ დას პირველი თვითონ გაუთხრის სამარეს, არადა, ქვეყანაზე უსირცხვილოდ დატანტალებს, იცის, ხალხი ზრუნვას არ მომავლებს, კაცები მაინც მომხედავენო. ქალები ფეხებზე ჰკი-ზრუნვას არ მომავლებს, კაცები მაინც მომხედავენო. ქალები ფეხებზე ჰკი-“

დია. მართლაც, ქალს რომ არ ჰყოფდნენ ამ დღეში, თვითონ გასაკვირდაც, რომ არ მიაჩნია. ეგრეა. ერთი გაათხი-ბა ანდა გაუთხოვრად ამოხდებოდა. მაშინვე განუდგება საქალეთს და თავის დღე და მოსწრებას უდევს. ვაჟი/ვაჟი/გათვევას ეცდება. შენ რა გგონია, თუთუნსაც ამიტომ ყნოსავდნენ, არჩევნებში მონაწილეობაც მართლ-ამიტომ უნდათ".

ფორანი რომ სახლს გვერდით ჩაუვლის და თავლისკენ გადაუხვევს, არმსთილის ცოლი წინკართან დგას და თვალს ადევნებთ. არმსთილი იქით არ იყურება; ანკი რად უნდა იქით გახედვა, ისედაც მშვენივრად მოეხსენება, სად იქნება, სად უნდა იყოს მისი ცოლი. „ჰო“, თქრობს სევდანარევი ბრაზით და ჯორებს ღია ქიშკრისკენ მიერეკება. „ვიცი რასაც იტყვის, ზუსტად ვიცი“. მერე ფორანს აჩერებს. სახლისკენ არც ახლა იყურება, თუმცა ახლაც შეუმცდარად გრძნობს, ცოლი უკვე სამზარეულოში გასულა, მათი თვალთვალის მობეზრებია და იქ ელოდებათ მშვიდად. ფორანი ჩერდება. „შენ შინ შედი“. ეუბნება ლინას, თვითონ უკვე მიწაზე დგას, ლინა კი ნელ-ნელა ფრთხილად ცდილობს ფორნიდან გადმობობლებას, საკუთარ არსებაში რაღაცას მიყურადებულის. „იქ ალბათ მართა დაგებდება. მეც მალე მოვალ, საქონელს ალაფს დავუყრი და მოვალ“. ლინა სამზარეულოსკენ მიაბიჯებს, მაგრამ არმსთილი არც იმას აყოლებს თვალს, ან რაში სჭირდება, თითქოს ისიც ლინასთან ერთად, ლინას ფეხდაფეხ შედის სამზარეულოში და პირისპირ რჩება ცოლთან, რომელიც ახლა სამზარეულოს კარსაც რსევამისჩერებია, როგორც წყლან — ფორანს. „ვიცი, ზუსტად ვიცი, რასაც იტყვის“, თქრობს არმსთილი.

მერე ჯორებს გამოხსნის, დაარწყულებს, დააბინავენს, თივას დაუყრის, ძროხებსაც შედენის ბოსელში და ყველაფერს რომ მოითავებს, თვითონაც სამზარეულოსკენ დაადერებს თავს. ცოლი ისევ იქაა — ქალარა, გოროზი, ბრაზიანი, პირგამეხებული ქალი, ექვს წელიწადში სუთი შვილის გამჩენი და გამომზრდელი. უკვე ჩუთივეს გზაზე ჯამყენებელი; უნმოდ ფუსფუსებს, ქმარი ერთსაც არ შეხედავს ზედ. ბაკანთან მივა, ვედროდან ჩამით წყალს ამოიღებს და საბელოებს იკაპიწებს. „ამ გოგოს გვარი ბარჩია“, ეუბნება ცოლს. „უფრო სწორად, ეგ რომ კაცს დაეძებს, იმისი გვარი ყოფილა ბარჩი, ლუკას ბარჩი, გზაზე უთქვამთ, ჭეფერსონში ნახავო“. არმსთილი ბელპირს იბანს, ცოლისთვის ზურგი შეუქცევია. „ალაბამადან მოდის, ამოდენა გზა მარტოდმარტო, ფეხით გამოვიარეო“.

არც მისის არმსთილი უცქერის ქმარს, მაგიდასთან საქმიანობს უწინდებურად. „არა უშავს, იმ თავის ალაბამაში მარტოკას აღარ მოუწევს დაბრუნება“, ამბობს ქალი.

„ეგ კი არადა, იქნებ იმ ბიჭსაც უკვე ხელდამშვენებული მიადგეს“, არმსთილი ბაკანთან ჩახირობს, თითქოს მთელი გულისყური წყალსა და საპონზე გადაუტანია. არადა, განუწყვეტლივ გრძნობს, როგორ მიშტერებია ცოლი კუფაში, თვალს არ აშორებს იმის ბეჭებს, ოფლისგან გამოხუნებულ იმის ცისფერ პერანგს. „ვითომ სამსონთან უთქვამთ, ის ბიჭი, ბარჩია თუ ოხრობა, ჭეფერსონში, ზის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ბოდა, ეგეც იქეთ მიიჩქარის, სახლ-კარიც გაწყობილი ელოდება და ყველაფერი“.

არმსთილი ხმაზე ვერ ატყობს, როდის უცქერის ცოლი და როდის არა, გარღვეული ფქვილის ტომრით იმშრალავს ბელპირს. „იქნება იპოვოს კი-“

დევ. თუ მართლა გაქცევა აქვს იმ ბიჭს გუნებაში, მაღე ინანებს, რატომ მისისიპი არ მოვიტოვე ზურგს უკანო". ახლა უკვე გრძნობს, როგორ მიშტერებია ცოლი: ქალარა, არც მხუჭანი და არც გამხდარი ქალი, ჯაცუროდ ნაჯაფარი. ჯაფით გაუბეშებული — ნაცრისფერი, ჭვალო კაბა აცვია. დაუნდობლად, დაუნანებლად ნახმარი, დონჩი შემოუყრია და დამარცხებული ლივით იყურება.

„ოოო, კაცებო, კაცებო“, ამბობს ქალი ჩუმად.

„შენ რა, სხვანაირად მოიქცეოდი? გააგდებდი? თუ ბოსელში გაათევინებდი ღამეს?“

„თქვენი სინსილა კი გაწყდეს, კაცებო“, იმეორებს ქალი.

სამზარეულოში ერთად შედიან, წინ მისის არმსთიდი მიაბიჯებს. პირდაპირ ქურასთან მიდის. ლინა კი, წამით, კარებში ყოვნდება, ქუდი აღარ ხურავს, თმა სწორად ჩამოუვარცხნია, თითქოს იმის ცისფერ კაბასაც გამოუხედია თვალში, კაბასაც დაუსვენია. დგას და შესცქერის, როგორ ებრძვის მისის არმსთიდი ქურასთან რკინის ხუფებს, მერე შეშის ნაპობებს იღებს, მამაკაცურად, უბეშად, „რამეში მოგეხმარებით“, ეუბნება ლინა.

მისის არმსთიდი მისკენ არც ტრიალდება, ბრაზმორეული აჯახუნებს ქურის კარს. „მანდ დაეტიე და ცოტა ხანს მაინც ჩახარე მუხლი, იქნებ მერე ზურგმაც გაგიაროს“.

„მართლა ძალიან გამეხარდება, რამეს თუ დამავალებთ“.

„დაისვენე-მეთქი, ოცდაათი წელიწადია ყოველ ცისმარე დღეს სამ-სამჯერ ვაკეთებ ამ საქმეს. წავიდა ის დრო, როცა მოხმარება მჭირდებოდა“. ლაპარაკობს და თან ისევ ქურასთან საქმიანობს, ლინას ზედაც არ უყურებს. „არმსთიდმა — გვარად ბარჩიო“.

„დიახ“, პასუხობს ლინა. ხმადაბლა, ძალიან მშვიდად პასუხობს. გაუნძრევლად ზის, ხელებიც უძრავად უწყვია კალთაში. არც მისის არმსთიდს სცალია აქეთ-იქით საცქერლად. უწინდებურად ქურასთან ტრიალებს. ქურასაც, ეტყობა, ახლა მეტი ყურადღება სჭირდება, ვიდრე წელან, როცა ქალი გამკაცრებული და გაგულისებული ანთებდა ცეცხლს. ისე დაჰფოფინებს, ისე დასტრიალებს თავს, თითქოს ქურა კი არა — ძვირფასი საათი იყოს.

„მაშ გვარად ბარჩი ხარ, არა?“ ეკითხება ლინას.

ახალგაზრდა ქალი მაშინვე არ პასუხობს. მისის არმსთიდიც აღარ ხმაურობს ქურასთან. თუმცა, ჭერაც ლინასკენ ზურგშექცეული დგას. ცოტა ხნის შემდეგლა ტრიალდება. ქალები ერთმანეთს თვალს თვალში უყრიან, უეცრად ნიღბებჩამოხსნილნი მისჩერებიან: ახალგაზრდა სკამზე ზის, კოხტად თმადავარცხნილს მოდუნებული ხელის მტევნები კალთაში დაუსვენებია, ხანში შესული კი ქურასთან დგას, ოღონდ ახლა სკამზე მჯდომისკენ შემობრუნებულა და გაქვავებულა. ქალარა თმა ბრაზიანად, დაუდევრად გამოუსკვნია კეფაზე. ფხვიერ ქვაში ნაკვეთს მიუგავს სახე, მერე ახალგაზრდა ლაპარაკს იწყებს.

„მოგატყუეთ, მე ჭერ არა ვარ ბარჩი. ლინა გროუვი მქვია“.

ქალები ერთმანეთს შესცქერიან. მისის არმსთიდის ხმა არც ცივია და არც თბილი ეთქმის. ხმა თითქოს საერთოდ არ გამოხატავს არაფერს. „მაშ, გინდა დაეწიო და სანამ დროა, ბარჩი გახდე, არა?“

ლინას თვალები დაბლა დაუხრია, თითქოს კალთაში დაკრეფილ ხელებს

დასცქერისო, ჩემად ლაპარაკობს, ჭიუტად. უწინდებურად მშვიდი ხმით. „აბა, ლუკასს ჩემთან რა ფიცი-მტყიცი სჭირდება. სამწუხაროდ, ეგ იყო, წასვლა მოუწია. მერე, ეტყობა, რალაცამ შეუშალი ხელი და წაიკვანადაც ვეღარ ჩამომაკითხა, როგორც თავიდან აპირებდა. მე და იმას ფიცი და პირობა რად გვინდა, იმ ღამეს, წასასვლელი რომ გამოუჩნდა.“

„რომელ ღამეს? როცა ბავშვის ამბავი უთხარი?“
 ლინა ცოტა ხანს არაფერს პასუხობს. ქვასავით უძრავი სახე დასდებია, თღონდ — მკაცრი არა, სახის სიჭიუტესაც რალაცნაირი სილბო დაჰკრავს. თითქოს შიგნიდან განათებულა უდრტვინველი, მშვიდი განუსჯელობისა და რინდის შუქით. მისის არმსთიდი თვალს არ აშორებს, ლინა კი, ვიდრე ლაპარაკობს, ერთსაც არ გაიხედავს მისკენ. „წასვლა რომ მოუწევდა, დიდი ხნით აღრეც იცოდა, უბრალოდ, მზოგავდა და მე იმიტომ არაფერს შეუბნებოდა — ტყუილად არ ავალეღვოო. პირველად რომ გადაუკრა ოსტატმა სიტყვა, აქედან გუდა-ნაბადის აკვრა მოგიწევსო, მიხვდა, გაცლა აჯობებდა. იქნებ სხვაგან მაინც ეშოვა დროულად ისეთი ადგილი, სადაც კრიჭაში არ ჩაუღვებოდნენ და ტყუილ-უბრალოდაც არ აუხიროდებოდნენ, მაგრამ ბოლომდე ითრევდა მაინც ფეხს, მერე ეს ამბავიც დაერთო და გაჩანჩლებასაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ოსტატი კი იმიტომ აუხიროდა, იმისი სილაღე და მხიარულება არ მოსდიოდა თვალში, თანაც, ლუკასის ადგილიც თავისი ბიძაშვილისთვის უნდოდა. მე არაფერს მიმხელდა, მიფრთხილდებოდა, მაგრამ, როცა მოსახდენი მოხდა, მოცდა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა, თვითონ ვუთხარი — წადი-მეთქი. ლუკასი გაიძახოდა, თუ არ გინდა ფეხსაც არ მოვიცვლი, ოსტატს კისერიც უტეხიაო. მაგრამ, წადი-მეთქი, დავიფინე, იმას, მაინც უკან რჩებოდა ფეხები, მე ავუჩემე, ჩემს დასახვედრად როცა მზად იქნები, ხმა მომაწვდინე-მეთქი. მერე კი, ეტყობა, ისე აეწყო საქმე, ხმა დროზე ვეღარ მომაწვდინა, ხომ იცით, უცხო ხალხში რომ მოხვდები, მოსაწყობად და დასაბინავებლად დრო გჭირდება, მით უმეტეს, ლუკასისნაირ ხალხისთან კაცს, მეგობრებზე რომ ამოსდის მზე და მთვარე, დროსტარებაზე ფიქრობს სულ, ძმაბიჭებიც სულში იძვრენენ, კუდში დასდევენ, მუშაობას არ აცლიან — აქაოდა, სიცილის და ხუმრობის ოსტატიაო, თვითონაც ხათრიანია, უარს ვერავის ეუბნება, წასვლისას ამეებზე არ ფიქრობდა, არ ეგონა, ასე თუ გაუჭირდებოდა ახალ ადგილას ფეხის მოკიდება, გამოუცდელივით მოუვიდა, რას იზამ, ისე, ჩვენში დარჩეს და, მეც ვიფიქრე, მოდი ამ ერთხელაც თავის გემოზე გაინავარდოს-მეთქი, ცოლქმრობა ხომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კაცისთვის ერთია და ქალისთვის კიდევ — სულ სხვა, კაცისთვის ცოლქმრობა დიდხანს გრძელდება, ასე არ არის?“

მისის არმსთიდი არაფერს პასუხობს. სკამზე ჩამომჯდარ, კოხტად თმადავარცხნილსა და კალთაში ხელეხდაკრეფილ ლინას მისჩერებია, იმის მშვიდსა და ფიქრიან სახეს არ აშორებს თვალს. „ეინ იცის, შემომითვალა კიდევ, ჩამოდიო, მაგრამ ხმა ვერ მომაწვდინა, ჯერ აქედან ჩამოდენა გზაა ალაბამამდე და ჯეფერსონიდან რა იქნება?! არ ეხერხება წერილის წერა, მზად რომ იქნები ჩემს დასახვედრად, რამენაირად ხმა მომაწვდინე-მეთქი. შიშით მერე შემეშინდა ერთი პირობა, მარტო რომ დავრჩი: არც ჩემი ძმა იცნობდა ლუკასს ჩემსავით და არც ჩემი რძალი, ან კი საიდან უნდა სცნობოდათ?“ სახეზე ნელ-ნელა გადაუტრბენს სიხარულნარევი გაოცება, თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წუთას პოულობს იმ კითხვის პასუხს, რომლის არსებობა

ექვადაც არ იცოდა აქამდე. „მართლაცდა, ვითომ რატომ უნდა სცნობოდათ ჩემსავით?! მოკლედ, ასეა თუ ისე, ჯერ ლუკასს უნდა მოეკიდა ფეხი სადმე, მე კი უნდა ვმჯდარიყავი და მეცადა, როდის მოთავდებოდა ეს დავიდარაბე. მაგრამ ამასობაში დროც მომივიდა და სადღა მეცალა იმაზე საფიქრელად, რომელი გვარი უფრო შემეფერებოდა ანდა რას იტყოდა ჩემზე. ჩემსადმი ვითხარით, მე და ლუკასს ერთმანეთში ფიცი არა გვჭირდება-მეთქი. ეტყობა, რაღაც შეემთხვა, შემოთვლით კი შემომითვლიდა, ოღონდ დანაბარებმა, ეტყობა, ჩემამდე ველარ ჩამოაღწია. ხოდა, რილასთვის უნდა დამეცადა. ავდექი და წამოვედი...“

„კი მაგრამ, რა იცოდი სად უნდა გეძებნა, რომელ გზას უნდა დასდგომოდი?“

ლინა საკუთარ ხელებს დაჰყურებს. ხელები ამოძრავებულან, გამალებით, საქმიანად კმუჭნიან კაბის ნაკეცს, ოღონდ არც გაუბედაობის და არც სიმორცხვის გამო. ეტყობა, ეს მოძრაობაც მხოლოდ და მხოლოდ გაუაზრებელი, უნებლიე რეფლექსია და სხვა არაფერი. „ხალხს ვეკითხებოდი, ლუკასი ხომ უცებ უშინაურდება ყველას, ერთხელ თუ ნახა ვინმემ, აღარასოდეს დაავიწყდება, ასე კითხვა-კითხვით მოვდიოდი, ხალხიც რომ სულ ერთმანეთზე კეთილი მხვდებოდა? ამ ორი დღის წინ კი დაბეჭითებით მიტხრეს — ჯეფერსონშია, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

მისის არმსთიდი დაეინებით დასცქერის თავჩალუნულ ლინას. დონჩი შემოუყრია და ცივი, უმისამართო სიძულვილით დაჰყურებს. „შენც გჯერა, არა? გინდაც მართლა იქ იყოს, შენ რომ დაგინახავს, ვითომ უკანმოუხედავად არ გადაიკარგება იქიდანაც?“

თავჩალუნულ ლინას სევდიანი, მშვიდი სახე ადევს. ხელებიც გაჩერებულან. უსიციოცხლოდ ყრია კალთაში. მშვიდი ხმა აქვს, აუღელვებელი, ჯიუტი: „მე მგონი, როცა ბავშვი ჩნდება მთელი ოჯახი ერთად უნდა იყოს, მით უმეტეს როცა პირველ შვილს ელოდებიან. ალბათ, უფალიც ასე ინებებს“.

„შენ ნახე, ბოლოს მართლა ეგრეც იქნება“. გულმოსული, გაბრაზებული ამბობს მისის არმსთიდი. არმსთიდი უკვე დასაძინებლად გამზადებულა, ლოგინში სანახევროდ წამომჯდარი და კისერწაგრძელებული, ყურადღებით ადევნებს თვალს ცოლს, ის კი, ჯერაც ტანგაუხდელი, კომოდისკენ დახრილა და ლამპის შუქზე გამწარებული დაეძებს რაღაცას უჯრაში. ბოლოს იქიდან რკინის ყუთი ამოაქვს. ყუთს კისერზე ჩამოკიდებული გასაღებით ხსნის, ყუთიდან ნაჭრის ტომსიკას იღებს. ტომსიკიდან კი — მამლის ფორმის პატარა, ფაიფურის ყულაბას. ყულაბას რომ დააპირქვავენ და გაშმაგებული შეაჯანჯალარებს კომოდის თავზე, ყულაბა აჩხრიალდება, მერე კი, ქრილიდან გაჭირვებით, თითო-თითოდ ჩამოცვივა ხურდა ფული. მწოლიარე არმსთიდი თვალს არ აშორებს ცოლს.

„ნეტა ამ შუალამისას ეგ კვერცხში აღებული ფული რაში დაგჭირდა?“ — ეკითხება ცოლს.

„ჩემი ფულია, როგორც მინდა, ისე მოვიხმარ“. ქალი ლამპისკენ იხრება, სახე გაუხეშებია, გაბოროტებია. „ღმერთმა ხომ იცის, რა წვალებით გამოვხარდე და მოვაჩიტე. შენ თითი თითზეც არ დაგიკარებია“.

„ნეტავი ვინ გეცილება“. ეუბნება არმსთიდი. „გველს და ოპოსუმს ვერ დაეუდგები თავდებად და ისე, ამქვეყნად სხვა სულიერი ვერც კრუხებში

ჩაგეზიარება და ვერც მაგ მამლის კუჭმაჭში“. ამიტებს ბოლოს, რადგან უეცრად წელში მოხრილი ქალი სწრაფად წაიძრობს ცალ ფეხსაცმელს და ერთი ღარტყმით დააქუცმაცებს ფაიფურის ყულაბას. საწოლში სანახევროდ წამომჯდარი არმსთიდი ხედავს, როგორ აგროვებს მისი ცოლი ყულაბის ნამტვრევებში არეულ ხურდას და როგორ ყრის ტომსიკას უკრავს ტომსიკას თავს, როგორ კვანძავს სამჯერ თუ ოთხჯერ მისი ხელებით, თითქოს საშვილიშვილოდ.

„ეს იმას მიეცი“, ამბობს ქალი. „მზის ამოსვლამდე შეაბი შენი ჯორები და აქედან მომაშორე. ისევე გიქნია, ჯეფერსონამდე ჩავიცილებია“.

„რა, ვითომ ვარწერების დუქნიდან უჩემოდ ვერ წაბრძანდება?..“ ამბობს კაცი.

მისის არმსთიდი ალიონზე ადგა და საუზმის თადარიგს შეუდგა. სუფრა გააწყო თუ არა, არმსთიდმაც შეაბიჯა სამზარეულოში. უკვე ძროხების მოწველაც მოესწრო. „წადი, დაუძახე, მოვიდეს და ჭამოს“, უთხრა ცოლმა. მაგრამ, როცა არმსთიდი ლინასთან ერთად დაბრუნდა, ცოლი სამზარეულოში აღარ დახვედრია. კარებთან ოდნავ შეყოვნებულმა ლინამ ერთადერთხელ მოავლო ოთახს თვალი. სახე უკვე გასალიმებლად გაბადრვოდა. უკვე მზად იყო სამადლობელი, არმსთიდის ღრმა რწმენით, წინდაწინვე, აღრევე გაზებირებული სიტყვების სათქმელად. მაგრამ მაშინვე ენას კბილი დააქირაჟ ისიც არ შესტყობია, წამით რომ გარინდდა კართან.

„აბა, ვისაუზმოთ და ბედს ვეწიოთ“, თქვა არმსთიდმა. „ჯერ კიდევ დიდი გზა გაქვს“. მაგიდასთან იჯდა და უყურებდა, როგორ ჭამდა ლინა, ახლაც, წუხანდელივით. ჯანმრთელი და აუღელვებელი სახე ედო, ოღონდ მეტისმეტად ზრდილობიანი და თითქოს ზედმეტად ხაზგასმული თავდაჭერილობა რაღაცნაირად აუშნოვბდა. მერე თავმოკრული ტომსიკა გაუწოდა. ლინამაც გამოართვა. სახეზე სიამოვნებამ, სითბომ გადაუარა, თუმცა, ეტყობა, საჩუქარი მშაინცდამაინც არ გაქვირვებია.

„დიდი მადლობელი ვარ თქვენი მეუღლისა“, თქვა ლინამ. „მაგრამ, ალბათ აღარ დამჭირდება. მოვედი და ეგაა“.

„შეინახე რა იცი, რა ხდება. თანაც, რაკი მართამ თქვა — წყალი არ გაუვა“.

„ძალიან კეთილია“, თქვა ლინამ. მერე ტომსიკაც თავის ჭრელ ფუთაში გამოახვია და ქუდი დაიხურა. ფორანი უკვე მზად იყო. საურმე ბილიკს რომ დაუყვნენ და სახლს ჩაუარეს, ლინამ უკან მიიხედა და — თქვენი სიკეთე არასდროს დამავიწყდებაო — უთხრა არმსთიდს.


„მე რა, მართას უმადლოდე“. უპასუხა არმსთიდმაც.

„დიდი, დიდი მადლობელი ვარ. აუცილებლად დაემშვიდობეთ ჩემ მაგიერ. მეგონა ვნახავდი. მაგრამ...“

„კი, უსათუოდ“, მიუგო არმსთიდმა. „ეტყობა, რაღაც საქმე გამოუჩნდა. აუცილებლად ვეტყვი“.

დუქანთან რომ მივიდნენ, ჯერ ისევ სისხამი დილა იყო, არადა, ჩაცუცქული კაცები უკვე იპურკყებოდნენ ქუსლებით გაცვეთილი პარმალიდან, თან ლინას მიშტერებოდნენ. თვალს არ აშორებდნენ, ვიდრე ის, ფუთითა და მარაოთი ხელდამშვენებული, ნელ-ნელა, ფრთხილად გადმოდიოდა ფორნიდან. არმსთიდი არც ახლა განძრეულა, არც ახლა შეუშველებია ხელი. მე-

რე ყველას გასაგონად განაცხადა კოფოდან: „ეს ქალი მისი ბარჩია, ჯეფერსონში უნდა ჩასვლა“ თუ ვინმე მიტრის იქნა და გაიყოლებს, სხვათაგან-
ლი დაგრჩებათ“.

ლინამ როგორც იქნა მიწას უწია თავისი მძიმე, მტვრითი თმისაგან-
ლი და გაცისკროვნებულ მშვიდი სახით ახედა არმსთიდს.  არასოდეს „დამაფიწყებდა“, თქვა კიდევ ერთხელ.

„ეპ. კარგი ერთი“, უბასუბა არმსთიდმა. „ახლა, წესით, ქალაქამდე ჩასვ-
ლა აღარ უნდა გაგიჭირდეს“. კოფოზე მჯდომი ზემოდან დასცქეროდა ლინას
და ერთი უსასრულო გაუთავებელი წამის განმავლობაში, თითქოს ზედავდა,
კიდევ როგორ დაეძებდა სიტყვებს მისი ენა. სანამ ნებაზე მიშვებულ ფიქრი
მდორედ, დაუბრკოლებლად აგრძელებდა დინებას ნებისმიერი კაცი, ხულ-
ერთია, ვინც ვინდა იყოს, ასჯერ რომ მიეცეს კეთილი საქმის ჩადენის შე-
საძლებლობა, ასჯერვე დაიხვევს უკან, ოღონდ კი ერთხელ, ერთადერთხელ
მაინც ჩაერიოს თავისდა გირად სხვის საქმეში. სიმდიდრეს, პატივს, დიდებას
ვერ დაინახავს და ვერ შეამჩნევს. ზოგჯერ ცოდვასაც გაერიდება, მაგრამ
ცხვირის ჩასაყოფი თუ ნახა ხადმე, მორჩა, ველარაფერი გააჩერებს ბოლოს,
როდის-როდის ენა საჭირო სიტყვებსაც პოულობს. მისთვისაც და ლინასთვისაც
ერთნაირად მოულოდნელსა და საოცარს: „თლონდ იცოდე, შე მაინცდა-
მაინც არა მჯერა, დიდი იმედი არა მაქვს...“ ლაპარაკობს და თან ფიქრობს
არ მისმენს. ამ სიტყვების მოსმენა რომ შეეძლოს, მაშინ ხომ ფორჩიდანაც
არ გადავიდოდა თავისი მუცლის, თავისი მარაოს, თავისი ფულის პატრონი,
მარტოდმარტო ხომ არ დაადგებოდა ამოდენა გზას უცხო მხარეში და იმ
კაცსაც ხომ არ დაუწუებდა დევნას. ვისი ნახვაც აღარ უწერია, ვისაც, ჭკუა
რომ ჰქონოდა, საერთოდ არც უნდა გადაჰკიდებოდა „ნებისმიერ დროს, რო-
ცა ისევ ჩვენკენ ჩამოივლი, ხვალ იქნება თუ ამდღამ...“

„ახლა აღარაფერი მიჭირს“, თავისას პასუხობს ქალი. „აქი მიტრეს,
ჯეფერსონშიაო“.

არმსთიდმა ფორანი შეაბრუნა და შინისაკენ მიმავალ გზას დაადგა,
მხარებში მოხრილი. თვალგაშტერებული იქნა ჩაღუნულ კოფოზე და ფიქ-
რობდა, „არაფერიც არ შეიცვლებოდა, რაც არ უნდა შეთქვა, არ დაიჭერებ-
და, საკუთარ ყურებსაც არ დაუჭერებდა, აქი არცა სჯერა, რასაც დიდიან-
პატარიანად ერთნაირად ფიქრობს ყველა აგერ უკვე... ოთხი, დიას, ოთხი
კვირია, ვერც ახლა მიზვდება რამეს და ვერც დაიჭერებს. ზის კალთაში ხე-
ლებდაკრეფილი კიბის საფეხურზე, ჩვეის ბიჭებს შუაში მოუქცევიათ, თა-
ვიანთებურად იპურკყებიან და სანამ ჰკითხავდნენ რამეს, თვითონვე ჩაუ-
კაკლავთ ყველაფერს. თავისი ნებით დაფქვავს იმ ჯიბიდან გავარდნილის სამ-
ზავს, ვითომც არაფერი, ვითომ არც მოსარიდებელი ჰქონდეს რამე, არც და-
სამალი, მაშინაც არ შეიცვლის ნიღს. როცა ჯოდი გარნერი ან ვინმე სხვა
ეტყვის: ის ბიჭი, ჯეფერსონში ხის სარანდავ თაბრიკაში რომ მუშაობს, ბარჩი
კი არა, ბანჩაო: არც ეს ამბავი ააღელვებს, რადგან მართაზედაც მეტი იცის,
უფრო ჭკვიანია, აქი წუხელ უთბრა უფალი იზრუნებს კეთილი საქმის აღს-
რულებასეო“.

ორიოდე შეკითხვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ლინა კიბის ზედა
საფეხურზე ჩამოშვდა, მარაო და ფუთა კალთაში ჩაუწყვია და ცრუპენტე-
ლა ბავშვის მოთმინებითა და სიზუსტით ნელაბლა, ვინ იცინ შეკამდენელ,

პყვება თავის ამბავს. ირგვლივ ჩაცუცქეული კომბინიზონებიანი კაცებიც უბ-
მოდ უსმენენ.

„მაგ ბიჭის გვარი ბანჩია“, ამბობს ჯადი ვარნერი, „მეშვიდე
წელია რაც მანდ მუშაობს, რა იცი, შენი ბარჩიცი იქ რომ დავხვდები?“

ლინა გზას გასცქერის, შორს, ჯეფერსონისაკენ იყურება. მშვიდობა სახე
აქვს, მომლოდინე, ცოტა არ იყოს, გამოთიშულიც. ოღონდ — არამც და
არამც შეშფოთებული. „ალბათ იქ იქნება, იმ სარანდაე ფაბრიკაში. ლუკასს
ყოველთვის სული მისდიოდა ხმაურიან ცხოვრებაზე, სიმშვიდეს ვერც ეგუ-
ებოდა. დოუნის სამხერხაოზეც უფრო მაგიტომ აიცრუა გული, ამიტომ გადაწყ-
ვიტა... გადავწყვიტეთ აბარგება: ფულისთვის და ხმაურიანი ცხოვრების-
თვის“.

„ფულისთვის და ხმაურიანი ცხოვრებისთვის“, იმეორებს ვარნერიც. „ეგ
შენი ლუკასი არც პირველი ყვინჩილაა და არც ბოლო, ეინც ფულისთვის და
ხმაურიანი ცხოვრებისთვის თავისი გასაკეთებელი საქმეც მიატოვა და იმისი
ხელში შემყურე ხალხიც“.

მაგრამ ქალი აშკარად არ უსმენს. ზის თავისთვის, მშვიდად, კიბის ზედა
საფეხურზე და გზას გასცქერის, იმ ადგილს მისჩერებია, სადაც გზა უზვევს
და შორეთში იკარგება—უკაცრიელი, ჯეფერსონისკენ აღმართ-აღმართ მიმა-
ვალი. კედლის გასწვრივ ჩაცუცქეული კაცები ლინას მშვიდსა და უდრტვინ-
ველ სახეს შესცქერაან და ისინიც იმასვე ფიქრობენ, რასაც წელან არმსთიდი
ფიქრობდა, რასაც ახლა ვარნერისთვის დაუკარგვინებია მოთმინება: იმ გაიძ-
ვერას მეტი არაფერი ახსოვს, ვისაც გასაქირში მიუტოვებია (ამაში არც ერთს
არ ეპარება ექვი) და საშვილიშვილოდ გადაკარგულა, დიდი-დიდი, ამ სულელ-
მა შორიდან მოპკრას გაქცეულის ზურგს თვალით. „თუმცა ვინ იცის? ეგება
და იმ სლოუნის თუ ბოუნის სამხერხაოზეც ნაღვლობს“, ვარაუდობს ვარნე-
რი. „იქნებ იქაურობაზეც სწყდება გული, ბოლოს და ბოლოს, მტერი გო-
გოც ხომ უნდა მიხვდეს, რა ტყუილად გამოუვლია ამოდენა გზა, ხომ უნდა
დარწმუნდეს, ჩემს სახლს აქაურობა არაფრით სჯობიაო, გინდაც შინ ბრა-
ზიანი ძმა ელოდებოდეს და თმით ათრევდეს დამლაშობით გარე-გარე წანწა-
ლისთვის“. ფიქრობს ამის ძმის ადგილას მეც ასევე მოვიქცეოდი და ალბათ
მამაც იგივეს იზამდა, დედა არ უნდა ჰყავდეს, რადგან მამის სისხლს თუ
სიყვარულითა და სიამაყით სძულს, დედის სისხლს სიძულვილით უყვარს და
სიძულვილითვე ეგუება ქალურ ბედს.

ლინას კი ეს ამბები ოდნავადაც არ ადარდებს. ბელი ფუთაზე ჩამოუდია
და გუნებაში ფუთაში გამოკრულ ფულს ითვლის. დილანდელი საუზმე
ახსენდება და სიამოვნებს იმის ვაფიქრება, თუ მოესურვება, როგორ შეუძ-
ლია ამწუთსავე წამოდგეს, დუქანში შევიდეს და მარტო ყველი და კრეკე-
რები კი არა, სარდინებიც, სარდინის კონსერვიც იყიდოს, არმსთიდთან მხო-
ლოდ ერთი ფინჯანი ყავა დალია და ცოტა პური მოციცქნა; ევ იყო და ეგ,
თუმცა ძალიან კი ეპატიუა მასპინძელი. „ზრდილობიანად გეაბელითო“, კმა-
ყოფილებით აგონდება დილანდელი, ხელები ფუთაზე დაუკრეფია, თითებით
ფუთაში გამოკრულ ზურდა ფულს აწვალებს და კვლავ ერთადერთ ფინჯან
ყავასა და სოფლური პურის პაწაწინა ნაჭერზე ფიქრობს; რალაცნაირი მშვი-
დი სიამაყე დაუფლებია: „მართლაც რომ ქალბატონივით ვქამდი, მოგზაური
ქალბატონივით, ახლა კი, თუკი მომესურვება, იქნება სარდინებიც ვიყი-
დოო“.

მოკლედ, ერთი შეხედვით, თითქოს ჩაფიქრებული გაპყურებს აღმართს, უწინდებურად ჩაცუცქულ კაცებსაც, ისევ ისე ხამუშ-ხამუშ, საქმიანად რომ იპურტყებიან და შეფარვით ადევნებენ თვალს, ჰგონიათ, ალბათ თავის ბიჭ-ზე, თავის მოახლოებულ განსაცდელზე ფიქრობსო, არადა, სინამდვილეში, ლინა უღონოდ, უნიათოდ ეწინააღმდეგება ბებერი მიწის იმ ბრძანებებს, რომლებსაც ბასა და გაფრთხილებას, რომლის გავლენითაც, რომლის წყალობითაც და კარნახითაც ცხოვრობს საერთოდ ამქვეყნად. ეწინააღმდეგება და ამჯერად თავისი გააქვს კიდევ. დგება, ოდნავ მოუქნელად, ფრთხილად გამოარღვევს კაცების თვალთა ალყას და დუქანში შედის, ნოქარიც ფეხდაფეხ მიჰყვება. „ვიყიდი კიდევო“, ჭერ ისევ აგრძელებს ფიქრს, თუმცა ყველისა და კრეკერების შეკვეთა უკვე მოასწრო; „დიახ, ავდგები და ვიყიდი“. „და ერთი ყუთი სარდინიც“, ამატებს ბოლოს. საურდინიო — ასე გამოთქვამს. „ხუთ-ცენტისანი“.

„ხუთცენტისანი სარდინები არა გვაქვს“, პასუხობს ნოქარი. „სარდინები თხუთმეტი ცენტი ღირს“. ისიც ლინასავით უქცევს, სარდინის მაგივრად ისიც საურდინს ამბობს.

ლინა ცოტა ხანს ყოყმანობს. „აბა ეგ რა გაქვთ ხუთ ცენტად ყუთებში?“

„ეს ფეხსაცმლის საცხია. მე მგონი, თქვენ არ გამოგადგებათ. ყოველ შემთხვევაში საჭმელად მაინც...“

„კეთილი, რა გაეწყობა, მაშინ თხუთმეტცენტისანს ავიღებ“. ლინა ჭერ ფუთას ხსნის, მერე თავმოკრულ ტომსიკას, კვანძების გახსნას დრო უნდა. ლინაც მოთმინებით ხსნის, თითო-თითოდ, მერე ფულს გადაიხდის, ტომსიკას ისევ მოუკრავს თავს და ფუთასა და ნავაქრს ერთად მოხვეტავს დახლიდან. როცა ისევ პარშალზე გამოდის, დუქნის წინ ფორანი დგას, მეფორნე კოფოზე ზის.

„ეს ფორანი ქალაქში მიდის“, ეუბნებიან ლინას. „თქვენც წაგიყვანთ“.

ლინასაც ერთბაშად უცოცხლდება მშვიდი, უდრტვინველი, თბილი სახე. „როგორი გულკეთილები ხართ ყველანი“, ეუბნება კაცებს.

ფორანი ნელა, ტაატით მიიზღაზნება, თითქოს აქ, ამ თვალუწვდენელი სივრცის მზიან სიმართოვეში, აღარც დროისა და აღარც სიჩქარის კანონებს აღარ ემორჩილება. ვარწერის დუქნიდან ჯეფერსონამდე თორმეტი მილია. „სადილობამდე ჩავალთ?“ ეკითხება ლინა მეფორნეს.

კაცი ერთს გადააპურტყებს და — შეიძლება ჩავიდეთ კიდევო — ამბობს.

ქალისთვის აშკარად ჭერაც არ შეუხედავს, მაშინაც კი, როცა ის ფორანზე ჯდებოდა. არც ქალს შეუხედავს მისთვის. ახლაც არ უყურებს. „ჯეფერსონში ალბათ ხშირად დადიხართ, არა?“

„გვიწევს ხოლმე“. პასუხობს კაცი. ფორანი კი მიჭრიალებს. მინდვრები და ტყეები თითქოს გაუნძრევლად ჰკიდია სადღაც, ცას და მიწას შორის, ერთდროულად უძრავნიც არიან და, თან, მირაყივითაც ლიცლიცებენ, იცვლებიან. თუმცა, ასეა თუ ისე, მინდვრებიცა და ტყეებიც ბოლოს მაინც უკან რჩებიან.

„ლუკას ბარჩს ალბათ არავის იცნობთ ჯეფერსონში, არა?“

„ბარჩიო?“

„იქ უნდა შევხვდე. სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„არა,“ ამბობს კაცი. „მე მგონი, არ უნდა ვიცნობდე; მაგრამ მე ეგრე რამდენს არ ვიცნობ ჯეფერსონში. ალბათ იქ იქნება“.

„მეც მაგის იმედი მაქვს, დღითი დღე უფრო მიჭირს მგზავრობა“.

მეფორნე ლინას არ უყურებს. „საიდან მოდიხარ?“

„ალაბამიდან, კაიხელა, გზაა“.

კაცი არ უყურებს. არც ხმაზე ეტყობა არაფერი. „შეშინებულა? კერე როგორ გამოგიშვებს?“

„მშობლები დამებოცა, ძმასთან ვცხოვრობ, ავდეკი და წამოვედი“.

„პოოო, ვასაგებია, ალბათ შემოგიფარა, ჯეფერსონში გელოდებიო“.

ლინა, არ პასუხობს. მეფორნე კი ფარფლებიან ქუდქვეშ ქალის მშვიდ პროფილს უთვალთვალეებს შეფარვით. ფორანი გზას მიუყვება. ზანტი, დროის დინებას, თავდაღწეული, ჭრილა და რახრახა ბორბლებით დასერილი წითელი, უსასრულო შარა ჯორების ღონიერ ფეხებქვეშ გატრუნული, მზე უკვე შუბის ტარზე დგას; ლინას კალთაზე ეცემა ფარფლებიანი ქუდის ჩრდილი. მზეს ახედავს და — მგონი, ჭამის დროც მოსულაო — ამბობს, კაცი ისევ შეფარვით უცქერის, ხედავს, როგორ ამოალაგებს ყველს, კრეკერებს და სარდინებს და საგზალს იმასაც სთავაზობს.

„არაა, მე არ მინდა“, ამბობს კაცი.

„იცოდეთ, ძალიან მაწყენინებთ თუ არ დამეწვევით“.

„არა, მართლა, არა მშია“.

ლინა ნელ-ნელა იწყებს ჭამას. დინჯად, აუჩქარებლად, ზანტად — მაღიანად, სიამოვნებით ილოკავს თითებიდან სარდინის სქელ წვენს. მერე, მუა ჭამაში ჩერდება, უცებ არა, ოღონდ ერთბაშად, ერთიანად ქვაკდება თითქოს. ლეჭვისას ყმა უშეშდება, ხელში მოკბეჩილი კრეკერი უჭირავს, თავი ოდნავ ჩაუჭინდრია და თვალეები გამოსცარიელებია; ეტყობა, რაღაც ძალიან შორეულ ხმას უსმენს, ანდა, პირიქით, შორეულს კი არა, უაღრესად ახლობელს. ლამის მისივე საკუთარი არსებიდან მომავალს, სახეზე ფერი აღარ ადევს, თითქოს მთლად დაკლილა ჯანსაღი, ჯიშიანი სისხლისაგან, გაუნძრევლად ზის და აყურადებს, ახლაც ძველთაძველი, მკაცრი მიწის კარნახსა თუ შეგონებას უგდებს ყურს. ოღონდ არაფერი აფრთხობს, არაფრისაც არ ეშინია. „ტყუპზე ნაკლები არ იქნებაო“, ამბობს თავისთვის, უხმოდ, ტუჩებმომუწული. მერე ჭვალი გაივლის და ლინაც ისევ აგრძელებს ჭამას, ფორანი ხომ არც გაჩერებულა; არც ფორანი და არც დრო, ფორანი ბოლო გორაკსაც მოექცევა თხემზე და კვამლიც გამოჩნდება.

„ეგვეც შენი ჯეფერსონი“, ამბობს მეფორნე.

„არა, მართლა?“ უკვირს ლინას. „უკვე მოვედით?“

ახლა კაცს არ უყურება მისი, წინ იცქირება, ველს გადაღმა ბორცვზე შეფენილი ქალაქისკენ. მერე იმის წინგაშვერილ მათრახს ლინაც გააყოლებს თვალს და ისიც დაინახავს კვამლის ორ სვეტს: ერთი, დამწვარი ნახშირის ნძიძე, მკვრივი სვეტი, წოწოლა მილიდან ამოდის, მეორე კი, მალალი და ყვითელი, ხეთა კორომიდან ამომართულია, ქალაქიდან ოდნავ მოშორებით.

„აჰე, საბლი იწვის“, ამბობს კაცი. „ხედავ?“

მაგრამ, ეტყობა, ახლა ლინას ჯერია, ახლა უკვე იმას არ ესმის კაცის ხმა, არ უსმენს. „ღმერთო, ღმერთო“, ამბობს თავისთვის; „ჯერ თთხი კვირაც არ გასულა რაც შინიდან წამოვედი და უკვე ჯეფერსონში ვარ, არა, ეტყობა მართლა არ ასვენებს კაცს გამჩენი“.

ბაირონი ბანჩის სამი წლის წინანდელი ამბავი ასე ახსოვს: პარასკევი დილა იყო; ფარდულში, სარანდავ ჩარხთან მოტუსფუსე მუშებმა წუთით საქმეს თავი მიანებეს და უცნობს გამოხედეს. რომელიც შორიანლოს იდუაღნი მუშა ჟინებით მათკენ იყურებოდა. მისი მოსვლა ვერავის შეემჩნია. მუშები მანწილას ჰგავდა და თან, მთლად მაწილალაც არ ეთქმოდა, მტვრიანი ფეხსაცმელები და გაზინთული შარვალი ეცვა, თუმცა, რიგიანი სარჯისგან შეკერილი და გულდაგულ გაუთოვებული; იმის ჭუჭყიან პერანგსაც, ასე თუ ისე, მაინც თეთრი პერანგი ეთქმოდა, ყელსახვევიც გაეკეთებინა და საკმაოდ ახალი, მაგარფარფლებიანი ჩაღის ქუდიც ეხურა — ქედმალლურად და მტრულად ჩამოფეხატა გაქვავებულ სახეზე. მოკლედ, ჩვეულებრივ ძონძებში გამონვეულ პროფესიონალ პობოს არა ჰგავდა, თუმცა, უთვისტომო კაცი რომ იყო, ერთბაშად შეატყობდი, თითქოს მშობლიური არც ქალაქი ჰქონდა, არც სოფელი, თითქოს, დედამიწის ზურგზე ვერც ერთ ქუჩას, ვერც ერთ სახლსა თუ მიწის ვერც ერთ გოჯს ვერ ჩათვლიდა თავისად. თანაც ამის შეგნებასაც მუდამ თან დაატარებდა დროშასავით, მკაცრად, პირქუშად და, რაც მთავარია, ამაყადაც კი. „თითქოს დროებით ბედმა უმუხბოლაო“, ამბობდნენ მოგვიანებით მუშები, „ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა, ოღონდ, არც ამ დღეში დიდხანს დარჩენას აპირებდა და არც ის ადარდებდა მაინცდამაინც, როგორ და რა გზით გაიმართებოდა ხელახლა წელშიო“. ახალგაზრდა კაცი იყო. ბაირონი ხედავდა, როგორ იდგა და რა სახით შესცქეროდა ოფლით დამბალ კომბინიზონებიან მუშებს. ტუჩის კუთხეში სიგარეტი უბოლავდა და პირქუშში, ზიზღით გაქვავებული სახეც ოდნავ გვერდზე გადაეხარა — ბოლს თუ არიდებდა ალბათ. სიგარეტი ისე ჩაიყვანა ბოლომდე, ერთხელაც არ უხლია ხელი, მერე დაღეული ნამწვი გამოაფურთხა, მუშებს ზურგი შეაქცია და კანტორისკენ დააღერა თავი. გამოხუნებულ, დასვრილ კომბინიზონებიანი მუშებიც იმის ზურგს მისჩერებოდნენ, ცოტა არ იყოს შეცბუნებულნი და, თან, შეურაცხყოფილნი. „ჩარხში უნდა გაგვეტარებინა“, თქვა ოსტატმა. „იქნება მაშინ მაინც შეცვლოდა სახე“.

არავინ იცოდა, ვინ იყო და სადაური. მანამდე არც ერთს არ ენახა თვალთ. „მაგ სახით ხალხში სიარული ცოტა საშიშიც კია“, თქვა ერთმა: „გვიხედდე და იქ ამოყო თავი, სადაც ვინმეს თვალში არ მოუვიდა ეგეთი სიფათი“. უცნობი მალევე გადაავიწყდათ, ყოველ შემთხვევაში, აღარავის უხსენებია. თავთავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ ყველანი — აბზუვლებულ-აქლრიალებულ ღვედებსა და ლილეებს. მაგრამ, ათი წუთიც არ გასულა და ახლა ფაბრიკის მმართველი დადგათ თავზე, უკან უცნობი მოსდევდა.

„ეს კაცი ჩაიბარეთ“, უთხრა მმართველმა ოსტატს: „ამბობს, ავად თუ კარგად, ნიჩბის ბმარება შემიძლიაო, ნახერხის გროვას მიაყენე“.

დანარჩენებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ, ოღონდ, ყველამ ერთი კაცივით ხელახლა შეავლო თვალი უცნობს, იმის ჭუჭყიან, ქალაქურ ტანისამოსს, იმის მოყამულ, აუტანელ, ცივი და მშვიდი ზიზღით განმსჭვალულ სახეს. ოსტატმაც შეხედა, ცერად, დანარჩენებივით მტრულად. „ამ ტანსაცმლით აპირებს მუშაობას?“

„ეგ მაგის საქმეა“, თქვა მმართველმა. „მე ტანსაცმელს არ ვჭირობ“. „კეთილი, რაც უნდა ის ეცვას, მე რას დავეძებ თუკი ოქვენთვისაც და

მაგისტრისაც სულერთია“, მიუგო ოსტატმა. „აბა, ჩემო ბატონო, აგე იქ, კუთხეში, ნიჩაბი ვლია, მოკიდე ხელი და ბიჭებს ნახერხის გადაყრას მიეშველე“.

უცნობი უხმოდ შეტრიალდა. ხედავდნენ, როგორ მიხმურს ნახერხის გროვის, წამით თვალს მიეფარა, მერე ისევ გამოჩნდა ნიჩბით ხელში და მუშაობას შეუდგა. ოსტატი და მმართველი კარებში იდგნენ, მუშაობდნენ, მერე წავიდ-წამოვიდნენ. „ქრისტმასი ყოფილა გვარად“, უცნობისთვის შემობრუნებულმა ოსტატმა.

„ვინ ყოფილა?“ იკითხა ერთმა.

„ქრისტმასი“.

„უცხოელია?“

„ვინმეს გაგიგიათ, თეთრკანიანი კაცი ქრისტმასი იყოს გვარად?!“ იკითხა ოსტატმა.

„თეთრკანიანი კი არა, ეგეთი გვარი საერთოდ არ გამიგია“, თქვა სხვამ.

და თუ ბაირონს მებსიერება არ ღალატობს, მაშინ პირველად გაიფიქრა, როგორ შეიძლება კაცის გვარი, საბოლოო ჯამში, მხოლოდ და მხოლოდ ვინაობის აღმნიშვნელ გარკვეულ ბგერათა თანამიმდევრობა, მის მომავალ საქციელთა წინასწარმეტყველებად იქცეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როცა სხვებიც დროულად მოახერხებენ ფარული აზრისა და მნიშვნელობის ამოცნობას. ეგონა, თითქოს უცნობისთვის მანამდე არც არავის მიეჭტია განსაკუთრებული ყურადღება, ვიდრე მისი გვარი არ გაიგეს. მაგრამ, გვარს ყური მოჰკრეს თუ არა, ამ გვარის ღღერადობამაც მაშინვე რაღაცას მიახვედრათ, რაღაცის წინათგრძნობა გაუღვიძათ და მოლოდინი აღუძრათ; თითქოს იგრძნეს, ეს კაცი საკუთარ საბედისწერო გაფრთხილებას რომ დაატარებდა თან — როგორც ყვაველი სურნელს, ანდა ჩხრიალა გველი — საჩხრიალოს, ოღონდ ეგაა, ამ გაფრთხილების ბოლომდე მისახვედრი ჰქონდა მაინც არავის ეყო. მხოლოდ იმას ფიქრობდნენ — უცხოელიაო — და როცა ხედავდნენ, არც ყელსახვევს იხსნიდა, არც ჭუდს იხდიდა და არც ტანისამოსის გამოცვლას აპირებდა, ერთმანეთში ამბობდნენ — ეტყობა, მაგის ქვეყანაში უკრე გამოწყობილი მუშაობს ხალხიო; თუმცა, ზოგიერთები იმაზედაც დებდნენ თავს, აი ნახავთ, ამაღამ ტანსაცმელს გამოიცვლის და ხვალ დილით რომ მობრძანდება, ეს საკვირაო სამოსი აღარ ეცმევაო.

შაბათი დილაც გათენდა, დაგვიანებული მუშები, ლამის სასტვენის ჩაბერვისთანავე რომ შემორბოდნენ ფაბრიკაში, ვხადაგზა კითხულობდნენ — „აა, როგორაა საქმე?... სად არისო?“ სხვები კი უცნობისკენ უთითებდნენ. ისიც ისევ მარტო, განზე, განცალკევებით იდგა ნახერხის გროვასთან, ნიჩაბი გვერდით ეგდო, იგივე, გუშინდელი ტანსაცმელი ეცვა, ისევ ისე ამპარტავნულად დაეკოსებინა ჭუდი და სიგარეტს ეწეოდა. „ჩვენც რომ მოვედით, უკვე აქ დაგვხვდა“, ამბობდნენ ადრიაანად მოსულები. „ასევე იდგა, როგორც ახლა დგას, თითქოს წუხელ დასაძინებლად არ დაწოლილაო“.

არავის გამოლაპარაკებია, არც არავის უცდია იმასთან საუბრის გაბმა, თუმცა, ტანით ყველანი გრძნობდნენ მის არსებობას, მის ღონიერ ზურგსა (საკმაოდ რიგიანად მუშაობდა, პირქუში, გამოზომილი სიმშვიდით) და მკლავებს, ასე მოაწია შუადღემ. მაგრამ, იმ დღეს, ბაირონის გარდა, სადილი არავის მოუტანია თან, მუშები უკვე თავთავიანთ ნივთებს აგროვებდნენ, ორშაბათამდე თავისუფლები იყვნენ. ბაირონი კი მარტო შევიდა თავის სადილიანად სატუმბავ საამქროში, სადაც, ჩვეულებრივ, სადილობდნენ ხოლმე, და

იქ ჩამოჯდა. უცებ რაღაცა ძალამ უნებლიეთ ააღებინა თავი. შორიახლოს უცნობი იდგა. ბოძს მიყრდნობოდა და ეწეოდა. ბაირონი მიხვდა, მე რომ შემოვედი. ეს უკვე აქ დამხვდა და ახლა, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მორწუნს გავიდეს და მშვიდად ჭამა დამაცალოსო. ანდა, კიდევ უარესი განზრახვები დაფიქრებ შემოპყლოდა და ბაირონს ზედაც არ უყურებდა, უჭიქოდ უჭიქოდ არ აგდებდა, ვითომ ვერც ამჩნევდა საერთოდ. „რაო, ჯერ არ მინახავს?“ შრომას? კითხვა ბაირონმა.

უცნობმა ღრმა ნაფაზი დაარტყა. მერეღა გამოხედა. გამხდარი სახე ჰქონდა, ერთიანად პერგამენტისფერი. კანი კი არა, სწორედ ხორცი, თითქოს იმისი თავის ქალა ნელ-ნელა. ჯიუტი მონდომებით ჩამოუსხამთ და მერე მხურვალე ქურაში გამოუწვავთო. „ზედმეტი რომ ვიმუშაო, რამდენს გადამიხდიან?“ კითხვაზე კითხვით უპასუხა ბაირონს. აი, მაშინ კი მიხვდა ბაირონი. მიხვდა, რატომაც მუშაობდა ასე საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი, რატომ არ მოეტანა თან სადილი არამცთუ გუშინ, არამედ დღესაც და რატომ არ გაყოლოდა შუადღისას დანარჩენებს. ისე მტკიცედ იყო დარწმუნებული, თითქოს ჭრისთმასს თავისი პირით ეთქვას, ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მიჰყავის და უკვე ორი თუ სამი დღეა მხოლოდ სიგარეტით გამაქვს თავიო. გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ უკვე საკუთარ სადილს სთავაზობდა და ეს მოძრაობაც ისევე უნებლიე და გაუაზრებელი გახლდათ, როგორც ფიქრი. რადგან მოძრაობა ჯერ არ დაემთავრებინა, უწინდებურად ზანტად, დამცინავად გარინდულმა უცნობმა მისკენ თავი რომ მოაბრუნა, შეთავაზებულ სადილს ერთი კი გამოხედა სიგარეტის ირიბად წასულ ბოლში და — არა მშია, შენი სალაფავი შენთვის შეინახეო — უთხრა.

ორშაბათიც დადგა და ბაირონი საკუთარ სიმართლეში კიდევ უფრო დარწმუნდა. უცნობი სამუშაოდ ახლა უკვე ახალთახალ კომბინიზონში გამოწყობილი გამოცხადდა და თან ქალაღის პარკით სადილიც მოიტანა. ოღონდ ეგაა, შუადღისას სხვებთან ერთად არ ჩაცუცქულა სატუმბავ საამქროში და სხვებთან ერთად არ დაუწყია ჭამა, არც სახე შეცვლია. „თავი გაანებეთ“, თქვა ოსტატმა. „ბოლოს და ბოლოს, ტანსაცმლისა არ იყოს, სიმს არც მაგისი სიფათი დაუქირავებია“.

არც სიფათი და არც ენაო, გაიფიქრა ბაირონმა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ჭრისთმასი, ეტყობა, ნამდვილად ასე ფიქრობდა და ასედაც იქცეოდა. ეჭვსი თვე ისე გავიდა, ლამის კრინტი არ დაუძრავს. ერთხელაც არავისთვის გაუყადრებია თავი და არ გამოლაპარაკებია, არც ის იცოდნენ, ფაბრიკის გარეთ რას აკეთებდა, რა ცხოვრებით ცხოვრობდა. ხანდახან ფაბრიკის მუშათაგან რომელიმე ქალაქის ცენტრში, მოედნის შორიახლოს თუ გადაეყრებოდა ხოლმე შემთხვევით, ის უსათუოდ თვალს აარიდებდა და ისე დაიჭერდა თავს, ვითომ ეს კაცი მანამდე არასოდეს ენახა. სალამობით ქალაქში გამოსულს მუდამ ახალი ქუდი ეხურა და გაუთოებული შარვალი ეცვა. ტუჩის კუთხეშიც თითქმის გაუქრობლად უბოლავდა სიგარეტი და სიგარეტის ბოლიც დამცინავი ლიმილით გადაჰფენოდა სახეზე. ვერავინ იტყოდა დაბეჭითებით სად ცხოვრობდა, სად ათევდა ღამეს, ერთი ეგ იყო, ხანდახან შორიდან მოკრავდნენ ხოლმე თვალს, როგორ მიუყვებოდა ქალაქის განაპირას, ტყეში გაკვალულ ბილიკს და ფიქრობდნენ, ალბათ სადმე იქით თუ აქვს ბინაო.

ეს აღრე, თავიდან, ახლა კი უკვე სხვაც ბევრი რამ მოეხსენება ბაირონს.

მაშინ მხოლოდ ეს იცოდა, ეს ესმოდა, ამას ხედავდა და გეებულობდა ამხანაგებისგან. მაშინ არავინ უწყობდა, ზუსტად სად, რომელი ნაწილი ბინადრობდა ქრისტმასი, სინამდვილეში რას აკეთებდა და რას საქმიანობდა / ფაბრიკაში ზანგური ჰაპანწყვეტის ნიღაბსა. თუ პირბადეს ამოკრებდა, და ერთ მშვენიერ დღეს მეორე უცნობიც, ბრაუნიც რომ არ დაეცა საიდან-ღაც, ვინ იცის. იქნებ ვერც ვერასოდეს დაედგინათ სიმართლე. მას მერე კი, რაც ბრაუნი ალაპარაკდა, ბარე ათობით ეაცმა აღიარა — უკვე ორი წელი იქნება, რაც ქრისტმასისგან ჩუმ-ჩუმად ვისკის ვყიდულობთო, მოწმეების გარეშე ვხვდებით ლამიამობით ტყეში, იმ ძველი, კოლონიალური დროის პლანტატორთა სახლის უკან, სადაც შუახნის შინაბერა ქალი, მის ბარდენი ცხოვრობს მარტოდმარტოო. მაგრამ მაშინ ვისკის მუშტრებმაც კი არ იცოდნენ, რომ აგერ უკვე ორ წელზე მეტი იყო, რაც თვითონ ქრისტმასიც სანახევროდ დანგრეულ, ზანგურ ქოხში დაბინავებულიყო მის ბარდენის მამულში.

მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით ექვსი თვის წინ, ფაბრიკაში მეორე უცნობიც გამოჩნდა. ქრისტმასივით ისიც სამუშაოს დაეძებდა. ისიც ახალგაზრდა იყო, წარმოსადგეო, თავიდანვე, იმ პირველ დღესაც კომბინიზონი ეცვა, რომელიც, ეტყობოდა, კარგა ხანია არ გაეხადა და, ქრისტმასივით ისიც მსუბუქად, ზედმეტი პარგის გარეშე მოგზაურობდა. გაფაციცებული, უნებისყოფო, ლამაზი სახე ჰქონდა, ტურის კუთხესთან პატარა, თეთრი ნაიარევი აჩნდა და ეს ნაიარევი ისე გამოიყურებოდა, თითქოს კარგა ხანს, გულდასმით უთვალთვლებიათ სარკეშიო; მალიმალ თავს აიქნევდა ხოლმე და მხარს ზემოდან იცქირებოდა — მანქანით დაფეთებულ და გულგანბეჭილ ჯორსა ჰგავსო. — გაიფიქრა ბაირონმა. მაგრამ, ასე მალიმალ ზურგს უკან ცქერა მხოლოდ განგაშის ბრალიც არ უნდა ყოფილიყო; ბაირონის აზრით ახალმოსულს საკუთარი თავის რწმენისა და დაუდევრობის გამოხატვაც სურდა. თითქოს განუწყვეტლივ უმეორებდა და უმტკიცებდა ყველას, არაფერი შეგეშალოთ, მე ზურგიდან მოპარული ნამდვილი თუ წარმოსახული საფრთხე ვერაფერს დამაკლებსო. ხოლო როცა ოსტატმაც, მუნიაც ყურადღებით შეათვალთვალა ახალმოსული, ბაირონი მიხვდა, ორივეს ერთნაირმა, ერთმა და იგივე ფიქრმა გაგვიელვა თავშიო. „ჰოოო“, თქვა მუნიმ, „ამაზე უკეთესს სიმსი უკვე ველარავის დაიჭირავენ, ამას წესიერი მარვალიც არ აცვია“.

„კი, ეგრეა“, კვერი დაუკრა ბაირონმაც. „ვეუწყურებ და ერთი იმდაგვარი მანქანა მახსენდება, აღმა-დაღმა უაზროდ რომ დაქრის და რადიოჩართული არემარეს იკლებს, ღმერთმა უწყის, რადიო რას გაჰკივის, ვერც მანქანას გაუგებ ასავალ-დასავალს, ახლოს მოვა და, თურმე შიგაც არავინა მკდარა“.

„მართალი ხარ“, თქვა მუნიმ. „ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს შეჩვენებული ცხენსაც რომ ჰგავს?! ოღონდ ფიცხს კი არა, ბახ ცხენს, საძოვარზე გაშვებული შორიდან ლამაზი ჩანს, მაგრამ აღვირმომარჯვებული შიადგები და უკვე არაქათი აქვს გამოცლილი. იცოცხლე, სწრაფად კი დარბის, მაგრამ შეკაზმვის დრო რომ მოუწყევს, მოგკამა კირი, უთუოდ ფლოქვი ასტკივდება“.

„ისე, ფაშატებს კი უნდა უყვარდეთ“, თქვა ბაირონმა.

„რატომ არ ეყვარებათ?!“ დაეთანხმა მუნი. „მე შენ გეტყვი, დაუშვებთ მართლა რამეს თუ რა?“

ახალმოსულიც ქრისტმასთან ერთად მიაყენეს ნახვრზის გროვას, თავიდანვე ენად გაიკრიფა, ბაქიბუქობდა, ყველას უამბობდა ვინ იყო, საიდან მო-

სულიყო, თავს სად რა გადახდენოდა, ოღონდ ისეთნაირად და იმგვარი ხმით
ლაპარაკობდა. ერთბაშად თვალსა და ხელს შუა შიშველდებოდა ერთიანად სი-
რუითა და სიყალბით გაყდენთილი მისი ბუნება. ამიტომაც, მისი ბაქიშკის
ისევე არ დაუჯერებია არავის. როგორც მისი გვარიო, ფიქრობდა ბუნებრივ
კაცმა რომ თქვას, თავისუფლად შეიძლებოდა მართლა ბრაუნენი გულფრთხუვა
ოღონდ ეგაა, მისი შემხედვარე ნებისმიერი ადამიანი უეჭველად მიხვდებოდა
ცხოვრების გარკვეულ ეამს მისი სიბრიყვე რალაც მიჯნას რომ მისდგომო-
და და ამ მიჯნამდე მისულს გვარი იძულებით გამოეცვალა, დიდის ზარ-ზეიმით
გარდაქმნილიყო ბრაუნად და ამ გარდაქმნას ისე გაეხარებინა და აღეფრთო-
ვანებინა. ვითომ მართლა თვითონ ბრძანდებოდა ბრაუნთა გვარის მამამთა-
გარი, არადა, სინამდვილეში, არაფერიც არ შეიცვლებოდა — ექნებოდა სა-
ერთოდ გვარი თუ არა. მისი გვარიც ისევე არ აინტერესებდა არავის, რო-
გორც, ბაირონის ღრმა რწმენით, არავის (ყოველ შემთხვევაში, შარგლიანს
მაინც) ანალვლიანებდა. საიდან მოსულიყო, სად მიდიოდა, ანდა, რამდენ-
ხანს აპირებდა დარჩენას კიდევ, არავის ანალვლებდა, რადგან სადაც არ უნ-
და ეცხოვრა და საიდანაც არ უნდა მოსულიყო, მაინც ყველგან კალიასავით
სხვისი ნაჯაფართა და ნაოფლართ გაიტანდა თავს, თანაც, ეტყობოდა, იმ-
დენადაც შესჩვეოდა ამგვარ ყოფას, ერთიანად გახრწნილიყო, გამოფიტუ-
ლიყო და გამოცარიელებულიყო, აღარაფერი დარჩენილიყო მისგან გარდა გამ-
ჭვირვალე, ფუტურო ჩენჩოსი, რომელსაც სხვათა შორის, უმიზნოდ და უმი-
სამართოდ დააჩოჩიალებდა ქარი აღმა-დაღმა.

მუშაობით კი მუშაობდა, ოღონდ უგულოდ, უჯიგროდ — წელს არ იწ-
ყვეტდა, ბაირონის აზრით, იმისი შნოც არა ჰქონდა, რიგიანად, ეშმაკურად
აერიდებინა საქმისთვის თავი, ყოველ შემთხვევაში, ეცადა მაინც, რადგან
ხეირიანად ეშმაკობასაც მოხერხება უნდა, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა
საქმეს: გინდაც ჭურდობას, ანდა, სულაც, კაცის მოკვლას. ადამიანს რალაც
განსაკუთრებული და გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს; ეს მიზანი უნდა
ამოძრავებდეს და ასულდგმულებდეს. ბაირონის ღრმა რწმენით კი, ბრაუნს
არავითარი მიზანი არ გააჩნდა. ვილაცამ რომ ამბავი მოიტანა, ბრაუნმა პირ-
ველივე შაბათ საღამოს მთელი კვირის გასამრჯელო ყომარში წააგო, მუნა-
სტობრა: მაგისი გამკვირვებია, მე მეგონა, კამათლის გაგორება მაინც ეცოდი-
ნებოდაო.

„ვისა, მაგას?“ შეიცხადა მუნიმ. „ბიჭო მაგას ნიჩაბი უვარდება ხელი-
დან და კამათელს გააგორებს ხეირიანად? აქ ვერ მოუტყუებია ვერავინ და
ზარში აჯობებს ვინმეს?“ მერე, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, დაუმატა,
„თუმცა, რაც არ უნდა უმაქნისი იყოს კაცი, ვილაცას რალაცაში მაინც აჯო-
ბებს, ეგეც ხომ ჯობნის უსაქმურობაში ქრისტმასს“.

„ჰო.“ კვერი დაუკრა ბაირონმაც, „მე გონი, უქნარა კაცისთვის ყველა-
ზე იოლი საქმე კაი ბიჭობაა“.

„ნუ გეშინია“, თქვა მუნიმ. „მალე გაფუჭდება, ერთხელ უნდა ასწავლოს
ვინმემ გზა და მორჩა“

„ადრე თუ გვიან მასწავლებელიც გამოუჩნდება“, მიუგო ბაირონმა. მე-
რე ორივემ ერთდროულად გახედა ნახერხის გროვას, სადაც ქრისტმასი და
ბრაუნი ჯახირობდნენ — ერთი, პირქუში და ბრაზიანი სიჭიუტით, მეორე
კი — უაზრო და უთაუბლო ფაციფუციტ, რისიც თვითონვე არა სჯეროდა.

„ჰო, ალბათ ეგრე იქნება“, თქვა მუნიმ. „ოღონდ, მე რომ გულში ავი-

ზრახვა მედოს, ღმერთმანი, ეგეთი ამხანაგისგან შორს დავიჭერდი თავს“.

ფაბრიკაში რომ მოვიდა პირველად, ქრისტმასისა არ იყო, ბრაუნსაც თავისი ერთადერთი ხელი ტანსაცმელი ეცვა. მაგრამ, ქრისტმასისგან განსხვავებით, ტანსაცმელი კარგა ხანს არ გამოუცვლია. ქრისტმასი მშვენიერ შაბათსაღამოს იმდენს მოიგებს ყოფარში, ახალი კოსტუმის — სპეციალური და ცეცხლი და ორმოცდაათიოდე ცენტრც დარჩება ჯიბის ფულად“. თქვა მუნიმ. „მომდევნო ორშაბათიდან კი მაგისი ბურღლაც აღარ იქნება აქ“. ბრაუნი კი ისევ ძველებურად დადიოდა სამუშაოზე, იგივე კომბინიზონი და პერანგი ეცვარა ცეცხერსონში ჩამოსვლისას, შაბათობითაც ისევ ყოფარში აგებდა მთელი კვირის გასამრჯელოს, ცოტ-ცოტას, შეიძლება, იგებდა კიდევ — მოგებასად და წაგებასაც ერთნაირი, ბრიყვეული შეძახილებითა და ხორხოცით აღნიშნავდა: სწორედ იმ ხალხს ეხუმრებოდა და ელაზღანდარავებოდა, ვინც, ექვთარაა, უსინდისოდ და დაუნანებლად ყვლეფდნენ და ატყავებდნენ. და აი, ერთ დღეს ხმა გავარდა — ბრაუნს სამოცი დოლარი მოუგიაო. „მორჩა, ჩვენს ბრაუნს ვეღარ ვიხილავთ“, თქვა ერთ-ერთმა მუშამ.

„აბა, რა გითხრათ“, მიუგო მუნიმ. „სამოცი დოლარი ის თანხა არაა, აი, ათი რომ ყოფილიყო, ან ხუთასი, მაშინ სხვაა. ახლა კი, ალბათ მხოლოდ იმას თუ იგრძნობს, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, კარგად მოვეწყვეო. აღჩუზე დამიჯდა კოჭი და ერთბაშად იმდენი ფული ჩავიჭიბე, რასაც მთელი კვირის ჭაბან-წყვეტაში მიხდიანო“. მართლაც, ორშაბათ დილას ისევ ძველებურად გამოცხადდა სამუშაოდ — კომბინიზონში გამოწყობილი; ორივე, ბრაუნიცა და ქრისტმასიც, ძველებურად ერთად იდგნენ ნახერხის გროვასთან. ამ ორ განუყრელ მეგობარს ბრაუნის გამოჩენის დღიდან რაღაც სხვანაირად აკვირდებოდნენ და უთვალთვალეზდნენ ყველანი: ქრისტმასი ნიჩაბს აუჩქარებლად, დინჯად, ბოლომდე არქობდა ხოლმე ნახერხში, თითქოს იქ ჩამალულ გველს (ანდა კაცსო — ამბობდა მუნი) აქუცმაცებდა, ბრაუნი კი, ნიჩაბზე ჩამოყრდნობილი, რაღაცა ამბავსა თუ ანეგდოტს უამბობდა, ალბათ ანეგდოტს, რადგან უცებ თვითონვე გადაიხარხარებდა. უკან თავგადაგდებულ აქიხვინდებოდა, ქრისტმასი კი უწინდელი, თავისებური უჩუმარი და გაუნელებელი სისასტიკით აგრძელებდა მუშაობას. მერე ბრაუნიც მიუბრუნდებოდა საქმეს, ცოტა ხანს ამხანაგს აპყვებოდა, მაგრამ თანდათან სულ უფრო და უფრო ზანტად ირჩებოდა, ძალაც ელეოდა და ხალისიც და ბოლოს უკვე ტყუილუბრალოდ, ზრდილობისთვისა ურევდა ნიჩაბს ნახერხში. ბოლოს ისევ ნიჩბის ტარს ჩამოყრდნობოდა და, ეტყობა, ადრევე დაწყებულ ამბავს აგრძელებდა, იმის გასაგონად, ვისაც თითქოს საერთოდ არც ესმოდა მისი ხმა. გინდაც ერთი მილის იქედან უყვიროდეს, ანდა უცხო, უცნობ ენაზე ელაპარაკებოდესო — ფიქრობდა ბაირონი. ზოგჯერ, შაბათობით, საღამო უამს. ქალაქის ცენტრშიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე ერთად: ქრისტმასს თავისი კოხტა, სადა და უბრალო სარჯის შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა, თავზე ჩალის ქუდი ეხურა, ბრაუნიც ახალ სამოსელში გამოწყობილიყო (მოყვითალო-მოყავისფრო, წითელზოლებიანი კოსტუმი და ფერადი პერანგი ჩაეცვა, ქუდი კი იმასაც ჩალის ეხურა, ქრისტმასისივით, ოღონდ ფერადლენტიანი). ყბედობდა და ხორხოცობდა, მოედნის გადაღმაც კარგად ისმოდა მისი ხმა, ექოსავით ბრუნდებოდა უკან და რაღაცით იმ უაზრო ხმას აჰგავდა, თითქოს ყოველი მხრიდან ერთდროულად რომ ისმის ხოლმე ეკლესიაში. თითქოს ერთადერთი მიზანილა ამოძრავებს, ყველას დაანახოს, რო-

გორი განუყრელი ძმაკაცები არიან ისა და ქრისტმასიო — ფიქრობდა ბაირონი. მერე, ქრისტმასი შებრუნდებოდა და პირქუში, პირგამეხებული გაეცლებოდა იმ მცირერიცხოვან წრეს, ბრაუნის როყო ხმა რომ შემოიკრებდა ხოლმე ირგვლივ, ისიც ფეხდაფეხ აედევნებოდა, თან კვლავინდებურად იტყინოდა და ქაქანებდა. მუშები სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ, „ბრაუნო, ორშაბათიდან ეგ სამუშაოდ აღარ მოვაო“, მაგრამ ბრაუნი ყოველდღე მუშაობდა ცხადდებოდა. პირველმა ქრისტმასმა დაუკრათ თავი.

ერთ შაბათ საღამოს წავიდა, გაუფრთხილებლად, ფაბრიკაში თითქმის სამი წლის მუშაობის შემდეგ. ბრაუნმა გააგებინათ — ქრისტმასმა სამუშაოს თავი გაანებაო. მუშათაგან ბევრნი ოჯახის პატრონები იყვნენ, უცოლოებიც ერივნენ და ეს სხვადასხვა ასაკის ხალხი უალრესად სხვადასხვაგვარი ცხოვრებითაც ცხოვრობდა. თუმცა, ორშაბათ დილას ყველა ერთნაირი სიღინჯით, სიამაყითაც კი გამოდიოდა სამუშაოდ, ახალგაზრდა მუშები შაბათ საღამოს სვამდნენ ან თამაშობდნენ, ზოგჯერ მემფისშიაც დაიარებოდნენ, ოღონდ, ყოველ ორშაბათ დილას მშვიდად, ფხიზლად უბრუნდებოდნენ საქმეს, სუფთა კომბინიზონებსა და სუფთა პერანგებში გამოწყობილნი, წყნარად ელოდნენ როდის ჩაჰბერავდნენ სასტვენს და მერე აუჩქარებლად შეუდგებოდნენ ხოლმე მუშაობას, თითქოს გატრუნულ პაერში ჯერ ისევ იგრძნობოდა ნაშთი გასული უქმე დღისა, რომელიც ერთ აზრს ამკვადრებდა მხოლოდ — როგორც არ უნდა გაატაროს კაცმა კვირა დღე, სულერთია, ორშაბათ დილას მაინც წესისამებრ მშვიდი და სუფთა უნდა გამოცხადდეს სამუშაოდ.

ბრაუნისაც ეს ეხამუშებოდათ სწორედ, რადგან ორშაბათობითაც, ჩვეულებრივ, იგივე ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა, რაც წინა კვირას, ლოყებზეც შავი ჯაგარი მოსდებოდა, თითქოს მის დღეში სამართებელი არ მიჰკარებიაო. თან ორშაბათობით უფრო ხმაურიანიც იყო, ვიდრე სხვა დროს, ათი წლის ბავშვივით ცელქობდა და იკლებდა იქაურობას, რაც ჭკუადამჯდარ ხალხს, რა თქმა უნდა, ვერაფრად ეპიტნაევებოდა. გინდაც მთვრალი მოსულიყოს, ანდა დედიშობილა. მოკლედ, სწორედ ბრაუნმა ამცნოთ ქრისტმასის წასვლა იმ დღეს თვითონაც გვიან გამოცხადდა, ოღონდ ეს არ იყო მთავარი, არც წვერი გაეპარსა, თუმც არც ეს გაჰკვირვებია ვინმეს; თითქოს ენა გადაეყლაპა. ვერც გაიგეს მისი მოსვლა, ისე შემოიძურწა ფაბრიკაში. ის ბრაუნი, ვისაც ამ დროისათვის უკვე ნახევარი ფაბრიკა ლანძღავდა და აგინებდა ხოლმე, ბევრი — მთელი გულითა და სულითაც. ზუსტად სასტვენის ჩაბერვისთანავე გამოჩნდა და უხმოდ და უსიტყვოდ, პირდაპირ ნახერხის გროვას მიაშურა, მუშაობას ისე შეუდგა, სიტყვა არ დასცდენია, მაშინაც არ დაუძრავს კრინტი, როცა ვილაც გამოელაპარაკა. მერეღა შეამჩნიეს, მარტო რომ იყო, უამხანაგოდ, ქრისტმასი აღარ ედგა გვერდით, ოსტატი რომ მოვიდა, ვილაცამ უთხრა: „გეტყობა, ცეცხლფარეშის ერთი შეგირდი დაგიკარგავსო“.

მუნიმ ბრაუნს გახედა, რომელიც უჩიგროდ უცაცუნებდა ნიჩაბს ნახერხის გროვას, თითქოს კვერცხებია და შიშობს, არ დავამტვრიოო — და ბრაზიანად გააწიტა. „აბა რა გგონიათ?! ეგრე იცის უცბათ გამდიდრებამ, აქაური გროშები რალას დააკმაყოფილებს“.

„გამდიდრდაო?“ იკითხა ვილაცამ.

„ერთ-ერთი უეჭველად“, თქვა მუნიმ, თან ისევ ბრაუნს გასცქეროდა. „გუშინ დავინახე, როგორ დაჭროდნენ ახალი მანქანით, ეგ ვაჟბატონი“, — ბრა-

უნისკენ გადაიქნია თავი. — „საჭეს მისჯდომოდა. მაგრამ, მე ის უფრო მიკვირს, ერთ-ერთი შაინც რომ მობრძანდა დღეს სამუშაოდ“.

„ჩვენს დროში სიმსს შემცვლელის პოვნა არ გაუჭირდება“ — თქვა ვილაცამ.

„ნუ გეშინია. არც სხვა დროს დაადგება გასაჭირი“ — მუნიმ.

„ისე, მეგონა, ბედის მადლიერია-მეთქი“ — ბიზლიჩისეკა

„შენ რა, ქრისტმასზე კლაბარაკობ?“ კითხა მუნიმ.

„აბა, შენ ვისზე ამბობდი? რაო, ბრაუნმაც თავს ეანებებ მუშაობასო?“

„აბა როგორ გეგონა? სანამ ქრისტმასი იმ ახალი მანქანით აღმა-დაღმა იგრილებს, ეგ აქ მოიწყვეტს წელს?“

„პოოო“, ახლა მეორემაც ბრაუნს გახედა. „ისე, ჩვენში დარჩეს და მანქანა სად იშოვეს?“

„სულაც არ მაინტერესებს“. თქვა მუნიმ. „მე იმას ვფიქრობ, შუადღისას დაგვემშვიდობება თუ დღის ბოლომდე შაინც გაძლებს“.

„მე რომ აქ მანქანის ფული მომეგროვებინა“, თქვა ბაირონმა. „ერთ წუთსაც აღარ გავჩერდებოდი“.

ვილაც-ვილაცებმა ბაირონს გადმოხედეს. ჩაელიმათ კიდეც. „აქ არავინ გამდიდრებულა“, თქვა ერთმა. ბაირონმა გაკვირვებით შეავლო თვალი. „ბაირონს ყოველგვარი სიბილწისგან იმდენად შორს უჭირავს თავი, ცხოვრებასაც ჩამორჩა“. თქვა ახლა სხვამ. უკვე ყველამ ბაირონს მიაპყრო მზერა. „ბრაუნი ხომ, ასე ვთქვათ, საზოგადოების მსახურია, ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი. ადრე თუ ქრისტმასს ლამლამობით ტყეში, მის ბარდენის მამულში დაჰყავდა მუშტრები, ბრაუნს ახლა პირდაპირ ქალაქში მოაქვს საქონელი, ამბობენ, დათქმული სიტყვა თუ იცი, შაბათ საღამოს პირდაპირ პერანგის უბიდან ამოგიძვრენს ერთ პინტ ვისკის და ხეივანშივე მოგყიდისო“.

„რა სიტყვაა ეგეთი?“ იკითხა ვილაცამ. „ხუთჯერ თხუთმეტი ცენტი?“

ბაირონი ხან ერთს შეხედავდა გაკვირვებით, ხან მეორეს. „ეგ მართალია? მართლა მაგ საქმეს მისდევენ?“

„მაგ საქმეს ბრაუნი მისდევს. ქრისტმასისა რა მოგახსენო, თუმცა, დაფიცებით ვერც იმას დავუფიცებ. ისე, საცა ქრისტმასი, იქაც ბრაუნი. ხომ გაგიგიათ — ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“.

„ეგრეა“, კვერი დაუკრა მეორემ. „ქრისტმასისას ჩვენ ვერაფერს გავიგებთ, ეგ ბრაუნივით შარვალჩახდილი არ დაიწყებს ქუჩა-ქუჩა წანწილს“.

„არც დასჭირდება“. თქვა მუნიმ. თან ბრაუნს არ აშორებდა თვალს.

მუნი მართალი იყო. შუადღემდე აკვირდებოდნენ, როგორ ცოდვილობდა ბრაუნი მარტოკა ნახერხის გროვასთან. მერე სასტვენის ხმა გაისმა, ყველამ თავთავისი სადილი ამოალაგა, სატუმბავ საამქროს მიაშურეს, იქ ჩაცუცქდნენ და ჭამას შეუდგნენ. ბრაუნიც იქ შევიდა. მოლუშული, ერთ-დროულად გაბრაზებული და გაბუტული სახე ედო, ბავშვივით. სხვების გვერდით ჩაცუცქდა და ხელები მუხლებს შორის ჩაჰკიდა. საჭმელი არ მოეტანა თან.

„ჭამას არ აპირებ?“ კითხა ერთმა.

„რისას? აქოთებულო სალაფავისას?“ შეულრინა ბრაუნმა. „ალიონიდან მოყოლებული ბინძური ზანგივით იწყებო კაცი წელს, რაღაც ერთი საათი ისვენებ შუადღისას და მაშინაც სალაფავი უნდა თქვლიდო რკინის ვედროდან“.

„არ ვიცი. ზოგს იქნება მართლა ზანგებისგანა აქვს შრომა ნასწავლი სადმე“, თქვა მუნიმ. „ოღონდ, აქ რომ ზოგი თეთრკანიანი მუშაობს, ისეთი მუშაობისთვის ზანგს შუადღემდე ამოარტყამდნენ ჭიტლაყს და კინწისკვრით გააგდებდნენ“.

მაგრამ, ბრაუნს, ეტყობა, არაფერი ეყურებოდა. ეტყობა, არც უგდებდნენ ყურს. უწინდებურად ჩაცუცქულიყო და, პირგამეხებულს, ხელეშემ უტრნობდა ჩაეკიდა. თითქოს მხოლოდ საკუთარ ფიქრში ჩანთქმული, მოსმენითაც საკუთარ თავს უსმენდა.

„ბრიყვი, ბრიყვი თუ იზამს ამას“.

„შენ მაგ ნიჩაბზე არავის მიუბიხარ“, უთხრა მუნიმ.

„სწორია, არ მივუბივარ“, თქვა ბრაუნმა.

მერე ისევ გაისმა სასტვენის ხმა. ყველა სამუშაოს მიუბრუნდა. თან ნახერხის გროვისკენ, ბრაუნისკენ ეჭირათ თვალი. თავიდან, ერთი პირობა, ვითომ გულიანად იქნევდა ნიჩაბს. მაგრამ მალევე აუცრუვდა გული, ნელ-ნელა მოდუნდა, ბოლოს სულაც მათრახივით ჩაბღუჯა ცალი ხელით ნიჩბის ტარი და თან თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა.

„აბა სხვას ვის დაელაპარაკება“, თქვა ერთ-ერთმა მუშამ.

„არა; აქ სხვა ამბავია“, მიუგო მუნიმ. „ჯერ კარგად ვერ დაირწმუნა თავი, ჯერ ბოლომდე არა სჯერა“.

„რა არა სჯერა?“

„რა და, უფრო დიდი ბრიყვი რომაა, ვიდრე მე მგონია“, თქვა მუნიმ.

მეორე დილას ბრაუნი აღარ გამოჩენილა. „მორჩა, დღეის ამას იქით მიგის მისამართი სადალაქოა“, თქვა ერთმა.

„ანდა სადალაქოს უკან რომ ხეივანია“, დაუმატა მეორემ.

„მე კი მგონია, ერთხელ კიდევ მოგვეჩვენება“, თქვა მუნიმ. „გუშინდელი ნამუშევარი ხომ უნდა აინახლაუროს?“

ასეც მოხდა. დაახლოებით თერთმეტ საათზე მოვიდა. ახალი კოსტიუმი ეცვა და ხალის ქუდი ეხურა, ფარდულთან გაჩერდა, იქ იდგა და იქიდან ადევნებდა მუშებს თვალს. სწორედ ისე, როგორც ქრისტმასი იმ პირველ დღეს, სამი წლის წინათ, გეგონებოდა. რალაც ძალის წყალობით, ოსტატის ძველი პოზა, უნებურად, მეტისმეტად ბეჭითი და ალლოიანი შეგირდის დამყოლ კუნთებს გადასცემიაო. ოღონდ ეგაა, ბრაუნი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდა მოთენთილი და ამპარტავნული იერი მიეღო, მაშინ როცა ოსტატი მართლა გოროზად, მშვიდად და ფატალურად გამოიყურებოდა — გველივით. „ჰა, მიდით, მოიწყვიტეთ წელი, ნაბიჭვარო მონებო!“ მზიარულად, ხმამაღლა გამოსძახათ კბილებგადმოყრილმა.

მუნიმ ბრაუნს გახედა. იმანაც მაშინვე მომუწა პირი.

„მე მითხარი რამე?“ ჰკითხა მუნიმ.

ბრაუნს წამსვე, თვალის დახამხამებაში შეეცვალა მოუსვენარი, კვიმატი სახე, ამგვარი ცვლილებების მომსწრე ადრეც არა ერთხელ გამხდარან მუშები და უკვე ყველანი კარგადაც შესჩვეოდნენ. თითქოს თავისი მოღვენთილ-მორღვეული სახის წამდაუწუმ შეცვლა ბრაუნისთვისაც კი მეტისმეტად იოლი საქმე იყოსო — ფიქრობდა ხოლმე ბაირონი. „არა, შენთვის არაფერი მითქვამს“, უპასუხა ბრაუნმა.

„ეჭვიც არ მეპარება“, მუნი საკმაოდ მშვიდი, დათათლული ხმით ელაპარაკებოდა. „მაშ, ნაბიჭვრები ამ ბიჭებს უწოდებ, არა?“

„იქნებ მე?!“ ჰკითხა ვიღაცამ.

„არა, ჩემს თავს ველაპარაკებოდით“, თქვა ბრაუნმა.

„აგაშენა ღმერთმა, ძლივს ერთხელ მაინც არ დაგცდა წმინდა წყლის სიმართლე“, თქვა მუნიმ. „სიმართლის ნახევარი, გენჯიუხუნუქუნდ მოვიდეს და მეორე ნახევარიც ჩაგჩურჩულო ყურში?“

ის დღე იყო და ის, ფაბრიკაში ბრაუნი აღარავის უნახავს, თუმცა, ბაირონს ის ახალი მანქანაც კარგად ახსოვს (ცალი თუ ორივე ფრთა უკვე მაშინაც შეჭეჭყილი ჰქონდა). უაზროდ, უმისამართოდ, გულისგამაწვრილებლად რომ დაქროდა ქალაქში, საქვსთან გადათხლავს ბრაუნს კი, მიუხედავად მთელი მისი მცდელობისა, სრულებითაც არაფერი ეტყობოდა შესაშური, სულ არ ჰგავდა ლალსა და უღარდელ კაცს. ხანდახან მანქანაში ქრისტმასსაც ხედავდნენ, თუმცა იშვიათად. ახლა უკვე მათი საქმიანობაც აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. უკვე მთელი ქალაქის ყმაწვილკაცობასა და ბიჭბუჭობასა აქვს სალაპარაკოდ გამხდარი, როგორ ყიდის ბრაუნი ვისკის დაუფარავად და ყველა იმასლა ელოდება, როდის გაეგებება მახეში, როდის ამოუშვრენს საწვიმრის უბიდან და როდის შესთავაზებს ბოთლს გადაცემულ პოლიციელს. გადაჭრით ჭერ ვერავინ იტყვის, ქრისტმასიც გარეულია თუ არა ამ საქმეში, ოღონდ ეგაა, არავის სჯერა, ბრაუნს დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად რომ შეუძლია ბუტლეგერობით გამდიდრება და აშენება; ზოგი იმასაც ვარაუდობს, თუთქოს ქრისტმასი და ბრაუნი ერთად ცხოვრობენ მიტოვებულ ქონში, ბარდენების კარ-მიდამოში, თუმცა ვერც ისინი იტყვიან, მის ბარდენსაც მოეხსენება ეს ამბავი თუ არა, დარწმუნებულნიც რომ იყვნენ თავიანთი ვარაუდის სისწორეში, ქალს მაინც არამც და არამც არ გაუმხელდნენ არაფერს. მის ბარდენი, შუახნის ქალი, მარტოდმარტო ცხოვრობს თავის დიდ სახლში, ამ სახლში ცხოვრობს დაბადებიდან და ჭერ მაინც ყველასათვის უცხოა, უცხოელია. — მისიანები რეკონსტრუქციის დროს გადმოსახლდნენ ჩრდილოეთიდან და ამ ზანგების გულშემატკივარ იანკიზე დღემდე არ წყდება ქალაქში მითქმა-მოთქმა. დღემდე ყველას სალაპარაკოდ აქვს გამხდარი მისი უცნაური ურთიერთობა ქალაქელ თუ ქალაქის ახლომახლო მცხოვრებ ზანგებთან, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე სამოცი წელი გავიდა მას მერე, რაც მის ბაბუასა და ძმას ქალაქის მოედანზე, დღისით, მზისით, გამოუყვანა წირვა ერთმა ყოფილმა მონათმფლობელმა, საჯაროდ და ახალა ორივეს ტყვია შტატის არჩევნებში ზანგების მონაწილეობის მოთხოვნის გამო, დრო კი გავიდა. მაგრამ რაღაც საბედისწერო დალი ჭერაც ატყვიათ ქალსაც და მამულსაც: ბნელი, უცხო, შიშის მომგვრელი; თუმცა მხოლოდ და მხოლოდ მარტოხელა ქალია, მხოლოდ და მხოლოდ შთამომავალია იმ ხალხისა, ვისიც სიკვდილივით უნდა შინებოდნენ, ვის მოსასპობადაც თავი არ უნდა დაეზოგათ ქალაქის დამაარსებლებს (ასე სჯეროდათ, ასე სწამდათ თვითონ). მაგრამ ის მაინც არსებობს: დაუძინებელ მტერთა შთამომავლობა, მათი აჩრდილების ურთიერთობა და მათი ერთმანეთისგან გამყოფი, ერთმანეთისგან გამმიჯნავი მარადიული ჩვენება დაღვრილი სისბლისა, სისასტიკისა, რისხვისა და შიშისა.

თუკი სიყვარული ოდესმე განუცდია კიდევ, მისი შემხედვარე კაციც და ქალიც ერთნაირად იტყვის ახლა — ბაირონ ბანჩს ეს გრძნობა სამუდამოდ დავიწყებიაო, ანდა, უფრო სწორად, მას (ანუ სიყვარულს) დავიწყებია ბაი-

რონით — ეს ჩია, ოცდაათს გადაცილებული კაცი, კვირაში ექვს დღეს, აგერ უკვე მეშვიდე წელიწადია, სარანდავ ფაბრიკაში რომ ატარებს, ფიცრით ამარაგებს ჩარხს და შაბათობით, ნაშუადღევსაც იქაა ხოლმე, როცა სხვა მუშები უკვე ქალაქში არიან გაკრეფილნი, საკვირაო სამოსი აცვიათ, ყელსახვევები უკეთიათ და იმ ხალხის შემადრწუნებელ, უაზრო და მოუსვენარ ფსაქმურებს ბას მისცემიან, მძიმე ჯაფით რომ ქამს პურს.

ამ შაბათსაც გარანდულ ფიცრებს აწყობს სატვირთო ვაგონებზე, რაკი სარანდავ ჩარხს მარტო ვერ აამუშავენს, და თვითონვე აღრიცხავს საკუთარ სამუშაო დროს, უკანასკნელ წამამდე, წარმოსახული სასტვენის ხმამდე. სხვა მუშები და ქალაქი. უფრო სწორად, ქალაქის ნაწილი, რომელსაც ბაირონის არსებობა ახსოვს და რომელიც ბაირონზე ფიქრობს, დარწმუნებულია, დამატებითი გასამრჯელოს გამო იქცევა ასეო. შეიძლება მართლაც ესაა მიზეზი. კაცმა ხომ ძალიან ცოტა რამ იცის თავის მოყვასზე. მისი თვალსაზრისით, ნებისმიერი სხვა კაცი თუ ქალი მხოლოდ იმ გულის კარნახით მოქმედებს და ხელმძღვანელობს, თვითონაც რომ აპყვებოდა, თუკი გაბრიყვდებოდა და იმ ნებისმიერი სხვა კაცისა თუ ქალის საქმეს მოჰკიდებდა ხელს, იმის გზას დაადგებოდა. სინამდვილეში კი, მთელ ქალაქში მარტო ერთადერთ ადამიანს შეუძლია მეტ-ნაკლები სიმართლით ილაპარაკოს ბაირონის ასავალ-დასავალზე, არადა, ბაირონს მასთან რაიმე ურთიერთობა თუ აკავშირებს, ქალაქმა არაფერი უწყის, რადგანაც მხოლოდ ლამლამობით ხედებიან ერთმანეთს და ლამლამობით საუბრობენ ხოლმე. ამ კაცის გვარი ჰაითაუერია. ოცდახუთი წლის წინ ის ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება, ყველაზე მთავარი ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ, ახლა კი მხოლოდ მას მოეხსენება, სად მიდის ყოველ შაბათ საღამოს ბანჩი, როცა წარმოსახულ სასტვენს ჩაბერავენ ხოლმე, უფრო სწორად კი, როცა ბანჩის ვეებერთელა ვერცხლის საათი ამცნობს პატრონს — სასტვენს ჩაბერესო. მისის ბიარდმა, ვის ბანსიონშიც ცხოვრობს ბაირონი, მარტო ის იცის, ყოველ შაბათს, ექვსის მერე, ბანჩი შინ რომ ბრუნდება, ხელ-პირს იბანს, ტანისამოსს იცვლის — სარკის იაფფასიან, არცთუ ისე ახალ კოსტიუმს იცვამს — ვახშმობს, მერე ჯორს კაზმავს, რომელიც სახლის უკან, თავისივე ხელით შეკოწიწებულ და გადახურულ ფარდულში დვას, და სადღაც მიემგზავრება. სად და რატომ, მისის ბიარდი ვერაფერს იტყვის. მხოლოდ მღვდელი ჰაითაუერისთვისაა ცნობილი, რომ ბანჩი ოცდაათ მილს გაივლის ჯორით და მთელ კვირა დღეს ერთ პატარა სოფლის ეკლესიაში გაატარებს. სადაც მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობს. მერე, დაახლოებით შუალამისას, ისევ შეკაზმავს თავის ჯორს და ახლა ჯეფერსონისაკენ გამოუყვება გზას, მთელი ღამე იჩაქჩაქებს და ორშაბათ დილას, სასტვენის ჩაბერვამდე, სუფთა კომბინიზონსა და სუფთა პერანგში გამოწყობილი, უკვე ფაბრიკაშია. უკვე მზადაა სამუშაოდ. მისის ბიარდი მხოლოდ იმას ამჩნევს, შაბათს ვახშმობიდან ორშაბათ დილას საუზმობამდე ბაირონის ოთახიცა და ჯორის სახელდახელოდ შეკოწიწებული თავლაც ერთთავად ცარიელი რომაა. მარტო ჰაითაუერს შეუძლია თქვას, სად დადის ბაირონი და რას აკეთებს იქ, რადგან კვირაში ორჯერ თუ სამჯერ, ლამლამობით, ბანჩი იმის პატარა, ჩაყამებულ, უშნო, უემურ სახლსაც ესტუმრება ხოლმე, სადაც მღვდლადყოფილი მარტოდმარტო ცხოვრობს ახლა, ქალაქის აზრით, საკუთარი სირცხვილის ანაბარა დარჩენილი. მღვდლის კაბინეტში დასხდებიან ხოლმე და ხმადაბლა საუბრობენ: კაფანდარა, ჩია კაცი, აზრადაც რომ არა

აქვს, ამხანაგების თვალში საიდუმლოებით მოცულ პიროვნებად თუ ქცეულ და ორმოცდაათი წლის თავისივე ეკლესიის მიერ მოკვეთილი განდევნილი.

და აი, ბაირონის გულშიც გაიღვიძა სიყვარულმა, მაინც გაიღვიძა, მიუხედავად მკაცრი, ეჭვიანი, სოფლური აღზრდის შეგონებისა, სიყვარულის საგნის ფიზიკურ ხელშეუხებლობას გულისხმობს, უმჯობესეს შემადღვევად ბაირონი მარტოა ფაბრიკაში, ორი მილის იქით სახლში მუშაობის, ყველელი კვამლი სწორად, მონუმენტივით აღმართულა პორიზონტზე. კვამლი წელანაც დაინახეს, შუადღემდე, როცა პირველად ასცდა ხეებს, სანამ სასტვენს ჩაბერავდნენ და მუშები წავიდ-წამოვიდნენ. დღეს ალბათ ბაირონიც ადრინად წამოვა, მუქთად რომ უცქიროს ცეცხლსო — თქვეს მუშებმა.

„დიდი ცეცხლი კია, ხო იცი“, თქვა ვილაკამ. „ნეტა რა უნდა იწვოდეს, იმ მხარეში ბარდენების სახლის მეტმა რამ უნდა აუშვას ამოდენა ბოლი?“

„იქნება ბარდენის სახლიც იწვის“, თქვა სხვამ. „მამაჩემი ამბობს, ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინ ლაპარაკობდა თურმე ხალხი, ეგ სახლი აუცილებლად უნდა დაიწვას და ცოტაოდენი ადამიანის ქონიც არ აწყყენს ცეცხლის გასაღვივებლადო“.

„ვინ იცის, სულაც მამაშენმა წაუკიდა იქაურობას ცეცხლი“, იხუმრა მესამემ. ყველამ გაიცინა, მერე ისევ სამუშაოს მიუბრუნდნენ და სასტვენის მოლოდინში, ხანდახან ისევ გაბნედავდნენ ხოლმე კვამლს. ეზოში მორებით დატვირთული მანქანა შემოვიდა. ქალაქზე გამოვევლო და მძლოლსაც ჰკითხეს ამბავი.

„ბარდენიო?“ თქვა მძლოლმა. „კი. ეგ გვარი თქვეს. ისიცა თქვეს, შერიფიც იქეთ გაეშურაო“.

„რა ვუყოთ მერე, უატ ქენედისაც ხომ უყვარს ხანძრის ცქერა?!“ თქვა ვილაკამ. „თანაც თავის სამკერდე ნიშანსაც გამოამზეურებს“.

„ისე, თქვენი დაცარიელებული მოედნის შემხედვარეს ქალქში მართლა არ გამოუჩნდება საქმე“, მიუგო მძლოლმა. „იქ კი ვინმეს პოვნა და დატერა თუ უნდა, ნამდვილად არ გაუჭირდება“.

ამასობაში შუადღის სასტვენსაც ჩაბერეს. ყველა წავიდა. ბაირონმა ისადილა, ჰამის დროს ვერცხლის საათი ხუფახდილი ედო გვერდით. პირველი რომ შესრულდა, საქმეს მიუბრუნდა. მარტო იყო საწყობში, დინჯად და გაუთავებლად მიდი-მოდიოდა საწყობსა და სატვირთო ვაგონს შორის, ბეჭებზე კანაფის გაკეცილი ტომარა დაეფინა, ამ ტომარაზე იდებდა ფიცარს, იმდენს იდებდა, მართლა საკვირველი იყო, ეს ჩია კაცი ამოდენა ტვირთს როგორ ერეოდა; და აი, სწორედ ამ დროს საწყობის უკან კარებში ღინა გროვიც გამოჩნდება, გაცისკროვნებული, გასალიმებლად გამზადებული, ტუჩებიც უკვე სახელის დასაძახებლად მოუმრგვალებია. ბაირონი ფეხის ხმაზე ტრიალდება და ხედავს ნელა-ნელა როგორ ჩაუჭრება ქალს სახე, თითქოს გუბეში ნასროლი ქვით წამით აფორიაქებული წყალი ისევ ხელახლა ჩაწყნარდაო.

„თქვენ რომ ის არა ხართ?!“ ამბობს პირზე ღიმილშეციებული, ბავშვივით სევდიანად გაოცებული.

„ალბათ არ ვარ, ქალბატონო“, პასუხობს ბაირონიც. მერე ცოტა ხანს ჩუმდება, ქალისკენ სანახევროდ შებრუნებული, და მხარზე ფიცრების გაწონასწორებას ცდილობს. „ოღონდ, ისიც მითხარით, ვინ არა ვარ?“

„ლუკას ბარჩი. ასე მითხრეს...“

„ლუკას ბარჩი?“

„ფაბრიკაში იპოვიო“. ქალი რალაცნაირი მშვიდი ეჭვით დაპარაკობს, თვალისდაუხამხამებლად შესცქერის ბაირონს, თითქოს დარწმუნებულია, ეს კაცი ჩემს გაცურებას ცდილობსო. „როცა ქალაქს მოვუახლოვდი, ბაირონი მაგვირად ყველანი ბანჩს ამბობდნენ, მაგრამ მეგონა, უბრალოდ ეშლებათ მეთქი. ან მე მესმის-მეთქი შეცდომით“.

„ღიან, ქალბატონო“, ამბობს ბაირონი. „სწორედ ასეა: ბანჩი“ მნარზე ჯერ ისევ ფიცრების გაწონასწორებას ცდილობდა და თან ქალს შესცქერის, მის დამრგვალებულ სხეულს, მსხვილ თეძოებს, მძიმე, კაცის ფეხსაცმელებზე დადებულ წითელ შტვერს. „თქვენ ქალბატონი ბარჩი ბრძანდებით?“

ქალი მაშინვე არ პასუხობს. კარის კრილში გაჩერებულა და ყურადღებით, დაჟინებით აკვირდება ბაირონს. უწინდებურად შეწუხებული, ოდნავ შეცბუნებული, ოდნავ დაეჭვებული ლურჯი თვალები აქვს. თვალებში რწმენის ჩრდილიც გაწოლილა — ეს კაცი რალაცას უნდა მატყუებდესო.

„გზაზე მეუბნებოდნენ, ლუკასი ჯეფერსონშია, სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო. ბევრმა მითხრა, ახლა სარანდავი ფაბრიკაც მომასწავლეს, მაგრამ ისიც მითხრეს, შენ ალბათ ბანჩი გენდომებაო; მე ვიფიქრე, გვარი ეშლებათ-მეთქი და ამ ამბისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება მაშინაც არ მიმიქცევია, როცა თქვეს, ლუკასი შავგრემანი არ არისო. ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ლუკას ბარჩს არავის იცნობთ?“

ბაირონი თავის ტვირთს ძირს დებს, კონტად ალაგებს ფიცრებს ერთ მანეთზე, ხელახლა აღება რომ გაუადვილდეს „არა, ქალბატონო, ჩვენში ეგეთს არავის ვიცნობ. სხვებიც არ უნდა იცნობდნენ, იქნებ, სადმე სხვაგან მუშაობს ქალაქში, ანდა, სხვა ფაბრიკაში“.

„რა, სხვა ფაბრიკებიცაა აქ?!

„ფაბრიკები არა, სამხერხაოები კი ბევრია“.

ქალი ბაირონს შესცქერის. „გზაზე მეუბნებოდნენ, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ასეთი კაცი ჩვენში არავინ მეგულება“, ამბობს ბაირონი. „ჩემს გარდა სხვა ბარჩს ვერავის ვიხსენებ, არადა — მეც ბანჩი გახლავართ“.

ქალი კვლავ არ აშორებს თვალს, მისი სახე იმდენად მომავალ წუთილს არ გამოხატავს, რამდენადაც ამჟამინდელ ეჭვს. მერე, ერთს ხმამაღლა ამოისუნთქავს, კი არ ამოიოხრებს, უბრალოდ ღრმად და მშვიდად ამოისუნთქავს. „კეთილი“, ამბობს ბოლოს და სანახევროდ მიტრიალდება, იქაურობას ათვალერებს: დახერხილ მორებს, ფიცრების გროვას. „ცოტა ხანს ჩამოვჯდები თორემ ძალიან დამღალა ქვაფენილზე სიარულმა. ასე მგონია, ქალაქიდან აქამდე ჩამოსვლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე ალაბამადან ჯეფერსონამდე“. ქალი ფიცრების დაბალი გროვისკენ მიაბიჯებს.

„მოიცათ“, ამბობს ბაირონი. ლამის ვადახტება ქალისკენ, თან გააფთრებით იგლეჯს მხრებიდან ტომარას. დასაჯდომად გამზადებული ქალი შუა გზაში შეშდება, ბაირონი ფიცარზე აფენს ტომარას: „ასე ჯობია“.

„რატომ შეწუხდით“, ამბობს ქალი და ჯდება.

„ასე უფრო მოხერხებულია“, პასუხობს ბაირონი. ჯიბიდან ვერცხლის საათს იღებს და დასცქერის; მერე თვითონაც ჯდება, ფიცრის მეორე ბოლოში. „ზუსტად ხუთი წუთია“.

„რა? შესვენება?“ ეკითხება ქალი.

„ხუთი წუთი გავიდა, რაც თქვენ შემოხვედით. შესვენებაც მაშინ დამეწყო. შაბათობით, საღამოს, თვითონ ვინიშნავ ხოლმე დროს“.

„წუთითაც რომ მოწყდეთ საქმეს, მაინც? ვინ რას გაიგებს? განა რამდენიმე წუთს მნიშვნელობა აქვს?“

„ჯდომასი ფულს არავინ გადამიხდის“, ამბობს ბაირონი ალაბამადან მოდიხართ?“

ქალიც თავისი ამბის თხრობას იწყებს. ბაირონის ჯერიც დამდგარა, ზის ტომარაზე მძიმედ, მშვიდი, უღრუბლო სახე ადევს და ბაირონიც მშვიდად შესცქერის; უფრო მეტს უამბობს, ვიდრე თვითონ ჰგონია, როგორც აქამდეც უამბობდა დიდსა თუ პატარას. როცა, ოთხი კვირის მანძილზე, წელიწადის დროთა მონაცვლეობის შეუფერხებელი სიჯიუტით მოიწევდა წინ. და ბაირონიც ნათლად ხედავს ახალგაზრდა ქალს, ჩვეულებრივად მოტყუებულსა და მიტოვებულს, რომელიც ვერც კი ხვდება, მიტოვებული რომაა და ისიც საკითხავია, როდისმე ბარჩი გახდება თუ არა.

„არა, არა მგონია ვიცნობდე“, ამბობს ბოლოს ბაირონი. „თანაც, ამ საღამოს ჩემს მეტი არავინაა აქ. ყველანი, უთუოდ, ხანძრის საცქერლად წავიდოდნენ“. ყვითელი კვამლის სვეტისკენ უთითებს, უძრავად რომ ამართულა ხეებს ზემოთ.

„ჩვენც დავინახეთ ფორნიდან, ქალაქში რომ შემოვდიოდით“, ამბობს ქალი. „კარგა დიდი ხანძარი ჩანს“.

„სახლიც დიდია და იმიტომ, თანაც ძველია, ვინ იცის, როდინდელი აშენებული. მარტოხელა ქალი ცხოვრობს იქ, რომელსაც ჩვენს ქალაქში ამ უბედურებას დამსახურებულ სასჯელად ჩაუთვლის ბევრი. იანკია და იმიტომ. მისიანები რეკონსტრუქციის დროს გადმოსახლებულან ჩრდილოეთიდან, ვითომ ზანგების ასალეღვევლად და ასაფორიაქებლად. ორნი უკვე შეეწირნენ კიდევ ამ საქმეს. ქალზე ამბობენ, მაინც ზანგებს ეკურკურებო. ისე უვლის თურმე იმათ ავადმყოფებს, გინდაც თეთრკანიანები იყვნენ. ხალხს რომ ჰკითხო, ვითომ მზარეულიც იმიტომ არა ჰყავს, ზანგიც ჩვენნაირი ადამიანიაო. ამიტომაც ერიდება ყველა. იქეთ გახედვაც არავის უნდა. ერთი კაცის გარდა“. ქალი ბაირონს შესცქერის, უსმენს. ბაირონს კი მისთვის სახეში ვერ შეუხედავს, სადღაც, გვერდზე იცქირება. „ერთისა თუ ორისა. ასე გამიგონია. იმედი მაქვს, ახლაც იქ იქნებოდნენ და დროზე მიეხმარებოდნენ ავეჯის გამოზიდვაში. თუ მოასწრეს“.

„ის ორნი ვილა არიან?“

„ორი ბიჭია ორივე ჯო. სადღაც იქით ცხოვრობენ. ჯო ქრისტმასი და ჯო ბრაუნნი“.

„ჯო ქრისტმასი? რა უცნაური გვარია“.

„კაციც უცნაურია“. ბაირონი ახლაც თვალს არიდებს ქალს. ქალის ყურადღებად ქცეულ სახეს. „ამხანაგიც თავისნაირი ჩიტი ჰყავს. ბრაუნნი, აღრე ორივე ჩვენთან მუშაობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ გუდა-ნაბადი აიკრეს და, ჩვენში დარჩეს, გულიც მაინცდამაინც არავის დასწყვეტია“.

ქალი კანაფის ტომარაზე დასკუპებულა. დაინტერესებული, მშვიდი, გეგონებათ. ამ ორს, საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილებს, კვირა საღამოს თავიანთი სახლის წინ მოწნული სკამები გამოუტანიათ ეზოში. შავად მბზინავ, თითქოს მოსევადებულ მიწაზე დაუდგამთ, ჩამომსხდარან და აქეთურ-იქითურზე მასლაათობენო. „მაშ, იმის ამხანაგსაც ჯო ჰქვია?“

„ღიბს. ქალბატონო. ჯო ბრაუნო, ეინ იცის, იქნება მართლა ჯო ბრაუნო-ცა, ეგეთ სახელს და გვარს რომ ვაიგონებ, რატომღაც მუდამ დოღრილია, ერთთავად მოხორბოცე და მოყაყანე კაცი დაგიდგება თვალწინ. ამიტომაც მგონია, იქნებ მართლა ჯო ბრაუნია-მეთქი, თუმცა თან ნაუცქერებოდა სახელდასელოდ მოგონილსაც ძალიან ჰგავს ეს სახელი და გვარსაც. უნდა ტყუოდეს; ლაპარაკში რომ უხდიდნენ ხელაფსს, ახლა იქნებ ამ ფაბრიკის პატრონიც ყოფილიყო. ისე, ხალხსაც უნდა უყვარდეს ალბათ, ისეა თუ ისე, იმასაც და ქრისტმასსაც კოჭი ალჩუზე დაუჯდათ“.

ქალი ბაირონს მისჩერებოდა, ისევ უღრუბლო სახე ადევს, მაგრამ, უკვე სერიოზულიც, თვალეშიც დასერიოზულდება, „ახლა რას შვრებიან, რას საქმიანობენ ის ორნი?“

„ისეთს, მე მგონი, არაფერს, რაც არ ეკადრებათ და არ შეეფერებათ, ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეზე ჯერ არ დაუჭერიათ, ბრაუნო ცოტ-ცოტას მუშაობდა, რა თქმა უნდა, როცა დროს გამონახავდა ხოლმე, ანუ, როცა არ იცინოდა ან ვინმეს არ ამასხარაფებდა, მაგრამ, ქრისტმასმა აილო და სამუშაო მიატოვა, ერთად ცხოვრობენ, სადღაც იქით, სადაც სახლი იწვის, კი გამიგია, რითაც ირჩენენ თავს, მაგრამ რა ჩემი საქმეა?! ეგეც არ იყოს, რასაც ხალხი სხვაზე ლაპარაკობს, უფრო ხშირად ქორი გამოდგება ხოლმე, ესაა მთავარი, თან, არც მე მგონია საკუთარი თავი ვინმეზე უკეთესი“.

ქალი ისევ შესცქერის, თვალსაც არ ახამხამებს, „თვითონ ამბობს, ბრაუნო მკვიაო?“ იქნებ ეს შეკითხვაც იყოს, ოღონდ პასუხს კი ნამდვილად არ ელოდება, „მაინც რა ზღაპრებს ყვებიან იმათ საქმიანობაზე?“

„არ მინდა ვინმეს ჩირქი მოვეხო“, ამბობს ბაირონი, „ამდენი, ალბათ, არც უნდა მელაქლაქა, ისე, კაცმა თუ ერთი აიცრუა მუშაობაზე გული, მაშინვე აუცილებლად შარში გაეხვევა“.

„მაინც, მაინც?“ ეკითხება ქალი, ერთხელაც არ შერხეულა, მშვიდი ხმა აქვს, მაგრამ ბაირონი უკვე შეყვარებულია, თუმცა ჯერ თვითონ არაფერი იცის, ქალისკენ არ იყურება, ოღონდ სახეზე და ტუჩებზე განუწყვეტლივ გრძნობს მის დაეინებულ, დაძაბულ მზერას.

„ვისკით ვაჭრობას აბრალებენ, სადღაც იქეთ მალაფენო, აი, სადაც სახლი იწვის ახლა, ერთ ამბავსაც ძველებიან, ბრაუნზე, თითქოს ქალაქში დამთვრალიყოს შაბათ საღამოს და ვიღაცას ისეთ რამეში გამოსტეხვოდეს, რაზედაც, წესით, კრინტიც არ უნდა დაეირა — თითქოს იმასა და ქრისტმასს რაღაც ემაიმუნოთ მემფისში თუ მემფისის მაჩლობლად ბნელ გზაზე, დამბაჩა ახსენეს, მგონი, ორი დამბაჩა, მერე უცებ საიდანდაც ქრისტმასიც გამოჩენილა, ბრაუნისთვის ხმა გაუკმენდინებია და გარეთ გაუყვანია, მოკლედ, რაღაც ისეთი ამბავია, რისი გახმაურებაც ქრისტმასს მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდა და ალბათ თვითონ ბრაუნიც მეტ კვუას იხმარდა, მთვრალი რომ არ ყოფილიყო, ასე გამიგონია სხვებისგან, თორემ მე იქ არა ვყოფილვარ“, ბაირონი ხეირიანად თავის აწეესაც ვერ ასწრებს, ისე უცებ ხრის თვალეშს დაბლა, ქალის თვალეშს არიდებს, მის მზერას ემალება, თითქოს უკვე წინასწარ გრძნობს, რაღაც გამოუსწორებელი, საშინელი რომ ჩაიდინა, ის კაცი, ვინც დარწმუნებული იყო, აქ, ამ ფაბრიკაში, შაბათ საღამოს, მარტოდ-მარტო დარჩენილს, ვერავითარი ტკივილი თუ საწუხარი ახლოს ვერ გამე-
ქარებაო.

„როგორი შესაბუნავეია?“ ეკითხება ქალი.

„ქრისტმასი? როგორ გითხრათ...“

„ქრისტმასზე არ გეკითხები“.

„ააა. ბრაუნი. რა ეიცი? მაღალია, ახალგაზრდა, მავგრი/ქალებს მე მგონი, უნდა მოსწონდეთ, ამბობენ. ლამაზი ბიჭი, სრული უყვარს, დროსტარება და ხალხის გამასხარავება. მაგრამ მე...“ ბაბრონი უწვდებოდა. ქალისკენ გახედვაც არ შეუძლია, სახეზე განუწყვეტლივ მის ჯიუტ, მშვიდ მხერას გრძნობს.

„ჯო ბრაუნი“, ამბობს ქალი. „პატარა, თეთრი ნაიარევი ხომ არა აქვს აი აქ. ტუჩთან?“

ბაბრონი კი თვალს ვერ უსწორებს, უკვე ძალიან გვიანია, ფიცრების გროვაზე ჩამომჯდარა და — რატომ ენა, რა გამიზმებიაო — ფიქრობს.

8

კაბინეტის ფანჯრიდან ქუჩა კარგად მოჩანს. არც ისე შორია იქამდე, მხოლოდ პატარა, ხელისგულისოდენა კორდია სახლსა და ქუჩას შორის მოქცეული — ათიოდე ჯუჯა ნეკერჩხალი ხარობს ზედ. სახლიც პატარაა, ჩაფა-მული, შეუღებავი, უბრალო ბუნგალოსა ჰგავს და ის ვიწრო ღრიკო რომ არა, საიდანაც საღამოობით ქუჩას გასცქერის ხოლმე, თითქმის მთლიანადაა დამალული მურტის, იასამნისა და ალთეის ბუჩქებში. ისე საგულდაგულოდაა დამალული, ქუჩის ნათურის შუქიც ძლივს აღწევს, ძლივს ანათებს სახლს.

ფანჯრიდან აბრაც მოჩანს, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს — მისი მონუმენტი. ეს დაბალი, სამი ფუტის სიგრძისა და თვრამეტი დუიმის სიგანის კოხტა მართკუთხედი ეზოს კუთხეში დგას, სახეს გამვლელ-გამომვლელს უჩვენებს, მისთვის კი თითქოს ზურგი შეუქცევია. თუმცა, აბრის წაკითხვა აღარაფერში სჭირდება, აბრაც მისი შეკოწიწებულია. ხერხითა და ჩაქუჩით, საგულდაგულოდ, მონდომებით, და წარწერაც მისი ნახელავია, მისი ნაოსტატარი, იმდროინდელი ნაოსტატარი, როცა მიხვდა, პურის, ცეცხლისა და ტანსაცმლისთვის ფული დამჭირდებაო, სემინარია რომ დაამთავრა, მამის დანატოვარი მცირედი მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ ეკლესია ჩაიბარა თუ არა, იმავე დღიდან, შემოსავლის გარკვეულ ნაწილს მემფისის გოგონათა გამოსასწორებელ სახლს უგზავნიდა წელიწადში ოთხჯერ, მერე როცა არა მარტო საკუთარი, არამედ საერთოდ ყველა ეკლესიის კარი სამუდამოდ დაიხშო მისთვის, ყველაზე მწარედ, დანაკარგსა და შერცხვენაზე მეტად, სწორედ იმ გამოსასწორებელი სახლისთვის მიწერილ წერილს განიცდიდა — რასაც გიგზავნიდით, დღეის ამას იქით, იმის მხოლოდ ნახევარს თულა გამოვაგზავნიო.

ასეა თუ ისე, ნახევარს მაინც გზავნიდა, არადა, მთელი შემოსავალიც ძლივძლივობით თუ ეყოფოდა თავის სარჩენად. „კიდევ კარგი, რალაც-რალაცები მეხერხებაო“, — თქვა მაშინ. ასე გაჩნდა აბრაც, მისი კოხტა ნახელავი, მისი ხელით დაწერილი; საღებავში დაფშხვნილი შუშის გარეგაც თვითონ მოიფიქრა ჰკვიანურად და, როცა დამლამობით ქუჩის ფანჯრის შუქი აბრას ეცემოდა, ასოები ისე ბრჭყვიალებდნენ, შობის დღესასწაული გეგონებოდა კაცს:

ღირსი გეილ ჰაითაუერი, ლ. დ.

ხატვის გაკვეთილები;

ხელით ნახატი საშობაო და სადღესასწაულო ბარათები.

ფოტოსურათების გამჟღავნება.

მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, არც ხატვის შეგირდები გამოსჩენია და არც საშობაო ბარათებისა თუ ფოტოსურათების მუშტრებს შეუმტვრევიათ მისთვის კარი, ფერდაკარგულ ასოებსაც ნელ-ნელა დასცივივდა საღებავიცა და დაფშვნილი შუშაც. თუმცა, წარწერა ჯერ მაინც ჩანდა; ოღონდ, ჰაითაუერისა არ იყოს, აღარც ჯეფერსონელებს სჭირდებოდათ რამეში მისი წაკითხვა. ერთი ეგაა, ხანდახან ზანგ გადიას თუ წაუცდებოდა იქით ფეხი თავის თეთრ აღსაზრდელებთან ერთად და ის თუ წაიკითხავდა ჰაითაუერის აბრას ხმამაღლა, დამარცვლით, უაზროდ და ანგარიშმიუცემლად; მოცლილი და უწიგნური ხალხის ჩვეულებისამებრ, ანდა, ამ წყნარ, მიყრუებულ, მოუყირწყლავ და მივარდნილ ქუჩაზე შემთხვევით მოხვედრილი მგზავრი თუ შეჩერდებოდა წამით და მერეღა შეამჩნევდა პატარა, ყავისფერ, თითქმის მთლიანად დამალულ სახლს, რათა ისევ შეუსვენებლივ გაეგრძელებინა თავისი გზა; ზოგჯერ შეიძლება რომელიმე ჯეფერსონელ ნაცნობთანაც ჩამოეგდო სიტყვა ამ აბრაზე „პოო“, ეტყოდა მაშინ ნაცნობი, „ეგ ჰაითაუერის აბრაა. მარტოდმარტო ცხოვრობს იმ სახლში. ამ ოცდახუთი წლის წინ პრესვიტერიანული ეკლესიის წინამძღვრად ჩამოვიდა ჩვენთან, მაგრამ ცოლი არ გამოადგა. მემფისში გაეპარებოდა ხოლმე, დროს ატარებდა. მაშინ ახალი ჩამოსულები იყვნენ. ზოგი იმასაც ამბობს, ქმარმა ყველაფერი იცოდაო. თვითონ არ შეეძლო, ანდა, სულაც არ სურდა ცოლის დაკმაყოფილება, თორემ ისე, მშვენივრად მოეხსენებოდა იმისი კაიქალობის ამბავიო. მერე, ერთ შაბათ ღამეს, ქალი მოკლეს, არ ვიცი, მემფისის რომელიღაც სასტუმროში თუ საროსკიპოში. ყველა გაზეთი ამაზე წერდა, თავად იძულებული გახდა ეკლესია დაეტოვებინა, ოღონდ ჯეფერსონიდან მაინც არ წავიდა, ალბათ მიზეზი თუ ჰქონდა რამე. თუმცა, მისთვისაც, ეკლესიისთვისაც და ქალაქისთვისაც აჯობებდა გუდა-ნაბადი აეკრა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ დაითანხმეს. რა დიდი მიხვედრა უნდა ეკლესიას ეს ამბავი გულზე არ ეხატებოდა, ათასი უცხო ვინმე მიდი-მოდოდა და ყველაფერი ესმოდა, ის კიდევ ცოცხალი თავით ქალაქიდან ფეხს არ იცვლიდა, არამც და არამც არ წავიდა. მას შემდეგ იქ ცხოვრობს, იმ ქუჩაზე, მარტოდმარტო გამოკეტილი იმ სახლში, კიდევ კარგი ას ქუჩა მთავარი ქუჩა მაინც აღარაა, ესეც საქმეა. თუმცა ახლა აღარავის აწუხებს და, მე თუ მკითხავ, ბევრს საერთოდ აღარც ახსოვს მისი არსებობა. სახლის საქმესაც თვითონ უძღვება. მე მგონი, ამ ოცდახუთ წელიწადში არც არავის შეუღია იმისი სახლის კარი. ღმერთმა უწყის, რა დარჩენია ჩვენს ქალაქში. სალამო ხანს, შებინდებისას იქეთ თუ ჩაივლი, სულ ფანჯარასთან ზის ხოლმე, თავისთვის, ჩაფიქრებული. სხვა დროს თითქმის ვერცა ვხედავთ, აი, ბაღში მოფუსფუსეს თუ მოვკრავთ შორიდან თვალს“.

ასე რომ, საკუთარი ხელით გაკეთებული აბრა მისთვის კიდევ უფრო ნაკლებს ნიშნავს. ვიდრე ქალაქისათვის, ვაცმა რომ თქვას, უკვე აბრადაც აღარ აღიქვამს, საერთოდ აღარც ახსოვს. ვიდრე სალამო ხანს ჩვეულებისამებრ არ მოიკალათებს კაბინეტის ფანჯარასთან. თუმცა, აბრა მაშინაც ნაცნობი, დაბალი მართკუთხა ფიციარია მისთვის და სხვა არაფერი; თავისუფლად შეიძლებოდა ჯუჯა ნეკერჩხლებივით ანდა ბუჩქნარივით, ისიც უნებართვოდ დაუკითხავად ამოზრდილიყო ტრაგიკული და მარადიული მიწიდან. უკვე აღარც უყურებს ხოლმე, ველარც ამჩნევს. ისევე როგორც ხეებს, რომელთა შორის დარჩენილი ღრიჭოდანაც ქუჩას გასცქერის და სიბნელეს, ბინდის

დადგომას ელოდება. კაბინეტშიც და საერთოდ მთელ სახლშიც უკვე წყვდიადი გამეფებულა, თვითონ კი დაძაბული ელის იმ წუთს, როცა მთლიანად დაიწრითება სინათლისგან და უკუნეთ ღამეს მხოლოდ ის სუსტი შუქი-ლა გაანათებს, დღის განმავლობაში რომ შეუწოვიათ ფოთლებსა და ბალახის ღეროებს და ახლა ჭიუტად ასხივებენ. ცოტაღა დარჩა, ვიდრე დასრულდება ცოტა საკუთარ თავსაც ვერ უტყდება — ღირსების, სიამაყის და სიცოცხლის ნატამალი ჭერ კიდევ არ გამჭრალა ბოლომდეო.

როცა ბაირონ ბანჩი შეიდიოდე წლის წინ ჯეფერსონში ჩამოვიდა და ის პატარა აბრა დაინახა — გვილ პაითაუერი ლ. დ. ხატვის გაკვეთილები საშობაო ბარათები და ფოტოგრაფიების გამუდვანება — „ნეტავი ეს ლ. დ. რას უნდა ნიშნავდესო?“ — გაიფიქრა. მერე გაიკითხ-გამოიკითხა და უთბრეს—რას ნიშნავს და ღვთის დაწყველალსო, ყოველ შემთხვევაში, ჯეფერსონში მაინცო. ისიც უამბეს, სემინარიის დამთავრების შემდეგ პაითაუერი პირდაპირ ჯეფერსონში რომ ჩამოსულა, თურმე ყველა სხვა წინადადებაზე უარი უთქვამს და ვინ იცის, რა ღონე აღარ უხმარია, რა საშუალებებისთვის არ მიუშართავს, რათა როგორმე სწორედ ჯეფერსონში გაენაწილებინათ. ბოლოს, საწადელისთვის მართლაც მიუღწევია და ახალგაზრდა ცოლიც თან ჩამოუყვანია, ქატარებლის ვაგონიდანვე უკვე აღზნებული გადმოსულა. გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ხანშიშესულ ბატონებსა და ქალბატონებს, აქაური ეკლესიის ბურჯებს, თურმე სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა — მღვდლობა გადავწყვიტე თუ არა, იმ დღიდან მხოლოდ ჯეფერსონში ჩამოსვლაზე ვოცნებობდიო; რალაცნაირი უცნაური სინარულით პყვებოდა, რამდენი წერილი დაეწერა, რა მღელვარება გამოეგლო, ვიღას გავლენა არ გამოეყენებინა, ოცნება როგორმე სინამდვილედ რომ ექცია, ჯეფერსონელებს იმის ლაპარაკი სარფიანი გარიგებით კმაყოფილი და თავმომწონე ცხენებით მოვაჭრის ალტაცებას აგონებდა და აღბათ, მართლაც ცხენით მოვაჭრეს თუ ჰგავდა მოხუცების თვალში, რადგან ისინი ცოტა არ იყოს ცივად, გაოცებითა და ეჭვით უსმენდნენ, მართლაც, მისი. ნალაპარაკევიდან ისე გამოდიოდა, თითქოს პაითაუერისთვის მთავარი ეკლესია და სამწყსო კი არ იყო, არამედ, მაინცა და მაინც სწორედ ამ ქალაქში ცხოვრება, თითქოს ხალხს, ცოცხალ ადამიანებს, არავითარ ანგარიშს არ უწევდა და არც ის ანალვლებდა, თვითონაც საჭირო და სასურველ კაცად ჩათვლიდნენ ჯეფერსონში თუ არა. ეტყობა, ახალგაზრდობითაც მოსდიოდა და აზიტომაც ცდილობდნენ მოხუცები სერიოზული რელიგიური საკითხებითა თუ ეკლესიისა და პირადად მისი ვალდებულებების შეხსენებით რამენაირად გაენელებინათ ეს მხიარული ალტკინება. როგორც ბაირონს უამბეს, ახალგაზრდა მღვდელს თურმე ექვსი თვის შემდეგაც არ გაუუნელდა აღზნება, ექვსი თვის მერეც თურმე სულ ისევ სამოქალაქო ომზე, ომში მოკლულ თავის ცხენოსან ბაბუაზე და ჯეფერსონში აბრიალებულ გენერალ გრანტის საწყობებზე ლაპარაკობდა, ვიდრე ყოველივე ამას საერთოდ არ დაუკარგავს აზრი. თურმე კათედრიდანაც იგივეს ქადაგებდა, უწინდებურად, თავისებურად ალტკინებული, და ქადაგებაც, მისი რელიგიაც, სიზმარს ემსგავსებოდა. ოღონდ კომშარს არა. რალაც სხვას, განსხვავებულს, თავბრუდამხვევს, მოუხელთებელს და გაცილებით უფრო სწრაფად ცვალებადს, ვიდრე სიტყვები ენაცვლებიან ბიბლიაში ერთიმეორეს; თითქოს ბობოქარმა ციკლონმა გადაუჭროლა დედამიწასო, ხანშიშე-

სულ ბატონებსა და ქალბატონებს, რაღა თქმა უნდა, მაინც და მაინც არც ეს ეხატებოდათ გულზე.

თითქოს ვერასდიდებით ვერ მოეხერხებინა რელიგიის, აზავთებულის მხედრობისა და გაქენებულ ცხენზე მოკლული ბაბუის ერთმანეთისგან გაყვალე ყველა; ვერც კათედრაზე და ვერც პირად ცხოვრებაში — საკუთარ-პირქვეშის კი არა, შინ აღბათ არც კი ცდილობდაო — ფიქრობდა ბაირონი, ჩვეულებრივ ხომ სწორედ ასე ებყრობა კაცი იმ ქალს, ვისაც თავის საკუთრებად თვლის. ვინც თავის საკუთრებად მიაჩნით; ეტყობა, ქალებსაც ამიტომ მართებთ მეტი გონიერება და მოთმინება, ეტყობა, ამიტომაც უნდა მიეტევოთ კაცების წინაშე ისევ და ისევ კაცების გამო და კაცების საკეთილდღეოდ ჩადენილი ყველა შეცოდებაც, რადგან, ღმერთმა ხომ იცის, რა მძიმე ხვედრი და ტვირთია ცოლობაო. როგორც ბაირონს უამბეს, მღვდლის ცოლი თავიდან ერთი ტანმორჩილი, წყნარი გოგო ყოფილა — ქალაქს ლამის ხმაც არ გაუგონია მისი, თუმცა, ქალაქი იმასაც ამტკიცებდა, პაითაუერს მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინა, ცოტა მეტად რომ შეეფერებინა და შეეშნოვებინა მღვდლობა და, ოცდაათი წლის მერე დაბადებულს, მთელი თავისი ცხოვრება სულ იმ ერთი დღით არ ეცხოვრა, როცა ბაბუამისს გაქენებულ ცხენზე დაახალეს ტყვია, აღარც იმის ცოლს გაუჭირდებოდა არაფერიო. არადა, რაღაც რომ ნამდვილად უჭირდა, მეზობლები კარგად გრძნობდნენ, ხშირად ესმოდათ ხოლმე მღვდლის სახლიდან ქალის ქვითინი — ნაშუადღევს, ანდა, გვიან ღამით; თანაც, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდათ, ქმარს ამ საქმის არც შველა შეეძლო და არც გამოსწორება, რადგან წარმოდგენაც არა ჰქონდა, რისთვის უნდა ეშველა და რა უნდა გამოესწორებინა, ქალი თურმე ხშირად ეკლესიაშიც არ დადიოდა, იქ, სადაც მისი საკუთარი ქმარი ქადაგებდა; კვირა დღესაც კი აცდენდა ხოლმე წირვა-ლოცვას, მღვდლის შემხედვარე ჯეფერსონელებს კი ვერ გაეგოთ, ისიც ამჩნევდა ცოლის არ ყოფნას თუ ვერა, საერთოდ აბსოვდა კია მისი არსებობა. მაღლა, კათედრაზე იდგა, აღგზნებული იქნევდა ხელებს და ქადაგებისთვის ამორჩეული დოგმატიც ერთიანად დაეპყრო გაქენებულ ცხენებს, დამარცხების ტკივილს და დიდებაზე ოცნებას; ქუჩაშიც ასე ემართებოდა თურმე; როცა ვინმე ნაცნობს ცხენებზე ჩამოუგდებდა სიტყვას, პირიქით, თავისდა უნებურად ცოდვათა მიტევებასა და მებრძოლ სერაფიმთა გუნდებზე ქადაგებას იწყებდა ხოლმე, მანამდე გრძელდებოდა ასე, ვიდრე დარბაისელმა მოქალაქეებმა არ დაასკვნეს, ღეთის სახლში საღვთო დღეს წარმოთქმული ეს ქადაგებანი, წმინდა წყლის მკრებელობა და სხვა არაფერიო.

ბაირონს ისიც უამბეს, ჯეფერსონში ერთი წლის ცხოვრების მერე, თანდათანობით როგორ გაეყინა მზერა მღვდლის ცოლს, სტუმრად მოსულ ქალებსაც თურმე მარტო პაითაუერი ეგებებოდათ ხოლმე, აშკარად დაბნეული და აღელვებული, პიჯაკის ჩაცმასა და საყულოს გაკეთებასაც ვერ ასწრებდა და თითქოს ვერ ხვდებოდა, რა უნდოდათ, რისთვის მისდგომოდნენ ჯეფერსონელი ქალები შინ, ანდა თვითონ რა ევალებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო როგორ უნდა დაეჭირა მათთან თავი, როდის-როდის შეიპატიჟებდათ ხოლმე, ბოდიშს მოუხდიდათ და ოთახიდან გავიდოდა, სახლში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურა, საკვირაო კაბებში გამოწყობილი სტუმრები ხან ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან ოთახს მოაველებდნენ თვალს და აყურადებდნენ, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, მერე მღვდელიც შემობრუნდებოდა —

უკვე სათანადოდ ჩაცმული. დამშვიდებული — დაჯდებოდა და აქეთურ-იქეთურზე, ეკლესიაზე თუ ჯანმრთელობაზე. გაუბამდათ მასლაათს; ქალებიც ხალისიანად და მშვიდად პასუხობდნენ, ოღონდ უწინდებურად ერთთავად რაღაცას აყურადებდნენ და თან, ჩუმჩუმად, კარისკენაც გააპარებდნენ ხოლმე თვალს, იქნებ იმასაც ფიქრობდნენ, ნეტავი თვითონაც კეთილად, თვითონაც თუ იცის ის, რისი ეჭვიც ჩვენ გაგვჩენია.

მაღე კი, ქალებმა საერთოდ ამოიკვეთეს იქიდან ფეხი. მღვდლის ცოლს ახლა უკვე ქუჩაშიც ვეღარ ხედავდნენ. მღვდელს კი მაინც ძველებურად ეჭირათავი, ვითომც არაფერი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ზოგჯერ, ერთიორი დღით, ცოლს ქალაქიდანაც ამგზავრებდა ხოლმე; რამდენჯერმე ნახეს, უთენია როგორ ადიოდა დილის მიტარებელში. სახე გაძვალტყავებოდა. ჩამოგრძელებოდა, ნაშიმშილარს მიუგავდა, თვალებშიც ჩხევ ის გაყინული მზერა ჩარჩენოდა — თითქოს გიყურებს და ვერ კი გხედავსო. ქმარი ამბობდა, სამხრეთში, ნათესაეების მოსანახულებლად წავიდაო. იქამდე ამბობდა ასე, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მემფისში საყიდლებზე ჩასულმა ჩეფერსონელმა ქალმა არ დაინახა, როგორ შევიდა ჩქარი ნაბიჯით იქაურ სასტუმროში. ის ქალი შაბათს დაბრუნდა შინ და არც ნანახის მოყოლა დაუყოვნებია. მაგრამ მეორე დილას პაითაუერი ისევ ჩვეულებისამებრ იდგა კათედრაზე და, ვითომც არაფერი, რელიგია და გაჭენებული ცხენოსნების რაზმი ისევ ჩვეულებისამებრ არეულიყო ერთმანეთში. ცოლი ორშაბათს ჩამოვიდა და მომდევნო კვირა დღეს ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ პირველად მივიდა ეკლესიაში, უჩუმრად, უხმაუროდ შეიძურწა და მარტოკა ჩამოჯდა სკამზე, სულ ბოლო რიგში. ცოტა ხანს ყოველ კვირას დაიარებოდა. მერე, ისევ სადაც გაემგზავრა (ივლისი იდგა, მიწას ცეცხლი ეკიდა). პაითაუერმა, ახლაც ნათესაეებს ესტუმრა, აქაურ სიცხეს გაერიდაო; მოხუცებს, მოხუც ქალებს, მისი შემხედვარე ვერა და ვერ გაეგოთ — თვითონაც სჯეროდა საკუთარი ნათქვამი თუ არა, ახალგაზრდები კი ჩუმჩუმად რაღას არ ჭორობდნენ.

მართლაც, ვერაფერ იტყოდა, სჯეროდა თუ არ სჯეროდა, ანდა, საერთოდ თუ აღელვებდა ცოლის ავანჩაენი, რადგან იმას თავისი აწუხებდა, ვერა და ვერ გაემიჯნა ერთმანეთისგან რელიგია და გაჭენებულ ცხენზე ტყვიით განგმირული ბაბუა. თითქოს ბაბუისაგან მისთვის გადასაცემი თესლიც იმ ღამეს, იმ ცხენზე მომკვდარიყო და დროც სწორედ იქ, სწორედ მაშინ გაჩერებულიყო თესლისათვის, მას მერე, თითქოს, საერთოდ არც მომხდარიყო არაფერი, თვითონაც კი არ დაბადებულიყო ამქვეყნად.

ცოლი შუა კვირაში დაბრუნდა. ისევ პაპანაქება სიცხე იდგა, მოხუცები ირწმუნებოდნენ, ასეთი ცხელი ივლისი ჯერ არ ახსოვს ჩეფერსონსო. კვირას ისევ მივიდა ეკლესიაში, ისევ დაიკავა თავისი ადგილი, ისევ მარტო დაჯდა ბოლო რიგში. შუა ქადაგების დროს, უეცრად ფეხზე წამოიჭრა და აკივლდა, ყურისწამლებად გაპიოდა რაღაც გაუგებარს და თან მუშტებს უღერებდა კათედრას, სადაც მისი ქმარი იდგა, ენაჩაეარდინილი, ოდნავ წინ გადმოხრილი, ხელებაწვდილი და გაქვავებული. შორიახლოს მჯდომი რამდენიმე კაცი მღვდლის ცოლის დაშოშმინებას შეეცადა, მაგრამ ქალი არ დაშორჩილდათ, აკივლებული სკამებს შორის ვიწრო გასასვლელში გამოენათ და ახლა იქიდან დაუწყო მუშტების ქნევა ქმარს, ოდნავ წინგადმოხრილს, ხელაპყრობილს, იმ მოგუგუნე და ალეგორიული ბილვებით შეძრწუნებულსა და სახეშეშლილს, საიდანაც ძალით, დროზე ადრე გამოერკვიათ დაბეჭითებით.

მაინც ვერაფერს იტყოდა. ქმარს უღერებდა მუშტს თუ ღმერთს. მერე ქმარი კათედრიდან ჩამოსულა, მიახლოვებია და ქალიც მაშინვე გაჩუმებულა, უხმოდ გაპყლია ეკლესიიდან. ყველამ გააყოლა თვალი და იქამდე უცქერდნენ თურმე, ვიდრე ეკლესიის ზედაბნედეველს ორღანისტიისათვის არ უნებნებია რაღას უცდი. დაუკაროო, იმ დღეს ქალაქის მესვეურნი ცალკე-ცალკე არავინ იცოდა, რა ითათბირეს და ილაპარაკეს. ის კი დაინახეს, ცოტა ხანში ჰაითაუერიც რომ დაბრუნდა. ეკლესიის საცავში შევიდა მოთათბირებთან და იმანაც ზურგს უკან მოიხურა კარი.

არავინ იცოდა, რა ხდებოდა. მერელა გაირკვა. ეკლესიას თანხა რომ გამოეყო თურმე ჰაითაუერის ცოლის სანატორიუმში გასაგზავნად და სამკურნალოდ; ჰაითაუერმა ცოლი თვითონვე წაიყვანა, მალევე დაბრუნდა უკან და მომდევნო კვირას, ჩვეულებისამებრ იქადაგა. მეზობელი ქალები, ადრე სათოფეზედაც რომ არ ეკარებოდნენ მღვდლის სახლს, ახლა სიკეთეს იჩენდნენ და ხანდახან თეფშით მოსაკითხს გადაუტანდნენ ხოლმე, მერე კი სულ იმას ლაპარაკობდნენ ერთმანეთშიც და ქმრებთანაც, თუ რა არეულობა სუფევდა მღვდლისას და როგორ ნადირივით იკვებებოდა უპატრონოდ დარჩენილი ჰაითაუერი — მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი შეაწუხებდა, მხოლოდ იმით, რასაც შემთხვევით მოიხვლთებდა, ყოველ ორ კვირაში ერთხელ ცოლის დასახედად მიემგზავრებოდა, კვირაობით კი, კვლავინდებურად კათედრაზე მდგომს. ისევ არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ცნობისმოყვარე და კეთილი ადამიანები ცოლის ამბავს ეკითხებოდნენ ხოლმე და ისიც გულწრფელად ემადლიერებოდათ ყურადღებისათვის. მერე კი, კვირას, ისევ კათედრაზე ასული, ძველებურად უქადაგებდა გაოცებულსა და შეურაცხყოფილ მრევლს, ძველებურად იქნევდა ბელებს და მის მჭეჭარე, აღტკინებულ, დაძაბულ სიტყვებშიც აჩრდილებივით ირეოდა ერთმანეთში ღმერთი, სულის ხსნა, ცხენების ფლოქვთა თქარათქური და მოკლული ბაბუა. შემოდგომაზე ცოლი სანატორიუმშიდან დაბრუნდა. უკეთ გამოიყურებოდა. თითქოს, ცოტა მოსუქებულიყო კიდევ. თუმცა, სხვაგვარადაც შეცვლილიყო: განწმენდილს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, გამოღვიძებულს მაინც. მოკლედ, ახლა მართლა ისეთი გახლდათ, როგორიც მუდამ უნდოდათ ეხილათ ჯეფერსონელ მანდილოსნებს, როგორიც უნდა ყოფილიყო კიდევაც. მათი ღრმა რწმენით, მღვდლის მეუღლე, ეკლესიაში ქადაგებებსა თუ წირვა-ლოცვას აღარ აცდენდა. ქალებმაც განუახლეს სტუმრობა, ის კი არა, ზოგჯერ თვითონაც ეწვეოდა ხოლმე ვინმეს, ოღონდ, შინ და გარეთ. სულ მუდამ ერთნაირად ხმაგაკმენდილი, დამორცხვებული იჯდა და უსიტყვოდ უსმენდა კეთილმოსურნე ქალების შეგონებებს: როგორ გაძლოლოდა ოჯახს, როგორ ჩაეცვა და დაეხურა, როგორი სადილი მოემზადებინა ქმრისთვის.

ერთი შეხედვით, ქალაქმა თითქოს შეუნდო და აპატია კიდევ. კაცმა რომ თქვას, არავითარი ცოდვა თუ დანაშაული ხმამაღლა ნახსენები არც ყოფილა და. ცხადია, არც რაზე მსჯავრი დაუდვიათ მისთვის. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძნელი დასაჯერებელი იყო, ვითომც მანდილოსნებს ბოლომდე დავიწყებოდათ ის ადრინდელი, საიდუმლოებით მოცული მგზავრობები, რომელთა საბოლოო სადგურიც მემფისი გახლდათ და რომელთაც, საერთო რწმენით, მხოლოდ ერთადერთი მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა, თუმცა, ეს რწმენა სიტყვად არავის უქცევია, არავის გამოუთქვამს ხმამაღლა. რადგან ქალაქს ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, პატიოსანი ქალები

არაფერს, არც ავსა და არც კარგს, იოლად რომ არ ივიწყებენ, არ ივიწყებენ რათა უფრო დიდხანს შეინარჩუნო პატიების გემო და სურნელი სინდისის სასაზე. ქალაქი დარწმუნებული იყო, მანდილოსნებმა სიმართლეს დადგინდნენ. დარწმუნებული იყო, რადგან ისიც კარგად მოეხსენებოდა, სიგლაზე მხოლოდ ცუდი ქალი რომ შეიძლება გააბრიყვოს, რაკი იმას ნაზიდან მისივე სიკეთის საკუთარ სიფხიზლეზე და ექვიანობაზე თვალის დახუჭვა. სათხო ქალი კი პრასოდეს გაბრიყვდება; მართლაც, თუკი სათნოა და პატიოსანი, საკუთარ თუ სხვის პატიოსნებაზე საზრუნავად და თავის ასატკივებლად ფუჭად აღარ ფლანგავს დროს და ამდენად. უცბად, იოლად, ძალდაუტანებლად შეუძლია ყნოსვით მიაგნოს ცოდვის ბუდეს. ქალაქის აზრითაც სწორედ ეს იყო მიზეზი, სიკეთე ლამის ყოველთვის რომ ახერხებდა მის შეცდომაში შეყვანას და ბოროტებადაც ესახებოდა ხოლმე, მაგრამ აი თავად სიგლაზე კი, ნურას უკაცრავად ვერასდიდებით ვერ მოატყუებდა. ჰოდა, როცა ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ მღვდლის ცოლი ისევ გაემგზავრა სადღაც და ქმარმაც ისევ ძველი სიმღერა წამოიწყო — ნათესავებთან მიდის სტუმრადო — ქალაქს ექვიც აღარ შეჰპარვია, ბოლოს და ბოლოს მღვდელსაც ახელია თვალიო. ასეა თუ ისე, ქალი მალე მაინც შინ დაბრუნდა. მღვდელიც, ვითომ არაფერი მომხდარაო, ძველებურად აგრძელებდა საკვირაო ქადაგებებს, ძველებურად მოივლიდა ხოლმე ნაცნობებს, ძველებურად მოინახულებდა ავადმყოფებს და ეკლესიის საკირბოროტო საქმეებზეც ძველებურად მსჯელობდა. ოღონდ, მის ცოლს უკვე საბოლოოდ ასცრუებოდა ეკლესიაზე გული, მალე ჭეფერსონელმა მანდილოსნებმაც ისევ მიანებეს თავი მასთან სტუმრობას და ისევ მოიკვეთეს, ისევ შეაქციეს ზურგი. უახლოესი მეზობლებიც ვეღარსად ხედავდნენ შინიდან გამოსულ ქალს. ცოტა ხანში ყველას ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ქალი იქ აღარ ცხოვრობდა, თითქოს ყველანი უსიტყვოდ შეთანხმებულიყვნენ კიდევ ამ საკითხზე, თითქოს ერთხმად გადაეწყვიტათ, ჩვენი მღვდელი საერთოდ უცოლოაო. ის კი ყოველ კვირას უკითხავდათ ქადაგებას და უკვე აღარ ამბობდა, ჩემი ცოლი ნათესავეების მოსანახულებლად გაემგზავრაო. ქალაქი ფიქრობდა იქნებ, ასე ურჩევნიაო და, იქნებ, მართლაც უხაროდა, ტყუილის თქმა რომ აღარ სჭირდებოდა.

მოკლედ, კაციშვილს არ დაუნახავს, როგორ ჩაჯდა მღვდლის ცოლი მატარებელში იმ საბედისწერო პარასკევს ან, იქნებ, შაბათსაც. აი, კვირა დილის გაზეთი კი ყველამ ნახა, კვირის გაზეთში ეწერა სწორედ, როგორ გადმომხტარა თუ გადმოვარდნილა შაბათ საღამოს ქალი მემფისის სასტუმროს ფანჯრიდან და როგორ გათავებულა ადგილზევე. ნომერში ვიღაც მთვრალი კაციც ყოფილა მასთან ერთად. ის კაცი მაშინვე დაუპატიმრებიათ. სხვისი გვარით ცოლ-ქმრად გაფორმებულიყვნენ. მაგრამ პოლიციას ქალის ნამდვილი სახელის და გვარის დადგენაც იოლად მოუხერხებია — თავისი სახელი და გვარი თვითონვე დაუწერია ქალაქის ნაგლეჯზე, მერე ის ნაგლეჯი დაუქუცმაცებია და ნაკუწები საქალაქო კალათში ჩაუყრია. გაზეთებმაც სწორედ ნამდვილი სახელითა და გვარით მოიხსენიეს — ჭეფერსონელი მღვდლის. ღირსი გეილ ჰაითაუერის მეუღლე მისისიპის შტატიდანო. გაზეთში ისიც ეწერა, როგორ დაურეკავთ რედაქციიდან დაღუპულის ქმრისთვის ლამის ორ საათზე და როგორ განუცხადებია იმას, არაფერი მაქვს სათქმელიო. კვირა დილით ეკლესიასთან მისულ ჭეფერსონელებს კი ეკლესიის ეზო რეპორტიორებით დაუხვდათ სავსე. ეკლესიის და მღვდლის სახლის სურათებს იღებ-

დნენ გამალებულნი. მერე ჰაითაუერიც მოსულა. რეპორტიორები ამოდ ცდი-
 ლან მის შეჩერებას, ეკლესიაში შესულა და პირდაპირ კათედრისკენ დაუ-
 ლერებია თავი. ხანშიშესული ქალბატონები და რამდენიმე ^{ხანშიშესული} ბატონიც უკვე თავთავიანთ ადგილებზე მსხდარან, შეძრწუნებულნი და შეუ-
 რაცხოყოფილნი არა იმდენად შემფისში დატრიალებული უბედურების შესახებ
 დენადაც რეპორტიორთა შემოსევით. მაგრამ როცა ჰაითაუერი კათედრისკენ
 ასულა, რეპორტიორთა არსებობაც კი დაევიწყნიათ. ჯერ ქალბატონები წამოშ-
 ლილან და გასასვლელისკენ დაძრულან, მერე მათ მამაკაცებიც მიჰყოლიან
 და თუ კათედრაზე ხელებდაყრდნობილ, გადაშლილი ბიბლიისკენ ოდნავ წინ
 გადმოხრილ, თავაწეულ მღვდელსა და ბოლო რიგში გვერდიგვერდ
 ჩამომსხდარ შემფისელ რეპორტიორებს არ ჩავთვლით (ისინი ფებდაფება
 შეჰყოლიან ეკლესიაში მღვდელს), ეკლესია მთლიანად დაცარიელებულა.
 ხალხი ამბობდა, ჰაითაუერი არც კი უყურებდა, როგორ სტოვებდა მრევ-
 ლიო; საერთოდ არაფერს არ უყურებდაო.

სხვაც ბევრი რამ უამბეს ბაირონს; უამბეს, თუ როგორ ფრთხილად დაუ-
 ხურია, ბოლოს და ბოლოს, მღვდელს ბიბლია, როგორ ჩასულა დაცარიელე-
 ბულ ეკლესიაში. როგორ გაუვლია სკამებს შორის, ისე, რომ თავისი მრევლისა
 არ იყოს, ერთხელაც არ გაუხედაია თურმე რეპორტიორებისაკენ, და ეკლე-
 სიდან გამოსულა. გარეთ რამდენიმე ფოტოგრაფი უცდიდა. წინდაწინ გაეწ-
 ყოთ აპარატები და თვითონაც შავი ნაჭრების ქვეშ შემალულიყვნენ. მღვდე-
 ლი. ეტყობა, ამ ამბავს მოელოდა. მოელოდა, რადგან ეკლესიიდან სახეზე
 ფსალმუნათარბებული გამოსულა. მაგრამ, თავიანთი მხრივ, ფოტოგრაფებ-
 საც გამოეჩინათ წინდახედულება. ჭკუაში მოუტყუებიან მღვდელი. ალბათ
 ისიც გამოუცდელი იყო და მაინცდამაინც არ გასჭირვებიათო, ასე უთხრეს
 ბაირონს. ერთ-ერთ ფოტოგრაფს თავისი აპარატი სხვებისგან მოშორებით.
 გვერდზე დაედგა, მღვდელმა ის საერთოდ ვერ შეამჩნია, ანდა, თუ შეამჩნია,
 უკვე ძალიან გვიან, პირდაპირ მიშვებულ აპარატებს კი დაემალა, მაგრამ
 მეორე დღეს მაინც დაიბეჭდა გაზეთებში იმისი ფოტო, სწორედ გვერდიდან
 გადაღებული — კიბის საფეხურზე დგას, სახეზე ფსალმუნი აუფარებია, ტუ-
 ჩები ისე გადასჭიმვია, გეგონებათ, იღიმებათ, მაგრამ იმას კი კბილი კბილზე
 მაგრად დაუჭერია და ძველ გრავიურებზე გამოსახულ სატანასა ჰგავს. მეორე
 დღეს ცოლი ჩამოუსვენებია და დაუშარხავს. ლამის მთელი ქალაქი დასწრე-
 ბია დაკრძალვას. არც სულის მოსახსენებელი წირვა ჩაუტარებიათ, არც
 პანაშვიდი გაუმართავთ ეკლესიაში — პირდაპირ სასაფლაოზე მიუსვენებიათ
 მიცვალებული და ჰაითაუერს ბიბლია რომ გადაუშლია, სწორედ იმ დროს
 მიახლოვებია სხვა მღვდელი და წიგნი გამოუჩინებია. ხალხი, ძირითადად
 ახალგაზრდობა, ჰაითაუერის წამოსვლის შემდეგაც დარჩენილა ცოტა ხანს
 სასაფლაოზე, იდგნენ თურმე და უხმოდ დასცქეროდნენ საფლავს.

მერე სხვა, ახლომდებარე ეკლესიების მრევლმაც შეიტყო, როგორ უთ-
 ხოვიათ თავისიანებს ჰაითაუერისათვის გადადგომა და როგორ ცივ უარზე
 დამდგარა თვითონ. მომდევნო კვირას ბევრნი მოსულან სეირის საცქერლად.
 ჰაითაუერი ჩვეულებისამებრ შესულა ეკლესიაში. მთელი მისი მრევლი, რო-
 გორც ერთი კაცი, მაშინვე წამოშლილა. ეკლესიაში მხოლოდ მღვდელი და
 სასეიროდ მოსულებიდა დარჩენილან. ისიც ამდგარა და მათთვისაც ისე უქა-
 დავია, როგორც საერთოდ ქადაგებდა ხოლმე; თავისებური ზეიმური მრის-

ხანებით, რასაც მისიანები მკრებელობად უთვლიდნენ, ახალ მსმენელებს კი წმინდა წყლის სიგიჟედ მოეჩვენათ.

მოკლედ, ცოცხალი თავით არსად წასვლას არ აპირებდა ქალაქის მესვეურთ საეკლესიო საბჭოსთვის უთხოვიათ მისი გაწვევა. მაგრამ იმ ამბის განეთებში გამოქვეყნებული ფოტოებისა და საერთოდაც მსოფლიო მშვიდობის შემდეგ, არც ერთი სხვა ქალაქი არ იყო მისი მიმღები. არა, პირადად ჰაითაუერის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო — ასე ირწმუნებოდა ყველა. უბრალოდ, უიღბლო ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებულიო. ხალხმაც ეკლესიაში სიარულს თავი მიანება, იმათაც, სხვა მრევლის წევრებსაც, ვისაც ცოტა ხანს ცნობისმოყვარეობა დაატარებდა. მალე მობეზრებით სეირის ცქერა; ახლა ჰაითაუერი მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფდათ, თვითონ კი, ყოველ კვირა დღეს, მაინც დანიშნულ დროს გამოცხადდებოდა ხოლმე, კათედრაზე ავიდოდა თუ არა, მრევლიც წამოიშლებოდა და გარეთ გამოეფინებოდა, მხოლოდ უსაქმურები და მოსეირნეები თუ შექუჩდებოდნენ ეკლესიის ეზოში და უსმენდნენ, როგორ ქადაგებდა და ლოცულობდა ცარიელ ეკლესიაში. ერთ მშვენიერ დღეს კი ეკლესიის კარი ჩარაზული დაუხვდა, ეზოში მოგროვილმა სეირის მოყვარულებმა, ვისაც ცხოვრებაში ერთბელაც არ გადაედგათ ფეხი ეკლესიის ზღურბლზე, დაინახეს, როგორ მიაწვა კარს. მერე ხელი ჩაიჭნია, ბედს შეეგუა და იქვე, კარებთანვე გაირინდა თავაწეული; შორიახლოს პატარა ბიჭებიც ირეოდნენ, ჯერ მომხდარის არსს რომ ვერ ჩასწვდნენოდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა, ოღონდ ტანით კი გრძნობდნენ რალაცას და გაკვირვებულნი, თვალეზგაფართოებულნი მისჩერებოდნენ ჩარაზული კარის წინ გაქვავებულ კაცს. მეორე დღესლა შეიტყო ქალაქმა, როგორ მისულა ჰაითაუერი ქალაქის მესვეურებთან და, ეკლესიის საკეთილდღეოდ, როგორ უთქვამს უარი თავის კათედრაზე.

ქალაქს გაუხარდა კიდევ, ოღონდ თან გულიც დასწყდა, ხალხს მღვდელიც ისევე შეეცოდა ახლა, როგორც სხვაც ბევრი შესცოდებია ადრე, ვისი სიჭიუტეც, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაუტეხია და ვისთვისაც ძალად მოუხვევია თავს საკუთარი ნება-სურვილი, რალა თქმა უნდა, ექვიც არ შეჰპარვია არავის, ჰაითაუერი ქალაქიდანაც აიკრავს გუდა-ნაბადსო. ეკლესიამ ფულიც კი შეუგროვა სამგზავროდ და ახალ ადგილზე დასაბინავებლად. მაგრამ იმას ფიქრშიც არ გაუვლია ქალაქიდან წასვლა. ბაირონს უამბეს, შეურაცხყოფაზე მეტად, თურმე შიშს მოუცავს ქალაქი, როცა გაუგია, ჰაითაუერმა ერთ მიყრუებულ ქუჩაზე პატარა სახლი იყიდაო, სწორედ ის სახლი, სადაც დღემდე ცხოვრობს კიდევ; ქალაქის მესვეურებს ურთხელ კიდევ დასჭირდათ შეკრება, ასე ამბობდნენ თურმე, ჩვენ თანხა სამგზავროდ შევუგროვეთ და რაკი ფული სხვა მიზნით დაუხარჯავს, ცხადია, მოვუტყუებივართო, მივიდნენ და პირდაპირ უთხრეს სათქმელი. ჰაითაუერს ბოდიში მოუხდია; მერე ოთახიდან გასულა და შეგროვილი თანხა გამოუტანია, მისხალ-მისხალ ჩაუთვლია და თან ზუსტად იმავე კუპიურებით, ქალაქის მესვეურნი ფულის გამორთმევაზე თურმე თავიდან უარს ეუბნებოდნენ, ვითომ, მხოლოდ იმის გაგება გვწადია, სახლი რა სახსრით და საშუალებით შეიძინეო, მაგრამ ეს ამბავი ჰაითაუერს არასდიდებით არ გაუმხელია მათთვის, ასე რომ, როგორც ბაირონს უამბეს, მეორე დღეს ისეთი ხალხიც გამონახულა, ვინც ამტკიცებდა — მაგას ცოლის სიცოცხლე ჰქონდა დაზღვეული, ვიღაცა მოიხყიდა ქალის მოსაკლავად და ფული ჩაიჭიბაო, თუმცა ყველამ იცოდა.

სისულელე რომ იყო ამის ლაბარაკი, იმათაც, ვინც ლაბარაობდა, იმათაც, ვინც სხვის ნათქვამს ბრძალ იმეორებდა და იმათაც, ვინც უაზრო ლაბარობას უგაღებდა ყურს.



ჰაითაუერი კი ჭეფერსონიდან ფეხს არ იცვლიდა. მერე კარგად დასაჯდა პატარა აბრაც გაჩნდა, მისი წელით შეკოწიწებული, წარწერაც კი დაეწერა კეთებინა ზედ და წინ ეზოში დაედგა. სწორედ ამ აბრამ მიახვედრათ, არსად რომ არ აპირებდა წასვლას. მაშინ ჯერ კიდევ ჰყავდა მზარეული, ერთი ზანგი დედაკაცი, როგორც ბაირონს უთხრეს, ეს მზარეული ლამის ჭეფერსონში დასახლების პირველივე დღიდან ჰყოლია, მაგრამ დაქვრივდა თუ არა, ქალაქსაც თითქოს მხოლოდ მაშინ ახელია თვალი ერთბაშად და მაშინღა დაუნახავს მზარეულის ქალობა, მაშინღა უაზრია, ისა და ჰაითაუერი მთელი დღე მარტონი რომ იყვნენ ერთ ჭერქვეშ, ცოლი ჯერ არც კი გაციებულყო სამარცხვინო სამარეში, როცა ეს შითქმა-მოთქმა დაწყებულა. რაღას არ ლაპარაკობდნენ: ცოლს თვითონვე უბიძგაო შეგნებულად სიგლახისკენ და თვითმკვლელობისკენ, რადგან უვარგისი ქმარი იყო, უვარგისი კაცი, ხოლო ყველაფრის თავიდათავი კი სწორედ ის ზანგი დედაკაცი ბრძანდებოდაო, დაიწყო და რა დაიწყო; თითქოს მხოლოდ ამასღა ელოდებოდნენ. ბაირონი მშვიდად უსმენდა ყველაფერს და გულში ფიქრობდა, რა ერთნაირია ხალხი ყველგან, თუმცა პატარა ქალაქში, სადაც ბოროტების ჩადენაც და დანაშაულის კვალის დაფარვაც უფრო ძნელია, ხალხს მაინც უფრო უადვილდება ბოროტების გაგონებაც და სხვათათვის მიწერაცაო. მართლაც ქალაქს მეტი ხომ არც სჭირდებოდა: ამ იღვამ, ამ ერთმა როყოოდ ნასროლმა სიტყვამ ერთბაშად დაიპყრო მისი გონება. ერთ დღესაც ჰაითაუერის მზარეულმა სამუშაოს თავი მიანება. თურმე, ღამით, ნაუცბათევეად, ჰაიპარად შენიღბული კაცები მივარდნიან ჰაითაუერს შინ და მზარეულის დათხოვნა უბრძანებიათ მისთვის. მერე ისიც ცნობილი გახდა, როგორ განუცხადებია ქალს — სამუშაოს ჩემი ნებით მივანებე თავი, რაკი ბატონი ღვთისა და ბუნების კანონის წინააღმდეგ მიბიძგებდაო. ოღონდ იმასაც ამბობდნენ, ნიღბოსანი კაცების დაშინებულია და იძულებით მიუტოვებინებიათ მღვდლის ოჯახიო: ეს მზარეული ხომ ერთი ბნელი ზანგი დედაკაცი იყო, ქალაქში კი მართლა მოინახებოდა ერთი-ორი ისეთი მაგარი ბიჭი, ვისაც არად ეპიტნავენოდა და არც მოითმენდა ღვთისა და ბუნების კანონის საწინააღმდეგო საქმეს; როგორც შედარებით ახალგაზრდა ხალხი ამბობდა, თუკი ზანგ დედაკაცს ღვთისა და ბუნების შეურაცხყოფად შეიძლებოდა მოსჩვენებოდა რამე, უარესს კაცის გონება მართლა ველარაფერს მოიფიქრებდა. ასეა თუ ისე, მღვდელმა ახალი მზარეული ქალი ველარ, თუ აღარ აიყვანა, შეიძლება, იმ ღამეს ნიღბოსნებმა ყველა სხვა ზანგი დედაკაციც დააშინეს, ვინ იცის? მოკლედ, ცოტა ხანს თვითონვე იმზადებდა საქმელს, ხანამ არ შეიტყვეს, მზარეულად ახლა ვიდაც ზანგი ბერიკაცი ჰყავსო. უეჭველად ამ ამბავმა მოულო ბოლო. იმიტომ, რომ იმავე საღამოს რამდენიმე კაცმა, ნიღბის გაკეთებაზედაც რომ არ დაუხარჯათ ზედმეტად დრო, ის ზანგი შინიდან გამოათრია და კარგა მაგრადაც მიბეგვა. როცა მეორე დღით ჰაითაუერს გაეღვიძა, კაბინეტის ფანჯარა ჩამსხვრეული დაეჭვდა, იატაკზე კი ბარათგამობმული აგური ეგდო — უბრძანებდნენ, მზის ჩასვლამდე გადაიკარგე ამ ქალაქიდანო — ხელს კუ კლუქს კლანი აწერდა. ჰაითაუერი მაინც არსად წასულა და მეორე დღის ვიდაც კაცმა უკვე ტყეში

იპოვა, ქალაქიდან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით, ნაცემი და გონდა-
კარგული, ხეზე მიეზათ.

არ უთქვამს, ვინ ჩააგდო ასეთ დღეში. ქალაქს მთელი ეს ამბავი არა-
ფრად ეჭაშნიკა. ვილაყები ესტუმრნენ კიდევ და სცადეს დაერწმუნებინათ,
გამგზავრება აჯობებს შენთვისო, ეუბნებოდნენ. მეორედ ეწვევა ვინმეს
შემოაკვდე კიდევაცო, ის კი ცოცხალი თავით ქალაქიდან წაიქცა იცვლი-
და. თან მომხდარზეც არ სძრავდა კრინტს, არავის ასახელებდა, მაშინაც კი არ
გაუმხელია არაფერი, როცა ოფიციალურად შესთავაზეს ჩივილი. ესეც არ
უნდოდა. არც ჩიოდა, არც მიდიოდა, და აი უცებ, სრულიად მოულოდნე-
ლად, მთელი ეს აურზაური ბორშაქივით ჩადგა თითქოს ქალაქი, როგორც
იქნა მოვგო გონს და მიხვდა, პაითაუერიც სიკვდილამდე, მისი ცხოვრების
ნაწილი რომ უნდა ყოფილიყო, შეიძლებოდა იმათაც გამოენახათ საერთო
ენა და დაზავებულიყვნენ, თითქოს მთელი ეს ამბავი უამრავი ადამიანის მიერ
გათამაშებული პიესა იყო, ფიქრობდა ბაირონი, ყოველ მათგანს ერთგულად,
ბოლომდე შეესრულებინა კეთვნილი როლი და ახლა ყველას მშვიდობიანი
თანაარსებობის უფლება მოეპოვებინაო. ქალაქმა მღვდელს თავი მიანება,
ახლა მხოლოდ ეზოსა თუ ბაღში მოფუსფუსეს თუღა მოჰკრავდნენ შორიდან
თვალს, ანდა, მკლავზე პატარა კალათწამოცმულს, საყიდლებზე გამოსულს,
ზოგჯერ გამოელაპრაკებოდნენ კიდევაც, იცოდნენ, თვითონ რომ მზარეულო-
ბდა შინ, მართო უძღვებოდა საოჯახო საქმეს და ცოტა ხანში მეზობლებმა
ისევ დაუწყეს მოსაკითხის გზავნა, უმთავრესად იმას იმეტებდნენ, რასაც ჩვე-
ულებრივ უგზავნიან ხოლმე ხელმოკლე ოჯახებს, თუმცა, ეს მაინც საქმელი
იყო და თან კეთილი გულით მოძღვნილიც, იმიტომ, რომ ოც წალიწადში
ხალხს ბევრი რამე ავიწყდებაო — ხშირად ფიქრობდა ბაირონი, „ასე მგონია“,
ფიქრობს ხოლმე ახლაც. „ჯეფერსონში ჩემს მეტმა არც იცის არავინ, როგორ
ზის ყოველ ცისმარე დღეს, დაისიდან შუალამემდე ფანჯარასთან, არავინ იცის,
შიგნიდან როგორი სანახაეია მისი სახლი, არც ის იციან, მე რომ ვიცი, თორემ
ორივეს ქუჩაში გამოგვათრევდნენ და ერთს ლაზათიანადაც მიგვბეგვავდნენ,
რადგან დამახსოვრებაზე დიდბანს არც დავიწყება ებერბება ხალხს“. ასე
ფიქრობს, რადგან ჯეფერსონში დაბინავების შემდეგ, სამუშაოდან თავისუფალ
დროს, სხვა რამის ნახვა და შეტყობაც მოახერხა.

პაითაუერი ბევრს კითხულობდა, ბაირონმა რაღაცნაირი გარინდული, მოკ-
რძალებული შიშით დაათვალიერა მის კაბინეტში გამოფენილი წიგნები: რაღა
არ იყო აქ, რელიგიური, ისტორიული თუ სამეცნიერო თხზულებები, რომელთა
არსებობა არც კი სმენოდა არასდროს, ერთ დღეს, დაალოებით ოთხი წლას
წინ, ქალაქის განაპირას, ზუსტად მღვდლის სახლის უკან მდგარი ქოხიდან
ვილაც ზანგს მიუბრუნია პაითაუერთან და უთქვამს — მიშველე, ჩემს ცოლს
მშობიარობა ეწყებაო. პაითაუერს ტელეფონი არ ჰქონდა, ზანგი მეზობელთან
გაუგზავნია, იქიდან რომ ეცადა ექიმთან დარეკვა, ფანჯრიდან ხედავდა თურ-
მე, როგორ მისდგომია ზანგი მეზობლის ჭიშკარს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ
ეზოში შესულიყო, ცოტა ხანს უტკებნია იჭაურობა და მერე ფეხით გაჰყო-
ლია ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ ქუჩას; პაითაუერმა, რა თქმა უნდა, კარ-
გად იცოდა, ფეხით რომ გაივლიდა ზანგი მთელ მანძილს, მერე ერთ ნახევარ
საათსაც კიდევ დაკარგავდა ექიმის ძებნაში, თავისებურად, ზანგურად იბლუ-
ყუნებდა და იზოზინებდა, ვერ მოიფიქრებდა, ვინმე თეთრკანიანი ქალისთვის
ეთხოვა, იქნებ ექიმს დაურეკოთო. პაითაუერი სამზარეულოში გასულა, უკ-

ვე გარკვევით ესმოდა თურმე ქობიდან ქალის ღმუჯილი. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა. სირბილით წასულა ქობისაკენ; ქალი საწოლიდან გადმოვობო-ბულიყო, რატომ და რისთვის. მერეც ვერ ათქმევინა პაითაუერმა, რატომ და ამდგარიყო, ისევ საწოლზე აძვრომას ცდილობდა და თან სისხლს გამწინააღი-ღმუოდა. ქალი რომ საწოლზე დაუწვევია, იცოდე, წყნარად იწვევია. ცოტა შეუშინებია კიდევ, თვითონ კი ისევ შინისკენ მიგზავნიდა. თაროდან რალაც წიგნი აუღია, სამართებელი და ცოტა კანაფიც გამოუმძღვა-ნიებია. ისევ ქობში დაბრუნებულა და ქალი მოუმშობიარებია. ბავშვი მკვდა-რი დაბადებულა; ექიმს უთქვამს, ალბათ მაშინ დაშავდა, როცა ქალი გადმო-ვარდაო. პაითაუერი ძალიან შეუქია და ქალის ქმარიც კმაყოფილი დარჩენი-ლა.

„მაგრამ ეს ამბავი ძალიან სწრაფად მოჰყვა. იმ სხვა ამბებს“, ფიქრობდა ხოლმე ბაირონი, „თხუთმეტი წელი კი გავიდა. მაგრამ, მაინც“. ეტყობა, მარ-თლაც ასე იყო. რადგან ორიოდე დღის მერე ვილაც-ვილაცებმა განაცხადეს, ბავშვი პაითაუერისა იყო და განზრახ მოკლაო. ბაირონს ღრმად სწამდა, თვითონვე რომ ეცინებოდა ამის მთქმელს საკუთარ გამონაგონზე. ისიც იცოდა, ქალაქს უკვე ჩვევად რომ გადაქცეოდა რალაც-რალაცების გამოგო-ნება შერცხვენილ მღვდელზე, მერე რა ვუყოთ, თავის გამონაგონზე თვითონვე თუ ეცინებოდა, ჩვეულება იმდენად ძველი და ჩიუტი გახლდათ — ველარაფ-რით ელუოდა, ველარაფრით ამბობდა უარს. „მუდამ ასეა“.. ფიქრობს ბაირო-ნი, „ჩვევად თუ იქცა რამე, მორჩა. მაშინვე ბრმავდება სიმართლისა და ქეშ-მარიტების დასანახი თვალი“. ერთი საღამოც ახსოვს, ერთი საუბარი პაითა-უერთან, როცა იმან უთხრა: „აქაურები კარგი ხალხია, ბაირონ, როცა სჯერათ, უთუოდ უნდა სჯეროდეთ კიდევ, მით უმეტეს, ერთ დროს სწორედ მე ვი-ყავი იმათი რწმენის მეუფეცა და მსახურიც ერთდროულად. ვერც მე გამოვდ-გები მათი რწმენის შეურაცხმყოფელად და არც ბაირონ ბანჩს მართებს მათ-ზე აუგის თქმა, იმიტომ, რომ ერთადერთი, რისი იმედიც კაცს შეიძლება ჰქონ-დეს, თანამოძმეთა შორის მშვიდად ცხოვრების უფლებაა“. მაშინ ბაირონს ახალი გაგებული ჰქონდა პაითაუერის ამბავი, ღამეული სტუმრობებიცა და საუბრებიც პაითაუერის კაბინეტში ახალი დაწყებული იყო, მაშინ ბაირონი ჯერ კიდევ იტეხდა თავს, ვერ გავგო, რად დარჩენილიყო მისი თანამოსაუბრე ამ ქალაქში, რად არ გასცლოდა იმ ეკლესიას, რომელსაც უარყო და მოეკ-ვეთა, ერთხელ, ერთ საღამოს, ჰკითხა კიდევ.

„შენ თვითონ რატომ რჩები ხოლმე შაბათობით ფაბრიკაში, როცა სხვები ქალაქში ატარებენ დროს?“ კითხვა შეუბრუნა პაითაუერმა.

„რა ვიცი“, თქვა ბაირონმა, „ალბათ ესაა ჩემი ცხოვრება“.

„ჰოდა, ალბათ ჩემი ცხოვრებაც ესაა“, მიუგო პაითაუერმა მაშინ, „ახ-ლა კი ვხვდები“, ფიქრობს ბაირონი, „ვხვდები, კაცს მომავალი განსაკდელის გაცილებით უფრო მეტად ეშინია, ვიდრე უკვე თავსდამტყდარი უბედურები-სა. უმაღლ შეჩვეულ ჭირს ჩააფრინდება მაგრად, ორივე ხელით ვიდრე რაიმეს შეცვლას გაბედავს, ვიიი, იცოცხლე, ბევრს ილაპარაკებს, რა სიამოვნებით გაექცეოდა, რა სიამოვნებით გაეცლებოდა ცოცხალ თანამოძმეებს, მაგრამ მოსვენებას ხომ სინამდვილეში მხოლოდ მკვდრები უკარგავენ? სწორედ მკვდრებს ვერ გაქცევია ვერსად, იმათ, თავიანთთვის რომ წვანან გულხელ-დაკრეფილნი და აზრადაც არ მოსდით მისი გაჩერება“.

მხედრებმა უკვე ჩაიქროლეს და უხმაუროდ შეერწყნენ ბინდბუნდს; ლა-

მემ საბოლოოდ იძალა. პაითაუერი კვლავ კაბინეტის ფანჯარასთან ზის, ოთახში, ზურგს უკან, ისევ ბნელა. ქუჩის ნათურა ბეუტავს, ბეუტავს და მერე უეცრად აკაშკაშდება. ქარსდანიტრებული ნეკერჩხლების ჩაკბეჩილი ხმები თითქოს მსუბუქად ლაგლივებენ ივესტის ღამეში. შორიდან სუსტად, თუმცა გარკვევით მოისმის ეკლესიიდან მომავალი სახეიშო გალობა. ხმა ტალღასავით მოიწვეს წინ, ერთდროულად მკაცრი და მდიდარი და ამაყი, აზვირთდება და ისევ უკან იხევს. პარმონის მოქცევასა და უკუქცევას ჰგავს ზაფხულის გატრუნულ სიბნელეში.

„მერე, უეცრად, ქუჩაში მომავალ კაცს დაინახავს. სამუშაო დღე რომ იყოს, ამ ფიგურას, ამ კონტურს სულ იოლად იცნობდა იერიითა და მიზერამოხვრით, მაგრამ ახლა, კვირა საღამოს, როცა წინდში ჩადირულ კაბინეტში ჯერაც ისმის წარმოსახული ფლოქვების უბმო თქარათქურის გამოძახილი, აუღელვებლად და გულგრილად შესცქერის ამ მია ლანდს, ის კი უკანა ფეხებზე შემდგარი ცხოველის არამყარი, მოჩვენებითი ღირსებით მოიწვეს წინ, იმ ღირსებით, რომლითაც ასე ბრწყინვალად ამაყობს ადამიანი — ცხოველი და რომელიც მაინც წამდაუწუმ დალატობს ხოლმე — ხან მიზიდულობის ბუნებრივი კანონისა თუ ყინულის, ხან თავისივე გამოგონილი და შექმნილი საგნების, მანქანებისა თუ ბნელში ჩასაფრებული ავეჯის. ხან კი იატაკსა თუ ტროტუარზე დაყრილი საკუთარი საკვების ნარჩენების გამოისობით; აი, დაბალ აბრასაც ჩაუარა უკვე. კიშკარშიც შემოვიდა, სახლს მთადგა, პაითაუერი კი წყნარად შესცქერის და ფიქრობს, რა მართლები იყვნენ ძველები, როცა მეომრისა და მეფის ატრიბუტად და სიმბოლოდ ცხენი აღიარესო. მერე, უცებ სკამიდან წამოიწვეს, თან ჩაბნელებული კარისკენ ბნელი ბილიკით მომავალ კაცს არ აშორებს თვალს, ისიც ესმის, ერთს როგორ წაიბორძიკებს ის კიბის ქვედა საფეხურზე და — ბაირონიაო — ამბობს. „კვირას ქალაქში რატომაა? ბაირონ ბანჩს რა უნდა კვირა ღამეს ქალაქში?“

4

საწერ მაგიდას პირისპირ უსხედან, ოთახში უკვე შუქი ანთია, მწვანეთალფაქიანი ნათურა დგას მაგიდაზე, პაითაუერი ნათურასთან უფრო ახლოს, ძველებურ, მბრუნავ საყარძელში ზის, ბაირონი კი მაგარზურგიან ხის უბრალო სკამზე ჩამომჯდარა, სინათლის უძრავი, ირიბი სვეტი არც ერთს არ ეცემა სახეზე. ფანჯარა ღიაა და ოთახში სუსტად ისმის შორეული ეკლესიიდან მომავალი გალობა. ბაირონი მოღვლილი, უხალისო ხმით ლაპარაკობს.

„საკვირველი ამბავი მოხდა. დღემდე მეგონა, თუკი საერთოდ სადმე დაემალება კაცი შარსა და დავიდარაბას, სწორედ იქ, ფაბრიკაში და თანაც შაბათ საღამოს დაემალება-მეთქი ყველაზე საიმედოდ. მით უმეტეს, ის სახლიც იწვოდა, ლამის ზედ ჩემ ცხვირწინ. მეც ჩვეულებრივად ვიჭექი და ვსაღილობდი, ათასში ერთხელ ოთ გაამეკცეოდა ხოლმე კვამლისკენ თვალი და ვფიქრობდი — ამ საღამოს მაინც არ გაიჭაქანებს აქ სულიერი, ამ საღამოს მაინც არავინ შემეშლის-მეთქი ზელს. მერე, ერთხელაც რომ ავიღე თავი, ისიც დავინახე, იდგა, სახეზე ღიმილი გადააფენოდა, უკვე დაძახებასაც აპირებდა და ბოლოს მე არ შევჩინე ხელში? მეც უკეთესი ველარაფერი მოვიფიქრე და რაც ვიცოდი, მისხალ-მისხალ ჩავუკაკლე“. ბაირონს ოდნავ შესამჩნევად ეღრჩევა სახე, კი არ ეღიმიება, უბრალოდ წამით სიმწრისგან ექცევა

ტუჩი, ეგაა და ეგ, მერე ისევ უწინდელი სახით აგრძელებს თბრობას. „მაშინ რას ვიფიქრებდი უარესი ჯერ წინ მელოდებო-მეთქი“.

„ეტყობა, მართლაც რაღაც საოცარი მოხდა, რაკ ბაირონი ბანსი ვერძის ქადაკში დარჩენილა“, ამბობს ჰაითაუერი. „თუმცა რა? ქალი საქმროს ეტყობდა, შენც ადექი და მოძებნაში დაეხმარე, მეტი რა უნდოდა ვინაა ჩემთვის არ გამოიარა ამხელა გზა ალაბამადან?“

„კი, არაფერი დამიძალია. ეგ არაა საქმე. ჩამომისკუპდა იქ მუცელგაბერილი და თვალი აღარ მომაშორა, ისეთი თვალებით მომჩერებოდა. ძაან გულთაც რომ მდომოდა, ტყუილს ვერ ვეტყვოდი. ჰოდა, მივედ-მოვედე ათას აბდაუბდას, თან ის კვამლის სვეტი მეჩხირებოდა წამდაუწუმ თვალში. თითქო მარტო ჩემ გასაფრთხილებლად აწოწოლიყო, მე კი ჭკუა არ მეყო და ვერაფერსაც ვერ მივხვდი“.

„ჰოთო“, აგრძელებს ჰაითაუერი. „მაშ იმ სახლზე ამბობ, გუშინ რომ დაიწვა? კი მაგრამ, სახლი რა შუაშია?... ვისი სახლი იყო? კვამლი მეც დავინახე, ვილაც ზანგსაც ვკითხე ამბავი, ოღონდ ვერაფერი გამაგებინა“.

„ბარდენების ძველი სახლი დაიწვა“. პასუხობს ბაირონი. თან თვალს არ აშორებს მოსაუბრეს. ორივე ერთმანეთს შესცქერის დაჟინებით. ჰაითაუერი მაღალი კაცია, ოდესღაც, ეტყობა, თნელიც იყო. თუმცა ახლა თნელი ჩამდვილად აღარ ეთქმის. სახეზე მიტკლისფერი ადევს, წელს ზევით ტანი ჰაიპარად გავსებულ ტომარას მიუგავს. ვიწრო მხრებიდან კალთაში ჩაშვავებული საკუთარი სიმძიმის წყალობით. მერე ბაირონი ისევ თავისას აგრძელებს — „მაშ თქვენ ჯერ არაფერი გაგიგიათ“. ჰაითაუერი თვალს არ აშორებს. ბაირონი ფიქრთანად ამბობს: „ეტყობა, ესეც ჩემი გასაკეთებელია. ეტყობა, ორ დღეში, მაინცდამაინც, მე უნდა ვაუწყო ორ ადამიანს ისეთი ამბები, რისი მოსმენაც არც ერთს არ გაუხარდება. თუმცა გაუხარდება კი არა...“

„რაა ეგეთი, რისი ვაგებაც შენი აზრით არ გამეხარდება? რა არ გამიგია მაინც?“

„ხანძარზე არ ვამბობ“, პასუხობს ბაირონი. „ხანძარს ღვთის მადლით გადაურჩნენ“.

„გადაურჩნენ? განა მის ბარდენი მარტო არ ცხოვრობდა?“

ბაირონი ცოტა ხანს უსიტყვოდ შესცქერის. ჰაითაუერსაც მხოლოდ ყურადღება და ინტერესი აწერია სახეზე. „ბრაუნი და ქრისტმასი“, ამბობს ბაირონი. ჰაითაუერი ისევ უხმოდ მისჩერებია. „მაშ, არც ეგ გაგიგიათ“, ამბობს ბაირონი. „ისინიც იქა ცხოვრობდნენ“.

„იმ სახლში? ქირით?“

„არა, სახლის უკან. ზანგების მიტოვებულ ქოხში. ქოხი ქრისტმასს შეუკეთებია ამ სამი წლის წინ. მას მერე თურმე იქ უცხოვრია, ჩვენ კი თავს ვიტყუბდით, ვერ ვაგვეგო, ღამეს სად ათევდა, მერე, როცა ისა და ბრაუნი შეამხანაგდნენ, ბრაუნიც თავისთან დაუბინავებია“.

„ჰოთო“, ამბობს ჰაითაუერი. „კი მაგრამ... თუკი თავს კარგად გრძნობდნენ და თან არც მის ბარდენი...“

„თავს, მე მგონი, მშვენივრად გრძნობდნენ. ვისკით ვაჭრობდნენ, იმ ძველ კარ-მიდამოს კი საწყობად და საფრად იყენებდნენ, ქალმა ალბათ არც იცოდა — ვისკიზე ვამბობ. უოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, იყო-

და თუ არა, საქმე ქრისტმასს წამოუწყია, ჯერ მარტოვას, სამი წლის წინ, სულ რამდენიმე მუდმივი მუშტარი ჰყოლია და ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მაგრამ მერე, ბრაუნის რომ გაიყვანა, ერთობა, ფრთების გაშლა მოუხდა. ნებისმიერ ბნელ კუნძულში პირდაპირ უბიდან ამოუდვრენდა და მიჰყიდდა ნაბევი ბოლოს ძაღლსა და მთელს. იმას ჰყიდდა ალბათ, რაც ავიტონ მოჩებოდა. მე მგონი, დიდი ტვიხის კვლევა არ სჭირდება იმის მიხედვრას, საქონელს როგორ და რა გზით მოულობდნენ. ახლადა გაახსენდა ყველას, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, რაც ფაბრიკა მიატოვა და დილიდან დაღამებამდე იმ ახალი მანქანით დაქროდა აღმა-დაღმა უაზროდ, მთვრალი როგორ აწონებდა თურმე სადალაქოში შეყრილ ხალხს თავს, ქრისტმასის და თავის კარგობაზე მიედ-მოედებოდა რაღაც-რაღაცებს როგორ უვარკაციათ ერთ ღამეს მემფისში თუ სადღაც, მემფისის შორიახლოს ბნელ გზაზე. ბუჩქებში დამალულ თავიანთ ავტომობილზეც გადაუკრავს სიტყვა, დამბაჩებზეც, ვილაკის საბარგო მანქანაზეც, ათას გაღონ სპირტზეც და რა ვიცი, რაღაზე არა. მერე სადალაქოში ქრისტმასიც შესულა ჩქარი ნაბიჯით, ჯიქურ მისდგომია და სკამიდან წამოუგდია თავისებურად შშვიდად ელაპარაკებოდა, გაცოფება არ ეტყობოდა. მაგრამ ვაი იმ სიმშვიდესო. „გაწყენს ბიჭო, ამდენი ჩეფერსონული ოდეკოლონის სმა, რომ ბედავ, უკვე თავშიც აგვარდნია და იქნება ცხვირიდანაც წამოგდინდესო“. — უთქვამს ბრაუნისათვის, მერე, ცალი ხელით რომ გაუკავებია, მეორეს სახეში ულაწუნებდა თურმე. მაგრად არ ურტყამდაო. თუმცა, დასარტყმელად რომ წაიღებდა ხელს, ბაკენბარდებიც ვერ ფარავდა, როგორ უხურდა და უვარვარებდა ბრაუნს ხორციო. „გარეთ გამო, ცოტა სუფთა ჰაერი ჩაყლაპე, რომ ხედავ ხალხს მუშაობაში ხელი ეშლებათ“. ბაირონი ჩაფიქრდა. მერე ისევ გააგრძელა: „მოკლედ, აი, ასე მოულოდნელად გამომეცხადა. ფიქარზე დასკუბებულოცო და თვალს არ მაცილებდა. მე კიდევ, ავდექი და ყველაფერი წერილად დავფქვი. თვითონ არ ვიციოდი, რას ვბლუყუნებდი. ბოლოს მეკითხება — აი აქ, ტუჩთან, პატარა თეთრი ნაბარევი ხომ არა აქვსო?“

„მაშ ბრაუნია ის კაცი“, ამბობს პაითაუერი. გაუნძრევლად ზის და ბაირონს რაღაცნაირი შშვიდი ვაოცებით შესუქვითის. მის მზერაში რისხვისა თუ შეურაცხყოფილი ზნეობის ნატამალიც არ გამოსკვივის, თითქოს სრულიად განსხვავებული, სრულიად უცხო ჯურის ხალხის ამბავს ისმენს. „ესე იგი, ქმარი ბუტლეგერი ჰყავს, კარგია, კარგი“. და მაინც, მოსაუბრის მზერაში ბაირონი რაღაც იღუმალს, გასაღვიძებლად გამზადებულსაც ამჩნევს, ჯერ თავად პაითაუერისთვისაც უცნობსა და ვაუაზრებელს. ოღონდ, უთუოდ მისეულს, მის აოსებაში ჩაბუდებულს, მის გასაფრთხილებლად და შესამზადებლად. ბაირონისთვის კი ეს ყოველივე მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და მომავალი სათქმელის ანარეკლია და სხვა არაფერი.

„და ეგ მანამდე ვუთხარი, ვიდრე თვითონ ბოლომდე შევიტყობდი ყველაფერს, არადა, უკვე მაშინაც მზად ვიყავი ენა მომეკვნიტა, მაშინაც კი, როცა უარესს არაფერს ველოდი“. პაითაუერისთვის ახლა თვალი აურიდებია, ღამის სიჩუმეში სუსტად, ოღონდ მკაფიოდ მოისმის შორეული ეკლესიის ორღანისა და გალობის ერთმანეთში არეული ხმები. ნეტავი ესმის თუ არა ფიქრობს ბაირონი ან იქნებ უკვე იმდენჯერ და ისე დიდხანს უსმენია, ახლა აღარაფერი ეყურება, იქნებ აღარც სჭირდება ყურის მიგდება „მთელი საღამო, ვიდრე მუშაობას არ მოვრჩი, სულ იქ იჯდა, როდის როდის კვამლიც გაიფან-

ტა, მე კი ისევ თავს ვიმტვრევდი, რა ვუთხრა და როგორ მოვიქცე-მეთქი. იმას პირდაპირ ნახანძრალზე უნდოდა მისვლა. მთხოვა გზა მიმასწავლევო, როცა ვუთხარი, იქამდე ორი მილია-მეთქი, ჩაელიმა, თითქოს უქკუო ბაღში ვედექი წინ. „ალაბამადან მოვდივარ და კიდევ ორი მილის გავლამ აბა...“ უნდა მიყოსო — მითხრა. მაშინ ვეუბნები... ბაირონი ჩუმდება ფიქრებში ხასცქერის იატაკს. მერე თავს იღებს. „ეტყობა, ვიცრუე. თუმცა, კარგად ვიცი, რომ თქვას, ტყუილიც არ მითქვამს. ხანძრის საცქერლად ხომ ქვეყანა იქნებოდა შეყრილი, ის კიდევ მივიდოდა და ძებნას დაუწყებდა. სხვა მაშინ თვითონაც არაფერი ვიცოდი და არც არაფერი მაკავებდა. სხვა, დანარჩენი. ყველაზე უარესი. ამიტომაც ვურჩიე, ახლა ალბათ ძალიან დაკავებული იქნება თავისი საქმეებით და ჯობია საღამოს ექვსის მერე ქალაქის ცენტრში ვნახოთ-მეთქი. ეს უფრო იოლია, უექველად იქ დაგვხვდება-მეთქი. სიმართლე ვუთხარი. თვითონაც ხომ საქმეს ეძახის თავის ჩალიჩს, მიიხუტებს ტიტველ მკერდზე პატარ-პატარა, ცივ ბოთლებს და დაძრწის, დასუნსულებს მოედანზე ან მოედნის შორიახლოს, სადმე ბნელ ხეივანში. მოკლედ, როგორც იყო, დავარწმუნე, მოცდა აჯობებს-მეთქი და ისიც დამყაბულდა, იქდა თავისთვის, მელოდებოდა, მეც ვითომ საქმეს მივუბრუნდი, ოღონდ იმაზე ფიქრი არ მაძლევდა მოსვენებას, რა უნდა მეღონა, რა გზას უნდა დავდგომოდი. ახლა რომ მახსენდება, როგორ ვწუხდი, რა ცოტა ვიცი-მეთქი, ახლა, როცა ბოლომდე გავიგე ყველაფერი, მეცინება — ნეტავი რა მქონდა საწუხარი?! მთელი დღეა იმას ვნატრობ, გუშინდელი დღე დაბრუნდებოდეს და გუშინდელზე მეტი სადარდებელი დღესაც არაფერი მქონდეს-მეთქი“.

„მე ჭერაც ვერ გამიგია რა გაქვს საწუხარი და სადარდებელი“, ამბობს პაითაუერი. „შენ ზნეს ვერც იმ კაცს შეუცვლი და ვერც იმ ქალს. რითაც შეგვძლო, დაეხმარე. მეტს ნეტა რომელი უცნობი გაუკეთებდა. თუკი...“ მერე პაითაუერიც ჩუმდება. შუა გზაში უწყდება სიტყვა, თითქოს იქამდე ზარმაცი, ზანტი ფიქრი ჭერ გარკვეულ აზრად. შემდეგ კი თანაგრძნობადაც ასწრებს ჩამოყალიბებას. აქეთ-იქედან უსხედან მაგიდას, ბაირონი გაუნძრევლად ზის, თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული, პაითაუერი უნმოდ მისჩერებია და ჭერ არ ფიქრობს — სიყვარულიაო. არ ფიქრობს, ოღონდ არც ის ავიწყდება, ახალგაზრდა, მარტოხელა კაცი რომაა ბაირონი. მძიმე ჯაფის გარდა სხვა არაფერი ახსოვს ცხოვრებაში, ხოლო ის ქალი, ვინც თვითონ თვალითაც არ უნახავს, ვისაც მარტოდენ ბაირონის ნაამბობით იცნობს, სხვა თუ არაფერი, რაღაც შემაწუხებელ გრძნობას ნამდვილად აღძრავს, თუმცა, ბაირონს რომ ჰკითხო, ეს გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ სიბრაღულია და მეტი არაფერი. ასეა თუ ისე, უკვე გამომცდელი თვალით შესცქერის ბაირონს, არც ცივია მისი მზერა და არც თბილი, ბაირონი კი უწინდელივით უნდოდ, უხალისოდ აგრძელებს თხრობას: ექვსი საათი ისე შესრულებულა, ვერაფრის მოფიქრება და გადაწყვეტა ვერ მოუხსრია, მაშინაც ორჭოფობდა თურმე, როცა ის და ლინა ბოლოს და ბოლოს მოედანზეც გამოსულან. პაითაუერს ნელ-ნელა ეცვლება ფიქრიანი მზერა, და როცა ბაირონი ამბობს, მოედანზე გამოსულს როგორ მოუვიდა აზრად ლინას მიყვანა მისის ბიარდის პანსიონში, თითქოს შიშიც იბყრობს, ავი წინათგრძნობა ეუფლება. ბაირონი კი მშვიდად, აუჩქარებლად ლაპარაკობს, ახლალა ახსენდება, უცებ თითქოს როგორ გაიელვა ჰაერში რაღაცამ, საღამოც გადაასხვაფერა და ადამიანთა ნაცნობი სახეებიც გააუცნაურა, თვითონაც, როცა ჭერ არაფერი იცოდა.

არაფერი გაეფლნა, ეჭვიც არ აღძროდა, რა მომხდარიყო და რას ექცია მის წელანდელი თავსატეხი ბავშვურ სადარდებლად. უეტრად როგორ მიხვდა რამენაირად, ყოველ მიზეზგარეშე რომ უნდა დაეცვა და დაეფარა ღონა რაღაცისგან, აქვე დარწმუნებული იყო, დაკარგული ღმერთის ბარჩი ნაპოვნ მყავსო: ადრე როგორ ვერ მიხვდით — გულზე ხეტქავდა საკუთარი სიბრყვე და სისულელე. ეჩვენებოდა, თითქოს ბედისწერა შემთხვევას უკვე ყვირელ კვამლად წაეწერა გაფრთხილება, თვითონ კი ვკუა არ ყოფნოდ ამ გაფრთხილების ამოსაკითხავად. ამიტომაც, არავისთვის და არაფრისთვის არ უნდა მიეცა გამოლაპარაკების, კრინტის დაძვრის, ხმის ამოღების საშუალება — არც გვერდით ჩაელილი ნაცნობებისთვის და არც ახალი ამბით ერთიანად გაქლენთილი ჰაერისთვის — არ უნდა მიეცა, რათა ქალსაც არ შეეტყობა რამე. ალბათ უკვე ხვდებოდა, ადრე თუ გვიან ისიც აუცილებლად რომ გათვებდა ყველაფერს, მაინც გაიგონებდა: ბოლოს და ბოლოს სრული უფლებაც ჰქონდა ამისა. მაგრამ, ბაირონს რატომღაც ეგონა, თუკი ღინას მოედანზე უხიფათოდ გადაატარებდა და შინ მშვიდობით მიიყვანდა, პასუხისმგებლობაც მოეხსნებოდა, ბოროტებისთვის არა — ამ პასუხისმგებლობას განუწყვეტლივ გრძნობდა, რადგან მთელი საღამო, როცა ბოროტება ხდებოდა, ქალის გვერდით გაეტარებინა, ბედისწერას ენება ასე, ბედისწერას განემწესებინა მაინცდამაინც ბაირონი ჯეფერსონის წარმომადგენლად და განმასახიერებლად ღინას წინაშე. იმ ქალის წინაშე, ვისაც ოცდაათ დღეში ფეხით, უფულოდ, მარტოდმარტოს გამოეველო ამოდენა გზა. ამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების არც იმედი ჰქონდა და არც სურვილი. უბრალოდ, უნდოდა ცოტა კიდევ გაეჭიანურებინა, ცოტა დრო კიდევ მოეგოთ თვითონაც და ქალსაც, ვიდრე შეძრწუნებისა და გაოგნების ფაზი დაჰკრავდა, ყოველივე ამას მშვიდად ჰყვება, ოდნავ აბნეულად, თავჩაქინდრული ზის და მოღლილი, უხალისო ხმით ლაპარაკობს, მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი პაითაუერი კი ისევ შეშინებული შეჰყურებს, თითქოს მთელი არსებით უარყოფს და უძალიანდება რაღაცასო.

როგორც იქნა, პანსიონსაც მშვიდობიანად მიაღწიეს და შიგ შევიდნენ. მაშინ თითქოს ღინასაც გაუჩნდა წინათგრძნობა, წინკარში რომ შეყოვნდნენ წამით, ბაირონს შეაცქერდა და მაშინღა ჰკითხა: რისი თქმა უნდოდა იმ ხალხს? იქ ხომ არ მომხდარა რამე უბედურებაო?

„არა, ისეთი არაფერი“, მიუგო ბაირონმა, საკუთარი ხმა თვითონვე ეუცხოვა, ცივი და ფუყე მოეჩვენა. „მგონი, მის ბარდენი დაშავებულია“.

„მძიმედ დაშავებულია?“

„არა მგონია, იქნებ, სულაც კორი გამოდგეს ყველაფერი, იგონებენ ალბათ რაღაცას, ხომ იცით ხალხის ამბავი?“ თან თვალს ვერ უსწორებდა ქალს, ცდილობდა საერთოდ არც გაეხედა მისკენ, არადა, განუწყვეტლივ გრძნობდა ღინას მზერას და თითქოს, უთვალავი სხვადასხვა ხმაეც ესმოდა: მოგუდულ დაძაბულ ბგერებს გაევესოთ მთელი ქალაქი, ის მოედანი, წედან ფაფაფუცით რომ გადმოჰრეს, ყოველი სახლი, სადაც, საიშედო და ნაცნობ სინათლეში, ხალხი ახალ ამბავზე სალაპარაკოდ იყრიდა თავს, თითქოს პანსიონიც ნაცნობი ხმებით იყო სავსე, მაგრამ, უმთავრესად მაინც ერთიანი მოდუნება, საოცარი სიზანტე გამეფებულიყო და როცა სანახევროდ ბნელ დერეფანს გასცქეროდა, ერთადერთი აზრი უტრიალებდა გონებაში რად იგვიანებს, რატომ არა ჩანს მერე მისის ბიარდიც გამოჩნდა: კმაყოფილი, წითელმკლავება.

ქალაქში უბრალო და ომაჯაჩვილი. „ეს მასის ბარჩი გახლავთ“, უთხრა ბაირონი. თან დაეინებოთ, დაძაბულად, წაუტყდა უცქერდა თვალებში ჩამოვიდა ალაბამადან. ქმარს უნდა შეხედეს აქ. ქმარი კი ჯერ არ ჩანს. აქ მოვიყვანე. მინდა ცოტა ღიხვეწოს, ვიდრე ჩვენი ქალაქის ორსულნი ჩაებმებოდეს. ქუჩაში ჯერ არც ვაუვლია. არავის დალაპარაკებია. ვეგება ადგილი გამოუნახოთ-მეთქი, ცოტა სული რომ მოითქვას, ვიდრე აქაურ მიტქმა-მოთქმას გაიგებდეს და...“ ბაირონი ჯიუტად, დაძაბული ლაპარაკობდა. ერთსა და იმავეს იმეორებდა. თითქოს რაღაცის მინიშნებას ცდილობს, მერე უცებ გაჩუმდა, ხმა გაკმინდა. ალბათ დაიჭერა. მისის ბიარდი ჩემი ნათქვამის ფარულ აზრს ჩასწვდაო. მოგვიანებით მიხვდა, ქალმა მისი თხოვნის გამო კი არ შეიკაფა თავი იმის სათქმელად, რაც, ბაირონის ღრმა რწმენით, უკვე უსათუოდ უნდა სცოდნოდა, უბრალოდ, ლინას ორსულობა შეემჩნია და ასეთ ახალ ამბავს უეცრად ქალს ნებისმიერ შემთხვევაში დაუმაღავდა. მერე მისის ბიარდი ლინას დააკვირდა, ყურადღებით შეათვალიერა, სწორედ ისე, როგორც ყველა სხვა უცნობი ქალი აკვირდებოდა აგერ უკვე ოთხი კვირის მანძილზე.

„მაინც, რამდენ ხანს დარჩება?“ იკითხა მისის ბიარდმა.

„ერთი-ორი დღე“, უპასუხა ბაირონი. „იქნებ მხოლოდ ამაღამაც. ქმარს უნდა შეხედეს ჯეფერსონში. ახალი ჩამოსულია და ჯერ გაკითხვ-გამოკითხვაც ვერ მოასწრო წესიერად...“ ისევ უწინდებურად დაძაბული, ჯიუტი ხმა ჰქონდა, ისევ დაბეჭითებით იმეორებდა ერთსა და იმავეს, თითქოს უთქმელად უმხელდა საიდუმლოს. უთქმელად სთხოვდა დახმარებას. მისის ბიარდმა ახლა ბაირონზე გადაიტანა მზერა. ბაირონს ეგონა, ალბათ კარგად ვერ ავუხსენი, ალბათ, ბოლომდე ვერ გაეგებინე, რაც მინდოდაო, არადა, სინამდვილეში მისი გაწამაწიის შემხედვარე ქალს ეჭვიც არ ეპარებოდა (ანდა, სულ მალე გაუქარწყლდებოდა, ათუკი ჰქონდა რაიმე ეჭვი), სულ სხვა მიზეზი და საფუძველი აქვს ბაირონის უაზრო ლუღლუღსო. მერე ისევ ლინას გადახედა. კაცმა რომ თქვას, მთლად ცივადაც არ შეუხედავს, თუმცა არც სითბო იგრძნობოდა იმის მზერაში..

„მე მგონი, ახლა სადმე წასვლას აზრი არ უნდა ჰქონდეს“, თქვა მისის ბიარდმა.

„მეც ასე ვფიქრობ“, სწრაფად, ხალისით დაუკრა კვერი ბაირონი. „ქალაქში მღვდვარებაა, ათას ტყუილ-მართალს ვაიგონებს ადამიანი, ეს კი ასეა. ამბებს მიჩვეული არაა... თუ ამალამ თქვენთან ბევრი ხალხია, ჩემს ოთახს დავუთმობ“.

„კო“, თქვა მისის ბიარდმა მაშინვე. „მით უმეტეს, სადაცაა გზას უნდა ვაუდგეთ. მაშ, ორშაბათ დილა მდე თქვენს ოთახში იცხოვრებს?“

„ამალამ არსად მივდივარ“, თქვა ბაირონი. მოსაუბრისათვის თვალი არ აურიდებია. „დღეს, ეტყობა, ვერ მოვახერხებ“. მისის ბიარდის ცოცხალი ეჭვიან თვალებს უცქერდა და იმედი ჰქონდა. ჩემს მზერაში ქალი იმას კი არ ამოიკითხავს, რის დანახვასაც თვითონ ელოდება, არამედ იმას, რაც იქ მართლა იმალებაო. ამბობენ, მოტყუება მხოლოდ გაქნილი ცრუბენტელი საჭმეაო. მაგრამ, ძალიან ხშირად, გამჯდრილი და გამოუსწორებელი მატყუარა მხოლოდ თავს იტყუებს; ძალიან ხშირად, სწორედ იმ კაცის ტყუილს ირწმუნებენ ხოლმე უფრო იოლად და სწრაფად, ვინც მთელი თავისი ცხოვრება მხოლოდ სიმართლეს ქადაგებდა.

„პოლი“, თქვა მისის ბიარდმა. მერე ისევ ლინას შეხვდა. „ესე იგი ჩეფერონში არავის იცნობს?“

„არავის“, მიუგო ბაირონმა. „აკი ვითხარით, დღეს ჩამოვიდა მეოქი ალა ბამადან. მისტერ ბარჩი კი ალბათ, დილით გამოჩნდება“

„გასაგებია“, თქვა მისის ბიარდმა. „კი, მაგრამ თქვენი მისიონერები?“
თუმცა პასუხისათვის არც დაუცდია. „კეთილი, ამალა დაუგებ ლოგინს. თუკი თვითონ თანახმაა“.

„ძალიან კარგი“, თქვა ბაირონმა. „მაგას რა ჯობია“
ვახშმის ხარს რომ შემოჰკრეს, ბაირონი უკვე მზად იყო. მანამდე მოახერხა და მისის ბაიარდი დაიმარტოხელა. ახალი ტყუილის გამოცხობას მეტადრო დასჭირდა. ვიდრე ყველა ადრინდელს. მერე კი ისევ არაფერში დასჭირდა — რის დამალუასაც ცდილობდა. თვითონ დამილა თავი. „მაგიდასთან კაცები ალბათ ახალ ამბაეზე ილაპარაკებენ“. უთხრა მისის ბიარდმა. „მაგის დღეში მყოფ ქალს კი (თანაც კმარს რომ დაეძებს, კმარი კი ყველა სიკეთესთან ერთად, ბარჩია გვარადო. — გაიფიქრა მწარე ირონიით). კაცებს ახალ-ახალ სისამაგლეების მოსმენა არაფერს არგებს. მოგვიანებით შემოიყვანეთ როცა ყველანი ივახშმებენ“. ბაირონიც ასე მოიქცა. ლინამ ახლაც მადიანად ივახშმა, კვლავ დინჯად და დარბაისლურად ეჭირა თავი. თუმცა, ვიდრე ქამას მოჩიებოდა, ლამის თეფშზე ჩამოეძინა.

„რას ვიფიქრებდი, ასე თუ გამომასავეათებდა... ვზახუ ვამბობ“, იმართლა თავი.

„წადი, სასტუმრო ოთახში დაჯექი, მე მანამდე ლოგინს გაგიშლი“, უთხრა მისის ბიარდმა.

„არა, მეც უნდა მოგეხმაროთ“, თქვა ლინამ. მაგრამ ბაირონიც ატყობდა. თითის თითზე დამკარებელი რომ არ იყო, ზეზეურად ეძინა.

„წადი, სასტუმრო ოთახში მომიცადე“, გაუმეორა მისის ბიარდმა. „მისტერ ბარჩი ალბათ უარს არ გვეტყვის და ცოტა ხანს გაგართობს“.

„მარტო დატოვება მეშინოდა“, ჰყვება ბაირონი. საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს პაითაუერი გაუნძრევლად ზის. „პოდა, ვისხედით იქ, ამ დროს კი, ქალქის ცენტრში, შერიფის ოთახში, საიდუმლოს ფარდა ეხდებოდა, სწორედ მაშინ დაფქვა ბრაუნმა ყველაფერი — თავის თავზეც, ქრისტმასზეც, ვისკიზეც და კიდევ ათას რამეზე. ოლონდ ეგაა, ვისკის ამბავი ალარავის გაჰკვირვებია, ყველამ იცოდა იმ დღის მერე, რაც ქრისტმასმა ბრაუნი შეიამხანაგა. მთელ ქალაქს მარტო ის აოცებდა და ის ვერ აეხსნა, საერთოდ რატომ გაუყადრა თავი, ალბათ იმიტომ. მსგავსი არამცთუ ყოველთვის რომ პოულობს, არამედ ვერასდროს ვერც ემალება მსგავსს. გინდაც, მხოლოდ ერთ რამ ჰქონდეთ საერთო, ერთი რამ ამსგავსებდეთ. თუმცა ისინი მსგავსშიც განსხვავებულები იყვნენ. ქრისტმასი ფულის გულისთვის არღვევდა კანონს, ბრაუნს კი იმდენი ჰკუთაც არ ჰყოფნიდა მიხვედრილიყო — კანონს ვარღვევო. იმ სალამოსაც ვერე არ მოხდა, სადალაქოში, მთვრალი რომ ატარტალებდა ენას და ქრისტმასმა კინწისკვრით გამოაგდო გარეთ? სწორედ მაშინ დაეჰკვირვებოდა მისტერ მაქსი — როგორ გგონიათ, რის თქმას აპირებდა ეს ჯიბიდან გავარდნილიო? კაპიტან მაკლენდონს უთქვამს, მაგის მეტი საფიქრებელი და სადარდებელი არ მომცა ნეტა ღმერთმაო. მაქსის უკითხავს, ვითომ მართლა ჰგვანან სპირტით სავსე მანქანაზე თავდამსხმელებსო? მაკლენდონს კიდევ — თქვენ რა, ქრისტმასისგან მაგაზე უარესებიც გაგიკვირდებათო?“

„აი, სწორედ ამეებს ჰყვებოდა თურმე ბრაუნის წუხელს, მაგრამ ეს ამბავი უკვე ყველამ იცოდა, დიდი ხანია ლაპარაკობდნენ. მის პარტენი გიგანა უნდა გააფრთხილოსო, ოღონდ, მე ბგონი, მსურველი არაფერს ვაპირებ ვინ რა იცოდა, რა მოხდებოდა? ის კი არა, ჩვენში აღბათ ბევრს სთავადაც არ უნახავს ის ქალი, სიმართლე გითხრათ, არც მე მაინცდამაინც ვულო ამ ძველი სახლისაკენ, სადაც მარტო დამაბრუნებდა, თითქოს ხალხს ემალებოდა და მართლა ვერც ხედავდა ვერაფერს, მან-დახას იქით შემთხვევით ჩავლილ ფორანში მსხდომნი თუ მოპკრავდნენ თავს უზოში მოფუსფუსეს, ისეთი ქუდი ეხურა თურმე და ისეთი კაბა ეცვა ხოლმე, ბევრი ჩემი ნაცნობი ზანგი დედაკაციც კი იუკადრისებს, თუმცა, ვინ იცის, იქნება ყველაფერი მშვენივრადაც მოეხსენებოდა და თავს ხუჭავდა, არაფერს ამბობდა, აქი იანკო იყო, სხვანაირი, მაშინ ვინ რას იფიქრებდა, რა მოხდებოდა.



მოკლედ, სანამ დასაძინებლად არ წავიდა, გვერდიდან ვერ მოვშორდი, წუხელვე მიხდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ დავტოვე, მდგმურები მიღობოდიოდნენ და რა ვიცოდი, ვის როდის მოუვიდოდა აზრად ახალ ამბავზე სიტყვის ჩამოგდება; უკვე მესმოდა კიდევ, როგორ საუბრობდნენ პარმალზე, ლინა კი, ისევ მომჩერებოდა და საბუზე ეწერა, ერთი სული ჰქონდა ჩანძრის ამბავი გამოეკითხა, ამიტომ ვერ დავტოვე მარტო, სასტუმრო ოთახში ვისხედით, თავლებს ძლივს ახელდა, მე კი ვარწმუნებდი, ქმარს აუცილებლად გაპოვნიებ, ოღონდ ჯერ ერთ ჩემს ნაცნობ მღვდელთან უნდა მივიდე და მოველაპარაკო, იქნებ ძებნაში დაგვეხმაროს-მეთქი, თავლდაბუქული მისმენდა, აღბათ ფიქრობდა, ვერც ეს ხვდება, მე და ჩემ ლუქასს ჯერ ჯგარი რომ არ დაგვიწერიათ, ეგონა, ყველა გავაცურეო, მერე შევკობებმა, რა კაცია, ვისაც ჩემი ამბავი ვინდათ უამბოთო, მეც ვუთხარი, ისევ თავლდაბუქული იქდა და პოლოს ვეუბნები — ჩემი ნათქვამი ერთი სიტყვაც არ გავიგონიათ-მეთქი, მაშინ თითქოს ოდნავ გამოცოცხლდა, ოღონდ თავლები მაინც არ გაუხელია, და მკითხა — ჯვარის დაწერის უფლება თუ აქვსო? რისა უფლება მეთქი? — ვითომ ვერ გავიგე, თუ შეუძლია ხალხს ჯვარი დასწეროსო?”

პაითაუერი მოელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ შერხეულა, მაგიდასთან წელგამართული ზის, მკლავები სავარძლის სახელურებზე უწყვია, არც საყელო უკეთია და არც მიჯაჭო აცვია, ერთსა და იმავე დროს, ხმელი და დონდლო სახე აქვს, თითქოს ორი, ერთმანეთზე გადაფენილი სახე იცქირება ქალის არშიაშემოვლებული, ცვილისფერი, მელოტი შუბლის ქვემოდან, სათვალის ტყუპი, უტყვი, ბრჭყვიალა შუშებიდან, მაგიდის ზემოთ დარჩენილი ტანი უფორმოა, ქონმოდებული, ლამის მანჩიც, დუნე, უმოძრაო ცხოვრებით დამაბინჯებული, გახვევებული ზის, სახეზეც უკვე აშკარად აწერია შიში და შესფოთება, „ბაირონ“, ამბობს პაითაუერი; „რას მიყვები, ბაირონ?“

ბაირონი ჩუმდება, მშვიდად, თანაგრძნობით, სიბრალულით შესცქერის, „ვიცოდი, ჯერ ვერაფერს გაიგებდა-მეთქი ვიცოდი, მე მომიწყვდა თქვენი თვის თქმა“.

ცოტა ხანს უხმოდ შესცქერიან ერთმანეთს, „რა არ გამიგია?“
 „აი, ქრისტმასის ამბავა, გუშინდელი, ქრისტმასს ზანგის სისხლი ჰქონია, ეგ არ იცოდით, ეგ და ბრაუნის წუხანდელი ნაამბობი“.

„ზანგური სისხლი“, იმეორებს პაითაუერიც, ჩვეულებრივი ხმა აქვს, წონადაკარგული, თითქოს ნარშავის ბუმბლი დაფარფატებს სიჩუმეში მსუბუქად.

უბრალოდ პაითაუერი არ ირხვეა. კიდევ ცოტა ხანს ზის გაუძიოვლად მერე თითქოს სხეულის ნაწილებიც საბის ნაკვეთებივით აგვებულანო მთელ ტანში ერთბაშად დაუვლის თავდაცვისა თუ თავის გასაძინის სურვილ და ბაიროსიც ხედავს, უეცრად იფლისგან რაგორ აუღიანდა და ახლოს ფართო, გარინდული საბე. თუმცა, ხმა ჯერ მაინც მშვენიერად იმყოფებოდა. უნაო. „სხვას რას მეტყვი კიდევ ქრისტმასზე, ბრაუნზე და გუშინდელ დღეზე“

შორეული მუსიკის ხმა კარგა ხანია მიწყდა. ოთახის სიჩუმეს ახლა მბოლოდ მწერების გაუთავებელი შარიშურა და ბაირონის მონოტონური ლპარაკილა არღვევს. პაითაუერი წელგამართული ზის მაგიდასთან. საგარძლო სახელურებზე მკლავები პარალელურად ჩამოუწყვია, ხელის მტევნები ძირდაუშვია, მარტო ზედატანი მოუჩანს და რაღაცით აღმოსავლურ კერძსა ჰგავს.

„გუშინ დილით ვიღაც გლეხი თავის ოჯახთან ერთად ფორნით მომეღლებულა ჯეფერსონში. ცეცხლიც პირველად სწორედ იმას დაუნახავს. თუმცა არა: კარი რომ შეუმტვრევია და სახლში შესულა, შიგნით უკვე ვიღაც დახვედრია. სახლს რომ გასწორებიან, იმ გლეხს ცოლიათვის უთქვამს. ნახე ეს რამოდენა ბოლი გამოდის სამზარეულოდანო. მერე ვხე გაუგრძელდებიან. მაგრამ ცოლი დაეჭვებულა. მაგ სახლში, მგონი, ხანძარი უნდა იყოსო. ფორანი გაუჩერდებიან, ცოტა ხანს კიდევ მსბდარან ასე. ბოლს მიშტერებულნი, და მერე დასთანხმებია თვითონაც ცოლს — მგონი, მართალი ხარ, ხომ იციო ვტყობა. ცოლმა ურჩია, წადი. ნახე, ერთი რა ზღებო. „აღბათ არ იციან ცეცხლი რომ უკიდიან. მიდი და გააგებანო“, — ეტყოდა აღბათ. ისიც დაწყაბულდებია, ფორნიდან ჩამოსულა, პარმალს მისდგომია და ერთხანს იქ გაჩერებულა. იქიდან უხმობდა სახლის პატრონს. როცა ამო ყვირილით დაღლილა და სახლში მობუბუნე ცეცხლის ზმაც გაუგონია, კარი მხრით შეუმტვრევია, შესულა და ის კაციც დაუნახავს, აღბათ ხანძრის პირველი აღმოჩენნი. ის კაცი კი, სწორედ ჩვენი ბრაუნი ვახლდათ. მაგრამ, გლეხმა რა იცოდა მარტო ის შეუმჩნევია. გაღეწილი მთვრალი რომ იყო, კიბეზე დაგორებულსა და ფეხზე ძლივძლივობით წამომდგარსა ჰგავდაო. „ბატონო, თქვენი სახლი იწვისო“, უთქვამს გლეხს და მერე და მიმხვდარა, რა ტყუილად კარგად დროს, რა უგონოდ იყო გაღეწილი ბრაუნი. ეჭოსა და იმავეს იმეორებდა თურმე სულ — ზევით სხვა არავინაა, ყველაფერი ცეცხლშია გახვეული და რამის გადარჩენაზე ფიქრიც სისულელეაო.

მაგრამ გლეხს დაუნახავს, ზემოთ ჯერ მაინცდამაინც დიდი ცეცხლი არ უნდა ყოფილიყო, ბოლი უკნიდან. სამზარეულოს მხრიდან ყამოდიოდანთანაც, იმ გაღეწილ კაცსაც რა ჰკეთა მოეკითხებოდა, რა დაეჭერებოდაო. ან უთქვამს, გულმა რეჩხი მიყო. რაღაც ავი მიაზრა, რადგან მთვრალი ცოცხალთავით არ მიშვებდა ზევითო. მაინც აპყოლია კიბეს, ატორლიალებული ბრაუნი ძლივს მოუშორებია და მეორე სართულზე ასულა. მთვრალი ცოტახედ კიდევ მომყვა, თან მომძახოდა, მანდ რა დაგრჩენია, კაციშვილის ჭაჭანება არააო. მერე კი, როცა ისევ უკან ჩამობრუნებულა და მთვრალი ვახსენებია, კვალც ვეღარსად უბოვია იმისა. თუმცა, მანამდე სანამ ბრაუნი ისევ მოაგონდებოდა, კარგა დრო გაივლიდა აღბათ. რა ებრაუნებოდა — მეორე სართულზე ასულს ისევ ყვირილი მოუერთავს, სათითაოდ შეუღლია ყველა ოთახის კარი და ბოლოს ქალიც დაუნახავს“.

ბაირონი ჩუმდება. ახლა კაბინეტში მარტო მწერების შარიშურილა ისმის.

უბოშოც მირიადი დაულალავი მწერი ფეთქავს და ხმაურობს. გაუთავებლად, რულისმომგვრელად. „ქალიც დაუნახავს“. იმეორებს ჰაითაუერიც. „მაშინ მის ბარდენი იპოვა, არა?“ გაუნძრევლად ზის. ბაირონი მისკენ არც იხედება. ბარაკისას მუხლებზე დაკრეფილ საკუთარ ხელებს დასცქერის.



„იატაკზე წოლილა. ქალარა ქალბატონი, თავი ლამის პირწვერვანზე წაიწია მოკვეთილი. გლებს უთქვამს, გაქვავებული ვიდექი. ცეცხლში მესმოდა და თანდათან ოთახიც ერთიანად იბოლებოდა. თითქოს ბოლიც მე შემომყოლოდა ფეხდაფეხო. ვერ ვბედავდი ქალი ამეწია და ოთახიდან გამომეტანა, მეშინოდა, თავი არ მოსწყვეტოდაო. მერე, ისევ ქვევით ჩაურბენია, გარეთ გამოვარდნილა — მაშინ მთვრალის გაქრობას ვერ რას შეამჩნევდა — თავის ფორანთან მიურბენია და ცოლისთვის უთქვამს, უახლოესი ტელეფონით ქალაქს დაუკავშირდი და შერიფი გამოიძახეო. მერე სახლისთვის შემოურბენია, წყლის ავზთან მივარდნილა და როცა უკვე ვედრო ჩაუშვია შივ, მაშინდა მიმხვდარა, რა სისულელეს ჩადიოდა — სახლის მთელი უკანა მხარე ერთიანად ცეცხლში ყოფილა გახვეული. მაშინ ისევ სახლში შებრუნებულა, ისევ აურბენია კიბეზე, ისევ იმ ოთახისთვის მიუშურებია, საწოლის გადასაფარებელი გადაუძვრია, ძირს დაუფენია, ქალი ზედ დაუწვევია, გადასაფარებლის ბოლოები ერთად მოუკრეფია, ფეხების ტომარასავით მოუგდია ზურგზე, სახლიდან გამოუტანია და თავისი ტვირთი ხის ძირას დაუსვენებია. ასე უთქვამს, რისაც ყველაზე ძალიან მეშინოდა, სწორედ ის მოხდაო, გადასაფარებელი გადახსნილა, ქალი გვერდულად წოლილა. თავი კი მთლად შემოტრიალებოდა თურმე, თითქოს ზურგს უკან იყურებო. გლებს უთქვამს, ცოცხალსაც რომ შესძლებოდა ასე ცქერა, იქნებ ახლა ამ დღეში არა ყოფილიყო“.

ბაირონი ისევ ჩუმდება. მერე მხოლოდ ერთხელ შეხედავს, ერთხელ, სწრაფად შეავლებს თვალს მაგიდის იქით მჯდომ კაცს. ჰაითაუერი კი ერთხელაც არ შერხეულა. სათვალის ტყუბი, სუსტად მოკაშკაშე მუშების ირგვლივ ნელ-ნელა და ჩიუტად ეცვარება სახე ოფლით. „მერე შერიფიცა და სახანძრო რაზმიც გამოცხადდნენ. მაგრამ გაკეთებით უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. წყალიც არა ყოფილა შლანგებისთვის, ჰოდა, ის ძველი სახლიც მთელი საღამო იწვოდა, მეც ვხედავდი კვამლს ფაბრიკიდან, იმასაც დავანახე — მაშინ ხომ არაფერი ვიცოდი. მერე მის ბარდენი ქალაქში ჩამოასვენეს, ანდერძი ბანკში ჰქონდა დატოვებული. ანდერძმა გააგებინა სწორედ ხალხს, ჩრდილოეთში, საიდანაც გადმოსახლებულიყო, უფრო სწორად, საიდანაც მისიანები გადმოსახლდნენ თავის დროზე. თურმე ძმისშვილი რომ ქყოლოდა, ძმისშვილს დეპეშა გაუგზავნეს და ორ საათში პასუხიც მოვიდა — მკვლელობა დამჭერს ათას დოლარ ჩილდოს ჰპირდებოდა.“

აღარც ქრისტმასი ჩანდა სადმე და აღარც ბრაუნი. შერიფმა რომ შეიტყო, იმ ქოხში ვილაც ცხოვრობდაო, მაშინდა ამოიდგა ყველამ ენა — იმის მოსაყოლად, რასაც ამდენი ხანი საიდუმლოდ ინახავდნენ, საგულდაგულოდ მალავდნენ, ვიდრე ერთ-ერთმა მათგანმა, ანდა, ვინ იცის, იქნებ ორივემ ერთადაც, მკვლელობა არ ჩაიდინეს. წუხანდლამდე ვერ იპოვეს ვერც ერთი გლებმა არ იცოდა, ის მთვრალი კაცი ბრაუნი თუ იყო. ხალხს შეიძლება ორივე გაქცეული ეგონა. მაგრამ, გუშინ საღამოს ბრაუნი გამოჩნდა, უკვე გამოფინილებულიყო, ასე, რვა საათზე გამოვიდა მოედანზე, სახეშეშლილი გაპყვიროდა — ქალი ქრისტმასმა მოკლაო, და ათას დოლარს მოითხოვდა. მალე პოლიციაც მოვიდა, ბრაუნი შერიფის ოთახში შეიყვანეს და უთხრეს.

ჯილდოს უსიკვდილოდ მიიღებ, როგორც კი ქრისტმასს დაიჭერ და დანაშაულისა და უმტკიცებო. მოკლედ, ბრაუნი ალაპარაკდა, როგორც ბრაუნს, როგორც ხოვრობდნენ ქრისტმასი და მის ბარდენი ცოლ-ქმარივით სწავლის განმავლობაში, მანამდეც, ვიდრე ისა და ბრაუნი შეამხანაურდნენ, თავიდან, როცა ქრისტმასთან გადასულა საცხოვრებლად, იმას უთქვამს, რომ ქონში ვათევ ღამესო. მერე, ერთ მშვენიერ ღამეს, ბრაუნს თურმე არაფრით მიკარებია ძილი და გაუგონია, როგორ ამდგარა ქრისტმასი, მის საწოლს მიახლოვებია, დაუხედიია, ცოტა ხანს შეუცდია, თითქოს ამოწმებდა, სძინავს თუ არაო, მერე ფეხაკრეფით მისულა კართან, უხმაუროდ გაუღია და გარეთ გასულა. ბრაუნიც ამდგარა და უკან გაჰყოლია, დაუნახავს, როგორ მიახლოვებია ქრისტმასი დიდ სახლს და როგორ შესულა უკანა კარიდან — კარი ან წინდაწინვე ღიად იყო დატოვებული, ანდა თვითონაც ჰქონდა გასაღებიო. მერე ბრაუნი ისევ ქონში შებრუნებულა და ჩაწოლილა. მაგრამ, ისე მეცივნებოდა, ველარ დაფწყნარდი, ველარაფრით ველარ დავიძინეო. ქრისტმასზე ეცივნებოდა თურმე — თავი რა ეშმაკი ჰგონიაო. ასე თვალდაჭყეტილი წოლილა მაშინაც, როცა დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ქრისტმასიც დაბრუნებულა. ასე თქვა, სიცილი უკვე ველარ შევიკავე და ვუთხარი — ოო, ბებერ მუსუსს ვახლავართო. ქრისტმასი სიბნელეში უცებ გაქვავებულა, ბრაუნი კი იწვა თურმე და იგუდებოდა, თან ელაზღანდარავებოდა — არც მთლად ისეთი მელა ხარ, როგორც გგონიაო. ქალის ქალარაზედაც გადაუკრავს ერთი-ორი სიტყვა და შეუთავაზებია კიდევ — თუ გინდა ხანდახან შეგენაც-ვლები, ბინის ქირის ანგარიშშიო.

მერე ისიც უთქვამს, სწორედ იმ ღამეს მივხვდი, ადრე თუ გვიან ქრისტმასი ან იმ ქალს, ან ვინმე სხვას, აუცილებლად მოკლავდაო. ვიწვექი, ვიცი-ნოდი და მეგონა, ქრისტმასიც ისევ ლოგინში ჩაწვებოდაო, იმას კი თურმე ასანთი გაუკრავს. ბრაუნსაც უცებ შეუწყვეტია სიცილი, ჩუმად ადევნებდა თურმე ქრისტმასს თვალს, სანამ ის ღამბასაც აანთებდა და ბრაუნის საწოლთან ყუთზე დადგამდა. სულაც აღარ მეცივნებოდა, როცა თავზე წამომადგა და ზემოდან დამაშტერდაო. „გეტყობა, კარგად გაერთე“, უთქვამს ქრისტმასს. „ამ ამბავს ხვალ სადალაქოშიც თუ მოჰყვები, სიცილით დახოცავ ხალხსო“. არ მეგონა, ასე თუ გაცოფდებოდა, რაღაც ვუბასუბესავით, იმისი გაბრაზება გულშიც არ გამივლიაო. ქრისტმასს კი თავისებურად, მოგუდული ხმით უთქვამს — „ძილი გაკლია. ბევრს ფხიზლობ, იქნება მეტი უნდა გეძინოსო?“ „მაინც რამდენი უნდა მეძინოსო?“ უკითხავს ბრაუნს. „რა ვიცი, იქნება საუკუნოდაც დაგეძინაო“. მაშინლა მივხვდი, რა გაცოფებულიც იყო, იმასთან ხუმრობა ნამდვილად არ ღირდაო. „განა ძმაკაცები არა ვართო?“ უთქვამს ბრაუნს. „სხვის საქმეში ცხვირის ჩამყოფს რა მიგავს? შენ რა, ჩემი არა გჯერაო?“ იმას კიდევ. „არ ვიცი და, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულ ერთიცაა, აი შენ კი, შეგიძლია დამიჯეროო“. მერე ერთიც შეუხედავს ბრაუნისთვის და „ხომ გჯერაო?“ უკითხავს. „კი, როგორ არა, მჯერაო“, უბასუბია ბრაუნსაც.

მას მერე სულ მეშინოდა, ერთ ღამეს მის ბარდენი არ მოეკლაო — უთქვამს ბრაუნს. მერე ეგ შენი შიში როგორ არავის გაუზიარეო, უკითხავს შერიფს. — მეგონა, თუ არაფერს ვიტყოდი და იქ დავრჩებოდი, როგორმე უბედურების თავიდან აცილებასაც მოვახერხებდი და ტყუილუბრალოდ აღარც პოლიციას შევაწუხებდიო. შერიფს რაღაცა ჩაუბუზღუნებიასავით და უთქვამს, ეგ შენს დიდ გამჭრიახობაზე მეტყველებსო, მის ბარდენსაც რომ ესმოდეს

შენი სიტყვები, უეჭველად დაგიფასებდაო. მერე, ეტყობა, ბრაუნი ნელ-ნელა იმასაც მიხვდა, მთლად უბრალო და უდანაშაულო არც თვითონ რომ ჩანდა ხალხის თვალში. მაშინ უკვე იმის მოყოლაც დაუწყია, როგორ უყიდა ბარდენმა ქრისტმასს მანქანა, თვითონ კი როგორ ცდილობდა მეგობარი და-ერწმუნებინა, მოდი, სანამ შარში გავხვეულვართ, ვისკით ვაქრუქვუნვქვნი დავანებოთო, სულ უფრო ბლომ-ბლომად ფქვაედა, ჰყვებოდა, რამდენად გაედვიდა შაბათს და როგორ დაინახა ქოხიდან გასული ქრისტმასი, ვიცოდი, სადაც მიდიოდაო; დაახლოებით შვიდ საათზე ქრისტმასი უკანვე შემობრუნებულა, კარებშივე გაჩერებულა და ბრაუნს მიშტერებია. „მორჩაო“, უთქვამს ქრისტმასს. „რა მორჩაო?“ უკითხავს ბრაუნს. „შედი სახლში და ნახავო“. ძალიან შემეშინდა, მაგრამ მკვლელობა ფიქრშიაც არ გამივლიაო. მეგონა, დიდი-დიდი, ალბათ ქალი თუ შემოელახაო. ქრისტმასი კი ისევ გარეთ გასულა, ბრაუნიც ამდგარა, ტანთ ჩაუცვამს და უკვე ცეცხლზე საუზმის შემოდგმა დაუპირებია, როცა შემთხვევით გარეთ გაუხედავს და ერთიანად კვამლში გახვეული სამზარეულო დაუნახავს.

„რა დრო იქნებოდა?“ უკითხება შერიფი.

„ასე, რვა საათი“, ამბობს ბრაუნი. „რა ვიცი, რა დროს დგება კაცი ჩვეულებრივ? თუ, რა თქმა უნდა, მდიდარი არა ბრძანდება. მე კი, ღმერთია მოწამე, სიმდიდრისა პრაფერი მცხია“.

„ხანძრის შესახებ კი ლამის თერთმეტამდე არავის უცნობებია“, ამბობს შერიფი. „ნაშუადღევს, სამ საათზე, სახლი ჯერ კიდევ იწვოდა. შენ რა გინდა დაგვაჩერო, რომ ძველ ხის სახლს, რაც გინდა დიდი იყოს, ექვსი საათი სჭირდება დასაფერფლაად?“

გაცეცხებული ბრაუნი შუაში უზით, ირგვლივ ბიჭები შემოსჯარვიან და თვალს არ აშორებენ. „მე სიმართლეს გეუბნებით“, ამბობს ბრაუნი. „თქვენც ვგ არ გინდათ?“ თან აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თავს არ აჩერებს: მერე, უცებ ბრაზდება: „მე რა ვიცი, რა დრო იყო? თქვენა გგონიათ, ჩემისთანა კაცს, ზანგივით რომ იწყვეტს ფაბრიკაში წელს, საათიც უნდა ჰქონდეს?“

„შენ ექვსი კვირაა ფაბრიკისთვის შორიდანაც არ მოგიკრავს თვალი და საერთოდ თითი თითზე არ დაგიკარებია“, ეუბნება შერიფის თანაშემწე. „ისე კი, როცა მთელი დღე ახალთახალი მანქანით დასეირნობ, იმდენიც უნდა მოახერხო, ხანდახან სასამართლოსთან ჩაიარო, საათს ახედო და დროს ფეხი აუწყო“.

„აკი ვითხარით, ჩემი მანქანა არ ყოფილა-მეტქი!“ ამბობს ბრაუნი. „იმისი იყო, ქალმა უყიდა; იმ ქალმა აჩუქა, ვისაც მერე ყელი გამოჰკრა“.

„რა დროს ეგენია“, ამბობს შერიფი. „აცალეთ ბოლომდე მოყვეს“.

ჰოდა, იმანაც გააგრძელა, თანდათანობით სულ უფრო ხმამაღლა და უფრო სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს ცდილობდა მანამდე ამოჰფარებოდა, მანამდე დამალულიყო საკუთარი მონაცოლის მიღმა, ვიდრე დროს იხელთებდა და იმ ათას დოლარს ჩაიჯიბავდა. არადა, მართლა უცნაური კია, რატომ თვლიან ზოგიერთები ფულის შოვნასა და კეთებას ისეთ თამაშად, რომელსაც არც რამე წესის დაცვა სჭირდება და არც კანონისა. ცეცხლი რომ დავინახე, მაშინაც არ მიფიქრია, ქალი ისევ სახლში თუ იქნებოდაო, — თქვა ბრაუნმა, — მით უმეტეს. მკვდარიო, არც მიცდია სახლში შესვლა და მარტო იმაზედა ვიტყხდი თავს, ცეცხლი როგორ ჩამეჭროო.

„და ეს ყველაფერი რვა საათზე ხდებოდა“. ამბობს შერიფი. „ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გვიმტკიცებ. ჰემფ უოლერის ცოლმა კი მართლაც თერთმეტზე დაგვირეკა. კარგა დიდი დრო დაგიკარგავს იმის მისახვედრად. შიშველი ხელით ცეცხლს რომ ვერ ჩააქრობდი“. ბრაუნი შუაში უბნით (კარი კი ჩაუკეტავთ, მაგრამ ფანჯრებზე უამრავ ცნობისმოყვარულ მკვლევარებს ცხვირი). კბილებდაკრეჭილი აცეცებს თვალებს, „ჰემფი იმასაც ამბობს, სახლში შესულს იქ ეიღაცა დამხვდაო“. ეუბნება შერიფი. „არასდიდებით არ მიშვებდა ხევეითო“. ბრაუნი კი ზის, ვერ მოუხვენიდა და გიყვირით ატრიალებს თვალებს.

მე მგონი, მაშინ უკვე სასოწარკვეთას ჰყავდა შეპყრობილი. მე მგონი, არა მარტო ხვდებოდა, თანდათან როგორ ეკარგებოდა ის ათასი დოლარი. უკვე ჯილდოს სხვა პატრონიც ესახებოდა. მე მგონი, წარმოიდგინა კიდევ, როგორ შიართვა თავისი ხელით ათასი დოლარი სხვას, ვისაც იმ ფულის დამღერება არ გაუჭირდებოდა. ისეთი სახე ედო, თითქოს რაცა თქვა, საგანგებოდ ამ წუთისთვის ჰქონდა შემონახულიო. თითქოს იცოდა, ძალიან თუ გაუჭირდებოდა. სწორედ ეს ამბავი გადაარჩენდა. გინდაც ამ საიდუმლოს გამხელას თეთრკანიანი კაცისთვის უარესი მოჰყოლოდა, ვიდრე მკვლელობის დაბრალებასო. „სწორი ხართ“, ამბობს უეტრად. მოულოდნელად. „მართალი ბრძანდებით, აბა რა, მოდიო, მე დამდეთ ბრალი. თეთრკანიანი დაადანაშაულებო, ზანგი კი თავის ნებაზე აპარპაშეთ. მე დამიჭირეთ, ზანგი კი გააქციეთ“.

„ზანგი?“ ამბობს შერიფი. „ზანგიო?“

აი, მაშინ კი იაზრა, გამოვიჭირეო. თითქოს, მისთვის რაც არ უნდა დაებრალებინათ, რაც არ უნდა მიეწერათ და შეეხოცათ, იმაზე საზარელი მაინც არ იქნებოდა, რასაც სხვაზე, მეორეზე, ამხანაგზე მოყვებოდა თვითონ, რაშიც იმას, მეორეს ამხელდა. „არა, მაინც რა გონიერი ხალხი ბრძანდებით“, ამბობს ბრაუნი. „რა გონიერი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში. სამი წელი ბაიბურში არ იყვნენ, სამი წელი ეძახდნენ უცხოელს, არადა, შევხედე თუ არა, მივხვდი — ერთი მე ვარ უცხოელი და მეორე ეგ-მეთქი. მანამდე მივხვდი, ვიდრე თვითონ გამომიტყდებოდა“. ყველანი პირდაღებულები შესცქერიან, ხანდახან თუ გადახედავენ ერთმანეთს გაოცებულნი.

„შენ გირჩევნია ცოტა ჭკუით ილაპარაკო, იცოდე, თუ აეთრკანიანს სცებ ჩირქს, არ დაგიდევ, მკვლელია თუ არა“, ეუბნება შერიფის თანაშემწე.

„მე ჩირქს არაფერს ვცებ“, ამბობს ბრაუნი. „ქრისტმასზე ვლაპარაკობ, იმ კაცზე, თეთრკანიან ქალს რომ გამოჭრა ყელი, მანამდე კი, მთელი ქალაქის ცხვირწინ, სამი წელი გაატარა იმის საწოლში, თქვენ კი, ყველანი, საშუალებას აძლევთ სულ უფრო და უფრო შორს წავიდეს, თანაც მე, ერთადერთ კაცს, ვინც ყველაფერი იცის და ვისაც შეუძლია გაპოვინოთ, ბრალსა მდებთ, ქრისტმასს ზანგის სისხლი აქვს. პირველად რომ მოვკარი თვალი, მაშინვე მივხვდი, თქვენი კი გამკვირვებია. აი თქვენი — გონიერო შერიფებო — და საერთოდ, ყველასი, ერთხელ აკი თვითონაც გამომიტყდა, მითხრა — ზანგის სისხლი მირევიანო, არ ვიცი, იქნებ მაშინ მთერალიც იყო; ასეა თუ ისე, მეორე დილით მოდის და მეუბნება (ბრაუნი ახლაც ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს, თვალებსა და კბილებს ეტუნაირად აკვესებს აქეთ-იქით, ხან ერთს მიაჩერდება, ხან მეორეს), მეუბნება: „წუხელ შეცდომა დავუშვი, იგივე შეცდომა შენც არ გაიმეორეო“, — რა შეცდომაზე ლაპარაკობ-მეთქი? — „აბა, ცოტა ტვინი ვაანძრეო“. — მითხრა, გამახსენდა, რა ჩაიდინა ერთ ღამეს, მემფისში, ვიცოდრ, ჩემი სიცოცხლე დამპალ კიტრადაც არ ეღირებოდა, თუკი

გზაზე გადაველობებოდი და ვუთხარი — მე მგონი, მიგიხვდი, მე სხვის საქმეში ჩამრევი არა ვარ და აჟი, არც აქამდე ჩავრეულვარ-მეთქი. „თქვენც ზუსტად ასე ეტყობით“, ამბობს ბრაუნი, „სიტყვასიტყვით, იქ, იმ ქოხში. საიდუმლო კაცისშვილს ვერ მიაწვდენ ხმას, ვინდაც ყელი ჩაიხიო ღრილობით, თქვენც ჩემსავეთ გამუდმებით მიშში იქნებოდით, ვიდრე ის ხალხი, ვისი დახმარებაც გულით გეწიდათ, თავს არ წაგადგებოდათ და სხვის ჩადენილ მკვლელობას არ დაგაბრალებდათ“. ზის იქ, დამფრთხალი, გაფაციცებული, ოთახში შეგროვილი და გარედან ფანჯარაზე ცხვირმიჭყულეტილი ხალხი კი თვალმოუშორებლად შესცქერის.

„მაშ ზანგი ყოფილა“, ამბობს შერიფის თანაშემწე, „მეც არა ვთქვი, რაღაცა უცნაური აქვს-მეთქი იმ ბიჭს“.

მერე შერიფი ისევ ბრაუნს ეკითხება: „დღემდე ამიტომ არ გაამხილე, რაც იქ ხდებოდა?“

ბრაუნი კი შუა ოთახში ზის, ტუჩი მოქცევია და ტუჩის კუთხესთან პატარა იარა ბატიბუტივით გასთეთრებია. „ერთი ის კაცი დამანახეთ, სხვანაირად რომ მოიქცეოდა, მეტი არაფერი მინდა თქვენი, ერთი მაჩვენეთ ისეთი ვაჟკაცი, იმის გვერდით ჩემდენი ეცხოვროს, ჩემსავეთ ხუთი თითივით იცნობდეს და სხვანაირად კი მოიქცეს“.

„კარგი“, ამბობს შერიფი, „მჯერა, ბოლოს და ბოლოს სიმართლეს ამბობ. შენ ახლა ბავს გაჰყევი და ერთი კარგად გამოიძინე, ქრისტმასს მე მოვუვლი“.

„რალაც ციხის სუნი მცემს“, იღრიჯება ბრაუნი, „ეტყობა, სანამ ჩილდოს არ ჩაიჭიბავთ, მე ვირის აბანოში უნდა ვლესო კედლები“.

„ენა გააჩუმე“, ეუბნება შერიფი, გულს გარეთ გაბრაზებული, „თუ ის ჩილდო შენ გვეკუთვნის, პირობას გაძლევ, არ დაგეკარგება, წაიყვანე, ბაჟ“.

შერიფის თანაშემწე ბრაუნს უახლოვდება, მხარზე ადებს ხელს და ისიც სკამიდან დგება, ოთახიდან გამოსულებს ხალხი ეხვევათ გარს: „რაო, გამოტყდა, ბაჟ? მაგის ნახელავია?“ „არა“, პასუხობს ბაჟი, „ახლა კი შინ წადით, ბიჭებო, ძილის დროა“.

ბაირონი ჩუმდება, მისი მოღლილი, უხალისო, სოფლური დუდუნის სიჩუმეში ინთქმება. ზის და თანაგრძნობით, რალაცნაირი შეწუხებული და მშვიდი თვალებით შესცქერის თვალდახუჭულ პაითაუერს, იმას კი ღვარად, ცრემლივით სდის სახეზე ოფლი. მერე, უკვე პაითაუერი იწყებს ლაპარაკს: „მაშ ეგ მართალია, მართლა იციან, ზანგის სისხლი რომ ურევია? იფიქრე ბაირონ, რა მოხდება, როცა ხალხი... თუ დიჭირეს... საცოდავი, საცოდავი ადამიანი“.

„ბრაუნი ამბობს ასე“, პასუხობს ბაირონი, მშვიდი ხმა აქვს, ჭიუტი, თვითდაჯერებული, „ისე, შიში მატყუარასაც ათქმევინებს სიმართლეს, როგორც ტანჯვა გასტენს ხოლმე ალაღმართალ კაცს და სიცრუეს აკადრებინებს“.

„ჰო,“ ამბობს პაითაუერი, თვალდახუჭული ზის, წელში გამართული, „მაგრამ, ჭერ არ დაუჭერიათ, ჭერ ხომ არ დაუჭერიათ, ბაირონ?“

არც ბაირონი უცქერის თანამოსაუბრეს, „ჭერ არა, ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია, დღეს მეძებარი ძაღლები მიიყვანეს იქ, მაგრამ დაჭერით, რამდენადაც ვიცი, ჭერ არ დაუჭერიათ“.

„ბრაუნი?“

„ბრაუნი“, იმეორებს ბაირონიც, „ბრაუნი, ისიც იმათთან ერთად იყო, შეიძლება ადრე ქრისტმასსაც მიეხმარა, მაგრამ არა მგონია, ჩემი აზრით, მა“

ვან დიდი-დიდი ცეცხლი წაუკიდა სახლს, ოღონდ, თუკი მართლა წაუკიდა, ალბათ თვითონაც ვერ ახსნის, რატომ მოიქცა ასე. ეტყობა, იტყობა, ყველაფერი ფერფლად თუ იქცევა, ვითომც საერთოდ არ ყოფილა. მაშინ ისიცა და ქრისტმასიც ძველებურად იქროლებდნენ იმ მანქანით, მე მგონი, თვითონვე დაასვენა, ქრისტმასის ნამოქმედარი იმდენად ცოდვა მგონი, რომ იმდენადაც შეეცდომათ. ბაირონს ჩაფიქრებული სახე ადევს, იატაკს ჩასცქერის; მერე ოდნავ შესამჩნევი, სარდონიული, ნაწვალები ღიმილი გადაურბენს. „მე მგონი, ახლა აღარაფერი ემუქრება, ახლა, როცა მოესურვება, მაშინ შეუძლია ლინას იმისი პოვნა, თუკი, რა თქმა უნდა, შერიფთან ერთად ძაღლებით არ იქნება სახადაროდ ვასული, გაქცევას არცა ფიქრობს, სად გაიქცევა, ვიდრე ის ათასი დოლარი, ასე ვთქვათ, ცხვირწინ უტრიალებს. მე მგონი, ყველაზე მეტადაც უნდა ქრისტმასის დაქერა, ამიტომაც აეტორღილათ, ციხიდან გამოქყავთ და ისიც თან მიჰყავთ ჩოლმე, მერე კი ყველანი ერთად ბრუნდებიან ქალაქში და იმასაც ისევ საკანში ამწყვდევენ. სასაცილო ამბავია, თითქოს მკვლეელი თვითონ ცდილობს საკუთარი თავის დაჭერას, ოღონდ კი დაჭერისთვის დაწესებული ჩილდო მიიღოს, თვითონ, ეტყობა, ბედის მადლიერია, ოღონდ ეგაა, დასასვენებლად დაკარგული დრო ენანება, სულ კვალზე უნდა რომ იდგეს, ძვირფას წუთებს მისტირის, ასეა, ბატონო, საქმე, ხვალ ვეტიყვი, უბრალოდ მივალ და ვეტიყვი, ახლა დამწყვდეული ქყავთ-მეთქი იმ ორ ძაღლთან ერთად, იქნებ ქალაქშიც გავიყვანო, სამივე ვაჩვენო, შეეახედო, როგორ აოცებენ კაცები თოქზე გამობმულებს, გაქაჩულებს, აყეფებულებს“.

„მაშ, ჯერ არაფერი გითქვამს“.

ქალისთვის ჯერ არა, არც ბრაუნისთვის, იმან შეიძლება ჩილდოც ფეხებზე დაიკიდოს და ისევ გაიქცეს იი, ქრისტმასი თუ ჩაუვარდა ხელში, ის ჩილდო თუ ჩაიჭიბა როგორმე, მაშინ იქნება დროზე ჯვარის დაწერაც მოასწროს. მაგრამ ქალმა ჯერ არაფერი იცის, იმაზე მეტი არ იცის, რაც გუშინ იცოდა, როცა ფორნიდან გადმოსვეს ქალაქის მოედანზე, მუცელგაბერილი ძლივძლივობით ჩამოვიდა უცხო ფორნიდან, უცხო ხალხის თვალწინ და თან საკუთარ თავს უსაფრებობდა, რაღაცნაირი უდრტვანველი გაოცებით, თუმცა რომელ გაოცებაზე ვლაპარაკობ, როცა დინჯად, მძიმე-მძიმედ მარტოდ-მარტო გამოიარა ამოდენა ვხა და თან ერთხელაც არ შეუფიქრიათებია ხალხის ჩალაპარაკებს: „ღმერთო ჩემო, ალაბამადან მოვდივარ და, აჰა, ბოლოს და ბოლოს ქვეყრსონსაც მოვადწიე მგონიო“.

•

შუალაშე გადავიდა, ორი საათის წინ კი დაწოლილიყო, მაგრამ ქრისტმასს ჯერ რული მაინც არ ეკარებოდა, ბრაუნის ხმა მანამდე მოესმა, ვიდრე დაინახავდა ჯერ გაიგონა, როგორ მოუახლოვდა ბრაუნი კარს, ზედ როგორ მოაწყდა, და მერეღა გამოჩნდა იმისი სილუეტი კარის კრილში — ბანცალებდა, ძლივს იდგა ფეხზე, თან მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, ხელებგაშლილი ტორტმანებდა კარებში გაბირული და უცებ სიმღერა წამოიწყო — დაშაქრული, ყალბი, დედღუნა ხმით, თითქოს იმ უსაშველო, გაწეულილი ხმის ყოველი ბგერაც ვისკის სუნით ყარდა, „ხმა ჩაიწყვიტე“, შეეხმიანა ქრისტმასი.

არ განძრეულა, არ დაუყვირია. არადა ბრაუნი მაშინვე გაჩუმდა. ცოტა ხანს კიდევ იცოდვილა კარებში. ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას. მერე კარს ხელი გაუშვა და ქრისტმასმა გაიგონა, როგორ შემოებეტა ოთახში: წესრიგად არც იყო შემოსული, უკვე რაღაცას გადააწყდა. ერთ წამს მხოლოდ მძინე, დაძაბული ქშენა ისმოდა. მერე საშინელი ზღართან მოადინდა. დაიწყო დაენარცხა, ქრისტმასის საწოლს მიეჭაბა და ხმამაღლა, ბრყველად მძინე ხოცდა.

ქრისტმასი საწოლიდან წამოდგა. სადღაც ქვემოთ, იატაკზე. უჩინარი ბრაუნი გართხმულიყო, ხორხოცებდა და არც კი ცდილობდა წამოდგომას. „ჩაიწყვიტე-მეთქი ხმა“. გაუმეორა ქრისტმასმა. ბრაუნი მაინც ხორხოცებდა ქრისტმასმა გადააღაჯა და ხელი ხის ყუთისკენ გაიწვდინა. რომელიც მაგიდის მაგივრობას უწევდათ და ზედ ლამპასა და ასანთს დებდნენ ხოლმე. ყუთი რომ ვერ იპოვა, მერეღა გაახსენდა. ბრაუნის წაქცევისას ლამპის მსხვრევის ხმაც რომ გაიგონა. დაიხარა, ძირს გართხმული ბრაუნის საყელო მოძებნა, ჩაბღუჯა. საწოლს ქვემოდან გამოათრია. მერე ბრაუნს თავი აუწია და გაშლილი ხელი სახეში შემოჰკრა. მოწყვეტით, ღვარძლიანად. გამეტებით ურტყამდა. ვიდრე ბრაუნმა ხმა არ გაკმინდა.

ბრაუნი ახლა უკვე მომჩვიარული ეგდო. ქრისტმასს იმისი თავი უწინდებურად ეჭირა და ჩუმად. ლამის ჩურჩულით აგინებდა. მერე მეორე საწოლთან მიათრია და ზედ დააგდო. გულაღმა. ბრაუნი ისევ ახორხოცდა. ქრისტმასმა მარცხენა ხელისგული ნიკაპქვეშ ამოსდო. გაშლილი თითები ცხვირპირზე დააფარა, თან მარჯვენათი კვლავ ურტყამდა — მძიმედ, აუჩქარებლად. გამოზომილად, თითქოს ეშინოდა, სათვალავი არ ამერიოსო. ბრაუნი გაჩუმდა. გაიბრძოლა. სულშეგუბებული აბრიალდა. აბროტინდა. აფართხალდა. ქრისტმასსაც მანამდე ჰყავდა გაკაკებული. ვიდრე ერთიანად არ გახევდა. საბოლოოდ არ გაირინდა. მერე, ცოტათი მოადუნა ხელი. „ახლაც არ დაწყნარდები?“ ჰკითხა ბრაუნს. „არა?“

ბრაუნმა ხელახლა გაიბრძოლა. „გაწი შენი ტურტლიანი ხელი, მე შენი ზანგი...“ ხელმა ისევ გაგუდა. მეორე ხელიც ისევ მოხვდა სახეში. მაშინ ისიც გაჩუმდა. წოლითაც უკვე გაუნძრევლად იწვა. ქრისტმასმაც მოადუნა ხელი. ცოტა ხანში ბრაუნი კვლავ ალაპარაკდა. ეშმაკურად, შემპარავად: „არ დაიწყო ხხლა. ზანგი არა ვარო. თვითონ არ მითხარი? შენ თვითონ ბრძანე. აი, მე კი, მე თეთრკანიანი ვარ. მე თეთრ...“ ისევ გაგუდა ხელმა. ბრაუნმა ერთხელაც გაიბრძოლა. ისევ აბროტინდა და აბრიალდა. თითები დაუდორბლა ქრისტმასს. მერე, ფართხალი რომ შეწყვიტა, ხელიც მოდუნდა. უკვე გაუნძრევლად იწვა. ხარბად სუნთქავდა.

„პა. გაჩერდები?“ ჰკითხა ქრისტმასმა.
 „პო“, თქვა ბრაუნმა. თან ხმაურით სუნთქავდა. „ამომასუნთქე. გავჩერდები. ოღონდ ამომასუნთქე“.

ქრისტმასმა ხელი კი მოადუნა, მაგრამ არ აუღია. პირზე ხელდაფარებულ ბრაუნი ახლა მაინც უფრო თავისუფლად სუნთქავდა, უფრო მშვიდად, უფრო უხმაუროდ. მაგრამ ქრისტმასს ხელი არ აუღია. სიბნელეში დასცქეროდა გაშოტილ სხეულს, თითებზე მონაცვლეობით შეიგრძნობდა ბრაუნის ხან თბილ, ხან კი ცივ ამონასუნთქს და მშვიდად ფიქრობდა რაღაცა უნდა მოხდეს ჩემს თავს. უეჭველად ჩავიდენ რაღაცას შეეძლო, ცალი ხელი ისევ ბრაუნისათვის ჰქონოდა ცხვირ-პირზე დაფარებული. მეორეთი კი თავის

საწოლს გადასწვდენოდა, ბალიშის ქვეშიდან გრძელპირიანი სამართებელი გამოეძვრინა. შეეძლო, მაგრამ ხელი არ გადაუწვდენია. ეტყობა, ფიქრიც უკვე ძალიან შორს წავიდა, უფრო და უფრო ჩაბნეულდა. კარნახა არც ის არ არის ასეა თუ ისე, სამართებლისთვის ხელი არ უნდა. კოტა ხანში ბრაუნსაც მიანება თავი, თუმცა ადგილიდან არ დაძრწვდა. საწოლს დასცქეროდა და მშვიდად, უხმაუროდ სუნთქავდა, ლამიზნობით ესმოდა საკუთარი სუნთქვა. უჩინარი ბრაუნიც ახლა უფრო მშვიდად სუნთქავდა, მერე კრისტმასი შემობრუნდა, თავის საწოლზე ჩამოჯდა და კედელზე მიკიდული შარვლის ჯიბიდან ერთი ღერი სიგარეტი და ასანთის კოლოფი ამოაძვრინა. ასანთის ალზე ბრაუნს გახედა. სანამ სიგარეტს მოუკიდებდა, ასანთის ღერი მალა ასწია და მძინარეს დააკვირდა. ბრაუნი გულაღმა იწვა, გადათხლაშული, ცალი მკლავი იატაკზე ჩამოვარდნოდა. პირი ღია დარჩენოდა. ვიდრე კრისტმასი შესცქეროდა, ხვრინვაც ამოუშვა.

კრისტმასმა სიგარეტს მოუკიდა და ასანთის ღერი წკიპურტივით გაისროლა ღია კარისკენ, დაინახა, როგორ ჩაჭრა ალი შუა გზაშივე. მერე მიიყურა და უნდოდა ის სუსტი, უმნიშვნელო ჩქამი გაეგონა, ასანთის ჩამქრალი ღერი რომ გაიღებდა იატაკზე დაცემისას; მოეჩვენა, თითქოს მართლა გაიგონა კიდევ. მერე ბნელ ოთახში საწოლზე ჩამომჯდარს ისიც მოეჩვენა, თითქოს უთვალავი სხვა, ასეთივე სუსტი ბგერაც ესმოდა — ხმები, დუდუნნი, ჩურჩული: ხეებისა, სიბნელისა, მიწისა; ხალხის ხმებიც: საკუთარი ხმა; სხვებისაც. მახსოვრობაში ვილაციის სახელებს, გარდასულ დროს, მივიწყებულ ადგილებს რომ აცოცხლებდნენ — მთელი ცხოვრება გაუაზრებლად ნაცნობებს, თავად ცხოვრების შემადგენელს, ფიქრობდა იქნებ ღმერთისაც და მე კი ეხეც არ ვიცი თითქოს დაბეჭდილ წინადადებასავით ხედავდა, ერთბაშად გაჩენილსა და უკვე მკვდარს ღმერთს მეც ვუყვარვარ თითქოს განუხებულ და გადარეცხილ ასოებს კითხულობდა შარშანდელ ფიშაზე ღმერთს მეც ვუყვარვარ.

სიგარეტი ისე ჩაიყვანა ბოლომდე, ერთხელაც არ უხლია ხელი. მერე ისიც წკიპურტივით გაისროლა კარისკენ. ასანთისგან განსხვავებით, სიგარეტის წითელი თვალი შუა გზაში არ ჩამქრალა. ღია კარიდან ხედავდა, როგორ გაიბუჟტა წყვდიადში და მერე როგორ დაეცა ძირს. კრისტმასი ისევ დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო, იმ კაცივით იწვა, ვისაც დაძინების იმედი საბოლოოდ გადასწურვია, ფიქრობდა ათი საათიდან ასე ვწევარ და ჯერ რულიც არ მომკარებია. არ ვიცი, რა დროა, ოღონდ შუაღამე კი ნამდვილად გადასუფი იქნება, არადა ჩემ დაძინებას მაინც არ დაადგა საშველი „იმიტომ, რომ ჩემთვის დაიწყო ლოცვა“. თქვა ხმამაღლა, ხმა მოულოდნელად და მკანედ გაისმა ბნელ ოთახში. წამით ბრაუნის მთვრალი ხვრინვაც ჩაახშო. „მართალია, იმიტომ, რომ ჩემთვის დაიწყო ლოცვა“.

საწოლიდან წამოდგა. შიშველ ტერფებს იატაკზე ჩქამი არ გაუღიათ. სიბნელეში იდგა, საცვლების ამარა. მეორე საწოლზე ბრაუნი ხვრინავდა. კოტა ხანს იდგა ასე. ბრაუნის საწოლისკენ თავმიბრუნებული. მერე კარისკენ წავიდა. ფეხშიშველი, საცვლებისამარა გამოვიდა კონიდან. გარეთ ოღნავ მეტი იყო სინათლე. ზევით, ცაზე, ზანტად რიალებდნენ თანავარსკვლავედები, ის ვარსკვლავები, აგერ უკვე ოცდაათი წლის მანძილზე რომ ასცქეროდა, მაგრამ არც ერთის სახელი კი არ იცოდა, არც ერთი მათგანი არ ეუბნებოდა არაფერს არც თავისი მოხაზულობით, არც სიკამკაშით, არც მღებარეობით. წინ, კორომიდან, სახლის ერთი საკვამლე მილი და ერთი თავზე ამოშვერილიყო.

თავად სახლი კი, ბნელს შერწყმული, არ ჩანდა. არც შუქი გამოდიოდა იქი-
დან, არც რაღაც ხმა. როცა მიუახლოვდა და იმ ოთახის ფანჯრის ქვეშ გაჩნ-
და, სადაც კალს ეძინა, ფიქრობდა ნეტავ თუ სძინავს. ნეტავ სძინავს თუ არა
ქალი სახლის კარს არასდროს კეტავდა და, ჩვეულებრივ, როცა სურვილი
შეაწყობებდა ხოლმე, ნებისმიერ დროს — შებინდებიდან განთავსებულ
დაუბრკოლებლად შეეძლო სახლში შესვლა. უშეცდომოდ მიიკვლევდა ხოლ-
მე გზას სიბნელეში, ქალის საძინებელი ოთახისკენ, მისი საწოლისკენ. თუ
ქალს არ ეძინა და ელოდებოდა, შეეხმებოდა ხოლმე ბნელში მომავალს,
სახელს დაუძახებდა. სხვა დროს თვითონვე აღვიძებდა, ხელის წაკვრით, მო-
უხრდებლად, ხანდახან კი ისე გააკეთებდა ხოლმე გასაკეთებელს, თავისებუ-
რად ტლანკად და უხეშად. ქალს ხეირიანად გამოფხიზლებსაც არ დააყდოდა.

ეს ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო. ორი წელი გასულიყო უკვე. იდ-
გა და ფიქრობდა ალბათ შეურაცხყოფილადაც ამიტომ ვგრძნობ თავს, ეტყო-
ბა, ვხვდები რომ მომატყუეს, გამაცურეს და ეს მამწარებს. ალბათ იმან გამა-
ცოფა, ესააკი რომ დამიშალა. ვითომ ვერ მივხვდებოდი; ვითომ არ ვიცოდი,
რაც ემართებათ ქალებს თავის დროზე მერე, ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ.
სიბნელეში მარტოდმარტო მდგომმა ხმამაღლა თქვა: „ჩემთვის ლოცვა არ
უნდა დაეწყო, ლოცვა რომ არ დაეწყო, არც არაფერი მოუვიდოდა, რა თა-
ვის ბრალია, თუ დაბერდა და აღარაფრად ვარგა. მაგრამ ჭკუა კი მეტი უნდა
გამოეჩინა, ჩემთვის ლოცვა არ უნდა დაეწყო“. მერე ქალის გინებას მოჰყვა,
ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ იდგა და დინჯად, აუჩქარებლად აგინებდა უშ-
ვერი სიტყვებით. ფანჯარას არ უყურებდა. მკრთალ, გაკრეცილ შუქზე თან
თითქოს საკუთარ სხეულს აკვირდებოდა, შესცქეროდა. როგორ ნელ-ნელა
და ავხორცულად ირწყოდა — აჩურობულ მტვერსა და კუჭყში, რო-
გორც დამხრჩვალის გვამი წყალზე უფრო ბლანტ, სქელ, უძრავ, შავ ტბორში,
გაშლილი ხელისგული უხეშად. მაგრად აიტარა მუცელზე და მკერდზე —
სურათგვეს. ნიფხავს ერთადერთი ღილილა შერჩენოდა. დრო იყო, ტანსაც-
მელზე არც ერთი ღილი არ აკლდა. მაშინ ქალი უკერებდა ღილებს. ოღონდ
წინათ, ადრე და თანაც ძალიან ცოტა ხანს. მერე ის დროც წავიდა. მერე
მანამდე იტაცებდა ხოლმე თავის ტანსაცმელს საოჯახო სარეცხიდან, ვიდრე ქა-
ლი აწყვეტილი ღილების დაკერებას მოახერხებდა. როცა ქალმა ეშმაკობა-
ში აჯობა, თავს ძალა დაატანა, საკუთარი თავი აიძულა, მუდამ შეემჩნია და
დაემახსოვრებინა, რომელი ღილები აკლდა და რომელი დაეკერებინა. ქალს
ხელახლა ამჩნევდა და იმახსოვრებდა კიდევ, ხოლო მერე, ქირურგივით
გულცივი და უგრძობელი, საქმიანად ააჭრიდა ხოლმე ჩაყვით ახლად დაკე-
რებულ ღილებს.

მარჯვენა ხელის გაშლილი მტევანიც ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად
ასრიალდა ახლა ნიფხვის კრილში, როგორც ოდესღაც დანის პირი. ერთადერთი
შერჩენილ ღილს მსუბუქად და მოწყვეტით აჭრა ხელი გვერდულად. ნიფხა-
ვი რომ ჩასძვრა, შიშველ ხორცზე თითქოს ბნელი პაერის ამონასუბთქი იგრძ-
ნო, თითქოს სიბნელემ რბილი და გრილი ენა აუხვავო. მერე ისევ მოაბობდა
წყვდიადს და ეგონა, წყალში მივაბიჯებო; ფეხქვეშაც ისე შეიგრძნობდა ნამს,
როგორც მანამდე არასოდეს შეეგრძნო. მორღვეულ ჭიშკარში გავიდა და
გზის პირას გაჩერდა, აგვისტოს სარეველა თეძოვებამდე სწვდებოდა. ფოთ-
ლებზე და ღეროებზე ერთი თვის მტვერი იდო, ფორხების დაწითლვარი,
ქრისტმასის წინ გზა გაწოლილიყო. ჩამუქებულ ხეებსა და მიწასთან შედა-

რებით ოდნავ უფრო ნათელი. ერთ მხარეს ქალაქს ეძინა, მეორე მხარეს გზა გორაკს მიუყვებოდა. ცოტა ხანში გორაკს გადაღმა შუქმა იმბტა, გორაკიც უფრო გამოიკვეთა. მერე მანქანის ხმაც მოესმა. არც განძრეულა. თედოე ბამდე მტვრიან სარეველაში იდგა. შიშველი, დონჯშემოყრილი, ასე იდგა. ვიდრე მანქანა გორაკს გადმოივლიდა, მოუახლოვდებოდა, მანქანის ხმა ხახხახებულ ფარებს მიანათებდა. ხედავდა, ნელ-ნელა როგორ თეთრდებოდა, ნელ-ნელა როგორ ეყოფოდა სიბნელეს მისი სხეული, თითქოს გამქვანებული ფოტოსურათი ამოდოდა სითხიდან. მანქანამ რომ ჩაუქროლა, პირდაპირ ფარებისთვის ჰქონდა თვალი გაშტერებული. მანქანიდან ქალის ყურისწამლები კივილი გამოიქრა. „თეთრკანიანო ნაბიჭვრებო!“ მიაძახა თვითონ. „დედითქვენისამ, ჯერ მაგ ძუკნის მეტს არ უნახავს...“ მაგრამ მანქანა უკვე აღარ ჩანდა. მის ხმას ველარავინ გაიგონებდა, არც არავინ მოუსმენდა. მანქანა წასულიყო. თავისივე დაყენებული მტვრისა და თავისივე გამოსხივებული სინათლის ნაწილი შეეწოვა, ქალის კივილით გაქვნილიყო და გაუჩინარებულიყო. ქრისტმასს შესცივდა. თითქოს ბოლო მოქმედებაზე დასასწრებად მოსულს სანახავი ენახა, ვალი მოეხადა და ახლა კვლავ თავისუფლება მოეპოვებინა. ისევ სახლთან მიბრუნდა. ცოტა ხანს შეყოვნდა ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ, ნიფხავს დაუწყო ძებნა, იპოვა კიდევ და ჩაიცვა. ნიფხავს აღარცერთი ღილი აღარ შერჩენოდა და, ქოხისაკენ მიმავალს, ხელით ეჭირა. შორიდანვე გაიგონა ბრაუნის ხვრინვა. კართან შეჩერდა და ცოტა ხანს გრძელ, გაბმულ, უსიამო, არათანაბარ ამოოხვრებს უსმინა, რომელნიც მოგუდული ბუყბუყით გვირგვინდებოდნენ. „ეტყობა, კარგა მაგრად მოვუნგრე ცხვირი ამ დამპალსო“, გაიფიქრა. ქოხში შევიდა და თავის საწოლს მიუახლოვდა, დასაწოლად მოემზადა. უკვე წვებოდა, შუა გზაში უცებ რომ გაირინდა, ერთიანად დაიძაბა. შეიძლება, იმის გაფიქრებამ შეზარა, გათენებამდე მთვრალი კაცის ხვრინვით გაქვნილ სიბნელეში რომ უნდა წოლილიყო, ბრაუნის ამოოხვრებს შორის კი უთვალვი სხვადასხვა ხმისთვის ესმინა. შეიძლება, ამიტომაც წამოჯდა ხელახლა, საწოლქვეშ ნელა მოაფათურა ხელი, ფეხსაცმელები მოიძია, უხმაუროდ ჩაიცვა, საწოლიდან ერთადერთი ბამბანარევი საბანი აიღო — მთელი თავისი ქვეშაგები — და ქოხიდან გამოვიდა. სამასიოდე იარღის მოშორებით საჯინიბო იდგა. ცოტაც და მთლად ჩამოიქცეოდა, ოცდაათი წელიწადი იქნებოდა, შიგ ცხენს არ გაეჭაკანა, მაგრამ მაინც სწორედ იქით დაელერებინა თავი, სწრაფად მიაბიჯებდა. თან ხმამალლა ფიქრობდა, „ნეტავ რა ჯანდაბამ მომანატრა ცხენის სუნიო?“ მერე ჩაიბურტყუნა: „ცხენებში ქალი არ ურევია და იმანო, ფაშატი ცხენიც კაცივითააო“.

ორი საათიც არ სძინებია. გარიყრაყზე გამოელვიდა. თავის ერთადერთ საბანში გახვეული იწვა წასაქცევად გამზადებული ბნელი თავლის სანახევროდ ამომპალ იატაკზე, ღმერთმა უწყის, როდინდელი თივის დანატოვარი წვრილი მტვრის მძაფრი სუნით ყელჩამწვარი და მიტოვებული, აშმორებული, ძველი ბუნაგების მძაღე ყროლით გაქვნილი. აღმოსავლეთის კედელში დატანებულ, დარაბამოგლეჯილ ფანჯარაში ყვითლად გაბაცებული ცა და გვიანი ზაფხულის ფერმკრთალი, შორეული ცისკრის ვარსკვლავი მოჩანდა.

კარგად დასვენებულს გაელვიდა, თითქოს რვა საათი სძინებოდა გადაბმულად. ეს ძილი, გაუთვალისწინებელი ძილი იყო, რაკიდა დაძინების იმედი საბოლოოდ ჰქონდა გადაწურული. ფეხები ზონრებგახსნილ ფეხსაცმელებში

ჩაპყო, დახვეული საბანი ილიაში ამოიჩარა და ციცაბო კიბეს დაუყვა, ფეხით წინდაწინვე მოსინჯავდა ხოლმე დამპალ და უჩინარ საფეხურებს, თავისუფალ ხელსაც იშველიებდა და ისე ჩამოდიოდა ფრთხილად, საფეხურ-საფეხურ. მერე ნაცრისფერ, მოყვითალო განთიადში შეაბიჯა, სუფთა სიგრილეში და ღომად ჩაისუნთქა კრიალა ჰაერი.

განათებული აღმოსავლეთის ფონზე ქოხი ახლა აშკარად იკვეთებოდა, კორმიც მკაფიოდ ჩანდა, მთელ სახლს რომ ფარავდა ერთი საბუხრე მილის გარდა. მაღალ ბალახზე უხვად იდო ნამი. ფეხსაცმელები მაშინვე გაელუმბა. ფეხსაცმლის ცივი ტყავი უსიამოვნოდ ეგლისებოდა შიშველ ტერფებზე; სველი ბალახის ღეროებიც ყინულის დრეკადი ლოლუებივით ეხლებოდნენ ფეხებზე. ბრაუნი აღარ ხვრინავდა. ქოხში რომ შევიდა, აღმოსავლეთის ფანჯრიდან შემოკრილ შუქზე ნათლად გაარჩია მძინარის სახე. ბრაუნი ახლა მშვიდად სუნთქავდა. „გამოფხიზლებულაო“. გაიფიქრა ქრისტმასმა. „არადა, თვითონ არც იცის, ცოდოა ეს ნაბიჭვარი“. ბრაუნს დააცქერდა. „მართლა, ცოდოა, გაგიყდება, ფხიზელს, რომ გაელვიძება, ალბათ ერთი საათი მაინც დასჭირდება ხელახლა დასათრობად“. საბანი საწოლზე მიაგდო და ჩაიცვა — სარკის შარვალი და ცოტა შელახული თეთრი პერანგი; მერე ჰალსტუხი-პეპელაც გაიკეთა. თან სიგარეტს ეწეოდა. კედელზე სარკის ნატეხი მიემაგრებინათ. ჰალსტუხს რომ იკეთებდა, იმ ნატეხში თავისი მოწყენილი სახეც შეათვალიერა. უხეშფარფლებიანი ჩალის ქუდი ლურსმანზე ეკიდა. ხელიც არ უხლია. მეორე ლურსმნიდან ნაჭრის კეპი ჩამოხსნა და ის დაიხურა, მერე, საწოლის ქვეშიდან იატაკზე დაგდებული ერთი იმდაგვარი ჟურნალი გამოაძვრინა, ან საცვლებისამარა ლამაზმანები, ანდა ერთიმეორისთვის დამბაჩამიშვერილი კაცები რომ ახატიათ ყდაზე, ხოლო სამართებელი, ფუნჯი და საპნის პატარა ნაჭერი ჯიბეში ჩაიტენა.

ქოხიდან რომ გამოვიდა, უკვე კარგად გათენებულიყო. უკვე ჩიტებიც ხმამაღლა მღეროდნენ. სახლს ამჯერად ზურგი აქცია. თავლას ჩაუარა და საძოვარზე გავიდა. ფეხსაცმელები და შარვლის ტოტები უცებ გაუქლინთა ნაცრისფერმა ნამმა. შეჩერდა, შარვალი ფრთხილად აიკარწახა მუხლებამდე და გზა განაგრძო. საძოვარს იქით ტყე იწყებოდა. ნამმაც იკლო და შარვლის ტოტები ისევ ჩამოუშვა. ცოტა ხანში ვიწრო ხეობას მიადგა, სადაც წყაროც ეგულებოდა. ჟურნალი მიწაზე დადო, ფიჩხი მოაგროვა და ცეცხლი დაანთო; მერე ხესთან ჩაჯდა და ზურგით ზედ მიეყრდნო, ფეხები ცეცხლს მიუშვირა. მალე სველმა ფეხსაცმელებმა ბოლი აუშვეს. იგრძნო, თანდათან როგორ ამოუყვა სიმხურვალე ფეხებს. მერე, სრულიად მოულოდნელად, თვალი გაახილა და შუბის ტარზე მდგომი მზე დაინახა, კოცონიც ჩანავლებულიყო და — დამძინებიაო — მიხვდა. „მგონი, მეძინაო“. გაიფიქრა. „ღმერთმანი, ისევ დამძინებიაო“.

ამჯერად ორ საათზე მეტი ეძინა, მზე უკვე წყაროს დანათოდა, მისი სხივები დაუღალავი წყლის ზედაპირზე იმსხვრეოდნენ და ბრჭყვიალებდნენ. წამოდგა, გაიწვართა, გახევებული ბეჭები გაშალა, დაბუყებული კუნთები გამოაცოცხლა. ჯიბიდან სამართებელი, ფუნჯი და საპონი ამოიღო. წყაროსთან ჩაჩოქილმა გაიპარსა პირი, სარკის მაგივრობას წყლის ზედაპირი უწევდა, გრძელ, კაშკაშა სამართებელს კი ფეხსაცმლის ლანჩაზე ილესავდა.

მერე საპარსი მოწყობილობაცა და ჟურნალიც ბუჩქებში დამალა და ისევ გაიკეთა ჰალსტუხი. წყაროდან წამოსულმა, სახლი ახლა კარგა შორს

მოიტოვა და გზაზე გამოვიდა. შორიახლოს პატარა დუქანი მოჩანდა, დუქნის წინ ბენზინის ჩასასხმელი სვეტიც დაედგათ. დუქანში შევიდა და მელუქნე ქალისგან კრეკერები და ერთი ყუთი ხორცის კონსერვი იყიდა. მერე ისევ წყაროსთან, ჩამქრალ კოცონთან დაბრუნდა.

ზურგით ხეს მიყრდნობილი იჯდა და საუზმობდა. ღრის დროს, ეურნალს კითხულობდა. ამ ეურნალიდან ადრე მხოლოდ ერთი სტატია წაეკითხა; ახლა მეორე დაიწყო, რომანივით კითხულობდა ეურნალს, თავიდან ბოლომდე, თანმიმდევრულად. ხანდახან თავს აიღებდა ხოლმე და ლექვალექვით მზედაკრული ფოთლების თაღს ახედავდა. „იქნებ მოსახდენი უკვე მოხდა“, ფიქრობდა ქრისტმასი. „იქნებ გასაკეთებელიც აღარ დამრჩა არაფერი“, ეჩვენებოდა, თითქოს ხედავდა, დერუფანივით როგორ ნელ-ნელა იხსნებოდა მის თვალწინ ყვითელი დღე, გობელენივით იშლებოდა და თანდათანობით მშვიდ, დამაწყნარებელ შუქჩრდილებად ქუცმაცდებოდა. თითქოს, ვიდრე იქ იჯდა, ყვითელი დღეც თვლემამორეული შესცქეროდა. ზანტად უთვალთვალებდა გატრუნულ და მოთენთილ ყვითელ კატასავით. მერე ისევ კითხვა გააგრძელა, ერთი მეორის მიყოლებით, თანამიმდევრულად შლიდა ფურცლებს. თუმცა ზოგჯერ, რომელიმე გვერდზე, რომელიმე სტრიქონზე, ანდა, სულაც რომელიმე სიტყვაზე თუ შეკოვნდებოდა ხოლმე, თითქოს იმ, ჯერ ბოლომდე გაუაზრებელ, ჯერ გონებაში მყარად გაუმჯდარ სიტყვას მოუწესხავს და გაუქვავებიაო და ასოთა უბრალო შეთანხმებას მიჯაჭვული მთელი მისი არსებაც, თითქოს ცასა და მიწას შორის გამოკიდულიყო მშვიდ, მზიან სივრცეში, გამოკიდებულიყო და ასე უძრავად გამოკიდებული, წონადაკარგული, თითქოს ხედავდა კიდევ, თითქოს მალლიდან დასცქეროდა, საღლაც ქვემოთ, როგორ ზანტად და მდორედ მიედინებოდა დრო, ფიქრობდა სიმშვიდის მეტი ამქვეყნად არაფერი მინატრია ფიქრობდა — ჩემთვის ლოცვა არ უხდა დაეწყო.

უკანასკნელ სტატიას რომ მიადგა, კითხვა შეწყვიტა და დარჩენილი ფურცლები გადაითვალა. მერე მზეს ახედა და ისევ გააგრძელა კითხვა, ახლა ისევ კითხულობდა, როგორც ქუჩაში მოსეირნე კაცი ითვლის ხოლმე ტროტუარზე გაჩენილ ბზარებს; ეურნალი ბოლო და უკანასკნელ გვერდამდე, უკანასკნელ სიტყვამდე ჩაიკითხა. მერე წამოდგა, ასანთს გაჭკრა და ეურნალს ცეცხლი წაუკიდა, მოთმინებით მიატრიალ-მოატრიალებდა ხოლმე იქეთ-აქეთ, ვიდრე მთლად არ დაიფერფლა. მერე ღარტაფს დაუყვა, ჭიბეში საპარბი მოწყობილობა უჩხარუნებდა.

ქვიშით გადათეთრებული, ორივე მხრიდან მაღალი, ძირიდან წვერამდე ასკლითა და ხშირი ჯაგნარით დაფარული, ციცაბო ფერდობებით შემოზღუდული ღარტაფი თანდათან გაგანიერდა. ჯერაც ფოთლების თაღის ქვეშ მიაბიჭებდა; მერე ერთ-ერთ ფერდობს აუყვა. პატარა ქვაბულში ფიჩხის გროვა ეყარა, ლამის მთლად გამოეცხო ფიჩხს იქაურობა. ქრისტმასმა ფიჩხი გვერდზე მიხვეტა, ქვაბული მოასუფთავა და დამალული, მოკლეტარიანი ნიჩაბი იპოვა, მერე იმ ადგილას, რომელსაც წელან ფიჩხი ფარავდა, ქვიშის თხრას შეუდგა; რიგრიგობით ამოთხარა ქვიშიდან ექვსი, საგულდაგულოდ თავდახურული ლითონის ბიდონი. თავსახურები არ მოუხსნია, ბიდონები გვერდულად დააწვინა და ნიჩბის წვერით დახვრიტა — ბიდონებიდან ვისკი გადმოიფრქვა, გადმოიღვარა, ქვიშა ჩააშავა და ჰაერი, მზით განათებული უდაბნო, ერთიანად ალკოპოლის სუნით გაქლინთა. ქრისტმასი არ ჩქარობდა.

ბით განათებული ქოხების ბუნდოვანი ლანდებით გარშემორტყმულს, ალ-
 ყაში მოკცეულს. თითქოს ქუჩის ნათურებს შორისაც გაზრდილიყრ მანძი-
 ლი, თითქოს შავი სიცოცხლე, შავი ამონასუნთქიე რაღაც ბლანტ ნივთიე-
 რებად შედედებულოყო და არა მარტო ხმები, არამედ მოძრავი სიუღლებიცა
 და თავად სინათლეს უნდა გათხიერებულოყვნენ. ნელ-ნელა მისწვს მსმცეს
 უნდა შეეწოვათ უკვე ღონემოკრებილი ღამე და თვითონაც ღამეს უნდა
 შერწყმოდნენ, მის ნაწილად უნდა ქცეულიყვნენ.

ქრისტმასი უძრავად იდგა, მძიმედ სუნთქავდა და აქეთ-იქით აკვესებდა
 თვალებს. ნავთის ლამპების სუსტ, მხურვალე შუქზე წყვილადში შავადვე
 იკვეთებოდნენ ქოხების ლანდები, ყოველი მხრიდან, თუმცა, ყოველი მხრიდან
 კი არა, თითქოს მისივე არსებიდანაც, ზანგი ქალების უჩინარი, ნოყიერი
 და რბილი ღუდუნი მოისმოდა. თითქოს არამცთუ თვითონ, არამედ ყოველი
 მამრი ისევ ბნელ, ისევ მხურვალე, ისევ ნოტიო პირველსაწყის საშოს დაბ-
 რუნებოდა. ადგილს მოსწყდა და გაიქცა, თვალებანთებული, კბილებდაკრე-
 ქილი, გარბოდა და ცივი ჰაერი გამშრალ ტუჩებს უწვავდა, კბილს სჭრიდა—
 უახლოეს ქუჩის ნათურამდე უნდა მიეღწია როგორმე, იქიდან კი ვიწრო და
 ოღროხოღრო შუკა პარალელურ ქუჩამდე აიყვანდა და ეს ჩაშავებული, ბნელი
 ხევიც უკან დარჩებოდა. შუკაშიც სირბილით შეუხვია და ციცაბო აღმართს
 შეუყვავა, გამალებით უცემდა გული, ყელში ებჯინებოდა, ვიდრე ზევით, სამ-
 შვიდობოს ააღწევდა, იქლა შეჩერდა, აქოშინებული, თვალებანთებული, გულ-
 ამოვარდნილი, თითქოს არ სჯეროდა, ვერ ბედავდა დაეჯერებინა, უკვე თეთრ-
 კანიანთა ცივ, მყარ ჰაერს რომ ისუნთქავდა.

ძლივს დაწყნარდა. ზანგების სუნიცა და ზანგების ხმებიც სადღაც უკან,
 ქვევით დარჩა. ახლა ხელმარცხნივ მოედანი ჩანდა, სინათლის მტევნები:
 ფრთებგაშეშებული, მთრთოლვარე, კაშკაშა ჩიტები დაბლა, მიწის სიახლო-
 ვეს ეკიდნენ. მარჯვნივ ქუჩის ნათურების მწყრივი ჩარიგებულოყო, ერთმანე-
 თისგან თანაბარი მანძილით დაშორებულთ. შიგადაშიგ დატეხილი, გარინდუ-
 ლი ტოტები გამორეოდნენ. მოედნისკენ აღარ წასულა, ზურგი აქცია და
 საპირისპირო მიმართულებით გაუყვა ქუჩას, აუჩქარებლად მიაბიჯებდა, ისევ
 თეთრკანიანთა სახლებს შორის, ხალხი აივნებზე გამოფენილიყო, ზოგიერ-
 თებს ეზოშიაც გამოეტანათ სკამები და სახლების წინ ისხდნენ; მაგრამ აქ
 მშვიდად შეეძლო ევლო. ხანდახან დაინახავდა კიდევ: ვიღაცის თავის
 ჩრდილს, ვიღაცის თეთრად შემოსილ, ბუნდოვან სილუეტს; განათებულ ვე-
 რანდაზე ოთხნი მისხდომოდნენ ბანქოს მაგიდას, ჩაწეული ლამპის შუქზე
 თეთრად კრთოდნენ დაძაბული და მკაცრი სახეები, მაგიდაზე გაშლილ ქა-
 ლაღსაც თეთრად გადაურბენდა ხოლმე ქალების შიშველი, გლუვი მკლავე-
 ბის ათინათი. „ჩემი ოცნებაც სულ ეს იყო“, გაიფიქრა ქრისტმასმა. „განა რა
 იმდენი მდომებია“.

ეს ქუჩაც თავქვე დაეშვა. ოღონდ ახლა ხიფათი აღარ ელოდა. ნელა მი-
 დიოდა, ბნელში გამკრთალი მისი თეთრი პერანგიცა და შავი ფეხებიც გრძელ-
 მა, აგვისტოს ვარსკვლავებს შერწყმულმა გაწეულილმა და გაშეშებულმა ჩრდი-
 ლებმა შთანთქმეს; ბამბის საწყობის, თავმოკრილი მასტოდონტივით ვეებერ-
 თელა ცილინდრული ცისტერნისა და სატვირთო ვაგონების ჩრდილებმა.
 რკინიგზის ხაზი რომ გადაკვეთა, ლიანდაგებმა წამით მწვანედ, ტყუპად იელ-
 ვეს სემაფორის შუქზე და ისევ გაუჩინარდნენ. რკინიგზის გადაღმა ტყე იწ-
 ყებოდა. ბილიკის პოვნა არ გასჭირვებია, ხეებს შორის გაკვალულ ბილიკს

მიუყვებოდა აღმართში; იმ ხეობის გადაღმა. სადაც რკინიგზა გადიოდა. ერთ-
 ხელ კიდევ გამოჩნდა ქალაქის სინათლეები. მაგრამ, ვიდრე გორაკს არ ჩიქო-
 ცა თხემზე, უკან აღარ მოუხედია. მერეღა გახედა ქალაქს. ქალაქის ჩრდი-
 ღნებს, მოედნიდან ოთხივე მხარეს გაფანტულ სინათლეებს. ის ქვეყნის ქვეყნის
 რომელსაც აქამდე მოეყვანა და მეორეც, რომელმაც წელან. ~~სინათლეებს~~
 გასცა და ამხილა; უფრო შორს ქალაქის სწორკუთხა, განათებული გალავა-
 ნიც მოჩანდა. გალავნის ერთ კუთხეში კი — შავბნელი ხარო, საიდანაც გულ-
 გახეთქილმა და გამწარებულმა გამოაღწია სამშვიდობოს. იქიდან არც შეჭი-
 ლტნებოდა, არც სუნთქვა ისმოდა და არც სუნი მოდიოდა. თითქოს ბნელში
 განაბულიყო, ბნელში გატრუნულიყო იდუმალი და შეუღწეველი. აკვისტოს
 მართლვარე სინათლეების გირლიანდებში ჩაკარგული: ვინ იცის, თავად
 პირველქმნილი წიაღი, თავად პირველქმნილი ქაოსი.

გზას შეუმცდარად მიიკვლევდა, არც ხეები უშლიდა ხელს და არც სიბ-
 ნელე ვერ ხედავდა, არადა, მაინც ერთხელაც არ გადაუხვევია ბილიკიდან.
 ტყე ვრცლად გაწოლილიყო წყვილიაღში. მერე გზაზე გამოვიდა. ფეხქვეშ
 შარავნის მტვერი შეიგრძნო. ახლა, თანდათანობით, ბუნდოვანი და უსასრუ-
 ლო სამყაროც. პორიზონტიც გამოიკვეთა. აქა-იქ, ფანჯრებში სუსტი შეჭი-
 გაბეჭუტებდა ხოლმე. თუმცა, ქოხების უმრავლესობა ბნელში ჩანთქმული-
 ყო. ასეა თუ ისე, სისხლმა ისევ შეახსენა თავი, ხელახლა ამოიდგა ენა და
 თვითონაც ნაბიჯს აუჩქარა, სისხლს ფეხი აუწყო; თითქოს ვიდრე დაინახა-
 და, ვიდრე იმათ ხმას ვაიგონებდა, ვიდრე იმათი სილუეტები ბუნდოვნად
 გამოიკვეთებოდა ჩამკვდარი გზის ფონზე. უკვე მანამდეც იცოდა, მომავალნი
 ზანგები რომ იყვნენ, ბუნთი თუ ექვსნი მოდიოდნენ კვალში ჩამდგარნი, და-
 წყვილებულნი; საკუთარი სისხლის ხმაურში ისევ მოესმა ქალური მსუყე
 ხმების დუდუნი. პირდაპირ მათკენ მიაბიჯებდა, გაჩქარებული. იმათაც დაინა-
 ხეს და გზის ნაპირზე მიდგნენ. მიჩუმდნენ. მაშინ თვითონაც იცვალა გეზი,
 მაინც იმათკენ დააღერა თავი, თითქოს უნდოდა, საერთოდ გადაერეკა გზი-
 დან. თითქოს ვიღაცის უსიტყვო ბრძანებას ემორჩილებიანო. ქალებმა ერთ-
 დროულად დაინიეს უკან, გაეცალნენ. გზა უტიესა. ერთი კაციც იმათ მიჰყ-
 ვა. თითქოს წინ გაირეკაო. თან მხარს ზემოდან მალიმალ უკან იხედებოდა.
 ორი დანარჩენი გზაზევე დარჩა. ქრისტმასის პირისპირ, ქრისტმასი გაჩერდა.
 თითქოს ადგილიდან აღარავინ იძვროდა. არადა, ის ორნი მაინც ახლოვდებოდ-
 ნენ, უზომოდ გაზრდილ ლანდებად მოცურავედნენ ქრისტმასისკენ. ქრისტმასს
 ზანგის სუნი ეცა — იაფფასიანი ტანსაცმლისა და ოფლის სუნი. ზანგის თავი
 თითქოს ზეცას ებჩინებოდა. თითქოს ციდან დასცქეროდა ქრისტმასს. „თეთრ-
 კანიანი ყოფილა“, უთბრა ამხანაგს. თუმცა თავი მისკენ არ მიუბრუნებია,
 მშვიდად ლაპარაკობდა. „რა ვნებაეს, თეთრო კაცი? ეძებ ვინმეს?“ ხმაში არც
 მუქარა იგრძნობოდა, არც მონური მორჩილება.

„წამო, წავიდეთ აქედან ჯუბ“. გამოსძაბა იმან, ქალებს რომ გააყვია.

„ვის ეძებ, უფროსო?“ გაუმეორა კითხვა ზანგმა.

„ჯუბ“, წვრილი ხმით დაუძაბა ერთ-ერთმა ქალმაც. „კარგი ეხლა, წამო-
 დი“.

დაძაბულად აქოშინებული ორი თავი, თეთრი და შავი, კიდევ ცოტა ხანს
 თითქოს გაუნძრევლად ეკიდა ბნელში, ერთმანეთის პირისპირ. მერე ზანგის
 თავი გაცურდა. გაეცალა; საიდანღაც გრილმა სიომ წამოუბერა, ქრისტმა-
 სიც ნელ-ნელა შემობრუნდა. თუმცა, მანამდე თვალი გააყოლა, გახედა, რო-

გორ უჩინარდებოდნენ, თანდათან ისევ როგორ ერწყმოდნენ გაცრეცილ გზას, მაშინდა იგრძნო, მაშინდა შეამჩნია, ხელში სამართებელი ^{გაქრა}, დაკეცილი. არადა, შიშით წამითაც არ შეშინებია. „ნაბიკვრებო!“ ^{თქვა} / საკმაოდ ხმამაღლა. „შობელძაღვრებო!“

სიბნელეში საიდანაც გრილი ქარი უბერავდა; მტკნარს სინკრევესა ცხესაც მელშიც ატანდა. „რა ჯანდაბა მკირს?“ გაიფიქრა ქრისტმასმა. სამართებელი ისევ ჭიბეში ჩაიღო. შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. სიგარეტი რომ დაეკირა, რამდენჯერმე გაისველა ტუჩები. ასანთის ალზე დაინახა, როგორ უთრთოდა ხელები. „ყველაფერი წვალებაა“. გაიფიქრა მან. „წვალებაა ეს ცხოვრება“. თქვა უკვე ხმამაღლა და ისევ განაგრძო გზა. მერე ცას, ვარსკვლავებს ახედა. მალე ათი შესრულდებო — გაიფიქრა; ფიქრი წესიერად არც დაემთავრებინა, ორი მილის იქით, სასამართლოს შენობაზე საათმა რომ დარტყა. ხელა, გამოზომილად, მკაფიოდ გაისმა ათი დარტყმა. საათის დარტყმები დაითვალა და ისევ გაჩერდა უკაცრიელ, ცარიელ გზაზე. „ათი საათია“. გაიფიქრა ქრისტმასმა. „ათი დარტყმა წუხელაც გავიგონე. მერე თერთმეტიც, თორმეტიც, აი, პირველი როდის შესრულდა, ეგ კი აღარ გამიგია. ეტყობა, ქარი თუ შეიცვალა“.

იმ ღამესაც რომ ჩამოჰკრა საათმა მეთერთმეტედ, ზურგით ხეს მიყუდებული იჯდა ეზოში, მორღვეულ ჭიშკართან, სადღაც უკან კი, გაბურძნულ ხეებს იქეთ, ჩაბნელებულ სახლს ეძინა. არ ფიქრობდა იქნებ იმახაც არ სძინავს საერთოდ არაფერს ფიქრობდა; ამღამინდელი ფიქრი, ჯერ არ დაწყებულა; ჯერ არც ხმები ესმოდა. უბრალოდ, გაუნძრევლად იჯდა და ცოტა ხანში, ორი მილის იქიდან, საათის თორმეტი დარტყმაც მოესმა. წამოდგა და სახლისკენ გაემართა. არ ჩქარობდა. მაშინაც კი არ ფიქრობდა რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა მოხდეს ჩემს თავს

6

მახსოვრობა მანამდე იჭერებს, ვიდრე ცოდნა გაიხსენებს. უფრო დიდხანსაც სჯერა, ვიდრე ახსოვს, უფრო დიდხანს, ვიდრე ცოდნას რამის გაგების სურვილი გაუჩნდებოდეს. იცის, ახსოვს, სჯერა — ციხესავით თუ ზოობარკივით ათი ფუტის სიმაღლის რკინისა და მავთულის ლობით გარშემორტყმული, აბოლებული ქარხნების შემოგარენით შემოზღუდული, ბრიოკ, დატკეპნილ წიღით მოფენილ ეზოში გრძლად გაწოლილი, დიდი, წოწოლასახურავიანი, ცივად მოგუგუნე, უთვალავი — საკუთარი თუ სხვისი — საკვამურით შავად შემურული და გაუქმურებული მუქი წითელი აგურის შენობის დერეფანი, სადაც ბელურებივით დაეიყვივებენ ლურჯი ტილოს ერთნაირტანსაცმლიანი ობლები და, დაუკითხავად, მისდა უნებურად, ხან აზვირთებული ტალღებივით შემოიჭრებიან ხსოვნაში, ხან კი ისევ ქრებიან, ოღონდ, მხოლოდ ხსოვნიდან, რადგან ცოდნა მარად უცვლელად ინახავს მათ სახეებს — შენობის ცივი კედლებივით და ცივი მინებივით, რომელთაც, წვიმის დროს, შავ ცრემლებად სდით ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მოახლოებული საკვამურების კვარტლი.

დადუმებულ და დაცარიელებულ დერეფანში, შუადღის მკვდარი საათის დროს, ლანდსა ჰგავდა; ხუთი წლისა, თავის ასაკთან შედარებით კიდევ უფრო

რო პატარა ჩანდა მართლაც ლანდივით უხმაურო და გატრუნული. თვალსაც რომ მოეკრა მისთვის ვინმეს, მერე ველარ იტყოდა, როდის და სად ვაჟი ჩანარებულყო. რომელ კარში, რომელ ოთახში. თუმცა, ვინ დაინახავდა, როცა ამ დროს დერეფანში სხვა სულიერი არ ქაქანებდა. ეს უკვე კარგად იცოდა. პირველი შემთხვევა ხომ არ იყო — იმ დღის შემდეგ დიეტექიმის ოთახში შემთხვევით აღმოაჩინა კბილის პასტა, ლამის მთელ წელიწადს გაევიღო უკვე.

ახლაც დიეტექიმის ოთახში ამოყო თუ არა თავი, ფეხშიშველმა, უხმაუროდ, ფეხაკრეფით პირდაპირ პირსაბანთან მიიღბინა და ტუბი მონახა. უკვე ვარდისფერ ჭიკაყელას დასცქეროდა, რომელიც ნელ-ნელა, ზანტად ეგრაგნებოდა პერგამენტისფერ თითზე, როცა დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და მერე, ზუსტად კარებთან, ლაპარაკიც გაიგონა. შეიძლება, იცნო კიდევ დიეტექიმის ხმა. ასეა თუ ისე, ლოდინი აღარ დაუწყია — გზას გააგრძელებენ თუ არაო. ტუბი ჭერაც ხელში ეჭირა. ფეხშიშველმა ისევ ლანდივით უხმაუროდ გადაიღბინა ოთახი და კუთხეში გაბმული ფარდის უკან შეიყუჟა. კბილა ფეხსაცმელებსა და ნაზ, პაეროვან, ქალურ ტანისამოსს შორის გაიტრუნა და ერთიანად მოკუნტულმა გაიგონა, როგორ შემოვიდნენ ოთახში დიეტექიმი და მისი თანამგზავრი.

ჭერჭერობით დიეტექიმი მისთვის მხოლოდ საჭმლის, სასადილო ოთახის, ზის გრძელ მაგიდებთან საუზმე-სადილ-ვახშმის მექანიკური დანამატი იყო და სხვა არაფერი, თუ ვერ ხედავდა, არც ახსენებოდა, ოღონდ, ეგ კია, დანახვისთანავე სასიამოვნო ასოციაციებს აღუძრავდა ხოლმე, რადგან თვითონაც სასიამოვნო შესახელი — ახალგაზრდა, ჩაპუტკუნებული, ფუმფულა და ვარდისფრად თეთრი — სასადილო ოთახს აგონებდა მუდამ. სასაზეც რაღაც ტკბილი და წებოვანი ნუგბარის გემოს უჩენდა, ვარდისფრისა და იღუმალეებით მოცულისა. იმ პირველ დღესაც, როცა ლამის უძებნელად მიიღწო ქალის ოთახში კბილის პასტას — არადა, მანამდე, მისი არსებობა ექვდაც კი არ იცოდა — თითქოს წინათგრძნობა კარნახობდა, წინათგრძნობა უბიძგებდა, დიეტექიმს რაღაც ამდაგვარი ოთახში და თვითონაც უეჭველად უნდა ეპოვა. უეჭველად უნდა მიეგნო მისი კვალისთვის. მერე დიეტექიმის თანამგზავრის ხმაც იცნო. ამ სახლში ადგილობრივი ექიმის თანაშემწე, საოლქო საავადმყოფოს ინტერნიც შინაური კაცი იყო და მტერი ჭერ არც იმას ეთქმოდა.

ახლა ფარდის უკან საფრთხე არ ელოდა, ისინი რომ წავიდოდნენ, თვითონაც ძველ ადგილზე დააბრუნებდა პასტას და უჩუმრადვე გაიპარებოდა. მოკლედ, ფარდის უკან იყო ჩაცუცქეული. ყურს არც კი უგდებდა და მაინც ესმოდა ქალის დაძაბული ჩურჩული: „არა! არა! აქ არა. ახლა არა. ვინმე მოგვისწრებს. დაგვინახავენ... არა, ჩარლი! გთხოვ!“ კაცის სიტყვებს საერთოდ ვერ არჩევდა. ისიც ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა. თუმცა, ნებისმიერი ხმაკაცის ხმისა არ იყოს, ეს ხმაც სასტიკი და დაუნდობელი ეჩვენებოდა. რადგან, თავისი ასაკის გამო, ჭერ ისევ ქალების სამყაროს ეკუთვნოდა, ჭერ ვერ გაქცეოდა ამ სამყაროს, თუნდაც მცირე ხნით, სულის მოსათქმელად, რათა შემდეგ ისევ დაბრუნებოდა და სამარადისოდ, აღსასრულის დღემდე, აქ დარჩენილიყო კიდევ. მერე სხვა ნაცნობი ხმაურიც გაიგონა: თითქოს ვიღაცამ გადაიღბინა, კარებში გასაღები გადატრიალდა. „არა, ჩარლი! ჩარლი, ვებვეწები! გთხოვ, ჩარლი!“ ჩურჩულებდა ქალი. კიდევ მოესმა ხმები —

მარიშური, ჩურჩული, ხმებიც რომ არ ეთქმოდათ თითქოს. თვითონ მოსმენას არცა ცდილობდა; უბრალოდ იცოდა და გულგრილად ფიქრობდა, ასეთ დროს დასაძინებლად დაწოლა ცოტა არ იყოს უცნაური ამბავიაო, თხელ ფარდაში ისევ შემოიდწია ქალის მისუსტებულმა ჩურჩულმა: „მეშინია! ჩქარა! ჩქარა“.

ნაზ, ქალის სურნელოვან ტანისამოსსა და ფეხსაცმელს ჩაიკუცქულიყო. ახლა უკვე კი არ ხედავდა, მხოლოდ შეიგრძნობდა დაცლილი ტუბის ოდესღაც ცილინდრულ ფორმას. კი არ უცქერდა, თითქოს გემოთი ჭვრეტდა გრილ, უხილავ ჭიაყელას, ჯერ თითზე რომ ეგრავნებოდა და მერე, თავისით, დაუკითხავად, პირისკენ მიიწევდა, ტკბილად ედღაბნებოდა სასაზე, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთხელ ჩაიკოკლოზინებდა ხოლმე ყელს, მერე ტუბს თავის ადგილზე დებდა და ოთახიდან იპარებოდა. ხუთი წლის კი იყო, მაგრამ უკვე ხვდებოდა, მეტის აღება არ შეიძლებოდა, ალბათ ცხოველური საწყისი აფრთხილებდა, მეტი გაწყენსო; ადამიანური კი, ალბათ, იმას კარნახობდა, მეტს თუ აიღებ, ქალი უთუოდ მოისაკლისებსო. პირველად ვერ მოზომა, პირველად მოუვიდა მეტი. გატრუნულმა და მოლოდინად ქცეულმა, თითქმის მთელი პასტა გამოსცალა. შეგრძნება უჩვენებდა, როგორ გაღულიყო ტუბი. თანდათან გაიოფლა. მერელა მიხვდა, უკვე კარგა ხანია ოფლი ასხამდა, კარგა ხანია, მხოლოდ იოფლებოდა და იოფლებოდა. აღარაფერი ესმოდა. ფარდის იქით თოფი რომ გაესროლათ, ალბათ იმასაც ვერ გაიგონებდა. საკუთარ არსებას მიყურადებულის, თითქოს საკუთარ თავსვე შესცქეროდა და ხედავდა, როგორ იცვარებოდა ოფლით, როგორ ედღაბნებოდა სასაზე კიდევ ერთი ჭიაყელა, რომელსაც კუჭი უკვე აღარ ღებულობდა. ჭიაყელაც უძალიანდებოდა, აშკარად უარს ამბობდა ქვევით ჩასრიალებაზე გახვეებული, ღრმად ჩაფიქრებული, თითქოს ზემოდან დასცქეროდა და ავირდებოდა საკუთარ თავს, თითქოს ლაბორატორიაში ქიმიკოსი ცდას ატარებს და მოუთმენლად ელოდება შედეგსო. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. უკვე გადაყლაპული პასტა ერთბაშად აზავთდა სადღაც შიგნით და ავლავ გარეთ, პაერზე, სიგრილეში გამოლწევას შეეცადა. ახლა პასტას სიტკბოც დაჰკარგვოდა. ვარდისფერ ქალის სურნელოვან სივიწროვესა და სიბნელეში, ტუჩებზე ვარდისფერ ქაფმოდებული, ფარდის უკან ჩაიკუცქულიყო და საკუთარ შიგნეულობას უსმენდა, გაოცებული და სასოწარკვეთილი ელოდებოდა იმას, რაც საცაა უნდა მომხდარიყო. მერე, მოსახდენიც მოხდა. ბედს შეგუებულმა და დამორჩილებულმა, გულში თქვა: აქა ვარ, არსად გავრბივარო.

ფარდა რომ გადაიხსნა, თავი არ აუღია. არც მაშინ გაძალიანებულა, როცა გამძვინვარებულმა ხელებმა საკუთარი ნარწყევვიდან ამოათრიეს, ხელში აყვანილი, მომჩვარული ეკიდა პაერში და პირდაბჩენილი, შუშისთვალეზა იდიოტივით შესცქეროდა იმ სახეს, რომელსაც აღარც ფუმფულა ეთქმოდა და აღარც ვარდისფრად თეთრი, უეცრად დამახინჯებული და შეშლილი, გაწეწილ, ყალყზე დამდგარ თმაში ჩაკარგულიყო, არადა, ადრე დიეტეჰიმს მუდამ საგულდაგულოდ დავარცხნილსა და პრიალა ბაფთით თმაშეკრულს ხედავდა ხოლმე და ის ბაფთაც, რატომღაც, ყოველთვის კამფეტს აგონებდა. „ოო შე ვირთხა შენა!“ წვრილი ხმით, გაკაპასებულის სისინებდა ქალი. „ვირთხა! მაშ მითვალთვალე. არა? ოო შე ლაწირაკო, შე ზანგის ნაბიჭვარო შენა!“

დიეტეჟიმი ოცდაშვიდი წლისა გახლდათ, ანუ, საკმაოდ მოწვეული სა-
სიყვარულო თავგადასავლებისათვის და თან ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა სა-
იმისოდ, უფრო მეტი თავად სიყვარულზე რომ ეფიქრა და იმაზე ~~მარტო~~ ^{მარტო}
ღმერთმა ნუ ქნას, ეს თავგადასავლები ხალხის სალაპარაკო გახდეს. ^{ეს}
ყომა. ბრიყვიც იყო, რაკი დაიჯერა, არა მარტო ჭეშმარიტ დასკვნას გამოი-
ტანს ხუთი წლის ბავშვი ნანახიდან და განაგონიდან, არამედ, დიდი ადამიანი-
ვით, საიდუმლოს გამხელის უნაც შეიპყრობსო. ის კი არა, მერე, მოგვიან-
ებით, მომდევნო ორი დღის განმავლობაში, როცა ვერსაით წაუვიდა და
ვერსაით დაეშალა ბავშვის დაჟინებულ, დაძაბულ, კითხვით აღსავსე ცხოვე-
ლურ თვალებს, მოზრდილის სხვა თვისებებიც მიაწერა: აქაოდა, არა მარტო
აპირებს, არამედ შეგნებულადაც აქიანურებს ნანახისა და გაგონილის გამხე-
ლას, რათა უფრო მეტად დამტანჯოს და გამამწაროსო. აზრადაც არ მოსვ-
ლია, იქნებ ბავშვს თვითონ ჰგონია თავი დამნაშავე, იქნებ თვითონვე არ აძ-
ლევს მოსვენებას გაქიანურებული, გარდაუვალი სასჯელის მოლოდინი და
იქნებ განზრახაც მეჩხირება თვალში, ერთხელ და სამუდამოდ რომ გაარკ-
ვიოს გასარკვევი. თუ გასალახია, გაილახოს და ამით მოითავოს ბოლოს და
ბოლოს ეს ამბავიო.

მეორე დღეს სასოწარკვეთას აღარაფერი უკლდა. მთელი ღამე არ სძი-
ნებია. თითქმის მთელი ღამე ერთიანად დაჭიმული, კრიჭაშეკრული, ხელებ-
მომუშტული იწვა. ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა რისხვისა და შიშისაგან და, რაც
ყველაზე უარესია, სინანულისაგან, განსაკუთრებით მაინც ის აცოფებდა,
დროს რომ ვერაფრით დააბრუნებდა უკან, თუნდაც ერთი საათით, თუნდაც
ერთი წამით. სულ ერთია, იმ დაბრუნებულ დროში სიყვარულისთვის აღგილი
დარჩებოდა თუ არა. სიყვარულსაც ნანობდა; ახალგაზრდა ექიმი ახლა მისთ-
ვის იმ ბიჭზეც უფრო ნაკლებს ნიშნავდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მისი
უბედურების იარაღად ქცეულიყო და არამც და არამც ხსნისა და გადარჩე-
ნისა. ვერც იტყოდა გულწრფელად, რომელი ეჭავრებოდა უფრო ძლიერ.
ვერც იმას ხვდებოდა, როდის ეძინა და როდის ეღვიძა. ვერ ხვდებოდა, რად-
გან ქუთუთოებზეც და თვალის ბადურაზეც თითქოს ის გაქვავებული, მოლუ-
შული, ჭიუტი. პერგამენტისფერი სახე აღბეჭდვოდა სამარადისოდ.

მესამე დღესღა გამოერკვა რინდიდან, მესამე დღეს, როგორც იქნა
დააღწია თავი იმ ბურანს, როცა, სხვების დასანახად, დილიდან საღამომდე
ნიღბადქცეული სახით დადიოდა, ყალბი, ნატანჯი, პირფერული ღიმილის
ნიღაბი ჰქონდა აფარებული და შიშით ნიღბის ჩამოხსნაც ვერ გაეებდა. ბიჭის
პოვნა არ გასჭირვებია. სადილის შემდეგ, მკვდარი საათის დროს გადაეყარა
ცარიელ დერეფანში. ბიჭი უსაქმოდ დაყიალებდა. ვინ იცის, თვითონაც დიე-
ტეჟიმის ნახვა ეწადა. მართლაც დაბეჯითებით ვინ რას იტყოდა, არც ქალს
გაჰკვირვებია მისი დანახვა და არც ბიჭს შესტყობია გაოცება, როცა ფეხის
ხმა მოესმა და შემოტრიალდა: ორი სახე ერთმანეთს მიაჩერდა დაჟინებით,
ერთს აღარც ფუმფულა ეთქმოდა და აღარც ვარდისფრად თეთრი, მეორეს
კი, მოლუშულსა და თვალებადქცეულს, მხოლოდ მოლოდინი აღბეჭდვოდა
ზედ, „ახლა კი მორჩება ყველაფერიო“, — გაიფიქრა ბიჭმა.

„მომისმინე“, დაიწყო ქალმა. დაიწყო და მაშინვე გაჩუმდა, ოღონდ ბა-
ჭისთვის თვალი არ მოუშორებია. თითქოს არ იცოდა, ვერ მოეფიქრებინა,
კიდევ რა უნდა ეთქვა. ბიჭიც უცდიდა, გაქვავებული, უძრავი. ზურგზე და

დუნდულებზე თანდათანობით კუნთები გაუხევდა, გაუშვდა, დაეძაბა და ფიცარივით გაუხდა. „უნდა გამთქვა?“ ჰკითხა ქალმა.

ბიჭმა არაფერი უპასუხა. ან რა უნდა ეპასუხა როცა ეგონა, ყველგან ხვდება, ყველამ კარგად იცის, უნალ მოვკვდები, ვიდრე იმ კბილის პასტის და რწყვევის ამბავს გავთქვამ და გავამხელო. ქალის ხელში არ ამორებდა და უხმოდ იცდიდა. ქალს ცალი ხელი ქვედა კაბის ჯიბეში მოემუშტა ქსოვილიც ვერ ფარავდა. რა მაგრად ჰქონდა ხელი მომუშტული. მანამდე მუშტით არასოდეს ეცემათ. თუმცა, არც სამი დღე უცდია სასჯელისთვის როდისმე. მერე დაინახა, ნელ-ნელა როგორ დაიძრა ჯიბიდან ხელი და — ახლა კი მომხვდებო — გაუელვა ფიქრმა წამით. მაგრამ, ქალს არ გაურტყამს. თვალწინ გაუშალა მომუშტული ხელი. ხელისგულზე ვერცხლის დოლარიანი ედო. თან გაწვრილებული, ჯიუტი, შემპარავი ხმით ეჩურჩულებოდა, თუმცა დერეფანში იმათ გარდა სხვა არავინ ჩანდა. „იცი, ამით რამდენს იყიდი? მთელი დოლარია“. ადრე დოლარი არასოდეს ენახა, თუმცა, კი იცოდა, რა იყო. ფულს დახედა. დოლარიც ზუსტად ისევე ხიბლავდა. გინდაც ქალს ლუდის ბოთლის ბრჭყვიალა თავსახური სდებოდა ხელზე. მაგრამ, მაინც არ სჯეროდა მართლა თუ აჩუქებდნენ, არ სჯეროდა, რადგან თვითონ ასეთ საუნჯეს ვერაფრით შეელოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო, რა სურდა ქალს, რას სთხოვდა, რისკენ უბიძგებდა. ერთი რამ უნდოდა მხოლოდ, გამლახონ და თავი დამანებონო. ქალი კი თავისას აგრძელებდა, ჯიუტად, დაძაბულად. ჩქარ-ჩქარა: „მთელი დოლარია, ხედავ? იცი, რამდენს იყიდი? ერთი კვირა გეყოფა, ყოველდღე შეჭამ. იქნებ იმ თვეშიც მომეცა კიდევ“.

ბიჭი არც განძრეულა, არც ხმა ამოუღია. ქვისგან გამოკვეთილ კაცუნას აგავდა: კომბინეზონში გამოწყობილი, პატარა, უძრავი, მრგვალთავიანი და თვალბეზრგვალელებული. გაოცებას, ელდას, შეურაცხყოფას გაექვაებინა ასე. დოლარიანს დასცქეროდა და თითქოს დაპობილ შეშასავით კობტად, საგულდაგულოდ დაწყობილ კბილის პასტის ტუბებს ხედავდა. ტუბების უსასრულო, შიშისმომგვრელ რიგს. მთელი არსება ერთიან დაუკრუნჩხა მსუყვე დაუძლეველმა ზიზღმა. „მეტი აღარ მინდა“, თქვა ჩუმად. „და არც აღარასდროს მომინდება“, დაამატა ფიქრში.

უკვე ველარ შეეხედა ქალისთვის, მაგრამ იმის არსებობას კი მთელი ტანით გრძნობდა და მისი ხმაც, მისი გაბმული, დაძაბული სუნთქვაც კარგად ესმოდა. ახლა კი მორჩა გაუელვა წამით. მაგრამ ქალს მხოლოდ ღონივრად, მაგრად ქყავდა ჩაბღუჯული და გაკავებული, სხვას არაფერს ერჩოდა. თითქოს ხელებმაც აღარ იცოდნენ, კიდევ რა უნდა მოემოქმედათ. ქალის სახე ისე ახლოს იყო, ლოყაზე მის ამონასუნთქს გრძნობდა. თავი რომ არც აეწია, რომც არ აეხედა, მაინც იცოდა, რა სახე ექნებოდა იმ წუთას დიეტეჰიმს. „ხოდა თქვი!“ თქვა ქალმა. „თქვი, თქვი, შე ლაწირაკო, თქვი, შე ზანგის ნაბიჭვარო!“

ეს მესამე დღეს მოხდა, მეოთხე დღეს კი ქალი წყნარად და საბოლოოდ გადაცდა ჰკუიდან. უკვე გეგმებსაც აღარ აწყობდა. მისი საქციელიც უფრო მარჩიელობას წააგავდა. თითქოს იმ დღეებისა და ღამეების განმავლობაში, როცა სიმშვიდის ნიღბის საფარქვეშ საკუთარ შიშსა და მრისხანებას ელოლიავებოდა. ბუნებრივი და შეუმცდარი ქალური აღლოს წყალობით მისი ფსიქიკაც მხოლოდ და მხოლოდ ბოროტების არსისა და სახის შეცნობას ცდილობდა გაუაზრებლად.

თითქოს დამშვიდდა კიდევ. უკვე აღარც ჩქარობდა. თითქოს თავზე საყრელი დროც გამოუჩნდა. რაღა ყველაფერი მშვიდად აეწონ-დაეწონა და სიმოქმედო გეგმაც საგულდაგულოდ მოეფიქრებინა. და მართლაც, ცოცხალი ხედ-მოიხედა თუ არა, გონების თვალისა და ფიქრიც მაშინვე სატყვეპყვენი თან მჯდომ დარაჯს მიაპყრო. თინაც, არც წინათგრძნობა კარნახობდა. არც წინასწარი განზრახვა ამოძრავებდა. უბრალოდ, თითქოს სულ ერთი წუთით გამოეხედა საკუთარი ორსებიდან, როგორც მგზავრს ვაგონის ფანჯრიდან, და ყოველგვარი გაოცების გარეშე დაენახა ეს ჩია, ბინძური ბერიკაცი. მოწინულ სკამზე რომ იჯდა ჩაუეჭურებულ, გაქვარტლულ წინკარში, რკინის ჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა და მუხლებზე გადაშლილ წიგნს კითხულობდა — ამ, ლამის შენობის ნაწილად ქცეულ ფიგურას, უკვე სუთი წელია ხედავდა, არადა, წესიერად ალბათ ერთხელაც კი არ შეუხედავს მისთვის. ის კი არა, ქუჩაში რომ შეხვედროდა, სახეზე ვერც იცნობდა. თუმცა მაშაკაცი იყო, ისე ჩაუვლიდა გვერდით, ყურადღებას არც მიაქცევდა. ახლაცხოვრებაც იმ დერეფანივით უბრალო და ლარივით სწორი მოეჩვენა, რომლის ბოლოშიც დარაჯი იჯდა. ჰოდა, ისიც დაუყოვნებლივ იქით გაეშურა, მანამდე გაუყვა გზას, ვიდრე გაიაზრებდა — მივდივარო.

დარაჯი თავის მოწინულ სკამზე იჯდა წინკარში და მუხლებზე ისევ გადაშლილი წიგნი ედო. როცა მიუახლოვდა, დაინახა — ბიბლიას კითხულობდა. თუმცა, კი არ დაინახა, სხვათა შორის შეამჩნია, როგორც, ალბათ, ბუზს შეამჩნევდა კაცის მუხლზე. „ვიცი, თქვენც გეჩავრებათ“, პირდაპირ მიახალა ქალმა. „სულ თვალს ადევნებთ, ბევრჯერ შევამჩნიე, არ მითხრათ, არაო“. კაცმა ქვემოდან ამოხედა, სათვალე მუხლზე აეწია. მოხუცი არ ეთქმოდა, არც ამჟამინდელი საქმიანობა ესადაგებოდა მაინცდამაინც მის გარეგნობას. ჯანიან კაცსა ჰგავდა, სიბერისა ჯერ არაფერი ეცხო; წესით, დაძაბული, მჩქეფარე ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, მაგრამ, ეტყობა, რალაცას — დროსა თუ გარემოებას — ემუხბოდა მისთვის და ამ ჯანმრთელი, ორმოცდახუთი წლის კაცის სხეულიცა და ფიქრებიც იმ ქაობში გადაესროლა. სამოცისა თუ სამოცდახუთი წლის ბერიკაცს რომ შეეფერება. „თქვენ ყველაფერი იცით“. გააგრძელა ქალმა. „მანამდეც იცოდით, ვიდრე ბავშვები ზანგს დაუძახებდნენ. აქაც თითქმის ერთდროულად გამოჩნდით ორივენი. ერთი თვის დაწყებულებიც არა გქონდათ ჩვენთან მუშაობა, როცა იმ შობა ღამეს ჩარლიმ იი აქ, კარებთან იბოვა, ხომ მართალი ვარ?“ დარაჯს მრგვალი, ოდნავ მობოშებული სახე ჰქონდა, ქუჩკიანი, წვირიან ჯავარმოდებული. გამჭვირვალე, ნაცრისფერი, ცივი თვალეებით შესცქეროდა ქალს, შეშლილის თვალეებით, თუმცა, ქალს ეს არ შეუმჩნევია, ანდა, შეიძლება, მას არც მოსჩვენებია შეშლილის თვალეებად. მოკლედ, გამჭვარტლულ წინკარში განმარტოვებულიყვნენ, ერთმანეთს მისჩერებოდნენ, შეშლილი თვალეები შეშლილ თვალეებს ჩასცქეროდნენ და შეშლილი ხმაე წყნარად, ჩუმად, ძუნწად ეპასუხებოდა შეშლილ ხმას. — თითქოს შეთქმულები თათბირობენო. „ხუთი წელია თვალს გადევნებთ“. ქალს სჯეროდა, სიმართლეს ვამბობო. „ბავშვებს ეზოში გამოუშვებენ თუ არა, თქვენც გამოიტანთ ხოლმე იმ სკამს, დაჯდებით და მისჩერებხართ. სხვა დროს არც თქვენ ჩანხართ თითქმის. იმას კი ჯიუტად არ აშორებთ თვალს, დაეინებით უცქერიით და ისიც კარგად ვესმით, როგორ დასძახიან ამხანაგები — ზანგო, ზანგოო, ხომ ასეა? მე ვიცი, აქაც მხოლოდ იმიტომ დაიწყეთ მუშაობა, თვალწინ რომ გყავდეთ სულ და გეზიზღებოდეთ, სი-

ძულელი არ გაგიქრეთ. აქი ლამის ერთდროულად გამოჩნდათ ორივე. იქნებ, თვითონვე მოიყვანეთ კიდევ და მანდ, კარებთან დატოვეთ. ასეა თუ ისე, თქვენ სიმათლეს იცით, იცით და მეც უნდა გამაგებინოთ თუ გამამხილა, ულაპარაკოდ დამითხოვენ და ჩარლიც... ალბათ... მითხარით, ახლავე მითხარით ყველაფერი“.



„პოო“, თქვა დარაჯმა. „ვიცოდი, უფლის საათი რაღაცაა უთუოდ წაგასწრებდა ცოდვაზე. ვიცოდი, ისიც ვიცი, იქ ვინც დააყენა — ნიშნად და წყევლად სიძვისა“.

„მართალია. ფარდის უკან იდგა. ორ ნაბიჯზე, ისე ახლოს, როგორც ახლა თქვენ ხართ. პოდა, მითხარით, მე ხომ ვიცი, რა თვალებითაც უყურებთ ხოლმე. მე გაკვირდებოდით. ხუთი წელია გაკვირდებით“.

„მე ვიცი“, თქვა კაცმა, „ვიცი, რაც არის ბოროტება. განა თვითონ არ გავუყენე გზას, რათა კიდით კიდემდე მოევლო საწუთრო? დეთის თვალწინ მოარულ სიბილწედ ვაქციე. ბავშვების პირით კი კვშმარიტება ლაღადებს. აქი შენც მოგისმენია მათთვის. მე იმათთვის არაფერი მისწავლებია, არ დამირიგებია, ასე და ასე დაუძახეთ-მეთქი. იმისი კვშმარიტი ბუნებისამებრ, იმისი დაწყევლილი სახელით-მეთქი. მე არ დამირიგებია. თვითონ მიხვდნენ. ვილაცამ კი ჩააგონათ. ოღონდ მე არა, სხვამ. მე ვიკვები და ველოდებოდი, ვუცდიდი, როდის ჩამოპკრავდა უამი, როდის ჩათვლიდა უფალი საჭიროდ სიმათლეს გაემყლავენებინა თავისივე შექმნილი სამყაროსათვის. აი, დროც დამდგარა. ნიშანიც გამოჩენილა — ისევ და ისევ ქალის ცოდვითა და სიძვეთ დაწერილი“.

„პო, მაგრამ მე რაღა ვქნა? როგორ მოვიქცე?“
 „დაელოდე. ჩემსავით მოიცადე. მე ხუთი წელი ვიცდიდი, ხუთი წელი ველოდებოდი, როდის ინებებდა უფალი საკუთარი ნების გამყლავენებას. აი, გამყლავენა კიდევ. პოდა, შენც მოიცადე, როცა საჭიროდ ჩათვლის, თავის ნება-სურვილს ძალაუფლების მქონეთაც ამცნობს“.

„პო, ძალაუფლების მქონეთ“ ორივე გაქვავებულიყო, ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ, მშვიდად სუნთქავდნენ.

„ქალბატონს, როცა საჭიროდ ჩათვლის, თავის ნება-სურვილს იმას გაუმხელს“.

„მაშ, თუკი დირექტორი ვაიგებს, აქედანაც გაისტუმრებს? შეიძლება, მაგრამ მე რომ ლოდინი არ შემოძლია?“

„არც უფალი ღმერთის აჩქარება შეგიძლია, განა მე ხუთი წელი არ ვიცდიდი?“

ქალმა რამდენჯერმე, მსუბუქად დაირტყა ხელზე ხელი. „როგორ ვერ ხვდებით? იქნებ სწორედ ეგაა დეთის ნება აი, თქვენ რომ მე გამიმხილოთ, თქვენ ხომ ყველაფერი იცით, იქნებ ღმერთს ნებაგს, თქვენ მე მითხრათ, მე კი დირექტორს“. ქალის შეშლილი თვალები კეთილმოსურნედ, მლიქვნელურად უცქერდნენ დარაჯს. შეშლილი ხმითაც მშვიდად, დაყვავებით ცდილობდა ელაპარაკა: მართო ხელებისთვის ვერ მოეხერხებინა ვერაფერი. ისევ გაუჩერებლივ, მსუბუქად ურტყამდა ერთმანეთს.

„შენც ჩემსავით მოიცდი“, უთხრა კაცმა. „ჯერ სამი დღეა, რაც უფლის მოწყალე მარჯვენის სიმძიმე აგრძენი. მე კი ხუთი წელია ვგრძნობ, ხუთი წელია ვუცქერ და ველოდები, როდის დაპკრავს უამი, იმიტომ, რომ ჩემი ცოდვა შენ ცოდვაზე ბევრად უფრო მძიმეა“. პირდაპირ სახეში კი შესცქე-

როდა ქალს, მაგრამ, ეტყობა, საერთოდ ვერ ამჩნევდა, ეტყობა. მისი თვალები საერთოდ ვერ ხედავდნენ ვერაფერს. ბრძის თვალებს ჰგავდნენ — თართლის გახელილს, ყინულივით ცივს, ფანატიკურს. „იმასთან შედარებით, რაღაც ში ჩაიღინე და რაც ტანჯვით მოვიჩანე, შენი საქციელიცა და შენი ქალური/სადარდებელიც ერთი მუქა ტალანია და სხვა არაფერი. მე ხუთი წელიწადი მინე; შენ ვინა ხარ, შენი პატარა ქალური სიბინძურის გამო ყოველდღე მინე რომ აჩქარო?“

ქალმა იმწამსვე ზურგი შეაქცია. „კეთილი, ნურაფერს მეტყვი. ისედაც ვიცი, ყოველთვის ვიცოდი, ზანგის სისხლი რომ ერიო“. შეტრიალდა და ისევ შენობაში შევიდა. ახლა აღარ ჩქარობდა, ნელა მიდიოდა და თან მთქნარე-ბისგან ლამის პირი გახეოდა. „საქმე ისღაა, დირექტორი როგორ დავარწმუნო. ეგ არაფერს იტყვის, მაგის იმედზე ვერ ვიქნები“. ისევ დაამთქნარა, საზარლად, თითქოს მთელი სახით, მერე მთქნარებამაც გადაუარა. იმ წუთას კიდევ ერთმა ახალმა აზრმა გაუელვა თავში, ადრე ამაზე არ უფიქრია, მაგრამ მაინც სჭეროდა, ადრეც ვიცოდიო, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავიო, რადგან ეს აზრი საოცრად მართებული ეჩვენებოდა: ბიჭს არა მარტო აქაურობას მოაშორებდნენ, მისი გულისხმეთქვის, მისი შეშინებისა და შეწუხებისათვის დასჯიდნენ კიდევ. „ზანგს ობლების თავშესაფარში გააგზავნიან“, ფიქრობდა ქალი, „აბა რა? სხვა რა გზა ექნებათ?“

თუმცა, დირექტორს მაშინვე მაინც არ მისდგომია, დირექტორის კაბინეტისკენ კი გაემართა, მაგრამ კაბინეტში აღარ შესულა, კაბინეტის კარს ჩაუარა, კიბეს მიადგა და ზემოთ აუყვა, თითქოს საკუთარ თავს კედში მისდევდა, მიაცილებდა და თვალს ადევნებდა — აბა ერთი საით წავაო, გაყუჩებულსა და გაუკაცრიელებულ დერეფანში ისევ დაამთქნარა, მოურიდებლად, თავისუფლად, მერე თავის ოთახში შევიდა, კარი ჩაკეტა, ტანზე გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ფანჯარაზე ფარდები ეფარა და ლამის ბნელში იწვა, გაუნძრევლად, გულალმა. თვალდაბრუნებულს საზე გამოსცარიელებოდა, გამტკნარებოდა და დაწყნარებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, რამდენჯერმე გაშალა და ისევ მიატყუპა ერთმანეთს ფეხები, ნელ-ნელა, თანდათანობით, თან გრძნობდა, მონაცვლეობით როგორ ეგლისებოდა ფეხებზე ზეწარი — ჯერ გრილად, მერე კი უკვე თბილად, ფიქრი სადღაც, შუა გზაში გახიროულიყო, შუა გზაში გამოკიდულიყო სამი დღის ნანატრ-ნაოცნებარსა და ახლა, ბოლოს და ბოლოს უჩუმრად კარს მომდგარ ძილს შორის, რომელსაც მალე ისე მინებდებოდა, როგორც მამაკაცს — მთელი არსებით, მთელი სხეულით. „მთავარია, დირექტორი დავარწმუნო რამენაირადო“, — გაიფიქრა უკვე ბურანში წასულმა, ყავით ხავსე ჯამში ჩაგდებულ ცერცვის მარცვალს ემგვანება იქ გაუელვა მერე სულ ერთი წამით.

ეს ყველაფერი ნაშუადღევს მოხდა, იმავე საღამოს, ცხრა საათზე, ისევ თავის ოთახში იყო, ისევ ტანთ იბდიდა და დასაწოლად ემზადებოდა, როცა გაიგონა, როგორ მოუყვებოდა დარაჯი დერეფანს მისი ოთახისაკენ, არც იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ვინ მოდიოდა, მაგრამ როცა თანაბარი ნაბიჯების ხმა მოესმა და მერე, ლამის დაკაკუნებისთანავე დააპირეს კარის შემოღება, ვიდრე თვითონ კართან მივარდნის მოასწრებდა, მიხვდა, ვინც უნდა სტუმრებოდა, ყვირილი არ დაუწყია; კარს ეცა, მთელი სხეულით ზედ აეკრა და შეაკავა. „ტანზე არ მაცვია!“ გაწვრილებული, სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა, იცოდა, ვისაც ელაპარაკებოდა, კაცს არაფერი უბასუხია, ისიც მთელი სიმ-

ქიმიტ მოაწვა კარს, ჭიუტად, ჭიქურ, და ღრიჭომაც ნელ-ნელა დაალო პირი. „არ შეიძლება თქვენი აქ შემოსვლა!“ ქალი არ ჩურჩულებდა, ოღონდ ვერც ხმამაღლა დალაპარაკება გაუბედა. „ხომ იცით...“ სული ნუთუნივით დასოწარკვეთილს ლამის გონება დიეკარგა. კაცს არც ახლა გაუცია პასუხი, ქალიც ერთხელ კიდევ შეეცადა როგორმე გაეჩერებინა, რეგულარულად მიეკვრტა გაჭიუტებული, პირდაბჩენილი კარი. „დამაცადეთ, ზრმამაჩინებთ და თვითონ გამოვალ, კარგი?“ უაზროდ ლულულულებდა რალაცას, თან ვითომ უყვავებდა, მაგრამ არც ამ დაყვავებას ჰქონდა აზრი, გინდაც შეუგნებელ ბავშვთან, ანდა მანიაკთან ელაპარაკა, თავისგან მაინც ამოშმინებდა. შემპარავად ეჩურჩულებოდა: „ცოტა ხანს მოიცადეთ! გესმით? ხომ მოიცადით?“ კაცი არაფერს პასუხობდა. კარი კი ნელ-ნელა, უსაშველოდ აბჩენდა პირს. საცვლებისამარა, კარს აკრული, თითქოს ტიკინა იყო და ძალიადობისა და სასოწარკვეთის რომელიღაც პაროდიაში ათამაშებდნენ ძაფზე გამობმულს. თავჩაქინდრული, კარს შეწებებული, გაქვავებული — ადამიანს ღრმა ფიქრში წასული შეიძლებოდა ჰგონებოდა, თითქოს შუა წარმოდგენის დროს ტიკინას სათქმელი დავიწყებია და ველარაფრით ველარ გაუხსენებიაო. მერე კარს ზურგი შეაქცია, მოშორდა, უკან, საწოლისკენ ისკუპა, არც დაუხედავს, ისე ლასტაცა ხელი ტანსაცმელს, ისევ კარისკენ შემოტრიალდა ერთიანად აწურული და ალაღბედზე მოხვეტილი ტანისამოსიც მაგრად მიიხუტა გულზე, კაცი უკვე ოთახში შემოსულიყო; მშვიდად ადევნებდა თვალს მთელ ამ უაზრო, უთავბოლო ფაცაფუცს და ქალის დაშოშმინებას ელოდებოდა.

თვითონ ისევ კომბინიზონი ეცვა, ოღონდ ახლა ქუდიც დაეხურა, ქუდი არც ოთახში მოუხდია, იმისი ცივი, შეშლილი, ნაცრისფერი თვალები თითქოს ვერც ახლა ამჩნევდნენ ქალს, თითქოს საერთოდ არც უყურებდნენ. „თავად უფალი ღმერთი რომ შემობრძანდეს ერთ-ერთი თქვენგანის ოთახში, ალბათ მასაც ბილწ ზრახვას მიაწერდით, უთხარი?“ ჰკითხა ქალს.

ქალი საწოლზე იჯდა, მერე ნელ-ნელა უკან გადაწვა, თან ისევ მაგრად იხუტებდა გულზე ჩაბლუჯულ ტანისამოსს, სახე გადაჰფითრებოდა, კაცს თვალს ვერ სწყვეტდა. „ვუთხარი?“

„რაო, რას უპირებს?“

„რას უპირებს?“ ქალი დარაჯს მისჩერებოდა: იმის ანთებულ, უძრავ თვალებს, რომელნიც, თითქოს, კი არ უცქერდნენ, ბადეში ახვევდნენ, ქალს იდიოტივით დაებჩინა პირი.

„სად გააგზავნიან?“ ქალმა არაფერი უპასუხა. „იცოდეთ, ტყუილი არ მითხრა, არ იცრუო ღვთის წინაშე, ვიცი შავების თავშესაფარში უკრავენ თავს“. ქალმა პირი მომუწა; თითქოს ბოლოს და ბოლოს მიხვდა რაზეც ელაპარაკებოდნენ. „მე ყველაფერი ავწონ-დავწონე, უთუოდ შავი ობლების სახლში გააგზავნიან“. ქალმა არც ახლა გასცა პასუხი, გაშტერებული უცქერდა, თვალებში უწინდელი შიშიც შერჩენოდა, მაგრამ ახლა თან რალაც იღუმალიც უკრთოდა, თითქოს რალაც მოეფიქრებინა კიდევ, უკვე კაცსაც მისთვის მიეპყრო მზერა: მისი თვალები თითქოს ქალის სხეულს, ქალის მთელ არსებას მიჯაჭვოდნენ სამარადისოდ. „მიპასუხე, იეზაბელი!“ უყვირა მოულოდნელად ქალს.

„ჩჩჩუუუ!“ გააჩუმა ქალმა. „ჰო, სხვა რა გზა ექნებათ, როცა გაიგებენ...“

„ჰო“, თქვა კაცმა, მზერა ჩაუქრა, თვალებშიც ცოტა ხნით გაათავისუფლეს ქალი, თუმცა, ისევ მალევე გაახვიეს თავიანთ ბადეში ამ თვალებს რომ ჩას-

ექვროდა, საკუთარი თავი არაბობადაც კი არ ესახებოდა ქალს, გუბის ზედაპირზე მოტივტივე წკირზე პატარად და უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. მერე კაცს ლამის ადამიანური თვალები გაუხდა უცებ. ქალის ოთახის თვალღრებას შეუდგა, თითქოს მანამდე ასეთი ოთახი არასოდეს ენახა: მყუდრო, ჩემბარბი, ქალის ვარდისფერსურნელოვანი. „ქალური სიბინძურეა“ — მამა. „ღვთის თვალწინ, ღვთის დასანახად“. შეტრიალდა და ოთახში წაიჭრა. ცოტა ხანში ქალიც წამოდგა საწოლიდან. ტანსაცმელჩაბლუჭული, გარინდული უძრავად იდგა. იდიოტივით მისჩერებოდა ღიად დარჩენილ კარს და თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა წყლისთვის მიეცა თავი. მერე ადგილს მოსწყდა. კართან მივარდა, ზედ მიაწყდა, მიაჯახუნა და ჩაკეტა, სულშეგუბებული ორივე ხელით ჩააფრინდა და ისე გადაატრიალა გასაღები.

მეორე დილას, საუზმობისას, აღარც დარაჯი ჩანდა და აღარც ბიჭი. კვალსაც ვერ მიაგნეს ვერცერთისას. დაუყოვნებლივ შეატყობინეს პოლიციას. გვერდითა კარი, რომლის გასაღებიც დარაჯთან ინახებოდა, ღია აღმოჩნდა.

„დარაჯმა ყველაფერი იცის და იმიტომ“, უთხრა დიეტექტივმა დირექტორს.

„რა ყველაფერი?“

„რა და, ის ბავშვი, ქრისტმასი, ზანგი რომაა“.

„რა არის?“ სავარძელში უკან გადაქანებული დირექტორი ახალგაზრდა ქალს მიაჩერდა. „ზან... არა მჯერა!“ შესძახა მან. „არა მჯერა!“

„თქვენ არა გჯერათ და იმან კი იცის“, თქვა დიეტექტივმა. „ამიტომაც მოიტაცა“.

დირექტორი ორმოცდაათს გადაცილებული, დონდლოსახიანი ქალი იყო, წყლიანი, კეთილი, დაღლილი თვალები ჰქონდა. „მე ეგ არ მჯერა!“ გაიმეორა ისევ. თუმცა, მესამე დღეს მაინც უხმო დიეტექტივს. კარგა ხნის უძინარს ჰგავდა, დიეტექტივს კი პირიქით, ჯანმრთელი, დასვენებული სახე ედო. სრულიად დამშვიდებული. ნირი არც მაშინ შეცვლია, როცა დირექტორმა ახალი ამბავი ამცნო — კაციცა და ბიჭიც ეპოვათ. „ლითლ როქში“, უთხრა დირექტორმა. „იქაური ობლების სახლში უცდია ბავშვის მიბარება. გიჟად ჩათვალეს თურმე და პოლიციის მისვლამდე შეაყოვნეს“. დირექტორმა ახალგაზრდა ქალს შეხედა. „თქვენ ამბობდით... აი, ამწინეებზე რომ მითხარიო, როგორ გაიგეთ ეს ამბავი?“

დიეტექტივს თვალი არ აურიდებია. „არც არაფერი გამიგია, ექვიც არაფრისა მქონდა. იმასაც არ მივაქციე დიდი ყურადღება, სხვა ბავშვები ზანგს რომ ეძახდნენ“.

„ზანგს?“ თქვა დირექტორმა. „სხვა ბავშვები?“

„თანაც უკვე რამდენიმე წელიწადია. ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ბავშვებს რაღაც სხვა, სხვანაირი ცოდნა აქვთ-მეთქი, ჩვენთვის, თქვენი და ჩემი ხნის ხალხისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი. ბავშვებსაც და მოხუცებსაც, აი, იმ დარაჯისნაირებს. ეტყობა, ამიტომაც იჭდა ხოლმე სკამზე, კარებთან. მუდამ, როცა ბავშვები ეზოში თამაშობდნენ; იმ ბიჭს არ აშორებდა თვალს. შეიძლება ექვი იმასაც მაშინ გაუჩნდა, ბავშვებმა რომ დაუწყეს ზანგის ძახილი. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ადრეც სცოდნოდა, თუ გაბსოვთ, აკი ორივე დაახლოებით ერთდროულად გამოჩნდა ჩვენთან. ერთი თვის დაწყებულებაც არ ჰქონდა დარაჯს მუშაობა, როცა იმ შობა ღამეს... გაბსოვთ? როცა ჩა... როცა კარებთან ვიპოვეთ ბიჭი?“ დიეტექტივი გამართულად ლაპარაკობდა, სხაპასხუპით, და თან განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორ დაჟინებით, მონუს-

ხულივით მიშტერებოდა დირექტორი — გაოცებული, დაბნეული თვალებით, თვითონ ალერსიანი, უმანკო თვალები ჰქონდა. „ამ რამდენიმე დღის წინ კი, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გამომელაპარაკა, ბავშვზე დააპირა რალაციის თქმა. ეტყობა ჩემთვის ან უბრალოდ ვინმე ჩვენიანთვის საიდუმლოს გამხელა თუ სურდა, მაგრამ ბოლოს ველარ გამეჩვენა — პლარაფერი უთქვამს, მეც გამოვტრიალდი და წამოვედი. გადამაფიქრდა კიდევ ეს ამბავი, ახლადა გამახსენდა...“ დიეტექიმი გაჩუმდა. დირექტორს მიაჩერდა უსიტყვოდ, მერე კი, ნელ-ნელა სახე გაებადრა, თითქოს უეცრად გონება გაუნათდაო; ძალიან ძნელი იყო კაცს მის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანა. „მართლა, აი თურმე რა ყოფილა... ძლივს არ მივხვდი. წინა დღეს, ვიდრე გაიქცეოდნენ, დერეფანს მივუყვებოდი ჩემი ოთახისკენ; ის დღე იყო, აი, გამოლაპარაკება თუ რალაციის მოყოლა რომ დააპირა და მერე გადაიფიქრა; უცებ, სად იყო და სად არა, წინ ამესვეტა და გამაჩერა. გამიკვირდა, მანამდე არც მენახა შენობაში შემოსული. მეუბნება... ისე, გიყვივით კი ლაპარაკობდა, შესახედდაც გიყვს ჰგავდა. შემეშინდა, პირდაპირ ფეხები წამერთვა შიშისაგან, ვერც გვერდი ავუქციე — მთელი დერეფანი ჩაეხერგა... მოკლედ, მეკითხება — უკვე უთხარიო? ვის ვუთხარი, რა ვუთხარი-მეთქი? მერეღა მივხვდი, თქვენ გგულისხმობდათ; თქვენზე მეკითხებოდა, უნდოდა გაეგო, მოგიყვებით თუ არა, ბავშვზე რომ დამიპირა რალაციის თქმა. ოღონდ, მე თვითონ ვერაფერი გამერკვია და თქვენთვის რა უნდა მეთქვა? ყვირილი დავაპირე. მერე მეკითხება — თუ გაიგო, როგორ მოიქცევაო? არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ანდა თავი როგორ დამეხსნა. ისევ თვითონ მითხრა — ნურაფერსაც ნუ ეტყვი. ისედაც ვიცი, შავების თავშესაფარში გააგზავნისო“.

„ზანგების თავშესაფარშიო?“

„მიკვირს, ან აქამდე როგორ ვერაფერი შევამჩნიეთ. ახლა რომ მახსენდება იმ ბავშვის სახე, იმისი თვალები და თმა... ნამდვილად საშინელებაა. თუმცა, ჩემი აზრით, მართლა აჯობებს, იქ გადავაგზავნოთ“.

დირექტორის წყლიანი, შეწუხებული თვალები აწრილებულნი. დაბინდულნი იცქირებოდნენ სათვალისაგან, თითქოს, ხილულის მიღმა დანახვას ცდილობდნენ. „კი მაგრამ, ბავშვის მოტაცება რალაში დასჭირდა?“

„რა ვიცი, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე გიყვი მგონია. თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემს ადგილას იმ ლა... იმ დღეს, დერეფანში... ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება ზანგების თავშესაფარში გადასვლა, ამდენი ხნის მერე. რაც უნდა იყოს, თეთრკანიანთა შორის გაიზარდა. თანაც, რა თავის ბრალია, მაგრამ, ჩვენი ბრალიც რომ არ არის...“ დიეტექიმი გაჩუმდა. დირექტორს მიაჩერდა. იმას, სათვალის მიღმა ისევ ისე უწრილებდა წყლიანი, უიმედო თვალები; ლაპარაკისას ტუჩებიც უთრთოდა. თითქოს მისი ნათქვამიც უიმედო იყო. ოღონდ, მაინც წინდაწინ მოფიქრებული. წინდაწინ გულდაგულ აწონილ-დაწონილი:

„ბავშვი როგორმე უნდა დავაბინავოთ. ახლავე უნდა დავაბინავოთ. რა განცხადებები გვაქვს? საქალაქდეს თუ მომაწოდებთ...“

როცა გამოედგინა, ხელში აყვანილი მიჰყავდა ვილაცას. ძალიან ბნელ-ლოდა და ციოდა; მერე იმ ვილაცამ, ფეხაკრეფით და ფრთხილად რომ მიიკვლევდა სიბნელეში გზას, კიბეზედაც ხელში ატატებული ჩაიყვანა. ბავშვი ორივე ხელით ეჭირა, ილლიაში კი ბოხჩა ამოეჩარა, ბიქმა იცოდა, ბოხჩაში

მასი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო გამოხვეული. არც წამოუყვირია, არც არაფერი უთქვამს. ისიც იცოდა, სად იყვნენ, სუნით, ჰაერით ცნობდა იმ ოთახიდან გვერდითა კარებისკენ ჩამავალ კიბეს, სადაც, რაც თავი ახსოვდა იმისი საწოლიც იდგა ერთნაირ, ორმოც სხვა საწოლს შორის. სუნმავე მიახვედრა, მამაკაცს მივყევარო. მაგრამ, ხმა მაინც არ გაუღია, ახლაც ისევე ისევ გაუნძრევლად და წყნარად გატრუნულიყო კაცის მკლავებში, როგორც წინააღმდეგობის გარეშე: უჩინარ მკლავებს მაღლა ატატებელი ეჭირათ, ნელ-ნელა ჩაჰყავდათ კარებისაკენ, რომლის იქითაც სათამაშო მოედანი იწყებოდა.

კაცის ვინაობა ჯერ არ იცოდა. თუმცა, ეს ამბავი არც აწუხებდა, რადგან ეგონა, ვიცი, სადაც მივყავარო. უფრო სწორად, იმაში იყო დარწმუნებული, რატომ მიყავდათ და სხვა არც არაფერი ანაღვლებდა. ორი წლის წინანდელი შემთხვევა გაახსენდა, მაშინ სამისა იყო. ორი წლის წინ, თორმეტი წლის გოგო, სახელად ელისი, უკვალოდ გაქრა. ის გოგო უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ნებას აძლევდა, მისთვის დედობა გაეწია, ანდა, შეიძლება იმიტომაც უყვარდა, დედობას რომ უწევდა გოგო. თან დიდადაც თვლიდა, ისეთივე დიდი ეგონა, როგორც ყველა ის ქალი, ვისაც მისი ჭამა-სმა, ბანაობა თუ დაძინება ეკითხებოდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ელისი არც არასოდეს ჩაუთვლია და ვერც ვერასოდეს ჩათვლიდა მტრად. და აი, ერთ ღამესაც გოგომ უეცრად გამოაღვიძა. გამოსამშვიდობებლად მოსულიყო, თუმცა ბიჭი ვერაფერს ხვდებოდა. ძალიან ეძინებოდა და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანდა კიდევ, ვერა და ვერ გამოფხიზლდა, არადა, ელისისგან კარგის მეტი არაფერი ახსოვდა და ამიტომაც ითმენდა, არაფერს ეუბნებოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო, ელისი რომ ტიროდა, ვერ მიმხვდარიყო, რადგან ვერაფრით დაუშვებდა, დიდებიც თუ ტიროდნენ ოდესმე — როცა ამას მიხვდა, ელისი უკვე კარგა ხნის დავიწყებული ჰყავდა. მერე ჩაეძინა კიდევ, ხოლო მეორე დღით გოგოს კვალსაც ვეღარსად მიაგნო: წასულიყო, გაუჩინარებულიყო, ტანსაცმელიც კი არ დაეტოვებინა და იმისი საწოლიც უკვე ვიღაც უცნობ, ახალ ბიჭს დაეკავებინა. ვერც ვერასოდეს შეიტყო რიგიანად ელისის ასავალ-დასავალი. თუმცა, იმ დღეს შემთხვევით კი მოკრა ყური უფროსი გოგოების აღტაცებულ ჩურჩულს — დობილები სამზადისში მიხმარებოდნენ ელისს, ვითომ პატარძალი გაუმზითვებიათო. დაძაბული, საქმიანი, გასაიდუმლოებული ფაცაფუცით მოეგროვებინათ იმისი ავლა-დიდება და ახლა ელისის ახალ კაბაზე, ახალ ფეხსაცმელებზე და იმ ზღაპრულ ეტლზე საუბრობდნენ, რომელსაც მათი დობილი სადღაც, უცხო მხარეში გაეჭროლებინა. ყური მოკრა და სწორედ გოგოების ჩურჩულმა მიახვედრა, ელისი უკან აღარასოდეს დაბრუნდებო. ერთხელ და სამუდამოდ, სამარადისოდ გაედწია რკინის მესერს გაღმა. მიხვდა და მაშინ, სწორედ იმ წუთას, თითქოს თვალნათლივ დაინახა კიდევაც, მის წარმოდგენაში უკვე გმირად ქცეული გოგო როგორ გაუჩინარდა ელრიალით დაკეტილ კიშკარს იქით, თანდათანობით კი არ დაპატარავდა, თითქოს ნელ-ნელა გაითქვიფა, ნელ-ნელა გაიცრიცა და გაქრა, შეერწყა რაღაც უსახელოსა და დაისივით დიდებულს. მთელი წელიწადი, ანდა, იქნებ უფრო მეტიც გავიდა, ვიდრე მიხვდებოდა — ელისი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ელისისნაირი სხვაც ბევრი ელოდა თავის ჯერს, სხვაც ბევრი გაქრებოდა და გაუჩინარდებოდა ელრიალა კიშკარს მიღმა — ახალთახალ კაბასა თუ კომბინიზონში გამოწყობილი, პაწია, ზოგჯერ ფეხსაცმლის ყუთზე უფრო პატარა, კოხტა ფუთით ხელდამშვენებული.

უკვე არ ეპარებოდა, ახლა მეც იმათ რიცხვს შევეუერთდებოო, სჯეროდა, უკვე ვიცი, როგორ ახერხებდნენ ყველანი ასე უკვალოდ გაუქმნარებასო. დარწმუნებული იყო, ადრე სხვებიც მასავით ხელში ატარებულნი გაჰყავდა აქედან შუალამისას.



უკვე გრძნობდა, კარს რომ მისდგომოდნენ, უკვე მისდგომოდნენ ნაბიჯი რჩებოდა; ზუსტად იცოდა, კიდევ რამდენი უნდა ჩაეგლო კაცს, რომელსაც უხმაუროდ, საოცრად ფრთხილად მიჰყავდა ხელში ატარებული. ლოყაზე კაცის უჩუმარ ჩქარ, თბილ სუნთქვას გრძნობდა გრძნობდა იმის დაძაგრულ, გახევებულ მკლავებსაც და ფუთასაც, თავის ტანსაცმელს, სიბნელეში ხელის ცეცებით მოხვეტილსა და მოქუჩებულს მერე კაცი გაჩერდა, წინ გადაახარა და ბიჭმაც ფეხები იატაკს მიუწვდინა რკინასავით გაყინულმა ფიცრებმა თითები დაუკრუნჩხეს. კაცმა პირველად მაშინ ამოიღო ხმა — დადექიო! — უთხრა ბიჭს და ბიჭიც მაშინლა მიხვდა ვის წამოეყვანა.

უცებ იცნო კაცი და სრულებითაც არ გაჰკვირვებია, გაკვირვებით, ალბათ უფრო კაცს გაუკვირდებოდა, რომ სცოდნოდა, რა კარგად იცნობდა ბიჭი. მართალია, კაცის არც სახელი იცოდა და, იმ საში წლის მანძილზეც, რაც ქუჩაში ჩავარდნილიყო, ასიოდე სიტყვაც არ ეთქვათ ერთმანეთისთვის, მაგრამ ეს კაცი მაინც ყველაზე აშკარა, ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მის ცხოვრებაზე — თვით ვლისზე უფრო ძლიერსაც კი. საში წლის ბავშვიც კი გრძნობდა, რაღაც უხილავი, უსიტყვო კავშირი რომ არსებობდა მათ შორის, იმასაც კარგად ამჩნევდა, სათამაშოდ გამოუშვებდნენ თუ არა, საქვების კართან სკამზე ჩამომჯდარი კაციც მაშინვე მიიპყრობდა ხოლმე თვალს და სულ ასე დაძაბულად, დაჟინებით უცქერდა, ვიდრე კვლავ სახლში არ შეღალავდნენ. ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, შეიძლება ეფიქრა ვაჟულვარ და თან ჩემი ეშინია, ისე ეშინია, თვალის მოცილებას ვერ ბედავს ცოტა უფრო მდიდარი ლექსიკონის პატრონი კი ალბათ ასე იტყოდა აი თურმე რად განვსხვავდები სხვებისგან, ეს კაცი მიცქერის და იმიტომ მერე ამ ყოფასაც შეეგუა. ამიტომაც არ გაჰკვირვებია, როცა ნახა, ვის ეჭირა ხელში, ვის ატარებინა საწოლიდან მძინარე და ვის ჩამოეყვანა კიბეზე; ახლა, როცა კარებთან ცივ, უკუნ სიბნელეში იდგა და კაცი ჩაცმაში ეხმარებოდა, ამგვარი აზრიც შეიძლებოდა გასჩენოდა ისე ვაჟულვარ, ცდილობს რაღაც ძალიან ცუდი ამარიდოს თავიდან.

აკანკალებულმა მორჩილად ჩაიკვა, რაც შეეძლო სწრაფად ირჩებოდა, ერთად ებრძოდნენ ბიჭის პაწია ტანისამოსს და ერთად როგორღაც გაართვეს კიდევ თავი. „აჰა ფეხსაცმელი“, უთხრა კაცმა, ძლივს გასაგონად ჩაუჩურჩულა: „გამომართვი“. ბიჭი გაყინულ იატაკზე ჩაცუცქდა, ფეხსაცმელს იცვამდა, კაცი გაეცალა, აღარ მიხმარებია, მაგრამ ბიჭს ესმოდა, ტანი თავს გრძნობდა, კაციც წინ რომ გადაბრილიყო და იატაკზე აფათურებდა ხელს, ფეხსაცმელს იცვამსო — გაეულვა წამით, მერე კაცმა სიბნელეში ხელის ცეცებით ისევ მოძებნა ბიჭის მხარი და ფეხზე წამოაყენა. ბიჭს ფეხსაცმლის ზონრები არ შეუკრავს, ჯერ თავისით ამდენს ვერ ახერხებდა, კაცისთვის კი დახმარება არ უთხოვია, საერთოდ არ ამოუღია ხმა, იდგა და იცდიდა, მერე თავფეხიანად რაღაც დიდში გამოახვიეს — სუნზე მიხვდა, კაცის ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო. — და ისევ აიყვანეს ხელში, კარი გაიღო, გარედან სიბნელემ შემოამთქნარა, სუფთა, ცივი ჰაერი და ქუჩაში ჩამწკრივებული

ნათურების შუქი შემოიჭრა; ბიჭი კარგად ხელავდა ნათურებსაც, ქარხნის ყრუ კიდულსაც და გარსკვლავებისკინ ზოოულ მაღალ, ჩამქრალ ვილებსაც. ქუჩის სინათლეზე რკინის მესერა ნაშემშლარი გარისკაცების მწყობრს მკავდა. ცარიელი სათამაშო მოედანი გადასერეს — ბიჭის ჩამოკონწილებული ფეხები კაცის ნაბიჯების რიტმზე ირწეოდა, ზონრებგახსნილი ფეხსაცმელები კოჭებთან უყანყალებდა. ტიშკარს მიადგნენ და ქუჩაში გამოვიდნენ.

ტრამვაის ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, მიხვდებოდა, რა მარჯვედ გამოეთვალა კაცს დრო. მაგრამ ახლა ამაზე არ უფიქრია, არც არაფერი შეუმჩნევია, კაცის გვერდით ქუჩის კუთხეში ატუზულიყო, ზონრებგახსნილი ფეხსაცმელები ეცვა და თავფეხიანად კაცის პალტოში იყო გახვეული: თვალები დამრგვალებოდა, ფართოდ დაეჭყიტა; პატარა სახეც გაქვავებოდა, დასძაბვოდა. ტრამვაის განათებული ფანჯრების რიგი ერთი-წყრილით მოადგა გაჩერებას და ვიდრე ავიდოდნენ, უსაშველოდ ზუზუნებდა. ტრამვაიში სხვა არც არავინ მჯდარა, უკვე ღამის ორ საათს იყო გადაცილებული. კაცმა ახლადა შეამჩნია მისი გახსნილი ზონრები და შეტყობი. ბიჭი უძრავად იჯდა სკამზე და თვალს ადევნებდა. გაშლილი ფეხები სწორად გაეშვირა წინ. სადგურამდე დიდი გზა ჰქონდათ, თანაც, ტრამვაიში ადრეც ემგზავრა და სანამ სადგურამდე მიალწევდნენ, ჩაეძინა კიდევ. როცა გამოეღვიძა, უკვე მატარებელში ისხდნენ, გათენებულიყო. მატარებელში მანამდე არასოდეს მჯდარა, თუმცა ამას ვერავინ შეატყობდა. ტრამვაისა არ იყოს, აქაც გაუძრველად იჯდა, თავფეხიანად კაცის პალტოში ჩაძირული, მარტო წინგაშვერილი ფეხები და თავი მოუჩანდა, იჯდა და უცქერდა ქვეყანას — მთებს, ხეებს, ძროხებს, ყველაფერს — გვერდით ჩაქროლილსა და მანამდე უცნობს. კაცმა რომ ნახა, გაუღვიძიათ, გაზეთში გახვეული საჭმელი ამოაღა — პურის ნაჭრებს შორის ჩადებული ლორი. „აჰა“, უთხრა ბიჭს. იმანაც უსიტყვოდ გამოართვა და ჭამა დაიწყო, თან ფანჯარაში იყურებოდა.

მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს, არც რამე ვაოცება შესტყობია, მაშინაც არაფერი გაჰკვირვებია, როცა პოლიცია დაადგათ თავზე, ახალი სამყოფელი არაფრით განსხვავდებოდა ღამით მიტოვებულისაგან — აქაც ისეთივე ბავშვები და ისეთივე მოზრდილები დახვდნენ, რაც იქ დატოვა, თუმცა, ამით სხვა სახელები ერქვათ და სუნიც სხვანაირი ჰქონდათ: ვერაფრით გაეგო, ან აქ დარჩენა რატომ არ შეიძლებოდა, ანდა იქიდან საერთოდ რისთვის წამოეყვანათ. ოღონდ, გაკვირვებით მაინც არაფერი გაჰკვირვებია, როცა მივიდნენ და უთხრეს — ადექი და ჩაიციო, — ისიც კი არ უკითხავს, ახლა სად და რისთვის მიგყევართო. შეიძლება, იცოდა კიდევ, ისევ უკან მობრუნებენო: შეიძლება, კაცისგან განსხვავებით, ბავშვური წინათგრძნობა ერთთავად კარნახობდა: ასე დიდხანს არ გაგრძელდება, არ შეიძლება გაგრძელდესო. უკვე ისევ მატარებელში იჯდა და იგივე მთებს, ხეებსა და ძროხებს ხედავდა, ოღონდ ახლა ისინი სხვა მხრიდან ჩნდებოდნენ და სხვა მხარეს უჩინარდებოდნენ. თანმხლებმა პოლიციელმა საჭმელი შესთავაზა — იმანაც პურის ორ ნაჭერშუა ჩადებული ლორი, თუმცა, იმან გაზეთიანად მიაწოდა, გაზეთი არ მოუშორებია. ბიჭმა შეამჩნია, მაგრამ არაფერი უთქვამს, შეიძლება, არც გაუფიქრია არაფერი.

მერე ისევ შინ იყო. იქნებ ელოდა კიდევ, დაბრუნებისთანავე დამსჯიანო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა რისთვის, რა დანაშაულისთვის იმსახურებდა სასჯელს და არც იმედოვნებდა, როდისმე მივხვდებიო — უკვე შეს-

ჩვეოდა იმ აზრს, რომ ბავშვებისაგან განსხვავებით, რომელთაც შეეძლოთ უფროსები უფროსებად აღეკვეათ, დიდები რატომღაც ბავშვებსაც მუდამ ტოლებად, მუდამ თანასწორებად თვლიდნენ. კბილის პასტის ამბავი აღარც ახსოვდა. ახლა ისეთივე მონდომებით არიდებდა დიეტეჯიმს თავს, რა მონდომებითაც ერთი თვის წინ განზრახ ეჩხირებოდა თვალში. გულმოდგინედ კი ეშალებოდა, მაგრამ დასამალი რა ჰქონდა, უკვე დავიწყებოდა. მძლავრ მხეწრობაც გადაავიწყდა და ვერც იმას მიხვდა, ამ ორ მოვლენას რამე უწყვეტობა ერთმანეთთან. თუმცა, ბუნდოვნად და აბნეულად, მაინც ფიქრობდა ხოლმე თავის ხანმოკლე თავგადასავალზე. ისიც მხოლოდ მაშინ, როცა საქვების კარისკენ გაექცეოდა თვალი და ის მოხუცი ახსენდებოდა, სულ იქ რომ იჯდა და თვალმოუშორებლად შესცქეროდა; აღარც კაცი ჩანდა, წასულიყო, სამუდამოდ, უკვალოდ გამქრალიყო და არაფერი, მოწნული სკამიც კი არ დაეტოვებინა იმათ მსგავსად, ვინც ოდესმე გასცლოდა აქაურობას. არც ფიქრობდა და, მაინცდამაინც, არც აღელვებდა, სად შეიძლებოდა ასე უკვალოდ გაუჩინარებულიყო მოხუცი დარაჯი.

და აი, ერთ საღამოს საკლასო ოთახში მიაკითხეს და წაიყვანეს. შობამდე ორი კვირაღა რჩებოდა. ორმა ახალგაზრდა ქალმა — დიეტეჯიმი იმათში არ ერია — სააბაზანოში შეიყვანა. დაბანა, მერე სველი თმა გადავარცხნა, სუფთა კომბინიზონი ჩააცვა და დირექტორს მიჰგვარეს კაბინეტში. კაბინეტში ვიღაც უცნობი კაციც იჯდა. კაცს შეხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა ყველაფერს, იქამდე, ვიდრე დირექტორი საერთოდ ხმას ამოიღებდა. შეიძლება, მახსოვრობამ იცოდა რაღაც, შეიძლება ცოდნა იხსენებდა ნელ-ნელა რაღაცას; შეიძლება, სურვილმაც უკარნახა, სწორედ სურვილმა, რადგან ხუთი წელიწადზე ცოტაა იმედის გამჩენი სასოწარკვეთის დასაგროვებლად. ან, იქნებ, უფროად მატარებლით მგზავრობა და მაშინდელი საქმელიც გაახსენდა — უფრო შორს, უფრო იქით მახსოვრობაც კარგავდა ძალას. „ჯოზეფ“, უთხრა დირექტორმა, „აბა, რას იტყვი, გინდა სოფლად, კეთილ ადამიანებთან იცხოვრო?“

იღვა, იაფფასიანი საპნით გახეხილსა და უხეში პირსახოცით გამშრალბულს, ყურები და სახე უხურდა, უვარვარებდა, ცეცხლი ეკიდა თითქოს, ახალი, გაფშეკილი კომბინიზონი ეცვა და უცნობს უსმენდა. შეხედვით მხოლოდ ერთხელ შეხედა ამ ჩაფსკვნილ კაცს; კაცს ხშირი, წაბლისფერი წვერი და მოკლედ გაკრეჭილი თმა ჰქონდა, თუმცა ახალ გაკრეჭილს არა ჰგავდა. ჯაგარივით უხეშ თმა-წვერში ერთი ღერი ჰქალარაც არ ერია, თითქოს, პიგმენტაციას ვერაფერი დაეკლო ამ ორმოცი წლის მამაკაცისათვის, ან იქნებ ორმოცსაც გადასცილებოდა, ყოველ შემთხვევაში, სახე უფრო ხანდაზმულს მიუგავდა. ღია ფერის, ცივი თვალებით უცქერდა ბიჭს. ტანზე უხეში ქსოვილის შავი კოსტიუმი ეცვა. მუხლზეც შავი ქუდი დაეკოსებინა და იმისი რბილი ფეტრის ფარფლი მჭილში მოემწყვდია. ვილეტზე საათის ძეწკვი გასდევდა, ვერცხლისა, მძიმე. შავი ფეხსაცმელები ერთმანეთისთვის მიეტყუებებინა; კრიალი გაუდიოდათ, გულდაგულ, ხელით გაპრიალებულებს. ამ კაცის შემხედვარე, ხუთი წლის ბავშვიც მიხვდებოდა, რომ არამცთუ თვითონ არ სწევდა თამბაქოს, ამგვარ მანკიერებას სხვისგანაც არ მოითმენდა, მაგრამ ბიჭი უფრო მაინც იმის თვალებს ეშალებოდა, იმ თვალების შიშით ვერ გაებედა თავის აწევა.

ოდონდ თვითონ განუწყვეტლივ გრძნობდა კაცის ცივ, დაძაბულ მზერას, თუმცა ვერაფერ იტყოდა, მზერა განზრახ გაუმკაცრებიაო. ბიჭსაც ისე ათ-

კალიერებდა. როგორც, ალბათ, ცხენს, ანდა გუთანს შეამოწმებდა. წინდაწინ დარწმუნებული. ხინჯს აუცილებლად ვუბოვი რამესო. წინდაწინ დარწმუნებული — მაინც ვიყიდო. დინჯად, მძიმე-მძიმედ, მონოტონურად ლაპარაკობდა. იმ კაცივით, ვისთვისაც მთავარია სიტყვა არ გააწყვეტინონ. თორემ მსმენელის ყურადღებას მაინცდამაინც არ დაგიდევთ. „ვერ გავიგე, არ შეგიძლიათ თუ არ გსურთ კიდევ მითხრათ რამე მაგის წარმომავლობაზე“ — ნებოდა დირექტორს.

დირექტორი კაცს არ უყურებდა. სათვალის შუშებიც ვერ ფარავდნენ. ეცბად, სულ ერთი წამით, როგორ დაებინდა თვალები. პასუხით კი, დაუყოვნებლივ უპასუხა. იქნებ მეტისმეტად სწრაფადაც: „ჩვენ არცა ვცდილობთ მათი წარმომავლობის გარკვევას. როგორც გითხარით, კიბეზე დატოვეს, შობა ღამეს, ორ კვირაში ზუსტად ხუთი წელი შესრულდება. თუკი თქვენთვის ბავშვის წარმომავლობას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, იქნებ ჯობდეს, საერთოდ არც იშვილოთ“.

„ეგ არ მიფიქრია“. თქვა უცნობმა. ახლა, ცოტა არ იყოს, შემრიგებლური კილო გამოერია ხმაში. ისე მოახერხა მობოდიშება. საკუთარი შეუვალი რწმენის მისხალიც არ დაუთმია. „ისე, კი მინდოდა მის ატკინსსაც დავლაპარაკებოდი (დიეტექიმი გვარად ატკინსი იყო), რაკი წერილი იმან გამომიგზავნა“.

დირექტორს ისევ ცივი ხმა ჰქონდა. ახლაც სწრაფად გასცა პასუხი. ლამის არც დაუცადა კაცის გაჩუმებას: „ალბათ, მეც ზუსტად იმდენივე ცნობას მოგაწვდით ჩვენს ნებისმიერ ბავშვზე, რასაც მის ატკინსი, თანაც მისი ოფიციალური მოვალეობანი ჩვენთან მხოლოდ სასადილოთი და სამზარეულოთი შემოიფარგლება. უბრალოდ, საქმე ისე აეწყო და იმდენი გულისხმიერება გამოიჩინა, ჩვენს მიმოწერაში ერთგვარი მდივნობა გასწია. ეგ არის და ეგ“.

„კეთილი და პატიოსანი“, თქვა უცნობმა. „კაცმა რომ თქვას, ან რა მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ, ვიფიქრე...“

„რა იფიქრეთ? ჩვენ ბავშვებს ძალად არავის ვატანთ, არც ბავშვებს ვაიძულებთ. გინდა თუ არა, უნდა წახვიდეთ, არც ვუშვებთ, თუ თვითონ უარობენ და თან საამისოდ გონივრული საბუთებიც გააჩნიათ ხოლმე. ესაა ორ მხარეს შორის შეთანხმების ძირითადი პირობა. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ რჩევას ვიძლევით“.

„გასაგებია“. თქვა უცნობმა. „აკი გითხარით, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი. ექვიც არ მეპარება, ვაეკაცი გაგვიძარტლებს, ჩემთან და მისის მაკიპერთან არაფერი გაუჭირდება, ჩვენ უკვე ახალგაზრდები აღარა ვართ და სიწყნარე ვვიყვარს. ნაირ-ნაირებისა და ფუქსავატობის იმედი ნუ ექნება, ისე კი, მუშაობით მხოლოდ იმდენს იმუშავენს, რაც ისევ მისთვისვე იქნება სასიკეთო. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ღვთის მოშიში კაცი გაიზრდება და, თავისი წარმოშობის მიუხედავად, უსაქმურობა და ამოება კირივით შესძულდება“.

ასე გაუქმდა ორი თვის წინ, შუადღისას, კბილის პასტით ბელმოწერილი თამასუქი. და გულმაავიწყი მევალეც, რომელსაც თამასუქის არსებობა აქამდე აღარც გახსენებია. ახლა, დეკემბრის ნაცრისფერ საღამოს, სუფთა ასალში გახვეული, პატარა და მობუზული, უძრავად იჯდა მსუბუქი, ორთვალა ეტლის კოფოზე და გაყინულ, ოღროჩოღრო შარაზე მიჯაყჯაყებდა. მთელი ის დღე გზაში ვაატარეს. შუადღისას კაცმა კოფოს ქვეშიდან სამი დღის წინ

მომზადებული. სოფლური სანოვაგით სავსე მუყაოს ყუთი გამოაძვრინა და ისადილეს. დალაპარაკებით კი მხოლოდ სალამო ხანს დაელაპარაკა ბიქს. თათმანიანი მჭილი, რომელშიც მათრახის ტარი ჩაებლუჯა, წინ პინდუნდში მოჭიატე ერთადერთი სინათლისაკენ გაიშვირა და — აგე, სახლი! — უთხრა. ბიქს არაფერი უპასუხია. კაცმა ზემოდან დახედა. ცოლდაც ვერ ვხედავდები. ხად იყო შეფუთხული, ჯმუხი, დიდი, უფორმო, რაღაცეა. აგე, სახლი! მოუდრეკელი, უფრო სასტიკი, ვიდრე პირქუში. „ეგ არის-მეთქი შენი სახლი“. ბიქმა არც ახლა უპასუხა. ან რა უპასუხა, რა იცოდა, რას ნიშნავდა „შენი სახლი?!“ საიმისოდაც ძალიან პატარა იყო, ელაპარაკა და არაფერი კი უთქვა. „არც საკმელი მოგაკლდება, არც თავშესაფარი და არც ქრისტიანი ხალხის მზრუნველობა“, უთხრა კაცმა. „საშენო საქმესაც გამოგინახავთ, ბოროტმა რომ არ გაცდუნოს. მალე იმასაც გასწავლი, ორი ყველაზე საზიზღარი თვისება სიზარმაცე და ამაო ფიქრი რომაა. ორი უმთავრესი სიქველე კი — შრომა და ღვთის შიში“. ბიქს არც ახლა დაუძრავს კრინტი. ჯერ არც არასოდეს ეშრომა და არც ღვთის შიში გასჩენოდა. ღმერთზე კიდევ უფრო ნაკლები გაეგებოდა, ვიდრე შრომაზე. შრომას მისთვის ის ხალხი განასახიერებდა, ფოცხებითა და ნიჩბებით შეიარაღებულნი. კვირაში ექვსჯერ რომ ჩაუვლიდნენ ხოლმე იმათ სათამაშო მოედანს. ღმერთს კი მხოლოდ კვირაობით ზედებოდა. და — თუკი სისუფთავის სავალდებულო შემოწმებას არ მივიღებთ მხედველობაში — ეს შეხვედრებიც მისთვის საამო მუსიკასა და სმენის დამამშვიდებელ. მთლიანობაში სასიამოვნო, ოღონდ ოდნავ მოსაწყენ სიტყვებს ნიშნავდა მხოლოდ. ახლაც არაფერი უთქვამს. ეტლი ისევ ისე მიჯაყყაყებდა. ღონიერი, ნაპატიები ჯორებიც შინისკენ, თავლისაკენ მიისწრაფვოდნენ.

მოგვიანებით. ერთი სხვა ამბავიც გაახსენდა, ცოტა არ იყოს, უკვე გაფერმკრთალებული, დროით გადარეცხილი. დირექტორის კაბინეტში არიან ყველანი; თვითონ გაუნძრევლად დგას. უცნობის თვალებს ემალება, არადა, მაინც განუწყვეტლივ გრძნობს იმის მზერას. დგას და ელოდება, როდის იტყვის უცნობი იმას, რასაც მისი თვალები ფიქრობენ. და აი, როგორც იქნა, მოლოდინსაც აღგება საშველი: „ქრისტმასი. ეს ხომ რაღაც წარმართული გვარია. მკრეხელური. ჯობია შევცვალოთ“. ამბობს კაცი.

„ეს თქვენი კანონიერი უფლებაა“, ეთანხმება დირექტორიც. „ჩვენთვის მთავარია, როგორ იცხოვრებენ, თორემ გვარს მნიშვნელობა არა აქვს“.

მაგრამ უცნობი არავის უსმენს, არც არავის მიმართავს: „ღღვის ამას იქით, მაკიპერნია მაგის გვარი“.

„სწორი ბრძანდებით“, ამბობს დირექტორი. „რა თქმა უნდა, თქვენი გვარი უნდა მისცეთ“.

„ჩემს პურს თუ შეჭამს და ჩემს ღმერთს თუ იწამებს, გვარიც ჩემი უნდა ატაროს“, ამბობს უცნობი.

ბავშვი კი აღარ უსმენთ. არც წუხს, არაფერს დაგიდევთ, გინდაც სიცივე იყოს და უცნობი ჩიუტად ამტკიცებდეს — ძალიან ცხელია. იმდენად არ აღარდებს ეს ამბავი, საკუთარი თავისთვისაც ვერ უთქვამს მე მაკიპერნი არა ვარ. მე ქრისტმასი ვარ გვარად ჯერ არ დამდგარა ამეებზე წუხილის დრო. დრო ჯერ ბევრი აქვს.

„მართლაც, რატომაც არა?!“ კვირს უკრავს უცნობს დირექტორი.



მახსოვრობამ ესეც იცის; ოცი წლის შემდეგ ისევ ძველებურად სურა
იმ დღეს მე კაცი გავხდი

სუფთა, სპარტანულ ოთახში კვირა დღის სურნელი ტრიალებდა. მონხული მიწისა და მათელო ვაშლის სუნით გაქლენთილი ნიაჭები ზღვებზე ოდნავ არხევდა ქათქათა, დაკემსილ ფარდებს, ყვითელ, პედლებზე გაქუცული, ნახმარი ნოხის ნაჭრებგადაკრულ, ვითომ მუხასავით მოპირკეთებულ მელოდეონზე ლარნაკში სოსანის ყვავილები ეწყო. ბიჭი მაგიდასთან, მაგარზურგიან სკამზე იჯდა, მაგიდაზე მონიკელებული ლამპა იდგა და დიდი, თითბრის ბალთებიან-ანჯამებიანი და თითბრისავე საკეტოანი ბიბლია იდო. ზიჰს სუფთა, თეთრი, უსაყელო პერანგი და მუქი ფერის, უხეში ნაჭრის ახალი შარვალი ეცვა. ეტყობა, ფეხსაცმელებიც ის-ის იყო გაეპრიალეზინა, თუმცა, ცოტა არ იყოს უხეიროდ, ისე, როგორც რვა წლის ბავშვი მოახერხებდა — აქა-იქ, განსაკუთრებით ქუსლებთან, სადაც რიგიანად ვერ წაესვა საცხი, პატარ-პატარა, მკრთალი ლაქები აჩნდა. იჯდა და მაგიდაზე გადაშლილ პრეს-ვიტერიანულ კატენიზმოს ჩასცქეროდა.

მაკიპერნი მაგიდასთან იდგა. იმასაც სუფთა სატინის პერანგი და ისევ ის შავი შარვალი ეცვა. რაც ბიჭთან პირველი შეხვედრისას, სველი, ერთიანად შავი თმა გულდაგულ, მაგრად გადაეგლისა მრგვალ თავზე და სველი წვერიც დიდი მონდომებით დაეფარცხნა. „არც გიცდია სწავლა“, თქვა მაკიპერნმა.

ბიჭს თავი არ აუღია, არც განძრეულა, თუმცა აღარც კაცს გამკაცრებია უფრო მეტად სახე. „ვცადე“

„მაშ კიდევ სცადე, ერთ საათსაც დაგიმატებ“. მაკიპერნმა ჯიბიდან მძიმე, ვერცხლის საათი ამოიღო, ხუფახდილი დადო მაგიდაზე, თვითონაც მოიჩოჩა მეორე, მაგარზურგიანი, უხეშად გამოჩორკნილი სკამი და დაჯდა, გაკრიალეებული, გახეხილი ხელები მუხლებზე დაიკრიფა და მძიმე, გაპრიალეებული ფეხსაცმელები ერთმანეთს მიატყუპა. იმის ფეხსაცმელებს მტერისა და ჭუჭყის ნასახიც არ ემჩნეოდა. ყველგან თანაბრად ესვა საცხი და ერთიანად ლაპლაპებდა. თუმცა წუხელ, ვახშობისას მათი შემხედვარე კაცი იგივეს ვერ იტყოდა და ამიტომაც იყო, უკვე დასაძინებლად გამზადებული ბიჭი რომ გაიღახა და ლამის პერანგის ამარამ, ხელახლა დააპრიალა მაკიპერნის ფეხსაცმელები. ბიჭი მაგიდას უჯდა, თავჩაქინდურულს სახე გაჰქვაგებოდა და გამოსცარიელებოდა, დროდადრო სუსტად დაუბერავდა ხოლმე და ფანჯრებდაღებულ, დაწკრიალეებულ ოთახში გაზაფხულის დამათრობელი სურნელები შემოიჭრებოდა.

უკვე ცხრა საათი შესრულებულიყო, რვიდან ისხდნენ ასე ამ ოთახში, აბლომაბლო ეკლესიები მრავლად იყო, თუმცა პრესვიტერიანულამდე ხუთი მილი უნდა გაევლოთ, ერთი საათი უნდოდა იქამდე გზას, ათის ნახევარზე ოთახში მისის მაკიპერნიც შემოვიდა. შავად შემოსილს თავზე უკვე ქუდიც ეხურა — ტანმორჩილი, ოდნავ მხრებში მოხრილი, გაღაბულსახიანი ქალი იყო, გაუბედავად, უჩუმრად შემოიძურწა, თავის მკაცრსა და ჯანშაგარ ქმარზე თხუთმეტი წლით უფროსსა ჰგავდა, კაცმა რომ თქვას, ოთახში არც შემოსულა, ცოტა ხანს კარებთან იტრიალა — საგარეოდ გამოწყობილს, ქუდახურულს, გაყანგისფრებული, თუმცა კი საგანგებოდ გაწმენდილ-გაუთოებული შავი კაბა ჩაეცვა და ხელშიც ქოლგა და პალმის შტოს მარათ დაეჭი-

რა; უცნაური თვალებით იცქირებოდა, თითქოს რასაც კი ხედავდა და რაც ესმოდა, ყველაფერს მუდამ უფრო აშკარა, უფრო თვალნათელი მამაკაცური ფორმისა და მამაკაცური ხმის მეშვეობით აღიქვამდა. თითქოს თავითონ მედიუმში იყო და ბრმად ემორჩილებოდა თავისი ურჯუილ და უმელო კმრის წარმმართველ ნებას. შეიძლება მაკიპერნმა გაიგონებინებდა მის ფეხის ხმა. თუმცა თავი არ აუწვევია, არაფერი უთქვამს. ქალიც მალევე შეტრიალდა და გაეცალათ.

ზუსტად ერთი საათი გავიდა თუ არა, მაკიპერნმა თავი აიღო. „ისწავლე?“ ჰკითხა ბიქს.

ბიქი არც განძრეულა, ისე თქვა — არაო.

მაკიპერნი დინჯად, აუჩქარებლად წამოდგა. საათი აიღო, ხუფი დაახურა, ისევ ჯიბეში ჩაიღო და ძეწკვიც აქიმქვეშ გაიტარა. „წამო“, უთხრა ბიქს. უკან აღარ მიუხედავია. ბიქიც უჩუმრად გაჰყვა, დერეფანს დაუყვანენ უკანა კარებისკენ; ბიქიც წელგამართული მიაბიჯებდა, თავაწეული, ხმაგაკმენდილი. ერთნაირი, ჯიუტი ზურგები ჰქონდათ ორივეს, თითქოს საერთო წინაპრისგან მემკვიდრეობით მიღებული — სისხლით ნათესავეებს ჰგავდნენ. მისის მაკიპერნი სამზარეულოში იცდიდა, ჯერ არც ქუდი მოეხადა და მარაოცა და ქოლგაც ისევ ისე ეჭირა ხელში. კაცმა და ბიქმა რომ ჩაუარეს, კარს იყო მიჩერებული „მამილო...“ დააპირა ქალმა რალაცის თქმა, მაგრამ არც ერთს არ შეუხედავს ზედ. თითქოს არც არაფერი გაუგონიათ, თითქოს არც ეთქვას ქალს არაფერი. თავიანთი გზა გააგრძელეს, ჯიუტად, ბაწარალებით, მამა-შვილი არ ემგვანებოდა ერთმანეთს ისე, როგორც ყოველგვარი შეღავათის მკაცრად უარყოფელი იმათი ზურგები ჰგავდნენ. უკანა ეზო გადასერეს და ბოსელში შევიდნენ. მაკიპერნმა ბაქის კარი გამოაღო და გვერდზე მიდგა. ბიქმა ბაქში შეაბიჯა. მაკიპერნმა კედლიდან ღვედი ჩამოხსნა. იმისი ფეხსაცმელებისა არ იყოს, ღვედსაც არ ეთქმოდა ძველი ან ახალი. ოღონდ, ეგ კია, ფეხსაცმელებივით, ისიც ერთიანად ლაპლაპებდა და იმასაც პატრონივით სუნი უდიოდა: სუფთა, მაგარი, გამძლე ტყავისა. კაცმა ბიქს გადახედა.

„წიგნი რა იქნა?“ ბიქი უძრავად ედგა წინ, მშვიდი სახე ედო. ოღონდ გლუვი, პერგამენტისფერი სახის კანი ოდნავ, თითქოს შიგნიდან გაფითრებოდა. „წიგნი დაგვიწყებია“, თქვა მაკიპერნმა. „წადი, მოიტანე“. ბოროტი ხმა არა ჰქონდა. საერთოდ არაფერი ეცხო ამ ხმას ადამიანური, პიროვნული, უბრალოდ, ცივი იყო. ულმობელი — დაწერილ თუ დაბეჭდილ სიტყვასავით. ბიქი შეტრიალდა და ბოსლიდან გამოვიდა.

მისის მაკიპერნი დერეფანში დახვდა. „ჲო“, უთხრა ქალმა. ბიქს პასუხი არ გაუცია. არც კი შეუხედავს ქალისთვის, ქალის სახისთვის, პაერში უხერხულად გაშეშებული იმის ხელისათვის, ადამიანის უნაზესი მოძრაობის ამ უნდილი კარიკატურისთვის. სიამაყისა და ალბათ სასოწარკვეთისგანაც ერთიანად დაკიმულმა ჩაუარა გვერდით, ვინ იცის, იქნებ პატივმოყვარეობის, კაცის უგუნური ამაოებისგან სახეგამკაცრებულმაც. მაგიდიდან კატეხიზმო აიღო და ისევ ბოსელში დაბრუნდა.

მაკიპერნი მოთმინებით ელოდებოდა, ღვედიც ისევ ხელში ეჭირა. „დადე“, უთხრა ბიქს. ბიქმა წიგნი იატაკზე დადო. „მანდ არა“, თქვა მაკიპერნმა, ჯერ გაცხარება არ ეტყობოდა. „შენ, ალბათ, საქონლის ნაჭიჯგნი ბოსლის იატაკი ღვთიური სიტყვისათვის შესაფერი ადგილი გგონია. მაგრამ არა

უშავს, მაგასაც გასწავლი“. თვითონვე დასწვდა წიგნს და ლავგარდანზე ჩამოდო. „შარვალი ჩაიხადე“, თქვა მაკიპერნმა. „ნუ გავაფუჭებთ“

მერე ბიჭი შარვალჩაბდილი იდგა, კოჭებთან ეთრეოდა შარვალი და მოკლე პერანგის ამარა დარჩენილს, შიშველი კანკები მოუჩანდა. ასე იდგა გაჩხინკული, წელში გამართული. პირველად რომ დაუშვა მაკიპერნი წვედრე-გარიდება არც უცდია, არც სახე ასცახცახებია. პირდაპირ იყურებოდა წვედრე ფიქრიანი და მშვიდი სახით, სურათზე გამოსახული ბერივით. მაკიპერნი კი მეთოდურად ურტყამდა, აუჩქარებლად, გამოზომილი ძალით. სიფიცხისა და სიბრაზის გარეშე. ვერ იტყოდით, რომელს ედო უფრო ფიქრიანი, უფრო მშვიდი, უფრო მტკიცე სახე.

ათჯერ დაჰკრა და გაჩერდა. „წიგნი აიღე“, უთხრა ბიჭს. „შარვალს ჯერ ხელს ნუ ახლებ“, ისევ მიაწოდა კატეხიზმო. ბიჭმაც უსიტყვოდ გამოართვა. უწინდებურად იდგა, წელგამართული, თავაწეული, წიგნიც მალლა ეჭირა და მთელი თავისი გარეგნობით უკიდურეს აღგზნებასა თუ აღფრთოვანებას გამოხატავდა. სტიქარი აკლდა, თორემ სხვაფრივ მართლა კათოლიკური ქოროს ბიჭსა ჰგავდა, ოლონდ, ნეფის ნაცვლად, ვიწრო, ბნელ ბაქში იდგა, ხოლო ბაქის გაურანდავი ფიცრის კედელს იჭით, გამომშრალსა და მომქავო სიბნელეში. ხანდახან პირუტყვი გაიფაჩუნებდა ხოლმე — ხან ზანტად ამოიქმენდა და ხან ზარმაცად დააბაკუნებდა ფეხს. ერთიანად გახევებულმა მაკიპერნმა ჩაიმუხლა და ბაგაზე ჩამოჯდა, მუხლები ფართოდ გაშალა განზე, ცალი ხელი მუხლზე ედო, მეორეში ვერცხლის საათი ეჭირა; სუფთა, წვეროსანი, უდრეკი სახე ქვაში გამოკვეთილს მიუგავდა, ულმობელი, ცივი თვალები ჰქონდა — ოლონდ, ბორბოტი არა.

ასე გავიდა კიდევ ერთი საათი. მანამდე, ვიდრე დანიშნული ვადა ამოიწურებოდა, მისის მაკიპერნი ერთხელ კიდევ უხმოდ მიუახლოვდა უკანა კარებს. ცოტა ხანს გაჩერდა იქ, ბოსელს მიჩერებული, ჯერ ისევ ქუდი ეხურა და ქოლგაც და მარაოც ხელში ეჭირა. მერე, ისევ შინ შებრუნდა.

ახლაც, ზუსტად ერთი საათი გავიდა თუ არა, მაკიპერნმა საათი ჯიბეში ჩაიბრუნა. „აბა, ახლა მაინც იცი?“ ჰკითხა ბიჭს. ბიჭმა არაფერი უპასუხა, გაქვავებულს, წელში გამართულს, გადაშლილი წიგნი თვალების სიმაღლეზე ეჭირა. მაკიპერნმა წიგნი გამოართვა. ბიჭი არც ახლა შერხეულა. „გაიმეორე შენი კატეხიზმო“, უთხრა მაკიპერნმა. ბიჭი პირდაპირ იყურებოდა, კედელზე მისჩერებოდა ერთ წერტილს. მაინცდამაინც ლაყლაყა სახე არასოდეს ჰქონია, მაგრამ ახლა მთლად ცვილისფერი დასდებოდა. მაკიპერნმა ფრთხილად, აუჩქარებლად დადო წიგნი ლავგარდანზე და ისევ ღვედს დასწვდა. ჯერ ხემსი არ ჩასვლოდა პირში; ჯერ არც ერთს არ ესაუზმა. მერე ბიჭი წაბარბაცდა და ალბათ, წაიქცეოდა კიდევ, კაცს ხელი რომ არ შეეშველებინა, მკლავში არ ჩაფრენოდა. „მოდო“, უთხრა ბიჭს, თან ცდილობდა ბაგასთან მიეყვანა. „მოდო, აქ ჩამოჯექი“.

„არა“, გაიბრძოლა ბიჭმა, მკლავის გათავისუფლებას შეეცადა. მაკიპერნმა ხელი გაუშვა.

„რა იყო? ცუდად ხომ არა ხარ?“

„არა“. თქვა ბიჭმა, სუსტი ხმა ჰქონდა, სახეც ერთიანად გასთეთრებოდა.

„მაშინ წიგნი აიღე“, უთხრა მაკიპერნმა და თვითონვე მიაჩეჩა კატეხიზმო. ბოსლის ფანჯარაში მისის მაკიპერნმა გაიღვა, შინიდან გამოსულიყო. ახლა უკვე გახუნებული, გრძელი საშინაო კაბა ეცვა და ძველი, ფართო-

ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ხელში კედარის სათლი ეჭირა. ბოსლისკენ არ გამოუხედია, ერთი კი გაერთა ფანჯარაში და გაუჩინარდა. ცოცხალი ხანში, კის ბორბლის ზანტი კრიალი მოესმათ, მშვიდად, უცნაურად უღერდა ეს ხმა უქმე დღის სიმყუდროვეში. მერე, ერთხელ კიდევ გამოჩნდა ფანჯარაში ქალი, სავსე სათლი მიჭკონდა შინისაკენ და ტანი გვერდზე გადაეხურა. ისევე შევეფა შინ, ბოსლისკენ არც ამჯერად გამოჰქცევია თვალი.

კიდევ ერთი საათი გავიდა და მაკიპერნმაც თავი აიღო. „ისწავლე?“ შეკითხა ბიჭს. ბიჭმა არ უპასუხა. არც განძრეულა. ახლოს რომ მივიდა, მაშინდა დაინახა მაკიპერნმა. თურმე საერთოდ არ დასცქეროდა ფურცელს, სადღაც, ერთ წერტილში გაეშტერებინა მთლად გამოცარიელებული თვალები. წიგნის გამორთმევა დაუპირა. მაგრამ ბიჭი მაგრად ჩაფრენოდა წიგნს. როგორც თოქს, ანდა ბოქს. როცა ბოლოს მაინც გამოგლიჯა ხელიდან, ბიჭი იატაკზე გაიშხალრთა და აღარც განძრეულა.

გონს ნაშუადღევსლა მოეგო. თავის საწოლში იწვა, თავის ოთახში, სხვენზე, დაქანებულ ჭერქვეშ. ოთახში სიჩუმეს დაესადგურა და უკვე ბინდიც შემოძარულიყო. ახლა თავს კარგად გრძნობდა, იწვა და ზევით იყურებოდა — დაქანებულ ჭერს ასცქეროდა. ვიდრე ტანმა არ უგრძნო, საწოლთან ვიღაც ზისო. ვიღაც კი არა, მაკიპერნი. მაკიპერნი იყო. უკვე იმასაც გამოეცვალა, იმასაც ყოველდღიური ტანსაცმელი ჩაეცვა, ოღონდ კომბინეზონი კი არა, რომელსაც მინდორში მუშაობისას იცვამდა ხოლმე — გამოხუნებული, სუფთა უსაყველო პერანგი და გაცრეცილი, სუფთა, ხაკის შარვალი. „გაგიღვიძებია“, თქვა მაკიპერნმა. ხელი გადაიწვდინა და საბანი გადახადა. „ადექი“.

ბიჭი არ შერხეულა. „კიდევ უნდა მცემოთ?“

„ადექი, დროზე“, გაიმეორა მაკიპერნმა. ბიჭი საწოლიდან წამოდგა და იქვე გაჩერდა, გაჩხინკულს ბამბის უშნო საცვლები ეცვა. მაკიპერნიც წამოიძარა, მძიმედ, ტლანქად, დაძაბულად, თითქოს დიდი გაჭირვების ფასად; ბიჭი გაფაციცებით, თუმცა ზავშეური გაოცების გარეშე შესცქეროდა და ხედავდა, როგორ ნელ-ნელა, ძლივძლივობით მოიყარა კაცმა საწოლთან მუხლი. „შენც დაიჩოქე“, უთხრა ბიჭს. ბიჭმა დაიჩოქა; ახლა ორივე მუხლებზე იდგა ვიწრო, ბინდბუნდში ჩანთქმულ ოთახში; სახელდახელოდ მისთვის გადაკეთებული. მამაკაცური საცვლების ამარა დარჩენილი პატარა ბიჭი და უღმობელი კაცი, ვისთვისაც ერთნაირად უცხო და უცნობი იყო სიბრალულიცა და ექვიც. მაკიპერნმა ლოცვა დაიწყო. დიდხანს ლოცულობდა ერთფეროვანი, რულის-მომგვრელი. მომბებზრებელი ხმით. პატიებას შესთხოვდა უფალს, რადგან უქმე დღის წესი და რიგიც დაერღვია და ბავშვზე, ობოლზე, უფლისთვის ძვირფას არსებაზეც აღემართა ხელი. კიდევ იმასაც შესთხოვდა, ბიჭის ჩიუტი გულზე როგორმე მომბალიყო და ბიჭსაც მისტვევებოდა ურჩობის ცოდვა, სწორედ იმ კაცის ლოცვის წყალობით მისტვევებოდა, ვინც ეჯავრებოდა და ვისაც ეურჩებოდა, ლოცულობდა. რათა გონიერი მოწყალების კარნახითა და გონიერი მოწყალებისავე მეშვეობით, ყოველადღიერსაც ისეთივე დიდსულოვნება გამოეჩინა, რა დიდსულოვნებასაც თვითონ იჩენდა ბიჭის მიმართ.

მერე ლოცვას მორჩა და წამოდგა. გაჭირვებით წამოიძარა. ბიჭი ისევ მუხლებზე იდგა. მთელი ამ ხნის მანძილზე საერთოდ არ განძრეულა. ოღონდ თვალები სულ გახელილი ჰქონდა (არც სახე დაუმალია, არც თავი ჩაუქინდა, რავს) და სახეზეც სრული სიმშვიდე ეხატა: აუმღვრეველი, უდრტვინველი, იდუმალი სიმშვიდე. მერე გაიგონა, როგორ აფათურებდა კაცი ხელს მაგი-

დაზე. ლამპასთან; ასანთიც გაჩხაკუნდა, აინთო; ფიტელზე ნელ-ნელა წამოი-
მართა ცეცხლის ალი. კაცს ხელი ჭერაც ლამპის მუცლიან შუშაზე შერჩე-
ნოდა და სისბლში ამოვლებულს მიუგავდა. ოთახში ჩრდილები ერთი
ლატრიალდნენ და უცებვე გაშეშდნენ. მაკიპერნი მაგიდაზე, ლამპის გვერ-
დით რაღაცას დასწვდა და ხელში აიღო: კატენიზმო. მერე ბიჭს ფახედა ზეწი
მოდან: ცხვირი, წინგამოშვერილი, თითქოს გრანიტიდან გამოკვეთილი
მის თვალამდე. სათვალის შუშამდე წვერით დაფარული ყვრიმალი. „წიგნი
გამომართვი“, თქვა კაცმა.

მთელი ეს ამბავი კვირა დილას, საუზმობამდე დაიწყო. საუზმისთვის ვერც
ერთმა ვერ მოიცალა — ვერც ბიჭმა მოასწრო ჭამა და არც კაცს ჩაუდვია
პირში ლუკმა, თუმცა მაგიდასთან კი მივიდა და, ჩვეულებისამებრ, ილოცა
კედელს შუადღეზე, სადილობისას, დაძაბული და არაქათგამოცლილი, ძილად
ყო მივიარდნილი. არც ვახშობისას გახსენებია ვინმეს სუფრასთან დაჯდომა
და ბიჭი ახლა ვერაფრით მიმხვდარიყო, რა სჭირდა, რატომ გრძნობდა ასეთ
სისუსტესა და სიმსუბუქეს.

ერთიანად მოთენთილი იწვა ლოგინში და სასიამოვნო სიმშვიდე დაუფ-
ლებოდა. ოთახში ჭერ ისევ ენთო ლამპა; გარეთ უკვე დაღამებულიყო. დრო
კი გავიდა, მაგრამ ეგონა, საკმარისია თავი მივაბრუნო და ისევ დავინახავ
საწოლთან დაჩოქილ ორ ფიგურასო, საკუთარ თავსაც და მაკიპერნსაცო, ან-
და, ყოველ შემთხვევაში, ნობზე დანატოვარ ორი წყვილი მუხლის ანაბეჭდს
მაინცო. თითქოს ჰაერშიც ჭერ ისევ ის რულისმომგვრელი ხმა რიალებდა,
თითქოს სიზმარში ლაპარაკობდა ვიღაც. ლოცულობდა თუ იმასთან კამათობ-
და, ვინც ხილულ ნობზე უჩინარ ნაკვალევსაც არა სტოვებდა.

ასე იწვა, გულაღმა, საფლავის ქანდაკებასავით გულხელდაკრეფილი, და
ამ დროს, ვიწრო კიბეზე ისევ გაიგონა ფეხის ხმა. ეს ხმა კაცის ნაბიჯების
ხმას არ ჰგავდა; აკი წელან მოესმა, როგორ გაემგზავრა მაკიპერნი ეტლით:
სამი მილი უნდა გაევილო საღამოს ბინდბუნდში, რათა ნებისმიერ უახლოეს
ეკლესიაში გამოესყიდა დილანდელი შეცოდებანი, რაკილა პრესვიტერიანულ-
ში უკვე დაჰკვიანებოდა.

ბიჭს თავი არ მიუბრუნებია, ისედაც კარგად ესმოდა, რა გაჭირვებით,
ძლივძლივობით ამოდიოდა კიბეზე მისის მაკიპერნი. მერე ისიც გაიგონა,
ოთახში როგორ შემოვიდა და საწოლს როგორ მოუახლოვდა. არც მაშინ მი-
უბრუნებია თავი, თუმცა, უცებ ქალის ჩრდილი კედელზე აისვეტა და ამ
ჩრდილმა მიახვედრა, თან რაღაც მოუტანიო. საკმლით სავსე ლანგარი იყო.
ქალმა ლანგარი საწოლზე დადო. ბიჭს ერთხელაც კი არ შეუხედავს მისთვის.
არც განძრეულა. „ჯო“, თქვა ქალმა. ბიჭი არ შერხეულა. „ჯო“, გაიმეორა
ისევ. ქალი, ხედავდა, ბიჭს თვალები გახელილი ჰქონდა. მაგრამ, მაინც არ შე-
ხებია ხელით.

„არა მშია“, თქვა ბიჭმა.

ქალი გაუნძრევლად იდგა. ხელები წინსაფარქვეშ დაეკრიფა. თითქოს
თვითონაც არ უცქერდა ბიჭს. თითქოს საწოლის გვერდით კედელს ელაპა-
რაკებოდა. „ვიცი, რასაც ფიქრობ. ოღონდ გეშლება. იმას არ უთქვამს, საჭ-
მელი მიუტანეო. მე თვითონ გადავწყვიტე. არც იცის. იმას არაფერი გამო-
უგზავნია“. ბიჭი არ შერხეულა. მშვიდი სახე ჰქონდა, კერპივით, იწვა და
ციცაბოდ დაქანებულ, ფიცრულ ჭერს აპყურებდა. „მთელი დღეა ლუკმა არ

ჩაგვვლია პირში. წამოჩეჭი და ქამე. იმას არ უთქვამს, აჭამეო. გვეუბნები არაფერი იცის-მეთქი. დაეიცადე, ვიდრე წავიდოდა და მერჯულს ამოვედი”.

ბიჭი წამოჯდა. ქალი ხედავდა, როგორ წამოდგა საწოლიდან, ლანგარს დასწვდა, ოთახის კუთხეში მიიტანა და იქ მოაპირქვეა, იატაკზე მოაზავა თეფშები და საჭმელი. მერე ისევ საწოლთან მიბრუნდა. ცარიელი ლანგარს მოაქონდა თითქოს სანაწილე ეჭირა ხელში, იმის დამტარებელი იყო, ოლონდ, სტიქარის ნაცვლად, თავის ზომაზე გადაკეთებული მამაკაცის საცვლები ეცვა. ახლა ქალი აღარ უცქერდა, მთელი ამ ხნის მანძილზე არც განძრეულა. ხელებიც ისევ წინსაფარქვეშ დაემალა. ბიჭიც ისევ საწოლში ჩაწვა, გულალმა გაიშოტა და ფართოდ გახელილი თვალები ჭერს მიაშტერა. კედელზე ქალის უძრავ, უფორმო, ოღონდ მხრებში მოხრილ ჩრდილს ხედავდა. მერე ჩრდილიც გაქრა. ბიჭი ქალისკენ არ იყურებოდა, ოლონდ ესმოდა კი, როგორ ჩაიჩოქა ქალმა ოთახის კუთხეში და ხელახლა როგორ მოაგროვა ლანგარზე თეფშების ნამსხვრევები. მერე წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ლამბა თანაბრად ანათებდა, ერთხელაც არ შერხეულა ფიტილზე ალი; ფარვანები ლამბის გარშემო უვლიდნენ წრეს და იმათი აფარფატებული ჩრდილები კედელზე ჩიტებისოდენა ჩანდნენ. ბიჭს გარედან სიბნელის, გაზაფხულის, მიწის სუნის სცემდა და მთელი არსებით შეიგრძნობდა ამ სიბნელეს, გაზაფხულს, მიწას.

მაშინ ჭერ რვა წლისა იყო. მხოლოდ მრავალი წლის მერელა მიხვდა ხსოვნა, რა დაემახსოვრებინა; მრავალი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა, ერთსაათის შემდეგ ისევ წამოდგა საწოლიდან, კუთხეში მივიდა და ახლა უკვე სხვისი კარნახით კი არა, საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით დაიჩოქა, შერყვნილ საჭმელს დააცხრა და ველურივით, ძალღივით დაუწყო ქამა.

სალამოვდებოდა; წესით ახლა უკვე შინ უნდა ყოფილიყო. მართალია, მზათობით სალამო ხანს თავისუფალი კი იყო ხოლმე, მაგრამ ასე მაინც ჭერ არასოდეს დაეგვიანა შინ მისვლა. დაბრუნებისთანავე უთუოდ გაილაზებოდა, გაილაზებოდა, ოლონდ იმისთვის არა, რასაც ახლა ჩაიდენდა ან არ ჩაიდენდა. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეიკავებდა ცოდვისგან თავს თუ ვერა, რადგან სახლში დაბრუნებულს მაინც ისე დაუნდობლად გალაზავდნენ, ვინდაც მაკიპერნის თვალწინ შეეცოდოს.

თუმცა, ჭერ ალბათ თვითონაც არ იცოდა, ცოდვას თუ არ ჩაიდენდა. სუთი ბიჭი მიგდებული სამხერხაოს მორყეულ კართან ჩუმად, უხმაუროდ, ქურდულად შექუჩდა სალამოს ბინდბუნდში. წელან ასიოდე იარღის იქით დამოლულეებმა დაინახეს, როგორ შევიდა ფარდულში ზანგის გოგო, ერთი კი გამოხედათ და სიბნელეში გაუჩინარდა. ვილაც უფროსმა ბიჭმა მოაწყო ყველაფერი და პირველიც თვითონ შეაყვა გოგოს, დანარჩენები კი, ერთნაირკომბინიზონებიანი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭები, ახლომახლო, საბო მილის რადიუსში რომ სახლობდნენ და თავიანთი ამხანაგის, ჯო მაკიპერნის დარად, უკვე მინდორსაც დიდი კაცებივით ხნავდნენ, ძროხასაც წველიდნენ და შეშასაც აპობდნენ — კენქსა ყრიდნენ; ვისაც გადატეხილი თავის ღერო შეხვდებოდა, რიგაც იმას ერგებოდა პირველს. არადა, ვიდრე მაკიპერნის არსებობა არ გაახსენდა, იქამდე მთელი ეს ამბავი ცოდვად არც ჩაუთვლია და არც შეიძლებოდა ჩაეთვალა — თოთხმეტი წლის ბიჭის წარმოდგენით ყველაზე მძიმე და დიდი ცოდვა სწორედ ის იქნებოდა, საკუთარ უბიწოებაში თუ გამოუტყდებოდა ამხანაგებს.

მერე იმისი ჭერიც დადგა. ჯომ ფარდულში შეაბიჯა. ფარდულში ბნელ-ლოდა. ხეირიანად არც შესულიყო და უცებ საშინლად აფორიაქდა. აგანგაშდა, ისლაც, როგორც ყოველთვის. როცა კბილის პასტა გაახსენდებოდა ხორცი-თითქოს მისი არსებიდან გამოღწევას, თავის დახსნას შეეცადა რაღაც. ერთ-ბაშად განძრევაც ვერ მოახერხა. ადგილზევე გახევდა და ერთდრულად უცხად ქალისა და ზანგის სუნი; ყოველი მხრიდან ამ ქალურზანგური სუნის გამწვანება. ცული, აფორიაქებული, აღელვებული, ილაჯგამოცლილი იდგა და მორჩილად უცდიდა. იძულებული იყო მოეცადა, როდის ამოიღებდა გოგო ხმას: უბის მაჩვენებელ სიტყვას ელოდა მისგან, აზრისგან დაკლილსა და უნებლიეთ წამოსროლილს. მერე მოეჩვენა. თითქოს დაინახა კიდევ რაღაცა, ძირს გართხმული, საცოდავი; თითქოს იმის თვალებსაც ხედავდა. წინგადახრილი, ვითომ უძირო ქას ჩასცქეროდა და ფსკერზე მკვდარი ვარსკვლავების ციმციმსა თუ ანარეკლს ამჩნევდა. ახლა, ეტყობა, ნაბიჯიც გადადგა, რადგან ფენით გოგოს სხეულს წამოედო. მერე უკვე შეგნებულად მოიძია ბნელში იმი-ლი ტანი და წიხლი ჩასცხო. მაგრად ჩასცხო. გამეტებით — ერთხელ, მეორედ; ურტყამდა და თან გაოცებისა და შიშის შეკავებული ყვირილის ჩახშობას ცდილობდა. გოგო რომ გამყინავად აკივლდა, ზეზე წამოაგდო, მკლავში მაგ-რად ჩააფრინდა და მოწყვეტით, გამეტებით შემოჰკრა სახეში — ხმას უმიზ-ნებდა, ხმას სცემდა, ხმას ურტყამდა ალბათ, თუმცა, ასეა თუ ისე, განუწყ-ვეტლივ მაინც გოგოს ხორცს შეიგრძნობდა მტკივნეულად, ქალურზანგურ სუნში გახვეული და აგანგაშებული.

მერე, ერთიც ისეთი ხეთქა, გოგო სადღაც, შორს გადაფრინდა და წამსვე თვითონაც უკან გადაიქცა — დანარჩენები დაეცნენ ზურგიდან, ჯგროდ, მაგ-რად ჩააფრინდნენ. გაკავება დაუბირეს და ისიც გაშმაგებული იქნევდა ხე-ლებს, ურტყამდათ და მრისხანებისა და უძღურებისაგან, ლამის გული გახე-ოქოდა. ახლა მხოლოდ მამრის სუნსღა გრძნობდა, მხოლოდ მამრის სუნიღა სცემდა თვითონაც და დანარჩენებსაც; აკივლებული, უჩინარი გოგო სად-ღაც ქვემოთ ფართხალებდა. ბიჭები კი მიწას თელავდნენ, ძიძგილაობდნენ, ერთნაირი გამწარებით ურტყამდნენ ყველაფერს, რასაც კი ხელს მიაწვდენდ-ნენ, ვიდრე ბოლოს, ყველამ ერთად, ერთმანეთში აზელილებმა ძირს არ მოა-დინეს ზღართანი და ჯო ქვეშ არ მოიყოლეს. ის კი, სიმწრისგან ატირებული, მაინც იბრძოდა, არ ნებდებოდათ. მდედრი უკვე აღარსად ჩანდა. არადა, აზრ-დაკარგულ ჩაუბსაც არ უჩანდა ბოლო; ფარდულში თითქოს ძლიერი, ცივი ქარაშოტი ტრიალებდა, ძალაგამოცლილ ჯოს ბიჭები იატაკზე აკავებდნენ. „გაჩერდები? ხომ ხედავ, ჩვენს ხელში ხარ. სიტყვა მოგვეცი, რომ გაჩერ-დები“.

„კარგი. გეყოფა. ჯო! ყველას მაინც ვერ მოგვერევი. თან არც არავის უნდა შენთან ჩხუბი“.

„არა“. გაიმეორა ისევ, აქოშინებულმა, გაქაჩულმა, ისე იყვნენ ერთ-მანეთში გადახლართულ-გადაფსკვნილები, კაცი თავს და ბოლოს ვერ გაუგებ-დათ. აღარც გოგოს არსებობა ახსოვდა რომელიმეს და აღარც ჩხუბის დაწ-ყების მიზეზი, თუკი საერთოდ გააჩნდათ რამე მიზეზი ერთმანეთის დალილა-ვებისა. მართლაც დანარჩენი ოთხისათვის ყველაფერი უნებლიეთ, თავისთა-ვად მოხდა: ბუნების კარნახს მისდევდნენ ბრმად, მამრის ვალს იხდიდნენ და სტიქიურად იბრძოდნენ იმ მდედრის მიზეზით, იმ მდედრის გამო და იმ მდედრის მოსაპოვებლად, რომელსაც, ან ცოტა ხნის წინ შეწყვილებოდნენ

უკვე, ანდა მალე უნდა შეწყვილებოდნენ, როცა რომ გაამწარა, ეგ კი არა-
ვინ იცოდა, რომც ეკითხათ, თვითონაც ვერ გასცემდათ. მასთან მიწაზე ჰყავ-
დათ გაკრული და ჩუმად, დაძაბულად თათბირობდნენ.

„მანდ, უკან, გაგვეცალეთ მერე ჩვენც წამოდგებით და გავუშვებთ“.
„რომელს გიჭირავთ? ეს ვისი ხელია?“

„ეგრე, კარგია, გაუშვი, ახლა მაცალე: აქაა, შე და...“ ისევ გაიმართა
ხედახორა, ისევ დაიწყო ბრძოლა, როცა ისევ მაგრად გააკავეს, „მიჭირავს, მი-
ჭირავს, თქვენ ხელი გაუშვით და გარეთ ვადით, ადგილი მოგვიცალეთ“.

ორნი წამოდგნენ და ფარდულიდან გავიდნენ. მერე დანარჩენი ორი თით-
ქოს აფეთქების ტალღამ ასტყორცნა ზემოთ და ისინიც თავ-პირის მტკრევით
გაცვივდნენ სამშვიდობოს. გათავისუფლდა თუ არა, რომაც მაშინვე ხელი
გაიქნია, მაგრამ ფარდულში აღარავინ იყო იმის მეტი, ზურგზე იწვა და ხე-
დავდა, როგორ გარბოდა ოთხეული ბინდბუნდში, მერე ნაბიჯს ცოტა უკლეს,
თან უკან-უკან იხედებოდნენ, როცა წამოდგა და ფარდულიდან გავიდა, კარუბ-
თან შეჩერდა, ტანსაცმელი გაიბერტყა გაუაზრებლად: ბიჭები მოშორებით
შეჩვეულებულიყვნენ და უხმოდ გამოსცქეროდნენ, თვითონ იმათკენ არ გაუხე-
დავს, მერე გზას დაადგა, ბინდში იმისი კომბინიზონიც ბინდისფრად ჩანდა,
კარგა გვიან იყო უკვე, მწუხრის ვარსკვლავი ეასმინის ყვავილივით დაშბ-
მებულიყო და დაბერილიყო, ერთხელაც არ მიუხედაია უკან, გზას მიუყვებოდა
და თანდათანობით, მოჩვენებასავით ქრებოდა; უხმოდ შეჩვეულებული ოთხი
ბიჭი თვალს არ აშორებდა, ბინდში თითქოს სახეები დაპატარავებოდათ, გაც-
რეცოდათ, უცებ, სრულიად მოულოდნელად — იაააამო — ყიყინა დასცა
რომელიღაცამ, როცა უკან არ მიუხედაია, მერე მეორე ხმაც გაისმა, წყნარი,
მკაფიო: „აბა, ხვალ ეკლესიაში შევხვდებით, რო“ არაფერი უბასუხია, თავის
გზას ადგა, ხანდახან, უნებლიეთ, მხოლოდ კომბინიზონს ჩამოიბერტყავდა
ხოლმე.

სახლი რომ გამოჩნდა, დასავლეთი უკვე თითქმის მთლად დაწრეტილი-
ყო შუქისაგან, თავლის უკან, საძოვარზე, წყარო ჩქეფდა: სიბნელეში ტირო-
ჯების ჩგუფი შრიალეებდა, სურნელს აფრქვევდა, ოღონდ არ ჩანდა, წყაროს
მიუხაზლოვდა თუ არა, ახლად მოჩიტულმა ბაყაყებმაც უცებ შეწყვიტეს ყი-
ყინი, თითქოს მრავალი სიმი ერთდროულად, ერთი მაკრატლით გადაქრესო,
რომ ჩაიბუხლა; იმდენად ბნელოდა, საკუთარი ანარეკლიც ვერ გაარჩია,
წყალში, პირი მოიბანა, დასიებულ თვალზეც მიიღო სველი ცხვირსახოცი,
მერე ისევ გზა განაგრძო, საძოვარი გადასერა და სამზარეულოს განათებული
ფანჯრისკენ აიღო, გეზი, ისიც, თითქოს უთვალთვალეებდა — თვალვით და-
ძაბული, მკაცრი.

თავიანთ მესერს მიადგა და შეჩერდა, ერთხელაც გახედა სამზარეულოს
განათებულ ფანჯარას, ცოტა ხანს იდგა ასე, მესერს მიყრდნობილი, ბილახში
დაუზარელი ჭრიჭინები ხმაურობდნენ, ყველაფერს აცოცხლებდნენ ირგვლივ,
ნამით განაცრისფრებული მიწისა და ჩაბნელებული ხეების ფონზე ზანტად,
დაბნეულად, უწესრიგოდ გაივლებდნენ ხოლმე ციციანათელები და ისევ
უჩინარდებოდნენ, სახლის გვერდით, ხეზე, ჯაფარა მღეროდა, უფრო იქით,
ტყეში, წყაროს გადაღმა, ორი უფეხურა უსტვენდა, სადღაც შორს, თითქოს
ზაფხულის უშორეს პორიზონტს მიღმა, ძალი უმუოდა, მერე მესერს გადა-
ევლო და ბოსლის კართან, სადაც ორი, თავისი მოსაწველი და ჯერაც მო-
უწველელი ძროხა ეგულებოდა, ვილაც გაუხმრევლად მჭდომი დაინახა.



არც მაკიპერნის ცნობა გასკირვებია და არც დანახვა გაპკვირვებია. თითქოს რაც ხდებოდა, ყველაფერი ბუნებრივი, გამართლებული და გარდაუვალი იყო. იმ წუთას ალბათ ისიც იფიქრა. მე და ამ კაცს მუდამ ერთმანეთს ვეღარ შეგვიძლია ყოფნა, მუდამ გავიტანთ ერთმანეთსო; ქალი იყო, და ვნახს რომ უბნევდა, ქალისა ვერ გაეგო ვერაფერი. ალბათ, არც მტყურობდა და გარდაუვალი სასჯელი აკვირვებდა, და თუმცა მაკიპერნის ბიჭს ვხედავდით ვინთ ყველაზე მძიმე ცოდვისაგან შეეკავებინა თავი, მაინც ისეთი სიმკაცრით დაისჯებოდა. ვინდაც მართლა შეეცოდა. მაკიპერნი არ წამომდგარა. ისევ ისე იჯდა. გარინდული და გაქვავებული, იმისი პერანგი თეთრ ლაქასა-ვით აჩნდა შავად პირდაბრჩენილ კარს. „მოვწველე და ვაჭამე კიდევ“, თქვა ბოლოს. მერე წამოდგა, დინჯად, აუჩქარებლად, და შეიძლება ბიჭმა იცოდა, ღვედი უკვე ხელში რომ ეჭირა. ღვედი თანაბარი, გამოზომილი, შხუილბით ჰკვეთდა ჰაერს. ბიჭის სხეული კი თითქოს ხედ ან ქვად ქცეულიყო, თითქოს ბოძი ან კოშკი იყო, სადაც მის გონიერ არსს, ფიქრში წასულს, განდევნილივით შეეფარებინა თავი — თავდავიწყებულს, აღტაცებულს, ჯვარცმულს სიმარტოვის ამარა დარჩენილს.

სამზარეულოსკენ უკვე გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ. ფანჯრის შუქი რომ დაეცათ, კაცი შეჩერდა, ბიჭისკენ მიტრიალდა, წინ წაიხარა და დააკვირდა: „გიჩხუბია“, თქვა მან. „რა იყო, რა მოხდა?“

ბიჭმა პასუხი არ გასცა. სრულიად უძრავი, უტყვი სახე ედო. ცოტახნის შემდეგლა დაილაპარაკა, წყნარად, ცივი ხმით — „არაფერი“.

სამზარეულოს ფანჯრის ქვეშ იდგნენ. „ვერ მეტყვი თუ არ მეტყვი?“ ბიჭს კრინტი არ დაუძრავს. მიწას ჩასცქეროდა. თუმცა არაფერს უყურებდა. „თუ არ იცი, რატომ იჩხუბე, სულელი ყოფილხარ. თუ იცი და მაღაც, მამ რაღაცა გიმამაძაღლია. ქალთან იყავი?“

„არა“, თქვა ბიჭმა. კაცი დაეინებით მიაშტერდა, მერე ჩაფიქრებულმა უთხრა: „შენ ჯერ ჩემთვის ტყუილი არ გითქვამს. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვიცი“. ისევ შეხედა ბიჭს, იმის უძრავ პროფილს დააკვირდა: „ვის ეჩხუბე?“

„ბევრნი იყვნენ“.

„გასაგებია“, თქვა კაცმა. „იმედია, დაღს დაასვამდი?“

„არ ვიცი, ალბათ.“

„კეთილი“, თქვა კაცმა. „წადი, ხელ-პირი დაიბანე. ვახშამი მზადაა“. როცა იმ ღამეს დასაძინებლად დაწვა, გაქცევა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, არწივივით ვრძნობდა თავს: ძლიერად, ყოველისშემძლედ, უდრეკად, დაუნდობლად, ლონივრად. მაგრამ მერე ამ შეგრძნებამაც გაუარა, თუმცა მაშინაც კი არ იცოდა, მისთვისაც, ისევე როგორც არწივისთვისაც, საკუთარი სხეულიცა და უკიდევანო სივრცეც გალიას თუ წარმოადგენდა.

კაცმა რომ თქვას, ორი დღე ისე გავიდა. მაკიპერნს უშობელის გაქრობა არც შეუმჩნევია. მერე თავლაში დამალულ ახალთახალ კოსტუმს გადააწყდა შემთხვევით; კოსტუმი გულდაგულ დაათვალიერა და დარწმუნდა — ერთ-ერთს არ იყო ჯერ ჩანაცვამი. ეს ამბავი დილით მოხდა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. საღამოს ბოსელში შევიდა, სადაც ჯო ძროხას წველიდა. ჯო დაბალ ჯორჯოზე იჯდა. მხრებში მოხრილს თავი ძროხის ფერდზე მიებჯინა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, როგორ დაკაცებულიყო, როგორ აეყარა ტანი, თუმცა მა-

კიპერნს არაფერი შეუმჩნევია. თუკი ხედავდა საერთოდ რამეს, თვალწინ ახლად ის ხუთი წლის ობოლი ბიჭი ედგა, უძრავი, დაძაბული. ცხოველის უდარდელი მორჩილებით რომ ეჯდა გვერდით ეტლის კოფოზე დეკემბრის იმ ერთ საღამოს, თორმეტი წლის წინათ. „რალაც შენი უშობელი არა ჩანს“, თქვა მაკიპერნმა. ჯომ არაფერი უპასუხა. ვედროსკენ, ქათმბრუნებულნი შიშინებულნი რძისკენ გადახრილიყო. მაკიპერნი ზურგს უკან უხედავად დაჰყურებდა. „გეუბნები, შენი უშობელი არ დაბრუნებულა-მეთქი“.

„ვიცი“, მიუგო ჯომ. „ალბათ ქვეითკენ წავიდოდა, ნაკადულთან იქნება თუ ჩემია, მიხედვითაც მე თვითონ მივხედავ“.

„ჰოო“, გააგრძელა მაკიპერნმა. ჯერ ხმას არ უწევდა. „არა მგონია, ორმოცდაათდოღარიან ძროხას ღამით ნაკადულთან ყოფნამ არგოს“.

„თუ ვიზარალებ, მე ვიზარალებ“, თქვა ჯომ. „ძროხა ჩემი იყო“.

„იყო?“ თქვა მაკიპერნმა. „რაო? ძროხა ჩემი იყო?“

ჯოს თავი არ აუღია. იმის თითებს შორის რძე მოშხუოდა და ვედროში იღვრებოდა. ზურგს უკან მაკიპერნის მოძრაობა გაიგონა. მაგრამ თავი იქამდე არ მიუბრუნებია, ვიდრე მთლიანად, ბოლო წვეთამდე არ გამოწურა ჭიქანი. მერედა შეტრიალდა. მაკიპერნი კარებთან, გეჯახე ჩამომჭდარიყო. „ჯერ რძე მიგეტანა შინ“, უთხრა ჯოს.

ჯო წამოდგა, ვედროს დასწვდა, ვედრო გაქან-გამოქანდა. ჭიუტი ხმა ჰქონდა, ჭიუტი, ოღონდ მშვიდი: „დილით ვიპოვი“.

„რძე შინ მიიტანე“, გაუმეორა მაკიპერნმა. „მე აქ დაგელოდები“.

ჯო ცოტა ხანს კიდევ გაუნძრევლად იდგა. მერე ბოსლიდან გავიდა და სამზარეულოსკენ გაემართა. ვედროს უკვე მაგიდაზე დგამდა, როცა სამზარეულოში მისის მაკიპერნიც შევიდა. „ვახშამი მზადაა“, თქვა ქალმა „მისტერ მაკიპერნიც მოვიდა?“

ჯო უკვე გასვლას აპირებდა, უკვე კარებთან იდგა. „მალე მოვა“, უთხრა ქალს. გრძნობდა, ქალი თვალს არ აშორებდა. მერე გამომცდელად, შეშფოთებულმა დაადევნა:

„სწორედ დაბანას მოასწრებ“.

„მალე მოვალთ“. ჯო ისევ ბოსელში დაბრუნდა. მისის მაკიპერნი კარებთან მივიდა და თვალი გააყოლა. ჯერ მთლად არ ბნელოდა და ბოსლის კარში მდგარი ქმარიც დაინახა. არ დაუძახია. უბრალოდ იდგა და ორი კაცის შეხვედრას უყურებდა. იმათი ლაპარაკი არ ესმოდა.

„მაშ ამბობ, ნაკადულთან იქნებაო?“ თქვა მაკიპერნმა.

„შეიძლება იქ იყოს-მეთქი. საძოვარი დიდია“.

„ჰოო“, თქვა მაკიპერნმა. ორივე მშვიდად ლაპარაკობდა. „მაინც როგორ გგონია, საით წავიდოდა?“

„არ ვიცი. მე ხომ ძროხა არა ვარ. რა ვიცი, საით წავიდოდა?“

„ჩვენც ავდგეთ და მოვძებნოთ“, თქვა მაკიპერნმა და ნაბიჯი გადადგა. ჯოც მიჰყვა. საძოვარზე გავიდნენ, წინ მაკიპერნი მიაბიჯებდა, ჯო ფეხდაფეხ მისდევდა. ნაკადულამდე მეოთხედი მილი უნდა ევლოთ. ნაკადულის პირას, ჩაბურულ წარაფში, ჯგუფ-ჯგუფად იელვებდნენ ხოლმე ციციანათელები. წარაფს მალე მიაღწიეს. ხეთა ღეროები ღამის ჩამბრჩვალისყვნენ დღისითაც კი ძნელად გასავლელ ქაობის შამბში. „აბა, ერთი დაუძახე“, უთხრა მაკიპერნმა ჯოს. ჯოს ხმა არ ამოუღია. არც შეერხეულა. პირისპირ იდგნენ.

„ძროხა ჩემია“, თქვა ჯომ. „მე არ მაჩუქეთ? ბოჩოლა იყო, მას მერე, როგორც ჩემსას, ისე ვზრდიდი“.

„მართალი ხარ“, თქვა მაკიპერნმა. „მე გაჩუქე. ვიფიქრე, თავისი საკუთრება, თავისი ქონება თუ გაუჩნდება, პასუხისმგებლობაც მოემატება-მეთქი. არ ვარგა, კაცი ღვთის ნაბოძებსა და ნაწყალობევს უპასუხისმგებლოდ არ ეკიდება. თან ანგარიშიანობა და მოგებაც მინდოდა შენთვის, მესწავლეობით დაუძახე“.

კიდევ ცოტა ხანს იდგნენ ასე პირისპირ. იქნებ ერთმანეთსაც შესცქეროდნენ. მერე ჯო შეტრიალდა და ჭაობის კიდეს დაუყვა, მაკიპერნიც უკან მიჰყვა. „რატომ არ ეძახი?“ ჰკითხა ჯოს. ჯომ არაფერი უპასუხა. თითქოს არც ჭაობს უყურებდა, არც ნაკადულს, არაფერს. მხოლოდ ერთადერთი, შინიდან მომავალი სინათლისაკენ გაექცეოდა ხოლმე თვალი, ხანდახან უკან მიიხედავდა და თითქოს თვალით ზომავდა, რამდენად დაშორებოდნენ სახლს. ჩქარა არ მიდიოდნენ, მაგრამ მაინც მალე მიადგნენ საძოვრის სასაზღვრო ღობეს. ჯო ღობესთან შედგა და შემოტრიალდა. ახლა უკვე აშკარად მისჩერებოდა უკან მომავალს, მეორეს. ისევ პირისპირ იდგნენ. მერე მაკიპერნმა სიჩუმე დაარღვია: „რა უყავი უშობელს?“

„გავყიდე“, თქვა ჯომ.

„მაშ გაყიდე, არა? კეთილი და პატიოსანი. იქნება ის მაინც გვიბრძანო, რამდენად გაყიდე?“

ერთმანეთის სახეებს უკვე ვეღარ არჩევდნენ. ახლა ორი, თითქმის ერთი სიმაღლის ლანდი იდგა პირისპირ, ოღონდ მაკიპერნისა უფრო განიერი. თეთრ ლაქად ქცეული პერანგის ზემოთ იმისი მრგვალი თავიც სამოქალაქო ომის მონუმენტების მარმარილოს ყუმბარას ჰგავდა. „ძროხა ჩემი იყო“, თქვა ჯომ. „თუ არა და, რად მეუბნებოდით, შენიაო? რატომ მაჩუქეთ?“

„სწორი ხარ, შენი იყო, შენი საკუთარი. აკი ჯერ არც გასაყვედურობ, რატომ გაყიდე-მეთქი. თუ ფასიც კარგი აიღე, იქნებ საერთოდ არც გისაყვედურო. შენი ხნის ბიჭი ვაჭრობაში რომც მოტყუებულყო, არც ეგ გამიკვირდება და არც მაგით დაიქცევა ქვეყანა. თუმცა მაინც ჯობდა ვინმე უფროსი, ცხოვრებაში გამოცდილი კაცისათვის გეკითხა რჩევა. არაფერია, თანდათან ისწავლი, შენც ჩემსავით გაიწაფები. მთავარია, ფული ხომ საიმედოდ დააბანდე?“ ჯომ არაფერი უპასუხა. პირისპირ იდგნენ. „ალბათ ღედობილს მიაბარებდი შესანახად, არა?“

„პო“, თქვა ჯომ. ჯომ კი არა, ჯოს ტუჩებმა, ტუჩებს დასცდათ უნებლიეთ ეს სიტყვა, ეს სიცრუე. პასუხის გაცემას საერთოდ არ აპირებდა. თვითონვე რალაცნაირად შეძრწუნებულ-გაოცებულს ესმოდა, როგორ ამბობდნენ მისი ტუჩები ტყუილს. მაგრამ უკვე გვიანლა იყო. „დამალეთ-მეთქი, ვთხოვე“.

„ძალიან კარგი“, თქვა მაკიპერნმა. თქვა და ღრმად ამოისუნთქა: „შვებით, კმაყოფილებით, გამარჯვებული გაცივით. „აქამდე რაც შეგეძლო ყველა ცოდვა გამოამყლავნე: სიზარმაცეც, უმადურობაც, უპატივცემულობაცა და მკრეხელობაც. ახლა ორი სხვაც დაუმატე: სიცრუე და სიძვა. მაშ, თუკი არ მრუშობდი, ახალი კოსტუმი რად გინდოდა?“ მაშინლა მიხვდა, მაშინლა აღიარა ხმამაღლა, თორმეტი წლის წინ ნაშვილები ბიჭი რომ დაკაცებულყო. ისევ ისე, პირისპირ იდგნენ, ლამის ფეხის წვერებით ეხებოდნენ ერთმანეთს და უცებ სახეში შემოჰკრა მუშტი.

ჯომ პირველი ორი დარტყმა მოითმინა; ჩვეულებამ თუ მოათმენინა, ან

იქნებ გაოცებამ. ორჯერ მაგრად მოხვდა სახეში კაცის მძიმე მუშტი და მხოლოდ მერეღა გახტა უკან. წელში მოხრილი, აქოშინებული, თან ერთ სისხლს ილოკავდა. პირისპირ იდგნენ. „იყოფე, ხელი აღარ მახლო“



მერე, მოგვიანებით, როცა ერთიანად გაათოშლილი და დაქრებული უკვე სხვენზე, თავის ოთახში, თავის ლოგინში იწვა, ქვემოდასმულს მისი სხეული ამომავალი იმათი ხმები, იმათი ლაპარაკი მოესმა.

„მე ვუყიდე, მე!“ ამბობდა მისის მაკიპერნი, „ქარაქში აღებულნი ფულით ვუყიდე, აკი თქვი, აკი მითხარი, თუ გინდა... შეგიძლია დახარჯო... საიმონ! საიმონ!“

„შენ იმაზედაც უფრო უგერგილოდ ცრუობ“, თქვა კაცმა, იმისი ხმა, დინჯი, უხეში, ლამის ბრაზისგანაც დაცლილი, ვიწრო კიბეს მოუყვებოდა და მკაფიოდ ისმოდა ჯოს ოთახში, თუმცა, ჯო ამ ხმას არც უსმენდა. „დაიჩოქე, დაიჩოქე, დანიჩოქე-მეთქი დედაბაბო, მე კი არა, ღმერთს, ღმერთს სთხოვე, მოწყალება და პატიება.“

იმ პირველი, თორმეტი წლის წინანდელი დეკემბრის საღამოს შემდეგ, ქალი სულ იმას ცდილობდა, როგორმე სითბო და სიკეთე ეგრძნობინებინა მისთვის. მაშინაც, იმ საღამოსაც, როცა ეტლი სახლს მიადგა, ეს ყოვლისმომთმენი, საცოდავი არსება, ვისაც კეფაზე კოხტად დაგრაგნილ თმასა და ქვედაკაბას თუ არ ჩავთვლით, სქესის სხვა ნიშანწყალი არ ეტყობოდა — უკვე პარშალზე იდგა და ელოდებოდათ. თითქოს უღმობელი და ფანატურიკური კმარი თანდათანობით კი არ ხდიდა სულს, თანდათანობით კი არ ხრწნიდა და სპობდა, ნელ-ნელა კი არ გადააქცევდა საკუთარი მიზნებისა და სურვილებისთვისაც უცხო და ქალისთვისაც ხომ სულმთლად გაუგებარ, წარმოუდგენელ რაღაც უსახურ არსებად. არამედ დამყოლი, ჩლუნგი ლითონივით ჩეჩქავდა და სულ უფრო და უფრო მეტად ათხლებდა, ვიდრე საბოლოოდ მოუსპობდა, საბოლოოდ ჩაუკლავდა ჩანავლებული ხალვერდალივით ფერდაკარგულ ფუჭ იმედებსაც და აუხდენელ ოცნებებსაც.

ეტლი გაჩერდა თუ არა, ისიც იმ წუთას მათვე გამოიქცა. თითქოს ადრევე გადაეწყვიტა სწორედ ასე მოვიქცევით, თითქოს წინასწარ წაეყარჯიშა კიდევ, როგორ გადმოსვამდა ბიჭს კოფოდან, შინ როგორ შეიყვანდა. მას მერე, რაც თავისით სიარული შეძლო ბიჭმა, ქალს ხელში აღარასოდეს აეყვანა. მაშინაც დაუსხლტა და მარტოკამ, დამოუკიდებლად შეაბიჯა სახლში — პატარამ, ვეებერთელა ასალში გახვეულმა, ფორმადაკარგულმა, ქალი უკან მისდევდა, დაჰფოფინებდა. შინ შევიდნენ თუ არა, სკამზე დასვა; თითქოს რაღაცნაირად დაძაბული, აგანგაშებული დასტრიალებდა თავს, თითქოს ირგვლივ ჰაერიც დამუხტულიყო. აგანგაშებულიყო, თითქოს ქალი ოცნებობდა ყველაფერი ხელახლა, თავიდან დაიწყოსო, რათა ოვითონაც და ბიჭიც, ახლა მაინც, ისე მოქცეულიყვნენ. როგორც ადრევე, წინდაწინვე დაეგეგმა და გადაეწყვიტა. მერე ბიჭის წინ ჩაჩოქილი, დიდხანს წვალობდა, დიდხანს ცდილობდა ამაოდ, როგორმე ფეხსაცმელები გაეხადა მისთვის. მანამდე იცოდვილა, ვიდრე ბიჭი არ მიუხვდა საწადელს და თვითონვე არ გაიხადა ფეხსაცმელები, ოღონდ, იატაკზე კი არ დააწყო, ხელში ეჭირა. ქალმა მაღალყელიანი წინდებიც წააძრო და მაშინვე ცხელი წყლით სავსე ტაშტი მოარბენინა. ისე უცებ შემოიტანა, ბავშვის მეტი ყველა მიხვდებოდა, წინდაწინ რომ დაე-

ჭირა თადარიგი, მთელი დღე ცეცხლზე რომ ედგა წყალი. მაშინ ბიჭმაც პირველად ამოიღო ხმა. „გუშინ ვიბანავეო“, — უთხრა.

ქალს არაფერი უპასუხია. ბიჭის წინ მუხლებზე იდგა და ბიჭიც მხოლოდ იმის კეფას ხედავდა, კეფასა და ტაშტში ცოტა არ იყოს მოუქნეულად მუღუჩურე ხელებს. ახლა აღარ ცდილობდა მიხმარებოდა ქალს. თბილად უყურებდა უნულფეხებჩაყრილი იჭდა და უკვე აღარ იცოდა, რა უნდოდა, კიდევ რას აპირებდა ქალი, არ ეგონა, ყველაფერი ამით თუ დამთავრდებოდა, არ ეგონა, რადგან თავს ძალიან კარგად გრძნობდა. სულ იმას ელოდა, როდისღა დაიწყებოდა დანარჩენი, არასასიამოვნო ნაწილი — გაურკვეველი, თუმცა, მისი აზრით, აუცილებელი და გარდაუვალი. მსგავსი არაფერი გადახდენოდა თავს აღრე.

მოგვიანებით ქალმა ლოგინში ჩააწვინა. უკვე ორი წელი იყო, რაც დამოუკიდებლად იცვამდა და იხდიდა ტანსაცმელს, ვერც ვერავინ ამჩნევდა და არც არავინ ეხმარებოდა შემთხვევითი ელისების გარდა. ისეთი დაქანცული იყო, ჯერ დაძინებაც არ შეეძლო, ათასი საფიქრალი ჰქონდა და ამიტომ განერვიულდა კიდევ, იმასღა ნატრობდა, როგორმე ქალი ოთახიდან გასულიყო და მარტო დაეტოვებინა. იმის გასვლას კი არაფრით დაადგა საშველი. ის კი არა, საწოლთან ახლოს სკამიც მიიჩოჩა და თავით ჩამოუჭდა. ოთახში ცეცხლი არ ენთო; ციოდა. ქალს ახლა მხრებზე შალი მოესხა, იმ შალში გახვეულიყო და სუნთქვისას პირიდან ორთქლი ამოსდიოდა, თითქოს თამბაქოს ეწვეაო. ბიჭი საბოლოოდ გამოფხიზლდა. იწვა და ელოდა, როდის დაიწყებოდა ის არასასურველი, არასასიამოვნო, გაურკვეველი ნაწილი, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი სასჯელი. რა თქმა უნდა, არ სჯეროდა, ასე თუ დამთავრდებოდა ყველაფერი. მსგავსი რამ აღრე არასოდეს გამოეცადა.

ჰოდა, ყველაფერი იმ ღამეს დაიწყო კიდევ. დაიწყო და, მისი ღრმა რწმენით, მთელი სიცოცხლე ასევე გაგრძელდებოდა. როცა ჩვიდმეტი წლისა უკან იხედებოდა, მარცხით, ტანჯვა-წვალებით, დამუნჯებული ინსტინქტით გაჩენილ გრძელ, უსასრულო რიგს ხედავდა ყოველდღიური, უაზრო, ფუჭი, ამოთ გარჯისა და მცდელობისა; აგონდებოდა, რამდენჯერ მოუშხადებია ქალს ჩუმად, ქმრისგან მალულად მისთვის საყვარელი კერძები და მერე ძალად, ხვეწნა-მუდარით, იძულებულიც გაუხდია შეეჭამა, თუმცა თვითონ სულაც არ სდომებია და ისიც მშვენივრად სცოდნია, მაკიჰერნს ფეხებზე რომ ეკიდა მთელი ეს გასაიდუმლოებული ამბავი. ამღამინდელის მსგავსი სხვა მრავალი შემთხვევაც ახსოვდა, როცა ქალი ყოველნაირად ცდილობდა წინ აღდგმოდა სასჯელს, სულერთია, დამსახურებულსა თუ დაუმსახურებელს, სამართლიანსა თუ უსამართლოს, ოღონდ მუდამ მიუკერძოებელს, მუდამ პირუთვნელს, ორივესათვის, კაცისთვისაც და ბიჭისთვისაც ბუნებრივსა და გარდაუვალს, რასაც მხოლოდ მისი, ქალის უაზრო გამოსარჩლება აკნინებდა და სულ სხვა სურნელსა და გემოს აძლევდა.

ხანდახან ისიც უფიქრია, ერთხელაც იქნება დავიმართოხლებ და ყველაფერს ვეტყვი, ყველაფერს გავუმხელო — თავისი უსუსურობის გამო ქალი ხომ ვერც გადაასხვაფერებდა და ვერც უგულუბელყოფდა ნათქვამს, თანაც საიდუმლოს შეიტყობდა თუ არა, მაშინვე იძულებულიც გახდებოდა, ყველა ღონესაც იხმარდა, ქმარს არ გაეგო არაფერი, ქმრის ყურამდეც არ მიეღწია რამეს, არ გაეგო იმას, ვისი დაუყოვნებელი და ყველასათვის წინასწარ ცნობილი რეაქციაც ამ ახალი ამბის გამჟღავნებისთანავე იმდენად დაჩრდილავდა და

გააუფასურებდა თავად ამბავს, აღარასოდეს რომ აღარ ამოტივტივებულყო
 ბელახლა. ფიქრობდა, ძალად თავსმოხვეული, უჩუმრად მომზადებული კერ-
 ძების საფასურად ერთხელაც საიდუმლოდ ეთქვა, საიდუმლოდ გაენდო, ეხა-
 რებინა — „შენი ქმარი ამბობს, უღმერთო და უმადური უკეთესად. ახლა
 ყური დამიგდევ და სიმართლე მოახსენე შენს ქმარს. უმსბოროტესად კერ-
 ქვეშ. საკუთარ სუფრასთან. საკუთარი პურით ზანგი გაგვიზრდია-თქო“.

იმიტომ, რომ სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა ქალისაგან. ეს უხეში,
 სამართლიანი, სასტიკი კაცი, საბოლოო ჯამში, მაინც სხვაზე იყო დამოკიდე-
 ბული — როგორც თვითონ მოიქცეოდა. კაცისგანაც ისეთ სასჯელსა და სა-
 ზღაურს შიიღებდა, თანაც იმაშიც დარწმუნებული იყო, მის საქციელსაც და
 უსაქციელობასაც მუდამ სწორედ რომ აღიქვამდა მამობილი. ქალი აფუჭებდა
 საქმეს. იმისი ქალური ინსტინქტი, ქალური მიდრეკილება ყველაფრის გასაი-
 დუმლოებისავე, იმისი უნარი ნებისმიერი, სრულიად ჩვეულებრივი და უმ-
 ტკივნეულო საქციელიც ბოროტების უფერული ლაქით დაესვარა. სხვენში,
 ბიჭის ოთახში, ბოლოამძვრალი ფიცრის უკან ქალს თუნუქის ყუთით ცოტაო-
 დენი ფული პქონდა დამალული. თანხა სახსენებლადაც არ ღირდა და არც
 სამალავის არსებობა წარმოადგენდა საიდუმლოს არავისათვის გარდა მაკი-
 ჰერნისა, არადა, ბიჭს ეჭვიც არ ეპარებოდა, იმისთვისაც ნამდვილად სულ-
 ერთი იქნებოდა ყველაფერი. აი თვითონ, ბიჭმა კი, სამალავის ამბავი თავიდან-
 ვე იცოდა. ჯერ სულ პატარა იყო, როცა ქალი თან გაიყოლებდა ხოლმე, თა-
 მაშში მთელი არსებით ჩაფლული ბავშვის დაძაბული, გასაიდუმლოებული სი-
 ფრთხილით შეაპარებდა ოთახში და დასერიოზულებული, თვალებდამრგვა-
 ლებული ბიჭის დასახანად, ფულის ყადრისა ჯერ რომ არაფერი გაეგე-
 ბოდა, ყუთში თითო-ოროლა, საცოდავ ხუთ და ათცენტიანებს ჩააგდებდა (იმ
 პატარა-პატარა ეშმაკობებისა და ტყუილების ნაყოფს, დედამიწის ზურგზე
 კაცისშვილს რომ ვერ აგნებდა და ვერც აზარალებდა). ქალი დაყინებით,
 ძალად უცხადებდა ნდობას, სწორედ ისევე, როგორც საიდუმლოდ მომზადე-
 ბული კერძების შეჭმას აიძულებდა: შეთქმულივით, ყველასაგან მალულად;
 სწორედ იმ ურთიერთობას ასაიდუმლოებდა, რაც, ნდობის ამგვარი გამოც-
 ხადების შემდეგ, წესით სააშკარაოზე უნდა გამოეტანა, საქვეყნოდ უნდა ნა-
 თელეყო.

ბიჭს არც მძიმე, საძულველი შრომა ურევდა თავგზას, არც სასჯელი და
 არც უსამართლობა. ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მანამდე შესჩვეოდა,
 ვიდრე საკუთარ თავზე იწვნევდა. ცხოვრებისაგან სხვას არც არაფერს ელო-
 და იმიტომაც აღარც მოტყუებულად გრძნობდა თავს და გაოცებითაც არა-
 ფერი აოცებდა. ოღონდ ქალისა კი ვერ გაეგო: იმ ნაზი სიკეთისა, რის
 მსხვერპლიადაც, მისი ღრმა რწმენით, სამარადისოდაც გაეწირა ბედისწერას
 და რაც კაცების დაუნდობელსა და მკაცრ სამართალზე ბევრად უფრო მეტად
 სძულდა. „ჩემს ატირებას ცდილობსო“, — ფიქრობდა ბიჭი, როცა გათოშილი,
 გახვეებული იწვა საწოლში — თავქვეშ ხელებამოწყობილი, მთვარის შუქში
 გახვეული — და კაცის ჩიუტი დუდუნი ესმოდა, კიბით ამომავალი, ზეცად
 მიმართული, გზად მის ოთახში შეყოვნებული. „უნდოდა ავტირებულიყავი,
 მერე რომ ეთქვა, ესაა, გამოვიჭირეთო“.

ვერ მოახერხა. იმდენი ქნეს. მაინც დაავიანეს, ისიც კი არ დააცადეს, საათი დაექოქა და გაეგო, აგვიანდებოდა თუ არა. ჩაბნელებული ბილიკის ბოლოს, ახლა უკვე გაუჩინარებულ სახლში, ქალი თავის ოთახში იწვა და ეძინა. მშვიდად ეძინა, რადგან რაც შეეძლო კველაფერი იღონა და დასაგვიანებლად და დასაგვიანებლად. ჯომაც იქით გაიხედა, ბილიკის ბოლოსაკენ წაიხედა და ფიქრში გართულმა ნაბიჯიც შეანელა, გახევედა; თითქოს მისი გონებაცა და სხეულიც ერთსა და იმავე დროს გამორთესო, თითქოს ბილიკზე, ჩრდილებს შორის, რაღაც მოძრაობაც დალანდა და, ალბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა, ალბათ ჩემივე ფიქრის ანარეკლი თუ დავინახე, როგორც კედელზე ასვეტილი ჩრდილიო. „ანდა იქნებ მართლა ისაა“, მაინც გაუელვა თავში ეჭვმა. „ნეტავი ის იყო. ნეტავი უკან გამოძევეს და ნახოს, როგორ ჩავჯდები მანქანაში. ნეტავი სცადოს და აგვედევნოს. ნეტავი გაჩერება დამიპიროს“. მაგრამ ბილიკზე არაფერი ჩანდა. ერთიანად ცარიელი იყო, მხოლოდ ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ მუხანათი ჩრდილებით დასერილი. მერე შორიდან, ქალაქის მხრიდან, მანქანის ხმაც მოესმა და იმ ხმისკენ გაიხედა. მალე კაშკაშა სინათლეებიც დაინახა.

ქალი ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, პატარა, უუმურ რესტორანში მუშაობდა ოფიციალურად. გამოცდილ კაცს მაშინვე თვალში ეცემოდა, ოცდაათს კარგა ხნის წინ რომ გადასცილებოდა, მაგრამ ჯოს ისიც ალბათ ჩვიდმეტი წლისა ეგონა — ტანმორჩილი იყო და იმიტომ. მალალი არამცთუ არ ეთქმოდა, რალაცნაირად ჩია, ბავშვური ტანი ჰქონდა. თუმცა გამოცდილი კაცის თვალი იმასაც კარგად შეამჩნევდა, ეს ტანმორჩილობა ბუნებრივ სიკოხტავეზე მეტად შინაგან, უთუოდ სულისმიერ სიმახინჯეზე რომ მეტყველებდა: თითქოს ახალგაზრდა არასოდეს ყოფილიყო. მის არც ერთ ნაკვთს არ ეტყობოდა წარსული სიყმაწვილის, გარდასული ახალგაზრდობის კვალი. მუქი თმა ჰქონდა და ხმელი, ყვრიმალეებიანი სახე, მუდამ თავჩალუნული დადიოდა, თითქოს დაბადებიდანვე ასე, ოდნავ მრუდედ აჭდა თავი კისერზე, თვალები სათამაშო ცხოველის თვალებს მიუგავდა: მკაცრად კი გიმზერდნენ, მაგრამ მკაცრი მაინც არ ეთქმოდათ.

ჯოც სწორედ ქალის გარეგნობამ შეაცდინა, თითქოს რაკი ასეთი ჩია და ტანმორჩილი იყო, მამაკაცების ავზორც, მტაცებლურ თვალებსაც უკეთ დაემალეებოდა, იმათ მზერას გაერიდებოდა. უფრო ტანად ქალს მართლა ვერაფერს გაუბედავდა. იფიქრებდა — აზრი არა აქვს, ამას თავისი ბიჭი, თავისი სწორი უკვე ნაპოვნი ეყოლებო.

ეს ამბავი შემოდგომაზე დაიწყო, ჯო მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო, შუა კვირა იდგა. ქალაქში, ჩვეულებრივ, მხოლოდ შაბათობით ჩამოდიოდნენ და საგზალიც თან ჩამოჰქონდათ — საგანგებოდ ამ მიზნისთვის ნაყიდ ცივ სადილს კალათით წამოიღებდნენ ხოლმე და ქალაქშიც. როგორც წესი, მთელ დღეს რჩებოდნენ. ამჯერად კი მაკიპერს მოულოდნელად გამოჩენოდა რალაც საქმე ვეჭილთან და საქმის მომთავრებასაც სადილობამდე ვარაუდობდა, სადილად შინ აპირებდა დაბრუნებას. მაგრამ, როცა ვეჭილისგან ისევ იქ მობრუნდა, სადაც ჯო იდგა და ელოდებოდა, თორმეტს აღარაფერი უკლდა. ჯომ რომ თვალი მოჰკრა, მაკიპერნი საათზე იყურებოდა. მერე სასამართლოს კოშკზე ქალაქის საათსაც შეავლო თვალი და ბოლოს გაღიზიანებული, აღშფოთებული კაცის სახით მზესაც ახედა. სახე არც ჯოს დანახვაზე შესცვლია, ხუფ-

ახდილი საათი ისევ ხელში ეჭირა, თვლებში სიცივე და ბრაზი ჩასდგომოდა. თითქოს პირველად ხედავდა, პირველად ზომავედა თვალთ თავის დილ ბიჭს. მერე ზურგი შეაქცია და — „წამომყევით“, — უთხრა ჯოს. „ამ ამბავს ახლა აღარაფერი ეშველება“.



ის ქალაქი სარკინიგზო კვანძი იყო. შუა კვირაშიც უამრავი მგზავნი ირეოდა ქუჩებში. ის კი არა, თითქოს მთელ ქალაქში პაერიც კი შვენიერად სქესისა ტრიალებდა, სატრანზიტო: აქაური კაცები, ცოლ-შვილიანი, ოჯახის პატრონი ხალხი, შინ მხოლოდ დროგამოშვებით, „არდადეგებზე“ თუ გამოჩნდებოდნენ, რადგანაც მთელი ეს მამაკაცური მოსახლეობა სადღაც სხვაგან, შორეულ ასპარეზზე სცდიდა ბედს, სხვა ასპარეზზე ცხოვრობდა იდუმალი ცხოვრებით და, საკუთარ ჭერქვეშ იშვიათად გამოჩენილებს, თავისიანებიც ისე ანებივრებდნენ, ისე ევლებოდნენ თავს, როგორც თეატრის დასი ეგებება ხოლმე საკუთარ მეცენატებს.

მაკიპერნმა ჯო მანამდე სრულიად უცნობ, უჩვეულო ადგილას მიიყვანა. თავიდან, როცა მიყრუებულ ქუჩაზე, ორ გაქვარტლულ ფანჯარას შორის გაჭრილ ვიწრო, ჭუჭყიან კარს მიადგნენ, ვერც მიხვდა, რესტორანში თუ მიდიოდნენ. ვერ მიხვდა, რადგან არც რამე აბრა შეუმჩნევია, არც საჭმლის სუნი სცემია და არც ჭურჭლის ხმაური გაუგონია. შესვლისთანავე მხოლოდ გრძელი ხის დახლი ეცა თვალში და ამ დახლის წინ ჩარიგებული უზურგო სკამები; მერე, კართან ახლოს, სიგარებით სავსე დიდ შუშის ყუთთან მჭდომი ზონზროხა, ქერა ქალიც შეამჩნია. დახლის შორეულ ბოლოში კაცები შეჯგუფულიყვნენ. ოღონდ ჭამით არაფერს ჭამდნენ, მაკიპერნისა და ჯოს შესვლისთანავე ყველამ, ერთი კაცივით, მათკენ მოაბრუნა თავი და სიგარეტის ბოლში ახლად შემოსულებს გამოხედა. კრინტი არავის დაუძრავს. მხოლოდ გამოხედეს და ლაპარაკთან ერთად თითქოს სუნთქვაც შეწყვიტეს, თითქოს წამით სიგარეტის ბოლიც გაჩერდა და ახლა მხოლოდ საკუთარი წონა ატორტმანებდა უმიზნოდ, ერთ ადგილას. ამ კაცებს კომბინეზონები არ ეცვათ, ყველას ქუდი ეხურა და ყველას ერთნაირი, ერთმანეთის მსგავსი სახე ჰქონდა: არც ახალგაზრდა, არც ბებერი; არც ფერმერები ეთქმოდათ, არც ქალაქელები. ეს-ესაა მატარებლიდან გადმოსულ ხალხსა ჰგავდნენ, ხვალ ისევ გზას რომ დაადგება და არავითარი მისამართი არ გააჩნია.

მაკიპერნი და ჯო დახლთან, უზურგო სკამებზე ისხდნენ და ჭამდნენ. ჯო ჩქარ-ჩქარა ილუქმებოდა, რადგან მაკიპერნიც სწრაფად ჭამდა. ჯო განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორი დაჭიმული, როგორი პირგამეხებული იჭდა მაკიპერნი ჭამის დროსაც კი. უბრალო სადილი შეუყვეთა: იოლად მოსამზადებელი და უცებ შესაჭმელი. თუმცა, ამგვარი არჩევანი ხელმომჭირნეობით არ აიხსნებოდა და ეს ჯომაც მშვენივრად იცოდა. შეიძლება ხელმომჭირნეობას მოეყვანა მაინცდამაინც აქ და არა სადმე სხვაგან, ოღონდ საჭმლის არჩევა კი მხოლოდ და მხოლოდ აქედან სწრაფად წასვლის სურვილით იყო ნაკარნახევი. მართლაც, ჯერ ლამის დანა-ჩანგალიც არ დაეწყო თეფშზე და — აბა, წავედითო — უთხრა ჯოს უკვე სკამიდან წამომდგარმა. ფული სიგარებიან ყუთთან მჭდომ თითბრისფერთმთან ქალს გადაუხადა. ამ ქალის მთელი გარეგნობა რაღაცნაირ, თითქოს დროყამისაგან გაუხუნარ, მძვინვარე და თვალისმომჭრელ სიდარბაისლეს ასხივებდა. მათთვის ზედაც არ შეუხედავს, არც რესტორანში შესვლისას და არც მერე, როცა უკვე ფულის გადასახდელად მიადგა მაკიპერნი. ფულიც სწრაფად, ზუსტად დაახურდავა და ლამის იქამდე

ჩამოასრიალა მუჭიდან ხურდა შუშის ზედაპირზე, ვიდრე მაკიპერნი ბანკოტს გაუწოდებდა. ვეება და თვალში საცემი, საგულდაგულოდ დაწყო ბილი თმისა და ყურადღებიანი სახის ყალბ ბრჭყვიალების მიღმა, ქვისგან გამოკვეთილ, კარიბჭის მოდარაჯე ძუ ლომსა ჰგავდა, საკუთარი სიღარბაისლე ფარად აეფარებინა და ამ ფარის იქით შეჯგუფული უსაქმური და უაქვეურობის ავანჩავანი სრულებით არ აღელვებდა — რაც უნდოდათ ეს უნდა უნდა ქუდები დაეკოსებინათ თავზე დარდიმანდულად და უნდა ტუჩის კუთხეში დაუდევრად გაჩრილი სიგარეტები ებოლებინათ მერე მაკიპერნმა ხურდა გადათვალა და ისევ გარეთ, ქუჩაში გამოვიდნენ. ახლაც ჯოს შესცქეროდა. მერე უთხრა: „მინდა აქაურობა კარგად დაიხსომო. ამქვეყნად ბევრი ისეთი ადგილია, სადაც მხოლოდ მამაკაცები დაიარებიან, მაგრამ შენი ხნის ბიჭებს არამც და არამც არ უნდა შეუცდეთ ფეხი. ეგ რესტორანიც ეგრეა. იქნებ, საერთოდ არც უნდა მომეყვანე. თუმცა მაინც ჯობია იცოდე, რას ერიდო, რისგან გეჭიროს თავი შორს. თანაც ალბათ უკეთესია, პირველად ჩემთან ერთად რომ წახე, მაინც სხვაა, როცა უფროსი აგიხსნის და გაგაფრთხილებს. ისე, სადილი აქ უფრო იაფი ჯდება“.

„ცუდი რილათია?“ ჰკითხა ჯომ.

„ეგ ქალაქის საქმეა, შენ არ გეკითხება. შენ ჩემი ნათქვამი დაიხსომე; უჩემოდ აღარასოდეს შედგა იქ ფეხი. დღევანდელი ამბავი კი მეტი არ განმეორდება. დღეის ამას იქით, სულერთია, ადრე წავალთ შინ თუ შევგვიანდებით, სადილს მაინც მუდამ თან წამოვიღებთ ხოლმე“.

აი ეს იყო, რაც იმ დღეს ნახა, რაც შეამჩნია, რაც დაიმახსოვრა, ვიდრე უდრეკი, გამოუთქმელი რისხვით შეპყრობილი კაცის გვერდით ილუკმებოდა ჩქარ-ჩქარა; გრძელი დახლის შუაში ისხდნენ და სავსებით გამიჭვნოლდნენ გარშემო მყოფთ, დახლის ერთ ბოლოში დასკუპებულ თითბრისფერთმიან ქალსაც, მეორე ბოლოში შეჯგუფულ მამაკაცებსაც და, რა თქმა უნდა, მარად თავჩალუნულ, მორცხვსახიან ოფიციანტსაც, დიდი, მეტისმეტად დიდი ხელებით ლეფშებსა და ფინჯნებს რომ ალაგებდა დახლზე და, მაღალი ბავშვივით, მხოლოდ თავი მოუჩანდა დახლს იქიდან. მერე ქუჩაში გამოვიდნენ. აზრადაც არ მოსვლია, როდისმე ისევ თუ დაბრუნდებოდა იქ. იმიტომ კი არა, მაკიპერნმა რომ აუკრძალა. უბრალოდ, არ სჯეროდა ცხოვრება თუნდაც შემთხვევით. ხელახლა თუ მიიყვანდა იმ რესტორანში. თითქოს საკუთარ თავსაც ჩააგონა, „არა, ეს ჩემი ჭკუის ხალხი არ არისო. ვუყურებ და ვერ გამიგია, რა უნდათ, რას აკეთებენო. ხმა მესმის და არ მეყურება, რას ამბობენ, რატომ ამბობენ, ანდა, საერთოდ, ვის ელაპარაკებიანო. მხოლოდ საკმელად და სასმელად მოსულებსაც არა ჰგვანან, თუმცა სხვას რას უნდა მოჰყავდეს, ვერ მივმხვდარვარ და, ეტყობა, ვერც ვერასოდეს მივხვდებიო“.

ასე და ამგვარად, მთელი ეს ამბავი ფიქრის ზედაპირიდანაც გადაირეცხა. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ხანდახან ისევ უწევდათ ქალაქში ჩასვლა, ოღონდ რესტორანთან არამცთუ ახლოსაც აღარ გაუვლია, შორიდანაც არ მოუკრავს მისთვის თვალი. კი შეეძლო, ან რა დააბრკოლებდა. ოღონდ იქით გავლა აზრადაც აღარ მოსვლია თვითონ. ეტყობა, სურვილიც არ გასჩენია. თუმცა ხშირად, მისდა უნებურად, ჯერ ჩამოუყალიბებელი და აბნეული ფიქრი უეცრად მკაფიო, თვალნათელ სურათად გადიქცეოდა ხოლმე და მაშინ გრძელ. უემურ, რალაცნაირად ეჭვის აღმძვრელსა და ორაზროვან დახლსაც ხედავდა, დახლის ერთ ბოლოში უძრავად, დარაჯივით მჯდომ ცივსახიან,

თმააფოფრილ ქალსაც და მეორე ბოლოში თავშეყრილ, წინგადმოხრილ კაცებსაც, დინჯად რომ ეწევიან, დაუსრულებლად უკიდებენ და აქრობენ თავიანთ მარადიულ სიგარეტებს; იმათაც და ოფიციანტსაც — ბავშვისრდენა ქალი სამზარეულოსა და დარბაზს შორის მიდი-მოდის, ძლივს ერევა თეფშების გორას, ყოველი გავლა-გამოვლისას იძულებულია ლამის გაეხეხოს კაცებს და ისინიც, გვერდზე ქუდმოგდებულნი, სიგარეტის მიღწევისას ვეცხვებულნი, ელლაბუცებიან და რალაცას ჩასჩურჩულებენ ყურში, ვერ გაიგებ, გაზარებულნი თუ აღგზნებულნი, იმას კი ფიქრიანი, მორცხვი სახე დაუმალია, თითქოს არაფერი გაუგონია, თითქოს არაფერი ესმისო. „ისიც კი არ ვიცი, რას ეჩურჩულებიანო“, ფიქრობდა ხოლმე ჯო, ერთი ფიქრიც აწვალებდა არც ის ვიცი, იქნებ რასაც ჩახურჩულებენ, ბავშვს იმას არც ეტყვიან სჯე-როდა ჭერ ვერც კი ვხვდები, თვალს დავხუჭავ თუ არა, როგორც კი ჩამეძინება, ჩემი ქუთუთოებიც მაშინვე იმის მორცხვ, ფიქრიან სახეს რომ მოიმწყვდევენ ხოლმე თვალის ბადურაზე; ტრაგიკულ, სევდიან, ნორჩ სახეს; მომლოდინესა და ჭაბუკური სურვილების ბუნდოვანი, გაურკვეველი შუქით შეფერილს; ვერ ვხვდები, უკვე სიყვარულსაც თუ გასჩენია საზრდო: მძინარემ თუ უკვე ვიცი, რატომღაც არ გავეკარე, რატომღაც ვურტყი სამი წლის წინ იმ ზანგის გოგოს და იმანაც უნდა იცოდეს მიზეზი, იმანაც უნდა იამაყოს, მელოდოს და იამაყოს

მოკლედ, ქალის ხელახლა ნახვის იმედი აღარ ჰქონია, აღარ ჰქონია, რადგან ჭაბუკურ სიყვარულს საზრდოდ იმედიც ისევე მცირე ჰყოფნის, როგორც სურვილი. ადვილი შესაძლებელია, თვითონაც ისევე გააოგნა საკუთარმა საქციელმა, როგორც, ალბათ მაკიპერნი გაოგნდებოდა. ახლა უკვე შაბათი იყო, გაზაფხული იდგა. ჯოს თვრამეტი წელი შესრულებოდა. მაკიპერნს ისევ რალაცაში დასჭირდა ვეჭილი. თუმცა ამჯერად წინდაწინვე დაიჭირა თადარიგი. „ვეჭილთან ალბათ ერთ საათს დავრჩები“, უთხრა ჯოს. „შენ თუ გინდა გაისეირნე, ქალაქი დაათვალიერე“. ახლაც მკაცრად, გამომცდელად შეავლო თვალი, ისევ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა, სამართლიანობის მოყვარული კაცივით, იძულებული რომ გამხდარა სამართლიანობასა და გონიერებას შორის გააქეთოს არჩევანი. „აჰა“, თქვა ბოლოს. საფულე გახსნა და ხურდა ფული ამოიღო. ათცენტისანი. „მაშინვე ნუ მოისვრი, როგორც კი ამლებს დაინახავ ვინმეს. უცნაური ამბავია“, დაუმატა ფიცხად, თან ჯოს არ აშორებდა თვალს, „მაგრამ კაცი ფულის ყადრს, ეტყობა, იქამდე ვერ გაიგებს, ვიდრე ჭერ ფლანგვას არ ისწავლის. ერთ საათში აქ იყავი“.

ჯომ ფული გამოართვა და პირდაპირ რესტორნისკენ დააღერა თავი. ფული ჯიბეში არც ჩაუდია. არც რამე წინასწარ გეგმას მიჰყავდა იქით, არც რამე განზრახვას, არც სურვილს, უბრალოდ, თითქოს ფეხების კარნახს ემორჩილებოდა და არა გონებისას. გახურებული, ერთი ბეწო ათცენტისანი მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული. ბავშვურად, ფარდაჩამოფარებულ კარებში უშინოდ შეალაჯა, წაიბორძიკა კიდევ. სიგარებიან ყუთთან მჯდარი ქერა ქალი (ამ ექვს თვეში თითქოს არ განძრეულიყო, თითქოს უხეში, კაშკაშა, თითბრისფერი თმის ერთი კულულიც არ შერხეოდა, თითქოს ტანსაცმელი არ გამოეცვალა) თვალს არ აშორებდა. დახლის შორეულ კუთხეშიც ისევ კაცები ისხდნენ, გვერდზე ქუდმოგდებულნი სიგარეტს აბოლებდნენ, სადალაქოს სურნელებას აფრქვევდნენ და შემოსულს უყურებდნენ. რესტორნის პატრონიც იმათში ერია. ეს კაცი ახლა პირველად შეამჩნია, პირველად დაინახა.

იმასაც დანარჩენებით ქუდი ეხურა და სიგარეტს ეწეოდა. "მოსული კაცი არ ეთქმოდა, ჯოზე ბევრად მაღალი არ იქნებოდა. ანთებული სიგარეტი ტუჩის კუთხეში გაერქო — ალბათ ლაპარაკში ხელი არ შემიშალისო. იდგა, დაკლავნილ ბოლს გაქვავებულ სახეს არიდებდა. სიგარეტს ისე ჩაიყვანდა ხოლმე ბოლომდე, ერთხელ არ ახლებდა ხელს, მერე ეფრთხილებდა და ქუსლით დაასრესდა იატაკს. აი, სწორედ ამ კაცისგან შეიქმნა მდგომში ერთ-ერთი უსაყვარლესი ჩვევა, უფრო მოგვიანებით, როცა ცხოვრებამ სრბოლა ააჩქარა და ბრმა მიბაძვამაც შეცნობისა და შეგნებულის რწმენის ადგილი დაიკავა. ახლა უხმოდ, უსიტყვოდ მიშტერებოდა დახლს იქიდან წინგადმობრჩილ, ქუჩყიან წინსაფრიან კაცს, რომელსაც სწორედ ისე აეფარებინა ეს წინსაფარი, როგორც შარავზის ყაჩაღი მიიწებებს ხოლმე ხელოვნურ წვერს ცოტა ხნით, საქმისათვის, ბრმა მიბაძვა მერე მოვიდოდა, გულუბრყვილობის საზღაურად თავსდატეხილი უამრავი შეურაცხყოფის დარად: როცა ამ ორი ადამიანის, თითბრისფერთმიანი ქალისა და ქუჩყიანწინსაფრიანი კაცის ცოლქმრობის ამბავს გაიგებდა, როცა სმა-ქამის ბიზნესს ამოფარებული მათი ჭეშმარიტი საქმიანობის საიდუმლოს ამოხსნიდა, როცა თვალს შეაჩვევდა, ვინ იცის, საიდან ჩამოყვანილ ახალ-ახალ ოფიციანტთა უსასრულო რიგს, გაჭირვებით, ძლივძლივობით რომ დაატარებდნენ აქეთ-იქით იაფფასიან, უბრალო, თითქოს მხოლოდ რესტორნის სახელის გასამართლებლად მომზადებულ კერძებს; როცა თვითონაც, გაოგნებული, აღტაცებული და მოხიბლული, დაღლილი და გამობრძმედილი ფაშატების უცხო თვალს მოფარებულ საძოვარზე გაშვებული დაუკოდავი ულავივით ხარბად შეიწოვდა, ხარბად შეითვისებდა ყველაფერს ხანმოკლე და თავაწყვეტილი თავისუფლების ჟამს, უსახელო და უთვალავი კაცის მიერ უამრავჯერ მოტყუებული და გაბრყვებული.

თუმცა ჯერ ამეების დრო არ დამდგარიყო, ჯო დახლს მიუახლოვდა. ათცენტნიანი ისევ მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული. ექვიც არ ეპარებოდა, კაცებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და ყველანი მომჩერებინაო, რადგან სამზარეულოდან მომავალი საზიზღარი შიშინის მეტი აღარაფერი ესმოდა, ფიქრობდა ისიც იქ არის და ამიტომ ვერ ვხედავ მერე მაღალ, უზურგო სკამზე აფოფხდა, დარწმუნებული იყო, ყველანი მე მიცქერნო, სიგარებიან ყუთთან მჯდომი ქერა ქალიცა და რესტორნის პატრონიც, რომლის ირგვლივ ხანტად მოტორტმანე სიგარეტის ბოლიც ახლა ალბათ უძრავად გაქვავებულაო. მერე რესტორნის პატრონმა ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა, არც განძრეულა და არც სიგარეტისთვის უჩლია ხელი. „ბობიო“. — გასძახა ვილაცას.

კაცს დაუძახა, ამ აზრმა ფიქრზე უსწრაფესად გაუელვა ჯოს თავში, ერთბაშად, ფიქრიც არ ეთქმოდა: წავიდა. იმის მაგივრად კაცი აიყვანეს. ათცენტნიანც გავფლანგე, როგორც იმან მიწინასწარმეტყველა დარწმუნებული იყო, ახლა ფეხსაც ვერ გაადგამდა რესტორნიდან; გარეთ გამოსვლას თუ ეცდებოდა, ეგონა, ქერა ქალი გააჩერებდა, არ გაუშვებდა. სჯეროდა, იქ, დახლის კუთხეში მიმსხდარმა კაცებმა იციან ჩემი გასაჭირი და დამცინიანო, ამიტომაც იქდა სკამზე გახევებული, იატაკს ჩასცქეროდა და ათცენტნიანს მაგრად უჭერდა ხელს. ოფიციანტი მაშინლა დაინახა, როცა დახლზე ორი დიდი, დიდზე დიდი ხელი გამოჩნდა. უფრო სწორად, ოფიციანტი კი არა, იმისი მოჩითული ნაჭრის კაბა, წინსაფრის სამკერდული და სახსრებდაბერილი ხელის მტევნები მოხვდა თვალში, დახლის კიდებზე ისე უმოძრაოდ ჩამოწყობილი,

თითქოს ხელებიც, ჭურჭელივით, სამზარეულოდან მოეტანა და დახლზე გამოეფინა. „ყავა და ნამცხვარი“, თქვა ჯომ.

ქალს მწუხარე, არაფრისმთქმელი ხმა ჰქონდა. „ლიმნისა გვაქვს, კაკაოიანი და შოკოლადიანი“;

ხმა იმ სიმალლიდან ისმოდა, ეს ხელები კაცს შეიძლებოდა დაეჭვებინებოდა. „დიახ“, თქვა ჯომ.

ხელები არ შერბეულან. არც ხმა შესცვლია ქალს, „რომელი, ლიმნისა, კაკაოსი თუ შოკოლადიანი?“ უცხო თვალის დასანახად ალბათ საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდნენ. ერთმანეთს მისჩერებოდნენ, ერთმანეთისგან მართო მუქი, დალაქული, გაზინზლული, ხახუნისგან გადასლიბინებული დახლი ჰყოფდათ და რაღაცით, ცოტა არ იყოს, მლოცველებს წააგავდნენ: სოფლურსახიანი, სუფთა, სპარტანულად გამოწყობილი ტაბუკი, ვისთვისაც საკუთარ სიტლანქესა და მოუქნელობას არაამქვეყნიური, უმანკო იერი მიენიჭებინა, და მის პირდაპირ გახევებული, მობუზული, უძრავი, მომლოდინე ქალი, ტანმორჩილობის გამო ისიც თითქოს არამიწიერი, არახორციელი. ქალს გამხდარი ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა. ყვრიმალეებზე კანი გადასჭიმვოდა და თვალების ირგვლივ ჩამუქებოდა; ქუთუთოებს ქვეშ ლამის სანახევროდ დამალულ თვალებს სიღრმე დაჰკარგვოდათ, თითქოს სინათლის არეკვლაც არ შეეძლოთ. იმისი ვიწრო ქვედა ყბის შემხედვარე კაცს გაუკვირდებოდა, ნეტავ პირში კბილები როგორ ეტევაო.

„კაკაოსი“, თქვა ჯომ. თქვა კი არა, იმის ტუჩებს დასცდათ უნებლიეთ, რადგან დაუყოვნებლივ მოუნდა უკანვე წაეღო სიტყვა. მხოლოდ ათცენტიანი ჰქონდა. ფული ისე მაგრად ჩაებლუჯა, იმის ფასიც დავიწყებოდა. ათცენტიანი კი ხელში ეცვარებოდა, ხელისგულს უოფლიანებდა. ექვი არ ეპარებოდა, კაცები კვლავ არ ამორებდნენ თვალსა და ისევ იცინოდნენ. იმათი ხმა არ ესმოდა და თვითონაც არ იხედებოდა იქით. თუმცა სჯეროდა, სწორედ ასეაო. მერე ხელები დახლიდან გაქრნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ და ფინჯანი და თუფში დაუდგეს წინ. ახლა პირველად გაუსწორა ქალს თვალი, პირველად შეხედა სახეში. „ნამცხვარი რა ღირს?“

„ათი ცენტი“. ქალი უძრავად იდგა, დახლის ჩამუქებულ ფიცარზე ისევ უღონოდ და მომლოდინედ ესვენა მისი დიდი ხელები. ქალს მისთვის ერთხელაც არ შეუხედავს. ჯომ გაპარული, სასოწარკვეთილი ხმით ამოილულულა: „იციოთ, ყავას არ დავლევ“.

ცოტა ხანს ქალი არ განძრეულა. მერე მისი დიდი ხელი შეირბა, ფინჯანს დასწვდა; ხელიც და ფინჯანიც გაქრნენ. ჯომ გაუნძრევლად იჯდა, თავჩალუნული, მოლოდინად ქცეული. ელოდა და გაიგონა კიდევ ხმა. ოღონდ რესტორნის პატრონისა არა, სიგარებიან ყუთთან მჯდომმა ქალმა დაილაპარაკა, იმან იკითხა — რა მოზდაო?

„ყავა არ უნდა“, უპასუხა ოფიციანტმა. სიარულშივე გამოსძახა, ნაბიჯი არც შეუნელებია. უსიციოცხლო ხმა ჰქონდა, მშვიდი. მეორე ქალიც მშვიდად დაილაპარაკობდა.

„განა ყავაც არ შეგიკვება?“

„არა“, ისევ სიარულშივე, უკვე შორიდან შეეხმინა ოფიციანტი. „მე შემეშალა“.

როცა სირცხვილისგან, დარდისგან, დამცირებისგან სულშეკუმშული, ერთადერთი სურვილითა შეპყრობილი — რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება

სწრაფად უსუსლოდა, გაბრუნდა, ხაზშია დასრულებული. სწრაფად
 მკლამის ქალის ცხელ ხაზზე — ტუტეკონსტანსი უსუსლოდა, რომელიც
 ხებრულს, ახარსსივდებს დამბრუნებულთა ხაზს. ვეღარ
 აფიქრანტს, იმ ქველს ვერაფერს, რომელიც უსუსლოდა
 ქალისთვის აუბლად გათქმობდნენ, ამ ქველს, რომელიც
 ქვეტვიანი კარისთვის შეუხებდა, თუნიდა, შარსიანი
 ჯერ შარსს ამ ფიქრობდა საშინელებად, საშინელებად
 დადგებოდა, თუ არა, იმის მიხედვით იტანებდა, რომელიც
 და მავიჭრებს, მავიჭრებს ეს ამბავი უნდა ამ ხელს
 ჯერჯერობით ვეჭვი შარსს ამ ხაზითა, თუნიდა, შარსიანი
 შრობაშია გადითოდა, მავიჭრის შარსი ანუ, აფიქრანტს
 აფიქრანტებდა, მავიჭრის მიხედვით ეს ვერაფერს
 ფხსნა, ქონისთვის იმ შრომის მიხედვით, რომელიც
 ვეღარ დამბრუნებდა, დადგა საშინელად, რადგან
 ვეღარ ახერხებდა, დადგა საშინელად, რადგან
 იმ განმეაღობაში, რომელიც სასიყვარულოდ
 ღია, დამბრუნებდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც
 ქალის განიცდობდა, რომელიც უსუსლოდა, რომელიც
 სხვა განმეაღობაშია ვეღარ, რომელიც
 მხოლოდ სხვის განმეაღობაშია, რომელიც
 გან, მხოლოდ, თუნიდა, შარსიანი, მავიჭრის
 დადგა, რომელიც უსუსლოდა, რომელიც



„ამ მთელი შრომის უსუსლოდობა, ვეღარ იტანებდა, შარსიანი
 ღებში ამ უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც
 შენც შეუხებდა, რადგან რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 ბრუნს რე დაგახეყებს, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 (და, რა თქმა უნდა, სურვილიც ეს სიტყვებია სასიყვარულოდ, რომელიც
 უსუსლოდობაშია, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც
 და ქალისთვის რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც
 რადგან უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი“

ქალს მადლობა გადაუხადებდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 ანუ, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 არის, არც დამბრუნებდა, მავიჭრის უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 მხოლოდობა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 მავიჭრის უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი

„თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი“

„ამ უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი“
 თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 მხოლოდობა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 დადგა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი

„მავიჭრის უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი“
 მხოლოდობა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი
 ვეღარ, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი, რომელიც უსუსლოდა, თუნიდა, შარსიანი

მოკლედ, გაპარვა აღარ დასჭირვებია. თუმცა, რომც დასჭირვებოდა, უყოყმანოდ გაიპარებოდა, იქნებ ძალაც ეხმარა, რესტორნისკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. ახლა უფრო თამამადაც შეაბიჯა. ფეხი აღარაფერისთვის წამოუჭრავს. ოფიციალტი დარბაზში არა ჩანდა. იქნებ დაინახა, იქნებ შეაძინა კიდევ მისი არყოფნა. სიგარებიან ყუთთან შეჩერდა, სადაც ისევ თვალუბრად იჯდა ქერა ქალი, და ყუთის შუშის თავსახურზე ნახევრადმხუჭილი დადო. „ხუთი ცენტი მმართველს თქვენი, ფინჯანი ყავისა, ნახევარი ჯიჯიკა შევუკვეთე. აღარ მახსოვდა, ჯიბეში ათი ცენტის მეტი თუ არა მქონდა. ხუთი ცენტი მმართველს“. დარბაზის შორეული კუთხისკენ არ იყურებოდა. იქ კაცები ისხდნენ, ქულები გვერდზე მოეგდრთ და სიგარეტს ეწეოდნენ. პატრონიც იქ იყო; სულ ელოდებოდა და, როგორც იქნა, გაიგონა კიდევ კუჭყიან-წინსაფრიალი კაცის ხმა, ჰირში სიგარეტგაჩრილი ლაპარაკობდა:

„რა ამბავია? რა უნდა?“

„ამბობს, ბობის ხუთი ცენტი მმართველსო“, გასძახა ქალმა. „უნდა დაუბრუნოს“. ქალს მშვიდი ხმა ჰქონდა. რესტორნის პატრონსაც.

„აი, ეს მესმის“, თქვა მან. ჯოს ეჩვენებოდა, რომ მთელი დარბაზი თვალბად ქცეულიყო. თვითონ არაფერს უსმენდა და ყველაფერი ესმოდა; არაფერს უცქერდა და ყველაფერს ხედავდა. უკვე კარებისკენ შიაბიჯებდა. ნახევარდოლარიალი შუშის თავსახურზე იდო. ეტყობა, ოთახის შორეული კუთხიდან კაცმაც მოჰკრა თვალი. რადგან იკითხა, ეგ რაღა ფულიაო?

„ფინჯანი ყავისა მმართველსო“, მიუგო ქალმა.

ჯო უკვე თითქმის კარებთან იყო მისული. „ეი, ვაჟკაც“, დაუძახა რესტორნის პატრონმა. ჯო არ შეჩერებულა. „დაუბრუნე თავისი ფული“. კაცს მშვიდი ხმა ჰქონდა, ჯერ ადგილიდანაც არ იძვროდა. იმისი სიგარეტის ბოლი ახლა ალბათ ნება-ნება მიიწევდა კერისკენ, არავითარი მოძრაობა არ არხევდა. „დაუბრუნე-მეთქი“. გაიმეორა ისევ. „არ ვიცი, რას მამაძაღლობს, ოღონდ ჩვენთან ეგეთები არ ვაუვა. დაუბრუნე. შენ კი გირჩევნია შენს ფერმაში დაბრუნდე ჰაირამ. იქნება იქ იშოვო ხუთ ცენტად გოგო“.

უკვე ქუჩაში იყო. ნახევარდოლარიალი ხელში ოფლით ეცვარებოდა, ხელისგულს უოფლიანებდა — ურმის ბორბლისოდენა, შემაწებელი. უკვე გამოერღვია სიცილის კედელი, კარებში რომ გამოდიოდა, მაშინაც სიცილი, კაცების ხმამაღალი ხარხარი მოაცილებდა. ამ სიცილ-ხარხარმა აიტაცა და ქუჩაში გამოაგდო; მერე გადაიქროლა, სადღაც შორს ჩაკვდა, ის კი მიწაზე, ტროტუარზე დატოვა. ახლა ისა და ოფიციალტი პირისპირ იდგნენ. ქალმა თავიდან ვერ შეამჩნია, სწრაფად მოდიოდა, თავჩაქინდრული, მუქი ფერის კაბა ეცვა და ქუდი ეხურა. მერე გაჩერდა, ოღონდ არც მაშინ უყურებდა ჯოს, რადგან დასანახი უკვე დაენახა. თვალის ერთი შევლებით მიმხვდარიყო ყველაფერს, როგორც მაშინ, როცა ყავა და ნამცხვარი დაუწყო დაბლზე „მაშ, ჩემთვის ფულის დასაბრუნებლად მოხვედით“. თქვა ქალმა. „ყველას თანდასწრებით, იმათ კი დაგვცინეს. კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა“.

„მეგონა, თქვენი ჯიბიდან მოგიწევდათ გადახდა, მეგონა...“

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. თუმცა ერთმანეთს არ უცქერდნენ. უცხო თვალისთვის ალბათ ორ, ფიქრში წასულ ბერსა ჰგავდნენ. ბაღში, ბილიკზე სეირნობისას შეხვედრილებს. „მე ვიფიქრე...“

„სადა ცხოვრობთ?“ ჰკითხა ქალმა. „სოფელში? კარგი ამბავია, რა გქვიათ?“

„ჩემი გვარი მაკიპერნი არ არის“, თქვა ჯომ. „მე ქრისტმასი ვარ“.

„ქრისტმასი? ეგ არის თქვენი გვარი? ქრისტმასი, კარგი ამბავია“.



გერმანიიდან თარგმნა

ნოდარ შამანიაძე

პარძია

რომ დახედროდა მტარვალს თამამად.
მტრისგან დაეცვა ხალხი და წიგნი, —
გაათხრევინა მხედრებს თამარმა
სამასი მღვიმე ამ მთათა შიგნით.
ქვაში გამოქრილ ფართე მღვიმეში
პქონდა მრავალჯერ შეკრება სპათა,
აქ ამზადებდნენ მტერზე იერიშს,
აქედან სპობდნენ სამშობლოს ზამთარს.
დიდებითმოსილ დროშას ჩალისფერს
აქ ხშირად შლიდნენ, აქ მტკიცედ

იდგნენ,
მოსისხლის ზღუდე ბევრჯერ აიღეს,
ბევრჯერ გაფანტეს ღრუბლების რიდე.
...ახლა მღვიმენი სდუმან და სდუმან,
მონატრებულნი კაცთა ფეხის ხმას,
გულით გვახარებს, გვახარებს
სტუმრებს.

ამ საოცრების ნახვა გველირსა.
აქ ჭრაქი ენთოთ უხსოვარ დროში,
შებოლილია ლოდი მრავალი,
ღვინის ნარჩენი ლურჯად ჩანს დოქში,
ვით წინაპართა შორი სალამი.
აღვიძებს მალლა შუქი ნათურის
მთელემარე ფრესკებს ადამის

ხნისას,
გარეთ კი ჰყვავის ვაზი ქართული
და ჭიქანივით მსხვილ მტევნებს ისხამს.
ვარძია იყო ქალაქი ვარდის,
დღეს კი უქრობი სინათლე მოსავს,
ფრინველთა გუნდი სიმღერებს აღვრის
და ლექსის ფრთებით მიჰყვება
დროყამს.

ნარიყალა

სერგო კლდიაშვილს

ზეცის ზენიტზე მზე იწვის გზნებით,
თბილისი სხივთა თბილ ქსოვილს
იხვევს,
და ნარიყალას გაშლია მხრები, —
მძლე აკროპოლისს, ძველისძველ ციხეს.
პაპანაქება სიცხეა მართლა,
მნათობი თითქოს ბურთია ცეცხლის,
ციხე-სიმაგრე ჩვენს წინ ჩანს ნათლად,
როგორც მოხუცი ქაღარის ვერცხლით.
გული სიამით გვიღელავს ყველას,
ვართ ტურისტები შორეულ მხრიდან,

ციცაბო ნაპირს მივყვებით ნელა
და აღმაფრენით ვიმღეროთ გვინდა.
დარღვეულ ციხის კედლების შიგნით
თითქოსდა ეხლაც მტვერია სისხლის,
მგონია, მომხდურთ ჭარების რიგი
მოდის და მისი ფეხის ხმა ისმის.
წინ მიგვიძღვები საუბრით ნელით,
შენ ხარ მეგზურიც, მთხრობელიც შენ
ხარ,
თბილის-ქალაქის ცხოვრება მთელი
ყოფილა ბრძოლა, აედართან შეხლა.

მძლე მუხასავით ქართველნი მხნედა
 იდგნენ და მამულს იცავდნენ მკერდით.
 მე შენს ცეცხლოვან თვალებში ვხედავ,
 ფესვებძლიერ ხის ტოტი ხარ ერთი.
 განაგრძე თხოობა. ასე გვსურს
 სტუმრებს,
 გერ შინ რა გვინდა, არ არის გვიან,
 საქართველოში ძველთაგან თურმე
 მეომრებსა და პოეტებს ზრდიან.
 ზღვა სიხარულით ზეცამდე ვწვდებით,
 ფოთლებშიაილა ხის ჩრდილი
 გვატკობს.

შემოზღუდული ლამაზი მთებით
 ქვემოთ ქალიქი გაშლილა ფართოდ.
 თვალებს იტაცებს ნაშენი ახლად
 თბილისი მაღალ სახლების რიგით,
 აქ მტკაველ მიწას ევრაეინ ხახავს,
 რომ არ ეწეროს გმირობის წიგნი
 აქ გმირი ხალხი იბრძობს — მტკაველთა
 მკერდით ხვდებოდა მეხსა და ელვას:
 ცოცხლებს სალამი, დაღუპულთ ფიცა:
 რომ მშვიდობისთვის ვიბრძოლებთ
 ყველა.

მოგზაურის კვერთხი

მგზავრმა დაასო კვერთხი მიწაზე,
 სული მოითქვა. შეჩერდა წუთით.
 და რა, იხილა: ჭოხმა იმ წამსვე
 გაშალა კვირტი — სიცოცხლის კუნთი.
 კვერობს ატარებდა დიდი ხანია,
 მაგრამ დატოვა, წავიდა ლხენით, —
 ქართველში ხმელ ჭოხსაც გაუბარნია,
 მიწას მოხვია ფესვების ზელო.

... და წლების მერე ხალისით სავსემ
 კვლავ გაიარა იმ ნაცნობ გზაზე,
 კვერთხის მაგივრად ხე ნახა მძლავრი,
 მის ფართო ჩრდილში შეჩერდა მგზავრი.
 რომ დაისვენა, ხეს ტოტი ერთი
 მოსტეხა. ახლად გათალა კვერთხი,
 ჩრდილოეთისკენ გზას გაპყვა ფართოს
 და ეხლა ყველას სიმღერით გვატკობს.





თარგმნა ბივი გურაიამ

ისტორია

მე წიგნის ბოლო გვერდზე ჩამოვალ,
სადაც... არყების მოვხედები წრეში,
სად შუალამის ფრინველი მრეში
ტოტებს არხევს და... ლტოლვა ამოა.

მარადიული ღალატის მხარეს
ჩავალ. თვლემს ხავსში ჭალათის ცული...
თქვენს სულში ბრუნავს დღეის დღის ქარი,
რესტავრატორნო ეპოქის კრულის.

სად დაგრჩათ სახლი, ან სახლეულნი?
გადაგორდება ორმოში თავი.
და უსახელო ლბება სხეული
და კვებავს გულზე ამოსულ ყვავილს.

გულის სწორი კი ძაძვებში დნება.
რაღა ვქნა? — კალმით მხარს რას ავუბამ!
თან ჯერ სადა ხარ — განგების ნებას
გადასულ გულთა ზეობს ზვაობა.

და დედაქალაქს გრიგალზე უმაღლ
ტანჯულთა გმინვა აღწევს და ავსებს...
მე ბოლო გვერდზე ჩამოვალ ჩუმად,
სად დუმილს უფრო ამძაფრებს ხავსი.

ო, ისტორიავ — სიტყვავ და საქმევ, —
ხოტბა ლიტონი შენ არ შეგშვენის.
შენს ნაღდ შემოქმედს გულწრფელად ვაქებ,
და ცრუს კი ვკიცხავ, არც შევეშვები!

ორი ლექსი

1

...ხოლო იმა დღეებში ცეცხლი ცხელი თითებით
ჩაფრენოდა ჭაობს და... ჯანლი მოსკოვს უწევდა,
და ხრჩოლავდა ბალახი, თუთუნით ყვითელი,
ჰგავდა სულდგმულთ გნიასი — აღსასრულის უწყებას.

ხოლო ყაზახეთიდან და კასპიის ველიდან
გვალვა მოგვლაობდა და ცას აღზი ეკიდა.
სული მეწურებოდა მშობლის მონატრებითა.
ცოლის მონატრებითა, შვილის მონატრებითა.



და ჩანს, არა ტრფიალით — ტანჯვითა და წვალებით
უნდა გაითავისო სისხლი, ხორცი შენივე
და შერძე კი მათს ტრფიალს ვერსად დაემალედი,
ოღონდ სულ სხვას — უსაზღვროს და წმიდას და მშვენიერს.

მაგრამ ღირს კი ამაზე! ჩვენ ხომ ყოფით, ფესვებით
ისე გვაქვს ჩაკირული მიწიერიც, ციერიც,
რომ გვგონია — აყალო, ხამლქვეშ ანაკვნესები,
თავადა ვართ, ოღონდ სულ სხვა ხატება-იერით.

მე ვუმზერ იმ ადგილებს, მზარავს სიცარიელე
სოფლის უკაცრიელის, შორს ბუყბუყებს ჭაობი.
საფლავების ალაგას მირაყიდა რიალებს
და ასეთი განცდა მაქვს, თითქოს ორგზის დავობლდი.

და სად ერთვის ჩემი სვე ხალხის სვეს და წამება
თუ ხარება — რა გველის უბიწოთ თუ ბიწიანთ?
ვეღარ ვარჩევ, ჭაობის კვამლი ისე მწარეა
და მამულის ტყე იწვის, რა ღვთის ცოდვამ გვიწია?!

☩

ხოლო ნავსი ნარშავის ფრთებბუსუსა მარცვალი
ტრიალებდა გადათბრილ ტრამალს ზემოთ, დაღლილი. —
სად ახალი ებოჭა, ტექნოკრატი ნაცადი,
რელსს ასობდა ასობით — ლიბოდ სახლის მალღივის.

და გრგვინავდა ურო და ცა ცვიოდა ზრიალით
და, ეამიყამ, ნათხარში — თითქო ბრძოლის სანგარში,
ჭრიჭინობლის ჭრიჭინი, სხვა დროს ლხენის ზიარი,
მწერის კონტუზიანის იყო სულის განგაში.

და მე მწარედ ვიგრძენი, — ტკივილების თოვაში, —
რომ — ცხელია ნაში თუ არ დანამა მინდორი,
რომ — მძიმეა ღრუბელი, წვიმის მუხლებს თუ არ შლის,
რომ — რკინის ტყე არასდროს არ სწუხს უამინდობით.

და კიდევ რა! — ეკლები გაორდეს თუ გასამდეს
და გულმა გაიტაროს ხანჯლად შარა რამდენი,
რათა ყოველს: ურთულეს მანქანიდან — არსამდე
ქეშმარიტი მოსაედეს აზრი შარავანდედით?

გასასვლელი ოთახი

გვიანი ღამის ნათელს — ჰე, გასასვლელს ჩემო,
ნება მიბოძე, შენს ტანტზე მივეგდო, კარგო, ძილად,
იგემოს ცივმა ზამბარამ ცხელი ბეჭების გემო,
იგვემოს ჩემი სხეული, აქ ხომ სულისთვის თბილა!

სადაც კარს იქით. მოქუშულს — ღამეც რომ ებრდღენა
 ძილქუში აწევს. ღდინგაცლილს მუშაობისგან ^{ქუშად.} —
 ხოლო პირდაპირ — ქესატად მისთვის ^{მუშას,} ~~დბლოცა~~ არც ღირს! —
 ძილქუში აწევს უსაქმურს. უსაქმურობით დაღლილს.
 შერქუნულს

აქ ცეროდენა სამყარო შლეგი ქარებში ~~ტყვეს~~ ^{მუშას}
 და ციკქნა სამზარეულო ჭორს ამრავლებს და ხენეშის
 და ზედ ჩემს ზურგზე გადადის და ზედ ჩემს თავზე ტყდება
 კომუნალური ეპოქის მთელი პეწი და ეშხი:
 მყავს მეგობრები და მაინც სულს შეჭირვება სერავს, —
 მარტოსულობა, ეტყობა, მექცა ქრონიკულ სენად;
 მყავს მტრებიც, მაგრამ ეს გული ითმენს, შეეშვა დავას, —
 მტრობაც მომბეზრდა, ეტყობა, გამოფიტული დავალ.

და კარგად ვიცი, დარეკავს ერთხელ განკითხვის უამიც
 და ვით უბოვარს ლუკმისთვის გაწვდილი ხელის გამო,
 დედაბრის, ტიელ-ლატაკის, მომეხათრება — წამით
 შემკრთალ მზერას რომ შემაველებს, გულისმომკვლელად ამოს.
 და დუნიაზე სიმდიდრე, — ვიგრძნობ მეექვსე გრძნობით, —
 აღარ არსებობს, თვინიერ ჩვენი ლატაკი ძმობის,
 არ იპოვება ოფლის წილ ჭილდო, თვინიერ პურის,
 თვინიერ ზეცის არ ჰგვიებს ქეშმარიტება სრული.

* * *

ჩამოვექ ჩემთან უფრო ახლოს, ილაპარაკე...
 აპუხბინი. „შაშლილი“

ლაპარაკობდა, ურევდა ენას, ისევ და ისევ
 ლაპარაკობდა, ქაქანის ყინს დაებანგა სულმთლად.
 და რაღაც ფრთებისნაირი შტორზე დახტოდა ისე,
 თითქოს არხევდა არბეშუმს უჩინმაჩინის სუნთქვა.

და სტვენდა ვენტილატორი. და ის არც გრძნობდა დაღლას.
 ლაყბობდა, ხმას უხამებდა ვენტილატორის კშიტინს,
 პროპელერით ბზუოდა, ფრენდა ლივლივით მაღლა
 და ფსიქიატრი აქნევდა თავს, გამომწვევად მშვიდი.

და როს ნიათი წაერთვა მის აქავებულ ენას
 და წასაყვანად მოადგა კარს სანიტარი ორი, —
 ო, ფლობდა უკვე რა სივრცეს, რა შუქში ჰხვევდა ზენა,
 როგორ უთრთოდა სხეული, რა ახლოს იყო — შორი!

იტყვიან, თითქოს სიგიჟემ ჭირთა სიმრავლე იცის,
 ევიწროვება მიწა და ბნელს შიგ თვალეში უმზერს.
 მაგრამ ის არცკი ეკუთვნის მიწას — აგერა ისიც! —
 ფიქრი ცალნიშნა, ნეტარი და ზეცის დამლა — სულზე.

და რა გზებითაც არ უნდა მივიჩქაროდეთ ბოლო
 ბჭისკენ, კოსმოსი რანაირ ტკივილადაც არ გვაწვეს,
 ჩვენ მაინც აქ ვართ, ისინი სიცოცხლეშივე მხოლოდ
 იქ—იქ სუფევენ, სანამდეც ჩვენ როდის, როდის ვალწევთ.

და ჯანმრთელობის კერა თუ სიკნის ცრიატი შუქი,
ქვეყნის მპყრობელის ტახტი თუ რკინის საწოლის რინდი,
მისთვის ერთია! — გონების მუშაკის გონი უკვე
ჩაფერფლილია. მაშ, მიდით! წინ, სანიტრებო, მიდით!



ქართული
ბიბლიოთეკა

და ლიფტთან ძლივს მიიყვანეს ისიც, ღირსებით სავსე,
მოგვის სიმშვიდით, რომ არ სწამს კაცთა ფლიდობა კნინი,
შევიდა, წამით გონება გაუნათდა — და წამსვე
ჩაეშვა რკინის ორმოში, რკინის ორმოში, რკინის...

* * *

...მნატვარმა კი, არასმქონემ, აირჩია საყურადო
კოშკი სხვენზე. ყრუა კოშკი, პაერს ობის დაპკრავს სუნი,
მაგრამ ცასთან ახლოსაა — და ტილოზე ჰყვავის ჯადო,
ვით ველური მზესუმზირა, მზეს რომ უმზერს გასუსული.

* * *

„ამურის ტალღებს“ ორკესტრი უკრავს,
მუსიკის ქარში წკრიალებენ ფანჯრები ფართო.
ჩაბერავ საყვირს — ნეტარება დაგივლის შუქად,
დაძაბავ სმენას — ღირიქორის ხელებმა გმართონ!

მილიციის კლუბს ფიკუსები ამშვენებს. მინის
კრულ ათინათში ლურჯს ეხლება წითელი ფერი.
რა ხალისია — იყო დოლის ჯოხივით მქლერი:
თან წესრიგს ხმობდე, თან გივლიდეს სიანცის უინი.

ვერ იპრიკინებ, სტვენა-სტვენით ვერ ირბენ მუდამ,
დროა, იზრუნო სულზეც, ნამდვილ საქმეზეც, ძმაო,
გუშაგზე, თოვლს რომ აკრაჭუნებს ეზოში თუნდაც,
სინდისის ქენჯნის კირთებაზე, ღამით რომ ზვაობს.

არა სიმძიმე. — გვაწევს სხვა რამ ვით მჩატე ნისლი,
ჰანგი ხომ არა — გულის ბანგი... ფრთებისნაირი?
და ეგებ მლაშეც კი გვეჩვენოს საყვირი მისით,
სამაგიეროდ ცაც სხვად გვიჩანს, მიწაც, პაერიც.

ეჰ, ხრინწუმდგარი საყვირის ხმავე, გორლოვის ჩიხო,
რა ციცაბოა ჩვენი ხვალე, რა ქეშად გედაღავს!
ამოსუნთქვა კი, ასე წმიდა, ისე შორს გვიხმობს,
რომ გაწყდეს ღამის... თან ვხარობ და თან ვშიშობ რაღაც.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

გერმანულიდან თარგმნა დალი შანჯიიძემ

მეექვსე თავი

ამრიგად, მოვიპოვე, ჩემი აზრით, დავითის გამარჯვების ტოლსი გამარჯვება და რაკი პარიზულ პოტელში ჩემი სამსახურის დავა ჩერ კიდევ არ დამდგარიყო, კვლავ ფრანკფურტის ქუჩებს მივაშურე, დაფრუნდი რამდენიმე შტრიხით ზემოთ უკვე აღწერილ ყოფას, ესე იგი, ცხოვრების ორომტრიალშიც კი ჩავები, მაგრამ მაინც განცდებით აღსავსე, გამარტოებულ ცხოვრებას ვეწეოდი. დიდი ქალაქის ცხოვრების კარუსელზე უღლად მოქანავეს შემეძლო არა ერთი და ორი შემთხვევა ხელიდან არ გამეშვა და ათასი ჯურის ხალხს დავმეგობრებოდი. მით უმეტეს, რომ ისინი უცხოვალს შეიძლებოდა ჩემი მონათესავე ან ჩემნაირი ჰგონებოდა, მაგრამ მაინც ისე ნაკლებად მიმიწევდა გული, რომ ვინმესთან დაახლოებას ან სუგავურბოდი, ან იმას მაინც ვცდილობდი, უბრალო ნაცნობობა სიახლოვედ გადამქცეოდა. შინაგანი ხმა ადრიდანვე მკარნახობდა, ვინმესთან დაახლოება დამეგობრება და თბილი ურთიერთობის გაბმა ჩემი საქმე რომ არ იყო, მარტოდმარტო, უკანმოუხედავად უნდა მევლო ჩემთვის განკუთვნილ გზა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა მჭონოდა; დიას, ჩემს აზრს უფრო ზუსტად თუ გამოვხატავ, მეჩვენებოდა, ვინმეს რომ გავშინაურებოდი, თანამეინახებთან ძმობაზე დამედო თავი, ან, როგორც ჩემი საბრალო მამა იტყვოდა, ვინმესთან Frère-et-cochon¹ გამეჩალებინა, უეჭველად მოვეშვებოდი მოვიღვენებოდი და ჩემი ბუნების რომელიმე საიდუმლოს გავცემდი, მით უმეტეს, ძარღვებში სისხლს გავიწყალებდი, ძალასა და ენერჯიას სავალალო დავიძაბუნებდი და დავიკვეითებდი.

ამიტომაც, როცა ზოგჯერ პატარ-პატარა ღამის რესტორნებში გაწებო მარმარილოს მაგიდას ვუჯექი, ცნობისმოყვარეთაგან წამოწყებულ დაახლოებისა და ატორლიალების ცდებს თავაზიანად ვიგერიებდი, რადგან თავაზიანობა ჩემს გემოვნებასა და ხასიათს უხეშობაზე უფრო შეეფერებოდა. სხვათა შორის, თავაზიანობა გაცილებით უფრო მტკიცე ზღუდეს აღმართავს აღმიახლოებას შორის, ვიდრე უხეშობა. უხეშობა სხვასთან თავის გაყადრებას ნიშნავს, ხოლო თავაზიანობა ის ძალაა, დისტანციის შექმნა რომ ძალუძს. ამგვარად, თავაზიანობა იყო ის მაშველი ძალაც, რომელსაც მყისვე მოვეუხმობ

¹ ძმაბიჭობა (ფრანგ.).

გაგრძელება დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 1990 წ.

და ჩემს ახალგაზრდობას დახარბებული რომელიმე მამაკაცი. გრძნობათა სამყაროს მრავალფეროვნებაში ჩახედული მკითხველი რომ არ იუცხოვებს, ისეთ საჩოთირო წინადადებას შეტნაკლებად შენიღბულად და დაპლომბირებულად რომ შემომთავაზებდა. წესით, ეს მართლა არავის უნდა გაუკვირდეს. რადგან ბუნებისგან მიმზიდველი პირისახითა და საერთო მომგებიანობის ნიბით ვიყავი დაჯილდოებული. რასაც ვერც ღარიბული ჩაცმულ ბიჭად ვიქნებოდი. ვერც შემოწვეული შარფი. ვერც დაკემსილი ტანსაცმელი და გაცვეთილი ეტნაცმელი ვერ ფარავდა. ზემოხსენებულ ბედის მაძიებლებს, რომლებიც, ცხადია, მაღალ ფენებს ეკუთვნოდნენ, ეს ჩემი უბადრუკი გარსი, პირიქით, კიდევ უფრო უღვივებდათ სურვილს და სითამამესაც მატებდათ. მაგრამ ელფანტურ ქალთა სამყაროს კი აფრთხობდა და განშარიდებდა. თუმცა ვერ ვიტყვი, ჩემს ბუნებრივად გამორჩეულ პერსონას სავსებით მოჰკლებოდეს მათ უნებური ინტერესის გამომხატველი სიგნალები, რაც არაერთხელ შემიმჩნევია და დამიჭერიოა ბოლმე, რამდენჯერ დამინახავს, ძვირფასი ნელსაცხებულთ ნასათუთვე ფერმკრთალ სანებზე აღბეჭდილი მედიდური ღიმილი ჩემს დანახვაზე როგორ შეცვლილა შეცბუნებული. ღამის ტანჯული ღიმილით, ფარჩის მანტოში გამოწყობილი ძვირფასო ასულო, შავი თვალები გიფართოვდებოდა იმ წუთებში, ღამის შიში ისადგურებდა შენს თვალებში და ისინი რაც ბრეტდნენ ჩემს ძონძებს, რომ შიშველ ტანზე მათ დაჟინებულ ფათურს ვგრძნობდი, ისინი კითხვაჩამდგარი მზერით კვლავ და კვლავ უბრუნდებოდნენ ჩემს გარსს. შენი მზერა ჩემსას ხედებოდა, შენ ღრმად ისრუტავდი ჩემს პერსონას და ამ ღროს, თითქოს სასმისს დაეწათეო. პატარა თავს უკან გადაიგდებდი. შენი ტუბილა, ცნობისწადილით აღსავსე, მღელვარე, დაჟინებული მზერა ჩემს მზერაში იძირებოდა, ოლონდ მერე, ცხადია, უეჭველად გმართებდა „გულგრილად“ შეგვექცია ჩემთვის ზურგი. შენს ბორბლებზე შემდგარ ბუნებში შესულიყავი და მაშინ, როცა სანახევროდ უკვე აბრეშუმის ქერქვეშ დაიბუდებდი და შენი მსახური მამაშვილური ღიმილით ხელში ფულს ჩამიდებდა. ოქროქარგული ქსოვილით შემოსილი შენი მომზიბლავი არსება, გასთვოსნებული ობერის სადარბაზო შესასვლელის დიდრონი ნათურების შუქით, თითქოს აყოვნებდა და ახანგრძლივებდა კარეტის კარის ვიწრო ჩარჩოში შემალვას.

არა, ფარული შეხვედრები, რომელთაგან ერთს მაინც მღელვარებით ველონებ ხოლმე, სულაც არ მაკლდა, მაგრამ, საერთოდ, ოქროქსოვილ მოსახლებში გამოწყობილ ქალებს არაფერი ესაქმებოდათ ისეთებთან, მე რომ მაშინ ვიყავი. ქალები თუნდაც ჩემი სიყმაწვილის გამო აიჩეჩავდნენ მზრებს, სორემ მათხოვარივით ჩამოძონძილ არსებას, მოკლებულს ყოველივე იმას, რაც მამაკაცს კავალრად აქცევს, მათ თვალში ხომ ჩალის ფასი ჰქონდა და ასეთი კაცო მათ ყურადღების არეალში ვერასგზით ვერ მოექცეოდა. ქალი მხოლოდ „ღარსეულ მამაკაცს“ ამჩნევს. მე კი ასეთი არ ვიყავი, სულ სხვა საშუა ვხაგამრუდებული მამაკაცები, ეს მეოცნებენი ქალს არ დაეძებენ, მაგრამ არც მამაკაცებისკენ მიუწევო გული, ისინი ეძებენ საშუალოს მათ შორის, რაღაც საოცრებას და სწორედ ეს საოცრება ვიყავი მათთვის მე, ამიტომაც მჭირდებოდა ასე უხვად მომაგერიებელი თავაზიანობა, რათა ამდევარი აბეზარი აღტაცება დამეყურებინა, თუმცა მათი მავედრებელი უნუგემობის შემყურე ზოგჯერ იძულებული ვხდებოდი მათ მიმართ გულისმარება და სიღბო გამომეჩინა.

ვერ გავკადნიერდები და მორალის პოზიციიდან ვერ გავკიცხავ იმ მო-
ხოვნილებას, რომელიც, თუნდაც პირადად ჩემთვის, სულაც არ იყო გაუგ-
ბარი, პირიქით, მეც იმ ლათინელივით ვიტყვოდი, არაფერია ადამიანური ჩემთვის
უცხო არ არის-მეთქი. ხოლო სიყვარულის სფეროში პირადად ჩემი აღზრდა
ნათელსაყოფად ერთ ამბავს მოგიყვებით.

ადამიანური ყოფის ნაირსახეობებს შორის, რაც კი დიდ ქალაქს ჩემთვის
შემოუთავაზებია, ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაწაფებული ყმაწვილს
ყურადღება აუცილებლად უნდა მიეპყრო ერთ განსაკუთრებულ კასტას, რომ-
ლის მხოლოდ არსებობაც კი საკმაოზე მეტ საზრდოს აძლევს ბურჟუაზი-
ის სამყაროს ფანტაზიას. ეს გახლდათ ქალაქის მდებრობითი სქესის ბინა-
დართა ის სპეციფიკური ნაწილი, რომელსაც, ჩვეულებრივ, მსუბუქი ყოფი-
ცების ქალებს ან ღამის პეპლებს უწოდებენ. ზოგჯერ უბრალოდ, კაზებთან
იხსენიებენ, უფრო მაღალფარდოვნად კი ვენერას მსახურთ, ნიმფებს და
ფრინებს ეძახიან. ისინი ან საროსკიპოებში ცხოვრობენ. ან ღამღამობით ქუ-
ჩის განსაზღვრულ მონაკვეთებზე დაეხეტებიან და ვნებააშლილ, ოღონდ
ბესქელ მამაკაცთა სამყაროს, ხელისუფალთა ნებართვით თუ წაყრუებით, თ-
ვიანთ სამსახურს სთავაზობენ. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ თუ ამ მო-
ღენას წესისამებრ შევხედავდი, სახელდობრ, ცინცხალი და არა ჩვეულებ-
გავლენით დამორცხვებული მზერით, მაშინ მივხვდებოდი, რომ თურმე იგი
ფერადოვანი, მჩქეფარე გადმონაშთის სახით უფრო ჩახჩახა ეპოქებიდან შემო-
რილა ჩვენს ზნეკეთილ საუკუნეში და ამიტომაც ჩემზე ყოველთვის გამო-
მაცოცხლებელ, მარტო თავისი არსებობითაც კი გამაბედნიერებელ ზეგავლ-
ნას ახდენდა. იმ საგანგებო სახლების კარი სილატაკის გამო ჩემთვის და-
შული გახლდათ, მაგრამ ქუჩებსა და ღამის პატარ-პატარა რესტორნებში თ-
ვისუფლად შემეძლო ამ მიმზიდველ არსებებს დავკვირვებოდი და სხვათ-
შორის, ინტერესი ცალმხრივი როდი იყო — თუკი საერთოდ ვინმეს გავუ-
ნებივრებივარ საამური ყურადღებით, ეს ქუჩაში მონავარდუ ღამის პეპლებ-
ზე ითქმოდა და დიდხანს არ გაუვლია, ჩემი უკარება ხასიათის მიუხედავად
რამდენიმე მათგანს რომ დავუახლოვდი.

ხალხში მკვდრის ფრინველებს ან ლეშიჭამიებსაც ეძახიან ტყის ტანმო-
ჩილი ჭიშის ბუსა და ჭოტს, რომლებიც ღამღამობით ვითომ სასიკვდილოდ გან-
წირული ადამიანის სახლის ფანჯრებს ეხლებიან, შეშინებულ სულებს და-
სძახიან, ჩვენთან წამოდიო, და გარეთ იხმობენ. განა საოცარი არ არის, რომ
ჩვენი უზნეო დობილებიც ამავე ფორმულას იყენებენ, როცა ფარნებქვე-
დაძრწიან და მამაკაცებს თავხედურად და საიდუმლოდ მრუშობისკენ უხმო-
ბენ? მათგან ზოგიერთები სულთნის ცოლებივით ფაშფაშები არიან, შავი
ატლასის კაბა ტანზე ასკდებათ და პუდრით შეთეთრებული მსუქანი სახე-
ები შავ ფონზე აჩრდილებიასს მიუგავთ. სხვები ავადმყოფურად გამბღრბ-
არიან, მაგრამ ყველანი ისე ითხიპნებიან, რომ ქუჩის ღამის სინათლეზე საბე-
მკაფიოდ გამოუჩნდეთ. ერთს, მაგალითად, ცარცივით თეთრ სახეზე ჟოლოს-
ფერი ტუჩები უღვივის, მეორეს ცხიმიანი ნელსაცხებლისგან ვარდისფერი
ულაპლაპებს ლოყები, წარბები წვრილი, მკაფიო რკალივით გამოუხაზავთ.
თვალის კილოები შავი საღებავით დაუგრძელებიათ, უბეებიც ამოუშავებიათ,
ხოლო ჩაწვეთებული რალაც სითხის წყალობით არაბუნებრივად უელავთ თ-
ლები. ყურის ბიბილოებზე ყალბი ბრილიანტები უბრწყინავთ, თავზე ფრთ-
ებით გაწყობილი კაფორონი შლაპები ჩამოუშხიანთ. ხელში კი ყველას ხილ-

ჩანთა, რედვიკიული ან პომპადურად წოდებული ქისა უჭირავს, სადაც ტუალეტის საგნები, პუდრი, პომადა და კონტრაცეპტივები უწყვიანთ. ასე დაეხმება ტუალეტის ისინი ტროტუარზე, ჩაგივლიან და მკლავს მკლავზე გაგიხასხუნებენ; მათ თვალეში ფარნების შუქი ირეკლება, კუთხეში მიყუყულებს თვალი შენვეს უჭირავთ, ტუჩები ვნებიან, უხამს ღიმილს მოულოდნელად და სწრაფად და ქურდულად წაგჩურჩულებენ მკედრის ფრინველის მრძანის და თავის გადაქნევით ისე გიხმობენ შორს, საიდუმლო მხარისაკენ, თითქოს ამ გულად მამაკაცს, ვინც მათ ხელის დაქნევასა და ძახილს გაჰყვება, იქ, სადაც, უზარმაზარი, ჯერ არგანცდილი, უსაზღვრო სიამე ელოდეს.

რა ხშირად მომცემია შესაძლებლობა, ამ პატარა, მალულ სცენას შორიდან დავევირვებოდნი, ისიც დამინახავს, კარგად ჩაცმული ბატონები ზოგჯერ ნაბიჯსაც რომ არ შეანელებდნენ, მაგრამ ზოგჯერ რომელიმეს გაუჩერდებოდნენ და ვაჭრობას გააჩაღებდნენ, მეჩვე თუ მორიდებოდნენ, თავიანთ უზნეო წინამძღოლთან ერთად იქაურობას სწრაფი ნაბიჯით გაეცლებოდნენ. ის არსებანი მე გამორჩენის მიზნით არ მომიახლოვდებოდნენ, რადგან ხვდებოდნენ, ასე ღარიბულად ჩაცმული ყმაწვილი ხელსაყრელ მუშტრად რომ ვერ გამოვადგებოდნი, სამაგიეროდ ხშირად გავუხარებოვარ მათ პირად, პროფესიული მიზნის გარეშე გამოვლენილ ყურადღებასა და სიკეთეს. რაკი მე თვითონ ჩემი ეკონომიკური უძლურების გამო მათთან მიახლოებას ვერ გავბედავდი, არცთუ იშვიათად თვითონ ისინი მაკვირდებოდნენ ცნობისმოყვარე და კეთილშობილურ თვალთ და გულითადად გამომელაპარაკებოდნენ, ამხანაგურად შეკითხებოდნენ, ვინ ვიყავი და რა საქმიანობას ვეწეოდი (რაზეც ბეჯითად ვასუხობდი, ფრანკფურტში დროის გასატარებლად ფარ ჩამოსული-მეთქი), შემდეგ ხანმოკლე საუბარში, რომელიც ჩემსა და ამ სახეგათხიპნილ არსებებს შორის სადარბაზოებსა და ალაყაფებში იმართებოდა, ჩემ მიმართ სიმპათიებს სხვადასხვაგვარად, მაგრამ ყველანი უბეშ, მდაბიურ დიალექტებზე გამოხატავდნენ. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ასეთი არსებანი საერთოდ არ უნდა იდებდნენ ხმას. ისინი, როცა უსიტყვოდ გიღიმიან, გიცქერიან და ხელს გიქნევენ, მაშინ უფრო მიმზიდველნი ჩანან, მაგრამ როგორც კი პირს გააღებენ, მათი საქმე წასულია — მაშინვე გვაფხიზლებენ და თავიანთ შარავანდს კარგავენ. საერთოდ, სიტყვა იდუმალეების მტერია და უხამსობის სასტიკი მამხილებელიც.

ისე, სიმართლე თუ გნებავთ, მათთან ჩემს მეგობრულ ურთიერთობას მაინც ახლდა საფრთხით შეზავებული ხიბლი და სახელდობრ, აი, როგორი: ვინც ადამიანურ ვნებას პროფესიულად ემსახურება და თავს ამით ინახავს, თვითონ ვერავეთარ შემთხვევაში ვერ იქნება ამ თანდაყოლილ, ადამიანურ აისუსტეზე ამალღებული; იგი მთელი არსებით ვერ შესძლებდა ვნების სამსახურს, მის აღძვრასა და დაკმაყოფილებას. ღრმად ვერ ჩასწვდებოდა მის თავისებურებებს. თვით მასში რომ არ იყოს იგი მძლავრად ჩაბუდებული, უფრო მეტიც, თვითონ იგი თუ არ არის ვნებათაღელვის ქეშმარიტი პირმშო. ამიტომაც, რომ ასეთ გოგოებს იმ უამრავი საყვარლის გარდა, ვისაც ისინი თავის ხელობის გამო ემსახურებიან, მეტწილად კიდევ ჰყავთ გულისწორი, ანუ საშინაო საყვარელი, ეს უკანასკნელი იმავე დაბალი ფენის წარმომადგენელია და იგიც ისევე გეგმაზომიერად აგებს თავის ცხოვრებას ამ გოგოების ოცნებებზე, როგორც ისინი აგებენ სხვა დანარჩენების ხარჯზე თავიანთ ბედნიერებას. ამასთან, ეს ხალხი, მეტწილად მოურიდებელნი, ძალადობის

მოყვარული სუბიექტები არიან, ისინი თავიანთ რჩეულთ სამსახურისგან არ
 ალერსით აჯილდოებენ, მაგრამ თან მათ სამსახურს მუდმივად უფროებენ და
 წარმართავენ, ხოლო რაკი ერთგვარ რაინდულ მფარველობასაც უწევენ. მათ
 სრული ბატონ-პატრონი ხდებიან. ნაშოვარი ფულის რჩეულის ართმევას
 და თუ გამომუშავებული თანხა ეცოტაეათ, იმ საწყის მსახურს ეპყრობიან
 რასაც ეს უკანასკნელი უსიტყვოდ, ლამის სიამოვნებით იტანენ. ხელისუ
 ფალი მათი ხელობის ხალხს მტრულად ეკიდებიან და გამუდმებით სდევნიან.
 აი, ლამის პეპლებთან არშიყობა რატომ მაგდებდა ორმაგ საფრთხეში: ყვე
 ერთი, ზნეობის დამცველ პოლიციას შეიძლებოდა მეც ერთ-ერთი მფარველ
 თავანი ვგონებოდი და ჩემთვის პასუხი მოეთხოვა. მეორეს მხრივ კი იმ ტა
 რანებს შეეძლოთ ჩემზე ეეჭვიანათ და მათი დანა მომხვედროდა, რო
 მელსაც, სხვათა შორის, ძალიან მარჯვედ ატრიალებდნენ. ასე რომ, ორივე
 მხარეს სიფრთხილე გემართებდა და როცა არა ერთი და ორი დობილ
 აშკარად მაგრძნობინებდა, იქნებ ერთხელ მაინც დამასვენო ჩემი უსიხარულო
 საქმიანობის გამო, ის ორმაგი საფრთხე მანამდე მაკავებდა, სანამ არ დაერწ
 მუნდებოდი, რომ ერთ-ერთი მაინც მქონდა თავიდან აცილებული.

ჰოდა, ერთხელ, როცა განსაკუთრებული ხალისითა და გულმოდგინებით
 ვეცნობოდი ქალაქურ ცხოვრებას, თავზე დამაღამდა, ხეტიალისგან ქანცო
 წყვეტილი, მაგრამ ნასიამოვნები ერთ საშუალო რანგის ყავახანაში დაჯე
 კი და წინ ერთი ჭიქა პუნში დავიდგი. ქუჩებში გაავებული ქარი უბერავდა
 და გადალებას არ აპირებდა თოვლნარევი წვიმა. აქედან ჩემი სახლი საკმაოდ
 შორს იყო და ამიტომ წასვლას არ ვჩქარობდი; მაგრამ აღარც ჩემი დროე
 ბითი თავშესაფარი გამოიყურებოდა სტუმართმოყვრულად: ნაწილი სკამე
 ბისა უკვე მაგიდებზე აეკოკოლავებინათ და დამლაგებელი ქალები ჭუჭყი
 იატაკზე სველ ჩვარს დაატარებდნენ. დაღლილი მომსახურე პერსონალი ზეზე
 ურად თვლემდა და მე თუ მაინც ვუჭექი მაგიდას, მხოლოდ იმიტომ, რომ
 დღეს ჩვეულებრივზე უფრო მიჭირდა გარესამყაროს ხედებს შევლევოდი და
 ღრმა ძილისთვის მიმეცა თავი.

დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ერთ-ერთ კედელთან მაგიდაზე და
 ხობილს ეძინა კაცს. ლოყა ტყავის ქისაზე ედო და გარეგნობით საქონლ
 ვაჭარს ჰგავდა. მის პირდაპირ ორი სათვალისანი მოხუცი, რომლებსაც, ეტ
 ყობა, ძილი არ ეკიდებოდათ, ხმისამოუღებელივ თამაშობდა დომინოს. ჩემ
 შორიახლოს კი, ორი მაგიდის იქით, მარტოდმარტო იჯდა ერთი ქალიშვილი
 და წინ ერთი ჭიქა მწვანე ლიქიორი ედგა. ადვილად გამოიცნობდით, რომ
 ისიც იმ კასტას ეკუთვნოდა. თუმცა აქამდე ერთხელაც არ შემხვედროდა
 და ამიტომ ორივენი ინტერესით ვუჭვრეტდით ერთმანეთს.

იგი შესაბუნდავად საოცრად ჰგავდა უცხოელს: ქარაშოტისგან გვერდზე
 მოქცეული წითელი შალის ქუდიდან საკმაოდ მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა
 ჩამოშლოდა, სწორი თმის ჰავლი ლოყებს სანახევროდ უფარავდა, ხოლო ლო
 ყები მაღალი ყვრიმალეების წყალობით ოდნავ ჩაცვენილი მოუჩანდა. პატე
 ცხვირი და წითლად შეღებილი ფართო ტუჩ-პირი ჰქონდა, კილოებაზიდულ
 ირიბად გაჭრილი, ისედაც თავისებური, სხვებისგან განსხვავებული, გაურკვე
 ველი ფერის თვალებით უჩინოდ და უაზროდ იყურებოდა. ტანზე წითელ
 ქუდთან შეუხამებელი, იადონისფერი, ყვითელი ჯაკეტი ეცვა, ჯაკეტის ქვე
 კი სუსტად განვითარებული, მაგრამ მაინც მოქნილი ზედატანი ილანდებოდა.
 ისიც კარგად შეეამჩნიე, რომ კვიცივით მაღალ ფეხებზე იდგა. ასეთი აღ

ბაგობა კი ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებდა. მწვანე ლიქიორი ტუჩებთან რომ მიიტანა, ხელებზე შევაფლე თვალი და დავინახე, რომ თითები ბოლოში უფრო-
 თოდებოდა და წვეროები ოდნავ მალლა ჰქონდა აზნექილი, მისი ხელი თა-
 ტომლაც ცხელი შეჩვენა, იქნებ იმიტომ, რომ ხელის ზურგზე მკაფითდ აჩნდა
 ამობურცული ძარღვები. უცნობი ქალიშვილი დროდადრო ქვედატუჩს ვეჭყნებდი
 წინ წამოსწევდა, მერე კი ღრმად შესწევდა და ზედატუჩს ულამუნებდა ხოლმე.

მოკლედ, ერთმანეთს რამდენჯერმე შევაფლეთ თვალი, თუმცა დაბეჯითე-
 ნით ვერასოდეს იტყოდით, მისი ირიბად გაქრილი, მოციმციმე თვალები
 საით იმზირებოდნენ. ბოლოს, მას შემდეგ, რაც კარგა ხანს ვზვერეთ ერთმანე-
 თი, არცთუ ყმაწვილური შეჩქვიფების გარეშე შევამჩნიე, რომ მან ნიშანი
 მომცა, სწორედ ის მალული, მრუშობისკენ გაურკვეველი მიმართულებით
 მომწოდებელი ნიშანი, მისი გილდია ზედ მკვდრის ფრინველის მოსახმობ ძა-
 ხილს რომ ურთავდა. მე პანტომიმური ხერხებით გავესაუბრე და ჯიბე ამო-
 ვიბრუნე; მან თავის დაქნევით გამაგებინა, შენი სილატაკის ნუ გედარდებაო,
 ის ნიშანი გამიმეორა, მერე მწვანე ლიქიორის საფასური მარმარილოს მა-
 გიდაზე დადო, ფეხზე წამოდგა და კარისაკენ მოქნილი ნაბიჯებით გაემართა.

მე დაუყოვნებლივ გავყევი. ტროტუარი ჭუჭყიან თოვლს აეტალახებინა,
 წვიმა ალმაცერად ურტყამდა და წვიმაში შერეული დიდრონი, გადღაბნილი
 ფანტელები მხრებზე, სახესა და მკლავებზე ყველას რბილი, სველი ცხოვე-
 ლივით ეფინებოდა. ამიტომ ძალიან მესიამოვნა, როცა უცხო პატარძალმა
 ჩამოვლალ დროშკას დაუქნია ხელი. მეეტლეს დაბალი ხმით ჩემთვის უცნობი
 კუჩა დაუსაბელა, ეკიბაეში შეებტა, მეც უკან მივეყევი და მის გვერდით, გა-
 მქვილ რბილ მერბზე დავეშვი.

როცა ღამის ეკიბაეი კვლავ ჩაყჩაყით გაუდგა გზას, მხოლოდ მაშინ და-
 იწყო ჩვენი საუბარი, რომლის გადმოცემასაც აქ მოვერიდები, რადგან საი-
 მისო შეგნება კი მყოფნის, რომ ვალიარო — მისი წრეგადასული თავისუფლება
 აუცილებლად შემობორკავს მკითხველთან თუნდაც გაშინაურებულ კალამს.
 ჩვენს საუბარს არც შესავალი გააჩნდა და არც თავაზიანი ცერემონიულობა,
 მას თავიდან ბოლომდე გასდევდა ისეთი მოურიდებელი, შეუბორკავი და შე-
 უზღუდავი უპასუხისმგებლობა, რაც მხოლოდ სიზმარში თუ გვეპატიება,
 სადაც ჩვენს „მეს“ ნამდვილი ცხოვრებისგან დაშორებულ აჩრდილებთან,
 ჩვენსავე წიაღში ნაშობ წარმონაქმნებთან უბდება ურთიერთობა, ასეთი ურ-
 თიერთობა კი სიფხიზლეში ვერ დამყარდება, რადგან სიფხიზლე-
 ში სხვადასხვა სისხლი და ხორცი მართლა ცალ-ცალკე, ერთმანე-
 თის პირისპირ დგას. აქ კი ჩვენი სისხლი და ხორცი არ განიყოფოდა და
 სიამოვნებით ვალიარებ, რომ სულის სიღრმეში მომწონდა კიდევ ასეთი
 უცნაური, დამათრობელი ურთიერთობა. ჩვენ მარტონი არ ვყოფილ-
 ვართ, მაგრამ ორად ყოფნასაც ბევრი გვიკლდა. ხომ საკმარისია, ორი აღამია-
 ნი შეიყაროს, რომ მაშინვე შეიქმნეს საზოგადოებაში მიღებული, შებორკილი
 სიტუაცია, აქ კი მსგავსი არაფერი შექმნილა. ჩემმა თანამგზავრმა ფეხი ისე
 გადამადო ფეხზე, თითქოს თვითონ მჯდარიყო ფეხი ფეხზე გადადებული. ყო-
 ველი სიტყვა, ყოველი საქციელი მის საოცარ თავაშვებულობას, სითამამესა
 და აღვირაბსნილობას მოწმობდა, ასეთი რამ მხოლოდ საკუთარ თავთან მარ-
 ტო დარჩენილი კაცის ფიქრებში თუა შესაძლებელი, და მეც ხალისით, ძალ-
 დაუტანებლად ვუბამდი მხარს.

მოკლედ, არ დაგვიფარავს, ერთი ნახვით რომ მოგვეწონა ერთმანეთი,

გამოვიკვლიეთ. განვიხილეთ. დაეანაწევრეთ ეს მოწონება და აღთქმაც დადეთ, ჩვენი გრძნობისთვის მოგვევლო. გაგვეღვივებინა და ორივესთვის სასარგებლო გაგვეხადა. თავის მხრივ ჩემმა თანამგზავრმა საქმეები შემაძეო, რამაც ჩემს მშობლიურ ქალაქში იმ ბრძენი სასულიერო პირისგან მოსმენილი ხოტბა-დიდება გამახსენა. ოღონდ ქალის, ხოტბა-ერყისა და იმავე დროს უფრო ზოგადი იყო და უფრო კატეგორიული გამოხატულებით, თურმე გამოცდილი თვალი პირველი შეხედვისთანავე მიხვდებოდა, სიყვარულს სამსახურისთვის რომ ვიყავი შექმნილი და ყველასაგან გამორჩეული და შეუძებლო ჩემი საკუთარი თავისა და გარესამყაროსთვისაც ბევრი სიხარული და სიამე განმემზადებინა, თუკი ამ ფაქიზ ხელობას გავყვებოდი და მთელ სიცოცხლეს მთლიანად მასზე დავაფუძნებდი. თვითონ კი შეგირდად აყვანას და საფუძვლიან წვრთნას მპირდებოდა. რადგან თურმე აშკარად ჩანდა, ჩემს ნიქსა და უნარს გამოცდილი ხელით წარმართვა რომ სჭირდებოდა... მისი ნაღაპარაკევიდან ეს აზრი გამოვიტანე. ოღონდ მიახლოებით, რადგან თავის უცხო გარეგნობის შესაბამისად იგი დამტკრეულ და შეცდომებით სავსე გერმანულს ლაპარაკობდა. უფრო სწორად, გერმანული საერთოდ არ იცოდა. ამიტომ სიტყვებსა და გამოთქმებში ხშირად სრულიად საწინააღმდეგო აზრს დებდა და უაზრობამდეც მიდიოდა, რაც ჩვენს ერთად ყოფნას კიდევ უფრო მეტ სიზმარულ ელფერს ანიჭებდა. კონკრეტულად და თან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მის საქციელში იოტისოდენა ქარაფშუტული მხიარულება არ ერია; პირიქით, ყოველგვარ პირობებში — ხოლო ეს პირობები ზოგჯერ უცნაურად ყალიბდებოდა — იგი მკაცრ, თითქმის პირქუშ სერიოზულობას ინარჩუნებდა იმ წუთებშიც და მერეც, მთელი ჩვენი ურთიერთობის მანძილზე.

ბოლოს, დიდი ხნის ჭაყყაყის შემდეგ დროშკა, როგორც იქნა, გაჩერდა. ჩვენ გადმოვედით და ჩემმა მეგობარმა მეეტლეს დანახარჯი გაუსტუმრა. მერე ცივ, ქვარტლის სუნით აყროლებულ ჩაბნელებულ კიბეს ავყავით და ჩემმა წინამძღოლმა იქვე, კიბის თავში მდებარე ოთახის კარი გამიღო. უცხრად ზედმეტად გამთბარ ოთახში ამოვყავი თავი. გავარვარებული რკინის ღუმლის სუნი ნელსაცხებლების მსუყე და ყვავილოვან სურნელს ერთვოდა, ხოლო მუქი წითელი აბაყურით შებურვილი ქალი იქაურობას დაბინდულ შუქს პფენდა, ოთახში მისი პატრონის შესაფერი ფუფუნება შემომეგება. პლუშგადაკრულ პატარა მაგიდეებზე ჩამორიგებულ ფერად-ფერად ლარნაკებში ხმელი თაიგულები ეწყო, რომლებიც პალმის რტოებით, ქალაღდის ყვავილებითა და ფარშევანგის ფრთებით იყო შედგენილი; ირგვლივ ფუმფულა ბეწვეული მიმოეფინათ; ლამის მთელი ოთახი ეჭირა ჩარდახიან საწოლს, რომელსაც ოქროს ყაითანშემოვლებული წითელი ფარდები ამშვენებდა, გარდა ამისა ოთახში სარკეების სიუხვე გაგაოცებდათ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი ისეთ ადგილზე ეკიდა, სადაც, ჩვეულებრივ, სარკეს ძებნას არც დაუწყებდა კაცი: სარკე ეკიდა საწოლის ჩარდახზეც და მის გვერდით, კედელზე. რაკი ჩვენ ერთმანეთის ბოლომდე გაცნობის სურვილი გვწვავდა, იმწამსვე საქმეს შევუდექით და მასთან დილაამდე დავრჩი.

როზა — ასე ერქვა ჩემს პარტნიორს — უნგრეთში იყო დაბადებული, მაგრამ მისი წარმოშობა გაურკვეველი გახლდათ. დედა მოხეტიალე ცირკის მსახიობი ყოფილა და ერთი ნომერი ჰქონია — თურმე ქალაღდადაკრულ რგოლში ხტებოდა, ხოლო მამის ვინაობა ბნელით იყო მოცული. როზას ადრე აღმოსჩენია უსაზღვრო სიამოვნებისაგან ძლიერი ლტოლვა და ჯერ კიდევ სულ

ბაღაზრდას, არცთუ საკუთარი სურვილის გარეშე, ბუდაპეშტის საროსკი-
ბოში ამოუყვია თავი, იქ მრავალი წელი გაუტარებია და ხსენებულ დაწვე-
სებულების მთავარ მიმზიდველ ობიექტად ყოფილა აღიარებული, მაგრამ
ერთ ვენელ ვაჭარს, რომელსაც უფროსად სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, დიდი
ხრივებითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გოგონებით ვაჭრობის წინააღმდეგ
მებრძოლი კავშირის დახმარებით, საპრობილეოდან გამოუხსნია და სახლში და-
უსვამს. უკვე ხანდაზმული და აპოპლექსიისაკენ მიდრეკილი კაცი თავდაუზო-
გავად მისცემია ნეტარებას და ერთ მშვენიერ დღეს როზას მკლავებში გა-
ნუტევებია სული. ასე მოუპოვებია როზას თავისუფლება. მას შემდეგ ქალაქი-
დან ქალაქში გადადიოდა და თავის ხელობით ირჩენდა თავს, ფრანკფურტში
კი ამ ცოტა ხნის წინ დაფუძნებულა. აქ მხოლოდ სახეირო ურთიერთობებს
ვერ დასჯერებია და ერთი კაცი გაუჩენია, ხელობით ყასაბი, მაგრამ ბუნების-
გან დიდი ცხოველუნარიანობითა და უკეთური მამაკაცური ძალით დაჯილ-
დობულ ყასაბს ხელობად სუტენერობა, მოძალადეობა და ყოველნაირი თაღ-
ლითობა უქცევია, როზას მბრძანებელი გამხდარა და მისი სარფიანი საქმიან-
ობა შემოსავლის ძირითად წყაროდ გაუხდია. ცოტა ხნის წინ იგი რაღაც
სისტიანი საქმის გამო ციხეში ჩაუსვამთ და როზა ბედის ანაბარა დარჩენილა.
როზა, თავის მხრივ, თურმე სულაც არ აპირებდა პირად ბედნიერებაზე ხელი
აეღო, ჩემთვის ამიტომაც დაუდგამს თვალი და წყნარი, ჯერ კიდევ გამოუც-
დელი ყმაწვილი თავის გულისსწორად ავურჩევივარ.

ეს მცირე ისტორია მან შესვენების წუთებში მიაშბო და მეც საკუთარი
ცხოვრების ისტორია ასევე მოკლედ და შეკუმშულად ვუამბე. საერთოდ,
სიტყვა და ლაპარაკი მაშინაც და მერეც ძუნწად ახლდა ხოლმე ჩვენს ურ-
თიერთობას. სიტყვიერი ურთიერთობა საქმიანი მითითებებითა და შეთანხმე-
ბებით და მოკლე, აღმაგზნებელი შეძახილებით, ანუ როზას სიყმაწვილის
დროინდელი ლექსიკით იზღუდებოდა, რომელიც ცირკის მანეთის გამომსახველ
საშუალებათა სფეროს განეკუთვნება. მეტყველების ნაკადი უფრო უხვად თუ
წარმოგვდინდებოდა, ეს ორმხრივი ხობა-დიდება გახლდათ, რადგან ის, რაც
ერთმანეთს პირველივე გამოცდაზე დავუმტკიცეთ, მერე და მერე კიდევ უფ-
რო დიდი წარმატებით დასტურდებოდა და ჩემი ოსტატი თავის მხრივ მრავ-
ფაღვზის, უკითხავად მარწმუნებდა, შენი სიყოჩაღე და სიყვარულის ნიჭი
ჩემს ყველაზე მშვენიერ და თამამ მოლოდინსაც კი აჭარბებსო.

აი აქ კი, დარბაისელო მკითხველო, კვლავ იმდაგვარ დღეში ჩავვარდი,
ამ წიგნის ფურცლებზე ცხოვრებით ტკბობაში ჩემი ნაადრევი, ბედნიერი გა-
მოცდილების ამბავს რომ მოგიხსრობდით და თან გაფრთხილებდით, ყოველ
საქციელს თავის სახელს ნუ დავარქმევთ და ცალკეულ ცოცხალ ფაქტსაც
უხამსი სიტყვით ხელაღებით ნუ მოვნათლავთ-მეთქი. მაგალითად, მე თუ აგი-
წერთ, რომ მრავალი თვე, ფრანკფურტიდან წასვლამდე როზასთან სიახლო-
ვეში ვავატარე, ხშირად ვიყავით ერთად, მიყურებია, თავისი ირიბად გაჭრილი,
მოციმციმე თვალებითა და ქვედა ტუჩის მაცდური თამაშით ქუჩაში როგორ
იქერდა მუშტარს, ზოგჯერ მის ოთახშიც დაემალულვარ, სანამ იგი ფასიან
კლიენტს გაისტუმრებდა (სხვათა შორის, ამ დროს არასოდეს მიუცია ჩემ-
თვის ექვიანობის საბაბი), და არც ის მითაკილია, რომ მისი ნაშოვარი ფულით
ზომიერად მესარგებლა-მეთქი, ყოველივე ამის გამგონეს შეიძლება გულმა
ვერ გაუძლოს, ჩემი მაშინდელი ყოფა უზნეობად მონათლოს და დაუფიქ-
რებლად მიმაკუთვნოს იმ საეჭვო კუროების კატეგორიას, ზემოთ რომ აგი-

წერეთ, სხვათა შორის, ვინც ფიქრობს, რომ ერთნაირი საქციელი ადამიანებს ერთმანეთთან ათანაბრებს, დაე მან იხელმძღვანელოს ასეთი მეთოდითა და მოსაზრებებით. მე პირადად კი ერთ ხალხურ რიცხვს ვენდობო: როცა ორი ადამიანი ერთნაირად იქცევა, ეს სულაც არ არის უფრო მეტსაც ვეტყვით, იმასაც ვფიქრობ, რომ ისეთი იარაღი არ არსებობს, რომელიცა, მაგალითად, „ლოთი“, „უომარბაზი“ ან თუნდაც „მრუში“, არამცთუ ვერ ახასიათებს და ბოლომდე ვერ ამოწურავს ამა თუ იმ კონკრეტულ ცოცხალ შემთხვევას, არამედ მეტწილად მას სერიოზულად ვერც კი განმარტავს ხოლმე, ასეთი გახლავთ ჩემი შეხედულება და დაე, სხვამ როგორც უნდა იყოს განსაჯოს, ოღონდ ნურავის დააეიწყდება, რომ აღსარებას ჩემი ნებით ვერ და რაც არ მიხდოდა, ის შემედლო საგულდაგულოდ დამეფარა კიდევ.

ეს ინტერმედია, მართალია, კარგი ტონის ფარგლებში, მაგრამ ასე დაწვრილებით მაინც იმიტომ ვიამბეთ, რომ, მე მგონია, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი აღზრდა-განათლებისათვის: არა იმ აზრით, თითქოს მას განსაკუთრებით გაეფართოებინოს ჩემი თვალსაწიერი, ან ჩემი ბიურვერული-ზნე-ჩვეულებანი დაეხვეწოს და გაეფაქიზებინოს, არა, საამისოდ აღმოსავლეთის ეს ევლური ყვაფილი არამც და არამც არ გამოდგებოდა, და მაინც სიტყვა „დახვეწა“ აქ არცთუ უადგილო ჩანს, მით უმეტეს, რომ უკეთესი ვერც მიპოვია, თორემ მას ვამჯობინებდი ჩვენი ლექსიკური ფონდი სხვას არც არაფერს გვთავაზობს იმ სარგებლის აღსანიშნავად, რაც ჩემში შინაგანმა სამყარომ შეიძინა ამ მკაცრ საყვარელთან და დამრიგებელთან ურთიერთობისაგან, რომლის მოთხოვნები უაღრესად სერიოზულ მეტოქეობას უწევდა იმის ნიქსა და უნარს, ოღონდ აქ უფრო სიყვარულის მეშვეობით დახვეწა იგულისხმება და არა სიყვარულში დახვეწა, ამაზე აქცენტის დასმა ძველი გასაგები არ უნდა იყოს, რადგან იგი მიუთითებს როგორც მათ შორის არსებულ განსხვავებაზე, ასევე მიზნისა და საშუალების შერწყმაზეც, სადაც ერთს უფრო ვიწრო და სპეციფიკური, ხოლო მეორეს უფრო განმაზოგადებელი მნიშვნელობა ენიჭება. წინამდებარე ფურცლებზე სადღაც აღვნიშნე, ცხოვრება ყოველთვის ისეთ საგანგებო მოთხოვნებს უყენებდა ჩემს სულიერ ძალებს, რომ თავს ნებას ვერ მივცემდი ნერვების დამასუსტებელ ვნებადღევას გავეყოლოდი-მეტქი, მაგრამ იმ ნახევარი წლის განმავლობაში, რომელიც აღბეჭდილი იყო ნაკლებად წესიერი, მაგრამ მაშაქრობას სახელით, მე სწორედ იმას ჩავდიოდი, რასაც ის საღანძღავი სიტყვა — „ნერვების დასუსტება“ ერქვა, თუმცა ამ სანიტარული ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვის ხმარება ამდაგვარ იშვიათ შემთხვევებში ნამდვილად საეჭვო მეჩვენება, მე თუ მკითხავთ, სწორედ ნერვების დამასუსტებელი გარემოება ცვიფორიაქებს ნერვებს და გარკვეული წინამძღვრების ირსებობისას ძალს გვანიჭებს საქვეყნოდ გამოვეფინოთ და საყოველთაო ალტაცების საგანი ვავსდეთ, რაც, სხვათა შორის, სულაც არ გახლავთ ნერვებდაწყნარებულ კაცის საქმე, მე პირადად თავი მომწონს, ახალი ცნება „ნერვების აფორიაქება“ რომ გამოვიგონე, ამით ექსპრომტად ვამდიდრებ ლექსიკურ ფონდს, რათა ჩემი გამოგონილი ცნება ზნეობის თვალსაზრისით უბადალებულ გამონათქვამს — „ნერვების დასუსტებას“ მეცნიერულად დაუპირისპირდეს, ისე კი, ჩემი ცხოვრებისეული სისტემის საფუძვლებიდან გამომდინარე, კარგად ვიცი, ცხოვრების ცალკეულ მონაკვეთს ისე ნატიფად და ელეგანტურად ნამდვილად ვერ გავივლიდი, მანამდე როზას უხამსი სიყვარულის სკოლა რომ არ გამეგლო.

მეხვიდე თავი



მიქელ მთავარანგელოზის დღის მოახლოებასთან ერთად შემოდგომის
 სეზონში ჩარიგებულ ხეებს ფოთლები შემოაძარცვა და დადგა ის წამიც, რომ
 ნათლია შიმელპრისტერის საერთაშორისო ნაცნობობის წყალობით ჩემს
 დღის გამზადებულ სამუშაოს უნდა შევდგომოდი. ამგვარად, ერთ ხალხთან
 დილას სიყვარულით დავემშვიდობე დედას. რომლის პანსიონი უკვე იმდენ
 ხალხს ჰყვავდა, რომ მოახლის აყვანა შეეძელით, და აი სწრაფად მსრბოლავი
 ბორბლები ყმაწვილ კაცსა და მის მცირე, ერთ პატარა ჩემოდანში ჩასატევ
 აღადიდებდას ახალი მიზნისაკენ, არც მეტი და არც ნაკლები — საფრანგეთის
 დედაქალაქისაკენ მიგვაქროლებდა.

მიიჩქაროდნენ, მირახრახებდნენ, სვლას უნებლადნენ მესამე კლასის ვაგონის ბორბლები, სადაც ერთმანეთში გამავალ კუბეებში ყვითლად შეღებილ ხალხს სკამებზე მთელი დღის განმავლობაში თავის ჩვეულ ცხოვრებას ეწეოდა. ხელის შემალონებლად უღიმღამო უამრავი მგზავრი—ხვრინავდნენ, იცოზნებოდნენ, ლაყბობდნენ და კარტს თამაშობდნენ. გულს მხოლოდ ორიდან ოთხ წამამდე ასაკის ბავშვები თუ ეკარებოდნენ; თუმცა ისინი დროგამოშვებით დასვენდნენ და ღრიალებდნენ კიდევ. დედაჩემის გამლტანებულ ქალაქის ბარკში სხვა სასუსნავს შორის, იაფფასიანი რბილი კამფეტებიც მეწყო და ბავშვებს იმით ვუმასპინძლდებოდი; საერთოდ, თუკი რამე გამაჩნდა, ყოველთვის უშურველად ვუნაწილებდი ხოლმე სხვებს და მერეც ჩემს ხელში რაც მდიდართა ქონება გადმოდიოდა, სხვისთვის არც ის დამნაანებია. პატარები წამდაუწუმ ბაჭბაჯით მაკითხავდნენ, გაწებულ პაწია ხელებს მიფართობდნენ, რალაცას მეტიტინებოდნენ და, მათდა გასახარად, მეც იმათებურად, ტიტინით ვბასუხობდი. ბავშვებს რომ ვართობდი, უფროსები კეთილი ნიშნით მიმზერდნენ, თუმცა მათგან შორს მეჭირა თავი და ბავშვებსაც მათი გულის მოსაგებად როდი მივფერებოვარ. დღის მატარებლით მგზავრობამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ რაც უფრო ფაქიზი გრძნობა-გონებითაა აღაშინი დაჯილდოებული, მით უფრო იოლად შეიგრძნობს სხვების მომნიშვნელობას და მით უფრო უწამლავს გუნებას ნაყარნუყარა ადამიანების ყურებას, მშვენივრად ვიცი, რომ ამ ხალხის ბრალი არაა მათი უგვანობა; ისიც ვიცი, მათაც აქვთ თავიანთი პატარა სიხარული და მძიმე საწუხარი, მოკლედ, ისინიც ცოცხალი ადამიანებით ცხოვრობენ—უყვართ, იტანჯებიან და ცხოვრების გზას ეწევიან. ზნეობის პოზიციიდან თუ მივუდგებით, ყოველი მათგანი ღირსაა თანაგრძნობისა. მაგრამ სილამაზის ისეთი ხარბი და გასათუთებელი შეგრძნება, როგორც ბუნებისგან მე მქონდა მომადლებული, შაიძულებდა მათთვის ზიზღით ამერიდებინა თვალი. ამდაგვარ ხალხზე, სანამ ნორჩები არიან, მანამდე თუ მიგივა გული, აი, ისე, როგორც მე ვუმასპინძლდებოდი მათ ბავშვებს, ტიტინში ვბაძავდი, ამით გულიანად ვაცინებდი და გულლიობის ხარკს ასე ვიხდიდი.

სხვათა შორის, აქვე მინდა ჩავუროთ და მკითხველს დავემშვიდო, რომ იმ დღეს უკანასკნელად ვიმგზავრე მესამე კლასის ვაგონით, როგორც იმ ბედკრულთა თანასწორმა, რომელიღაც უცნობი, მაგრამ შეუცდომელი კანონებით ამოქმედდა ის ძალა, რასაც ბედს ეძახიან და რაც სინამდვილეში ჩვენ თვითონა ვართ და სულ მოკლე ხანში გამოიძებნა გზები და ხერხები, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორებულყო.

იმ დღეს ბილეთი, ცხადია, სრულ წესრიგში მქონდა, ოღონდ რაღაც უჩვეულოდ ვტკბებოდი იმის შეგრძნებით, ბილეთი რომ უზადოდ მქონდა მოწესრიგებული, აქედან გამომდინარე, მეც რომ უზადოდ ვაწვავი მოწესრიგებული და უბეშ შინელებში გამოწყობილმა, ენერჯიულმა კონდუქტორებმა დღის განმავლობაში ჩემს ხით შემოტყედილ კუბურულში რამდენჯერაც მომაკითხეს, ბილეთი გამისინჯეს და თავიანთი კანგით გამიხვრიტეს. იმდენჯერვე უსიტყვოდ გამოხატული ოფიციალური კმაყოფილებით რომ დამიბრუნეს იგი. დიახ, უსიტყვოდ და უმეტყველოდ, ანუ ლამის უსიცოცხლო აფექტაციამდე მისული გულგრილობით, რამაც ერთხელ კიდევ დამაფიქრა ერთ საყოველთაოდ გავრცელებულ გარემოებაზე: რატომ ეუფლება ადამიანს, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოხელეს, ისეთი გაუცხოების გრძობა, რომ ჰგონია, თავის თანამოძმის მიმართ იოტისოდენა ცნობისმოყვარეობაც კი არ უნდა გამოიჩინოს. ეს მუყაითი კაცი, ჩემს კანონიერ ბილეთს რომ ხვრეტდა, ამით ირჩენდა თავს, სადღაც თავისი ოჯახი ელოდა, თითზე ნიშნობის ბეჭედი ეკეთა და ალბათ ცოლიც ეყოლებოდა და შვილებიც. მე კი თავი ისე უნდა დამეჭირა, თითქოს სულ არ მაინტერესებდა მისი ასავალ-დასავალი და ამიტომ ყოველი ჩემი შეკითხვა, რაც გაამხელდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ მარიონეტად არ თვლიდა, უაღრესად უხერხული გამოჩნდებოდა. ანდა პირიქით, მეც ხომ მქონდა ჩემებური ცხოვრებისეული ჭირვარამი, რაზეც შეიძლებოდა იგი თავის თავს ჩაჰკითხოდა, ან ჩემთვის ეკითხა, მაგრამ ან არ ჰქონდა ამის უფლება, ან ასეთი გაშინაურება საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა. ბილეთი წესრიგში მქონდა თუ არა — აი ამით ამოიწურებოდა ყველაფერი, რაც მას ჩემი პიროვნებისაგან, ანუ მგზავრ-მარიონეტისგან აინტერესებდა, ხოლო რა მელოდა მას შემდეგ, რაც ჩემს ბილეთს ვადა გაუვიდოდა და ჩამომართმევდნენ. ეს მისი უსულო მზერის მიღმა რჩებოდა.

რაღაც საოცარი არაბუნებრიობისა და, თუ გნებავთ, ხელოვნურობის დალი აზის ასეთ საქციელს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წესისგან გადახვევაც შორს წაგვიყვანდა, მით უმეტეს, რომ წესის მსუბუქი დარღვევაც კი მეტწილად უხერხულობას იწვევს. მართლაც, საღამოხანს, ერთმა მოხელემ, რომელსაც სარტყელზე ფარანი ეკიდა, ეტყობა, ჩემი სიყმაწვილის გამო, შედარებით ხანგრძლივად შეაჩერა ჩემზე მზერა და ბილეთი ღიმილით დამიბრუნა.

— პარიზში მიდიხართ? — მკითხა მან, თუმცა ჩემი მოგზაურობის მიზანი ნათელი და აშკარა ჩანდა.

— დიახ, ბატონო ინსპექტორო, — მივუგე მე და თავი გულთბილად დავუქნიე. — ჩემი გზა იქით მიემართება.

— იქ რა გესაქმებათ? — ჩამეძია იგი.

— როგორ გითხრათ, რეკომენდაციები მიმაქვს თან, რომ იქ ერთ სასტუმროში ვიმუშავო, — ვუპასუხე მე.

— დახე, დახე! — მომიწონა მან, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— თქვენც, თქვენც, ბატონო უფროსო კონტროლიორო, — მივაგებე მე და დავსძინე: — მომიკითხეთ თქვენი ცოლ-შვილი!

— გმადლობთ, გმადლობთ, დიახ, დიახ! — უხერხულად გაიცინა მან, ორიოდ სიტყვა უცნაურად წაიბუტბუტა და სასწრაფოდ გამშორდა, მაგრამ რაღაცას წამოედო და წაიბორძიკა, თუმცა იატაკზე არაფერი ყოფილა ამო-



ბურცული; აი, ადამიანურობის გამოჩენამ ამ პატიოსან კაცს როგორ დაა-
კარგვინა წონასწორობა.

სასაზღვრო სადგურზეც, სადაც საბაჟო კონტროლის გასასვლელად პატარა
რეზინიდან ყველანი ჩამოვედით, მხიარულად და ლაღად ვგრძნობდით თავს
და ჩემს რიგს გულდამწვინებელი ველოდი, რადგან ჩემს პატარა ჩემს ჩემს
არაფერი მქონია ისეთი, რაც მეზაყვეების თვალისგან უნდა დამემალოს, ან
ხანგრძლივ ლოდინს გაუფუჭებია ჩემთვის გუნება (თავისთავად გასაგებია,
რომ მოხელეები წარჩინებულ მგზავრებს უპირატესობას ანიჭებდნენ და მდა-
საღთ ალოდინებდნენ, სამაგიეროდ ამ უკანასკნელთა ავლადიდებას მერე-
პით უფრო გულმოდგინედ ქეჭავდნენ და აქიაქებდნენ.). მე იმ კაცსაც წი-
ნასწარ მომზადებული ფრაზებით დავუწყე ლაპარაკი, ვის წინაშეც ჩემი ავ-
ლადიდება უნდა გამომეფინა, ისიც თავიდან ყოველ პერანგსა და წინდას
ბერტყავდა, იქნებ რაიმე აკრძალული გადმოვარდესო, მაგრამ მისი გული
მალე მოვიწადირე და ყველაფერი აღარ ამოუფრიალებია. კერძოდ, ფრანგები
სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებიან მეტყველებას და ფრიად სამარ-
თლიანადაც! სწორედ მეტყველება განასხვავებს ადამიანს პირუტყვისაგან!
მოდან გამომდინარე, უეჭველად გონივრულია ერთი მოსაზრებაც: ადამიანი
ით უფრო შორს დგას პირუტყვისაგან, რაც უფრო უკეთ მეტყველებს იგი-
და თანაც მეტყველებს არა სხვა რომელიმე ენაზე, არამედ ფრანგულად, ვი-
ნაიდან ფრანგი ერის აზრით, ადამიანის სალაპარაკო ენაა ფრანგული. ჩემი
წარმოდგენით, ზუსტად ასევე ფიქრობდა ლალი ძველი ბერძენი ხალხი —
ადამიანს აზრის გამოთქმა მხოლოდ ჩვენს ენაზე შეუძლია, ყველა სხვა ენა
ბარბაროსული ყაყანი და ყიყინია და სხვა არაფერია. დანარჩენმა მსოფლიო-
მაც, ძალაუნებურად, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც გაიზიარა ეს აზრი და ბერძ-
ნული ენა ისევე აღიარა ყველაზე დახვეწილ ენად, როგორც დღეს ჩვენ ფრან-
გულს ვაღიარებთ.

— Bonsoir, monsieur le commissaire! — მივესალმე მეზაყეს და სიტყვა
„commissaire“-ს მესამე მარცვალი თავისებური ყრუ წამლერებით გავაგრძე-
ლე. — Je suis tout à fait à votre disposition avec tout ce que je possède.
Voyez en moi un jeune homme très honnête, profondément dévoué à la
loi et qui n'a absolument rien à déclarer. Je vous assure que vous n'avez
jamais examiné une pièce de bagage plus innocente.¹ — Tient! — თქვა მან
და უფრო კარგად დამაკვირდა. — Vous semblez être un drôle de petit bon-
homme. Mais vous parlez assez bien. Etesvous Français?²

— Qui et non, — მივუთხე მე. — A peu près. A moitié — à demi, vous
savez. En tout cas, moi, je suis un admirateur passionné de la France et
un adversaire irréconciliable de l'annexion de l'Alsace-Lorraine!³

1. საღამო მშვიდობისა, ბატონო კომისარო. მე და ჩემი ავლადიდება თქვენს განკარგულე-
სში ვართ. თქვენ წინაშე დგას უპატიოსნესი ახალგაზრდა, კანონის უდიდესი პატივისცემელი
თქვენგან არაფერი არ დამითარავს, გარწმუნებთ, რომ თქვენ არასოდეს გაგისინჯავთ ამაზე უც-
რველი ბარგი. (ფრანგ.)

2. თქომ კარგი კონკა ჩახხართ. მაგრამ კარგად კი ლაპარაკობთ, ფრანგი ხართ? (ფრანგ.)

3. ჰოც და არაც. თითქმის. ასე ვთქვათ, სანახევროდ, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის
გუნებაზე თავყანისმცემელი ვახლავართ და ვერ ვურიგდები საფრანგეთისგან ელზას-ლოთარ-
ინის ჩამოცილებას. (ფრანგ.)

ამ სიტყვებზე მას, შეიძლება ითქვას, სახეზე ერთდროულად აღებეჭდა სიბოკაცრე და თანაგრძნობა.

— Monsieur, — საზეიმოდ წარმოთქვა მან, — je ne vous gêne plus long temps. Fermez votre malle et continuez votre voyage à la capitale du monde avec les bons vœux d'un patriote français!

სანამ ურიცხვ მადლობას მოვახსენებდი და თან ჩემს რამდენიმე ხელ თეთრულს მოვბოჭავდი, მან ჯერ კიდევ თავახდელ საკვოიამზე უკვე მოასწრო ცარციით თავისი ნიშნის დასმა. ამ ფაციფუცში ჩემმა საკვოიამმა უნებურად დაკარგა სამართლიანად ხოტბაშესხმული უბიწოება და შიგ, მანამდე რომ არ დებულა, ერთი ისეთი ზედმეტი წვრილმანი ნივთი მოხვდა. ზედ ჩემ გვერდით თუნუქგადაკრულ კარადასა და ბარგის ამოსალაგებელ დახლზე, რომლის მეორე მხარეს საბაჟოს მოხელეები იდგნენ, წავის ქურქში გამოწყობილი, ყანჩის ფრთებიანი ზარისებური ხავერდის ქუდით თავშემკული ერთი შვიხნის ქალბატონი იდგა და მისი ბარგის შემმოწმებელ მოხელესთან საკმაოდ ცხარე დისპუტი ჰქონდა გაჩაღებული, რადგან ეს უკანასკნელი აშკარად განსხვავებული აზრის ბრძანდებოდა ქალბატონის ქონების ერთ-ერთ ნაწილზე. ანუ რაღაც მაქმანებზე, რომელიც იმ წუთში ხელში ეჭირა. დახლზე დახვავებული მშვენიერი ბარგიდან, საიდანაც მოხელეს სადავო მაქმანები ამოეღებოდა, ბევრი რამ ჩემი ნივთების ახლოს იდო, ზედ ჩემს ნივთებთან კი კუბივით დაკუთხული, პატარა ტარსიკონის ყუთი მოხვდა, იგი ძალიან წააგავდა ძვირფასეულობის ზარდახშას და სწორედ იმ წუთში, როცა ჩემმა ძმობილმა საბაჟოს ნიშანი მარგუნა, ის ყუთი უეცრად ჩემს საკვოიამში ჩასრიდა. ეს უფრო შემთხვევა იყო, ვიდრე ავი განზრახვა, თითქოს უცაბედად წამცდენოდეს ხელი, სასხვათაშორისოდ, მარდად და ხალისიანად, ჩემი საქციელი, ასე ვთქვათ, ბუნებრივად მოჰყვა იმას, ჩემმა ენამჭევრობამ ქვეყნის ავტორიტეტულ პირთან რომ დამაძმობილა და კარგ გუნებაზე დამაყენა. მართლაც დარჩენილ გზაზე თითქმის აღარც გამხსენებია ჩემი უცაბედი ნადავლი, მხოლოდ ერთხელ გამიელვა გონებაში კითხვამ, იმ ქალბატონმა ბარგის ჩალაგებისას ის ყუთი თუ მოისაკლისამეთქი. აბა იმ წუთში რა ვიცოდი, სულ მალე ზუსტად რომ შევიტყობდი.

აი, ბოლოს და ბოლოს ჩემმა მატარებელმაც სვლა შეანელა და შეჩერებებიანად თორმეტი საათის მგზავრობის შემდეგ, ჩრდილოეთის სადგურში შევედით. სანამ მეზარგულეები ენაწყულიანად ემსახურებოდნენ ბარგით დაბუნძლულ შეძლებულ მგზავრებს, რომელთა ნაწილს დამხვედრი მეგობრები და ახლობლები ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ, სანამ კონდუქტორები გარჯას არ თავილობდნენ და მეზარგულეებს კარ-ფანჯრიდან ხელჩანთებს და პორტპლედებს აწვდიდნენ, მესამე კლასის თანამგზავრების ბრბოში გარეული ყარბიჭაბუკი წყნარად ჩამოვიდა ვაგონიდან, მას თავის ჩემოდანი თვითონვე ეჭირა, მისთვის არც არავის მიუქცევია ყურადღება და ასე მარტოდმარტო გამოვიდა აყაყანებული, საკმაოდ ულაზათო ვაგზლის შენობიდან გარეთ. ცრიდა და ატალახებულ ქუჩაზე ჩემოდნით ხელში მომავალს რომ მხედავდნენ, მეეტლეებიდან ხან ერთი დამიქნევდა მათრახს და ხან მეორე და მომაძახებდა, mon petit.

1 მუსიო, მეტს აღარ დაგაბრკოლებთ. შეგიძლიათ დაკეტოთ ჩემოდანი და განაგრძოთ გზამსოფლიოს დედაქალაქისაკენ: თქვენ დავემგზავრებით ფრანგი პატრიოტის კეთილი სურვილები (ფრანგ).

mon vieux.¹ მოდი წაგიყვანოთო, მაგრამ მგზავრობის საფასური აბა რით უნდა გადამეხადა? ფული თითქმის სულ არ მქონდა. იქნებ იმ ყუთს კი შევეძლოთ გამოეკეთებინა ჩემი ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ მის შიგთავსს ასე შეაქუჩაში ზომ ვერ მოვიხმარდი. ესეც არ იყო, არ შემშვენოდა. ჩემს სამუშაო ადგილამდე ფიაკრით მივბრძანებულყავი. განზრახული მქონდა სანტუშის² რომელიც ალბათ საკმაოდ შორს იყო აქედან, ფეხით მიმეღწია. გამვლულ შემდროდადრო თავაზიანად ვეკითხებოდი, ვანდომის მოედანთან რომელი გზით უნდა მივიდეთ-მეთქი (გარკვეული მოსაზრებით არც სასტუმროს ვახსენებდი და არც სენტ-ონორეს ქუჩას), მაგრამ ისინი მეტწილად ნაბიჯებსაც არ ანელებდნენ და ჩემს კითხვას ყურსაც არ ათხოვებდნენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, მათხოვარს არაფერი მიგავდა, რადგან ჩემმა კარგმა დედიკომ რამდენიმე ტალერი გაიმეტა და ასე თუ ისე გამომაწყო სამოგზაუროდ. ფეხსაცმელს ლანჩა ახალი გამოცვლილი მქონდა და შეკეთებულიც იყო. ტანთ მეცვა გულჯიბეებიანი თბილი ქურთუკი, თავზე მშვენიერი სპორტული ქუდიც მეხურა, საიდანაც მომხიბლავად მომიჩანდა ქერა კულულები, მაგრამ ჩემისთანა ლლაპს, რომელიც მებარგულს არ გარჯის, თავის ბარგი-ბარხანას ქუჩაში თვითონ დაათრევს და ფიაკრის დაქირავების თავი არა აქვს. ჩვენი ცივილიზაციის პირმშონი შეხედვისა და ხმის გაცემის ღირსად არ თვლიან. უფრო სწორად, რალაც შიში აჩერებთ და მასთან უბრალო ურთიერთობასაც კი გაურბიან: მას ხომ ერთი საშიში და საეჭვო თვისება აქვს, სახელდობრ, სიღარიბე. რაც კიდევ უარეს ექვეებს ბადებს და საზოგადოებასაც ამიტომ ჰგონია, გარემოებათა ასეთი ხელშეწყობილი პროდუქტის დანახვაზე თვალი უნდა დაიბრმავოს. სიღარიბე სამარცხვინო არ არისო, ნათქვამია, მაგრამ ეს მხოლოდ ითქმის ასე, თორემ შეძლებულთ სიღარიბესთან შეხვედრა აკრთობთ, ლამის მანკიერებად და სასაყვედუროდ მიაჩნიათ. საერთო ჯამში ზიზღს ჰგვრით და მასთან ურთიერთობას გაურბიან, რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყაროთო.

ადამიანების ამგვარი დამოკიდებულება სიღარიბესთან ხშირად მტკივნეულად განმიცდია და ამას აქაც ვერ ავცდი. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი დღე დილო გავაჩერე, რომელიც არ ვიცი, რატომ მოაგორებდა რალაც ჭურჭლით სავსე ძველ საბავშვო ეტლს; ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც არათუ მასწავლა გზა, არამედ ის ადგილიც ამიწერა, სადაც ომნიბუსის ხაზი გადიოდა და იმ ცნობილ მოედანამდე მიმიყვანდა. ის რამდენიმე სუ, რაც ეს ტრანსპორტი დამიჩადებოდა, კი მეშოვებოდა და ამიტომ გამიხარდა ამ ცნობის მოპოვება. გზის სწავლებისას ალერსიანი ღიმილით რაც უფრო დიდხანს მიყურებდა სახეში ის კეთილი დედაბერი, მით უფრო ფართოდ ეღებოდა უკბილო პირი. ბოლოს კი თავისი ხეშეში ხელი ლოყაზე მომითათუნა და მითხრა:

— Dieu vous bénisse, mon enfant!² — და უნდა გითხრათ, ამ ალერსმა უფრო დიდი ბედნიერება მომანიჭა, ვიდრე შემდგომ ბევრ უფრო ლამაზ ხელს მოუნიჭებია.

ჩამოსულ კაცზე, ვინც ხსენებული სადგურიდან გაუყვება ტროტუარებს, პარიზი სულაც არ აბდენს აღმაფრთოვანებულ შთაბეჭდილებას, მაგრამ ფუფუნება და დიდებულება მართლაც მატულობს, რაც უფრო უახლოვდება ქალაქის გულში მოქცეულ გრანდიოზულ მოედნებს. და აი, ვიჯექი ომნიბუსში დასა-

¹ ჩემო პატარავ, ჩემო ძვირფასო! (ფრანგ.).

² გუარვიდეს უფალი, ჩემო შვილიკო! (ფრანგ.).

კეთილშობილ ვიწრო სკამზე. ჩემი საკვთივე მუხლებზე მედო და თუ შემკრთა-
 ლი არა რადგან ვცდილობდი კრომა ვაფეცურად დამეძლია და ვინც ვინც
 ბითა და ნეტარებაშერეული მოწიწებით მაინც შევეცქეროდი ადგილზე
 ავენიუებსა და მოედნებს ეკიპაჟების რიარისა, ხალხით ვაჭყლედილ ჰქონდა, გა-
 ჩახჩახებულ, ათასგვარი საქონლით სავსე მალაზიებს, სტუმრულნი კაფე-
 რესტორნებს, თვატრების თვალისმომკრელ, კაშკაშა ნათურებით გაჩითადდნ-
 ბულ ფასადებს, ხოლო კონდუქტორი იმ ადგილებს ასახელებდა, ჩემი საბრალო
 მამის ბაგეთაგან ნაზად წარმოთქმული რომ გამეგონა:

Place de la Bourse, Rue du Quatre Septembre, Boulevard des Ca-
 pucines, Place de l'Opéra.

გეიასს გაზეთის გამყიდველთა ყივილი კვეთდა და ეს ხმაური ყურებს
 გიყრუებდა, ხოლო თვალისმომკრელი შუქი გონებას გიბინდავდა, კაფეების
 წინ ჩარდახქვეშ, პატარა მაგიდებთან ქუდითა და პალტოთი იჯდა ხალხი,
 ხელჯობები მუხლებზეა მოექციათ და თითქოს პარტერში ფასიან ადგილებზე
 მსხდარიყვნენ, ისე ათვალეირებდნენ მათ წინ ჩავლილ ტრანსპორტსა თუ
 გამვლელ-გამომვლელს, მათ ფეხებზეა კი შავ-შავი ფიგურები დაძვ-
 რებოდნენ და სიგარის ნამწვევებს კრუფდნენ, ეს ამბავი მაგიდასთან მსხდომთ
 სულაც არ აწუხებდათ და მათ ირგვლივ გამალეებულ ცოცვა-ფორთხვას აინუნ-
 შიაც არ აგდებდნენ ეტყობა, ნამწვევებზე ნადირობასაც იმ ცივილიზაციის
 ბუნებრივ და ნებადართულ მოვლენად თვლიდნენ, რომლის ხალისიან ფუს-
 ფუსს თავიანთი საფარიდან სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს.

ოპერის მოედანს ვანდომის მოედანთან მედიდური მშვიდობის ქუჩა აკავ-
 შირებს და ომნიბუსიდან სწოლედ აქ, ძღვევამოსილი იმპერატორის ქანდაკებით
 დაგვირგვინებულ სვეტთან ჩამოვედი, რათა აქედან ფეხით განმეგრძო გზა
 და მომეძებნა სენტ-ონორეს ქუჩა, რომელიც, ყოველ განათლებულ ადა-
 მიანს მოენსენება, რივოილის ქუჩას პარალელურად გასდევს, ქუჩას
 იოლად მივაგენი და შორიდანვე საკმაოდ მკაფიოდ გავარჩიე სასტუმ-
 როს სახელიც—მაღალ-მაღალი, მანათობელი ასოებით გამოყვანილი წარწერა—
 saint James and Albany.²

სასტუმროსთან მისულს ჩვეულებრივი სურათი დამხვდა — წამსვლელებს
 აცილებდნენ და ჩამოსულთ ეგებებოდნენ, ჩემოდნებით დატვირთულ დაქი-
 რავებულ ეკიპაჟებთან წასასვლელად გამზადებული ბატონები იდგნენ და
 იმათ ასაჩუქრებდნენ, ვისაც მათგან გასამრჯელო ერგებოდა, სხვა ლაქიები
 კი ამ დროს ახალჩამოსულთა ბარგს შიგნით ეზოდებოდნენ, მე პირადად ჩე-
 მი ნებით ვიწვევ მკითხველის ღიმილს, რაკი მინდა გამოგიტყდეთ, როგორ
 მიკვირდა იმათი გამბედაობა, ამ მედიდურ და ძვირადღირებულ სასტუმროში
 თამამად რომ შედიოდნენ, განა უფლება და მოვალეობა არ უნდა შერწყმული-
 ყო და ჩემთვის არ უნდა შთაებერა გამბედაობა? განა მეც აქ არ ვიყავი გამ-
 წესებული და დაბანაკებული და განა ჩემი ნათლია შიმელპრისტერი ამ და-
 დაწესებულების ბატონ-პატრონს შენობით არ ელაპარაკებოდა? მიუხედავად
 ამისა, თავმდაბლობის გრძნობამ მიკარნახა იმ ორი მბრუნავი შუშის კარის
 მაგიერ, რომლითაც სტუმრები სარგებლობდნენ, გვერდითა ღია შესასვლე-

¹ ბირკის მოედანი, 4 სექტემბრის ქუჩა, კაპუცინების ბულვარი, ოპერის მოედანი (ტრანსკ.)
² სენტ-ჟეიმსის ენო-ლობ-სან-ალბანი.

ლი გამომეყენებინა, საიდანაც შეპარგულები შედიოდნენ. არ ვიცი, მათ ვინ ვეგონე. ეს კია, აქედან შესვლა არ გეკუთვნითო, ამ მიზეზით შენ გამომაბრუნეს, მეც მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. ჩემი საკუთარი სასტუმროში ერთ-ერთი დიდებული კარით უნდა შევსულიყავი, ჩემდა საპარტუზინოდ. კარი წესიერად ვერ შემოვატრიალე და წითელქურთყანს შევსულიყავი კარისკაცის მოშველიება დამჭირდა.

— Dieu vous bénisse, mon enfant! — ჩემდა უნებურად იმ კეთილი დედაბრის სიტყვებით დავლოცე იგი და მასაც იმ ბავშვებით გულიანი სიტყვი წასკდა, მატარებელში რომ ვეთამაშებოდი.

შესვლისთანავე პორფირის სვეტებითა და ანტრესოლის სიმაღლეზე შემოვლებული გალერეით შემკულ დიდებულ დარბაზში აღმოვჩნდი, იქ უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა, ხოლო სამგზავროდ გამოწყობილი ადამიანები, მათ შორის ქალბატონებიც, სვეტებთან მიდგმულ ღრმა სავარძლებში ისხდნენ და კალთაში აცახცახებული ფინიები ესვათ. ერთმა ლივრეიანმა ყმაწვილმა მეტისმეტი გულმოდგინება გამოიჩინა და ლამის ხელიდან გამომგლიჯა საკუთიანი, მაგრამ მე არ დავანებე, იოლად გამოვიცანი, რომელი იყო კონსიერჟის ადგილსამყოფელი და გეზი მარჯვნივ ავიღე, სადაც ერთი მიზნედილი, ცივად მზირალი, მოსირმულ ფრაკში გამოწყობილი, ალბათ მალალ გასამრჯელოს ნაჩვევი კაცი მის მაგიდასთან თავმოყრილ საზოგადოებას სამ თუ ოთხ ენაზე აძლევდა ინფორმაციას და შიგადაშიგ ჰოტელის ბინადართ თავაზიანი ღიმილით მათი ოთახების გასაღებს აწვდიდა. კარგა ხანს მომიწია რიგში დგომა, სანამ დროს ვიხელთებდი და შევეკითებოდი, რომ არ იცით, გენერალური დირექტორი ბატონი შტიურცლი სასტუმროში თუ ბრძანდება და სად შეიძლება ვეახლო-მეთქი.

— თქვენ მუსიო შტიურცლის გნებავთ ელაპარაკოთ? — შეურაცხყოფელი გაოცებით მკითხა მან. — კი მაგრამ, ვინ ბრძანდებით?

— ამ დაწესებულების ახალი მოსამსახურე, — ვუპასუხე მე, — პირადად გენერალურ დირექტორთან ვარ საუკეთესო რეკომენდაციით გამოგზავნილი.

— Étonnant! — მომიგო ამ მედიდურმა კაცმა და გულსაკლავი დაცინვით დასძინა: — ეკვიც არ შეპარება, მუსიო შტიურცლი დიდი ხანია მოუთმენლად ელოდება თქვენს ვიზიტს, თუ არ შეწუხდებით, რამდენიმე ნაბიჯი გაიარეთ და მიმღებ ბიუროში მიბრძანდით.

— ათას მადლობას მოგახსენებთ, monsieur le concierge,² — მივუგე მე. — გისურვებთ მომავალშიც ყოველი მხრიდან მდიდრულ გასამრჯელოს ედინოს თქვენკენ, რათა მალე შეგძლებოდეთ სამსახურიდან წასვლა და მშვიდად ცხოვრება.

— იდიოტი! — გავიგონე, როგორ მომაძახა მან, მაგრამ არც მწყენია და არც გული მომსვლია. ჩემი ხელბარგით მიმღები ბიუროსკენ გავემართე და ისიც მართლა კონსიერჟის ადგილსამყოფელიდან ორ ნაბიჯზე, ჰოლის იმავე მხარეს აღმოჩნდა. ბიუროს კიდევ უფრო მეტი ხალხი ესია. უამრავი მგზავრი მიმართავდა მკაცრ სმოკინგებში გამოწყობილ ორ მამაკაცს, კითხულობდნენ თავიანთი შეკვეთის ამბავს, იღებდნენ მათთვის განკუთვნილი ოთახების

¹ საოცარი (ფრანგ.).

² ბატონო კონსიერჟო (ფრანგ.).

ნომრებს და ანკეტებს ავსებდნენ. მაგიდასთან მისვლა დიდ მოთმინების ფასად დამიჯდა; ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი ბატონის წინაშე აღმოვეჩნდი. ეს იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ულვაშაპრებილი, პენსიონური კაცო, რომელსაც ჰაერზე იშვიათად ყოფნის გამო სახეზე მკვეთრად იგრძნობოდა.

— თქვენ ოთახი გნებავთ? — მკითხა მან, რადგან მასთან მისვლას მოკრძალებით დაველოდე.

— არა, რას ბრძანებთ, ბატონო დირექტორო. — ღიმილით მივუგე მე. — მეც აქ ვმუშაობ, თუკი უფლება მაქვს. უკვე ასე ვთქვა. ჩემი გვარია კრული, სახელი — ფელიქსი. გამოვეცხადე ბატონ შტიურცლისა და მის მეგობარს, ჩემს ნათლია პროფესორ შიმელპრისტერს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. ასე რომ...

— იქით მიბრძანდით! — მიბრძანა მან ჩუმად და მოუთმენლად. — არა, მანდ არა! კიდევ უფრო შორს დადექით! — დასძინა მან, უფერულ სახეზე მსუბუქმა სიწითლემ გადაჰკრა და ისე აფორიაქებულმა მიმოიხედა ირგვლივ. თითქოს საზოგადოებაში ახალი მოსამსახურის ასე, ფორმის გარეშე, ჩვეულებრივი ადამიანური სახით გამოჩენა მისთვის დიდად სამარცხვინო ყოფილიყო. და მართლაც, მის მაგიდასთან მდგარმა რამდენიმე კაცმა ცნობისმოყვარე მზერა მომაპყრო. ზოგმა ფორმულარის შევსებასაც კი დაანება თავი და მე შემომხედა.

— Certainement, monsieur le directeur! — ვუპასუხე ყრუ ხმით და მათ უკან გადავინაცვლე. ვინც ჩემ შემდეგ იყო მოსული, ასეთები ბევრიც აღარ იყვნენ, რამდენიმე წუთში, ცხადია დროებით, მიმღები განყოფილება სულ და-ცარიელდა.

— თქვენ რაღა გნებავთ? — გადმოძახა პირყვითელა ბატონმა. რადგან მისგან შორს ვიდექი.

— მე l'employé-volontaire.² ფელიქს კრული გახლავართ. — ვუპასუხე მე. ოღონდ ადგილიდან არ დავძრულვარ, მინდოდა თვითონ მივეხმე.

— მობრძანდით მერე ახლოს! — ნერვიულად მითხრა მან. — იქნებ გგონიათ, მხეხლისება ამ სიშორიდან ყვირილით გელაპარაკოთ?

— მე თქვენი ბრძანებისამებრ დავდექი აქ, ბატონო დირექტორო. — მივუგე მე და მივუახლოვდი. — ახლა კი თქვენს ახალ განკარგულებას ველოდებოდი.

— ჩემი მითითება უალრესად საჭირო იყო. — მომახალა მან, — აქ რა გინდათ? რამ გაფიქრებინათ პოლში ჩვეულებრივი სტუმარივით შემოსულიყავით და, ვითომც აქ არაფერიაო, ჩვენს კლიენტურაში გარეულიყავით?

— ათასგზის ბოდიშს გიხდით. — თავი მოვისაწყლე მე, — ბოდიშს გიხდით ამ შეცდომის გამო. სადარბაზო შემოსასვლელის, მბრუნავი კარისა და ამ პოლის გარდა სხვა გზა არ ვიცოდი, მაგრამ გარწმუნებთ, რა საშინელი, ბნელი, საიდუმლო და დაბლართული გზაც არ უნდა ყოფილიყო, სულერთია, თქვენამდე უნდა მოვსულიყავი.

— ეს კიდევ რა ლაპარაკია! — შემომწყრა იგი და მკვდრისფერ ლაწვებზე ისევ ნაზმა ფერმა გადაჰკრა. მომეწონა, ასე ადვილად რომ წითლდებოდა. — მე მგონი, — დასძინა მან, — თქვენ ან სულელი ხართ, ან ინტელიგენტობა გაკლიათ.

¹ ახლაც, ბატონო დირექტორო (ფრანგ.).

² ახალი მოსამსახურე (ფრანგ.).

— იმედი მაქვს, ჩემს უფროსებს მალე დავუმტკიცო, რომ ჩემი ინტელიგენტობა დაწესებულ ფარგლებში თავსდება. — მიუხედავად ამისა...

— ძალიან მეეჭვება, რომ მოგეცეთ ამის შესაძლებლობა. ამ წუთში არა მგონია თავისუფალი ადგილი გვქონდეს.

— თავს უფლებას მივცემ მაინც მოგახსენოთ, რომ ჩემს სეზონს მტკიცე შეთანხმება ბატონ გენერალურ დირექტორსა და მის სიყრმის მეგობარს შორის და ეს უკანასკნელი ჩემი ნათელია გაბლავთ. მე განგებ არ ვიკითხე ბატონი შტიურცლი, რადგან მშვენივრად ვიცი, რომ ჩემი ნაბვის სურვილით არ კვდება, თავს არც ილუზიებით ვიტყუებ, ბატონ შტიურცლის ადრე თუ გვიან ვიხილავ-მეთქი. ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთელი ჩემი აზრი და გონება უფრო იქითკენ იყო მიმართული, რომ თქვენთან გამოვეცხადებულყავი და მხოლოდ თქვენგან მიმეღო მითითება, სად და როგორ, რა სახის სამსახური შემეძლო გამეწია ამ დაწესებულებისათვის.

— Mon Dieu, mon Dieu! — გავიგონე, როგორ წაიჩურჩულა მან, მაგრამ განჩინის ერთ-ერთი თაროდან მაინც გადმოიღო უზარმაზარი დავთარი, მარჯვენა ხელის შუათითი და არათითი ენით დაისველა და უემურად დაიწყო ფურცვლა. მერე ერთ გვერდზე შეჩერდა და მითხრა:

— ასეა თუ ისე, ახლავე აქედან მოუსვით და იმ ადგილს მიაშურეთ, რომელიც უფრო შეგეფერებათ! თქვენი მიღება გათვალისწინებულია, მართალი ყოფილხართ...

— მთავარი პუნქტი სწორედ ეგ არის, — შევნიშნე მე.

— Mais oui, mais oui! ბობ. — მიუბრუნდა იგი ერთ-ერთ შიკრიკთაგანს. რომლებიც განკარგულების მოლოდინში მუხლებზე ხელდაკრეფილნი ბიუროს კუთხეში ისხდნენ მერხზე. — აჩვენეთ ამას მეოთხე ნომერი დორტუარი ზემო სართულზე! ახვალთ საბარგო ლიფტით! ხვალ დილაადრიან მოგაწვდენთ ხმას. — ეს სიტყვები მე მომიგდო და დასძინა: — გასწით!

მე კორფლიანი ბიჭი გამიძღვა, რომელიც აშკარად ინგლისელი იყო.

— იქნებ ცოტა ხნით ჩემოდანი გამომართვათ, — ვუთხარი იმ ბიჭს გზაში. — მერწმუნეთ, მისი თრევით ორივე ხელი დაბუყებული მაქვს.

— მერე რას მომცემთ? — მკითხა მან გაპრანკული ფრანგულით.

— სულს აქეთ არაფერი მახადია.

— მაშინ მუქთად წამოგიღებთ, ისე, მეოთხე ნომერ დორტუარში გამწესება ნუ გიხარიათ! საშინელი რამაა, აქ ყველანი ძალიან ცუდ პირობებში ვცხოვრობთ. კვებაც ცუდია და ჯამაგირიც, მაგრამ გაფიცვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ძალიან ბევრს უნდა ჩვენს ადგილზე მოხვედრა. უნდა აიღო და ექსპლუატატორებით გამოტენილი ეს ყუთი ფერფლად აქციო. ისე რომ, იცოდეთ, მე ანარქისტი ვარ, *voilà ce que je suis!*

ძალიან საყვარელი, ბავშვური ყმაწვილი იყო. ჩვენ ერთად ავედით საბარგო ლიფტით მეექვსე სართულზე, უფრო სწორად, მანსარდზე, იქ მან

1 ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო (ფრანგ.)

2 ბო, ბო, ასე-სიძინა.

3 კი ვარ ვარ მე (ფრანგ.)

ჩემოდანი უკან გამიბრუნა, ძუნწად განათებულ, უფიანდაზო ტალანში ერთ კარზე მიმიოღო და Bonne chance¹ მისურვა.

კარზე მიმაგრებულმა აბრამ მიმახვედრა, სადაც ვიყავი, სრულყოფილი სათვის მანქანა დავაკაკუნე, მაგრამ არაფერი გამომხმაურებია, თუმცა ათს უკვე ვადაცილებული იყო, საწოლ ოთახში ბნელოდა და არცაა ჩანდა. ჯერზე დაკიდული შიშველი ელექტრონათურა რომ ავანთე, ოთახის სიბნელე გულში მომეწურა. რვა საწოლზე რუხი ბაიკის საბნები ეფარა და აშკარად დიდი ხნის გაურეცხავი ბალიშები ეწყო, კედლებთან მიწყობილი ორ-ორი საწოლი ერთმანეთზე იდგა. მათ შორის ზემო საწოლის სიმაღლემდე, ღია განჯინები დაეტნიათ და თაროებზე აქაურ ლამისმთეველთა ჩემოდნები ელაგა, ოთახის ერთადერთი ფანჯარა, ეტყობა, საპაერო შახტაში ვადიოდა, თაროებს გარდა აქ სხვა ავეჯი არაფერი ჩანდა, თუმცა მეტი ადგილიც აღარ იყო, რადგან ოთახის სიგანე სიგრძეს საკმაოდ ჩამოუვარდებოდა და შეაში მხოლოდ პატარა გასასვლელია რჩებოდა. ღამით, ალბათ აქაური ბინადარი ტანსაცმელს თავიანთი საწოლის ფერხით ან განჯინაში შედგმულ ჩემოდნებზე თუ ილაგებდნენ.

ვაი, შენ ჩემო თავო, გავიფიქრე მე, ამდენი მანქანა არ გეწვალა ყაზარმიდან თავის დასახსნელად, ამ ოთახზე უფრო სპარტანული ატმოსფერო რომ იქაც არ დაგზვდებოდა. პირიქით, იქნებ იქ უფრო რბილადაც კი მოგპყრობოდნენ. ისე, ია-ვარდით მოფენილ სარეცელზე წოლას დიდი ხნის ვადაჩვეული ვიყავი, ანუ რაც ჩემი მზიარული კერა ვაცამტვერდა, მას შემდეგ ნებიერად არ მიძინია, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ადამიანი და გარემო ცოტა ხანში ასატან აკორდად ერწყმის ერთმანეთს, დიახ, რაც არ უნდა მკაცრი იყოს ცხოვრების პირობები, იქნებ ყოველთვის არა, მაგრამ შედარებით სვებედნიერი ადამიანების ხელში ისინი ერთგვარ მოქნილობასაც კი იძენენ და ეს მარტო მიჩვევის ბრალი როდია, ერთი და იგივე პირობები ყველასათვის ერთი არაა, მე თუ მკითხავთ, საერთო პირობები პიროვნული თვისებების წყალობით მოდიფიცირდება ხოლმე.

მაუტევეთ ეს გადახვევა მსოფლგაგებისათვის თავდადებულ ტვინს, რომელიც ცხოვრებაზე დაკვირვებისას საზიზღარი და უხეშ მხარეებზე უფრო მის სათუთ და სასიამოვნო მხარეებს აკვირდება. ერთ-ერთი თარო ცარიელი იყო და აქედან დავასკვნე, რომ რვა საწოლიდან ერთი ვაკანტური უნდა ყოფილიყო, ოღონდ არ ვიცი, რომელი იყო ის ერთი და ამან ძალიან შემაწუხა, რადგან მგზავრობისგან მოქანცული ახალგაზრდა სხეული ძილს მთხოვდა, მე კი მეტი არაფერი დამრჩენოდა — ჩემი თანამობინადრეებისათვის უნდა დამეცადა. ერთხანს მიმდებარე პირსაბანი ოთახით გავერთე, საითაც ღიად დარჩენილი გვერდითა კარი ვადიოდა. იქ ხუთი უსაზიზღრესი პირსაბანი მაგიდა იდგა, ყოველი მათგანის წინ ლინოლეუმის საფენი ეგო, იქვე იდგა თასები და ხელაღები, მათ გვერდით ვედროებიც მიეწყოთ, ხოლო კედელზე მიჭედებულ ხარბაზე პირსასოცები ეკიდა. სარკე ვერსად მოვლანდე, სამაგეროდ კარსა და კედლებზე, ისევე როგორც საძინებელ ოთახში, სადაც კი ადგილი იშოვებოდა, ყურნალებიდან ამოქრილი ღამაზ-ღამაზი ქალების სურათები ჭიკარტებით მიემაგრებინათ. არცთუ გულდამშვიდებული შემოვბრუნდი საძინებელ ოთახში, ის იყო ღროის მოსაკლავად გადაწყვიტე საკვო-

¹ ნაოსტება (ფრანგ.).

იყიდან წინასწარ ღამის პერანგი მაინც ამომვლო. რომ უეცრად ხელში ის ტარსიკონის ზარდახში მომხვდა, ბარვის გასინჯვისას ასე ნარნარად ჩასრიალდა ჩემს საკვოთაეში და მისი ხელახლა ხილვით გაბარებულ გასასინჯად ვეცი.

მთელი ამ ხნის მანძილზე სულის იდუმალ სფეროებში ცნობისმოყვარეობა და ღამის პერანგის ამოღება მხოლოდ ზარდახში ჩახედვის საბაბი იყო თუ არა, ამაზე არც მინდა ვილაპარაკო. ერთ-ერთ ქვედა საწოლზე ჩამოვჯექი, კოლოფი მუხლებზე დავიდე და საქმეს იმის იმედით შევუდექი, რომ ხელს არავინ შემიშლიდა. კოლოფს მსუბუქი საკეტი ჰქონდა, მაგრამ ისიც ღია იყო, მხოლოდ პატარა კაუჭით დაეკეტათ. ვერ ვიტყვი, ზღაპრული განძი მეპოვოს, მაგრამ რაც შიგ იდო, მშვენიერი აღმოჩნდა, ზოგი ნივთი კი მართლაც აღტაცებას იწვევდა. იქვე, საბურავქვეშ ჩადგმულ ფირფიტაზე, რომელიც ბავყრდგამოკრულ კოლოფს ორ სართულად ყოფდა, შემოდანვე იდო, ნაჭედ ბუდეში ჩასმული დიდრონი ოქროსფერი ტოპაზების რამდენიმე აცმა, რომლის მსგავსი არც ერთ ვიტრინაში არ მენახა, ვიტრინაში ასეთი ყელსაბაში მართლა ძნელად თუ მოხვდებოდა. რადგან ზედვე ეტყობოდა, დღევანდელი ნამუშევარი რომ არ იყო და ვინ იცის, რომელ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნოდა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ფუფუნების განსახიერება და თავლივით ოქროსფერად მოკამკამე ამ გამჭვირვალე ქვებმა ისე გულწრფელად აღმაფრთოვანა, რომ თვალი დიდხანს ვერ მოვწყვიტე და ღამის ზანტად ამოვიღე ზედა ფირფიტა, რომ ქვედა განყოფილება დამეთვალისწინებინა. ეს ნაწილი ზედაზე ღრმა იყო და შიგ ჩაწყობილი ნივთები ისე ვერ ავსებდა, როგორც ზედა ამოვესო ტოპაზის სამკაულს. მიუხედავად ამისა, იქიდანაც თვალწარმტაცმა ნივთებმა შემომცინეს და ყოველი მათგანი ზედმიწევნით ზუსტად, სათითაოდ ჩამჩა მენსიერებაში. ქვემოთ ციმციმა გორგალივით იდო პლატინის ბუდეში ჩასმული წვრილ-წვრილი ბრილიანტების გრძელი ძეწკვი. აქ იყო კიდევ ძალიან ღამაში, ვერცხლით ინკრუსტირებული კუს ბაკნის სავარცხელი, მოოქვილი უამრავი, თუმცა წვრილი ბრილიანტებით; ოქროს გულის ქინძისთავი, პლატინის შესაკრავიანი ორი ოქროს ღერო, შემკული ათი ბრილიანტის ბახჩაში ჩასმულ მუხუდოს მარცვლისოდენა საფირონით; უნატიფესი, ყურძნით სავსე პაწია კალათის ფორმის მკრქალი ოქროს გულსაბნევი, ბოლოში რკალივით მოვიწროებული, პლატინისავე მსხვილი სამაჯური, ზამბარიანი შესაკრავით, რომელსაც ფასს მატებდა საუცხოო თეთრი მარგალიტი, a tourmaline შემორკალული ბრილიანტებით; სამი თუ ოთხი ზედმიწევნით კონტა ბეჭედი, იმათგან ერთ-ერთს ნაცრისფერი მარგალიტი ესვა ორ დიდ და ორ მომცრო ბრილიანტთან ერთად, მეორეს კი ასევე ბრილიანტებით მოკაზმული მუქი, სამკუთხა ლალის თვალი ამშვენებდა.

მშვენიერ ნივთებს თითო-თითოდ ვიღებდი ხელში, შიშველი ელექტრონათურის უბადრუკ მუქზე ამომქონდა და მათ კეთილშობილურ ციმციმს შევხაროდი. მაგრამ ვის შეუძლია აღწეროს ჩემი შეკრთომა, როცა ამ გართობაში ჩაფლულმა უეცრად თავს ზემოთ ხმა გავიგონე, რომელმაც მშრალად წართქვა:

— მართლა მშვენიერი ნივთები გქონია.
როცა გგონია, მარტოდმარტო ვარ და არავინ მითვალთვალესო, და უეცრად აღმოჩნდება, რომ თურმე ასე არ ყოფილა, ამ დროს ყოველთვის

1 აქედან (ფრანგ.)

გიჩნდება სირცხვილის გრძობა, ამ შემთხვევაში კი უსიამოვნო შეგრძნებას სხვა ვითარებაც მიმძაფრებდა. მართალია, მსუბუქი შეკრთომა ვერ დაფარე, მაგრამ მერე სავსებით მოვთოკე თავი, შეუშფოთებლად და დინჯად დაუხურე ყუთი, ასევე არხეინად ჩავდე ჩემოდანში და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვდექი ფეხზე, მერე ოდნავ უკან დავიხიე, რომ ზევით ამეხედს, საიდანაც ის ხმა გავიგონე. მართლაც იმ საწოლის თავზე, სადაც შეჩვეულად ვიჯექო, იწვა იგი იდაყვს დაჰყრდნობოდა და ზემოდან გადმომცქეროდა. ეტყობა, ოთახი ზერელედ მომითვალისწინებია, რაკი უფრო ადრე ვერ შევამჩნიე იქ ადამიანის ყოფნა. მას ალბათ საბანი თუ ჰქონდა თავზე წაფარებული. ეს იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ნამდვილად არ აწყენდა პირის გაპარსვა, ისედაც ბაკენბარდებმოშვებულ სახეზე უსიამოდ ჩანდა წვერგადავლილი ნიკაპი და ლოყები. თვალების კრილი სლავური ჰქონდა, სახე სიცხისგან წამოჰარხლებოდა და თუმცა ვხედავდი, რომ ავად იყო, წყენისა და დაბნეულობისაგან როყო კითხვა წამომცდა, მანდ რას აკეთებთ-მეთქი.

— მე? — კითხვა შემომიბრუნა მან. — წესით მე უნდა გეკითხებოდე, მანდ რა საინტერესო საქმით ხარ გართული-მეთქი.

— თუ შეიძლება, შენობით ნუ მელაპარაკებით. — მივუგე გაღიზიანებულმა. — თუ არ ვცდები, ჩვენ არც ნათესავეები ვართ და არც ახლობლები.

მან გაიციინა და არცთუ უსამართლოდ მიპასუხა:

— მე მგონი, რაც ხელში დაგინახე, ის კმარა ჩვენ შორის ახლობლობის დასამყარებლად. ეგენი, არა მგონია, დედისკოს გამოეტანებინოს შენთვის. აბა ერთი ხელები მაჩვენე, რამსიგრძე თითები გაქვს, ან რამდენზე შეგიძლია თითების დაგრძელება?!

— ნეტავ რას მიედ-მოედებით! — შევძახე მე. — მხოლოდ იმიტომ უნდა ჩაგაბაროთ ანგარიში. თქვენი არსებობა რომ არ შემამჩნევინეთ და მოურიდებლად მითვალთვალეზდით? ეს ძალიან ცუდი ტონია...

— ახლა ენას მართლა კი ნუ წაიგრძელებ, — მომიჭრა მან. — მაგ მანქვანგრეხასაც მოეშვი, არც ჩვენ ვართ წყალწაღებულები. სიმართლე თუ გნებავს, აქამდე მეძინა. ვწევარ აქ მეორე დღეა ინფლუენციანი კაცი, საზიზღარი თავის ტკივილები მტანჯავს. მეღვიძება და ჩემს თავს ჭერ ხმისამოუღებლად ვეკითხები, ეს მშვენიერი ბიჭუნა რითი თამაშობს-მეთქი. ისე, მართლა ლამაზი ხარ, კაცს რომ შეშურდება, ისეთი. შენი სიფათი მომცა, მე ვიცი, რასაც ვიზამდი.

— ჩემი სიფათი იმის საბაბად არ გამოგადგებათ, გაუთავებლად შენობით მელაპარაკოთ. ეგ თუ არ მოიშალეთ, სიტყვას ველარ გაიგონებთ ჩემგან.

— ღმერთო ჩემო, რალა მეშველება, ბატონო პრინცი. იქნებ „თქვენო უმაღლესობავ“-მეთქი, გითხრათ? თან, როგორც ვხვდები, კოლეგებიც ვყოფილვართ. შენ ახალი ხარ, არა?

— დიახ, ღირექციამ აქეთ გამომგზავნა, თავისუფალი საწოლის ასარჩევად. — ვუპასუხე მე. — ხვალ ამ სასტუმროში მუშაობას შევუდგები.

— რა სამსახური მოგცეს?

— ეგ ჭერ არ გადაწყვეტილა.

— საკვირველია, მე სამზარეულოში ვმუშაობ, უფრო სწორად, ბუფეტში, ცივი საუზმეულის განყოფილებაში. შენ რომ ზიხარ, ეგ საწოლი დაკავებულია. აი აქ, ზემოთ, შენგან მეორე საწოლია თავისუფალი. საიდან ხარ?

— ამ საღამოს ჩამოვედი ფრანკფურტიდან.

— შენ კი ხორვატი ვარ. — გერმანულად მითხრა მან. — აგრამიდან, იქაც მიმუშავია რესტორნის სამზარეულოში, აი სამი წელია კი პარიზში ვარ. რის კარგად იცნობ?

— კარგად რას ჰქვია?

— მშვენივრად ხვდები, რასაც ვგულისხმობ. მე გეუბნები, შენ რაღაც-რაღაცები ხელსაყრელ ფასში სად უნდა გაასალო-მეთქი.

— ადგილი მოინახება.

— თავისით არ მოინახება, თანაც ასეთი განძის დიდხანს თრევა დიდი უქკუობაა, საიმედო მისამართი რომ მოგცე, ნახევარ წილში გამიყვან?

— ნახევარი წილი კარგად მოგიფიქრებიათ! მხოლოდ მისამართში, ნუ-რას უკაცრავად!

— დიახ, ისეთ მისამართში, შენნაირ ძუძუმწოვარას როგორც პური არ-სობისა, ისე რომ სჭირდება. ჯობია დაფიქრდე, იცი, რას გეტყვი, ის ბრილი-ანტებიანი ძეწკვი...

აქ სიტყვა გაგვაწყვეტინეს, კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე ახალგაზ-რდა შემოვიდა, რომელთაც დასვენების საათი დასდგომოდათ: ესენი იყვნენ ლიფტიორი, რომელსაც წითელკანტებიანი ნაცრისფერი ლივრეა ეცვა, ორი შიკრიკი, რომლებიც დახურულ კამზოლებში იყვნენ გამოწყობილნი, მკერდზე ორი წყება ოქროსფერი ლილები ეკეთათ და შარვლებზეც ოქროსავე ლამპა-სები დაუყვებოდნათ, და ერთი ბრგე ჭაბუკი, რომელსაც ლურჯოლებიანი ბიჯაკი ეცვა და წინსაფარი მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. ეს უკანასკნელი სამზარეულოს მდებარე პერსონალი, ჭურჭლის მრეცხავი, ან რაღაც ამის მსგავსი უნდა ყოფილიყო. დიდხანს არ გაუვლია, რომ მათ მოჰყვა კიდევ ერთი ხელზე მოსამსახურე ბიჭი და ერთი ყმაწვილი, რომელსაც შავ შარ-ვალსა და თეთრ ხალათზე ეტყობოდა, ოფიციალის შეგირდი თუ თანაშემწე უნდა ყოფილიყო. ბიჭებიდან ზოგი ფრანგულად იკურთხებოდა და merde-ს იძახდა, მათ შორის, ვინც გერმანელი ერია, წყეულიმც იყოსო, ან ეშმაკსაც წაუღია ყველაფერიო, ასე იგინებოდა ალბათ დასრულებული სამუშაო დღის მისამართით, მერე მწოლიარეს შესძახეს, ალო, სტანკო, ისევ ცუდად ხარო, რასაც ხმამალალი მთქნარება მოაყოლეს და ყველანი მაშინვე გახდას შეუდგ-ნენ. ჩემთვის დიდად არავის შეუწუხებია თავი, მხოლოდ ერთი შემებხუმრა, თითქოს აქამდე სულ ჩემს მოლოდინში ყოფილიყვნენ.

— An, te voilà. Comme nous étions impatiente que la boutique de- viendrait complète!

ერთმა დამიდასტურა, სტანკოს ნაჩვენები ზედა საწოლი მართლა თავი-სუფალიაო. მეც ზემოთ ავედი, ჩემოდანი ჩემს თაროზე მოვათავსე, უკვე სა-წოლზე ჩამომჯდარმა ტანთ გავიხადე და თავი ბალიშზე დავდე თუ არა, ახალგაზრდული ტკბილი, ღრმა ძილით დამეძინა.

მერვე თავი

რამდენიმე მალეძარამ თითქმის ერთდროულად დაიქორიალ-დაიზრიალა, დილის ექვსი საათი იყო და ჯერ კიდევ ბნელოდა. ამიტომ, ვინც პირველები

1. ოპო, შენც აქ ყოფილხარ! ერთი სული გვქონდა, აქ სრული ნაკრები შემდგარიყო! (ფრანგ.).

გამოძვრენ საწოდლებიდან. იმათ ისევ აანთეს ჭერზე დაკიდული ელექტრო-
ნათურა. განგაშის ხმაზე მხოლოდ სტანკო არ შეიხედა. მეც იმ ძილისგან
გამოცოცნებულსა და გახალისებულს. გუნებას ვერ წამოხდელი საწოდებს
შუა ვიწრო გასასვლელში თმააბურძღნული ბიჭების უსიამოვნო ჩველთა. რო-
მელთაგან ზოგი ამოქნარებდა, ზოგი იზმორებოდა, ხოლო ზოგი დაამის პე-
რანგს იბდიდა. იუთ პირსაბანთან მათ შეხლა-შემოსლბმსწმინდუქსაბანზე
შვიდი დასაბანი ყმაწვილი მოდიოდა) ვერ ჩაეკვლევიანებდი ხალისს. გუნებას
არც ის მიფუჭებდა. წყალი რომ შემოაკლდებოდათ. შიშველ-ტიტველნი ტა-
ლანში სათითაოდ რომ გამორბოდნენ ონკანიდან წყლის ჩამოსასხმელად.
მერე, როცა მეც სხეებივით გავისაბნე და წყალშიც მათსავით ვიტყაბუნე.
მთლად გაწუწული პირსახოცი პერგო. რითაც შეუძლებელი იყო გამშრალება.
მაგრამ სამაგიეროდ ლიფტიორმა და ოფიციანტის შეგირდმა ნება დამრთეს
სპორტჭურაზე გამთბარი გასაბარსი წყლით მეც შესარგებლა და სანამ გაწა-
ფული ხელით სამართებულს ლოყებზე, ბაგესა და ნიკაბზე დავატარებდი.
სარკის ნატეხშიც ჩამეხედა. რომელიც ფანჯრის სახელურზე პქონდათ და
მაგრებული.

— He, beauté! — მითხრა სტანკომ, როცა უკვე თმაგადაყოფილი და
პირგაპარსული, საწოდ ოთახში შევბრუნდი. რათა სხეებივით ტანო ჩამეც-
ვა და ლოგინი მიმელაგებინა. — ჯანსი ხარ, ფრიცი, თუ რაც გქვია.

— თუ ნებას მომცემთ, ფელიქსა მქვია. — მივუგე მე.

— ესეც კარგია, ფელიქს. იქნებ მოილოთ მოწყალება, და რომ ისაუხ-
მებთ, ერთი ფინჯანი Café au lait? ამომიტანოთ? თორემ სანამ სადილობა მოა-
წევდეს და სუბ-პიურე პერგებოდეს. მანამდე ვერაფერს მივიღებ.

— სიამოვნებით. — მივუგე მე. — არ დაგზარდებით, ჭერ ერთ ფინჯან
ყავას მოგიტანთ და მერეც მალე მოგაკითხავთ და დაგხედავთ.

ეს ორი მიზეზის გამო ვუთხარი: ჭერ ერთი, ჩემს ჩემოდანს კლიტე კი
პქონდა, მაგრამ მე არ მქონდა გასაღები და სტანკოს არ ვენდობოდი, მეო-
ნეც, მინდოდა გუშინდელი საუბარი როგორმე გამეგრძელებინა. სტანკო უფ-
რო სარფიან პირობებზე დამეყოლიებინა და გამომერთმია ის მისამართი.
თვითონ რომ შემომთავაზა.

მოსამსახურეთათვის განკუთვნილი ვრცელი სასადილო ოთახი დერეფ-
ნის ბოლოში იყო მოთავსებული. იქ თბილოდა და ყავის სასიამოვნო სურნე-
ლი ტრიალებდა. მებუფეტე და მისი ცოლი, სქელი, დედასავით ალერსია-
ნი ქალი, ყავას ორი პრილა სადულიდან ფინჯნებში ასხამდნენ. ფინჯნებში
შაქარი უკვე იდო, ქალი რძეს ამატებდა და ყველას თათო ფუნთუშას აძლევ-
და. სასადილოში სასტუმროს მოსამსახურეები — სხვადასხვა დორტუარის
ნაირ-ნაირი ბინადარნი ირუოდნენ. მათ შორის ოქროსღილებიან ლურჯ ფრა-
კებში გამოწყობილი ოფიციანტებიც ერივნენ. უმეტესობა ზეზეულად ჭამდა
და სვამდა. თუმცა დარბაზში რამდენიმე პატარა მაგიდა კი იდგა. მე, დაპი-
რებისამებრ, მებუფეტე დედილოს „pour le pauvre malade de numéro
quatre“ ერთი ფინჯანი ყავა ვთხოვე და მანაც ისეთივე ღიმილით მომაწოდა
ფინჯანი, როგორითაც თითქმის ყველა შემხვედრი მაჯილდოებდა.

1 ეი, ლამაზო ბიჭო (ფრანგ.).

2 ოთახი ყავა (ფრანგ.).

3 პიურე, რაბაზში წითლიარე საბრალთო კვანძყოფისათვის (ფრანგ.).

— Pas encore équipée? — მკითხა მან და მეც მოკლედ მოვუყვიე ჩემი ამბავი. შემდეგ სტანკოს ყავა მივერბენინე და გავუმეორე, მაღვ ესევე მოგაკითხავ-მეთქი. მან სარკასტული სიცილი დამადევნა, რადგან



სასადილოში შევბრუნდი და ამჯერად საკუთარ თავს მივხედე. რაღაც ჩემი ჩიბე ჩემი Café au lait და ძალიანაც მეამა, რადგან დიდი ხანია არ ვმკვრივობდი. თბილი არაფერი ჩამსვლოდა, და ფუნთუშაც მივატანე, რათა თანდათან დამეცინებოდა, რადგან ამასობაში შვიდი საათიც შესრულდა. ახლა შემეძლო ერთ-ერთ მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან მოვკალათებულიყავი, სადაც ერთ ხანში შესულ, ფრაკიან ოფიციალტს დრო ეშოვა, სიგარეტის კოლოფი ამოეღო და ერთისთვის მოეკიდებინა კიდევ. საკმარისი იყო მისთვის ღიმილით შემეხედა და თვალი ჩამეკრა, რომ ერთი სიგარეტი ჩემთვისაც მოეწოდებინა. უფრო მეტიც: ხანმოკლე საუბარში რომ გავიხსენებოდი, ჩემი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია-მეთქი, ნახევრად სავსე კოლოფი საჩუქრად დამიტოვა და ისე წავიდა.

შავი, სურნელოვანი წვეკო ნასაუზმევს ძალიან მესიამოვნა, მაგრამ აქ დაყვნების უფლება არ მქონდა, ისევ ჩემს პაციენტთან უნდა გავტყუებულიყავი. იგი ვითომ გაგულისებულნი დამიხვდა.

— ისევ მოხვედრი? — შემომიღრინა მან. — რას გადამეკიდე? ნეტავ რაში მჭირდები? თავი და ყელი მტკივა და ლაპარაკი სულ არ მინდა. — მაშ უკეთ არა ხართ? — კითხვა შევუბრუნე მე. — ძალიან მწყინს, ის იყო უნდა მეკითხა, ნუთუ არ მოგამჯობინათ ყავამ, მე რომ დიდი სიამოვნებით მოგართვით-მეთქი.

— კარგად ვიცი, ყავა რატომაც მომართვი, მაგრამ შენს ტუტუცურ საქმეებში მაინც ვერ გავერევი. შენისთანა ბრიყვისაგან კარგს რას უნდა მოელოდე.

— საქმეზე ლაპარაკი თქვენ თვითონ დამიწყეთ, — მივუგე მე. — ჩემდა თავად კი ვერ გამოვიდა. საქმეების გარეშეც რატომ არ უნდა შეგიმსუბუქოთ მართლობა. ჩემთვის ჯერ არავინ მოიცილის და ამიტომ იმაზე მეტი დრო მაქვს, ვიდრე საჭიროა. ჩათვალეთ, რომ თქვენი შემწეობით ამ დროის ნაწილს სიამოვნებით დავხარჯავდი!

მე მის ქვეშ მოთავსებულ საწოლზე ჩამოვჯექი, მაგრამ ეს ადგილი ხელს ნაკლებად მაძლევდა, რადგან აქედან ჩემს თანამოსაუბრეს ვერ ვხედავდი. ასე რა ლაპარაკი გამოგვივა-მეთქი, ვიფიქრე, ძალაუვნებურად ავდექი და ისევ წინ ავესვეტე. მან მითხრა:

— ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, რაკი აღიარებ, შენ რომ გჭირდები, თორემ მე ნამდვილად არაფერში მჭირდები.

— თუ სწორად გაგიგეთ, ნამდვილად იმ წინადადებას გულისხმობთ, გუშინ რომ შემომთავაზეთ. დღეს თავაზიანად იმეორებთ იგივეს და ამით იმასაც ამხელთ, რაღაც იხტერესი თქვენც რომ გამოძრავებთ.

— ძალიან მცირე, თუ შენ კი, ტაკიმახარავ, შენს ხარახურას მხოლოდ გაანიავებ და ხაზამშრალი დამრჩები, არა, მაინც როგორ ჩავივარდა ეგ ყველაფერი ხელში?

— სრულიად შემთხვევით. მართლაც ბედნიერი წუთის წყალობით.

— ხდება ხოლმე ვინ იცის, იქნებ ბედნიერ ვარსკვლავზეც ხარ დაბადებული?

¹ სწორად ვერც არ მოვიდივარ (ფერანუ).

ბული, რაღაც ამდაგვარი სახეზე კი გაწერია და რა ვიცი. ერთი მიჩვენე შენი ნაყარნუყარი, იქნებ მიახლოებით მაინც შეგიფასო.

ნამდვილად გამიხარდა, რომ მოვალბე, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— არ მინდა, რა, სტანკო, კინმე რომ შემოვიდეს. შეიძლება უსიამოვნებას გადავეყარო.

— კაცმა რომ თქვას, არცაა საჭირო. — მომიგო მანკინი საკმაოდ კარგად დავათვალიერე ყველაფერი. ისე, ტოპაზებზე მსგავსი ტყუილებს ნუ შეიქმნი იგი.

რა მართალი ვიყავი, ხელის შემშლელების გამოჩენაზე რომ ვიფიქრე. საიდანღაც მართლა გამოჩნდა დამლაგებელი ქალი, თან ვედრო, ტილო და ცოცხი შემოიტანა და დასაბან ოთახში დაყენებული წუმბეების მომშრალეზასა და ოთახის მილაგებას შეუდგა. სანამ დამლაგებელი იქ იყო, მე ქვედა საწოლზე ვიჯექი და არც ერთს ხმა არ ამოვიღია. როცა იგი თავის ხის კოშკების კაკუნით გაგვშორდა, ხმა მხოლოდ მაშინ ამოვიღე და სტანკოს ვკითხე, რა გინდოდათ გეთქვათ-მეთქი.

— მე რა უნდა მეთქვა? — ისევ მოიკატუნა მან თავი. — შენ კი გინდა რაღაც გაიგონო ჩემგან, მაგრამ მე არაფერი მაქვს სათქმელი. დიდი-დიდი გირჩიო, ტოპაზის ყელსაბამზე დიდ ილუზიებს ნუ ააგებ-მეთქი, აი იმაზე, გუშინ რომ ზედ დაჰფოფინებდი. ასეთი ნადავლი ძვირი მაშინ ღირს, ფალიცესთან ან ტიფანისთან რომ იყიდება, თორემ ისე ჩალის ფასი აქვს.

— ჩალის ფასს რას ეძახით?

— ორას-სამასს ფრანკს.

— მაგასაც არა უშავს.

— შე ყეყეჩო, შენა, ყველაფერზე არა უშავსო, რომ დაგიჩემებია! მეც ეგ მადარდებს, ერთი ნეტავ წამოყოლა შემეძლოს, ან სულაც მაგ საქმეზე მარტო მე მომაკიდებინა ხელი!

— არა, სტანკო, თქვენ როგორ შეგაწუხებთ! თქვენ სიცხე გაქვთ და ლოგინში უნდა იწვეთ.

— კარგი, ასე იყოს, ოღონდ სავარცხელსა და გულსაბნევს, სიმართლე გითხრა, თავადური მამულის საფასურს ვერც მე გავაგდებინებდი. ბევრი, მართალია, საფირონი უზის თვლად, მაგრამ არც იმ გულის ქინძისთავისგან გამოდნება. ყველაფერს ისევ ძეწკვი სჯობია, აი, ის კი კარგი რამ არის და სულ ცოტა, ათი ათასი ფრანკი მაინც ეღირება. გასაღებით, ბეჭდებით კარგად გასაღდება, ყოველ შემთხვევაში, ის ერთი ლალისთვლიანი და მეორეც, რუხი მარგალიტი რომ უზის, მოკლედ, სახელდახელო ანგარიშით ყველაფერი ერთად თურამეტი ათასი ფრანკი მაინც ეღირება.

— დაახლოებით მეც ასე ვიანგარიშე.

— ერთი ამას დამიხედეთ! ამ საქმისა ვითომ გაგეგება რამე?

— რატომაც არა, ფრანკფურტში ძალიან მიყვარდა ოქროულობის ვიტრინების თვალიერება, მაგრამ, თქვენ აღბათ ის არ გინდოდათ გეთქვათ, იმ თურამეტი ათასს სრულად მოგცემენო, არა?

— არა, საყვარელო, ეგ არც მიფიქრია, მაგრამ თუ თავის დაცვა ცოტათი მაინც შეგიძლია და წამდაუწუმ „არა უშავს, არა უშავსო“, არ იძახებ, მაშინ მაგის ნახევარს მაინც მოიგდებ ხელში.

— ესე იგი, ცხრა ათას ფრანკს არა?

— ათი ათასსაც, ერთი სიტყვით, იმდენს, რაც მარტო ის ერთი ბრილიან-

ტეზიანი ძეწვეი ღირს, თუ ვაჟკაცი ხარ, ამაზე ნაკლებად არც უნდა დაუომო.

— მაინც რას მიჩვევთ ვის უნდა მივმართო?

— ერიპაა! ახლა ჩემმა ლამაზმა ბიჭუნამ საჩუქარიც მომინდომა, ამ ბიჭუნას უნდა მუქთად მივართვა ჩემი ცოდნა და გამოცდილება.

— ვინ თქვა, მუქთადო, სტანკო, ყოველ წუთს მზად ვარ ჩემი პატარის ცემა დაგიდასტუროთ, ოღონდ აქამდეც ასე ვფიქრობდი და ახლა ვიგეგმავ ჩემს ცემას ვარ, თქვენ რომ გუშინ ნახევარ წილში გასვლა ახსენეთ, ცოტა მეტი სმეტიამეთქი.

— მეტისმეტი? ნახევარ წილში გასვლა ასეთ საქმეში დედამიწის ზურგზე ყველაზე სამართლიანი გაყოფაა, წიგნთა წიგნში რომ სწერია, ზუსტად ისეთი, შენ ზომ არ გავიწყდება, უჩემოდ მშრალზე ამოგდებულ თევზს აგავსარ და თუ მოვიხდომე, დირექციასთანაც შემიძლია დაგაბეზლო.

— გრცხვენოდეთ, სტანკო! ამის არამცთუ ჩადენა, თქმაც კი სიციხვილია, თუმცა მე ხომ ვიცი, ეგ არც თქვენ გაგივლიათ გულში, ოღონდ ახლა ნურც იმას მაფიქრებინებთ, ვერაფერს რომ ვერ გამოჩებით, ისეთ საქმეს რამდენიმე ათასი ფრანკი არ გერჩივნოთ.

— იქნებ მართლა ბედავ რამდენიმე ათას ფრანკს დამაჩერო?

— დიახ, ასე გამოდის, თუ ლოიალობას გამოვიჩენ და მესამედს გარგუნებთ იმ ათას ათასი ფრანკიდან, თქვენი აზრით ამ ნივთებში რომ უნდა ამოვიგო, თქვენ ახლა, წესით, უნდა შემაქოთ, თავის დაცვა ცოტათი მაინც შეგძლებია-თქო, და ისიც დამიჩეროთ, სისხლისმსმელი წურბელაც რომ შემხვდეს არ დავეჩაგვრინებო.

— აქეთ მოიწი! — გადმომძახა მან და, როცა ახლოს მივედი, ჩუმად, მაგრამ გარკვევით მითხრა: — Quatre-vingt-douze, Rue de l'Échelle au Ciel.¹

— Quatre-vingt-douze, Rue de...

— Echelle au Ciel, ხომ არ დაურუვდი?

— რა უცნაური საბელწოდებაა!

— ასეული წლის მანძილზე ასე თუ ჰქვია? ჯობია ეს მშვენიერი სახელი დალოცვად მიიღო! ესაა ერთი პატარა კოპწია ქუჩა, ოღონდ ცოტა შორსაა, სადღაც მონმარტრის სასაფლაოს უკან უნდა იყოს, ყველაფერს სჯობია საკრე-კიორს აღმა აუყვე, ის ადვილი მისაგნებია, იქიდან ეარდინის ქუჩით ეკლესიასა და სასაფლაოს შორის გახვალ და დამრემონის ქუჩას ნეის ბულვარის მიმართულებით დაადგები, სანამ დამრემონი შამპიონს გადაკრიდეს, ბელმარცხნივ ერთი პატარა შესახვევი შეგხვდება, ესაა Vierges prudentes, ანუ კეთილგონიერ ქალწულთა ქუჩა და აი მისი განშტოებაა შენი Echelle, წესით, გზა არ უნდა აგებნეს.

— იმ კაცს რა ჰქვია?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თავის თავს მესაათეს ეძახის და ზოგჯერ მართლაც ასეა, აბა გასწი და ცხვარივით ნუ მოიქცევი! მისამართი მხოლოდ იმიტომ მოგეცა, რომ თავიდან მოგიშორო და მოვისვენო, ჩემს გასამრჯელოს რაც შეეხება, გახსოვდეს, ყოველ წუთს რომ შემიძლია დაგასმინო. — დასძინა მან და ზურგი შემომაქცია.

— თქვენგან დიდად დავალებული ვარ, სტანკო, — ვუთხარი მე, — და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საიმიხსო საბაბს არ მოგცემთ, დირექციასთან დამასმინოთ.

¹ ამჟამად იმდროს დათორმ-ლი, ზეცობრი კბის ქ-ნ, (ერაზი)

ამ სიტყვებით გაეშორდი სტანკოს. გულში რამდენჯერმე გავიბეორე მისამართი და უკვე დაცარიელებულ სასადილოში შევბრუნდი, რადგან სხვაგან არსად მეგულებოდა თავშესაფარი. უნდა მეცადა, სანამ ქვეყნი ვინმეს ვახსენებოდი. კარგი ორი საათი ასე ვიჯექი ერთ-ერთ მუშამბარებულ მაგიდასთან, რომ ოდნავი მოუთმენლობა არ გამომამეცლავნებია. სიგარეტს ვეწეოდი და ჩემს ფიქრებს მივყვებოდი. სასადილოს საათს უჩვენებდა, როცა დერეფანში მკვებე ხმით წარმოთქმული ჩემი სახელი და გვარი გავიგონე. კართან მისულიც არ ვიყავი, რომ შეიკრიკმა თვითონ შემოალო კარი და დაიძახა:

— L'employé Felix Kroull.¹ ბატონ გენერალურ დირექტორთან!

— ეს მე ვარ, ძვირფასო მეგობარო, ოღონდ წამიყვანეთ და რესპუბლიკის პრეზიდენტიც რომ მიხმობდეს. მზად ვარ წარვუდგე.

— მით უკეთესი, ძვირფასო მეგობარო. — საკმაოდ თავხედურად შემომიბრუნდა ჩემი თავაზიანი მიმართვა მან და ამათვალ-ჩამათვალღერა. — გამომყევით, რაკი ასე გნებავთ.

ერთი სართულით დაბლა ჩავედით და მეოთხე სართულზე, სადაც დერეფნები ჩვენსაზე გაცილებით ვანიური იყო და იატაკზეც წითელი ფიანდაზი ეფინა, ჩემმა წინამძღოლმა გამოიძახა დერეფანში დატანებული ერთ-ერთი სამგზავრო ლიფტი. კოტა ხანს ლოდინი მოგვიხდა.

— როგორ მოხდა, რომ მარტორქას პირად სურს შენი ნახვა?

— თქვენ ალბათ ბატონ შტიურცლის გულისხმობთ, არა? როგორ ვითხოვთ, ნაცნობობა... პირადი ურთიერთობა... — დაუდევრად მივუგე მე. — მარტორქას რატომ ეძახით?

— C'est son sobriquet.² უკაცრავად კი ვარ. მაგრამ ეგ სახელი მე არ შემირქმევია.

— საბოლოოდ არაფერია. მაღლობელი მე ვარ, ინფორმაცია რომ მომაწოდეთ, — მივუგე მე.

კობტად მოპირკეთებულ ლიფტი ელექტრონით იყო გაჩირალდნებული და შიგ წითელხავერდგადაკრული მერხიც იდგა. ჩასართავ ბერკეტს წითელლამპასებიან ქვიშისფერ ლიურვაში გამოწყობილი ყმაწვილი მართავდა. მან ჭერ მეტისმეტად მალლა გააჩერა ლიფტი, მერე კი ისე დაბლა, რომ გვარიანი სიმალლიდან მოგვიხდა იატაკზე ამობიჭება.

— Tu n'apprendras jamais, Eustache. — უთხრა ჩემმა წინამძღოლმა ლიფტიორს. — à manier cette gondole.³

— Pour toi je m'échaufferai!⁴ — მიახალა მან.

მისი უხეშობა არ მომეწონა, ვერ მოვიტმინე და შევნიშნე:

— სუსტები ერთმანეთს ასეთი სიძულვილით თუ მოეკიდნენ, ძლიერთა თვალში პოზიციებს ნამდვილად ვერ ვანიმტკიცებენ.

— Tiens, — თქვა იმან. ვისაც ჩემი საყვედური ეკუთვნოდა. — Un philosophe!⁵

ამასობაში ქვევით ჩავედით კიდევ ლიფტიდან პოლის განაპირა კუთხეში

¹ მსახურა ფელიქს კრული (ფრანგ.).

² ეს მისი მეტსახელია (ფრანგ.).

³ კი შენ, ესტაქე, მე ვინდობოდა მართვას, ეტყობა, ვერასოდეს ვერ ისწავლი- (ფრანგ.).

⁴ არა, სწორედ შენთვის მოვიყვარე თავს! (ფრანგ.).

⁵ გამოიქვია რა ეხვე ფილოსოფოსი! (ფრანგ.).

გამოვედით. გუზი რეგისტრატურისკენ ავიღეთ. მაგრამ მას გვერდი აუქციეთ. გუზა განვაგრძეთ და მაშინ შევამჩნიე, ჩემმა წინამძღოლმა გვერდიდან ინტერესით რომ შემომხედა. სიშარტლე ვითხრათ, ყოველთვის მსიამოვნებდა და მიანებზე ჩემს გარეგნობასთან ერთად ქკუა-გონებითაც რომ ვანდებდი მთაბეჭდილებას.

გენერალური დირექტორის კაბინეტი რეგისტრატურის უკან... იყო მოთავსებული. მისი მოპირდაპირე ორი კარი კი, როგორც შევამჩნიე, საბილიარდოსა და სამკითხველო დარბაზისაკენ გადიოდა. ჩემმა წინამძღოლმა ფრთხილად დააკაკუნა, ოთახიდან ბრუტუნისმაგვარი ხმის გაგონებაზე კარი შეაღო, ქუდი თეთოზე მიიბჯინა, საღმის ნიშნად წელში მოიხარა და ოთახში შემიშვა.

ბატონი შტიურცლი საოცრად მსუქანი კაცი აღმოჩნდა. მის ფუძფულა ლაბაბზე თითქოს მოხერხებული ადგილი ვერ ეპოვნა წვეტიან ქალარა წვერს და სასაცილოდ აპრეზილიყო. ბატონი შტიურცლი საწერ მაგიდასთან იჯდა, რაღაც ქალაღლებს ფურცლავდა და კარგა ხანს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. მისი შემხედვარე მშვენივრად მივხვდი. პერსონალს ის დასაციინი სააელი რატომაც შეერქმია: ზურგი უსაშველოდ ჰქონდა ამობურცული, ხოლო კონიით გასკდომამდე დატენილი ქედის ფონზე კარგად წამოწეულ ცხვირზე მართლაც რქასავის აჯდა მეჭეჭი, რაც მეტსახელსკიდევ უფრო სრულყოფილად ამართლებდა. უკვე გადათვალიერებულ ქალაღლებს იგი სიგრძესიგანის მიხედვით დასტებად აწყობდა. ხელები მთელ იმ მასასთან შედარებით საოცრად პატარა და ნაზი ჰქონდა, ოღონდ ამ მასას უმწეობისა არაფერი ეტყობოდა. პირიქით, როგორც ეს ხშირად ახასიათებთ ტანსრულ ადამიანებს, სულაც არ აკლდა ელფგანტური მიხრა-მოხრა.

— მაშ ეს თქვენა ხართ ის ყმაწვილი კაცი. — მომმართა მან შევიცარიული აქცენტით შეფერილი გერმანულით, ისე რომ ქალაღლების დაწყობა არ შეუწყვეტია. — ჩემი მეგობარი რომ უწყევს რეკომენდაციას, თუ არ ვცდები, კრული უნდა იყოთ გეარად. დასა და სურვილი გაქვთ ჩვენთან იმუშაოთ, არა?

— დიან. მართალი ბრძანდებით, ბატონო გენარალური დირექტორო. — მივუგე მე და, მართალია, მოკრძალებით, მაგრამ მაინც კარგად მივუახლოვდი. ამ დროს, კიდევ ერთხელ და ალბათ არც უკანასკნელად. შემთხვევა მომეცა ერთ უცნაურ ფენომენს დაეკვირვებოდი: ბატონმა შტიურცლიმ შემომხედა თუ არა, სახე ზიზლით დაემანჭა და მშვენივრად მივუხვდი, ეს ზიზლნარევი გამომეტყველება მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მაშინდელი ყმაწვილური სილამაზით რომ იყო გამოწვეული. ჩვეულებრივ, იმ მამაკაცებს, რომელთაც მხოლოდ ქალებისკენ მიუწევთ გული, — ხოლო ბატონი შტიურცლის ფზიანი წვერისა და მისი გალანტური ტანსრულობის შემხედვარეს ამაში ოდნავადაც არ შეგებარებოდათ ეჭვი. — გრძნობისაღმძვრელი საგანი საკუთარ სქესში განსხეულებული რომ მოევიინებათ, ბუნებრივი ინსტინქტები როგორღაც ებორკებათ ხოლმე. ეს კი იმის ბრალია, რომ არც ისე იოლია გრძნობადის ზოგად და კონკრეტულ გამოვლენათა შორის მტკიცე მიჯნის გავლება. ადამიანის სულიერი წყობა ამ დროს ენერგიულად ეწინააღმდეგება მისი რომელიმე კონკრეტული გამოვლენით აღძრულ გრძნობებსა და

1 ასეა ხომ (ფრანგ.).

მასთან დაკავშირებულ ასოციაციებს და ზიზლის გრიმასის რეფლექსებიც აქედან მოდის. ოღონდ აქ, ბუნებრივია, მხოლოდ ზედაპირულ რეფლექსებს ვგულისხმობთ, რადგან ზემოთ დასახელებული მიჯნის აღრევას ადამიანი უფრო საკუთარ თავს თუ დააბრალებს, ვიდრე იმას, ვინც მისდა უნებურად მოჰგვარა ეს გრძნობა და, აქედან გამომდინარე, თავის უსუსურ მოცუბუნებას ამ უკანასკნელს არ აზღვევინებს. ბატონ შტიურცლის შემთხვევაშია, მით უმეტეს, რომ მისი რეფლექსების დანახვაზე მე სერიოზული, ლამის მკაცრი სახე მივიღე და მოწიწებით დავხარე თვალები. სამაგიეროდ მან გულითადობა გამოიჩინა და მკითხა:

— რასა იქმს ჩემი ძველი მეგობარი, თქვენი ბიძა შიმელპრისტერი?

— მოპიტევეთ, ბატონო გენერალური დირექტორო, — მივუგე მე, — მაგრამ იგი ბიძა კი არა, ნათლია გახლავთ ჩემი, რაც მოგეხსენებათ, უფრო მეტს ნიშნავს. მოკითხვისთვის მადლობელი ვარ, რამდენადაც ვიცი, ჩემი ნათლია კარგადაა, მთელ რაინის მხარეში და მის საზღვრებს გადაღმაც, როგორც ხელოვანს, დიდი აღიარება აქვს მოხვეჭილი.

— დიდი უცნაური კაცია, დიდი. — თქვა მან. — მაშ აფასებენ, არა? Eh bien, მით უკეთესი. ნამდვილად ახირებული კაცია, ვერაფერს იტყვი. მაშინ მართლა ახლო მეგობრები ვიყავით.

— ლაპარაკი ზედმეტია, — განვაგრძე მე, — რა მადლობელი ვარ პროფესორ შიმელპრისტერისა, თქვენთან რომ შემაწია კეთილი სიტყვა.

— დიახ, დიახ, რაო, პროფესორიც გახდა? საიდან? Mais passons.¹ დახმარება მთხოვა და ხომ ვერ გავაწბილებდი, ბოლოს და ბოლოს, აქ მართლა კარგი დრო გვაქვს ნატარები. მაგრამ იმასაც გეტყვით, ჩემო კარგო, რომ თქვენი საქმე არც ისე იოლი მოსაგვარებელია. რა მოგიხერხოთ? თქვენ სასტუმროში მუშაობის გამოცდილება არ გექნებათ და ეს საქმე, ალბათ არც არასდროს შეგისწავლიათ.

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, და მჯერა, რომ ჩემი ბუნებრივი მონაცემები გაუწაფაობას საკვირველი სისწრაფით ამინაზლაურებენ.

— დიახ, დიახ, როგორ არა. — გამომაჩავრა მან. — თქვენი ბუნებრივი მონაცემები უფრო ლამაზ ქალებთან თუ გამოგადგებათ.

უკანასკნელი ფრაზა, ჩემი აზრით, სამი მიზეზით ითქვა: ჯერ ერთი, ფრანგებს — და ბატონი შტიურცლი უკვე დიდი ხანია ფრანგი იყო — საერთოდ უყვართ გამოთქმა „ლამაზი ქალი“ და თავისი და სხვების გულის გასახარად ხშირად იმეორებენ ხოლმე. „Une jolie femme“ — ამ სიტყვებს მათ ქვეყანაში გასაეალი აქვს და მისი წარმომთქმელიც დარწმუნებულია, ირგვლივ ყველა ხალისიანად და სიმპათიით გამომეხმაურებაო. ეს დაახლოებით იგივეა, მიუნჰენში რომ ლუდი ახსენო. იქ საკმარისია ეს სიტყვა წარმოთქვა, რომ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვიო. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ პირველი მიზეზი. მეორეც, თუ უფრო ღრმად ჩავეძიებოდით, შტიურცლიმ „ლამაზი ქალები“ და ჩემი სავარაუდო მონაცემები რომ ახსენა, ამით მოინდომა შებორკილობა დაეძლია, მე ჩამომხსნოდა, ჩემი თავი, ასე ვთქვათ, ქალებისთვის გადაელოცა. ამას მშვენივრად მივუხვდი. მესამე — და უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ზემოხსენებულ მისწრაფებას ეწინააღმდეგობოდა — მაინც უნდოდა გაველიმებინე და ინსტიტუტების შებორკილობის შეგრძნება

¹ თუმცა რა მნიშვნელობა აქვს (ფრანგ.).

გელახლა განეცადა. დაბნეულობის ბრალი თუ იყო, რომ იგი მაინც აქეთ-
 იმ მიმართულებით მიიღებოდა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა — მის-
 ვის ღიმილი უნდა მეხოცებინა. მეც გავეუღიშე და ღიმილს ეს სიტყვებით
 დავატანე:

— სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თქვენ ამ სფეროშიც ვერ გაგიტოვებ
 დებით, ბატონო გენერალური დირექტორო.

როგორ დამენანა ამაოდ დახარჯული თავაზიანობა, მას ერთი სიტყვაც არ
 გაუგონია, მხოლოდ ჩემი ღიმილი დაინახა და სახე კვლავ უკმაყოფილო გრი-
 მასმა დაუმანკა. მასაც ეს უნდოდა, მეც მეტი რაღა დამრჩენოდა, უწინდე-
 ბურად მკაცრად და თავაზიანად დავხარე თვალები და ბატონ შტიურცლის
 საკუთარი სისუსტე ჩემთვის არც ამჯერად უზღვევინებია.

— ეს ყველაფერი კარგი, ყმაწვილო. — მითხრა მან, — მაგრამ საკით-
 ხავია, რაიმე ცოდნა და მომზადება თუ გაგაჩნიათ. პარიზში ასე ზეავივით
 რომ დაგვეცით თავს, ფრანგული მაინც თუ იცით?

აი, ამ შეკითხვამ კი ჩემს წისქვილზე მიუშვა წყალი. გული სიხარულით
 ამითრთოლდა, რადგან საუბარი ჩემს სასარგებლოდ შეტრიალდა. აქ უადგი-
 ლო არ იქნება მოვიხსენიო, რომ მქონდა მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ენის
 შესწავლის ზებუნებრივი, ლამის იდუმალებით მოსილი ნიჭი. ბუნებით ისე-
 დაც უნივერსალურობისაკენ მიდრეკილს, გულში მსოფლიოს ყველა კუთხის
 თვისებები მიღვიოდა და ამიტომ სულაც არ მჭირდებოდა უცხო ენის შეს-
 წავლა, საკმარისი იყო ორიოდ ფრაზა მომწვდენოდა ყურს, უფრო სწორად,
 სულ ცოტა დრო მყოფნიდა, რომ შემექმნა რომელიმე ენის ცოდნის შთა-
 ბეჭდილება, თან ისე ზედმიწევნით ზუსტად ვბაძავდი ნებისმიერ ნაციონალურ
 ხალხის ენობრივ მანერას, რომ ეს ყველაფერი ლამის კომენდიანტობას
 უტოლდებოდა. თავისუფალ მეტყველებასთან შერწყმული გამოჯავრების ელ-
 ფერი, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას რომ მატებდა ჩემს ცოდნას, თო-
 რემ მის სარწმუნოობას არაფერს აკლებდა, შედეგი გახლდათ უცხო სულით
 ბედნიერების მომნიჭებელი, ლამის ექსტაზური აღვსებისა, ოღონდ არ ვიცი.
 ექსტაზში მე თვითონ ვვარდებოდი, თუ იგი თვითონ მიპყრობდა, მთავარია,
 რომ ტრანსში გადავარდნილს პაროდირების უინი კიდევ უფრო მიმძაფრდებოდა
 და მხოლოდ უფალმა უწყის, ჩემკენ თავისით როგორ მოფრინავდნენ სიტ-
 ყვები.

რაც შეეხება ფრანგულს, ამ ენის ცოდნაში მისტიკის ხელი ნაკლებად
 ერიო.

— Ah, voyons, monsieur le directeur general, — დიდი გზნებითა და აღ-
 ფრთოვანებით ავიღეს ენა, — Vous me demandez sérieusement si je parle
 français? Mille fois pardon, mais cela m'amuse! De fait, c'est plus ou
 moins ma langue maternelle — ou plutôt paternelle, parce que mon
 pauvre père — qu'il repose en paix! — nourrissait dans son tendre cœur
 un amour presque passionné pour Paris et profitait de toute occasion
 pour s'arrêter dans cette ville magnifique dont les recoins des plus inti-
 mes lui étaient familiers. Je vous assure: il connaissait des ruelles aussi
 perdues comme, disons, la Rue de e'Échelle au Ciel. bref, il se sentait
 chez soi, à Paris comme nulle part au monde. La conséquence? Voilà la
 conséquence. Ma propre éducation fut de bonne part française, et l'idée
 de la conversation, je l'ai toujours conçue comme e'idée de la conversa-

française. Causer, c'était pour moi causer en français et la langue française — ah, monsieur, cette langue de l'élégance, de la civilisation de l'esprit, elle est la langue de la conversation, la conversation elle-même. Pendant toute mon enfance heureuse j'ai causé avec une charmante demoiselle de Vevey-Vevey en Suisse — ~~un~~ ~~peu~~ ~~de~~ ~~loin~~ ~~du~~ ~~petit~~ ~~gars~~ ~~de~~ ~~bonne~~ ~~famille~~, et c'est elle qui m'a ~~en~~ ~~fin~~ ~~de~~ ~~comptes~~ ~~français~~ vers exquis que je me répète dès que j'en ai le temps et qui littéralement fondent sur ma langue —

Hirondelles de ma patrie.

De mes amours ne me parlez-vous pas?

კმარა! — შემაწყვეტინა მან ჩანჩქერივით გადმოღვრილი ენის ტარტალი. — პოეზიასაც შეეშვით! პოეზიას ვერ ვიტან, ლექსების გაგონებაზე აუღელ-შეცულო მიტრიალებს ჩვენ აქ *Fixe n'est-ce pas?* ზე ხანდახან გამოგვყავს ფრანგი პოეტები, ვისაც ტანთ ჩასაცმელი გააჩნია რამე, და ლექსებს ვაკითხებთ ქალებს სიამოვნებით მათი მოსმენა, მე კი ამ დროს რაც შეიძლება მოშორებით ვჯდები და ცივი ოფლი მასხამს.

— Je suis désolé, monsieur le directeur général. Je suis violemment tenté de maudire la poésie.

— კარგი, კარგი. Du you speak English?

ვლამარაკობდი თუ არ ინგლისურად? არა, ინგლისური არ ვიცოდი, მაგრამ სამი წუთით კი შემიძლო თავის მოჩვენება, სამ წუთზე გამწვდებოდნის მარაგი, რაც სადღაც-სადღაც, ლანგუნშვალბანს თუ ფრანკფურტში, ჩემს გაფაცოცებულ სმენამდე ზიავს მოუტანა, ახუ რა ნამცეცებიც ამომიკრუნდა მისი სიტყვიერი ფონდიდან, აბლა საქმე ის იყო, არაფრიდან, ამ არარსებულ მასალიდან ერთი წამით თვალის მომპრელი რამ შემეკოწიწებინა, ამიტომ ღმეჭითა და წლანვით კი არ დამიწყია ლამარაკი, როგორც უმეცარე წარმოუდგენიათ ინგლისური მეტყველება, არამედ სისინა ბგერებს მხოლოდ

1. ი. ბატონო გენერალთა დირექტორო, ბუთუ სეოიოხელად მეკითხებით, ვლამარაკო თუ არა ფრანგულად? ათასგზის ვთხოვთ მომპრევით, მაგრამ სიტყვს ვერ ვიკავებ ეს ხოლოქნის მშობლიური ენაა ჩემი — დუდახემის ენა უფრო სწორად, მაძახემის ენა, ოდგამ სამშობლო მამაჩემი — თმ რომა აცხოვოს იგი? თავის სათუთი ეკოლო სათუთ სიყვარულს შეიძლება იოქვას, ვნებას დაატარებდა პარიზის მიმართ და შემთხვევას არ უშვებდა ხელი დას, რომ დიდხანს ეცხოვრა ამ საოცარ ქალაქში, სადაც ყოველ ჩაბუქს უცხოებდა, ღმწე ზეო, და თი მიყრუებული პერქბიკ კი იკლდა, როგორც მაგალითად, უცხოური კბის კბი და მხოლოდ შინ მხოლოდ პარისში ვოდნობდა თავს, აქედან რა უნდა დავასკვნათ? ის რომ მე ძირითადად ფრანგულად ვარ აღზრდილი, მეტყველებად მხოლოდ ფრანგულ მეტყველებად აღვიქვამდი, საუბარი მხოლოდ ფრანგულად თუ წარმომედგინა, ი. მუსიო, ეს ენა რომ თუ ვლუკასტურობდა, თვით კრეილიზაციაა გონებაშახვილობა, არ, ესაა ქეშმირიტი სისებო ენა, რას პრძანებთ, ეს ენა სასაუბროდაა შექმნილი, მთელი ჩემი ბედსიფოი ბავწეობის მანძილზე ფრანგულად ვეტიტინებოდა ვეველ, შევიკარიის ვეფედან ჩამოსკლ, ჩამობოდა თე მუანგელს, რომელიც ჩემს მანერებსა და სათახადო აღზრდაზე ზრუნავდა, ეს მან მანწიელ კრთი ფრანგული ლექსი, მშვენიერი ლექსი, რომელსაც ბშიოად ვიმყოფებ ჩოლომე და აწონედ მან ჩაოთალოიბა ჩემი მეტყველება.

ჩემი სამშობლოს მეტყულება.

ნუთუ არ მომიყვებით ჩემი სიყვარულის ამბავს?

2 ჩათს საათზე (ინგლ.)

3 ეს რა დამეძარსა, ბატონო გენერალო დირექტორო, ეშმაკსაც წაუთია მთელი პოეზია (ფრანგ.)

* ინგლისურად თუ ლამარაკობთ? (ინგლ.)

ტუის წიგრებით წარმოვთქვამდი და ცხვარი მედიდურად შეიონდა აპრებლი:

— I certainly do, sir. Of course, sir, quite naturally I do. Why shouldn't I? I love to, sir. It's a very nice and comfortable language, very much so indeed, sir, very. In my opinion, English is the language of the future. Sir, I'll bet you what you like, Sir, that in fifty years from now it will be at least the second language of every human being.

— მაგ ცხვირს რას ატრიალებთ? ეგ სულ ზედმეტია და, სხვათა შორის, არც ეგ თქვენი ლათაიებია საჭირო. მე მხოლოდ ის გკითხეთ, ინგლისური თუ იციო-მეთქი. Parla italiano?

მე იმწამსვე იტალიელად ვიქვეცი და დახვეწილი სისინის ნაცვლად ცეცხლოვანი ტემპერამენტით აღვივსე... ჩემს არსებაში ამოხეთქა ყველაფერმა, თუკი რამ იტალიური გამეგონა ჩემი ნათლია შიმელპრისტერის პირიდან, რომელიც ამ მზიურ ქვეყანაში ხშირად და ხანგრძლივად ჩერდებოდა ხოლმე. ჯერ მომუქული ხელი სახესთან მიმოვიტარე, მერე კი ხუთივე თითი გავშალე. დავატრიალე და ავმღერდი:

— Ma Signore, che cosa mi domanda? Son veramente innamorato di questa bellissima lingua, la più bella del mondo. Ho bisogno soltanto d'aprire la mia bocca e involontariamente, diventa il fonte di tutta l'armonia di quest'idioma celeste. Sì, caro Signore, per me non c'è dubbio che gli angeli nel cielo parlano italiano. Impossibile d'immaginare che queste beate creature si servano d'una lingua, meno musical...³

— სდექ! — მიბრძანა მან. — თქვენ ისევ პოეზიაში ვადაიჭერთ, ხომ ვითხარით, პოეზიის გაგონებაზე გული მიღონდება-მეთქი. ნუთუ ამას ვერ მოიშლით? სასტუმროს მოსამსახურეს ეგ სტილი არ შეეფერება. ისე წარმოთქმა ცუდი არა გაქვთ და, როგორც ვხედავ, ენებიც ასე თუ ისე იციო. ამდენს ნამდვილად არ მოველოდი. ერთი სიტყვით, გამოგცდით, კნოლ...⁴

— კრული, ბატონო გენერალურო დირექტორო.

— Ne me corrigez pas!⁵ ჩემთვის სულერთია, თუ გინდათ სულაც კნალი იყავით, თქვენი სახელი?

— ფელიქსი, ბატონო გენერალურო დირექტორო.

— არც ეგ მომწონს. ფელიქსი — ფელიქსი... მეტიხმეტად გამორჩეული და პრეტენზიულია. ამიერიდან არმანი გერკმევათ...

— ძალიან მიხარია სახელის გამოცვლა, ბატონო გენერალურო დირექტორო.

— გიხარიათ, თუ არ გიხარიათ, სულერთია. არმანი ერქვა ლიტტიორს, რომელიც ამ საღამოს შემოხვევით ტოვებს სამსახურს. ხვალ დილიდან შე-

¹ დიას, სერ, ცხადია, ვლადიმირაკოვ. რატომაც არ უნდა ვლადიმირაკოვ? მე ძალიან მიყვარს ეს ენა ვანა მართლა მშვენიერი არ არის? ჩემი აზრით ინგლისური მომავლის ენაა. მზად ვარ სანადლეოს ჩამოვიდე, რომ თრმოცდაითი წლის შემდეგ ყოველი ადამიანი თავის მშობლიური ენის გარდა ინგლისურადაც ილაპარაკებს (ირგ.).

² იტალიურად თუ ლაპარაკობთ? (იტალ.).

³ აბა რა, სინიორ! მე შეყვარებულ ვარ ამ მშვენიერ ენაზე, მსოფლიოს ულამაზეს ენაზე. საკმარისია გავიღო პირი და ჩემდა უნებურად იგი ზესურთი ბგერების წყაროდ იქცევა. დიას, ჭვირფასო სენიორ, ექვი არ შეპარება, რომ ანგელოზები ზეცაში იტალიურად ლაპარაკობენ. წარმოუდგენელია, ეს ლეოიური არსებანი ამაზე ნაცლებ მუსიკალურ ენაზე მეტყველებდნენ... (იტალ.).

⁴ ნუ მისწორებთ! (თრანს.).

გიძლიათ მის მაგიერ იმუშაოთ. ვნახოთ, როგორ გასწევთ ლიფტიორობას.

— გავბედავ და გპირდებით, ბატონო გენერალურო დირექტორო, რომ თავს არ შევირცხვენ და უფრო უკეთადაც ვიმუშავებ. ვიდრე ესტაში მუშაობა.

— ესტაში რა დააშავა?

— იგი ხან ზევით აყენებს ლიფტს და ხან ქვევით, ამიტომ ხან აბიჯებს გიწვეს და ხან ჩაბიჯება. თუმცა ამას მაშინ აკეთებს, ^{მარტო მარტო} საიროებს უსახურება. ბატონებთან, როგორც შევატყვე, უფრო ^{მარტო მარტო} მარტოდ იტყევა. სამსახურებრივი მოვალეობის ასეთ არათანაბარ შესრულებას მე პირადად ვერ შევეუქებდი.

— ქება რა შუაშია! თქვენ რა, სოციალისტი ხართ?

— რას ბრძანებთ, ბატონო გენერალურო დირექტორო, ეს საზოგადოებს როგორიცაა. მე ზუსტად ისეთი მომწონს და სურვილით ვიწვი, როგორმე მისი გული მოვიგო. მე მხოლოდ ისა ვოქვი, თუ კაცმა შენი საქმე იცი, ყოველთვის კარგად უნდა აკეთო, თუნდაც ძალიან არ გსიამოვნებდეს ამის გაკეთება-შეთქი.

— ისე, მაინც იცოდეთ, რომ სოციალისტები ჩვენს დაწესებულებაში არ გვპირდება.

— *Ca va, sans dire, monsieur le...*¹

— აბა წადით, კნულ! საწყობი სარდაფშია, იქ ლივრვა მოირგეთ! ლივრვას ჩვენ ვიძლევით, ფებსაცმელს კი არა, და უნდა გითხრათ, რომ თქვენი...

— ეს დროებითი ამბავია, ბატონო გენერალურო დირექტორო, ხვალამდე ყველაფერი სრულ წესრიგში იქნება. მე კარგად მესმის, რას მავალდებულებს ეს დაწესებულება და გარწმუნებთ, რომ ჩემს ჩაცმულობას წუნს ვერ დასდებთ. თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ, რომ ძალიან მიხარია ლივრვაში გამოწყობა. ნათლია შიმელპროისტერს უყვარდა ნაირ-ნაირ კოსტუმებში ჩემი გამოწყობა და ყოველთვის მაქებდა, როგორ ვიხდენდი ხოლმე ყოველგვარ კოსტუმს. თუმცა თანდაყოლილი თვისებები რა საქებია, აი, ლიფტიორის ტანსაცმელი კი ჯერ ნამდვილად არ მომიზომებია.

— ცუდი არ იქნება, იმ ტანსაცმელში ლამაზ ქალებს თუ მოეწონებოდათ, — მითხრა მან, — *Adeiu*². დღეს აღარ გვპირდებით, ნაშუადღევს შეგიძლიათ პარიზში გაიარ-გამოიაროთ, ხვალ კი დილიდანვე ესტაშესთან ან სხვა ლიფტიორთან ერთად რამდენჯერმე ადი-ჩამოდით ლიფტით და გაეცანით მექანიზმს, მექანიზმი მარტივია და მისი ათვისება არ გაგიჭირდებათ.

— თვალისჩინივით გავუფრთხილდები, — მივუგე მე. — ვერ მოვისვენებ, სანამ ლიფტის უსათყებუროდ მოყენებას არ ვისწავლი. *Du reste, monsieur le directeur général,* — დავძინე მე და თვალები ამიწყლიანდა, — *les paroles me manquent pour exprimer...*³

— *C'est bien, c'est bien.*⁴ აღარ მცალია, — მითხრა მან და ზურგი შემომმაქცია, ოღონდ მანამდე სახე კვლავ იმ ზიზღნარევა გრიმასმა დაუშანქა. მე ეს არ მწყენია. კისრისტებით დავეშვი კიბეზე — მე ხომ დილითვე უნდა მომესწრო მესაათესთან მისვლა — და სარდაფს მივაშურე. გაუჭირებლად მივაგენი იმ კარს, რომელზეც „საწყობი“ ეწერა და დავაკაკუნე. ოთახში იჭდა

¹ რა თქმა უნდა, მუსიო... (ფრანგ.)
² ნახევარის (ფრანგ.)
³ ვბედავ მოგახსენოთ, ბატონო, რომ სიტყვები არ მყოფნის... (ფრანგ.)
⁴ კარგი, კარგი (ფრანგ.)

ერთი ჩია, სათვალისანი მოხუცი და გაზეთს კითხულობდა. ხარისებზე კი იმ-
დენი ნაირფერადი ფორმის ტანსაცმელი ეკიდა. ის ოთახი მეძველმანის დუქანს,
თუ თეატრის გარდერობს უფრო ჰგავდა. ჩემი სურვილი ჩია მოხუცს მოეხი-
ნებ და საქმე თვალის დახამხამებაში მოვაგვარე.



— Et comme ça, — შითბრა მოხუცმა. — tu voudrais l'appréter mon
petit, pour promener les jolies femmes en haut et en bas?¹

არა, ამ ერის საშველი არ იქნება. მოხუცს თვალი ჩავუყარი და და-
ვუღასტურე. ეს ჩემი სურვილიცაა და მოვალეობაც-მეთქი.

მან ერთი შემავლო თვალი, საკიდიდან ქვიშისფერი, წითლით გაწყობი-
ლი ზეა. ანუ პიჯაკი და შარვალი ჩამოხსნა და უბრალოდ მკლავზე გადაამ-
კლდა.

— ზომ არ ჯობდა მომეზომებინა? — ვკითხე მე.

— არაა საჭირო, რასაც გაძლევ, მოგერგება. Dans cet emballage la
marchandise attirera l'attention des jolies femmes.²

ამ დაჩაჩანაკებულ მოხუცს, წესით, სხვა საფიქრალი უნდა ჰქონოდა.
მაგრამ, ეტყობა, მექანიკურად ისროდა სიტყვებს. ამიტომაც მეც ასევე მექანი-
კურად ჩავუყარი ისევ თვალი, გამომშვიდობებისას „mon oncle“³ ვუწოდე და
შევფიცე, ჩემს კარიერას მხოლოდ და მხოლოდ თქვენ დაგიმადლით-მეთქი.

იმ ლიფტით, რომელიც სარდაფამდე ჩამოდიოდა, მეექვსე სართულზე
ვედი. ძალიან მეჩქარებოდა. გულში მაინც მიტრიალებდა შიში. სტანკო
ჩემს არყოფნაში ჩემოდანს არ მიჰპარვოდა. გზაში გაისმოდა ზარის წყარუნი
და უჩერდებოდით. ბატონებს ლიფტი სჭირდებოდათ და მეც მათ შემოსვლა-
ზე მორიდებით კედელს ვეკვროდი ზოლმე. ჯერ ერთი ქალბატონი შემოვიდა,
რომელსაც მესამე სართულზე სურდა ასვლა. მეორე სართულზე ინგლისუ-
რად მოლაპარაკე წყვილი შემოგვემატა — მათ მეოთხე სართულზე მოით-
ხოვეს აყვანა. მარტო შემოსულმა ქალბატონმა, სწორედ იმან, ვინც პირველი
დაგვემგზავრა, ყურადღება ამიფორიაქა. და სიტყვა „ამიფორიაქა“ აქ ზედ-
გამოჭრილი გახლავთ. რადგან მას გულაძგერებული ვაკვირდებოდი და ჩემს
გულისძგერას არც სიტყბოება აკლდა. დღეს, მართალია, იმ ქალბატონს ყან-
ჩის ფრთებით შემკული ზარისებური ქუდი აღარ ეხურა. სულ სხვა, ფართო-
ფართლებიანი, ატლასით გაწყობილი ნაკეთობა უმშვენებდა თავს. ზემოდან
ვეინა თეთრი ნიკაპქვეშ შეკრული, პალტოზე გრძლად ჩამოშვე-
ბული პირბადე და პალტოც სულ სხვანაირი ეცვა. — გუშინდელზე მსუბუ-
ტი უფრო ღია ფერისა. გაწყობილი დიდრონი, ყაითანშემოვლებული ლილე-
ბით, მაგრამ იოტისოდენა ექვიც არ შემპარვია, რომ ჩემ წინ საბაჟო შემოწ-
მებისას დამეზობლებული ქალბატონი იდგა და, რაც მთავარია, მასთან იმ
ზარდაწმით ვიყავი გადანასკვული. იგი, უპირველეს ყოვლისა, იმით ვიცანი,
რომ თვალებს ქაჩავდა. მართალია, მაშინ მებაჟეს ეკამათებოდა, მაგრამ და-
ვასკვენი, რომ თვალების ქაჩვა ჩვეულებად ჰქონდა, რადგან ახლაც, ყო-
ველგვარი საბაბის გარეშე, წამდაუწუმ ქაჩავდა თვალებს. საერთოდ, მის არც-
თუ ულამაზო სახის ნაკეთებს ნერვიული მანკვისაკენ ეტყობოდა მიდრეკი-
ლება. სხვა ამ ორმოც წელს მიტანებული შავგვრემანი ქალისთვის არაფერი
შემიმჩნევია ისეთი, რაც მის მიმართ გაჩენილ ნაზ გრძნობებს შემ-
საძინებდა.

¹ შენ, ჩემო პატარავ, ვინდა ხევით-ქვევით სულ დამეზომებინა ქალები „ჰაბიტო“ სტოლიც.
² ასე შეკეთებული საქონელი ღიაში ქალების ყურადღებას მოიპოვებს (უბრალოდ).
³ ბიძაჩემო (ფრანგულ).

ზედა ტუჩზე ამოსული მუქი ღინღლი საკმაოდ შეენოდა, ხოლო თვალები
ზუსტად ისეთი მოოქროსფრო წაბლისფერი ჰქონდა, მე რომ მომწონდა.
ოღონდ ის თვალები წამდაუწუმ რომ არ დაეკეცია, ~~წამდებოდა~~ აჯობებდა
ჩემდათავად ისეთი შეგრძნება დამეუფლა, შევძლებდი ტკბილი სიტყვით მო-
მეშლევინებინა მისთვის ეს აბეზარი ჩვეულება. *მარკინეშვილი*

მაშ ჩვენ ერთდროულად ჩამოვმხტარვართ ამ ~~წამდებოდა~~ *მარკინეშვილი* ჩემზე
საერთოდ ითქმოდა ეს სიტყვა, და სულ უბრალო შემთხვევას შეუშლია ბე-
ლი, რომ ერთად არ წარვსდექით იმ რეგისტრატორის წინაშე, ასე იოლად რომ
წითლდებოდა. ლიფტის სივიწროვეში მისი სიახლოვე უცნაურად მირევდა
კეუა-გონებას. განა ამაღელვებელი არ იყო, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა
ჩემზე, არასოდეს არ ვენახე, ახლაც არ შეუმჩნევია ჩემი არსებობა. მაგრამ
ჩემს უსახო ხატებას იმ წუთიდან გონებაში მაინც დაატარებდა, გუშინ სალა-
მოს, თუ ამ დილით ჩემოდანს რომ ამოალაგებდა და ზარდახშის გაუჩინარე-
ბას შენიშნავდა? რა გაკვირვებულები არ უნდა დარჩეს ჩემი ბედით შეწუხე-
ბული მკითხველი, ამ დასკვნას მტრულ განზრახვას ვერაფრით ვერ ვუთავ-
სებდი. მართალია, გონებაში წამით კი გამიელვია, რომ ჩემს გახსენებაზე
თავისუფლად შეიძლებოდა რალაც-რალაცები გამოეძიებინა, სათანადო ნა-
ბიჯიც გადაედგა და, ვინ იცის, ახლა იქნებ სწორედ იქიდან ბრუნდებოდა, სადაც
ეს ნაბიჯი გადაიდგა-მეთქი, მაგრამ ეს ფიქრი სერიოზულ ვარაუდად არ
გადაქცეულა და იოტისოდენაც არ შეუბლალავს იმ სიტუაციის მომხიბლაობა.
მადიებელს თავისი ძიების საგანი ასე ახლოს რომ ედგა და თვითონ ვერა-
ფერს ხვდებოდა. როგორ ვნანობდი — და ვნანობდი ორივეს მაგივრად —
ეს სიახლოვე ასე ხანმოკლე რომ გამოდგა და მხოლოდ მესამე სართულამდე
გაგრძელდა! იგი, ვის ფიქრებშიც მე ვიყავი ჩაბუდებული, ლიფტიდან გავი-
და და წითურთმიან ლიფტიორს უთხრა:

— Merci, Armand!

ეს საოცარი საქციელი მის გულღიობას მოწმობდა — სულ ცოტა ხნის
ჩამოსული იყო და ამ ბიჭის სახელი კი იცოდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ისე
ხშირად ჩამოდიოდა „სენტ ჯემს ენდ ალბანიში“, რომ ლიფტიორს დიდი
ხანია იცნობდა. გარდა ამისა, იმანაც გამაოცა, ლიფტით სწორედ არმანი
რომ დაგვატარებდა. ერთი სიტყვით, ლიფტში მათთან ერთად ყოფნა ფრიად
ნაყოფიერი გამოდგა ჩემთვის.

— ვინ არის ეს ქალბატონი? — ვკითხე წითურთმიანს ზურგს უკანიდან,
როცა კვლავ დავიძარით.

იმ ხეპრემ პასუხი არ გამცა. მიუხედავად ამისა, მეხუთე სართულზე ლიფ-
ტიდან რომ გამოვედი, კითხვა გაუუმეორე:

— თქვენ ის არმანი ხომ არა ხართ, ამ სალამოს რომ ანებებს თავს მუ-
შაობას?

— ეგ შენი კეუის საკითხავი არაა. — უხეშად მომახალა მან.

— იქნებ არის ჩემი საკითხავი, — მივუგე მე, — სწორედ რომ ჩემი სა-
კითხავია, რადგან დღეიდან მე ვარ არმანი. თქვენს ადგილზე მე ვიწყებ მუ-
შაობას, თქვენი მემკვიდრე გახლავართ, ოღონდ არ ვაპირებ ვინმეს თვალში
თქვენისთანა გაუთლელი გამოვჩინდე.

— Imbécile!² — მომიგლო მან და ზედ ცხვირწინ მომიკეტა ლიფტის კარი.

¹ გმადლობთ, არმანი! (ფრანგ.).

² უკუჩხი! (ფრანგ.).



სტანკოს ეძინა, როცა ზემოთ, № 4 დორტუარში შევედი. მაშინვე გან-
 ჯინას ვეცი. ჩემოდანი გამოვიღე, პირსაბან ოთახში გავაქანე და ზარდახმა
 ამოვაძვრინე. მადლობა ღმერთს, ჩვენს პატიოსან სტანკოს მისთვის ხელი
 ეხლო. გავიხადე პიჯაკი და ეილეთი, თვალწარმტაცი ტოპაზის კელსადანი
 ველზე გავიკეთე და ცოტა გამიჭირდა. მაგრამ კეფაზე მაინც შევემსრფინე
 ბარბანი საკეტი, ზედ ისევ ტანსაცმელი გადავიცვი. ხოლო სხვა ~~ფეხსაცმელი~~
 წერილი ნივთები, რომლებიც დიდ ადგილს არ დაიჭერდნენ. მათ შორის
 ბრილიანტებიანი ძეწკვიც, მარცხნივ და მარჯვნივ, ჯიბეში ჩავიტანე. ამას
 რომ მოვრჩი, ჩემოდანი ისევ თავის ადგილზე დავდე. ჩემი ლივრეა კარებთან,
 კარადაში შევკიდე. ქურთუკი ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, ხუთი სართული
 ფეხით ჩავირბინე (ალბათ იმიტომ, რომ არმანთან ერთად ლიფტით ჩასვლა
 აღარ მინდოდა) და ზეციური კიბის საძებნელად გავემართე.

ჯიბეები ძვირფასეულობით მქონდა გამოტენილი, მაგრამ რამდენიმე სუ-
 რა არის, ისიც კი არ გამაჩნდა, რომ ომნიბუსის ბილეთი მეყიდა, და გზას
 ფეხით დავადექი. გზა ძნელი გამოდგა. რადგან იმ ქუჩას კითხვა-კითხვით თუ
 ზივანებდი და სისწრაფესაც მალე მოვუკელი. აღმართიანი ქუჩებით სია-
 რულმა ისე დამიძძიმა ფეხები, მონმარტრის სასაფლაომდე მისვლას ორმოც-
 დახუთი წუთი მოვანდომე და კაცმა რომ თქვას, მისაგნები თურმე ეს სასაფ-
 ლაო მქონია, თორემ მერე სტანკოს მითითებები ისე ზუსტი აღმოჩნდა, რომ
 სულ მალე ვიპოვე დამრემონის ქუჩაც და „კეთილგონიერ ქალწულთა“ შე-
 სახვევიც. რამდენიმე ნაბიჯიც გავიარე და მივედი კიდევ.

პარიზისნაირი გიგანტური ქალაქი უამრავი უბნისა და სათვისტოშოსაგახ
 შედგება. რომელთაგან მხოლოდ სულ მცირე ნაწილმა თუ შეიძლება შეგიქ-
 მნათ თავიანთი ქალაქის სიდიადის შეგრძნება. დიდებული ფასადების მიღმა,
 მსოფლიო დედაქალაქს უცხო თვალისთვის რომ გამოუფენია, წვრილბურ-
 ეუაზიულ-პატრიარქალური სამყარო იმალება და კარჩაკეტილ თვითკმაყო-
 ფილ ცხოვრებას ეწევა. „ზეციური კიბის“ ქუჩის მცხოვრებთა შორის ბევრი
 იქნებოდა ისეთი, ოპერის ავენიუს ციალსა და იტალიური ბულვარის მსოფ-
 ლიო ორომტრიალს წლების მანძილზე რომ ვერ იხილავდა. ერთი სიტყვით,
 იდეალურ პროვინციაში მოეხვდი: მოკირწყლულ ვიწრო ქუჩაში ბავშვები თა-
 მაშობდნენ, მყუდრო ტროტუარებზე უბრალო საცხოვრებელი სახლები ჩამწ-
 კრივებულებო, რომელთა პირველი სართულები აქა-იქ დუქანს, საბაყლოს,
 საყასბოს თუ საფუნთუშეს, ან მეუნაგირის სახელოსნოს ეჭირა და საკმაოდ
 უხვი საქონლით იწონებდა თავს. მესაათეც სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო.
 მართლაც სულ მალე ვიპოვე № 92. „პიერ ყან-პიერ პორლოგერი“ — ეწერა
 ვიტრინის მხარეს დატანებულ კარზე. ვიტრინაში კი ნაირ-ნაირი ქრონომეტ-
 რები, მამაკაცის და ქალის ჯიბის საათები, თუნუქის მალევიძარები და იაფ-
 ფასიანი, ქანქარიანი საათები ელაგა.

სახელურს დავაწეე. კარის გაღებაზე ზედ დაკიდული ზარი ამოძრავდა
 და მის ელრიალში მალაზიაში შევედი. მალაზიის პატრონს ცალ თვალში ხის-
 ჩარჩოიანი ლუპა ჩაედგა და ვიტრინისებურ დახლს გადაღმა იჯდა. ვიტ-
 რინის შუშებში კი ისევ საათები და ძეწკვები იყო გამოფენილი. იგი ერთი
 ჯიბის საათის მექანიზმს უკირკიტებდა, რომელსაც ალბათ მისი პატრონი
 უჩიოდა. მალაზიას ავსებდა ჩამომწკრივებული დასადგამი საათების ტიკტიკო-
 — გამარჯობა, ოსტატო, — ვთქვი მე, — მე მინდა შევიძინო ჯიბის საათი
 თავის კობტა ძეწკვითურთ.

— მაგ სურვილის შესრულებას წინ ვერავინ აღუდგება, ჩემო პატარა, — მომიგო მან და თვალიდან ლინზა ამოიღო. — ალბათ ოქროსი არ გენდომებათ.

— აუცილებელი არაა, — ვუთხარი მე. — ბრწყინვალეა, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩემთვის მთავარია მექანიზმის სიმბუნებრივ სიზუსტე.

— ჯანსაღი პრინციპები გქონიათ. მაშ ვერცხლისა, არა? — მკითხა მან. ვიტრინის შიდა შუშა გამოსწია, რამდენიმე საათი გამოიღო და დახლზე დამიწყო.

მესაათე ჩია, ხმელი მოხუცი იყო, მოყვითალო, აბურძენილი ჭალარა თმა ჰქონდა და ზედ თვალბეჭეშ ეწყებოდა ბაკენბარდები. ასეთ ბაკენბარდებს, სადაც მომრგვალებულ ფორმას უნდა იღებდნენ, სწორედ იქა აქვთ ხოლმე ბოლოები უნიათოდ ჩამოყრილი და ჩამოძენძილი. დიახ, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია ასეთი უღიმღამო და უსიამო სახეები.

ხელში ის საათი ავიღე, რომელიც თვითონ შემირჩია, და ფასი ვიკითხე. ოცდახუთი ფრანკი ღირდა.

— ოსტატო, სხვათა შორის, უნდა ვითხრათ, რომ ამ საათში, რომელიც ძალიან მომწონს, არ ვაპირებ ნაღდი ფული გადაგიხადოთ, მინდა ვაქრობის უფრო ძველი ფორმით, ანუ გაცვლის წესით მოვიზიდეთ. აი ნახეთ ეს ბეჭედი! — ვუთხარი მე და რუხი მარგალიტისთვლიანი ბეჭედი ამოვიღე. რომელიც საგანგებოდ ქურთუკის შიგნით ჩაკერებულ ჭიბეში მქონდა გადანახული. — მე მინდოდა ეს მშვენიერი ნივთი თქვენთვის მომეყიდა და თქვენგან მიმეღო განსხვავება მის ღირებულებასა და საათის ფასს შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინდოდა საათის ღირებულება ბეჭედში მიღებული თანხით გადამეხადა, ანუ თუ არ შეწუხდებით, საათის ფასი, რომელზეც თანახმა ვარ, ვთქვათ, იმ ორი ათასი ფრანკიდან გამოგექვითათ, რომელსაც ექვგარეშეა ბეჭედში შემომთავაზებდით. რა აზრის ბრძანდებით ამ პატარა გარიგებაზე?

მესაათემ თვალები მოწკურა. ხარბად შეათვალიერა ბეჭედი, ასევე ხარბად შემომხედა სახეში და თან უსწორმასწორო ლოყები აუცახცახდა.

— ვინა ხართ და საიდან გაქვთ ეს ბეჭედი? — მკითხა მან ყრუ ხმით. — თქვენ მე ვინ გგონივართ, ასეთ გარიგებას რომ მთავაზობთ? ახლავე დატოვებთ პატიოსანი კაცის ღირსსამყოფელი!

მე ნალვლიანად ჩავკიდე თავი და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გულთბილად ვუთხარი:

— ოსტატო ეან-პიერ, თქვენ სცდებით. თქვენ უნდობლობამ შეგაცდინათ, კი ვიფიქრე, რომ არ მენდობოდით, მაგრამ იმედი მქონდა, ადამიანის ცნობა არ გაგიჭირდებოდათ. აბა შემომხედეთ, განა საშიშ კაცს ვგავარ? თქვენი პირველი შეფასების გამო არ გკიცხავთ, გასაგებია, რაც ჩემზე იფიქრეთ, მაგრამ მეორე შეფასებაც თუ პირველზე უკეთესი არ გამოდგა, მაშინ მართლა ძალიან დამწყდება გული.

იგი ხან დახრიდა თავს და ბეჭედს დახედავდა, ხან ასწევდა და სახეზე მაკვირდებოდა.

— ჩემი ფირმა ვინ მოგასწავლათ? — მკითხა მან.

— ჩემმა კოლეგამ და თანამობინადრემ, — მივეუგე მე. — ის ამჟამად შეუძლოდაა. თუ გნებავთ, თქვენგან გამოჩანმართელების სურვილებს გადავცემ. მას სტანკო ჰქვია.

ის ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ლოყები ისევ უცახცახებდა და ზევით-ქვევით კვლავ ეჭვით იყურებოდა, მაგრამ მშვენივრად ვხედავდი, რომ შიშს ბეჭედის ხელში ჩაგდების წყურვილმა გადასძლია. თვალი კარისკენ გააბრუნა ბეჭედი გამომართვა, დახლის იქით თავის ადგილს დაუბრუნდა და შესასწავლ ობიექტს მესაათის ლუბით დაუწყო სინჯვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ზადი აქვს, — თქვა მან მარგალიტზე.
— ამას კი არ მოველოდი. — მივუგე მე.
— მჯერა. ამ ზადის შემჩნევა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია.
— ასეთი ფარული ზადი შეფასებისას ალბათ მხედველობაში არც მიიღება, ბრიალიანტებზე რაღას იტყვით?
— ნაგავია, ნამსხვრევებია, ეს ვარდულები, ჩამონატეხები... დეკორაცია და მეტი არაფერი. ასი ფრანკი, — დასძინა მან და ბეჭედი დახლზე დაადო, უფრო სწორად, მომიგდო.
— ალბათ ყური მატყუებს! (

— თუ ეგრე გგონიათ, ჩემო ბიჭუნო, აიღეთ ეგ თქვენი ნაქურდალი და აქედან მოუსვით.

— მაშინ საათი ველარ მიყიდია და ეგაა.

— *Je m'en fiche.* — მითხრა მან, — *Adieu!*

— მისმინეთ, ოსტატო, — ხელახლა წამოვიწყე მე, — დიდ პატივს გცემთ, მაგრამ მაინც უნდა შემოგბედოთ მორიდებული საყვედური, რომ საქმეებს ნამდვილად უხერხემლოდ უძღვებით. ზედმეტი ზელმოჭერილობის გამო აფერხებთ მოლაპარაკებას, რომელიც, შეიძლება ითქვას, არც დაწყებულა. თქვენ მხედველობიდან უშვებთ ერთ ვარაუდს: მართალია, ეს ბეჭედი თავისთავად ძვირფასი რამ არის, მაგრამ იქნებ მეასედიც არ იყოს იმისი, რაც მე შემიძლია შემოგთავაზოთ. ეს ვარაუდი კი არა, ფაქტია და აჯობებდა ჩემთან ამ ფაქტის გათვალისწინების საფუძველზე გაგეგრძელებინათ ურთიერთობა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მესაათეს თვალები გაუფართოვდა და ლოყები კიდევ უფრო ძლიერად აუცახცახდა. ისევ კარისკენ გაიხედა, თავი დამიქნია და კბილებში გამოცრა:

— აქეთ შემოდი!

ბეჭედს ხელი დაავლო, დახლის უკან შემიშვა და ჩახუთულ უფანჯრო ოთახში გამავალი კარი შეაღო. იქ შუა ოთახში მაგიდა იდგა, მაგიდას პლიუშის სუფრა ეფარა, ხოლო ზემოდან კიდევ ყაისნალით ნაქსოვი სუფრა ჰქონდა გადაფარებული. მოხუცმა აანთო მაგიდის თავზე დაკიდული გაზის ლამპა და დღესავით გააჩახჩახა ოთახი. იქ კიდევ სეიფი თუ ცეცხლგამძლე კარადა და პაწია საწერი მაგიდა იდგა, ერთი სიტყვით, ეს იყო რაღაც საშუალო წვრილბურჟუაზიულ სასტუმრო ოთახსა და სამუშაო კაბინეტს შორის.

— აბა, რა გაქვს, მიჩვენე! — მითხრა მესაათემ.

— ჯერ ნება მომეცით, ცოტა შევმსუბუქდე, — შევაგებე მე და ქურთუკი გავიზადე. — ასე ჯობია. — დავსძინე და თითო-თითოდ ამოვალაგე ჭიბუებიდან კუს ბაკნის სავარცხელი, საფირონისთვლიანი გულის ქინძისთავი, კალათის ფორმის გულსაბნევი, თეთრი მარგალიტისთვლიანი სამაჯური, ლალისთვლიანი ბეჭედი და შთაბეჭდილების დამაგვირგვინებელი ბრიალიანტე-ბიანი ძეწკვი. ყველაფერი ცალ-ცალკე დავაწყვე ნაქსოვ სუფრაზე, ბოლოს

1 ჩემი დარდიც ეგ იყოს, ნახვამდის (ფრანგ.).

ბოდიშის მოხდით ეილექტი გავიხადე. ყელიდან ტოპაზის ყელსაბამი მოვიხსენი და ამ ნობათს ისიც მივუმატე.

— ამაზე რას შეტყვიო? — დარბაისლურად, ამაყად ვეტირზე მე.

ვხედავდი. ძლივს რომ დაფარა თვალებში გაჩენილი ცეცხლი და ძლივს შეიკავა ტუჩების წკლაპუნის, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, ვითუ ვეღარ ვიქნებოდი, რომ მეტს მოველოდიო, და ბოლოს ცივად იკითხა:

— სულ ესაა?

— სულ ესააო? — გავიმეორე მე. — ოსტატო, თავს ისე ნუ მომაჩვენებთ, თითქოს სულ ცოტა ჩნის წინ კიდევ შემოეთავაზებინოთ თქვენთვის ასეთი კოლექცია.

— თქვენ კი ერთი სული გაქვთ, როდის მოიცილებთ თავიდან თქვენს კოლექციას, არა?

— ჩემს სულწასულობას ნუ გააზვიადებთ. — მივუგე მე. — რომ მკითხოსოთ, გონივრულ ფასად თუ შეელევით, მაგას კი დაგიდასტურებდით.

— ყოჩად. — მომიწონა მან. — გონიერება მართლა არ გაკლია, ჩემო ბიჭუნავ.

ამ სიტყვებზე გამოსწია მაგიდის ირგვლივ შემოწყობილი სავარძლებიდან ერთ-ერთი და ნივთებს ჩაუჯდა. მეც დაუბატიყებლად ავიღე სკამი, ფეხი ფეხზე გადავიდე და მივაჩერდი. კარგად ვხედავდი, როგორ უცაბცაბებდა ხელები, ერთამეორის მიყოლებით რომ იღებდა ნივთებს ხელში, სინჯავდა და მერე უფრო აგდებდა, ვიდრე ღებდა მაგიდაზე. ალბათ სიზარბისაგან ავარდნილი ცაბცაბის გაბათილება თუ უნდოდბ, დროდადრო მხრებს რომ იჩეჩავდა. მხრები ზედიზედ ორჯერ აიჩეჩა, როცა ბრილიანტებიანი ძეწკვი ჩამოიკიდა ხელზე, ქვებს სული შეუბერა და თითებშუა ისე გაატარა. მით უფრო აბსტრდულად გაისმა მისი სიტყვები, როცა ბოლოს ყველაფერს ხელი შემოატარა და თქვა:

— ხუთასი ფრანკი.

— რაში, თუ ნებას მომცემთ, გკითხოთ?

— ყველაფერში ერთად.

— თქვენ ალბათ ხუმრობთ.

— ჩემო ბიჭუნო, ჩვენ არც ერთს არ გვეხუმრება, გინდა შენი ნადავლი ხუთას ფრანკად მომცე? პო თუ არა?

— არა, — ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. — ფიქრადაც არ გავივლებ, ახლა კი, თქვენის ნებართვით, ჩემს სამანსოვროებს ავიღებ, რაკი ვხედავ, რა უსინდისოდ მიპირებენ მოტყუებას.

— სინდისზე ლაპარაკობ, არა? — დამცინა მან. — ეგ სიტყვა გშვენის. შენი ასაკისთვის სიმტკიცეც სანაქებო გაქვს. აჰა, სიმტკიცის ჯილდოსაც გიმატებ და ექვსასს გეუბნები.

— ეგ ნაბიჯიც ღიმილის მომგვრელია. მე, ბატონო ჩემო, ჩემს ასაკთან შედარებით უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები, მაგრამ, ნურას უკარავად, ბავშვივით ვერ მომექცევიო. კარგად ვიცი ამ ნივთების ნამდვილი ფასი, არც ისე გულუბრყვილო ვარ, რომ მეგონოს, ამ ფასს ამოვიგებ-მეთქი. მაგრამ ისეთ ფასს ვერ დავთანხმდები, ყოველგვარ მორალურ საზღვრებს რომ სცილდება. ბოლოს და ბოლოს ისიც კარგად ვიცი, რომ ამ საქმეშიც არსებობს კონკურენცია და როგორმე მყიდველსაც ვიშოვი.

— სხვა ტალანტთან ერთად ენაც კარგად გიპირის, მაგრამ ერთ რამეს კი

ვერ მიმბვდარხარ: შენ რა კონკურენციითაც შემუქრები, ის კონკურენცია ორგანიზებული რომ შეიძლება იყოს და საერთო პრინციპებზეც დაფუძნებული.

— საკითხი მარტივი გადასაწყვეტია, ოსტატო ეან-პიერ; ჩემს ნივთებს თქვენ იყიდით, თუ სხვას უნდა მივიყიდო.

— ყიდვას ვაპირებ. ოლონდ, როგორც წინასწარ შევთანხმდით, ჩემს ნივთებს რულ ფასად.



— ჰოდა, ეგ რამდენია?

— შეიდასი ფრანკი. ესაა ჩემი საბოლოო სიტყვა.

უსიტყვოდ დავიწყე სამკაულების ჯიბეში ჩალაგება, პირველ რიგში კი ბრილიანტებიან ძეწკვს მოვკიდე ზელი.

ლოყებაცაბცაბებული შემომყურებდა.

— სულელო, — მითხრა მან, — შენი ბედნიერების ფასი არ იცი. დაფიქრდი მაინც, რამოდენა ფულია შეიდასი ან რვაასი ფრანკი, ჯერ ჩემთვის, ვინც უნდა გავიღო ეს თანხა და მერე შენთვის, ამ თანხას ჯიბეში რომ ჩაიდებს რას არ იყიდი, ვთქვათ, რვაას ორმოცდაათ ფრანკად — ლამაზ ქალებს, ტანსაცმელს, თეატრის ბილეთებს, კარგ სადილებს. შენ კი ამის მაგივრად აპირებ იდიოტივით კიდევ დიდხანს ათრიო ჯიბეებით ეგ ნივთები. დარწმუნებული კი ხარ, რომ გარეთ პოლიცია არ გელოდება? ჩემს რისკს აღარაფრად აგდებ?

— კარგი ერთი, — ყოველი შემთხვევისათვის შევეკამათე მე, — ამ ნივთებზე გაზეთში წაიკითხეთ რამე თუ რა?

— ჯერ არაფერი.

— ხომ ზედავთ? საქმე თვრამეტი ათასი ფრანკის რეალურ ღირებულებას ეხება, თქვენი რისკი კი წმინდა თეორიულია. მიუხედავად ამისა, მე მაინც გავეითვალისწინებ ამ რისკს, რადგან ამჟამად გაჭირვებას განვიცდი. მომეცით ღირებულების ნახევარი, ცხრა ათასი ფრანკი და ბარიბარს ვიქნებით.

მან სიცილი დამაყარა და დიდი ვერაფერი სასიამოვნო იყო მისი კბილებდაცვეთილი პირის დანახვა. სიცილში რამდენჯერმე ამოთქვა დასახელებული ციფრი, ბოლოს კი სერიოზულად მითხრა:

— ჰკუაზე შეშლიხარ.

— თქვენს ნათქვამს ვღებულობ, როგორც პირველ შემოთავზებულ ფასს ამის შემდეგ, რაც მანამდე თქვით. ოლონდ მაგ ფასის გადახედვაც მოგიწევთ.

— ყური დამიგდე, ბიჭუნი, ეს საქმე შენისთანა ლლაპისთვის აღბათ პირველია, ხომ?

— თუნდაც ასე იყოს, მერე რა? — მივუგე მე. — პატივი ეცით ამომავალი ტალანტის პირველ ნაბიჯს! ხელს კი ნუ ჰკრავთ თქვენი უგუნური წუწურაქობით, არამედ ხელგაშლილობით ეცადეთ, თქვენსავე სასიკეთოდ, ხელიდან არ გაუშვათ იგი, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ მოგებას ნახავთ მისი წყალობით, თქვენ კი აიძულებთ სხვა შემსყიდველს მიმართოს, ვისაც თქვენზე მეტად ეცოდინება იმედის მომცემი ახალგაზრდობის ყადრი!

გაშტერებული შემომყურებდა, აშკარად ჩანდა, როგორ სწონიდა ჩემს ლამაზ-ლამაზ სიტყვებს თავის მოკმუქვნილ გულში, როცა თვალმოუშორებლევ მიცქეროდა ტუჩებში. მისი ყოყმანი უმაღლვე გამოვიყენე და დავსძინე:

— რა აზრი აქვს, ოსტატო ეან-პიერ, ბითუმად ვაჭრობას, კოლეგია ჯერ სათითაოდ შევაფასოთ და ჯამი მერე ვიანგარიშოთ. ამისათვის დროს ნუ დავიშურებთ.

— თანახმა ვარ. — მითხრა მან. — ვიანგარიშოთ.

აი, აქ მომივიდა უხეში შეცდომა. ცხადია, ბითუმად რომ გარვიგებულყოფით, ცხრა ათას ფრანკს მაინც ვერ გავაგდებინებდი, მაგრამ ყოველი ნიუთის ფასზე სათითაოდ ბრძოლა და ვაქრობა, რაც მეტყველებდა, როცა მაგიდას ვუსხედით და მესაათე თავის საზიზღავნებელს ბლოკნოტში იწერდა, იმით დასრულდა, რომ საცოდავად ჩამოვექვეითდი. ვაქრობდი დიდხანს გაგრძელდა. ორმოცდახუთი წუთი თუ უფრო მეტიც. შიგადაშიგ გაისმოდა ზარის ელრიალი, ეან-პიერი მალაზიაში გადიოდა, მე კი ჩურჩულით მიბრძანებდა ხოლმე, შენი სუნთქვა არ გავიგონო.

იგი მალ-მალე ბრუნდებოდა უკან და ბაზრობა გრძელდებოდა. ბრილიანტებიანი ძეწკვის ფასი ორი ათასამდე ავიყვანე და, თუ ამას გამარჯვება ეთქმოდნა, ეს იყო ჩემი ერთადერთი გამარჯვება. ამაოდ მომყავდა მოწმედ ზეცა ტოპაზის ყელსაბამის მშვენიერების დასამტკიცებლად, საფირონის სახოტბოდ, გულისქინძისთავს რომ ამკობდა. ამაოდ ვაქებდი სამაჯურში ჩასმულ თეთრ მარგალიტს, ამაოდ განვადიდებდი ლალსა და რუხ მარგალიტს. ყველა ბეჭედი ერთად ათას ხუთასად შეფასდა, სხვა დანარჩენში, ძეწკვის გამოკლებით, დიდი ბრძოლით გამოვძალე ზოგში ორმოცდაათი, ზოგში კი არა უმეტეს სამასი ფრანკისა, ჯამმა ოთხი ათას ოთხას ორმოცდაათი ფრანკი შეადგინა და ეს გაიძვერა კიდევ ვითომ შეძრწუნებული გაიძახოდა, მე და მთელი ჩემი საგვარეულო ვლატაკდებითო. ბოლოს იმდენად აიღო ნამუსზე ხელი, რომ გამომიცხადა, თუ ასეა, შენ რომ ყიდულობ, იმ ვერცხლის საათს, ოცდახუთად კი არა, ორმოცდაათზე ნაკლებ ველარ მოგცემო, ეს იგი, საათში იმდენს მთხოვდა, რამდენსაც ოქროს თვალწირმტაც გულსაბნევში მძლევდა. მაშინ ხელზე ოთხი ათას ოთხასილა მრჩებოდა. მერე სტანკოს რაღა ვუყო-მეთქი, გავიფიქრე მე. ჩემი ამონაგები მძიმედ იბეგრებოდა. მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. „Entendu“ უნდა განმეცხადებინა. ეან-პიერმა გააღო რკინის ტრეზორი, ჯერ ნივთები შეაწყო, რომლებსაც გულდაწყვეტილი, თვალებით გამოვეთხოვე, და მერე მაგიდაზე დამიწყო ოთხი ათასფრანკიანი და ოთხი ასიანი.

მე თავი გავაქნიე.

— იქნებ უფრო წვრილი ფული მოგეცათ. — ვუთხარი და ათასიანები მივუწიე. მან მიპასუხა:

— ყოჩაღ! მე მხოლოდ ტაქტის გრძნობა შეგიმოწმე. როგორც ვხედავ, საყიდლებზე რომ მიდგება საქმე, არავისთვის თვალის დაყენებას არ დააპირებ. აი, ეს მომწონს, საერთოდაც მომწონხართ, — განაგრძო მან, სანამ ათასიანს ას-ასიანებად დამიხურდავებდა და რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის მონეტასაც გამოურევდა. — შენი ნდობა მართლა რომ არ გამჩენოდა, არც ამისთანა საზიფათო და თან გამალატაკებელ გარიგებაზე დაგთანხმდებოდი. ხომ ხედავ, შენთან კავშირის გაწყვეტას არ ვაპირებ. ადვილი შესაძლებელია, სულ ადვილი შესაძლებელია, შენგან კაცი დადგეს, გარეგნობაში რაღაც გაქვს მზიური. პო მართლა, რა გქვია?

— არმანი.

— აბა, არმან, შენ იცი, კიდევ თუ მოხვალ, ამით დაამტკიცებ შენს მადლიერებას. აჰა, შენი საათი. ამ ძეწკვს ზედ საჩუქრად დაგისართებ. — (ძეწკვი

1 თანხმობა (ფრანგ.)

არც არაფერი ღირდა). — ნახვამდის. ჩემო პატარავ! შემოიარე! მართალი გი-
ბრათ, ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ცოტა შემოიყვარდი კიდევ.

- თუ ასეა, გრძნობების დაფარვა მშვენივრად გცოდნიათ.
- პირიქით, სულ არ მეხერხება, არა.



ასე ბუმრობა-ბუმრობაში დავშორდით ერთმანეთს. მერე ოსმანის ქუჩაში
გარამდე ომნიბუსით მივედი და ერთ-ერთ ჩასახვევში ფეხსაცმლის მაღაზრის
მივაგენი. ვიყიდე ერთი წყვილი მოხდენილი და თან დარბაისლური. ფეხზე
კოსტად მომდგარი წაღები და აღარც გამიხდია, იქვე განვაცხადე, ჩემი ძვე-
ლი ფეხსაცმელების დანახვაც აღარ მინდა-მეთქი. მეოე უნივერსალ „პრინ-
ტემპსში“ კარგა ხანს ვინეტიალე და წვრილმანი, მაგრამ აუცილებელი ნივთები
შევიძინე: სამი თუ ოთხი საყულო, ჰალსტუხი, ერთი აბრეშუმის პერანგი, ქუ-
დის მაგიერ რბილი შლაპაც ვიყიდე და ძველი ქუდი ქურთუკის შიდა ჯიბე-
ში ჩავიტანე, ვიყიდე ქოლგაც, რომელსაც ბუდეში თუ ჩადებდი, ხელჯობად
გამოგადგებოდა და ამ ქოლგის სწორედ ეს მომეწონა, ამათ დავამატე კიდევ
ნათის ხელთათმანები და ხელიკის ტყავის საფულე. ამის შემდეგ მზა ტანსაც-
მლის განყოფილებაში გავედი, სადაც პირდაპირ საკიდიდან ჩამოვხსენი მსუ-
ბუქი, თბილი, ნაცრისფერი შალის ქსოვილისგან შეკერილი, მშვენიერი სტუ-
დენტური კოსტუმი. კოსტუმი ტანზე კარგად მომერგო და მოსახსნელ სა-
ყულოსა და თეთრკოპლებიან ლურჯ ჰალსტუხთან ერთად სახეზეც ძალიან მო-
მიხდა. აღარც ის კოსტუმი გამიხდია, გამყიდველს ვთხოვე, რითაც აქ შემო-
ვედი, ის გარსი შინ გამომიგზავნეთ-მეთქი, და სახუმაროდ ასეთი მისამარ-
თი დავეტოვე: „Pierre Jean-Pierre, quatre-vingt-douze, Rue de l'Échelle
aus Ciel“¹

ასე გაკობტავებული და გალალებული გამოვედი უნივერსალ და, ძკლავზე
კაუჭით მეკიდა ჩემი ქოლგა. ხოლო ხელთათმანებით შემოსილ თითებში პა-
წია ხის სახელურით მეჭირა ჩემი ნავაჭრი — წითელი ზონრით შეკრული თეთ-
რი პაქეტი, მოვდიოდი ასე გალალებული, ვფიქრობდი იმ ქალზე, გონებაში
ჩემს უსახო ხატებას რომ დაატარებდა და კითხვა-კითხვით დამეძებდა, და ასე
მეგონა, ჩემი ხატება მისი კითხვებისა და მისივე ღირსი ახლა უფრო იყო,
ვიდრე აქამდე. ცხადია, ჩემთან ერთად თვითონაც გაიხარებდა, საკუთარ
პერსონას ჩვენი ურთიერთობისათვის უფრო შესაფერი გარეგნული ფორმა
რომ მივცედი. ამასობაში მოსალამოვდა და შიმშილი ვიგრძენი. ერთ-ერთ
ტრაქტირში, ვერ ვიტყვი, სანადიმო-მეთქი, მაგრამ ყუათიანი სადილი კი შე-
ვუკვეთე: თევზის სუბი, ერთი კარგი ბიფშტექსი თავის გარნირითურთ, ყველი
და ზედ ორი კათხა ლუდიც დავაყოლე. კარგად დანაყრებულმა გადავწყვიტე
იმ ცხოვრებისთვისაც გამესინჯა გემო, გუშინ სხვები რომ ტკბებოდნენ და
მე შორიდან შურით შევცქეროდი: სახელდობრ, დავმჯდარიყავი იტალიური
ბულვარის რომელიმე კაფეს წინ და ქუჩის ორომტრიალის ცქერით შემეჭ-
ცია თავი. ასეც მოვიქეცი, ცხელი მაყლის ახლოს ერთ პატარა მაგიდას მი-
ვუჯექი. ვაბოლებდი, ლიქიორს ვწრუპავდი, ხან ჩემ წინაშე ხმაურით მსრბო-
ლავ ნაირფერ ცხოვრებას ვუცქეროდი, ხან კი ჩემს ახალთახალ, კოპწია ფეხ-
საცმელს დავხედავდი — ფეხი ფეხზე მქონდა გადადებული და ცალ ფეხ-
საცმელს პაერში ვაქანავებდი. ისე გამიტკბა იქ ყოფნა, რომ კარგი ერთი სა-
ათი ვიჯექი და აღბათ კიდევ უფრო დიდხანს ვიჯდებოდი, თანდათან ჩემი

¹ „პიერ ჯან-პიერი, რომელი ოთხმოცდათორმეტი, ზეციური კიბის ქუჩა“ (ფრანგ.).

მაგიდის ქვეშ და მის ირგვლივ ნამწვის შეგროვებაში დახელოვნებული მხო-
ბავეები რომ არ მომრავლებულიყვნენ. ჩემდა ჭირად, ერთ ჩამოკონძილ მო-
ხუცსა და ასევე გაყვლეფილ ბიჭს, რომლებმაც ჩემი სხვაობის ნამწვები
აკრიფეს, მალულად ფული ვაჩუქე. ერთს ერთი ფრანკი, მეორეს კი ათი სუ-
მაგრამ მათ ისე გულმხურვალედ გამოხატეს სიხარული, რომ მათნაირთა
მთელი ბრბო მომაწყდა, ერთი კაცი ყველა გაჭირვებულს მათნაირს გაფუ-
მართავდი და მეც თავს გაქცევით ვუშველე. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ
რომ გაჭირვებულთა ასეთ წვრილმან დახმარებაზე ჯერ კიდევ გუშინ საღამოს
ვფიქრობდი და ნაწილობრივ ამის ბრალიც იყო, დროის გასატარებლად ასეთი
ადგილი რომ ავირჩიე.

სხვათა შორის, სანამ იქ ვიჯექი და მერე, სხვაგან რომ ვაყოლებდი გულს,
თავიდან არ მცილდებოდა ფინანსური ხასიათის ფიქრები. რა მექნა, როგორ
გამესტუმრებინა სტანკო? მის გამო მძიმე არჩევანის წინაშე ვიდექი: ან
უნდა გამოვტყდომოდი, რომ უგერგილოდ, ბავშვურად მოვიქეცი, მის ნა-
ანგარიშევე თანხამდე ბევრი დამაკლდა და ამ სამარცხვინო მარცხის მასშტა-
ბით გადამეხადა მისთვის ათას ხუთასი ფრანკი, ან საკუთარი ღირსების დასა-
ცავად და მისი ჯიბის სასარგებლოდ მომეტყუებინა და შეთქვა, თითქოს
ჩვენს ნავარაუდევ თანხას მივახლოებოდე, ოღონდ მაშინ მისთვის ორჯერ
მეტე უნდა ჩამეთვალა, მე კი იმ მშვენიერი ნივთებიდან იმდენი დამრჩებო-
და, რაც იმ უტიფარ ფასზე ბევრად მეტიც აღარ იქნებოდა, ოსტატმა კან-
პიერმა თავიდან რომ შემომთავაზა. რა მექნა, რა გზას დავდგომოდი? თავს
კი ვიმტვრევდი. მაგრამ გული უკვე მითქვამდა, რომ ჩემი სიამაყე თუ
პატივმოყვარეობა გაიმარჯვებდა და სიხარბეს უეჭველად დაჯაბნიდა.

ამასობაში ყავის დალევის დრომაც მოაწია, ყავაც მივირთვი და შემდეგ
იაფფასიანი ბილეთით ერთი გასაოცარი პანორამა ვნახე: უზარმაზარი, მომრგ-
ვალებული ლანდშაფტის ფონზე მოჩანდა აღმოდებელი სოფლები და აუს-
ტერლიცთან რუსების, ავსტრიელებისა და ფრანგების ჯარების შეტაკების
სცენა. ყველაფერი ისე ჩინებულად იყო გაკეთებული, რომ ძლივს გაარჩევ-
დით, სად თავდებოდა ნახატი და სად იწყებოდა ნატურალური ხერხებით
შექმნილი წინა პლანი, სადაც იარაღი და საველე ჩანთები მიმოებნიათ, ხო-
ლო აქა-იქ მეომართა გვამებზე მიმსგავსებული ტიკინებიც დაეყარათ. ერთ
ბორცვზე შტაბის წევრებით გარშემორტყმული იმპერატორი ნაპოლეონი იდ-
გა და კოგრიტით სტრატეგიულ ვითარებას აკვირდებოდა. ამ სურათის
ხილვით აღფრთოვანებულმა პანოპტიკუმსაც მივაშურე, სადაც ყოველ ფეხის
ნაბიჯზე, ათასი ჯურის მონარქების, დიდი კონტრაბანდისტების, სახელგან-
თქმულ ხელოვანთა და ცოლების მკვლელების გამოსახულებებთან შეხვედ-
რით გამოწვეული შიშნარევი სიხარული მელოდა. გეგონებოდათ, ეს ესაა,
ან ერთი გამომელაპარაკება შენობით ან მეორეო. აბატ ლისტს გრძელი თეთ-
რი თმა უკან გადაეყარა. სახეზე, ნამდვილისგან რომ ვერ გამოარჩევდით,
ისეთი მექექი მოუჩანდა, მისჯდომოდა როიალს. ფეხი პედალზე დაედო, თვა-
ლები ცისკენ აღეპყრო და სანთლის ხელებით კლავიშებს ებებოდა. მის აბ-
ლოს გენერალი ბაზენი იდგა, მას სასხლეტისთვის არ გამოუკრავს ხელი,
თორემ საფეთქელზე რევოლვერმიბჯენილი მისი ფიგურა ნამდვილისგან
არაფრით განირჩეოდა. ეს შთაბეჭდილებები ამაფორიაქებელი გამოდგა ჩემი
ახალგაზრდული გრძნობა-გონებისათვის, მაგრამ ლისტითა და ლესეპსით დალ-
ლის მიუხედავად, აღქმის უნარი არ ამომწურვია. დადგა საღამო და წინ

კიდევ ახალი შთაბეჭდილებები მქონდა. გუშინდელივით აფრქვევდნენ სხივებს ფერად-ფერადი შუქრეკლამები, ხან ქრებოდნენ, ხან ისევ ინთებოდნენ და პარიზიც ნელ-ნელა გაჩირაღდა. მე ცოტა ხანს კიდევ ვიხედავდი მერე საათნახევარი ვარიეტეში გავატარე, სადაც ზღვის ლომები ანთებულ ნავთის ლამპებს იჩერებდნენ, მიმოსი ვიღაცის ოქროს საათს რომ დინში ნაყავდა. მერე კი პარტერის უკანა რიგში რომელიმე უდაბნაობაში მყოფებს მაყურებელს შარვლის უკანა ჯიბეში უყოფდა ხელს და იქიდან მთელი საათი ამოჰქონდა. შევხელთათმანებიან, სახეგატეტკილ მომღერალ ქალს პირიდან სამარის ხმა ამოსდიოდა და დარბაზში პირქუშ, უწმაწურ სიტყვებს აფრქვევდა. მერე კი ერთმა მამაკაცმა მუცლით მეზღაპრეობაში დიდი ოსტატობა გვიჩვენა. ამ დიდებული პროგრამის დასრულებას ვეღარ დაველოდე, თუ სადმე შოკოლადის დალევაც მინდოდა, უნდა მეჩქარა, თორემ შინ მისვლაც დაშიგვიანდებოდა და საწოლი ოთახი ხალხით დამხვდებოდა საესე-ობერის ავენიუსა და პირამიდების ქუჩის გავლით ჩემს მშობლიურ სენტონორეს ქუჩაზე მივბრუნდი და სასტუმროს მივუახლოვდი თუ არა, ხელთათმანები წავიძრე, შემეშინდა. აშკარად გაუმჯობესებული ჩაცმულობის ფონზე ხელთმამანებს ჩემს გარეგნობაში გამომწვევი ნიჟიანსი არ შეეტანა. მეხუთე სართულამდე მგზავრებით გამოტენილი ლიფტით ისე ავედი, ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია, მაგრამ სტანკოს კითვალეები გაუფართოვდა, როცა ერთი სართული ფეხით ავიარე. ოთახში შევედი და მანაც ნათურის შუქზე ამათვალ-ჩამათვალეირა.

— Non d'un chien! — თქვა მან. — ერთი შეხედეთ, როგორ გამოპრანქულა! გეტყობა, კარგად გაგიჩარხავს საქმე.

— ჰო, რა, — მივუგე მე. ქურთუკი გავიხადე და საწოლთან მივედი. — საკმაოდ კარგად, სტანკო, მართალია, იმედები სრულად არ აგვხდენია, მაგრამ ის კაცი თავის გილდიაში ყველაზე უსინდისო მაინც არ ყოფილა. დამყოლი ხასიათისაა, თუ, რასაკვირველია, ალღო აუღე და მაგრადაც დაუდექი, ცხრა ათასამდე ავქაჩე. ახლა კი ნება მიბოძეთ, ჩემი მოვალეობა შევასრულო!

ამ სიტყვებზე ჩემი ახალი წაღებით ქვედა საწოლის კიდებზე დავდექი, ხვლიკის ტყავის დატენილი საფულედან ფული ამოვიღე და სტანკოს ბაიკის საბანზე სამი ათასი ფრანკი დავუთვალე.

— ოხ, შე თაღლითო, შენა! — მითხრა მან. — ნაღდად თორმეტი ათასი გექნება აღებული.

— გეფიცები, სტანკო...

სტანკოს სიცილი წასკდა.

— საყვარელო, ნუ გაცხარდები! — მითხრა მან. — თორმეტს კი არა, ვერც იმას დაგიჩერებ, რომ ცხრა ათასს დასტყუებდი. დიდი-დიდი ხუთი ათასი მიგელო, ლოგინში წოლამ მიშველა, სიცხემ დამიკლო, ნასიცხარი ადამიანი მოდუნებულია და გული ადვილად უჩვილდება, მხოლოდ ამიტომ გამოგიტყდები და გეტყვი, რომ ოთხი ათასსა და ხუთი ათასს შუა — ამაზე მეტს ვერც მე გავაგდებინებდი. აჰა, შენს ათას ფრანკს გიბრუნებ, ორივენი კარგი ბიჭები ვართ, განა არა? ჩვენი ბიჭობით აღტაცებული ვარ. Embrassons-nous! Et bonne nuit!

ქმედებს თაღლითობის! (ფრანგ.)
 საკვირველით ერთსახეთი! დამე მშვილობისა! (ფრანგ.)

მეცრა თავი

ლიფტის მომსახურებაზე იოლი ამქვეყნად მართლაც არაფერია და მეც მის მართვას თითქმის მაშინვე დავეუფლე. ჩემს კობტა ლიფტში ხომ თივი მომწონდა, სხვათა შორის, მზერაში ვატყობდი, მშვენიერთა სამყაროსაც არანაკლებ მოვდიოდი თვალში, თან ახალი სახელის ვაჭარ შინაგან განახლებასაც ვგრძნობდი და ამიტომ თავიდან ჩემი სამსახური ნამდვილად მანიჭებდა სიხარულს. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, თუნდაც ბავშვური თამაშებით იოლი იყოს სამსახური, როცა იგი პატარ-პატარა შესვენებებით დილის შვიდი საათიდან შუალამემდე გრძელდება, მეტისმეტად დამქანცველია და სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ადამიანი, სულიერად და ფიზიკურად დაძაბუნებული, ძლივს აფოფხდები შენს ზედა საწოლზე. სამუშაო დღე თექვსმეტი საათი გრძელდებოდა, იმ ხანმოკლე დროის გამოკლებით, როცა მომსახურე პერსონალს სასადილო დარბაზსა და სამზარეულოს შუა მოთავსებულ ოთახში საკვებს აძლევდნენ, და სხვათა შორის, ძალიან მდარე საკვებს; თურმე რა მართალი ყოფილა პატარა ბობი, საჭმელი ბუზლუნის გუნებაზე როგორ არ დაგაყენებდა, როცა ყოველნაირი ნარჩენებისაგან გულისამრევად იყო მოთითხნილი. მე ეს საექვო რაგუები, დაკეპილი ხორცი, ფრიკასეები, ზედ ძუნწად რომ გაყოლებინებდნენ მეავე petit vin du pays¹-ს, მართლა მაწყინრად მიმაჩნდა. ჩემს ცხოვრებაში ამაზე უფრო უგემურად მხოლოდ ციხის საჭმელი თუ მიჭამია. ერთი სიტყვით, ამდენი საათის მანძილზე ლიფტში გამოკეტილი, სასტუმროს ბინადართა სუნამოს სუნით დამძიმებულ პაერში ფეხზე ჩამომწყდარი, აწვები ბერკეტს, შეჰყურებ ზარის ტაბლოს, ასვლა-ჩამოსვლაში რამდენჯერ გიხდება შეჩერება, ზოგს გასვლა უნდა, ზოგს — შემოსვლა და ასეთ ჯაფაში ჩაბმულს როგორ არ უნდა გამკვირვებოდა იმ ბატონების უგუნური მოუთმენლობა, ქვედა ვესტიბიულში ზარს განუწყვეტლივ რომ აეღრიალებდნენ, მეხუთე სართულიდან მათი გულისთვის პირდაპირ ხომ არ ჩამოვვარდებოდი, ბოლო და მომდევნო სართულებზეც გარეშად უნდა გამოვსულიყავი და ძირს ჩამსვლელეები ლიფტში ზრდილობიანი თავის დაკვრითა და თავაზიანი ღიმილით შემეშვა.

პირზე მუდამ ღიმილი მეფინა, წამდაუწუმ გავიძახოდი: „M'Sieur et dame“ და „watch your step!“² რაც სრულიად ზედმეტი გახლდათ, რადგან მხოლოდ პირველ დღეს თუ მოვაყენე ერთი-ორჯერ უხეიროდ ლიფტი, თორემ მას მერე ლიფტსა და იატაკს შორის საფეხურს აღარ ვაჩენდი და ამგვარად გასაფრთხილებელიც აღარავინ მყავდა. ხნიერ მანდილოსნებს ლიფტიდან გამოსვლისას ისე მზრუნველად ვაშველებდი ხელს, თითქოს წინ დიდი დაბრკოლება ჰქონოდათ გადასალახი, და პასუხად ხან შეცბუნებულ ღიმილს, ხან კი ისეთი მელანქოლიითა და სიკეკლუცით აღბეჭდილ მადლიერ მზერას ვიმკიდი, როგორითაც ხანდაზმულობა აჭილდოებს ხოლმე ახალგაზრდულ გალანტურობას. ზოგიერთები აღტაცების გამოხატვისგან თავს იკავებენ, თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც იკავებენ თავს, რადგან გული გაყინული აქვთ და შიგ მხოლოდ კლასობრივი ქედმაღლობა უღვივით. ხელს, სხვათა

¹ ადგილობრივი ღვინო (ფრანგ.).
² მუსიო, მადამ (ფრანგ.).
³ ფრთხილად (ინგ.).

შორის, ახალგაზრდებსაც ვაშველებდი, მათ ლოყები ეფაკლებოდათ და ყურადღებისთვის ბუტბუტით მეუბნებოდნენ მადლობას, ასეთი ეპიზოდები მიზალისებდა მონოტონურ შრომას, რადგან გულის სიღრმეში სულ ერთ ქალზე ეფიქრობდი და თავაზიანობაში მისთვის ვიწაფებოდი. ველოდი იმას, ^{გას} ^{უახლო} სახესაც გულში ცოცხლად დავატარებდი და ვინც თავის მხრივ ჩემს უსახლო ხატებას დაატარებდა, ველოდი ზარდახშის პატრონს, ჩემი წაღების, ჩემი ქოლგისა და საგარეო კოსტიუმის მბოძებელს, მას, ვისთანაც სათუთო სასიძულველო მაკავშირებდა და თუკი იგი უკვე წასული არ იყო, ^{ლოდინი} ^{აღბათ} ლოდინი აღბათ დიდხანს არ გამიგრძელდებოდა.

და აი, მეორე დღესვე, ნაშუადღევს წუთ საათზე — ამ დროს ესტაშიც ქვევით იყო თავის ლიფტიანად — იგი ჰოლში გამოჩნდა, შლაპაზე პირბადე ეკეთა, ზუსტად ისე, როგორც უკვე ნანახი მყავდა. ჩემი გონჯი კოლეგა და მე ჩვენ-ჩვენი ლიფტის გამოღებულ კართან ვიდექით, იგი ჩვენკენ გამოემართა, მე რომ შემომხედა, თვალები დაქუცია, გაიღიმა და თითქოს წაიფორბილა კიდევ, ვერ გადაეწყვიტა, რომელ ლიფტში შესულიყო, ეჭვიც არ მეპარება, რომ გული ჩემი ლიფტისკენ მოუწევდა, მაგრამ ესტაშმა მომასწრო განზე გადგომა და ხელით თავის ლიფტში შეიპატიყა, აღბათ ქალმაც იფიქრა, მისი რიგი თუაო, ერთი კი გადმომხედა, ერთხელ კიდევ დაქუცია თვალები, ესტაშის ლიფტში შევიდა და ლიფტიც დაიძრა.

სულ ეს იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ესტაშთან ქვევით ხელმეორედ შეხვედრისას მისი ვინაობა შევიტყვე — სტრასბურგელი ყოფილა, მაღამ ჰუბფლე.

— Impudemment riche, tu sais,¹ — დასძინა ესტაშმა, რაზეც მე ცივად მივუგე, — Tant mieux pour elle.²

მეორე დღეს, იმავე დროს, როცა ორი ლიფტი გზაში იყო და მე ჩემი ლიფტის წინ ვიდექი, იგი ისევ გამოჩნდა, ეცვა ძალიან ლამაზი, წაუღას გრძელკალთებიანი მოკლე ქურჭი, იმავე ბეწვის ბერეტი და ეტყობოდა, მაღაზიიდან მოდიოდა, რადგან რამდენიმე, არცთუ მოზრდილი, ელეგანტურად შეკრული პაკეტიდან ზოგი მკლავზე ეკიდა, ზოგი კი ხელში ეჭირა. ჩემს დანახვაზე სახე გაებადრა, ღიმილით დამიკრა თავი, როცა მე მოწიწებით მივმართე და თან თავი დავუკარი, რაც საცეკვაოდ გასაწვევ ქესტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლიფტში შეპატიყებას, და მასთან ერთად განათებულ მოძრავ ბუდეში შევიკეტე. ამ დროს მეხუთე სართულიდან ზარის ხმა მოისმა.

— Deuxième, n'est-ce pas, Madame?³ — ვკითხე მე, რადგან ლიფტში ისე შემოვიდა, არავითარი მითითება არ მოუტია.

იგი ლიფტის სიღრმეში არ შესულა და ამიტომ ჩემს ზურგს უკან არ დამდგარა. იქვე, ჩემ გვერდით იდგა კართან და ხან ბერკეტზე ჩამოდებულ ხელზე დამყურებდა და ხან სახეში მიცქერდა.

— Mais oui, deuxième, — მითხრა მან. — Comment savez vous?⁴

— Je le sais, tout simplement.⁵

— თქვენ ახალი არმანი ხართ, არა?

¹ უღვთოდ მდიდარია (ფრანგ.).
² მით უკეთესი მისთვის (ფრანგ.).
³ მეორეზე, არა, მაღამ? (ფრანგ.).
⁴ ღიახ, მეორეზე, თქვენ საიდან იცით? (ფრანგ.).
⁵ ვიცი და მორჩა (ფრანგ.).

— დიახ, მზად ვარ გემსახუროთ, მადამ.

— შეიძლება ეს ცვლილება პერსონალის შერჩევაში წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს.

— Trop aimable, madame.¹

მას რბილი, ნერვიულად მორთოლვარე ალტი პქონდა, მაგრამ ეს გავიფიქრე თუ არა, მან აქეთ მითხრა:

— მინდა სასიამოვნო ხმა შეგიქოთ, არმან. *ენიკენუში*

აი, ერთხელ კიდევ სად გავიგონე სასულიერო მრჩევლის შატოს სიტყვები.

— Je serais infiniment content, madame, — მივუგე მე, — Si ma voix n'offensait pas votre orille!²

ზევიდან ისევ მოისმა ზარის ხმა. ჩვენ უკვე მეორე სართულზე ვიყავით. მან დასძინა:

— C'est en effet une oreille musicale et sensible. Du reste, L'ouïe n'est pas le seul de mes sens qui est susceptible.³

საოცარი ქალი იყო! მე გახვლისას ნაზად შევაშველე ხელი, თითქოს ხელის შეშველება აუცილებელი ყოფილიყო, და ვუთხარი:

— მადამ, ნება მომეცით, ბოლოს და ბოლოს გაგანთავისუფლოთ თქვენი ტვირთისგან და ოთახამდე მიგატანიხოთ.

ამ სიტყვებით თითო-თითოდ გამოვართვი და ხელში მოვიგროვე მისი პაკეტები, ლიფტი უპატრონოდ მივატოვე და ქალბატონი თავის ოთახამდე მივაცილე. სულ ოციოდე ნაბიჯი თუ გვექნებოდა გავლილი, რომ მან ხელმარცხნივ, № 23 ოთახი გააღო. მე გამისწრო და საძინებელში შევიდა. იქიდან სალონში გამომავალი კარი ღია იყო. საძინებელი ოთახი მდიდრულად მორთული აღმოჩნდა, პარკეტზე დიდი სპარსული ხალიჩა ეფინა, იდგა ალუბლის ხის ავეჯი, ტუალეტზე პრილა ნივთები ეწყო.

სპილენძის განიერ საწოლს ატლასის დალიანდაგებული გადასაფარაბელი ეფარა. იქვე იდგა რუხხავერდგადაკრული შეზლონგი. პაკეტები შეზლონგსა და შუშისზედაპირიან მაგიდაზე დავაწყვე. ქალბატონმა კი ამასობაში ბერეტი მოიხადა და ქურჭი შეიბსნა.

— ჩემი მოახლე აქ არა მყავს, — მითხრა მან, — მისი ოთახი ზემო სართულზეა. იქნებ ბოლომდე გამოგეჩინათ თავაზიანობა და ქურჭის გახდამიც მომშველებოდით?

— უდიდესი სიამოვნებით, — მივუგე მე და საქმეს შევუდექი. სანამ აბრეშუმის სარჩულიან, მისი სხეულით გამთბარ ბეწვს მხრებზე ჩამოვუცურებდი, მან თავი ჩემკენ მოაბრუნა და დავინახე, რომ ხშირ წაბლისფერ თმაში, შუბლის ზემოთ, ერთი თეთრი კულული ერია და ეს კულული მუჭი თმის ფონზე კიდევ უფრო თვალში საცემად გამოირჩეოდა. მან ჯერ ჩვეულები-სამებრ დაკვიტა თვალები, მერე კი ქუთუთოები მოხუჭა, თვალები მიბნიდა და მითხრა:

— მაშე ტანთ მხდი, არა, გულადო მონავ?

რა საოცარი, რა ენაწყლიანი იყო ეს ქალი! შევცბი, მაგრამ თავს მოვერიე და ასე ვუბასუხე:


¹ ქალიან თავიანთი ბრძანდებით, მადამ (ფრანგ.).

² სალიაა მისათია, მადამ, თუკი ჩემი ხმა ეუბს არ გქოით (ფრანგ.).

³ დიახ, თას ეს ყური მუხიეალური და მკრძნობიარეა, თუქცა სმენა ერთადერთი რილია ჩემს გრანობათავს, განხეულარებული აღქმის უნარია, რომ გამოიჩევა (ფრანგ.).

— ღმერთს რომ ჩემთვის დრო მოეცა, მაღამ, მაგ სიტყვებში ნაგული-
სხმეე მომხიბლავ საქმიანობას დიდი სიამოვნებით გაგაგრძელებდი.

— მაშ ჩემთვის დრო არა გაქვს, ხომ?

— საუბედუროდ, ამ წუთში არა, მაღამ, ჩემი ლიფტი შელოდებდა, 
ჩვეატოვე, ზევიდან და ქვევიდან ხარს რეკავენ და აღბათ ამ სალონულ-
უკვე შეგროვილი იქნება ხალხი, ადგილს დაგვარგავ, კიდევ დიდხანს თუ დავ-
ბრკოლდი...

— უდროობა რომ არ გაბრკოლებდეს, მაშინ ხომ გეჭნებოდა ჩემთვის
დრო?

— უსასრულოდ ბევრი, მაღამ!

— ჩემთვის მაინც როდის მოიცლი? — შეითხა მან, ჯერ ისევ დაქვიტა
თვალეები, მერე ისევ მიზნედილი მზერა მომაპყრო და თითქმის მომეკრა
მოცისფრო-ნაცრისფერ, წელში გამოყვანილ ინგლისურ კოსტიუმში გამოკვარ-
თული ტანით.

— სამსახური თერთმეტ საათზე მითავდება, — ჩუმად მივუგე მე.

— დაგელოდები, — იმავე ტონით მითხრა მან და დასძინა. — მაინამდე
კი იი ეს საწინდარი მიიდე!

სანამ გონს მოვიდოდი, ჩემი თავი ხელებში მოიმწყვდია და ჩემს ბაგე-
ზე ისეთი ბანგრძლივი კოცნა აღბეჭდა, რომ ჩვენს შემთავსირებელ საწინდ-
რად ნამდვილად გამოდგებოდა.

ბუნებრივია, სახეზე ფერა აღარ მედო, როცა მისი ქურჭი, რომელიც
აქამდე ხელში მეჭირა შეზღონგზე დავდე და ოთახიდან გამოვედი, ღია ლიფ-
ტის წინ მართლა შეგროვილიყო სამი კაცი, სახეებზე ვაოცება ეტყობოდათ,
მე სასწრაფოდ მოვუხადე ბოდიში, აქამდე რომ ვალოდინე, და თავაზიანად
ვთხოვე, ჯერ მეოთხე სართულზე ავსტლიყავით, მაგრამ იქ აღარავინ და-
მზვედრია, ლიფტის დაბრკოლებისთვის ძირს ვარგად გამომლანძღეს და თავი
იმით ვიმართლე, ერთ ქაღალტონს გულის შეუღონდა და ოთახამდე მივაცილე-
მეთქი.

სად მაღამ ჰუბფლე და სად გულის შეღონება! ასეთ უაჩილანას გულს რა
შეუღონებდა! თუმცა უაჩილობას ჩვენ შორის არსებული საქაოდ დიდი
ააკობრივი სხვაობა და ჩემი სოციალური მდგომარეობა უადვილებდა, რაც
უცნაურად და მაღალფარდოვნად გამოჩატა კიდევ: „გულადო მონაო“, ასე
მომმართა ამ პოეტურმა ქალმა! „მაშ, ტანთ მხლი არა გულადო მონავ?“ ეს
მაცდური სიტყვები მოელი დდე, ანუ მანამდე დარჩენილი ექვსი საათის მან-
ძილზე, სანამ „მისთვის მოვიცლიდი“, სულ თავში მიტრიალებდა, ის სიტყვა
კოტა კი მწყინდა, მაგრამ მაინც შეამაყებოდა შეამაყებოდა ჩემი გაბედუ-
ლება, რომელიც, სიმართლე თუ გნებავთ, სულაც არ მქონია, თვითონ მომახ-
ვია თავს და თვითონვე მიკარნახა, ასე იყო თუ ისე, გაბედულება იმ წუთში
ქარბად მქონდა, მან შთაძინერვა იგი, განსაკუთრებით კი იმ შემთავსირებე-
ბელი საწინდრის წყალობით.

შვიდ საათზე იგი სადილზე ჩავიყვანე: ლიფტში ზედა სართულებიდან წა-
მოყვანილი ხალხიც მყავდა და ვველანი, საღამოს ტუალიტებში გამოწყობილ-
ნი, სადილად მიეშურებოდნენ, იგი მეორე სართულზე შემოვიდა, ეცვა სა-
უცხოო თეთრი აბრეშუმის მოკლეშლიფიანი კაბა, მაქმანებით გაწყობილი,
მოქარგულტუნიკიანი, წელზე შავი ხავერდის ქამარი ერთყა, ყელზე კი
რძისფრად მოციმციმე, უხადოდ მოყვანილი მარგალიტების ფარდულა ვაე-

თა, რომელიც მისდა საბედნიეროდ და ოსტატ ჟან-პიერის საუბედუროდ, იმ ზარდანშაში არ ყოფილა. არ შეიძლებოდა არ მოვნიბლულიყავი მისი საქციელით, იმ დიდმნიშვნელოვანი კოცნის შემდეგ ასე ოსტატურად რომ ამარადა თვალი. მაგრამ სამაგიერო მაინც გადავუხადე და ლფტიონ გასვლისას მას კი არა, ერთ მოჩვენებასავით მორთულ-მოკაზმულ დედაბრის მევაშველე ხელი. მომეჩვენა, რომ ღიმილი მოპკვარა ჩემმა გულმოსწავლე გალანტურობამ.

თავის ოთახში რომელ საათზე დაბრუნდა, არ შემეძინებოდა. ოდესმე ხომ უნდა შესრულებულიყო თერთმეტი საათი. ჩვენი სამსახური ამ დრომდე გრძელდებოდა. ოღონდ ბოლო წუთებში მხოლოდ ერთი ლიფტი მუშაობდა, დანარჩენები კი ვთავისუფლდებოდით. დღეს ერთ-ერთი იმათგანი მე ვიყავი. მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფი პაემანთაგან უნაზესი პაემანისთვის ცოტა რომ მოვცოცხლებულიყავი, ჯერ ჩვენს პირსაბანს მივაშურე და შემდეგ ფეხით ჩავედი მეორე სართულზე, იქ დაგებული წითელი ფიანდაზი ისედაც აბზობდა ფეხს ხმას და ამ დროს მთელ დერეფანშიც სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. ჩემი ჭკუით ვამჯობინე ჯერ მაღამ პუპფლეს სალონის კარზე, № 25-ზე მიწეკაკუნებინა. მაგრამ პასუხი არ მიმიღია. მაშინ № 23-ის, მისი საძინებლის გარეთა კარი შევაღე, შიგნითა კარს ყური მივაღე და ფრთხილად დავაკაკუნე.

პასუხად ოდნავ გაოცებული. კიოხვითი ინტონაციით შეზავებული ხმა გავიგონე:

— Entrez?!

გაოცების ინტონაციას ყური ავარიდე და ოთახში შევედი. ოთახს მხოლოდ აბრეშუმის აბაჟურიანი საღამური ლამპა ანათებდა და იქაურობა მოწითალო ბინდში იყო ჩაფლული. ოთახის გულადი ბინადარი — სიამოვნებით და თან სამართლიანად გადამაქვს მასზე ჩემთვის მონიჭებული ეპითეტი — სიტუაციის ამოსაცნობად დაგეშოლმა ჩემმა თვალმა საწოლში, მეწამული, დალიანდავებული საბნის ქვეშ აღმოაჩინა, სპილენძის დიდებულ, განიერ საწოლში, რომელიც თავით კედელზე იყო მიდგმული, ხოლო მის ფერხით, ფარდებჩამოფარებულ ფანჯარასთან, გაშლილი იდგა შეზლონგი. ჩემი მოგზაური ქაღალტონი იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო. ტანზე მოკლესახელოებრიანი ბატისტის საღამური პერანგი ეცვა, რომელსაც ღრმა დეკოლტეზე მაქმანები ჰქონდა შემოვლებული. დაწოლის წინ ვარცხნილი მოეშალა, თმა დაეწნა და გვირგვინივით, მოხდენილად, მიმზიდველად შემოესალტა თავზე. თეთრი კულული უკვე ნაოჭებშეპარულ შუბლზე გადაეარცხნა. კარი მივხურე თუ არა, ზურგს უკან რაზის ჩნაკუნი გავიგონე, რომელიც საწოლიდან ზონრით იღებოდა და იკეტებოდა.

მან, ჩვეულებისამებრ, ერთი წამით დაკვიტა ოქროსფერი თვალები და ასე მომმართა, ნერვიული და ყალბი გამომეტყველება არ შეუცვლია.

— რაო? ეს რა ამბავია? სასტუმროს მოსამსახურე, დღიური ჩუშა, მდაბიო ყმაწვილი შემოდის ჩემთან ასე გვიან, როცა ჩემი ძილის დროა?

— ასეთი იყო თქვენი სურვილი, მაღამ, — მივუგე მე და სარეცელს მივუახლოვდი.

— სურვილი? მართლა ასე იყო? შენ ვითომ „სურვილს“ ეძახი იმ ბრძანებას, ქაღალტონმა პატარა მსახურს, ლიფტიორს რომ დაუტოვა, მაგრამ მე ხომ ვიცი, შენი თავხედობისა და ეტიფრობის წყალობით სურვილში „გუ-

შემოდით (ფრანგ.)

ლისტკმას“, „მხურვალე, დაუოკებელ“ ეინს“ რომ გულისხმობ, დიახ, უბრა-
ლოდ, უყოყმანოდ არქმევ ამ სახელს. იმიტომ რომ ახალგაზრდა ხარ და ლა-
მაზი, თან რა ახალგაზრდა, რა ლამაზი, რა ლირფი და მოურიდებელი... „სურ-
ვილით“ ის მაინც მითხარი, ჩემო ხორცშესხმულო სურვილო, ჩემო უცხოე-
ლივრვით მოვლენილო მინიონო, ტკბილო Helot! შენი თავხედობა თუ გა-
გაბედინებს, ეგ სურვილი ოდნავ მაინც გაიზიარო!



ამ სიტყვებზე მან ხელი ხელში ჩამკიდა და საწოლის დამბრუნებელი
ჩამომაჯინა, წონასწორობის შესანარჩუნებლად იძულებული გავხდი ცალი
ხელი საწოლის თავზე დამებჯინა. ასე რომ, წელში წახრილი, პირდაპირ დავ-
ცქეროდი სიფრიფანა ქსოვილითა და მაქმანებით ოდნავ შებურვილ სიშიშვ-
ლეს და მისგან მონაბერი თბილი სურნელი სახეზე მელამუნებოდა. გამო-
გიტყდებით, ცოტა კი მწყინდა, წამდაუწყუმ რომ მახსენებდა ჩემს დაბალ ჩა-
ნომავლობას, ოღონდ ვერ ვხვდებოდი, ამით ან რა უნდოდა ეთქვა, ან რას
გამოელოდა? პასუხის ნაცვლად მისკენ კიდევ უფრო დავიხარე და ტუჩებზე და-
ვეკონე, ის არაფერი, რომ უფრო ხანგრძლივი კოცნით მიპასუხა, ვიდრე ის
პირველი კოცნა იყო, და მეც, ცხადია, ვალში არ დავრჩენილვარ, საწოლის
თავიდან ხელიც ჩამომალებინა, ჩემი ხელი დეკოლტეში, ძუძუებქვეშ ჩაიკურა,
ძუძუები აღვილად მომყვა ხელში. მან კი მაჯაში მომკიდა ხელი და ჩემს
ხელს თავის მკერდზე ისე დაატარებდა, რომ მთელი ძალით აღსდგა ჩემი
მამაკაცური საწყისი, რაც მას არ გამოპარვია და გულაჩუყებულმა, თანა-
გრძნობითა და სიხარულით შეზავებული ხმით ნაზად ჩაიღუღუნა:

— ო, მშვენიერო სიყმაწვილევ, რამდენად ლამაზი ხარ იმ სხეულთან
შედარებით, რომელსაც წილად ხვდა შენი აღგზნება!

ამ სიტყვებთან ერთად მან ორივე ხელით, გასაოცარი სისწრაფით შე-
მიხსნა ქურთუკის საყელო, დუგმები და ღილები.

— მოიშორე, მოიშორე ყველაფერი, ესეც, ესეც, — სხაპასტუპით ისროდა
სიტყვებს. — ყველაფერი გაიხადე და მოისროლე, რომ დაგინახო, მინდა ღმერ-
თი დაგინახო! მომეშველე, სწრაფად! Comment, à ce propos, quand l'heure
nous appelle, n'êtes—vous pas encopret pour la chapelle? Des habillez-
vous vite! Je compte les instans! La parure de nocel!²
ასე ვეძახი შენს ღვთიურ ნაცვთებს, რომელთა დანახვა მას შემდეგ მწყურია,
რაც პირველად გნახე. მო, ასე, ასე! ო, ეს ღვთაებრივი მკერდი, მბრები,
ტკბილი მკლაფეები! ახლა ესეც მოიშორე, ო, ლა, ლა, აა, მესმის ასეთი გა-
ლანტურობა! მოდი ჩემთან, bien-aimé!³ ჩემთან მოდი, ჩემთან...

ამაზე ენაწყლიანი ქალი ამქვეყნად არ დადიოდა! რაც მისგან მესმოდა,
ეს იყო ნამდვილი გალობა, სხვა სახელს ვერ დააარქმევდი, ლაპარაკი არც შერე
შეუწყვეტია, როცა უკვე მასთან ვიყავი, ეტყობა, ასე სჩვეოდა, ყველაფერი
უეჭველად სიტყვით უნდა გამოეხატა. იგი ახლა გულში იკრავდა სასტიკი
როზას გამოზრდილ და მისგანვე ხელდასხმულ ყმაწვილს, იგი მას ბედნიე-
რებას ანიჭებდა და უფლება ჰქონდა ამის დასტურიც მოესმინა.

— ო, სიტკბოებავ! ო, სიყვარულის ანგელოზო, ვნების პირმშოვ! ოპ,
შე ეშმაკის ფეხო, კარგო ბიჭუნავ, ეს რა შეგძლებია! ჩემს ქმარს არაფერი

¹ მონი (ბერძნ.)
² ლათინო, იმ წუთებში, როცა დრო-ვაში უკვე ეკლესიაში გვიხმობს, თქვენ მზად არა ხართ?
აქარა გაიხადეთ! შე წაძვბს ვითვლი! საქორწინო სამოსი! (ფრანგ.)
³ საყვარელი (ფრანგ.)

შეუძლია, სულ არაფერი, რომ იცოდეს, სულ არაფერი, რა ნეტარება ხარ, ბოლო მომიღე და ეგაა! ნეტარებისგან სუნთქვა მეკვრის, გული მისკდება შენი სიყვარულით ვკვდები! — მან ტუჩებზე და ყელზე მიკბინა. — მითხარი, შენ-თქო! — ამოიყენესა უცერად, ნეტარების მწვერვალთან მიახლოებისას. — შენობით მელაპარაკე, უხეშად მომექეცე, *ლამამტირე!* J'adore d'être humiliée! Je l'adore! oh, Je t'adore, petit esclave stupide qui me déshonore.....¹

ლამამტირე!
J'adore
d'être humiliée!
Je l'adore!
oh, Je t'adore,
petit esclave
stupide qui
me déshonore.....¹

იგი მიიღუშა, ორივენი მივიღუშეთ, მე თავი არ დამიზოგავს, მეც ვიგემე სიტყბოება, მაგრამ მასაც პატიოსნად მივუხლე სამაგიერო, ოღონდ, გული როგორ არ უნდა მომსელოდა, როცა მწვერვალზე ყოფნისას, დამამტირეო, მებუტბუტებოდა და პატარა, სულელ მონას მეძახდა? ჩვენ ჯერ კიდევ მჭიდროდ ჩახვეულები ვიწექით, მაგრამ ამ „qui me déshonore“-თი განაწყენებულს მის სამადლობელ კოცნაზე კოცნითვე არ მიპასუხია, მას ტუჩები ისევ ჩემს სხეულზე პქონდა მოკრული და ისევ მეჩურჩულებოდა:

— შენობით დამელაპარაკე, ჩქარა! შენი პირიდან ეგ მომართვა ჯერ არ მომისმენია, აი ლოგინში ვუწევარ, მართალია, ღეთაებრივ, მაგრამ მაინც მდაბიო მსახურს და სიტყბოებას მანიჭებს ასეთი პატივის ახდა, მე დიანა მქვია, შენ კი კახპა დამიძახე, შენ ჩემო ტკბილო კახპა-თქო, გარკვევით მითხარი!

— ტკბილო დიანა!

— არა, კახპა-თქო, მითხარი! ჩემი დამცირება სიტყვითაც მინდა ვიგემო... მისგან თავი გავინთავისუფლე, გვერდი-გვერდ ვიწექით და ჩვენს გულს ჯერ კიდევ ბაგაბუგი გაქქონდა მე ვუთხარი:

— არა, დიანა, ჩემგან მიგ სიტყვებს ვერ გაიგონებ, მაგას ვერ ვიზამ, იმასაც გეტყვი, რომ ძალიან მტკივა გული, ჩემი სიყვარული დამამცირებელი რომ გეჩვენება...

— შენი კი არა, ჩემი სიყვარულია დამამცირებელი. — მითხრა მან და მიმიზიდა. — შენისთანა ბიჭებისადმი ჩემი სიყვარულია დამამცირებელი! ოხ, ჩემო მწვენიერო ტუტრუცანავ, შენ ამას ვერ მიხვდები! — ამ სიტყვებზე თავზე ბელები მომავლო და ნაზი სასოწარკვეთილების ნიშნად რამდენჯერმე საკუთარ თავზე მიიზალა. — რომ იცოდეს, მე მწერალი ვარ, დიანა, ინტელექტუალური ქალი გახლავართ, დიანა ფილიბერი, ჰუბფლე ქმრის გვარია, c'est du dernier ridicule,² ჩემი ქალიშვილობის გვარით ვწერ, დიანა ფილიბერი sous ce nom de plume.³ ეს სახელი და გვარი, ცხადია, არ ვაგიგონია, ან საიდან უნდა გსმენოდა? მაგრამ ბევრ წიგნს კი აწერია ჩემი გვარი, ესაა რომანები, ფსიქოლოგიური ხასიათისა, გესმის, plains d'esprit, et des volumes de vers passionnés...⁴ დიანა, ჩემო საბრალო მიჩნურო, შენი დიანა dun intelligence extreme.⁵ ოღონდ ინტელექტი... უნს... — ამოიხვნეშა მან და უფრო მაგრად, ვიდრე პირველად, კვლავ თავზე მომიჯახუნა თავი. — შენ ამას რას გაიგებ! ინტელექტი უინტელექტო, ცხოველმყოფელ სილაამა-

¹ ვგიჟდები, რომ მამცირებენ! ვგიჟდები! შენზეც ვგიჟდები, ჩემო პატარა სულელო მონა, ჩემო გამაუპატიურებელო... (ფრანგ.).
² ძალიან სასაცილოა (ფრანგ.).
³ ჩემი ფსევდონიმი (ფრანგ.).
⁴ გოსებაშახილობით აღსავსე რომანები და ენებიანი ლექსების ტომები (ფრანგ.).
⁵ არაჩვეულებრივი ინტელექტი (ფრანგ.).

ხესაა დახარბებული dans sa stupidité,¹ შეყვარებულია, სიგიჟემდე, თვით-
განადგურებამდე, თვითუარყოფამდე უყვარს სილამაზე და ღვთაებრივი სა-
სულელე. მუხლებზე ეცემა მის წინაშე. მასზე ლოცულობს თავდავიწყებით,
თვითდამცირების ვნებათაღელვაში ჩაძირული და მისგან დამცირებულია.
სიამოვნო სიმთვრალე ერევა...

— აბა, აბა, ჩემო გოგონი. — მაინც გავბედე და შევაწყვეტე მწყობრად
ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ბუნებას ეგრე როდი დავუჩაგრავარ, ჩემი მსაზრის
შტერი გამომიყვანო, რაკი შენი რომანები და ლექსები...

მან სიტყვა აღარ დამაბოლოვებინა. ჩემმა ნათქვამმა: სულ რომ არ მინ-
დოდა, ისეთი აღტაცება მოჰგვარაქ.

— შენ „გოგონი“ დამიძახე? — წამოიძანა მან, გულში მხურვალედ ჩა-
მიკრა და ტუჩებით ყელზე დამეკონა. — ო, რა კარგია! ეს „ტკბილ კახბას“
ბევრად სჯობია! ამაზე დიდი ნეტარება შენი სიყვარულის ხელოვნებითაც კი
არ მოგინიჭებია! პატარა, შიშველი ლიფტიორი გვერდით მიწევს და „გოგონ-
იო“, მეძახის, მე, დიანა ფილიბერს „გოგონის“ მეძახის! c'est exquis...
ça me transporte! Armand cheri,² შენი წყენინება არც მიფიქრია, ამის
თქმა როდი მინდოდა, შენა ხარ განსაკუთრებით უკაუო-მეთქი. სილამაზეს
საერთოდ არ გააჩნია ჭკუა, რადგან იგი მხოლოდ ყოფიერებაა, ის საგანია,
რომელიც ინტელექტმა, გონმა უნდა განადიდოს, დამენახე, თავიდან ფე-
ხებამდე დამენახე, ღმერთო, შენ მიშველე, რა ლამაზი ხარ! მკერდი — ასე
ტკბილი თავისი ზომიერი სილბოთი და მკაცრი მშვენიერებით. შხვართი, მკლა-
ვები, კობტა ნეკნები, ჩაეარდნილი თეძოები, ო, რა ფეხები გაქვს, ჰერმესის
ფეხები...

— კარგი რა, დიანა, გეყოფა, ეს მე ვარ შენი სილამაზით...

— სისულელეა! ეგ თქვენი მოგონილია, ჩვენ, ქალები უნდა ვიყოთ ბედ-
ნიერები, მამაკაცებს ასე რომ მოგწონთ ჩვენი მრგვალი ფორმები. სინამდვი-
ლეში თქვენა ხართ ღვთაებრივნი, შემოქმედის ნოსტატარი, სილამაზის ეტა-
ლონები, ახალგაზრდა, სულ ახალგაზრდა, ჰერმესის ფეხებიანი მამაკაცები.
იცი, ვინ არის ჰერმესი?

— უნდა გამოგიტყდე, რომ ამ წუთში...

— Célestie!³ დიანა ფილიბერი წევს კაცთან, თავის დღეში ჰერმესის
სახელი რომ არ გაუგონია! რა საამური ინტელექტის ასეთი დამცირება! მე
გეტყვი, ჩემო ტუტრუცანავ, ვინაა ჰერმესი. ჰერმესი ქურდების მარტვათიანი
ღმერთია.

შეგკრთი და გავწითლდი, სახეზე დავაკვირდი, გულში რაღაც ეჭვმა გამე-
რა, მაგრამ იმწამსვე გამიქარდა, თავში ერთი აზრიც დამეზადა, მაგრამ მყისვე
უკუვაგდე და, სხვათა შორის, ის აზრიც მისმა სიტყვებმა გადამაფიქრებინა,
იგი მკლავზე ტუჩებით მეხუტებოდა და ხან ჩურჩულით, ხან კი თბილი, სიმ-
ღერასავით მოალერსე ხმით აღსარებას მეუბნებოდა.

— იცი თუ არა, საყვარელო, რაც შეგრძნების უნარი გამაჩნია, მხოლოდ შენ
რომ მიყვარდი? არა, პირადად შენ კი არ მიყვარდი, მიყვარდა შენგან ნასიაზ-
რდოები იდეა, ის მშვენიერი წამი, შენში რომაა განსხეულებული, თუ გინ-
და, ამას გაუკუღმართება დაუძახე, მაგრამ მეზიზღება ხნიერი კაცი, წვერ-

¹ თავის სისულელეობით (ფრანგ.).

² ეს აღაჩვეულებრივი საბაა ამათ ქალთა აპოლონის ამოძახის, ქორფანო... (ფრანგ.).

³ ო, ჩეკავ! (ფრანგ.).

მოშვებული, მკერდბანჯგვლიანი, ზრდადასრულებული, თუნდაც სხვებისგან გამორჩეული იყოს, მაინც *affectueux*,¹ ამაზრზენია! გამორჩეული მე თვითონა ვარ, გაუკულმართებად სწორედ ის მიმაჩნია, *de me coucher avec un homme penseur*,² მე ოდითგანვე თქვენ მიყვარდით. ბიჭებო, ცამეტი წლის გოგოს გაგიყვებით შემყვარებია თოთხმეტი, თხუთმეტი წლის ბიჭები, ჩემი ტრფობის საგანი ერთხანს ჩემს ზრდასთან ერთად ~~შეიწყნარდა~~ მაგრამ თვრამეტ წელს იქით ჩემს გემოვნებას, ჩემს ლტოლვას ~~მასთან~~ გადმუხიჭებია... შენ რამდენი წლისა ხარ?

— ოცის, — მივუგე მე.

— ნაკლებისას ჰგავხარ. ჩემთვის ლამის უკვე ბებერი ყოფილხარ.

— მე ვარ შენთვის ბებერი?

— კარგი, კარგი! როგორიცა ხარ, ზედგამოჭრილი ხარ ჩემთვის და ბედნიერებას მანიჭებ. იცი, რა მინდა გითხრა... იქნებ ჩემი ვნებების მიზეზი ისიცაა, რომ დედობა არ გამომიცდია, ვაჟიშვილი არ მყოლია. ჩემს ვაჟიშვილს ალბათ გავალმერთებდი, თუ ცოტა ლამაზი მაინც იქნებოდა. მაგრამ საიდან გამოვიდოდა ლამაზი, იგი ხომ ჰუბფლესგან მეყოლებოდა. იქნებ ეს სიყვარული იმ დედობრივი გრძნობის მაგიერია, ვაჟიშვილის ნატვრია, ეს გაუკულმართებააო, იტყვი შენ. თქვენ? თქვენ რაღა გესაქმებათ ჩვენს ძუძუებთან, რომელთაც გამოგზარდეს. ჩვენს საშოსთან, თქვენ რომ გშვეს? მათქვენ რომ მოისწრაფით, განა თქვენ არ გამოძრავებთ სურვილი კვლავ ძუძუმწოვარა ბავშვებად იქცეთ? გან თქვენც დედა არ გიყვართ ქალში? ესეც ხომ გაუკულმართებაა? სიყვარული თავიდან ბოლომდე უკულმართი გრძნობაა, მას არც შეუძლია სხვანაირი იყოს. სადაც გინდა, ზონდით შეამოწმე, ყველგან გაუკულმართებას წააწყდები... მაგრამ საცოდაობაა, ქალისთვის მართლაც მტკივნეულია, მამაკაცი მხოლოდ სულ ნორჩი, მხოლოდ ბიჭი გიყვარდეს. *C'est un amour tragique, irraisonnable*,³ მიუღებელი, არაპრაქტიკული, ცხოვრებისთვის, ქორწინებისთვის გამოუსადეგარი. სილამაზეს ცოლად ვერ გაპყვები. მე, მაგალითად, ჰუბფლეს გავყევი, მდიდარ მრეწველს, რათა მისი სიმდიდრის ჩრდილში შეფარებულს ჩემი წიგნები მეწერა, *qui sont énormément intelligents*.⁴ ჩემს ქმარს, როგორც გითხარი, არაფერი არ შეუძლია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არაფერი გამოსდის. *Il me trompe*,⁵ როგორც ამ დროს იტყვიან ხოლმე, მსახიობი ქალი ჰყავს ერთი. იქნებ იმასთან გამოსდის კიდევ რამე, თუმცა ძალიან კი მვეჭვება. ისე, ჩემთვის სულერთია, ქალი და მამაკაცი, ქორწინება და ლალატი, ასეთი ამბები არაფრად არ მიმაჩნია. მე ჩემი გაუკულმართებული ცხოვრებით ვცხოვრობ, სიყვარულს მაცოცხლებს, რაცა ვარ, ყველაფერს იგი უდევს საფუძვლად, ვცოცხლობ ამ ენთუზიაზმის ბედსა და უბედობაში და შემოძლია დავიფიცო, რომ ამქვეყნად ვერაფერი, ვერაფერი ვერ შეედრება ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნორჩი მამრის მომხიბლაობას. მე თქვენი სიყვარულით ვსულდგმულობ, შენით ვსულდგმულობ, ჩემო ხორცშესხმულო სურვილო, შენს სილამაზეს ვკოცნი და ჩემი სული ქედს იხრის შენ წინაშე. ვკოცნი შენს კადნიერ ტუჩებს, მის ქვეშ შენ

¹ საშინელება (ფრანგ.).
² მოაზროვნე კაცთან დაწვე (ფრანგ.).
³ ეს სიყვარული ტრაგიკულია და უგუნური (ფრანგ.).
⁴ უაღრესად ინტელექტუალური წიგნები (ფრანგ.).
⁵ იგი მალაქობს (ფრანგ.).

თეთრი კბილები მეგულედა, ღიმილისას რომ ახერხებდა გიკოცნი მკერდის ნატიფ ვარსკვლავებს, იღლიაში, მუტ კანზე მოსულ ოქროს ბუსუსებს. ეს რაღაა? საიდან გაქვს ცისფერთვალე? ქერათმიან ქაბუკს ასეთი კანი, დია ბოინჯა? ოასფერი კანა? შენ მე ჰკუიდან შემშლი, უეჭველად — ჰკუიდან შემშლი! *La fleur de la jeunesse remplit mon coeur agé d'une éternelle jeunesse* თრობას არ უჩანს დასასრული, არ უჩანს ბოლო, მთვრალი მოკვდებო! მსგავსად სული, ეს ჩემი სული, ლერწვივით თქვენკენ მოილტვის მზოლოდ. შენც მოხუცდები *bien-aimé* მალე და სამარისკენ დაექანები, ოლონდ სალბუნად და ნუგეშად დარჩება ჩემს გულს: წარუვალია, თუნდაც ზანმოკლე, მშვენიერების ბედნიერება, წარუვალია მერყეობა კდემამოსილი და წამი იგი მარადიულიც წარუვალია.

— რანაირად ლაპარაკობ?

— როგორ? შენ გიკვირს, ადამიანი ლექსად რომ განადიდებს იმას, რითაც სულით და გულით აღტაცებულია? *Tu ne connais pas donc le vers alexandrin-ni le dieu voleur, toi-même si divin?*²

მე პატარა ბიჭივით დავიმორცხვე და უარის ნიშნად თავი გავაქნიე, დიანა სულ დადნა და მეც უნდა გამოვტყდე, რომ ამდენმა ხოტბა-დიდებად, თან ლექსად გარდასახულმა, ხელახლა აღმაგზნო. მართალია, ჩვენი პირველი ხვევნა-ალერსისთვის, როგორც მჩვეოდა, ისე დაუზოგავად გავიღე ხარკი, მაგრამ დიანა დარწმუნდა, რომ სიყვარულისთვის კვლავ მზად ვიყავი, და თავისი აზრი ჩემთვის უკვე ნაცნობი ხერხით — სიბრალულითა და აღტაცებით შეზავებული სიტყვებით გამოხატა. ჩვენ კვლავ ერთ არსებად ვიქცეთ, მაგრამ, როგორ გგონიათ, მოეშვა იგი დამცირებაზე უგუნურ ლაჭლაქს, ანუ იმას, რასაც სულის თვითუარყოფას ეძახდა? ნურას უკაცრავად, სულაც არა!

— არმან, — ზედ ჩემს ყურთან ჩურჩულებდა იგი, — გვედრები, სასტიკად მომექცე! სულით ხორცამდე შენი ვარ, შენი მონა ვარ! უკანასკნელ კაზბასავით მომექცე! მე მეტიც ღირსი არცა ვარ და ჩემთვის ეს ნეტარება იქნება!

მე ყურს ვუგდებდი, ჩვენ ისევ მივსავათდით, მაგრამ იგი მისავათებულად არ იშლიდა თავისას, მერე უცებ მითხრა:

— ყური მიგდე! არმან!

— დიან?

— რა იქნება, რომ გამლახო? აი, მაგრად რომ გამლახო? მე, დიანა ფილიბერი? ეგრეც მომიხდება, მადლობასაც გეტყვი. აი, შენი აქიმები იქ აწყვია, აიღე, საყვარელო, ვადამაბრუნე და დასისხლიანებამდე მირტყი

— მეტი საქმე არა მაქვს, დიანა. შენ მე ვინ გგონივარ? მე მაგ ტიპის საყვარლებს არ ვეკუთვნი.

— ძალიანაც ცუდი! გეტყობა, ქალბატონების დიდი რიდი გქონია, თავში კვლავ იმ ფიქრმა გამიელვა, ცოტა ხნის წინ რომ მოვიცილე, და ვუთხარი:

— ყური მიგდე, დიანა! ერთი აღსარება უნდა გაგანდო და იმედი მაქვს, ის ავინაზლაურებს იმ დანაკლისს, რაზეც ჩემი ხასიათის გამო უარს გეუბნები.

¹ შენი სიყმაწვილის ყვავილობამ სამუდამოდ დაათრო ჩემი ხნიერი გული (ფრანგ.).

² შენ ხომ არასოდეს მოვისმენია ალექსანდრიული ლექსი და არც ქერდების ღმერთი გავიგონია, თუმცა შენ თვითონ ლუთაებრივი ხარ? (ფრანგ.).

მითხარი, აქ რომ ჩაშ-ხედი და შენი ჩემოდანი. შენი დიდი ჩემოდანი გაბ-
სენი თუ გაანსნევიან, არაფერი დააკლებია?

— დამკლებია? არა, თუმცა კი! შენ საიდან იცი?

— ზარდახშა, ხომ?

— ზარდახშა, დიას! სამკაულებიანი ზარდახშა. შენ საიდან იცი მეტქი?

— ის მე წავიღე.

— შენ წაიღე? კი მაგრამ, როდის?

— საბაჟო შემოწმებისას. მე და შენ გვერდი-გვერდ ვიდექით. შენ საქ-
მით იყავი გართული და მაშინ აგაცალე.

— ამაყალე? მაშ, ქურდი ხარ? Mais ça c'est suprême! მე ქურდთან
ვწევარ! C'est une humiliation merveilleuse, tout à fait excitante, un ré-
re d'humiliation! მაშ შენ მხოლოდ მდაბიო კი არა, ჩვეულებრივი ქურდიც
ყოფილხარ!

— ვიცოდი, რომ გაგიხარდებოდა, მაგრამ მაშინ ხომ ვერ ვიფიქრებდი,
გაუხარდება-მეთქი და ამიტომ გთხოვ მაპატიო. აბა რას წარმოვიდგენდი,
რომ ერთმანეთი შეგვიყვარდებოდა, თორემ იმ გულისტკენასა და შიშს რო-
გორ განგაცდებინებდი, რაც ალბათ შენი საუცხოო ტოპაზის ყელსაბამის,
ბრილიანტებისა და სხვა რამეების დანაკლისით განიცადე.

— გულისტკენაო? შიში? დანაკლისიო? რას ამბობ, საყვარელო, ჭუ-
ლიეტამ, ჩემმა მოახლემ. ერთხანს კი ეძება ის ნიუთები, მაგრამ მე წუთითაც
არ მიდარდია, რა ფასი აქვს ჩემთვის იმ სამკაულებს? რაკი მოიპარე, ჩემო
სიტყვებზე, ყველაფერი შენია. გქონდეს! მაგრამ როგორ უნდა მოიხმარო?
თუმცა სულერთი არაა? ჩემი ქმარი ხვალ ჩამოვა, იცი, რა მდიდარი კაცი
უნიტასების მწარმოებელია, უნიტასები კი, მოგეხსენება, ყველას სჭირდება.
ჭებულეს ფირმის შტრასბურგული უნიტასები დიდ გასაყალშია. მსოფლიოს
ყოველ კუთხეში იყიდება. ჩემი ქმარი სამკაულებით მავსებს, სინდისი სუფ-
თა რომ არა აქვს, თუნდაც იმითომ, რაც შენ მომპარე, იმაზე სამჯერ უფრო
ღამაზ სამკაულებს ჩამომკიდებს. ო, რომ იცოდე, ჩემთვის ქურდი რამდენ-
ჯერ უფრო ძვირფასია, კიდრე ნაქურდალი! პერმეს! მან არ იცის, პერმესი
უნ არის, არადა, თუთონაა პერმესი! პერმეს, პერმეს, პერმეს! არმან?

— რა ვიხდა მიახრა?

— თავში საუცხოო იდეა მომივიდა.

— მაინც რა?

— არმან, შენ უნდა გამქურდო, აქვე, ჩემ თვალწინ, უფრო სწორად,
მე თვალებს დავხუქავ და თავს მოვიმძინარებ, ოღონდ ქურდულად უნდა
გიყურო, როგორ გამქურდავ. ადექი ასევე, როგორც ხარ, ქურდების მეფე,
და იქურდე! შენ იმის ნახევარიც არ მოგიპარავს, რასაც თან დავატარებ და
ამ რამდენიმე დღისთვის, სანამ ჩემი ქმარი ჩამომაკითხავდეს, ბიუროში
შესაწავადაც არაფერი მიმიპარებია. აი იმ კუთხის კარადაში, ზედა თარო-
ზე, ხელმარჯვნივ დევს ჩემი კომოდის გასაღები, იქ, თეთრეულის ქვეშ ხაირ-
ხაირ ხივობებს ნახავ. ფულოც იქვე დევს, კატასავით უჩუმრად გაიარ-გამო-
იარე და ანადირე! მითხარი, ამ სიამოვნებას შენს დიანას ხომ მიანიჭებ?

— კი მაგრამ, ჩემო გოგონი, — ვიცი, რომ გსიამოვნებს და გოგონის

1 ეს ხომ შესაბამავეთ! (ფრანგ.)
2 ნაილ-დაი დამკრეხია, ისეთი ამაღვანებელი, ეს ოცნება, დამტოვება კი არა! (ფრანგ.)

იმიტომ გეძახი. — ჩემო გოგონი, ეგ როგორ შეიძლება, განა ჩენტლმენ-
ჩი საქციელი იქნება მას შემდეგ, რაც ასე დავახლოვდით...



— სულელო! სწორედ ეს იქნება ჩვენი სიყვარულის დღესასწაული!
— ხეილ შესით ჰუმფლე რომ ჩამოვა, რას იტყვის...
— ჩემი ქმარი? რა უნდა თქვას? მე, სხვათა შორის, ჰუმფლე...

მოუუყვები, გზაში გამქურდეს-მეთქი. ასეთები ხომ ხდება, მდიდარი ქალი
შეიძლება ცოტა უგულისყურო იყოს, დაკარგულს აღარაფერი ეშველება და
უაჩილსაც ამასობაში ცხრა მთა ექნება გადავლილი, კარგი ერთი, ჩემს ქმარ-
თან მორიგება მე მომანდე!

— კი მაგრამ, ჩემო ტკბილო დიანა, შენ თვალწინ...

— ოპ, როგორ ვერ აფასებ ჩემი ჩანაფიქრის სილამაზეს! კარგი, არ შე-
მოგხედავ. შეუქს ჩავაქრობ. — მითხრა მან. მართლა გამოთიშა საღამურ
მაგიდაზე დადგმული, წითელაბაეურიანი ლამპა და ოთახში სიბნელე ჩამოწ-
ვა. — არ მინდა გიყურო. მინდა მხოლოდ გავიგონო, როგორ გაიჭრაჭუნებს,
პარკეტი შენი ქურდული ნაბიჯების ქვეშ. მინდა გავიგონო, ქურდობის მო-
მენტში შენი სუნთქვა და შენს ხელებში ნაქურდალის წკრიალი. წადი, ჩუ-
მად დამიძვერი მკლავებიდან, ფეხაკრეფით იარე, მიაგენი და აილე, რასაც
მიაგნებს! ეს იქნება ჩემი ნეტარება...

მის ნებას დავმორჩილდი. ფრთხილად წამოვდექი და რაც ხელში მომხვდა,
ყველაფერი მოვკრიფე. დიდი ვაჭირვება არ დამდგომია, რადგან იქვე,
საღამურ მაგიდაზე, თასში ბეჭდები ეყარა. ხოლო სავარძელთან, შუშის
ზედაპირიან მაგიდაზე უფუტლიაოდ იდო ის მარგალიტის მძივი, სადილად
მიმავალს რომ ეკეთა. სიბნელის მოუხედავად, კუთხის კარადაში მაშინვე
მივაგენი კომოდის გასაღებს. თითქმის უხმაუროდ გავაღე კომოდის ზედა
უჯრა. სულ რამდენიმე ხელი თეთრეული ამოვრიე და ხელში ოქროული
საყურეები, სამაჯურები, საკინძეები და რამდენიმე მსხვილი კუბიურიც მომყ-
ვა. ვითომ მისთვის შემეგროვებინოს, ყველაფერს თავი მოვუყარე და ზრდი-
ლობიანად ლოგინზე დავუწყვე. მაგრამ მან წაიჩურჩულა.

— სულელო, აქ რა გინდა? ეგ ხომ შენი სიყვარულითა და ქურდობით მო-
პოვებული ნადავლია. ყველაფერი ჯიბეებში ჩაიტენე, ჩაიცვი და ისე გაი-
პარე აქედან, როგორც წესი და რიგია! აბა სწრაფად გაისარჯე და
გაიქეცი! მე ყველაფერი მესმოდა. მესმოდა შენი სუნთქვა, როცა ქურდობ-
დი, ახლა კი ისღა დამრჩენია. პოლიციას გამოვუძახო. თუ ჯობია არ გამოვუძა-
ხო? შენ როგორ ფიქრობ? პო, რა ქენი? მალე მორჩები? უკვე ჩაიცვი ლივ-
რეა. ყველაფერი ჩაიწყვე, რაც სიყვარულითა და ქურდობით გაქვს მოპოვებულა
იმედია. ჩემი დილსაკრავიც არ მიგიყოლებია, პო, არა, აქაა... ნახვამდის, არმან!
დიდხანს იცოცხლე, კარგად იყავი, ჩემო ღვთაებავ! არ დაივიწყო შენი დიანა,
გახსოვდეს, რომ შენ მასში ცოცხლობ. წლები წავლენ და წამოვლენ და როცა
le temps t'a détruit, ce coeur te gardera dans ton moment hérité! დიან,
როცა სამარე დაგვფარავს მეც და შენც, არმან, tu vivras dans mes vers et
dans mes beaux romans,² რომლებიც ქვეყანას ნუ მოჰფენ და, შენი ტუჩები-
თაა დაკოცნილი! Adieu, adieu, cher!

1 დრო მტვრად გაქცავს ეს გული შეინახავს შენს ჩატებას ყველაზე აურობელ წამს (ფრანგ.)
2 შენ ჩემს ლექსებში, ჩემს რომანებში იცოცხლებ მარად (ფრანგ.)
3 მშვიდობიერ, მშვიდობით, სიყვარულით (ფრანგ.)

მისამი წიგნი



პირველი თავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ გამოიგებთ და იქნებ მომიწონოთ კიდევ, წინამდებარე უჩვეულო ეპიზოდს მთელი თავი რომ არ ვაკმარე და ამ ეპიზოდით ლამის საზეიმოდ დავასრულე ჩემი აღსარების მეორე ნაწილი. თამაშად შემიძლია ვითხრა, რომ ასეთი რამ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება და ჩემი გმირის გულმხურვალე ვედრება, არ დამივიწყოთ, სრულიად ზედმეტი ვახლდათ. დიანა ჰუბლესებური, მართლაც რომ ყური-ოზული ქალი, და მასთან ის საოცარი შეხვედრა იმის ღირსი არაა, ოდესმე დავიწყებას მისცეს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს ის სიტუაცია, სადაც მკითხველს წილად ზედა ორივესთვის კარგად მიეგდო ყური, ჩემს ცხოვრებაში ჩვეულებრივი საბით არ განმეორებულობს. ცალფად მოგზაური ქალბატონები და თანაც ასაკოვანი, ყოველთვის აღშფოთებას როდი სჯერდებიან, როცა ლამით მათ საწოლ ოთახში შემოპარულ ახალგაზრდა კაცს შეამჩნევენ ბოლმე. ასეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში განგამის ატეხვა სულაც არ გახლავთ მათი ერთადერთი იმპულსი. მაგრამ თუკი ასეთი რამ გადამხდენია (და მართლა გადამხდენია), ის შეხვედრები თავის მნიშვნელობითა და ხასიათით იმ ლამის შთაბეჭდილებებს დიდად ჩამორჩებოდნენ. ამიტომ არაფრად ვაგდებ საფრთხეს, ჩემი შემდგომი აღსარებებისადმი მკითხველს ინტერესი არ გაუწელდეს-მეთქი, და ვიტყვი: მერე და მერე საზოგადოებაში რა სიმბოლისთვის აღარ მიმიღწევია, მაგრამ აღარასოდეს მღირსებია, ჩემთვის ეგრეთწოდებული ალექსანდრიული ლექსით მოემართა ვინმეს.

იმ სასიყვარულო-ქურდულ ნადავლში, პოეტესას ჭეცნაური ახირების წყალობით რომ მოვიპოვე, ოსტატ პიერ ვან-პიერისგან მოწონების ნიშნად მხარზე ხელის ტყაპუნი და ექვსი ათასი ფრანკი მერგო. მაგრამ რაკი დიანას კომოდის უჯრაში მოფათურე ქურდ ღმერთს თერგულის ქვეშ ამოდებულ ოთხი ათასფრანკიანიც ჩამივარდა ხელში. მანამდე ამოგებული თანხის ჩათვლით თორმეტი ათას სამას ორმოცდაათი ფრანკის პატრონი ვავხდი. ამოდენა კაპიტალს, ცხადია, ჯიბეში დიდხანს არ ვავიჩერებდი, დრო ვიბელთე თუ არა, ლიონის საკრედიტო ბანკს მივაშურე და არმან კრულის სახელზე ანგარიში ვავხსენი. ჯიბის ფულად კი თავისუფალი საღამოებისათვის მხოლოდ რამდენიმე ასეული ფრანკი დავიტოვე.

მკითხველი ალბათ მომიწონებს ამ საქციელს და გულიც დაუმშვიდდება. აბა, იმაზე ადვილი წარმოსადგენი რაღა უნდა იყოს, რომ ქარაფშუტა ბიკმა, აქაოდა, ფორტუნის მაცდური სიკეთის წყალობით ამდენი ფული ვიშოვეო, მაშინვე მიატოვოს თავისი უბელფასო სამსახური, იჭიროს მარტონელა კაცის შესაფერი კოხტა ბინა და ამქვეყნიური სიამით გალიცლიცებულ პარიზში მანამ ატაროს დრო, სანამ თავიდანვე ზღვარგადადებულ ვადაში თავის მცირე საგანძური ხელში არ შემოელევა. მე ეგ არც მიფიქრია, უფრო სწორად, იქნებ მიფიქრია კიდევ, მაგრამ გონიერების კარნახით იმწამსვე უკუმიგდია ეს აზრი. ან კი სადამდე მიმიყვანდა ამ აზრის განხორციელება? მერე რაღა მეშველებოდა, როცა ადრე თუ გვიან (გააჩნია, როგორ მადას გამოვიჩინდი) ეგრეთწოდებული წარმავალი სიკეთე გამომეღლეოდა? კიდევ კარგი, რომ არ მავაწყდებოდა ნათლია შამელოპრისტერას სიტყვები (რომელსაც სხვათა შო-

ჩას, დროდადრო მოკლე-მოკლე ღია ბარათებით ვეხმიანებოდით), არ მაგიწ-
ყდებოდა მისი სიტყვები დიდ სასტუმროში გადაშლილ ასპარეზსა და მხე-
ნიერ მიზნებზე, რომელთა მიღწევა ამ ასპარეზის დახმარებით, როგორც მათ
დაპირი, ასევე მიხვეულ-მოხვეული გზებით შემეძლო. პოდა, უფროსად
ტომ მმართველს დაძვინებდა ცდუნება. უმადურობა არ გამომეჩვენებოდა
ნათლიის საერთაშორისო ნაცნობობის წყალობით მიღებული შანსი ხელიდან
არ გამეშვა. ოღონდ ერთი უნდა ვთქვა: ვითომ ასე მტკიცედ ვებლაუებო-
ბოდი ჩემს პირვანდელ პოსტს. მაგრამ სულაც არ მიფიქრია „სწორ გზას“
ამ მიმართულებით დავდგომოდი და ჩემი თავი ობერკელნერის, კონსიერჟის
ან თუნდაც მეტროტელის როლში მეხილა. თავში უფრო იღბლიან „მიხვე-
ულ-მოხვეულ გზებზე“ ფიქრი მიტრიალებდა, ოღონდ სიფრთხილე მმართვე-
და, პირველივე ჩიხი, რომელიც კი ჩემს გზაზე შემომხვდებოდა, ბედნიერე-
ბისკენ მიმაგვალ სანდო ბილიკად არ მომჩვენებოდა.

ამგვარად, ჩემი წიგნაკის პატრონი კვლავ სასტუმრო „სენტ ჯემს ენდ
ალბანის“ ლიფტიორად ვმსახურობდი და საიდუმლო კეთილდღეობის ფონზე
ამ როლის თამაში საკმაოდ მომხიბვლელიც მეჩვენებოდა. მშვენიერი ფონის
წყალობით ჩემი მოხდენილი ლივრეა მართლაც ერთ-ერთ იმ კოსტიუმად
იქცეოდა, ოდესღაც ჩემი ნათლია რომ მაზომებდა ხოლმე. ჩემი იღუმალის
სიმდიდრე — განა ასე არ უნდა ჩამეთვალა ლამის სიზმარში მოვლენილი ქო-
ნება — ამ ტანსაცმელს, თავის სამსახურიტურთ. მიმიკრიად აქცევდა და იმ
როლსაც ამართლებდა. ჩემი ნათლია ნაირ-ნაირი კოსტიუმების მოზომებით
რომ მაკისრებდა. დიახ, თუკი მერე და მერე თვალისმომკრელი წარმატე-
ბით თავი იმაზე აღმატებულად გამისაღებია, ვიდრე ვიყავი, ამჯერად პი-
რიქით, თავს ვიკინებდი, ოღონდ საკითხავია, რომელი სიცრუე უფრო მანი-
კებდა ჯადოსნურ-ზღაპრულ საწყისთან თანაზიარობის ხალისსა და სიხარულს.
რაც მართალია, მართალია, ცუდად მაკმევედნენ და ცუდადაც მინახავდ-
ნენ ამ მდიდრულ, ფულიანი ხალხის სანებივროდ მოწყობილ სასტუმროში,
მაგრამ კვებაც და ჭერიც უფასო მქონდა და თუმცა ხელფასს ჯერ კიდევ არ
ვიღებდი, ჩემს ქონებას არამცთუ ვზოგავდი, ცოტ-ცოტას ვუმატებდი კიდევ.
იქნებოდა ეს Pourboires¹ თუ Douceurs², როგორც მე მიჩვენია ეს გასამრ-
ჯელო მოვიხსენიო. მოკლედ, ცოტაოდენი ფულით მე და ჩემს კოლეგებს
ზოგჯერ გვასაჩუქრებდნენ წამსვლელ-მომსვლელნი, უფრო სწორად, მე ოდ-
ნავ უკეთ და ოდნავ უფრო თავაზიანად მასაჩუქრებდნენ, ვიდრე სხვებს,
ერთგვარ უპირატესობას მანიკებდნენ და ამით ძვირფასი მასალის ამოცნო-
ბის ადამიანურ ნიჭს ამხელდნენ. სხვათა შორის, ამ გარემოებას არასოდეს
გამოუწვევია ჩემი უფრო ტლანქი ამხანაგების შური და გულისწყრომა. მაძ-
ლევედნენ ერთ, ორ-ან სამ ფრანკს, ზოგჯერ ხუთსაც, ცუდად შენიღბული
მფლანგველობის წყალობით, ათ ფრანკსაც წამსვლელნი ან დიდი ხნით ჩა-
მოსულნი, რვა-ათ დღეში ერთხელ მადლიერების გამოჩენას რომ მოინდო-
მებდნენ. საერთოდ, ფულს ყველას დასანახად როდი მაძლევედნენ, ხელს ძირს
დაუშვებდნენ და ისე მაჩრიდნენ. პირსაც მიიბრუნებდნენ, ოღონდ თვალე-
ში ღიმილი ედგათ. ფულს უფრო ქალები იმეტებდნენ, ზოგჯერ მამაკაცებიც,
და ისიც მაშინ. თავიანთი მეუღლეები თუ წააქვებდნენ. მაგონდება ერთი
პატარა ცოლქმრული სცენა, მე რომ არ უნდა შემემჩნია და არც შევიმჩნიე.

1 ფუნის ქირა (ფრანგ.).
2 სასუსნაული (ფრანგ.).

მაგრამ კარგად დაეინათე. როგორ წაიკრა ქალბატონმა თავის მკვალერს მუჭ-
 ლუგუნი და თან წასწორებულა: *Mais! Monnez done quelque chose à ce*
garçon, give him something, he is nice! ამ სიტყვებზე მკვალერმა ქალბატონს წა-
 ბუზღუნა. სალულე ამოიღო და მშინვე ისევ გავიწმინდა სიტყვები:
Non, c'est ridicule that's not enough, don't be so szangy! ერთი
 სიტყვით, ამ გზით ევირამი თორმეტ-თხუთმეტი ფრანკი შემომდიოდა და
 მშვენიერი დანამატი გაჩლდათ იმ დროურ თანხაზე. თოთხმეტ დღეში ერთხელ
 კუთვნილ დასვენების დღეს ადმინისტრაცია საკმაოდ ბუნწად, მაგრამ მაინც
 რომ იძლეოდა.

ზოგჯერ აჭავისუფლალ საღამოებს სტანკოსთან ერთად ვატარებდი. იგი
 კარგა ჩანია გამომგობინდა და დაუბრუნდა თავის სამსახურს — დიდი ბუ-
 ფეტისთვის ნაირ-ნაირი ცივი საუზმეულის დამამზადებელ სამსკროს. იგი კარ-
 გად მექცევოდა, არც მე შეჯავრებოდა და მასთან ერთად სიამოვნებით დავდიო-
 დე კაფეებსა და სხვა გასართობ ადგილებში. თუმცა ვერ ვიტყვი, სტანკო
 გვერდს მამშვენიერსამეთქი. მისი სამოქალაქო ჩაცმულობა ქარაფშუტულ
 და ორანჯოვან შთარეკდილობას ახდენდა. მეტიმეტად უყვარდა ფართოფე-
 რედებიანი და ქრელოქრულა ტანსაცმელი. მე თუ მკითხავთ, სტანკო თეთრ
 ხალათსა და მალალ გახმებულ ჩანში ნამდვილად გაცილებით სიმპატიური
 ჩანდა. რას იზამ, მუშაობს არ უხდება ქალაქურ-ბურჟუაზიული „კომწიობა“,
 ჩვეულებრივ, მუშაყაცი ამას ვერც ახერხებს და თავის გარეგნობას კარგს
 ვერაფერს მატებს ხოლმე. ხსენებულ საკითხზე პეერჯერ მომისმენია ნათლია
 შიმელპრისტერის აზრი და სტანკოს შემხედვარეს სულ მისი სიტყვები მახ-
 სენდებოდა: ჩვენდა სავაზალოდ, ბაღნი ისე დაკნინდა, რომ მთელ ქვეყანაზე
 ბურჟუაზიისგან დამკვიდრებული ნორმებით ცდილობს უფრო დახვეწილი
 გამოჩნდესო. ამბობდა იგი, გლეხის სადღესასწაულო ტანსაცმელი, ან ხელოს-
 ბურჟუაზიისგან დამკვიდრებული ნორმებით ცდილობს უფრო დახვეწილი
 და თვალს, ვიდრე იმ გაუთილელი მოახლის ფრთებანი შლაპა და შლეიფია-
 ნი კაბა, კვირადღეს ქალბატონობის თამაშს რომ ცდილობს. და მე თუ მკით-
 ხავ, ასეთივე უბადრუტოა ფაბრიკის მუშის ეიოთმ დახვეწილი საზეიმო კოს-
 ტიუმეიციო. მაგრამ რაკი ის დროს წავიდა, როცა სხვადასხვა ფენის წარმო-
 მადგენელნი თავიანთი ფერადოვანი ტანსაცმლით იწონებდნენ თავს, მა-
 შინ იმ საზოგადოებაში, სადაც სინამდვილეში აღარ არსებობს ფენები, მო-
 ახლესა და ქალბატონს, დიდგვკა და მდამბოს ერთმანეთისგან რომ ვეღარ
 გამოარჩევ, ისევ ყობია ყველა ერთნაირად იცვამდესო. ნამდვილად ოქროს
 სიტყვებია, თითქოს ჩემს გულში მჯდარივოს ჩემი ნათლია შიმელპრისტერი.
 მართლაცდა, ან მე რა შექნებოდა ქაშარშემოკვერილი შარვალ-ხალათის საწი-
 ნააღმდევო? ძალიანაც მომიხდებოდა და სტანკოსაც ეს უფრო დაშვენდებო-
 და, ვიდრე ეს უაზრო დახვეწილობა. ერთი სიტყვით, ადამიანს ყველაფერი
 უხდება, უკულმართის, სულელოფრასა და ნახევრადშესაფერის გარდა.

ეს ისე, გაცვრით და მ კივირას ვოქვია ამგვარად, ერთხანს ვიარე სტან-
 კოსთან ერთად კაბარეებსა და ღია კაფეებში, რამდენჯერმე კაფე „მადრიდ-
 შიც“ ვიყავით. სადაც სპექტაკლების დამთავრების შემდეგ მრავალფეროვანი
 და ქველის საწაფელებელი სანახაობა იმართებოდა ხოლმე. აოლო ერთხელ ცირკ

* მკვალერს თანე ამ ბიჭისა იტრანდა; მკვალერს თანე, ნათესო რა დამახია (ინგლ).
 † თუ ნახველობა (ინგლ). ‡ ეს ერთი მე მუწწომ ჩიბგოდა.
 † მე რა მართის ხერხედა?

„სტუდენტების“ საზეიმო წარმოდგენასაც კი დავესწარი. ეს ცირკი რამდენიმე კვირით გასტროლებზე იმყოფებოდა პარიზში და მის წარმოდგენაზე ორივე სიტყვა ან იქნებ მეტიც მინდა მოგახსენოთ. ჩემს კალამს ვერ გაატყობდა ასეთი მოვლენა მხოლოდ გაკვირით რომ აღენიშნა და მონათხრობში ის ფერადოვნება არ შეეტანა, რითაც პირთამდე იყო სავსე ის წარმოდგენა.

მსოფლიოში სახელგანთქმულ ცირკს სარა ბერნარის თეატრის მსოფლიოში ლად, სენის ნაპირას, სენ-ჟაკის სკვერში გაეშალა თავისი უზარმაზარი კარავი. იმ დღეს სკვერს აუარებელი მაყურებელი მოაწყდა. ეტყობა, საუკეთესო, ან იმაზე ბევრად აღმატებული რამ უნდა ეჩვენებინათ, რასაც კი მაყურებელს აქამდე სთავაზობდნენ გაბედული და უაღრესად დისციპლინირებული Haut-gout-ის¹ სახით. მაინც რა იყო ეს შეტევა გრძობებსა, ნერვებსა და ვნებათაღელვაზე, პროგრამაში ერთმანეთს განუწყვეტლივ ენაცვლებოდა ფანტასტიკური, ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარამდე მისული ნომრები და ამ ნომრებს არტისტები ღიმილითა და პაეროვანი კოცნით ასრულებდნენ. თითქმის ყველა საცირკო ნომერი სალტო-მორტალეზეა აგებული და ამიტომ ყველანი სიკვდილს ეთამაშებიან, ყოველ წუთს დგანან კისრის მოტეხის საფრთხის წინაშე, მათი სრულყოფილი გრაცია უკიდურეს გაბედულებას ერწყმის, ისინი სიკვდილს ეთამაშებიან მუსიკის გრიალში, რომლის ორდინარული ხმიანობა, მართალია, კარგად ეხამება ამ წარმოდგენის წმინდა ფიზიკურ ხასიათს, მაგრამ სრულიადაც არ შეესაბამება მის აღმაფრენას, თუმცა სუნთქვას კი გვიკრავს, როცა განუხორციელებლის მოახლოებას გვამცნობს და ის განუხორციელებელი მაინც ხორციელდება.

მსუბუქი თავის დაკვირით პასუხობს არტისტი მაყურებლის მქუხარე ტაშს (ცირკში წელში მოხრით მადლობის გადახდა არაა მიღებული). მაყურებელი კი აქ თავისებურია — კარავს პირთამდე ავსებს ერთად შეყრილი სანახაობას დახარბებული პლებოსი და ცხენოსნობის მოტრფიალე. უხეშო ელეგანტურობით აღბეჭდილი საზოგადოება, რომელიც კიდევ გორგუნავს და კიდევ გაღიზიანებს. ლოყებში კავალერიის ოფიცრობა ჩარიგებულა, მათ ქუდი გვერდზე აქვთ მოგდებული. ახალგაზრდა უსაქმურებს, პირგაპარსულთ, მონოკლიანებს, სრული ყვითელი პალტოების ღილაკილოში მიბაკვები და ქრიზანთემები გაურქვიათ: კოკოტები დედაქალაქის ახლომახლო მამულებიდან ჩამოსული ცნობისმოყვარე მანდილოსნების წრეში გარეულან, ხოლო მანდილოსნებს ნაცრისფერფრაკიანი, ნაცრისფერცილინდრიანი, ცირკის მცოდნე კავალრები ახლავთ, რომლებსაც მკერდზე ისე სპორტულ ყაიდაზე ჩამოუკიდნიათ ბინოკლები, თითქოს ლონგშანის დოღზე იყვნენ მოსულნი. ამას დაუმატეთ გამომათაყვანებელი, ბრბოს აღმგზნები ხორციელება მანეჟისა, მდიდრული, ფერადოვანი კოსტიუმები, ბრკყვიალა ზიზილპიპილები, თავლის სუნი, თავის სიმძაფრით რომ გაუქლენთია მთელი ატმოსფერო, და ქალებისა და მამაკაცების გაშიშვლებული სხეულები. დაკმაყოფილებულია ყოველნაირი გემოვნება, ალტყინებულია ყოველი ვნება — მკერდებითა და ზურგებით, ადვილად აღსაქმელი სილამაზით, მჩქეფარე ადამიანური მშვენიერებითა და ამასთანავე ცირკი ბრბოს ხარბი სისასტიკის დასაპურებლად არ იშურებს თავგანწირვის მაგალითებს. ტანდაძაგრული მხედარი ქალები ხრინწიანი შეძახილებით ახტებიან არენაზე მოჭირითე, და ფვთებულ, უბელო ცხენებს და თავიანთი გაწვრთნილობით მაყურებელს

¹ მაღალი გემოვნების ნაწარმოები (ფრანგ.)

შიშის ზარს ჰგვრიან. ქალები ხაზგასმული გულგრილობით შესცქერიან განასტებს, რომლებიც ჩამოსხმული ტანის უკეთ წარმოსახვად ვარდისფერ ტრიკოებში გამოკვართულან. თვალს არ აცილებენ მათ ატლანტიკურ კუნთებდაბერილ, უბალნო მკლავებსა და სანდომიან ბიკუნებს, მკლავებს კუთრებით მომივიდა თვალში მხტუნავეებისა და ეკვილიბრისტების მკლავებსა და მკლავებსა და მათი იშვიათი, ფანტასტიკის ზღვარს გადასული სპორტული კოსტიუმებიც და ისიც, რომელიმე შიშისმომგვრელი ნომრის შესრულების წინ თითქოს ერთმანეთს რომ ეთათბირებოდნენ; მათ შორის საუკეთესო და, ეტყობა, ყველასათვის საყვარელი არტისტი თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა. იგი ჯერ ტრამპლინიდან ავარდებოდა მალლა და მერე ტანის შეურხველად თავის უკან მდგომს, ეტყობა, უფროს ძმას, დაახტებოდა მხრებზე, უფრო სწორად, ეს ილეთი მხოლოდ მესამე ცდაზე გამოუვიდა. ორჯერ გაუცუდდა ნახტომი მხრებს აცდა და ძირს ჩამოვარდა. მარცხის გამო ღიმილითა და თავის დაკვრით მოგვიბოდიშა. უფროსმა ძმამ კი ირონიულ-გალანტური ეესტით კვლავ მიიწვია ტრამპლინზე და ორივე ეს ეესტი მთელ დარბაზს ერთნაირად მომხიბლავი ეჩვენა. იქნება ეს ყველაფერი განგებაც ხდებოდა, რადგან მაყურებელმა კიდევ უფრო მქუხარე და ბრავოს ძახილით შეზავებული ტაში დასცხო, როცა მან მესამეჯერ ისკუბა. ჰაერში ორმაგი სალტო გააკეთა. წაუფორხილებლად დაახტა ძმას მხრებზე. ხელებიც გაშალა და დაიძახა: „me voila“! ამ შეძახილზე კიდევ უფრო მძლავრად იქუხა ტაშიმა. გასაკვირი არც იყო — ხერხემალი უფრო გათვლილი თუ ნახევრად სასურველი მარცხისას შეიძლებოდა გადატყდომოდა, ვიდრე გამარჯვებით დაგვირგვინებული ნახტომის შესრულებისას.

მაინც რა ხალხია ეს არტისტები! ან ადამიანები არიან კი? თუნდაც ჯამბაზები ავიღოთ, ეს უცნაური ტაკიმასხარები, თავიანთი პატარა წითელი ხელებით, უძიროებწამოცმული პატარა ფეხებით, კეგლივით მრგვალი თექის ქუდიდან წითელი ქოჩორი რომ მოუჩანთ, ჩიქორთულად მოუბარნი, თავდაყირა მოსიარულენი, ყველაფერს რომ ეჯახებიან და ეცემიან, უაზროდ დაჰქერიან აქეთ-იქით და ვითომ ყველას ეხმარებიან; ხალხის ხარხარი და ყიყინი აყრუებს იქაურობას, როცა ისინი თავიანთ სერიოზულ კოლეგებს ბაძავენ, ვთქვათ, ცდილობენ გაჭიმულ მავთულზე გაიარონ და ლამის კისერს იტეხენ; ნუთუ უგუნურების ეს უასაკო, დაგვალული პირმშოები, რომელთა ოინებზე მე და სტანკო გულიანად ვხარხარებდით (თუმცა ჩემს აღფრთოვანებაში სევდაც ერია), ნუთუ ესენი, თავიანთი, ცარცივით თეთრი, უაზროდ შეთითხნილი სახეებით, სამკუთხედი წარბებით, ჩაწითლებულ თვალებს ქვეშ ჩამოსმული ვერტიკალური ხაზებით, ამქვეყნად არარსებული ცხვირებით, ბრიყვული ღიმილის გამოსახატავად აწეული ტუჩის კუთხეებით, ერთი სიტყვით, ეს ნიღბები, გასაოცრად რომ ეწინააღმდეგებიან თავიანთ კოსტიუმებს — ბავშვის ოცნების მსგავს, ვერცხლის პეპლებამოქარგულ, შავი ატლასის კოსტიუმებს—მე თქვენ გეკითხებით, ნუთუ ესენი ადამიანები, მამაკაცები არიან, ნუთუ შეიძლება ისინი რამენაირად ბიურგერულ და ბუნებრივ ურთიერთობებში მონაწილე პიროვნებებად ჩაითვალონ? ჩემი აზრით, წმინდა წყლის სენტიმენტალობაა ვიძახოთ, ისინი ადამიანები არიანო, მათაც გააჩნიათ გრძნობები და ცოლ-შვილიც კი ჰყავთო. ჩემი მხრივ, მე მათ პატივს ვცემ, ჰუმანური უხამსობისაგან ვიფარავ, როცა ვამბობ: არა, ისინი ადამიანებად ვერ

1 ამ მღვდელმა ეპისკოპოსმა (ფრანგ.)

ჩაითვლებიან, ისინი ამოვარდნილი არიან ადამიანთა მოდგმიდან, ამ მაიმე-
ჩების ოინბაზობაზე მუცელზე კანი გვასკდება სიცილისგან. მაგრამ ისინი
ცხოვრებას ჩამოშორებული ბრჭყვიალა განდგენილი, უაზრობასთან წილნა-
ყარნი, ადამიანისა და სულელური ხელოვნების მანკია ნაჯვარნი არაფერს უწევენ.

ჩვეულებრივი ადამიანის თვალში ყველაფერი „ადამიანური“ ტანსაცმელია.
მეტიც, ზოგს ისიც სჯერა, ჩვენი საოცარი გულთბილობის წყალობით შეგვიძ-
ლია იმ მოჩვენებით საფარს მიღმაც ადამიანი დავინახოთო. განა ანდრომაქეს
„La fille de l'air“¹, როგორც მას ვრცელ პროგრამაში იხსენიებდნენ, შეიძ-
ლებოდა ადამიანი ყოფილიყო? აქამდე გამომყვა მასზე ფიქრი და ოცნება,
და თუმცა მის პიროვნებასა და საქმეს უაზრობისა არაფერი ეცხო, მე მაინც
ის მყავდა მხედველობაში, როცა ჩამბაზეებზე ვწერდი. იგი ცირკის ვარსკვ-
ლავი გახლდათ, წარმოდგენის სული და გული, შეუდარებლად ვარჯიშობდა
ტრაპეციაზე, ცირკის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, სენსაციური
სიახლე, როცა აკრობატი დამცავი ბადის გარეშე გამოდიოდა. პარტნიორი
წარმოსადეგი ჰყავდა, მაგრამ ოსტატობით მას ახლოსაც ვერ მიუდგებოდა.
მართალია, თავი მასაც ღირსეულად ექირა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ
ჩელს თუ მიაგებებდა ანდრომაქეს როცა იგი პაერში მოქანავე ორ ტრაპეციას
შორის ვარჯიშს განსაცვიფრებელი სრულყოფილებით შეასრულებდა. რამდენ-
ნი წლისა იქნებოდა ანდრომაქე, ოცის, ნაკლების, თუ მეტისა? ვინ იცის.
საბის ნაკვთები მკაცრი და კეთილშობილური ჰქონდა და ჩემდა გასაოცრად
სულაც არ აუშნოებდა ის ქუდი, თავზე რომ ჩამოიფხატავდა ხოლმე და თა-
ვის ხშირ წაბლისფერ თმას აიკრეფდა, ფრენაში სახეზე არ ჩამომეშალოსო.
პირიქით, ქუდში კიდევ უფრო სახენათელი და მიმზიდველი ჩანდა. საშუა-
ლოზე ოდნავ მაღალი ტანისა იყო, ეცვა ტანზე შემოტმასნილი, ბუმბულით
გაწყობილი, ვერცხლის მოკლე ბექთარი, რომელსაც მისი ტიტულის — „პა-
ერის ასულის“ — დასამტკიცებლად მხრებზე თეთრი ბუმბულის პაწია
ფრთები ჰქონდა დატანებული. ვითომ ისინი შეეშველებოდნენ ფრენაში! მკერ-
დი პატარა ჰქონდა. თქმობი ვიწრო, მკლავების მუსკულატურა, გასაგები
მიწებების გამო, ქალის პირობაზე მძლავრად განვითარებული, ხელები,
მართალია, მამაკაცისოდენა არ უჩანდა, მაგრამ არცთუ პატარა ეთქმოდა,
რათა, ღმერთო ნუ მიწყენ და, მთლიანად გამოერიცხა ექვი, გადაცმული
ბიჭი ხომ არ არის-მეთქი. არა, მკერდის ქალურობა ექვს არ იწვევდა და სი-
გამხდრის მიუხედავად, არც თქმობი მიუგავდა ბიჭისას. იგი თითქმის არ ილი-
მებოდა. მშვენიერი ტუჩები ოდნავ გაეღო, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ბერძ-
ნული ტიპის, ოდნავ ჩამოშვეებული ცხვირის ნესტოები ჰქონდა დაძაბული.
იგი მაყურებელს სულ არ ელაციცებოდა. მხოლოდ მაშინ თუ ასწევდა სალ-
მის ნიშნად ცალ ხელს, და ისიც ძლივს შესამჩნევად, როცა მორიგი de force²-ს
შემდეგ ერთ-ერთი ტრაპეციის ხის ბაქანზე დასასვენებლად დადგებოდა და
მეორე ხელი ბაგირზე ეღო ხოლმე, მაგრამ შეუქმუხნავი, ისედაც სწორი
და უძრავი წარბების ქვემოდან სერიოზულად და პირდაპირ მომზირალი თვა-
ლები ამ სალამში მაინც არ მონაწილეობდნენ.

მე მას ვალმერთები. აი, იგი ტრაპეციაზე შედგა, ლონივრად გააქან-
გამოაქანა, ტრაპეციას მოსწყდა, თავის პარტნიორს გვერდით ჩაუქროლა და
მისკენ გამოგზავნილი მეორე ტრაპეციის მრგვალ ხარიხას თავის არც მა-

¹ პაერის ასული (ფრანგ.).

² მარჯვე ილეთი (ფრანგ.).

მაკაცური, მაგრამ არც ქალური ხელებით დაეკიდა, დაქიმული ტანით მის ირგვლივ მკვდარი მარყუჟი, თუ ეგრეთწოდებული დიდი ქანი გააკეთა, რაც ძალიან ცოტა ტანმოვარჯიშეს თუ ძალუძს და ამ ილეთით მიღობული საშინელი ძალის ინერცია უკანვე გასაფრენად გამოიყენა, კვლავ ჩაუვროლა თავის თანამგზავს, კვლავ მისკენ გამოქანებული ტრაპეციისკენ წაიქნა, შუა გზაში კიდევ ერთი სალტო-მორტალე გააკეთა, მერე ტრაპეციას დაეკიდა, დაკუნთული მკლავები ოდნავ დაძაბა, ტანი მაღლა აიტანა, ტრაპეციაზე ჩამოჯდა და რბაზს კვლავ უჩინო თვალეებით გადმოხედა და ოდნავ ასწია ხელი.

ეს ამბავი დაუჯერებელი იყო, განუხორციელებელი და მაინც განხორციელებული. ამის დამნაშავეს აღტაცებისგან გააფრიალებდა და გულამდე ჩაატანდა სიცივე. ბრბო მის მიმართ უფრო პატივისცემას გამოხატავდა, ვიდრე ბობოქარ აღტაცებას, ისიც ჩემსავით ლოცულობდა მისთვის სამარისებურ სიჩუმეში, რადგან ამ თავზეხელაღებული ფრენისას მუსიკა ჩუმდებოდა ხოლმე. ცხადია, მის ყველა მოქმედებაში უკიდურეს სიზუსტეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ზუსტად საჭირო წამს, წამის მეთვრამეტეში გათვლილ დროს უნდა წამოსულიყო მისკენ პარტნიორისგან განთავისუფლებული ტრაპეცია და ოდნავადაც არ უნდა გარყეულიყო, როცა იგი თავის დიდი ქანის მერე, შუა გზაზე კიდევ ერთ სალტოს გააკეთებდა და ზედ დაეკიდებოდა. თუ ტრაპეცია თავის ადგილზე არ აღმოჩნდებოდა, მაშინ მისი მშვენიერი ხელები ჰაერს წაეპოტინებოდა და იგი თავის ხელოვნების სტიქიიდან, ჰაერიდან ძირს გადმოეშვებოდა, ალბათ თავუკულმა გადმოეშვებოდა და ამ ცოდვილ მიწაზე დაენარცხებოდა, რაც მის სიკვდილს ნიშნავდა. აი, გარემოებათა ეს წვრილად გათვლილი სიზუსტე იყო, თმას ყალყზე რომ ვიყენებდა.

მაგრამ მე ერთხელ კიდევ ვსვამ კითხვას: ეთქმოდა კი ანდრომაქეს ადამიანი? იყო კი იგი ადამიანი მანქანს გარეთ, თავის პროფესიის, არაბუნებრიობის ზღვრამდე მისული, ქალისთვის მართლაც არაბუნებრივი საქმიანობის მიღმა? მისი წარმოდგენა ცოლისა და დედის როლში მართლაც უგუნურებას უდრიდა; ცოლი და დედა, ან ვინც გინდა სხვა, ტრაპეციაზე თავდაყირა არ ეკიდება, ანდრომაქე კი ზედ ისე ქანაობს, ლამის თავუკულმა გადავარდეს, მერე ტრაპეციას სწყდება, თავის პარტნიორისკენ მიფრინავს. იგი ხელებით იჭერს, ღონივრად გააქან-გამოაქანებს, რომ სხეულმა ინერცია შეიძინოს, ჰაერში ისევ თავისი ცნობილი სალტო გააკეთოს და კვლავ მეორე ტრაპეციას დაუბრუნდეს. ასეთი გახლდათ მამაკაცთან მისი ურთიერთობა; სხვა რამ მისგან წარმოუდგენელი ჩანდა, რადგან მაშინვე შეატყობდით, რომ ეს მკაცრი სხეული იმ ძალას, სხვები რომ სიყვარულში ხარჯავენ, მთლიანად თავის ფათერაკიან ხელოვნებას სწირავდა. იგი ქალი არ იყო, მაგრამ არც კაცი იყო და ამგვარად, არც ადამიანი შეიძლებაოდა რქმეოდა. ეს იყო სინამაღის მკაცრი ანგელოზი, ბაგე ოდნავ ღია ჰქონდა, ნესტოები — დაბერილი, კარვის ჰერქვეშ. ჰაერში გაბატონებული ამორძალი, ამალღებულის ბრბოზე, რომელიც მის მიმართ მხოლოდ უსიტყვო მოწიწებას გრძნობდა. ეინი კი სრულიად გაჭკრობდა.

ანდრომაქე! გონებიდან დიდხანს ვერ ვიცილებდი მტკივნეული და თანამალღებული გრძნობით შემოსილ ხატებას; თუმცა მისი გამოსვლა უკვე დიდი ხნის ჩათავებული იყო და არენაზე აბლა სხვები გამოდიოდნენ. აი, არენაზე შეჭინიბეება და თავლის მუშები ჩამწყრივდნენ და მაყურებლის წინაშე თავის თორმეტი ბედაურითურთ ცირკის დირექტორი სტუდენტური გამო-



ბრძანდა, სპორტული აღნაგობის, წარმოსადგეი. ქალარაულვაშიანი, შუახნისა
 კყო, გამოწყობილი სამეჯლისო ტანსაცმელში. თიქლოში გაჩრილი
 პატიო ლეგიონის ბაფთით. ცალ ხელში მათრახთან ერთად ძვირფასე წებულ
 ლოწები შოლტი ეჭირა, როგორც ამბობდნენ, სპარსეთის შაჰის წაიხსოვრებო
 ბი და მას მედიდურად იტყლაშუნებდა. სარკესავით ლაპლაპა ლაქის ფეხ-
 საცმელები მანუქის ქვიშაში ეფლობოდა, როცა თავის გამოზრდილ თეთრი
 აღვირით დამშვენებულ რომელიმე ბედაურს მიუახლოვდებოდა და ყურში
 ჩაღაცას ჩასჩურჩულებდა. ისინიც მის ირგვლივ ტრიალებდნენ და მუსიკის
 ხმაზე სხვადასხვა იღვთს აკეთებდნენ — ხან ჩაიჩოქებდნენ, ხან ბზრიალებ-
 დნენ, ხოლო მათრახის აწვევაზე ყალყზე დგებოდნენ და წრიულად ეწყობოდ-
 ნენ ხოლმე. საუცხოო სანახაობა იყო. მაგრამ მე კვლავ ანდრომაქეზე ვფიქ-
 რობდი. დიდებული პირუტყვია ცხენი, ხოლო ადამიანი ცხოველსა და ან-
 გელოზს შორის დგას, და ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ცხოველთან უფ-
 რობ ახლოა, ვიდრე ანგელოზთან-მეთქი, ვფიქრობდი მე, ის კი, ჩემი გალ-
 მერთებულ ქალი, თუმცა ხორცი იყო ხორცთაგანი, მაგრამ ადამიანურობის-
 გან დაცლილ უბიწო სხეულსდა წარმოადგენდა და სულ იქით იდგა, სად-
 ლაც შორს, ანგელოზებთან მიახლოებული.

შემდეგ მანუქს გისოსები შემოავლეს, შიგ ლომების გალია შეაგორეს
 და ლაჩრული უსაფრთხოების შეგრძნებამ ბრბოს უჩვეულო სანახაობის მო-
 ახლოება ამცნო. მომთვინიერებულს, მუსიო მუსტაფას, ყურებში ოქროს
 საყურები მქონდა გარკობილი. წელზევით შიშველს წითელი განიერი შარვა-
 ლი ეცვა და თავზეც წითელი ქუდი ეხურა. მას სწრაფად გაუღეს და სწრა-
 ფადვე მიუყვებეს პატარა კარი და იგი ხუთ მხეცთან გალიაში მარტო დარ-
 ჩა. მტაცებელი მხეცების სუნს ცხენების თავლის სიმყრალე შეერია და
 ირგვლივ მძაფრი სუნი დატრიალდა. ლომებმა უკან დაიხიეს, მომთვინიე-
 რების შეძახილებზე ვითომ ერთი კი გაჭიუტდნენ, მაგრამ მაინც ამობლდ-
 ნენ გალიის ირგვლივ შემოწყობილ ტაბურეტებზე, ცხვირები ამაზრზენად
 შეიკუმუნნეს, დაიფრუტუნეს და ვითომ ალერსიანად მოუქნიეს პატრონს თა-
 თები, მაგრამ მათ მოძრაობაში ბრაზიც უხვად ერია, რადგან კარგად იცოდ-
 ნენ, რომ სულ მალე დაიმორჩილებდნენ, თავიანთი ბუნებისა და ნების საწი-
 ნაღმდეგოდ ჯერ უბრალო, მერე კი ცეცხლმოდებულ რგოლში გახტომას
 შესთავაზებდნენ. ორმა მათგანმა დაიბრდღვინა და პაერი შეაზანზარა. ამ
 ხმაზე ულჩანი ტყის უფრო ნაზი ბინადარნი შიშისგან ცახცახებენ და
 გარბიან ხოლმე, მომთვინიერებულმა კი მათ ბრდღვინვას პაერში რევოლვერის
 გასროლით უბასუხა. მათაც წაიფრუტუნეს და დაწყნარდნენ, მიხვდნენ, რომ
 მათი ბუნებრივი ბრდღვინვა აშკარად დაჯაბნა რევოლვერის ყრუ ტყაცანმა.
 მუსტაფამ ჯერ მედიდური პოზის მისაღებად სიგარეტს მოუყიდა, ლომებს
 არც ეს ეჭაშნიკათ, მაგრამ მუსტაფამ მაშინვე ერთ-ერთი სახელი — აქილე
 თე ნერონი — დაიძაბა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ მოუწოდა, პირველს
 დაეწყო წარმოდგენა. ერთი მეორეზე მიყოლებით, უხალისოდ ჩამოდიოდ-
 ნენ მეფე კატები თავიანთი ტაბურეტებიდან და მალე აწეულ რგოლში წინ
 და უკან ხტებოდნენ. ბოლოს კი, როგორც მოგახსენეთ, აალებული გუდრო-
 ნის რგოლი შეაგებეს. ავად თუ კარგად გახტნენ ლომები ცეცხლის აღში,
 განა გაუძნელდათ ცეცხლში გახტომა, არა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს.
 დვრინვით უბრუნდებოდნენ თავიანთ ტაბურეტებს, რაც არანაკლებ დამამ-
 ცირებელი იყო მათთვის, მერე კი მონუსხულებივით შეპყურებდნენ წი-

თელშარვლიან კაცს, რომელიც თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და თავის შავი თვალებით ხან ერთ ლომს მიაჩერდებოდა შიშითა და მორჩილი სი-
აუღვილით მოწყურულ მწვანე თვალეში და ხან მეორეს. მუსტაფა სწრაფად
შემოტრიალდებოდა ხოლმე, როცა ზურგსუკან სახიფათო მსაჯულნი შემოეს-
მებოდა, ერთს გაოცებული შეხედავდა, მეორის სანძულს მწყობრად, მაგრამ
მტკიცედ დაიძახებდა და მყისვე აშოშმინებდა ხუთივეს.

ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, რა ვერაგულ და მუხანათურ საზოგადოე-
ბაში უხდებოდა ყოფნა მუსტაფას, მაგრამ სწორედ ამ ნერვების ლიტინში
იხდიდა სამშვიდობოს მჭდარი მდაბიო მაყურებელი ფულს. ყველამ მშვენიე-
რად იცოდა, მუსტაფას რევოლუციური ვერაფერს უშველიდა, ის ხუთი ლონი-
ერი მხეცი ერთბაშად რომ გამოფხიზლებულიყო, მისი მორჩილებისთვის
თავი დაედწია და ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯა იგი. მე პირადად ვფიქრობდი, საყ-
მარისია ერთი კანი გაიკაწროს, მხეცებმა მისი სისხლი დაინახონ, რომ ხი-
ფათს ველარსად წაუფა-მეთქი. ისიც კარგად მესმოდა, რომ ნახევრად შიშ-
ველიც იგი პლებოსის ხათრით გამოდიოდა: ხორცის დანახავზე უფრო მძაფრ-
დებოდა მაყურებლის ლაჩრული წადილი, ვინ იცის, იქნებ იმედიც გამართ-
ლებოდათ და მხეცებს იმ ხორცში ჩაესოთ თავიანთი ბრჭყალები. მე კი ისევ
ანდრომაქეზე ვფიქრობდი, ცდუნებას თავს ვერ ვაღწევდი და ლამის მჭეროდა,
იგი მუსტაფას საყვარელი იქნება-მეთქი: ამის გაფიქრებაზეც კი ექვიანობის
გრძნობამ დანასავით გამიარა გულში. სუნთქვა შემეკრა და სასწრაფოდ მოგ-
ვუდე ჩემივე გამონაგონი. სიკვდილის სიახლოვით შეამჩანაგებულნი — აი
რა შეიძლებოდა ისინი ყოფილიყვნენ ერთმანეთისთვის და არა შეყვარებული
წყვილი, არა, სიყვარული ორივეს ძვირად დაუჯდებოდა! ლომები იმწამსვე
იკრავდნენ სიყვარულის სუნს და თავიანთ პატრონს აღარ დაემორჩილებოდ-
ნენ. ჩემი ღრმა რწმენით, თუ კი ანდრომაქე, ეს სიმამაცის ანგელოზი დე-
დაკაცობამდე დამდაბლდებოდა, ტრაპეციაზე ხელს ველარ მოიმაგრებდა, მი-
წაზე დაენარცხებოდა და სამარცხვინო სიკვდილით მოკვდებოდა.

მანამდე, ან მას მერე რაღა წარმოადგინეს სტუდენტეკერის ცირკში? მრავალ-
ფეროვანი, უამრავი სატანვარჯიშო საოცრება, ოღონდ მათი ჩამოთვლა
შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ დროდადრო გვერდიდან ჩემს
ამხანაგს, სტანკოს ვაკვირდებოდი. იგი, ჩვენს ირგვლივ მყოფთა მსგავსად,
მომადუნებელ, გამომათაყვანებელ ტკობას მისცემოდა, თვალისმომჭრელი ოს-
ტატობის მოზღვაგების, გასაგიჟებელი, გამაბრუებელი ილეთებისა და
სახეების ამ ფერადოვანი კასკადის შემჯურე სანახაობის ამდაგვარი აღქმა ჩე-
მი საქმე არ იყო, მე ასე არასოდეს არ ვთაყვანდებოდი. ჩემს თვალს არაფე-
რი გამოეპარებოდა, ყოველ წვრილმანს გაფაციცებული ვაკვირდებოდი, ყვე-
ლაფერი მიტაცებდა, მაგრამ ჩემს გატაცებას — როგორ გამოვთქვა, არ ვი-
ცი — რალაცნაირი გაკერებაც ახლდა. წელგამართული ვიჯექი, ჩემი სული
უძალიანდებოდა გამოგნებელ შთაბეჭდილებებს და იცით, რა მემართებოდა —
ჩემს შეგრძნებას მთლად სწორად თუ არა, მიახლოებით მაინც დაეახასიათებ —
ამ მრავალფეროვან ტრიუკებს, ილეთებს, გამბედაობის გამოვლენას დაეი-
ნებით ვაცქერდებოდი და ჩემს ალტაცებაში ცოტაოდენი ბოროტებაც იჭ-
რებოდა. ირგვლივ შეყრილი ბრბო დუღდა ალტყინებისა და ვნებათაღელვი-
საგან, მე კი მათ დუღილსა და დგანდგარში არ ვერეოდი, ისე გულგრილად
ვიდექი განზე, ვითომ ამ „საქმესა“ და ხელობაში მეც მრეოდეს ხელი. ცხა-

¹ დიდებულია: დიდებულიო (ფრანგ.).

დია. აქ საცირო ხელობის, სალტო-მორტალეს ხელობის ფლობას როდის
 ლისბონი. მე ხელი მერია ამ ხელობის განზოგადებულ არსში. იმისი, რომელი
 ადამიანზე შემოქმედების. ადამიანის გაბედნიერებისა და მოჯადოების
 ბა კქვია. ამიტომაც განუღებელი შინაგანად მრავალთ და მრავალთ
 მხოლოდ თავდავიწყებულ მსხვერპლნი იყვნენ მოჯადოებისა და
 მოსდიოდათ მასთან მეტოქეობა. ისინი მხოლოდ ტყებოდნენ სანახაობით.
 ტებობა თავის მხრივ უმოქმედობას უდრის. უმოქმედობას კი ვერ შეეგუება
 ის, ვინც მოქმედებისთვის, თვითგამოვლენისთვისაა დაბადებული.

ამდაგვარი გრძნობებისა ჩემს მეზობელ ყოჩად სტანკოს არაფერი ეცხო.
 აქედან გამომდინარე, ჩვენ ერთმანეთის ტოლი და სწორი ვერ ეიქნებოდით
 და ჩვენი ამხანაგობაც, ცხადია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ქუჩაში ხე-
 ტილისას მე მასზე უფრო თვალეზაფართოებული ვაკვირდებოდი პარიზის
 უბნების საოცარ დიდებულებას. აღტაცებული გავყურებდი მის თვალწარმ-
 ტაც სივრცეებს. წარმოუდგენლად დახვეწილი და მდიდრული ელფერი რომ
 ედოთ და სულ მამაჩემი მაგონდებოდა. მათ ხსენებაზე აღტაცებისაგან მიკნა-
 ვებული ხმით რომ დასძენდა „Magnifique! Magnifique!“ რაკი აღტაცებას
 ხმამაღლა არ გამოვთქვამდი. ჩემი ამხანაგი ვერც ამჩნევდა, ჩვენი სულები
 მგრძნობიარობის მხრივ ერთმანეთისგან როგორ განსხვავდებოდნენ. იგი ნელ-
 ნელა მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ მისდა გასაოცრად, ჩვენი მეგობრობა არ
 გაღვივებულა და ჩვენ შორის ქეშმარიტი ნდობა არ დამყარებულა. მაგრამ
 ეს გარემოება აღვილად აიხსნებოდა ჩემი გულჩახვეულობითა და კარჩაკეტი-
 ლობით. ჩემი შინაგანი სწრაფვით მარტოობისა, განცალკევებისა და თავშე-
 კავებულობისაკენ. რაც უკვე დიდი ხანია მოგახსენეთ და ამ ცხოვრებისეულ
 პრინციპს, რომც მომენდომებინა, ვერ გადავუხვევდი.

სხვაგვარად არ იქნება: ბედს მიწოდებელი კაცის უფრო გაუბედავი, ვიდრე
 გოროზი გრძნობა, აქაოდა, გამორჩეული პიროვნება ვარო, მის ირგვლივ სი-
 ცარიელესა და სიცივეს ბადებს. და ამ ატმოსფეროში, ლამის შენსავე გულ-
 დასაწყვეტად, როგორღაც ცამტვერდება და სამარდება შენთან მეგობრო-
 ბისა და ამხანაგობის გულწრფელი სურვილები. ასე დაემართა სტანკოსაც.
 თვითონ გულის კარი გამიღო, მე კი მის გულლიობას, გულლიობითვე არ
 ვპასუხობდი და მის მეგობრობას მხოლოდ ვითმენდი. მაგალითად, ერთ სალა-
 მოს, როცა სადღაც ბისტროში ღვინოს ვუჭექით, სტანკომ მიამბო, პარიზში
 ჩამოსვლამდე, ბინის გატებაზე თუ რაღაც ამდაგვარზე, ერთი წელი ციხეში
 ვიჭექით, ოღონდ ჩემი უხეირობის გამო კი არა, ჩემი თანამზრახველის სიბ-
 რიყვის მიზეზით ჩავეარდიო. ეს ამბავი გაოცებულულად, დიდი ხალისითა და
 ინტერესით მოვისმინე და იმ ერთ ეპიზოდს ჩვენს ურთიერთობაზე სულაც არ
 უმოქმედია, მაგრამ მეორედ მან უფრო ღრმად შესტოვა და მიმახვედრა, რომ
 თურმე გული უმიზნოდ არ გადაუშლია და ეს კი აღარ დამიჯდა ქუჩაში. მას
 ლამის დაბადებიდან გამოქექილ, იღბლიან პარტნიორად მივაჩნდი და ფიქ-
 რობდა, ერთად მუშაობა კარგად გამოგვივაო, ოღონდ თავისი სიტლანქის გამო
 იმას კი ველარ მიხვდა, მე რომ მისნაირების ძმაბიქად არ ვიყავი დაბადებუ-
 ლი და შემომთავაზა, ნეიში ერთი ვილა მაქვს შეგულებული, სადაც სულ
 იოლად, თითქმის ურისკოდ შეგვიძლია სარფიანი საქმე დავატრილოთო. მე
 გულგრილად ვუთხარი უარი. ძალიან გამინაწყენდა და მომახალა, თავი
 უცოდველი კრავივით რომ მოვაქვს, არ ვიცოდე მაინც, რაცა ხარო, ვინაი-
 დან ყოველთვის მეჯავრებოდა ისეთი ხალხი, ვისაც ეგონა, რომ კარგად

იცოდა, რაც ვიყავი და ვინც ვიყავი. მხოლოდ მხრები ავიჩივრე და ვუთხარი იქნებ ასეც იყოს, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს. ამ საქმეში გვერდით-მეთქი. პასუხად მან ფრანგულ-გერმანულად სუფიქსები და ბრიყვი მიძახა.

ბიზლიჩიშვილი

მართალია, სტანკო გავაწბილე. მაგრამ ჩვენს შორის მაშინვე არ ჩამოვარდნილა განხეთქილება; მხოლოდ ეს იყო, რომ ნელ-ნელა ერთმანეთზე გული გაგვიცივდა, ჩვენს მეგობრობას ბზარი გაუჩნდა და ბოლოს დასრულდა კიდევ, ერთმანეთს მტრებად არც მერე მოვკიდებივართ, მაგრამ ქალაქში ერთად აღარ გამოვდიოდით.

მეორე თავი

ლიფტიორად მთელ ზამთარს ვიმუშავე და მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროში წამსვლელ-მომსვლელი თავის სიმპატიით მანებივრებდა, ჩემი საქმე მალე მომბეზრდა. მობეზრებას რომ თავი დავანებოთ, შიშის საბაბიც საკმაოდ მქონდა — სულ ადვილად შეიძლებოდა ჩემი ცხოვრება ასე გავრქვლებულიყო. ანუ, ყველასგან მივიწყებული ლიფტიორობაში გავქალთრავებულიყავი. ამ სადარდებელს სტანკოს ნათქვამიც მიძლიერებდა, თავის მხრივ იგი წელეებზე ფეხს იდგამდა, ოღონდ კი დიდ სამზარეულოში გაემწესებინათ, სადაც ორი დიდი ქურა და ოთხი ლუმელი იდგა, იქ, ადრე თუ გვიან, თუ შეფშარეული არა, იქნებ ვიცე-შეფშარეული მაინც გამხდარიყო, ვინც ოფიციანტებისგან შეკვეთებს ღებულობს და მზარეულებს საქმეს უნაწილებს ხოლმე, მაგრამ ასეთ დაწინაურებას სტანკო თვითონვე ნაკლებად მოელოდა, მისთვის რომ გეკითხათ, აქ წესად აქვთ, კაცს სადაც პირველად მიიღებენ, სიქა იქ გააცალონო, ამგვარად, სტანკომ მეც გადამიწურა იმედი, უხელფასოდ არ გამყოფებენ, მაგრამ სამუდამოდ ლიფტზე დარჩები მიჯავრული და იძულებული იქნები ამ საერთაშორისო სასტუმროს ცხოვრებას მთელი შენი სიცოცხლე მხოლოდ ამ კონკრეტული და შეზღუდული კუთხით უყუროო.

მეც სწორედ ეგ მაშინებდა. გამომწყვდეულივით ვიყავი ერთ კუნჭულსა და შახტაში, ჩემს მანქანას აღმა-დაღმა დავატარებდი, და მხოლოდ შემთხვევით, ცალი თვალით თუ შევიკვრეტდი იმ დარბაზში, სადაც ხუთ საათზე ჩაის დასალევად შედიოდა დიდებული საზოგადოება, იღვრებოდა ხმადაბალი მუსიკა, დეკლამატორები და ბერძნულ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავენი წარჩინებულ საზოგადოებას ართობდნენ. ისინი კი ნებიერად მისვენებულყვან მოწინულ სავარძლებში, წინ კოპწია მაგიდები ედგათ, ოქროსფერ სასმელს შაქარლამასა და პატარ-პატარა ნაირ-ნაირ სენდვიჩებს ატანდნენ. მერე ნამცეცების ჩამოსაბერტყად თითებს ერთმანეთზე მსუბუქად გაუტაცებდნენ და ფიანდაზმოგებული მეფური კიბით ქოთნის ყვავილებით უხვად შემკული ტერასისკენ მიემართებოდნენ. მიმოდიოდნენ მოჩუქურთმებულ დიდრონ ლარნაკებში ჩარგულ პალმებს შორის, ესალმებოდნენ ნაცნობებს, უცნობებს ეცნობოდნენ, მათ მედიდურ გამოხედვასა და თავის ქნევაში ქვეა გამოსკვიოდა, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და უდარდელად იცინოდნენ, რა კარგი იქნებოდა მანდილოსანთა ბრიჯის სათამაშო ოთახსა, თუ სასადილო დარბაზში ტრიალი, სადაც ჩამყავდა ხოლმე ფრაკიანი ბატონები და სამკაულებით აციმციმებული ქალბატონები, მოკლედ, მოუსვენრობამ შემიპყრო, გული ჩემი არეალის გაფართოებისაკენ. რჩეულ საზოგადოებასთან უფრო



მრავალმხრივი კონტაქტებისკენ მიმიწევდა, და აი, ერთ მშვენიერ დღეს ბედმა კეთილი თვალით გადმომხედა. აღსრულდა ჩემი ნატვრა, ლიფტის აღმართვაში ტარებისგან თავი დამეხსნა და ახალ სამოსელში ასევე ახალ, უფრო სპეკტიულ საქმიანობას შევდგომოდი: სააღდგომოდ ოფიციალურად გავდამიჯივანე და ეს ამბავი, როგორც ქვემოთ წაიკითხავთ, ხუსტად ისე მოხდებოდა.

ჩვენი მეტროტელი, ვინმე მუსიო მახაჩეკი, დიდი კაცი ბრძანდებოდა. მედიდურად დაატარებდა მუდამ გაქათქათებულ და გახარებულ პერანგში გამოკვართულ ბურთივით მრგვალ მუცელს და მთვარესავით გაბადრული, სუფთად გაპარსული, ქონიანი სახე მუდამ უპრიალეზდა. იგი მშვენიერად ფლობდა ახლად შემოსული სტუმრის მიპატივების ხელოვნებას — ხელს მოხდენილად ასწევდა მალა და თან სტუმარს მაგიდისკენ მიუთითებდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ასევე მშვენიერად შეეძლო მომსახურე პერსონალის დატუქსვაც მარცხისა ან მოუხეშაობის გამო, საყვედურს გვერდით ჩავლისას. ტუჩის კუთხიდან გამოსკრიდა და ეს საყვედური ერთდროულად კორექტულიც იქნებოდა და მწარეც. ჰოდა, აი, ერთ დღეს, ალბათ დირექციის ბრძანებით, სწორედ მან გამომიძახა Salle à manger¹-ის მომიჯნავე პატარა კაბინეტში.

— თქვენა ხართ კრული? — მკითხა მან. — არმანი გქვიათ, არა? Voyons, voyons. Eh bien,² თქვენზე არცთუ ურიგო და, ერთი შესუდვით, არცთუ ყალბი ინფორმაცია მაქვს მიღებული, თუმცა ერთი შესუდვით შეიძლება შეცდვებიც კაცი, pourtant³, თქვენც კარგად გესმით, სასტუმროში აქამდე რა სამსახურსაც ეწეოდით, ის ბავშვური თამაში იყო და თქვენს ნიქსა და უნარს, თუ რა თქმა უნდა, გაგაჩნდათ ან ერთი ან მეორე, იოტისოდენაც ვერ გამოამყლავნებდით, vous consentez?⁴ ჩვენ ახლა ვაპირებთ რესტორანში გავიჩინოთ ნამდვილი საქმე, თუ გამოგვივიდა, აბა მითხარით: გებერხებათ თუ არა, ვთქვათ, სუფრის გაშლა, უფრო სწორად, გრძნობთ თუ არა საამისო ნიქს და არა რაღაც არაჩვეულებრივ და ბრწყინვალე ტალანტს, როგორც თქვენ ამბობთ საკუთარ თავზე, რაც თავის ქებას უფრო ჰგავს, თუმცა იმისაც გეტყვით, რომ სიმამაცე საქმეს არაფერს ვნებს. ერთი სიტყვით, გაქვთ თუ არა სუფრის ელემენტურად გაწყობის ნიჭი და მასთან დაკავშირებული სხვა ნიუანსებისათვის საჭირო გულისყური? შესძლებთ თუ არა შნოიანად მოემსახუროთ ისეთ საზოგადოებას, როგორც ჩვენი? რას, თანდაყოლილი ნიჭი მაქვსო, ბრძანებთ? ცხადია, ასეთი ნიჭი თანდაყოლილია, მაგრამ თქვენ ასეთივე თანდაყოლილი იმდენი ნიჭი და უნარი გამოგვივიდათ, რომ პირდაპირ გამოგნერკაცი, ისე კი გაგიმეორებთ, რომ ჭანსალი თვითრწმენა კაცს ნაკლად არ ჩაეთვლება. ენებშიც ცოტას ერკვევით, არა? ისევე თქვენსას გაიძახით, მე ხრულყოფილი ცოდნა არ მიკითხავს, მე გკითხვთ აუცილებელი რამ თუ იცით-მეთქი, Bien⁵, თუმცა, ეგ ყველაფერი შეთრე რიგის კითხვებია, იმედია, მოვლენათა მსვლელობა სწორად წარმოგიდგენიათ, ალბათ გეცოდინებათ, რომ ქვემოდან დაწყება მოგიწევთ, თქვენი მოვალეობა ჭერჭერობით ის იქნება, რომ დარბაზიდან შემოტანილი თეფშებიდან სანამ ისინი კურჭლის სამრეცხაოში წავიდოდეს საკმლის ნარჩენებს გადაწმენდავთ, ამ საქმიანობისთვის თვითური ჯამაგირი დაგენიშნებათ, ორმოცე ფრანკი, საჩუბე ვატ

1 სასაღილო დარბაზი (ფრანგ.).
 2 ვნახოთ, ვნახოთ, ძალიან კარგი (ფრანგ.).
 3 ცხადია. (ფრანგ.).
 4 შეთანხმებულია, არა? (ფრანგ.).
 5 კარგი (ფრანგ.).

ყოფთ, ხელფასი ფრიად მაღალი გეჩვენათ. ისე კი, უნდა გჩინებოდნენ, რომ ჩემთან საუბარში, წესით და რიგით, არ გმართებთ დამახწროთ გალიმება. გალიმების ნიშანი მე უნდა მოგცეთ. Bon. სამუშაო თეთრ ქურთუკს მოგცემენ. ერთს ეს მითხარით, შეგიძლიათ ოფიციალტის ფრაკის წინასწარ შექმნა. უთქვამთ, ერთს მშვენიერ დღეს რომ მოვიდნოდით და დარბაზში სუფრის განსაწყობად შეგიშვებთ ალბათ გეცოდინებათ, ფრაკი თქვენი ხარჯით რომ უნდა შეიძინოთ. მაშ სულ არ გაგიჭირდებათ, ხომ? ჩინებულია. ვატყობ, თქვენთვის არავითარი გასაჭირი არ არსებობს. მაშ, აუცილებელი საცვლებიც და ფრაკის ქვეშ ჩასაცმელი ნორმალური პერანგებიც მოგეძებნებათ? ერთი მითხარით, შეძლებული ოჯახის შვილი ხომ არა ხართ? ასე თუ ისე, კი? A là bonne heure! კრულ, მე ვფიქრობ, ხელფასი, მოკლე ხანში ორმოცდაათ-სამოც ფრანკამდე გაგიზარდობთ, ჩვენი თერძის მისამართს აქვე, ბიუროში გაიგებთ. ჩვენთან, როცა გინდათ, მაშინ შეგიძლიათ გადმოხვიდეთ. მუშახელი ჩვენ გვაკლია, თორემ ლიფტიორი თუნდაც ასი გამოჩნდება. A bientôt, mon garçon.² ახლა თითქმის თვის შუა რიცხვებია, ესე იგი, ამ თვეში ოცდახუთ ფრანკს მიიღებთ, რადგან ჩემი ვარაუდით, დასაწყისისთვის წელიწადში ექვსასი ფრანკი გენიშნებათ. ამჯერად თქვენი ღიმილი მისაღებია, რადგან მე დაგასწარით გალიმება სულ ეს იყო, რაც უნდა მეთქვა. შეგიძლიათ წახვიდეთ.

ასე შესაუბრა მახაჩეკი, ამ დიდმნიშვნელოვან საუბარს პირველ ხანებში ჩემი ცხოვრების დონის დაქვეითება მოჰყვა, რასაც მოველოდი და არც მკითხველს დავუმაღავე. ლიფტიორის ლივრეა საწყობს ჩავაბარე, სამაგიეროდ მხოლოდ თეთრი ქურთუკი მიბოძეს და იძულებული ვავხდი საყოველღეოდ სახმარი შარვალი მეყიდა, რადგან ჩემი საგარეო კოსტიუმის შარვალს სამუშაოზე გასაცვეთად ნამდვილად ვერ ვავიმეტებდი. ახალი სამუშაო — ნახმარი ქურჭლის წმენდა და ნასუფრალის ჩაყრა ნარჩენების კასრში — ცოტა დამამცირებელიც კი იყო ჩემს წინანდელ, ასე თუ ისე უფრო კეთილშობილურ საქმიანობასთან შედარებით და თავიდან მეზიზღებოდა კიდევ. ჩემი უფლება-მოვალეობანი ქურჭლის სამრეცხაოზეც ვრცელდებოდა, იქ სერვიზი ხელიდან ხელში გადადიოდა, გაივლიდა რეცხვის რამდენიმე სტადიას და გამშრალების ჯერი რომ დადგებოდა, ზოგჯერ მეც მიწევდა ხოლმე თეთრი წინსაფრის აფარება და გამშრალებაზე ხელის წაშველება. აი, ასე ვეღვი თავსა და ბოლოში ეგრეთწოდებულ აღდგენით პროცედურას.

შენთვის შეუფერებელი სამუშაოს ვითომდა კმაყოფილი სახით კეთება და იმ ამხანაგებთან თავის გაყადრება, რომელთაც სწორედ რომ შეეფერებათ ხსენებული სამუშაო, ძნელი არაა, როცა გულში იმედი გიღვივის, ეს ყველაფერი „დროებითიაო“. საერთოდ კი, უნდა მოგახსენოთ, რომ თანასწორობაზე ყოველგვარი ქადაგების მიუხედავად ისე მტკიცედ მჯეროდა, რომ ადამიანს სისხლსა და ხორცში აქვს გამჭდარი უთანასწორობისა და ბუნებრივი უპირატესობის გრძნობა და ისე მწამდა ამ გრძნობის მამოძრავებელი ძალისა, ისე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, ამ საფეხურზე დიდხანს არ მამყოფებენ, აქ მხოლოდ ეტიკეტის დაცვის გამო გამამწესეს-მეთქი, რომ აღარ დამიხანებია, მუსიო მახაჩეკთან იმ საუბრის შემდეგ, როგორც კი ვიხელთე დრო. მაშინვე შევუკვეთე ოფიციალტის ფრაკიანი კოსტიუმი à la

¹ დმერთმა ხელი მოგიმართოთ (ფრანგ.)

² ძალი შეხვედრამდე, ჩემო ბიჭო (ფრანგ.)

Saint James and Albany¹. ფორმის ტანსაცმლისა და ლიერების მკერავს, რომლის ატელიე იქვე, სასტუმროს მახლობლად, ინოკენტის ქუჩაზე მდებარეობდა. მთელი აღჭურვილობა სამოცდათხუთმეტი ფრანკი დამიჯდა. ეს გახლდათ ფირმასთან შეთანხმებით დადებული ფასი, რომელსაც ფილიპსმა თავიანთი ხელფასიდან ნაწილ-ნაწილ ფარავდნენ, მე კი, ცხადია, ანგარიში მაღლი ფულით გავასწორე. თუ მოიხდენდი, ტანსაცმელი საოცრად ლამაზი იქნებოდა: შავ შარვალზე მუქი ლურჯი ფრაკი, გაწყობილი ხავერდშემოკრული კაბები, აკრული და ოქროსფერი ღილებით, და გულამოჭრილი ყილეტი, რომელსაც ისეთივე, ოღონდ მომცრო ღილები ეკერა. მთელი გულით შევხაროდი ჩემს შენაძენს, ფრაკი საწოლი ოთახის კარწინ დადგმულ კარადაში ჩემი საჩუქარო კოსტიუმის გვერდით დავკიდე და არც მისი შესაფერი თეთრი ბაფთა და პერანგის მომინანქრებული საკინძეები დამვიწყნია. ასე და ამგვარად, როცა ტურქლის სამრეცხაოში ხუთი კვირის მუშაობის შემდეგ ობერ-კელნერის ერთ-ერთმა თანაშემწემ, რომელთაც შავი ბაფთით დამშვენებული შავი ფრაკები ეცვათ და მუდამ გვერდით ედგნენ ხოლმე ბატონ მახატეს, მაუწყა, დარბაზში გვჭირდებოდა და თან დასძინა, კარგი იქნება, დროზე თუ აღიჭურვებით, მე მყისვე ვუბასუხე, სავსებით მზად გახლავართ დარბაზში სამუშაოდ და პირველი საჭიროებისთანავე თქვენს სამსახურში მივუღებ-მეთქი.

ამგვარად, სასადილო დარბაზში მეორე დღესვე სრული საპარადო ფორმით შედგა ჩემი დებიუტი, დიან, იმ დიდებულ, ეკლესიასავით დიდ და მაღალჭერიან, ბამბუკიან მოპირკეთებული სვეტებით დამშვენებულ დარბაზში. სადაც ჰერის ფილები სვეტების თეთრ, მოოქროვილ თავებს ეყრდნობოდა, კედლებზე წითელაბაყურიანი აბრები იყო ჩამორიგებული, ფანჯრებზე წითელი ფარდები ეკიდა, იდგა უამრავი თეთრსუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდა და სასერვისე ტაბლა, მაგიდებს ამკობდნენ ორქიდეები, მაგიდის ირგვლივ შემოეწყობოთ თეთრად გალაქული ხის, წითელხავერდგადაკრული საკერძოები, სუფრაზე მარაოსავით ან პირამიდასავით დაკეცილი ხელსახოცები და პრილა დანა-ჩანგალი ელაგა, მოელვარე ჩასაცხებელ გოვზებსა თუ მსუბუქ კალათებში მიწოლილ ღვინის ბოთლებთან სიფრიფანა ფეხიანი ჭიქები ჩამწყრივებულიყვნენ, ღვინის მიწოდება კი საგანგებოდ გაწვრთნილ მერიქიფეთა საქმე გახლდათ, რომელთაც ყელზე ჩამოკიდებული ძეწკვითა და მოკლე წინსაფრებით გამოარჩევდით. მე დიდი ხნით ადრე, სანამ საუზმეზე პირველი სტუმრები გამოჩნდებოდნენ, დარბაზში ვიყავი და ვის თანაშემწე-დაც ვითვლებოდი, იმ ოფიციანტს მასზე გაპიროვნებული მაგიდების გაწყობაში ვეხმარებოდი, ვაწყობდი დანა-ჩანგალს და ყოველ მაგიდაზე ვდებდი მენიუს. თუკი შემთხვევა მომეცემოდა და ჩემი უფროსი რომელიმე მაგიდისგან შორს აღმოჩნდებოდა, მოსაუზმეებს გულითადად ვეგებებოდი, მანდილოსნებს სკამს გამოვუწყევდი, მენიუს მივაწვდიდი, წყალს დავუსხამდი, მოკლედ, ყოველნაირად ვცდილობდი, კლიენტი პირადად რომც არც მომწონებოდა, ჩემი იქ ყოფნა მისთვის მაინც თავაზიანად მეგრძნობინებინა.

თავიდან საკმარისი არც უფლება მქონდა და არც შესაძლებლობა. შეკვეთებს მე არ ვღებულობდი და სუფრაზე კერძებიც მე არ მიმქონდა; ჩემი მოვალეობა მხოლოდ ის გახლდათ, რომ ყოველი კერძის შემდეგ სუფრა მო-

¹ ხენტ ჩემს ენდ აღბანის სტილზე (ფრანგ.).

მეწესრიგებინა, ნახშირი თუფშები და დანა-ჩანგალი წამელო და Entremets¹-ის შემდეგ, სანამ დესერტი შემოვიდოდა, სუფრიდან ჩავრისისა და ბრტყელი ნახბის-დახმარებით ნამცეცები ვადმომებერტყა. სხვა უფრო მნიშვნელოვანა მოვალეობანი ჩემს Superior²-ს, ჰექტორს ეკისრებოდა, უკვე ხანდაზმულ მოვლემარესახიან კაცს, რომელიც მაშინვე ვიცანი—ეს ის კაცი იყო, პირველ დღეს სასადილოში ჩემს მაგიდასთან რომ იჯდა და მარჯვენა ხელით დამასაჩუქრა. იმანაც მიცნო, Mais oui, c'est toi³, მითხრობდა და უნდობლად ამიქნია ხელი, აღსახიშნავია, რომ ეს ვესტი ზუსტად გამოხატავდა ჩემდამი მის დამოკიდებულებას, იგი თავიდანვე ასე შებყრობოდა, არც მბრძანებლობდა და და არც მითითებებს მაძღვედა, უფრო იმას ცდილობდა, როგორმე თავიდან მოვეშორებინე, მშვენივრად ხედავდა, რომ კლიენტებს, განსაკუთრებით ქალებს, მოზუცებსაც და ახალგაზრდებსაც, ჩემსკენ ეჭირათ თვალი, მე მიხმობდნენ და არა მას, როცა რომელიმე საგანგებო სანელებელი მოუძღებოდათ, ინგლისური მღოგვი იქნებოდა ეს, უორჩესტერული საწებელი, კეტჩუპი თუ სხვა რამ, ზოგჯერ ეს სურვილი მხოლოდ საბაბი იყო, სუფრასთან მივსულსეაფი, სიამოვნებით მოესმინათ ჩემგან: „Parfaitment, madame“, „Tout de Suite, madame“,⁴ როცა სასურველ სანელებელს მივატმეფდა, თვითონ ეი შეუბნებოდნენ: „Merci Armand“, ერთს ამათვალისრებდნენ და გაბრწყინებული მზერით მიმაცილებდნენ, რაც სხვათა შორის, საქმისთვის სულაც არ გახლდათ აუცილებელი. ორიოდ დღის შემდეგ, როცა სასერვისე, მაგიდასთან ვიდექო და ფხებისგან კამბალის ფილეს გამორჩევაში ვერმარებოდი, ჰექტორმა მითხრა:

— მათ აღბათ უფრო გაეხარდებათ, ეს კერძი შენ რომ მიართვა, au lieu de moi.⁵ შენზე ხომ ჰკუთას კარგავენ ეს toute la canaille friande!⁶ ვიცი, მალე კედელზე მიმაკვლევტ და ამ მაგიდებს დაისაკუთრებ, შენ ატრაქციონივითა ხარ, et tu n'as pas l'air de l'ignorer.⁷ ეს ჩვენს ბონზებსაც კარგად მოუხსენებათ და ამიტომაც გაწინაურებენ, ხომ გაიგონე, არა და, ვიცი, ნამდვილად გაიგონე, მუსიო კორდონიემ (ეს ის ობერკელნერის თანამშემწე ვახლდათ, მე რომ მომაკითხა), ამას წინ შევედ ცოლ-ქმარს რომ უთხრა, აი იმათ, ვისაც შენ ასე მოხდენილად ესაუბრებოდი: „bon petit charmeur, n'est-ce pas?“ Tu iras loin, mon cher, — mes meilleurs vœux, ma bénédiction.⁸

— აზვიადებ, ჰექტორ, — მივუგე მე. — ეგ ზრახვები კიდევ რომ მჭონდეს, მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო შენგან, სანამ შენს გაძევების ვიფიქრებდე.

ცხადია, რასაც ვფიქრობდი, იმაზე მეტი ვუთხარი და აი, რატომ: ერთ-ორ დღეში, სადილობისას, როცა ოვით მუსიო მახაჩეკმა თავისი მუცელი

¹ მუშბუქი კერძი (ფრანგ.).
² უფროსი (ფრანგ.).
³ ი. ე. ს. შენა ხარო (ფრანგ.).
⁴ კარგი, მაგამ, ახლავე, მაღამ (ფრანგ.).
⁵ ჩემს მაგიდას (ფრანგ.).
⁶ ეს წუწუკი კომპიოტები (ფრანგ.).
⁷ და სახეზე გეტოება, ეს რომ იყო (ფრანგ.).
⁸ „ღამის ბიჭო ეს კიდოქარი, არაო?“ შენ დიდი მომავალი გაქვს, სიყვარულო, ჩემდი თაველ სიკეთეს ვიხარებ, დამხლო, კიხიან (ფრანგ.).



ვერდიდან ისე მომაბჯინა, რომ ორივე სხვადასხვა მხარეს ვიცქირებოდით, და ტუჩის კუთხიდან წამჩურჩულა, ცუდს ვერაფერს ვიტყვი, არმან, თქვენ არცთუ ურიგოდ მუშაობთ და გირჩევთ, ჰექტორს კარგად დააკვირდეთ, როგორ აწყობს სუფრას. თუკი, რა თქმა უნდა, რამედ გიღირთ ამ დარგში მუშაობაო. მეც ასევე ხმადაბლა ვუპასუხე:

— დიდი მადლობა, Maitre! მაგრამ მე უკვე მასზე უკეთ შემიძლია სუფრის გაწყობა. მაპატიეთ და, საამისო ნიჭი და უნარი ბუნებით მქონდა მადლებული. ვერ დაგაძალებთ, გამოცდა მომიწყვეთ-მეთქი, მაგრამ კი მოისურვებთ, შეგიძლიათ ჩემს ნათქვამში დარწმუნდეთ.

— Blagueur!² — მიიხრა მან და მუცელი სიცილით შეუტოკა. მერე, ანამ თავისი მოკლე-მოკლე, ხაზგასმულად ელასტიური ნაბიჯებით გაბეცდებოდა, ვიღაც კოხტად თმადავარცხნილ, მწვანეკაბიან ქერა ქალს, რომელიც ამ ხანმოკლე საუბარს შეესწრო. თვალი ჩაუკრა. თავით ჩემსკენ ანიშნა, და სიარულში ერთხელ კიდევ მხიარულად შეათამაშა მუცელი.

მალე, ჩემს რამდენიმე კოლეგასთან ერთად, დღეში ორჯერ, ქვედა დარბაზშიც მომანდეს ყავაზე შემოსული სტუმრების მომსახურება. ხოლო სულ მალე კიდევ უფრო გაფართოვდა ჩემი მოვალეობების წრე და ჩაის სუფრას ნაშუადღევსაც უკვე მე მაშლევინებდნენ. ამასობაში ჰექტორს სასადილო დარბაზში სხვა მაგიდები მიუჩინეს და მე მართლაც ის მაგიდები მერგო, სადაც აქამდე თანაშემწედ ვმსახურობდი. ამგვარად, ზედმეტადაც კი დავიცქირთე და სალამობით, დღის განმავლობაში მრავალფეროვანი მუშაობის შემდეგ, დიდ დარბაზში ყავისა და ლიქიორების, სოდიანი ვისკისა და ცაცხვის ყვავილის ნაყენის მირთმევის დრო რომ დადგებოდა, მეტწილად ისე ვიყავი დადლილი, რომ ჩემსა და საზოგადოებას შორის სიმპატიების გაცვლა-გამოცვლას მგზნებარება აკლდებოდა. ჩემს თავმოქმონე მიხრა-მოხრას ლამის ძალა და მოქნილობა ეკარგებოდა და ღიმილი ოდნავ მტკივნეულ გრიმად მაქვავდებოდა ბაგეზე.

დილით ჩემი მოქნილი ბუნების წყალობით დაქანცულობის კვალიც აღარ მეტყობოდა, კვლავ მხნედ და ხალისიანად დავჭროდი სასაუზმე ოთახებსა, ბუფეტსა და სამზარეულოს შორის და მათთვის ვისაც ნომერში მომსახურება არ უყვარდა და საუზმეს საწოლში არ მიირთმევდა, მომქონდა ჩაი, შვრიის ფაფა, ტოსტი, მურაბა, შემწვარი თევზი და ვაჟინში ჩაწყობილი ბლინები. ნასაუზმევს უკვე დარბაზში მიხილავდით, სადაც ერთი ოქლაქი თანაშემწის დახმარებით ჩემს ექვს მაგიდას მეორე საუზმისთვის ვამზადებდი, რბილი მაუდის ქვეშაგებზე დამასტის სუფრას ვაფენდი, დანა-ჩანგალს და თეფშებს ვაწყობდი, თორმეტი საათიდან კი წიგნაკი მეჭირა ხელში და სასადილოდ მობრძანებული სტუმრებისგან შეკვეთებს ვიღებდი. რომ იცოდეთ, რა კარგად ვერკვეოდი სიტუაციებში, კლიენტს ყოყმანს შევატყობდი თუ არა, რბილი, მოზომილი ხმით, რაც ასე შეშვენის ოფიციანტს, რჩევას ვაძლევდი, ყოველ შეთავაზებულ კერძს თავის წინ სიყვარულს ვატანდი და საერთოდ ისე ვიქცეოდი, თითქოს ჩემს საყვარელ პიროვნებას ვემსახურებოდი, წელში მობრილს, ცალი ხელი, კარგსკოლაგამოვლილ ოფიციანტს რომ შეეფერება. ზუგრსუკან ისე მეჭირა, ლანგრებსა და თასებს სუფრაზე ცალი ხელით ვდგამდი, შიგადაშიგ კოვზებსა და ჩანგლებს მხოლოდ მარჯ-

1 ოსტატო (ფრანგ.).
2 მასტარაც (ფრანგ.).

ვენა ხელით მოხდენილად ვუწყობდი იმათ, ვისაც ასეთი მომსახურეობა სთხოვნიდა, ამ დროს კლიენტი მამაკაცი თუ ქალი, განსაკუთრებით კი ქალი, სიამოვნებითა და გაოცებით აკვირდებოდა ჩემს ხელს. მდებარე კაცის ხელს ვერასგზით რომ ვერ უწოდებდი.



ამის შემდეგ ვიღას უნდა გაქვირვებოდა, ჰექტორის თქმისა არ იყოს, დირექციას დავეწინაურებინე, ისინი სრულად იყენებდნენ უფრო სიმპატიებს, რითაც გულმოყვირებული მაღალი საზოგადოება მსახურს უწოდებდა. დირექციამ ჩემს ირგვლივ აჩუჩჩუნებულ სიმპატიებს გადაულოცა ჩემი თავი და მთლიანად ჩემს შნოსა და უნარს მიანდო ხან მაამებლური საქციელით აღმეგზინა სტუმრების სიმპატიები, ხან კი მოკრძალებული სიდინჯით მომეთოქა და დამეშოშმინებინა.

რომ არ შევამღვრიო ის სურათი, რასაც ეს მოგონებანი ჩემი ხასიათის საობაზე უქმნიან შეითხველს, ჩემდა სასაბელოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნო იმ ადამიანების ტანჯვას, ვისაც ხდომას აღვუძრავდი, ხოლო მე თვითონ მათ აყოლას ჩემი ცხოვრებისეული სიბრძნე მიკრძალავდა, არასოდეს მოუნიჭებია ჩემთვის პატივმოყვარული და სასტიკი კმაყოფილება. როცა სხვა გეტრფის და შენ არ იზიარებ მის ვნებებს, ჩემგან განსხვავებული ბუნების ადამიანებს თავის თავგანისმცემლის მიმართ უკვანო სიცივით გარემოსილი უპირატესობის გრძნობა და დამამცირებელი ზიზღი უჩნდებათ ხოლმე, რამაც შეიძლება შეუბრალებლად გაგათელინოს სხვისი გრძნობები. როგორ განვსხვავდებოდით მე მათგან! სხვის გრძნობებს ყოველთვის პატივს ვცემდი, თავს უდანაშაულო დამნაშავედ ვგრძობდი, მაგრამ ადამიანებს სათუთად ვეკიდებოდი და ჩემი კეთილი მოპყრობით ეცდილობდი ამ გრძნობებზე შეგნებულად მეთქმევიანებინა უარი; საამისო ორ მაგალითს მოგიყვანთ: სასტუმროში გატარებული ჩანიდან; ესენი გახლდნენ ბირმინგამელი პატარა ელინორ ტვენტიმენი და შოტლანდიური უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი ლორდი კილმარნოკი. ამ ორ შემთხვევას იმიტომ ვაწყვილებ, რომ ორივე ერთდროულად გათამაშდა და ორივე სხვადასხვანაირად მიპირებდა შეცდენას, დიდი იყო ცდუნება, ნაადრევად გადაშეხვია არჩეული გზიდან და ერთ-ერთ იმ მრუდე ბილიკთაგანს გავეყოლოდი, ჩემი ნათლია რომ მიახასიათებდა ხოლმე. ამ ბილიკებს კი ზუსტად ვერასოდეს გაუგებ, ან საით მიემართებინა, ან რამსიშორეზე შეიძლება ჯაგიტყუონ.

ტვენტიმენები: მამა, დედა, ქალიშვილი და მათი მოახლე კვირების მანძილზე ცხოვრობდნენ „სენტ ჯემს ენდ ალბანის“ ერთ-ერთ ლუქსში და მარტო ეს კმაროდა დაგესკვნა, რა შეძლებულელებიც ბრძანდებოდნენ. ეს აზრი ნაზგასმულად დასტურდებოდა უძვირფასესი სამკაულებით, მისის ტვენტიმენი სადილზე რომ გამოფენდა ხოლმე, თუნცა უნდა ითქვას, მისთვის ნამდვილად დაგენანებოდა ის სამკაულები — მისის ტვენტიმენი ერთი უემური ქალი იყო, უემური ჩანდა სხვის თვალშიც და საკუთარ უემურობას თვითონვე გრძნობდა, რადგან აშკარად ეტყობოდა, თავის მეუღლის ბირგინგამელი წარმატებული საქმიანობის წყლობით წვრილბურჟუაზიული გარემოდან თვალშეუდგამ ცხოვრებისეულ სიმაღლეზე ასულიყო და ამ ცხოვრებისგან გაშეშებულ-გაქცევებულიყო კიდევ. მისტერ ტვენტიმენს პორტვაინის სმისგან აღაქლავებულ სახეზე გაცილებით მეტი გულკეთილობა ეხატებოდა, მაგრამ მის სილაღეს შესამჩნევად თრგუნავდა დაქვეითებული სმენა, რასაც მის წყლისფერ თვალებში ჩაბედებული სმენაგამახვილებული კაცის გამოხედვა

მხელდა. იგი შავ სასმენ მილს იღებდა ყურთან, როცა ცოლს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც დასჭირდებოდა მისთვის რაიმე ეთქვა. იგი მეც სასმენ მილს მიმარჯვებდა, როცა შეკვეთის მიღებისას რჩევას ვაძლევდი ხოლმე, მისი პატარა ასული, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ელინორი, ჩემს № 18 მკვიდასთან, მის პირდაპირ იჯდა. როცა მამა მოუხმობდა, ფეხზე დგებოდა. მივიდოდა და სასმენი მილის დახმარებით ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა ხოლმე.

მამას აშკარად ემჩნეოდა, რა ნაზად უყვარდა შეილი და ამით ჩემს მსგავსად ინადირებდა. რაც შეეხება მისის ტვენტიმონს, არც მის დედამშვილს გრძნობებში მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ მისი დედობრივი სიყვარული სიყვარულიან მზერასა და სიტყვებზე უფრო ელინორის საქციელისა და მოქმედების კრიტიკულ მეთვალყურეობაში შეღავნდებოდა, მას ხშირად მიჰქონდა დეალთან კუს მაკნის ჩარჩოიანი ლორნეტი და ქალიშვილს ხან თმის ვარცხნილობას უწყუნებდა, ხან საქციელს, ვთქვათ, პურის გულს რატომ ავუნდავებდა, ქათმის ბარკალს ხელით რატომ ჭამდა, ან ცნობისმოყვარედ რატომ აცეცებდა თვალებს და ასე შემდეგ. ასეთი კონტროლი ქალიშვილის აღზრდაზე დარდსა და ზრუნვას მოწმობდა, ეს კი, ეტყობა, საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვა ნორჩ მის ტვენტიმონს, მაგრამ მასთან ურთიერთობა მეც რომ მძიმე ტვირთად დამაწვა, აი, მაშინ კი გამართლებულად მივიჩნიე დედის დარდი და მოუსვენრობა.

მის ტვენტიმენი ქერა გოგონა იყო, ციკანივით კოხტა და ლამაზი, ამკვდუნად ალბათ მის ლავიწებზე უფრო გულისამაჩვილებელი არაფერი მოიძებნებოდა, როცა სადამოობით ოდნავ გულამოჭრილ აბრეშუმის კაბას ჩაიცვამდა და ლავიწები გამოუჩნდებოდა. მე თავიდანვე საოცრად მომწონდა ანგლოსაქსური ტიპის ქალები და რაკი იგი მკაფიოდ გამოკვეთილი ანგლოსაქსური ტიპი იყო, სიამოვნებით ვუცქერდი ხოლმე, ვუცქერდი განუწყვეტლივ, სადილ-ვახშამზე, თუ ნავახშმევს, ფაიფ-ო-კლოკზეც, როცა ტვენტიმენები, თავიდან მაინც, სულ იმ მაგიდასთან სხდებოდნენ, მე რომ ვემსახურებოდი. ჩემს ციკანს ყოველთვის გულთბილად ვექცეოდი, ერთგულ ძმასავით დავტრიალებდი თავს, ხორცს გადმოვუღებდი, მეორეჯერ მომქონდა დესერტი, არ გაკლებდი გრენადინს, რომელსაც იგი დიდი სიამოვნებით ეწაფებოდა, მოჭარბულ შალში სათუთად ვუფუთნიდი თოვლივით ქათქათა, სიფრიფანა ბეჭებს, როცა სადილს მორჩებოდა და ეტყობა, გადავაჭარბე, ჩემდაუნებურად შევცოდე ამ მგრძნობიარე არსების წინაშე, ნაკლებად გავუწიე ანგარიში იმ განსაკუთრებულ მაგნეტიზმს, რომელსაც ყველას მისამართით ნებით თუ უნებლიედ ვასხივებდი, ვინც კი მთლად უგრძნობელი და ბლაგვი არ იყო; გავკადნიერდები და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს გამოსხივება არც მაშინ განელებულა, როცა ჩემი ეგრეთწოდებული „მოკვდავი გარსი“, ანუ ჩემი გარეგნული ნილაბი, ძველებურ სანდომიანობას ვეღარ დაიჩემებდა; ეს კი იმით იახსნება, რომ ზემოხსენებული თვისება უფრო ღრმა ძალების გამოვლინებაა, სულ სხვა წარმონაქმნია, ერთი სიტყვით, იგი სიმპატიურობის გამოვლენა გახლავთ.

მოკლედ, დიდი ხანი აღარ დასჭირვებია იმის მიხვედრას, რომ პატარა გოგოს სიგიჟემდე შევუყვარდი და ამ აღმოჩენას მარტო მე ვერ დავიჩემებდი — არც მისის ტვენტიმენის ფრიად შემფოთებულ კუს ბაკნის ლორნეტს გამოჰპარვია სინამდვილე, რაშიც მშვენივრად დავრწმუნდი, როცა ერთხელ, ლენჩის დროს, ზურგსუკან სისინარევი ჩურჩულით ნათქვამი გავიგონე:

— Eleanor! If you don't stop staring at that boy, I'll send you up to your room and you'll have to eat alone till we leave!

ღიან, სამწუხაროდ. ციკანი თავს ვერ ერეოდა და სხვათა შორის, არც ცდილობდა დაემალა, მის თავს რა ამბავიც იყო. თავის ლურჯ თვალებს, აღტაცებულ მიბნედილ თვალებს არ მაკილებდა, ხოლო როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, სახეზე აღმური აუვიდოდა და თვფენს დაახერხებოდა, მაგრამ ისევ სწრაფად ამომხედავდა, თავს ძალად ავარჯიშებულ სახეს კვლავ ჩემსკენ მოატრიალებდა და ისე შეხედდა, თითქოს სხვაგვარად მოქცევა არც შეუძლიაო. დედამისის სიფხიზლე სულაც არ იყო გასაკიცხი, ეტყობა, სხვა დროსაც შეუმჩნევია საიმისო ნიშნები, რომ ბირმინგემული კეთილზნობის ეს პირმშო აღვირახსნილობისკენ ავლენდა მიღრეკილებას, ველურ-გულუბრყვილო რწმენით სჭეროდა, თითქოს უფლება ჰქონდა, უფრო მეტიც, ვალდებულიც კი იყო ვნებათაღელვის დაუფარავად მისცემოდა მე, ცხადია, აღარაფრით წამიკეზებია მისი გრძნობები, პირიქით, რაც შემიძლო, ვუფრთხილდებოდი, ჩემი თავშეკავებით ლამის გონიერებისკენ მოვუხმობდი, ყურადღებასა და თავაზიანობას მის მიმართ მხოლოდ მოვალეობის ფარგლებში ვიჩენდი და მართალია, ელინორისთვის სასტიკ სასჯელს უდრიდა ჩემგან მოცილება, მაგრამ მომეწონა დედამისის გადაწყვეტილება, მეორე კვირის დასაწყისში ჩემი მაგიდა რომ მიატოვეს და დარბაზის შორეულ კუთხეში გადაინაცვლეს, სადაც მაგიდებს პექტორი ემსახურებოდა.

მაგრამ ჩემმა ველურმა ციკანმა სწრაფად იპოვა გამოსავალი. უეცრად, დილის რვა საათზე გამომეცხადა *Petit déjeuner*²-ზე, მაშინ როცა აქამდე მშობლების მსგავსად, თავის ოთახში საუზმობდა ხოლმე. შემოსვლისთანავე გადაკრა სახეზე ფერმა, ჩაწითლებული თვალებით მომძებნა და ჩემს ერთერთ მაგიდასთან სულ იოლად იპოვა ადგილი, რადგან ამ დროს სასაუზმე ოთახში ხალვათობა იყო.

— Good morning, Miss Twentymen. Did you have a good rest?³

— Very little rest, Armand, veri little.⁴ — წაიტიტინა მან.

ამის გაგონებაზე სახე მომედრებლა.

— თუ ასეა, — ვუთხარი მე, — უფრო კვიციანური ხომ არ იქნებოდა, ცოტახანს კიდევ წოლილიყავით და იქვე მიგერთმიათ ჩაი და შვრიის ფაფა, არა მე, ცხადია, ახლაც მოგარმევთ საუზმეს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ზევით უფრო მშვიდად შეგეძლიათ გესაუზმათ. აბა წარმოიდგინეთ, რა მშვიდად და ნებიერად ისაუზმებდით ოთახში, თქვენს საწოლში...

— თუ იცით, რა მიპასუხა ამ ბავშვმა?

— No, I prefer to Suffer.⁵

— But you are making me Suffer, too,⁶ — მივუგე მე წყნარად და თან მენიუში იმ კონფიტიურზე მივუთითე, რომელიც ჯობდა შეეკვთა.

¹ ელინორ! თუ არ მოეშვები ამ ბიჭის უფრებას, შენს ოთახში გაგიშვებ და იქ მარტოდ-მარტო ისადილებ ხოლმე ჩვენს გამგზავრებაზე (ინგლ.).

² პირველი საუზმე (ფრანგ.).

³ დილა მშვიდობისა, მის ტვენტიმენს, კარგად გეძინათ? (ინგლ.).

⁴ ძალიან ცოტა მეძინა, არმან, ძალიან ცოტა (ინგლ.).

⁵ არა, ნებიერობის მიჩვევია ვიტანჯო (ინგლ.).

⁶ თქვენ ამით მეც მაყენებთ ტანჯვას (ინგლ.).

O, Armand, then we Suffer together!¹ — მითხრა მან და ცრემლით სავსე უძილარი თვალები მომაპყრო.

რა მოპყვებოდა ამ ამბავს? სულით და გულით ვნატრობდი ელინორას წასვლას, მაგრამ ისინი გამგზავრებას არ ჩქარობდნენ, ანდა რა ვასაკერო იყო, მისტერ ტვენტიმენს თავის ქალიშვილის სასიყვარულო ხუშტურის გამო, რაც ალბათ სასმენი მილის წყალობით გაგონილი ექნებოდა. თქვენს მშობლებს ზული არდადეგები არ შეემოკლებინა. ამასობაში კი, სანამ მის მშობლებს ეძინათ, მის ტვენტიმენი ყოველ დილით ჩამოდიოდა ძირს, მათ კი ათ საათამდე ეძინათ ხოლმე, ასე რომ, ელინორს თავისუფლად შეეძლო, დედაოთახში თუ შემოაკითხავდა, ეთქვა, ჩემი ჭურჭელი ოფიციალტმა უკვე ააღავაო; მე კი აქ ჭირის ოფლი მასკდებოდა იმის შიშით, გოგონას სახელი არ გასტეხოდა და ვცდილობდი მისი თამამი საქციელი — ხან ხელის ჩამორთმევის რომ დამიბირებდა და სხვა მისთანა ქარაფშუტობა, როგორმე გარშემოფთა თვალთაგან დამეფარა. ჩემს გაფრთხილებას, ერთ მშვენიერ დღეს მშობლები მიგიხვდებიან ეშმაკობას და შენს საიდუმლოს ფარდა აებდებამეთქი, იგი აინუნშიაც არ აგდებდა, არა, თურმე მისის ტვენტიმენს დილით ღრმა ძილით ეძინა და რამდენად უფრო საყვარელი იყო იგი მძინარე, ვიდრე ფხიზელი, როცა მას მეთვალყურეობდა! Mummy-ს² არ ვუყვარდი, მხოლოდ ლორნეტით მიყურებს და არ მაცილებს თვალსო. Daddy-ს³ ვუყვარვარ, მაგრამ ჩემს გრძნობებს სერიოზულად არ ეკიდება, Mummy კი, ბირიქით, მართალია, მიჯაერდება, მაგრამ მაინც მომწონს, ჩემს გულისნადებს რომ ხვდებიაო. For I love you!⁴

იმ წუთში მის ნათქვამს ყური ავარიდე, მაგრამ მის მაგიდასთან ხელგეორედ რომ მივბრუნდი, თან სუფრას ვუწყობდი და თან ჩუმად ჭკუას ვარიგებდი:

— მის ელინორ, რაც თქვენ ბოლოს მითხარით, ნამდვილად გეჩვენებდათ, ეს არის წმინდა nonsense.⁵ თქვენი Daddy სავსებით მართალია, ამ ამბავს არაფრად რომ არ აგდებს, მაგრამ არც თქვენს Mummy-ს გაემტყუნება, ამ ნონსენს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს და გიკრძალავთ, თქვენც ასე სერიოზულად ნუ ეკიდებით ამ ამბავს, თქვენდა და ჩემდა სავალალოდ, ჯობია ამ love-ს⁶ ცოტა იუმორით მოეკიდოთ, მე ასევე ვერ მოვიტყევი, ცხადია, არა, ამას როგორ გავებუდავ, მაგრამ თქვენ კი გმართებთ ასე მოიტყეთ! აბა რა გამოვა აქედან? ეს love ხომ არაბუნებრივია, თქვენ ისეთი მდიდარი კაცის ასული ბრძანდებით, როგორც მისტერ ტვენტიმენია, თქვენ მამათქვენი რამდენიმე კვირაა „სენტ ჯემს ალბანიში“⁷ გაცხოვრებთ, მე კი აქ კელნერად ვმუშაობ. მე მხოლოდ კელნერი ვარ, მის ელინორ, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების მდაბალი წევრი, მე ამ საზოგადოებას დიდ პატივს ვცემ, თქვენ კი მის წინააღმდეგ ამხედრებულხართ, ეს ხომ არანორმალურია, წესით, თქვენ არც უნდა მამჩნევდეთ, აი, ეს იქნებოდა ბუნებრივი და თქვენი Mummy-ც ამას მოითხოვს თქვენგან, თქვენ კი რას სჩადით: თქვენს მშობლებს ტკბილად რომ სძინავთ და ამიტომ ვერ დგანან საზოგადოებრივი წეს-წყობი-

¹ ო, არმან, მაშინ ერთად ვიტანჯით (ინგლ.).
² დედას (ინგლ.).
³ მამას (ინგლ.).
⁴ იმიტომ რომ შენ მიყვარხარო (ინგლ.).
⁵ უაზრობა (ინგლ.).
⁶ სიყვარული (ინგლ.).

ლების სადარაჯოზე, ჩუმად მოიპარებით სასაუზმოდ და „სიყვარულზე მე-
საუბრებით“, ეს აკრძალული love არის, მე მას ხელს ვერ შევადგებ, მე გულ-
ში უნდა ჩავიკლა სიხარული. თქვენ რომ ჩემი ცქერა გიხაროდეს, ცხადია მეც
მაქვს უფლება თქვენი ყურება მიხაროდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამას
ვერავინ შემამჩნევს. მაგრამ თქვენ, მისტერ და მისის ტვენტიმენების ასულს,
ჩემი ყურება გიხაროდეთ, ეს არ შეიძლება, ეს ბუნებრივად შეუძლებელია
რამ არის, თქვენ, უბრალოდ, თვალები დაგბრმავებიათ, ამავე ალბათ ჩემს
ჩავერდით გაწყობილ, ოქროსლილებიან ფრაკს უნდა ვუმაღლოდე, ოღონდ ეს
a la Saint James and Albany¹ ფრაკი სწორედ ჩემი მდაბალი მდგომარე-
ობის მაჩვენებელია, ეს ფრაკი მამშვენებს, თორემ უამისოდ, გარწმუნებთ,
არაფრად ვივარგებდი! ისეთი გრძნობა, როგორცაა თქვენი „love“ ადვილად
ჩნდება მოგზაურობისას ასეთი ფრაკების დანახვაზე, წახვალთ, თუ არა აქე-
დან, და ალბათ მალე წახვალთ, თქვენი „love“ შემდეგ გაჩერებამდე დაგა-
ვიწყდებათ. ნება მომეცით მე მახსოვდეს ჩვენი აქაური შეხვედრა, ასე იგი
სადმე მაინც დარჩება მეხსიერებაში და თქვენც აღარ დაგამძიმებთ!

ამაზე მეტი რაღა მექნა, განა შეიძლებოდა ამაზე მეტი ზრუნვა და სიყ-
ვარული გამომეჩინა? ის კი ატირდა და ჩემი ბედი, რომ მახლობელი მაგი-
დები ცარიელი იყო. ქვითინით შესაყვედურობდა გულქვაობას, ბუნებრივ-
საზოგადოებრივ წეს-წყობილებასა და თავის არაბუნებრივ გაგიჟებაზე სიტყ-
ვის გაგონებაც არ უნდოდა, ყოველ დილით ჯიუტად მარწმუნებდა, ჩვენ
რომ მარტონი დავრჩეთ, ხელს არავინ გვიშლიდეს და სიტყვით და საქმით
თავისუფალნი ვიყოთ, მაშინ ყველაფერი მოგვარდებოდა და ბედნიერები ვიქ-
ნებოდით, თუ, რა თქმა უნდა, ცოტათი მაინც გიყვარვარო. მე სიყვარულზე
უარს არ ვეუბნებოდი, სხვა თუ არაფერი, მადლიერებით მაინც ვპასუხობდი,
ოღონდ Rendez-vous! როგორღა უნდა შემდგარიყო, რათა მარტონი დავრ-
ჩენილიყავით და სიტყვისა და საქმის თავსუფლება მოგვეცემოდა, ეგ კი
აღარ ვიცოდი. ეს არც მან იცოდა, მაგრამ ამის გამო თავისი წადილი არ და-
უთმია და მე მავალდებულებდა მისი წადილის აღსრულების გზა მომენახა.

მოკლედ, ელინორმა ბევრი დავიდარაბა შემახვედრა და ნეტავ იმ ხანებ-
ში მაინც აღარ გათამაშებულყო და თანაც არცთუ იოლად, ლორდ კილმარ-
ნოკთან დაკავშირებული დრამა! ეს გამოცდა პირველზე იოლი ნუ გეგონებათ,
პირიქით, აქ პატარა ანტაჯანა გოგონას გრძნობებზე კი არა, სერიოზულ პი-
როვნებაზე იყო ლაპარაკი, რომლის გრძნობებს კაცობრიობის გრძნობათა
სასწორზე რაღაც წონა გააჩნდა. ასე რომ, მას ვერც იმას ურჩევდი, თავის გუ-
ლისნადებს იუმორით მოჰკიდებოდა და ვერც შენ გაბედავდი მისთვის დაგე-
ცინა, ყოველ შემთხვევაში მე საამისო ძალა არ გამაჩნდა.

ლორდი თოთხმეტი დღე იქნებოდა ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა და
ერთადგილიან მაგიდასთან სადილობდა ხოლმე. ეს იყო ზედმიწევნით არის-
ტოკრატიული გარეგნობის, დაახლოებით ორმოცდაათი წლის, ზომიერად ტან-
მაღალი, თხელი, უალრესად აკურატულად ჩაცმული კაცი, ჯერ კიდევ ხშირი,
ფოლადისფრად გაქაღარავეებული თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, აპრეხილ
ულვაშიშიც ასევე გარეოდა ჰალარა, ხოლო ულვაშიდან საოცრად ფაქიზად
მოყვანილი ტუჩ-პირი მოუჩანდა. სამაგიეროდ, ცხვირი არ ჰქონდა ფაქიზად
მოყვანილი და არისტოკრატიული, ზედმეტად მსხვილი, ლამის მორგვივით
ცხვირი საკმაოდ ღრმა ღრმულს ჰქმნიდა ოდნავ ირიბად გაწოლილ წარბებსა

¹ ჰაემანი (ფრანგ.).

და მომწვანო-მონაცრისფრო თვალებს შორის და სახიდანაც მეტისმეტად იყო გამოჩრილი. ცხვირი თუ სინანულის გრძობას აღძრავდა, სამაგიეროდ კვლავ ახარებდა თვალს უაღრესად სუფთად გაპარსული, კრემით აბრიალებული ლოყები და ნიკაბი. კრემს ეტყობა პირის დაბანის შემდეგ ისევამდა. ცხვირსახოცს იის წყალს აპკურებდა და ეს სურნელი ქვემოთ მანამდე უცნობი საოცარი ბუნებრიობითა და გაზაფხულის სინდელივით თქავდა.

სასადილო დარბაზში ლორდი დარცხვენლივით შემოდინდა და ასეთი არისტოკრატიული გარეგნობის კაცისგან იქნებ ეს ვინმეს ეხამუშებოდა კიდევ, მაგრამ ჩემს თვალში მას არაფერი აკლდებოდა. მას სხვა იმდენი ღირსება გააჩნდა, რომ ეს მანერა ძალაუნებურად დაგაეჭვებდათ, რაღაც უჩვეულო უნდა სჭირდეს და იმას თუ განიცდის, ჩემს ნაკლს სხვებიც მამჩნევენ და მაკვირდებიანო. ხმა ნაზი ჰქონდა, ამიტომ მე კიდევ უფრო ნაზად ეპასუხობდი და გვიან მივხვდი, რომ ამას მისთვის სიკეთე არ მოუტანია. მთელ მის არსებას მრავალტანჯული კაცის მელანქოლიური თავაზიანობა მოსავდა და განა შეიძლებოდა გულკეთილი კაცი ისევე არ მოქცეოდა, რა სათუთად და მზრუნველადაც მე ვექცეოდი? მაგრამ როგორც ვთქვი, ასეთ მოპყრობას მისთვის სიკეთე არ მოუტანია. მერე რა, რომ იგი მხოლოდ თვალს თუ შემაველებდა, როცა ამინდზე ან მენიუზე ერთ-ორ სიტყვას ვიტყოდით და სუფრის გაწყობისას ჩვენი საუბარი თავიდან ამით ამოიწურებოდა, ამ დროს იგი მეტწილად თვალს მარიდებდა, თავის მზერას ისე მალავდა და ზოგავდა, თითქოს ეშინოდა, უფრო ხანგრძლივ ცქერას უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა. და ასე გრძელდებოდა ერთ კვირას, სანამ ჩვენი ურთიერთობა მერყეობიდან და წმინდა ფორმალური საუბრის ჩარჩოებიდან არ გამოვიდოდა, ანუ, სანამ მის სახეზე შიშნარევი სიამოვნებით არ შევამჩნიე ჩემი პიროვნების მიმართ ინტერესის გამოჩენა. ერთი კვირა რა ბედენაა — ეს ხომ უმცირესი დროა საიმისოდ, რომ უცხო კაცს, რომელთანაც ყოველდღე მხოლოდ ერთფეროვანი ურთიერთობა გიხდება, რაღაც ცვლილებები შეამჩნიოთ. მით უმეტეს, ეს კაცი თუ საგანგებოდ გარიდებს მზერას.

მან ნელ-ნელა გამომკითხა, რამდენი ხანია აქ მუშაობ. საიდან ხარ, რამდენი წლისა ხარო და ამ უკანასკნელ კითხვაზე ასეთი ნორჩი ციფრი რომ გაიგონა, გულის აჩუყების ნიშნად მზრები შეარხია და წამოიძახა „Mon Dieu!“ და „Goud heavens!“¹ უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ხან ინგლისურად და ხან ფრანგულად ლაპარაკობდა. თუ წარმოშობით გერმანელი ხარ, ფრანგული სახელი — „არმან“ რატომღა გქვიაო, დაინტერესდა იგი. ეს სახელი მე არ დამირქმევია, ადმინისტრაციამ დამარქვა, სინამდვილეში ფელიქსი მქვია-მეთქი, ვუბასუხე.

— ო, რა ლამაზი სახელია, — თქვა მან. — უფლება რომ მქონდეს. თქვენს ნამდვილ სახელს დაგიბრუნებდით.

რაც მერე დასძინა, მის აღმატებულებას იმდენად არ შეეფერებოდა, რომ ჩემზე, ცოტა არ იყოს, გაუწონასწორებელი კაცის შთაბეჭდილება მოახდინა. მან მითხრა, ჩემი ნათლობის სახელი ნექტანი გახლავთ, ეს პიქტების ტომის, შოტლანდიის უძველეს მკვიდრთა მეფის სახელიაო. მე მოწიწებით აღსავსე ინტერესი გამომეხატა სახეზე, მაგრამ იმწამსვე ერთი კითხვაც შემო-

¹ ღმერთო ჩემო (ფრანგ. და ინგლ.).

ნუთუ შეიძლება ასეთი ფაქტიზი ტუჩ-პირის პატრონს ამოდენა მორგევით ცხვირი ჰქონდეს-მეთქი, ჩემდაუნებურად გავიფიქრე მე.

— დიან, მართლა! — დავუდასტურე, ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა

— ვინ იცის, იქნებ თვითუარყოფა სწორედ სხვის თვითდაშკვიდრებას უწყობდეს ხელს, mon enfant, — მითხრა მან.

ამ სიტყვებზე იგი წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. მისგან შიშვენიერად შეფიქრიანებული სუფრის ალაგებასა და ხელახლა გაწყობას შევუდექი.

ეტყობა, ჩემთან ყოველდღიური, მრავალჯერადი შეხვედრა ლორდისთვის არ იყო სასიკეთო, მაგრამ მე არც ამ შეხვედრების შეწყვეტას მკითხავდა ვინ-მე და არც მათი უვნებელყოფა შემეძლო, თუმცა ჩემი მხრივ მაინც აღვკვეთე ყოველგვარი გულთბილობა, ლორდს პირგამეხებელი ვემსახურებოდი ჩემგანვე ნასაზრდოებ გრძნობებს მევე ვუკოდავდი. ელინორის გრძნობებს ვერ დავცინე, ლორდის გრძნობებს ხომ მითუმეტეს დაცინვით ვერ მოვეყიდებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ლორდისგან კიდევ უფრო შორს უნდა დამეჭირა თავი. გრძნობათა ჭიდილმა მძიმე სულიერი კონფლიქტი შემიქმნა, რომელიც შეიძლებოდა ცდუნებად გარდაქმნილიყო და ლორდის მოულოდნელი წინადადებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობა ველარ გამეწია, თუმცა ეს წინადადება მხოლოდ მისი კონკრეტული შინაარსით იყო ჩემთვის მოულოდნელი.

ეს მოხდა მეორე კვირის ბოლოს, ნასადილევს ყავის მართმევისას, სასადილო დარბაზში. დარბაზის შესასვლელში, მცენარეების თეჯირს მიღმა, მცირე ორკესტრი უკრავდა. ლორდს მისგან მოშორებით, დარბაზის მეორე ბოლოში შეერჩია განცალკევებული მაგიდა, სადაც მანამდეც ხშირად მჯდარა და ყავა ახლაც იქ მივართვი. მის მაგიდას ხელახლა რომ ჩავუარე, სიგარა მომთხოვა. მე ორი იმპორტული კოლოფი მივუტანე, რგოლიანი და ურგოლო სიგარებით სავსე, იგი კოლოფებს დააცქერდა და მკითხა:

— რომელი ავიღო?

— ფირმა ამას გვირჩევს, — მივუგე მე და რგოლიან სიგარებზე მივუთითე. — მე კი, თუ ნებას მომცემთ გირჩიოთ, მეორეს ვამჯობინებდი.

ენამ წამისწრო და ჩემი წინდაუხედაობით კურტუაზიის საბაბი მივეცი.

— მაშინ თქვენს რჩევას გავიზიარებ, — თქვა მან, მაგრამ ხელი არც ერთისთვის არ უხლია, თუმცა მე ორივე კოლოფს ვუწვდიდი და მათ დავუკურებდი.

— არმან? — წყნარად მომმართა მან მუსიკის ხმაურში.

— მილორდ?

ახლა სხვაგვარად მომმართა:

— ფელიქს?

— რას მიბრძანებთ, მილორდ? — ღიმილით ვკითხე მე.

— ხომ არ ისურვებდით, — დაიწყო მან, ისე რომ სიგარებისთვის თვალი არ მოუცილებია, — სასტუმროში სამსახური კამერდინერის სამსახურზე გავგეცვალათ?

სათქმელი მაინც ითქვა.

— მაინც როგორ, მილორდ? — ვითომ ვერ გავიგე მისი ნათქვამი.

მას ერჩია გაეგონა, ვისთანო, და უხერხულად აიჩეჩა მხრები:

— ჩემთან, ეგ იოლი საქმეა. თქვენ ჯერ აბერდინში წამომყვებით და

1 ჩემო შვილო (ფრანგ.).

იქიდან ნექტანის ციხე-დარბაზში წავალთ. მაგ ლივრეას გაიხდით და მის მაგიერ მოხდენილ სამოქალაქო ტანსაცმელს ჩაიცვამთ, სამოქალაქო ტანსაცმელი თქვენს თანამდებობას შენიღბავს და სხვა მსახურთაგან გამოგარჩევთ. იქ ყოველნაირი მსახური მყავს, თქვენ მხოლოდ ჩემი მომსახურება დაგვევალებათ. ყოველთვის ჩემს გვერდით იქნებით, ციხე-დარბაზშიც და გარეგანადაც. მთაშიც და ბარშიც. Salaire! იმაზე ორჯერ, სამჯერ მეტი გექნებათ, ვიდრე აქ გაქვთ.

მე ხმას არ ვიღებდი, და არც მას უცდია თუნდაც შემოხედვით დაეჩქარებინა პასუხი. პირიქით, ერთ-ერთი კოლოფიც კი გამომართვა და ერთი ხარისხის სიგარა მეორეს შეადარა კიდევ.

— ამ საქმეს კარგი დაფიქრება სჭირდება, მილორდ, — როგორც იქნა ვთქვი ბოლოს. — ცხადია, თქვენი წინადადება დიდ პატივს მღებს, მაგრამ იგი ისე მოულოდნელია, რომ... გთხოვთ მოსაფიქრებელი დრო მომცეთ.

— მოსაფიქრებლად ცოტა დრო დარჩა, — მომიგო მან. — დღეს პარასკევია, მე კი ორშაბათს მივემგზავრები. წამომყევით! ძალიან მინდა წამომყევით.

მან ჩემი შექცეული სიგარებიდან ერთი სიგარა ამოიღო, კარგად დაათვალიერა და ცხვირთან მიიტანა. ვერაფერს გამოიტყობდა, ამ დროს რა შეიძლებოდა ეთქვა, მან წყნარად თქვა:

— ეს არის ერთი საბრალო, ობოლი გულის სურვილი.

მხოლოდ არაკაცს თუ შეუძლია ცუდად ჩამომართვას ჩემი შეშფოთება, მით უმეტეს, რომ წინასწარ ვიცოდი, ამ შრუდე ბილიკს არასგზით არ დავადგებოდი.

— თქვენო უმაღლესობავ, — წავიბუტბუტე მე, — გპირდებით, რომ მოსაფიქრებლად მოცემულ ვადას ნაყოფიერად გამოვიყენებ.

ამ სიტყვებით გავეცალე და გულში ბჭობას შევუდექი: ყავაზე დასაყოლებლად კარგი სიგარა აქვს, ეს შენაერთი სასიამოვნო სიმყუდროვის საწინდარია. სიმყუდროვე თავის მხრივ ბედნიერების მცირე სახეობაა და სხვა გზა როცა არ არის, მაშინ ამ მცირედით უნდა დაკმაყოფილდეს-მეთქი.

ამ სუსტი გაბრძოლებით ვითომ საკუთარ თავსაც ვშველოდი და მასაც ვეხმარებოდი, მაგრამ მას შემდეგ მძიმე დღეები დამიდგა, ყოველ იჯრაზე, ჩაის შემდეგაც, ლორდი ამომხედავდა და მეკითხებოდა, რას მეტყვიო. მე ხან უსიტყვოდ ვბრდი თვალებს და მხრებში ისე ავიწურებოდი, თითქოს ბეჭებზე მძიმე ტვირთი მდებოდეს. ხან კი შეწუხებული ხმით ვეუბნებოდი, რომ ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტა, რა გზას დავდგომოდი.

ფაქიზად მოყვანილ ტუჩ-პირზე ლორდს სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ეხატებოდა გამწარება, მაგრამ მას მხოლოდ საკუთარი დარდი აწუხებდა. ვთქვათ, ლორდის სწეულ დას სხვა აღარაფერი დარჩენოდა მის ბედნიერებაზე ზრუნვის გარდა. მაგრამ ნუთუ თვითონ სულ არ აფიქრებდა ის როლი, მის მრავალრიცხოვან მოსამსახურეთა და თუნდაც იმ კუთხის გალუარი მოსახლეობის თვალში მე რომ უნდა მეთამაშა? მათი დაცინვის საგანი დიდი ბატონის უინი კი არა, მისი უინის დამაკმაყოფილებელი სათამაშო გახდებოდა. მართალია, ლორდი მეცოდებოდა, მაგრამ გულში ეგოიზმს ვსაყვედურობდი. ეს კიდევ არაფერი, ნეტავ იმავე დროს ელინორ ტვენტიმენის შემოტევები მაინც აღარ მქონოდა მოსაგერიებელი, რომელიც სიტყვისა და საქმისათვის ჩემთან განმარტობას მოითხოვდა!

1 ხელფასი (ფრანგ.).

კვირაობით, სადილზე, დარბაზში უხვად ისმებოდა შამპანური. ლორდი შამპანურს არ ეკარებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იქით, ტვენტიმენების ფრაზე საცობებს წამდაუწუმ გაჰქონდა ტკაცანი. მე ჩემთვის ვფიქრობდი, ეს ელინორს სიკეთეს არ მოუტანს-მეთქი და შიში კიდევ გამიმართლდა. ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, კაფეში ყავის დასალევად ვეშვებოდი. კაფედან მწვანე აბრეშუმის ფარდით შემოსილი მინის კარი სამკითხველოში გადიოდა, იქ ტყავის სავარძლები და ჟურნალ-გაზეთების გრძელი მაგიდა იდგა. იმ ოთახში იშვიათად თუ შემოვიდოდა ვინმე, მხოლოდ დილაობით იჯდა იქ ერთი-ორი კაცი და ახალ გაზეთებს ათვალიერებდა. სამკითხველოდან გაზეთის გამოტანა იკრძალებოდა, მაგრამ ვილაცას ერთი ჟურნალი დარბაზში მაინც შემოეტანა და სკამზე მიეტოვებინა. ბუნებით წესრიგის მოყვარული ვიყავი და ამიტომ მოვკიდე ჟურნალს ხელი, თავისსავე ჯოხზე დავახვიე და ცარიელ სამკითხველოში გავიტანე. ის იყო გრძელ მაგიდაზე, ჟურნალს თავისი ადგილი მივუჩინე, რომ ელინორი გამომეცხადა. რომელსაც აშკარად ეტყობოდა რამდენიმე ჭიჭა მოე-შანდონის კვალი. იგი ხემსკენ გამოემართა, აკანკალებულ-აცახცახებულმა შიშველი მკლავები ყელზე შემომამკდო და ატიტინდა:

— Armand, I love you so desperately and helplessly, I don't know what to do, I am so deeply, so utterly in love with you that I am lost, lost, lost... Say, tell me, do you love me a little bit, too?

— For heaven's sake, Miss Eleanor, be careful, somebody might come in... for instance, your mother. How on earth did you manage to escape her? Of course, I love you, sweet little Eleanor! You have such moving collarbones, you are such a lovely child in every way... But now get your armsoff my neck and watch out... This is extremely dangerous.

— What do I care about danger! I love you, I love you, Armand let's flee together, let's die together, but first of all kiss me... Your lips, your lips, I am parched with thirst for your lips...!

— არა, dear Eleanor.² — ვუთხარი მე და შევეცადე ფრთხილად ჩამომეშორებინა მისი მკლავები, — ეგ არ ივარგებს. თქვენ ისედაც შამპანური გაქვთ დალუული და, როგორც გატყობთ, არა ერთი და ორი ჭიჭა, ახლა მე კიდევ რომ გაკოცოთ, სულ მოგიტავდებათ ხელი და გონს ვეღარც მოგიყვანთ. მე ხომ გულწრფელად გაგაფრთხილეთ, სიმდიდრით ისე აღზევებული მშობელის ასულს, როგორც მისტერ და მისის ტვენტიმენები ბრძანდებიან, პირველ შემხვედრ კელნერზე გაგიყება არ შეეფერება-მეთქი. ეს ნამდვილი სიგიჟეა, მაგრამ მართლა რომც გიყვარდეთ, საზოგადოების ბუნებრივი კანონებისა და კეთილზნეობის ხათრით მაინც უნდა დათრგუნოთ

¹ არმან, ისე ვაგიჟებით მიყვარხართ, ისე ვნებიანად, ისე გაღმერთებთ, აღარაფერი მეშველება, აღარაფერი, აღარაფერი... მითხარით, ნუ დამიმალავთ, ცოტათი მაინც გიყვარვართ თუ არა?

— დეთვის გულისათვის, მის ელინორ, ფრთხილად, ვინმე არ შემოვიდეს... მაგალითად, დედათქვენი. ერთი მითხარით, როგორ გამოეპარეთ? მიყვარხართ, აბა რა, პატარა საყვარელო ელინორ! თქვენ ისეთი გულისამაჩუყებელი ლავიწები გაქვთ და საერთოდაც მომხიბლავი გოგონა ხართ. ახლა კი ჩამოიღეთ ხელები და გაიქეციოთ... აქ ყოფნა სახიფათოა.

— ხიფათის არ მეშინია! მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ, არმან, მოდი, გავიქეტო, მაგრამ მანამდე მაკოცეთ... თქვენი ტუჩები, ო, როგორ მწყურია თქვენი ტუჩები... (ინგლ.)

² ძვირფასო ელინორ (ინგლ.).

თქვენი გრძნობები. ასეა ხომ? აი, თქვენ უკვე კარგი, დამჯერე გოგონა გახდით, მე ჩამომეხსნებით და დედისთან გაიქცევით.

— ო, არმან, რა გულცივი და გულქვა ხართ, თქვენ ხომ მითხარით, ცოტათი მიყვარხარო? დედასთანო, მეუბნებით, დედა მეჩაგრება და იმსაც ვეჭვებო, აი, მამიკოს კი ვუყვარვარ და ვიცი, ყველაფერს გეხსნა. ფაქტის წინაშე რომ დავაყენებთ. ჩვენ მხოლოდ გავიქცეთ, გავიქცეთ ამაღამვე ექსპრესით, თუგინდ ესპანეთში, თუნგინდ მაროკოში, მე ამის სათქმელად დაგეძებდით. ჩვენ დავიმალებით, მე ბავშვს გაგიჩენთ, ეს იქნება ნამდვილი ფაქტი, daddy შეგვირიგდება, როცა ბავშვიანად ფეხებქვეშ ჩავუვარდებით. ფულს მოგვცემს და მდიდრები და ბედნიერები ვიქნებით... *Your lips!* — შესძახა ამ აბტაჯანამ და ისე შემომექცა, თითქოს აქვე, ადგილზევე აბრებდა ჩემგან ბავშვის გაჩენას.

— ახლა კი კმარა, ნამდვილად კმარა, *dear little Eleanor,*² — ვუთხარი მე და, როგორც იქნა, ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ ჩამოვადებინე ხელები. — რასაც თქვენ ამბობთ, ისეთი აუბუნელი ოცნებებია, რომ მათი გულისთვის ჩემს გზას ვერ მივატოვებ და მრუდე ბილიკს ვერ დავადგები. ასეთი საქციელი არ გეკადრებათ, თან სიყვარულს მეფიცებით, თან კი თქვენს სურვილებს მახვევთ თავზე და გზიდან გადაცდენას მიპირებთ, მე უთქვენოდ ბევრი გასაქირი მადგას და ჩემი დარღებიც მეყოფა. სიმართლე თუ გინდათ, დიდი ეგოისტი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ ყველანი ასეთები ხართ და ამისთვის არ გკიცხავთ, პირიქით, მადლობელი ვარ და პატარა ელინორს არ დავივიწყებ. ახლა გამიშვით, რომ ჩემს საქმეს მივხედო.

— უჰუჰუ! — აღრიალდა იგი. — *No kiss! No child! Pour, unhappy me! Poor little Eleanor, so miserable and disdained!*³

ელინორმა სახეზე ხელები აიფარა, ტყავის სავარძელში ჩაემხო და გულისმომკვლელად აქვითინდა. დავაპირე, სანამ წავიდოდი. მივსულიყავი და ნუგეშის ნიშნად თავზე გადამესვა ხელი, მაგრამ მისი ნუგეშისცემა სხვას ხვდა წილად. სწორედ იმ წუთში ვილაც შემოვიდა და ეს ვილაც ჩექტანის ციხე-დარბაზის პატრონი, ლორდი კილმარნოკი გახლდათ. უზადო საღამოს კოსტიუმში გამოწყობილს დღეს ფეხზე ლაქის ფეხსაცმლის ნაცვლად რბილი ნატის ფეხსაცმელი ეცვა. სუფთად გაპარსული სახე კრემისგან უბზინავდა და მსხვილი ცხვირი მორგევივით ჰქონდა გამოჩრილი. მან თავი ოდნავ გადახარა, აღმაცერად მოხაზულ წარბებს ქვემოდან ფიქრიანად დახედა სახეზე ხელაფარებულ, აქვითინებულ გოგონას, სავარძელთან მივიდა და თითის ზურგი ლოყაზე აღერსიანად მოუთათუნა. ელინორმა უცნობს გაოცებით მიანათა ნამტირალევი თვალები, სავარძლიდან წამოხტა და თრითინასავით გასხლტა მინის კარის მოპირდაპირე კარში.

ლორდმა ჩაფიქრებული მზერა დაადევნა გაქცეულს. შემდეგ დინჯად და თავდაქერილად მომმართა:

— ფელიქს, — მითხრა მან, — გადაწყვეტილების მიღების ქამში დაქკრა. მე ხვალ დილაადრიან მივემგზავრები. თუ შოტლანდიაში მომყვებით, ბარგი ამაღამვე უნდა ჩაალაგოთ. რა გადაწყვეით?

¹ თქვენი ტუჩები! (ინგლ.).

² ჩემო ძვირფასო პატარა ელინორ (ინგლ.).

³ არც კოსნა! არც ბავშვი! ვაი მე საბრალოს, უბედურს! საწყალი პატარა ელინორი, დაწუნებული, მიტოვებული! (ინგლ.).

— მილორდ, — მივუგე მე, — გულითად მადლობას მოგახსენებთ და გთხოვთ არ მიწყინოთ. ვგრძნობ, რომ თქვენგან შემოთავაზებულ მოვალეობას თავს ვერ გავართმევ, ამიტომ უმჯობესია ახლავე ვთქვა უარი და ჩვენი უბიძგან არ გადავუხვიო.



— დასახელებულ მიზეზს სერიოზულად ვერ მოვეკიდები, — უპასურობს მან, — რაც შეეხება დანარჩენს, — დასძინა მერე და თვალით კბრულა-კბრულა დაიშინა, — ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვა საქმეები მოსტუმრებული ვაქვთ.

უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე და ვუბასუხე:

— აქ კიდევ ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და მხოლოდ ის შემიძლება, თქვენს უმაღლესობას გზა დავულოცო.

მან თავი ჩაჰკიდა, მერე ოდნავ წამოსწია და მისებურად, თითქოს თავს ძალას ატანსო, ისე შემხედა თვალებში.

— ფელიქს! — მითხრა მან, — ნუთუ არ გეშინიათ, რომ თქვენს ცხოვრებაში უდიდეს შეცდომას სჩადიხართ?

— სწორედ მაგის მეშინია, მილორდ, და ამიტომაც ვამბობ უარს.

— იმიტომ რომ გგონიათ თავს ვერ გაართმევთ თქვენს მოვალეობას? თქვენი უარი მაშინ იქნებოდა გამართლებული, მე რომ თქვენს გულისთვის ვერ ვხვდებოდე. მეც ვიცი, თქვენ რომ კიდევ უფრო დიდი ბედნიერებისთვის ხართ დაბადებული. ჩემი ინტერესი თქვენს მიმართ ისეთ პერსპექტივებს მოიცავს, ვერც წარმოგიდგენიათ, უარს რაზე მეუბნებით. მე შვილი არა მყავს და მე თვითონ ვარ ჩემი ქონების ბატონ-პატრონი. ხომ არის შეილება აყვანის შემთხვევები... თქვენ შეგიძლიათ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძოთ და ლორდ კილმარნოკად და მთელი ჩემი ქონების მემკვიდრედ იბილოთ საკუთარი თავი.

ეს იყო ძლიერი დარტყმა. ლორდმა მართლაც ერთბაშად ააფეთქა ყველა ნაღმი. თავში ათასი ფიქრი ამიფუთფუთდა, მაგრამ ისინი ჩემი უარის უკან წასაღებად არ დალაგებულან. რასაც იგი თავის ინტერესის საფასურად მიბრუნებოდა, ეს იქნებოდა უბადრუკი ლორდობა, უბადრუკი ხალხის თვალში და მოკლებული კეშმარიტი ღირსებას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის იყო, რომ ჩემს არსებაში ჩაბუდებული ინსტინქტი, აქამდე ასე თავდაჯერებული ინსტინქტი, წინ აღუდგა ამ ბოძებულ და თან შებღალულ სინამდვილეს და თავისუფალ ოცნებასა და თამაშს, საკუთარი ხელით შექმნილსა და ნაწყალობევს, ანუ ფანტაზიის ნაწყალობევს დაუჭირა მხარი. როცა ბიჭობაში დილით გავიღვიძებდი, თავს თვრამეტი წლის პრინცად წარმოვიდგენდი და ამ წმინდა და მომხიბლავი გამონაგონით რამდენ ხანსაც მინდოდა, იმდენხანს თავისუფლად ვფანტაზიორობდი, სწორედ ის იყო კეშმარიტი და არა ის, რასაც ეს დიდცხვირა კაცი თავის სიყვარულის წილ მთავაზობდა.

ელვისისწრაფით, მოკლედ შევაჯამე ჩემს თავში მორიალე აზრები და ბტკიცედ მოვახსენე:

— მომიტევეთ, მილორდ, მაგრამ იგივე უნდა გიპასუხოთ: გზა დამილოცნია.

იგი გაფითრდა და უცებ დავინახე, როგორ აუცახცახდა ნიკაპი.

არაკაცი იყოს ის, ვინც გამკიცხოს, რომ მის შემხედვარეს თვალები წამომიწითლდა და მგონი ამიწყლიანდა კიდევ. არა, არ ამწყლიანებია, მხო-

ლოდ წამომიწითლდა. თანაგრძნობა იქით იყოს, მაგრამ არამზადაა ის, ვინც სხვის გრძნობებს მადლიერებით მაინც არ უპასუხებს.

— გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ამ ამბავს, მილორდ, — გულთხარი მე. — თქვენ მე შემხედით, ყოველდღე მხედავდით და ჩემი სიყმაწვილის მიმართ გრძნობა გაგელვიძათ, ამისთვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ეს ხომ შემთხვევის ამბავია, შეიძლებოდა სულ სხვას გადაეყრებოდა, არა, სულაც არ მინდა გული გატკინოთ და ის პატივი დავაკნინო, რაც მე მარგუენეთ, მაგრამ რა ვქნა, თუკი მე ასეთად გამაჩინა ღმერთმა, როგორცა ვარ, კაცი ერთხელ ჩნდება ამ ქვეყანაზე, ჩემი ხნის ბიჭები მილიონობითაა ირგვლივ და მცირე განსხვავების მიუხედავად, ყველანი ერთნაირები ვართ. მე ვიცნობდი ერთ ქალს, მას ყველა ჩემნაირის მიმართ ჰქონდა გულთბილი გრძნობები და თქვენც, მე მგონი, ასე ხართ. ჩემნაირები ყოველთვის და ყველგან შეგხვდებათ. აი დაბრუნდებით შოტლანდიაში, განა იქ ნაკლებად მომხიბლავნი არიან ჩემი თანატოლები, განა მართლა მხოლოდ ჩემსკენ მოგიწევთ გული? იქ კაცები ქვედაკაბებით დადიანო, გამიგონია, თურმე შიშველი ფეხები მოუჩინათ, მათ ყურებას რა სჯობია! იქ ჩემი თანატოლებიდან ბრწყინვალე კამერდინერის შერჩევა შეგიძლიათ, გალურად დაელაპარაკებით, ბოლოს იშვილებთ კიდევ. თავიდან იქნებ ვერც შეიშნოს ლორდობა, მაგრამ მერე შეეჩვევა და სხვა თუ არაფერი, ის კაცი იქაური მაინც იქნება. ისეთი კარგი და მშვენიერი წარმომადგენია იგი, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ დაგავიწყებთ ჩვენს შეხვედრას. ხსოვნის შენახვა მე მომანდეთ, იგი დავიწყებას არ მიეცემა. გპირდებით, მუდამ მოწიწებით და თბილად გავიხსენო ის დღეები, თქვენ რომ გემსახურებოდით, სიგარებს რომ გირჩევდით და ცხადია, თქვენს წამიერ გულთბილობასაც არ დავივიწყებ. ოღონდ, თუ ნებას დამრთავთ, გირჩევთ, ჰამას მოუმატოთ, მილორდ! თორემ თვითუარყოფას რაც შეეხება, ამაში სულითა და გულით მხარს ვერავეინ აგებამთ.

ასე ვილაპარაკე და მგონი, ცოტა გამოვუკეთე გული. თუმცა ქვედაკაბიანი ბიჭების ხსენებაზე უარის ნიშნად მტკიცედ გააქნია თავი. ბოლოს ისე მოხდენილად და ნაღვლიანად გამიღიმა, როგორც მაშინ, როცა თვითუარყოფა პირველად დავუწუნე. მერე თითოდან წაიძრო მშვენიერი ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი, რომელსაც მის ხელზე ხშირად აღტაცებით დავკვირვებოვარ და როცა ამ სტრიქონებს ვწერ, იგი ახლაც თითზე მიკეთია. არა, ბეჭედი ჩემთვის თითზე არ წამოუყვამს, ეს არ უქნია, მხოლოდ ხელში მომცა და აკანკალებული ხმით წყნარად მითხრა:

— აიღეთ ეს ბეჭედი, მინდა თქვენ გქონდეთ, გამადლობთ. კარგად იყავით! მიბრუნდა და წავიდა, მე მგონი, მკითხველს მაინც კარგად ვერ ავუწერე ამ კაცის ღირსება და დიდსულოვნება.

ასე დამთავრდა ელინორ ტვენტიმენისა და ლორდ ნექტან კილმარნოკის ამბავი.

მესამე თავი

ჩემს შინაგან დამოკიდებულებას გარესამყაროსა, ანუ საზოგადოებისადმი, მხოლოდ წინააღმდეგობრივს თუ ვუწოდებდი. ორმხრივი სიყვარულის მოთხოვნილებასთან ერთად არცთუ იშვიათად მეუფლებოდა გულცივი განსჯა.

სურვილი მივლიდა შემფასებლის თვალთ მეცქირა საზოგადოებისთვის და გუნების ამგვარი ცვალებადობა თვითონვე მიკვირდა. საამისო მაგალითად ერთი აზრი გამოდგება, ზოგჯერ რომ შემომიჩნდებოდა, როცა სასტუმრო დარბაზში ან კაფეში ერთ-ორ წუთს უსაქმოდ ვიდექი, ხელსახოცების მწკრივში ზურგსუკან მეცქირა და სასტუმროს ნებიერ საზოგადოებას ვაჩვენებდი. ეს მელსაც კუდის ქიციანით დასტრიალებდა თავს ლურჯფრთხიანთა გუნდს. ეს იყო ფიქრი ურთიერთშენაცვლებაზე. კოსტიუმში და მოკაზმულობა რომ შეგეცვალათ, მომსახურეთაგან ბევრი ბატონად გამოდგებოდა, ხოლო ბევრი იმათგანს, ვინც ტუჩის კუთხეში სივარტაგაჩრილი, ღრმა, მოწნულ სავარძელში მიწოლილიყო ნებიერად, კელნერობა დამშვენდებოდა. წმინდა შემთხვევითობას მიეწერებოდა როლების ასე შებრუნებული განაწილება, ეს იყო სიმდიდრით შექმნილი შემთხვევითობა, რადგან ფულის არისტოკრატია შენაცვლებადი, შემთხვევითი არისტოკრატიაა.

ასეთი აზრობრივი ექსპერიმენტები მეტწილად კარგად გამომდიოდა. მაგრამ ყოველთვის არა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიმდიდრეზე მიჩვევა, სხვათუ არაფერი, ზედაპირულ დახვეწილობას მაინც ბადებს და ეს თამაშს მირთულეობდა, მეორეც, სასტუმროს ბინადარ პრილა ზედაპირგადაკრულ მდაბიოთა შორის აქა-იქ არა ფულით შექმნილი, მაგრამ მაინც ფულიანი, ნამდვილი არისტოკრატიაც არაა. ზოგჯერ, კელნერების ჯგუფში შესაფერს ვერავის რომ ვერ ვიპოვიდი. ჩემს ფანტაზიაში როლების გაცვლის თამაშში საკუთარ თავს ვრთავდი ხოლმე: ასე მოხდა, მაგალითად, ერთხელ, როცა ერთ მართლაც სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცს მივატოლე თავი. მას საქციელიც სასიამოვნო და ძალდაუტანებელი ჰქონდა, ჩვენს სასტუმროში არ ცხოვრობდა, მაგრამ არცთუ იშვიათად, სახელდობრ, კვირაში ერთ-ორჯერ სადილად შემოვივლიდა და ყოველთვის ჩემს რეგიონში ჯდებოდა. მახაჩეკის გული, ეტყობა, ისე მოენადირებინა, რომ ერთადგილიან მაგიდას ტელეფონით უკვეთავდა, ისიც წინასწარ თვალთ მიმანიშნებდა იმ სუფრაზე და მეტყვოდა:

— Le Marquis de Venosta. Attention!

ვენოსტა დაახლოებით ჩემი ხნისა იქნებოდა და გულთბილად და ძალდაუტანებლად, ლამის მეგობრულად მექცეოდა. მისი შემოსვლა მიხაროდა, შემოდოდა ყოველთვის ლალად, უდარდელად, მეც სკამს მივუშარჯვებდი, თუკი, ცხადია Maitre მახაჩეკი სკამს თვითონვე არ გამოუწევდა, და მოკითხვაზე პატივისცემით შეფერილი კილოთი ვპასუხობდი.

— Et vais, monsieur le Marquis?

— Comme ci—comme ça.¹ როგორაა საქმე, თქვენთან ამ საღამოს შეიძლება გვარიანად სადილობა?

— Comme ci—comme ça, — ესე იგი, მშვენივრად შეიძლება, ისევე როგორც თქვენ ბრძანდებით მშვენივრად, monsieur le Marquis.²

— Farceur!³ — გაეცინა მას. — თქვენ რა იცით, როგორ ვბრძანდები!

1 მარკიზი დე ვენოსტა. ყურადღება. (ფრანგ.).

2 თქვენ როგორ ბრძანდებით, მუსიო მარკიზო? (ფრანგ.).

3 ისე რა (ფრანგ.).

4 ისე, რა... მუსიო მარკიზო. (ფრანგ.).

5 ოხუნჯი (ფრანგ.).

მარკიზს ლამაზი არ ეთქმოდა, თუმცა მის გარეგნობას ~~სუბტილურ~~ ^{სუბტილურ} სძენდა ზედმიწევნით ნატიფი ხელები და კობტად ~~დახვეწილი~~ ^{დახვეწილი} წაბლისფერი თმა, სამაგიეროდ ბავშვივით ფუნჩულა, წითელი ~~ლოყები~~ ^{ლოყები} და ციმციმწვრილ წვრილი თვალები ჰქონდა და ეს თვალები ~~მისი~~ ^{მისი} ხანდახან თავს რომ მოიდარდიანებდა, მის თვალთმაქცობას ~~მისი~~ ^{მისი} ხელები ახელდა.

— თქვენ ვითომ ბევრი იცით, როგორც ვბრძანდები, mon cher Armand, ეგრე ადვილია ლაპარაკი, გეტყობათ, თქვენს საქმეში ნიჭი არ გაკლიათ და ბედნიერი ხართ, მე კი მეექვსეა ჩემი საქმისთვის ნიჭი და უნარი მეყოფა თუ არა.

იგი მხატვარი იყო, სწავლობდა ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში (Académie des Beaux Arts) და თავის პროფესორის სახელოსნოში იმეამდ შეიშველ ნატურას ხატავდა. ეს და სხვა რამ იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარში გამანდო, ჩვენ შორის სადილობისას რომ იმართებოდა. კრძის მირთმევისას ან თეფშის გამოცვლისას თავის ამბებსაც მიყვებოდა და ჩემს სადაურობასა და საქმეებზეც მეკითხებოდა ხოლმე. ეს შეკითხვები იმას მოწმობდა, რომ ვიგინდარად არ მთვლიდა, ამიტომ მეც შიგადაშიგ ზოგიერთ წვრილმანს გვერდს ვუვლიდი, რათა ჩემზე შეხედულება არ წახდენოდა. იგი ხან გერმანულად მელაპარაკებოდა და ხან ფრანგულად, გერმანული კარგად იცოდა, რადგან დედამისი, „ma pauvre mère“¹ გერმანულ არისტოკრატთა ჩამომავალი იყო. თვითონ ლუქსემბურგელი გახლდათ, სადაც მისი მშობლები, „mes pauvres parents“² დედაქალაქის მახლობლად, პარკში ჩაფლულ, მეჩვიდმეტე საუკუნის საგვარეულო ციხე-დარბაზში ცხოვრობდნენ. ის ციხე-დარბაზი თურმე ზუსტად იმ თეფშებზე გამოსახულ ინგლისურ castles³-ს ჰგავდა, იმ წუთში ზედ ორ ნაჭერ შემწვარ ხორცსა და ტორტოვით გაფორმებულ ნაყინს რომ ვუდებდი, მამამისი დიდი ჰერცოგის კამერბერი „და სხვა ამდაგვარი“ ყოფილა, მაგრამ ამასთან ერთად, უფრო სწორად, ამას გარდა ფოლადის მრეწველი და აქედან გამომდინარე, „გვარიანი მდიდარიც“, ამ სიტყვებს ლუიმ, მისმა ვაჟიშვილმა, გულუბრყვილოდ ისეთი მეტყველი ეესტიც დაატანა, აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება, რა თქმა უნდა გვარიანი მდიდარიანო, თითქოს ამას არ ადასტურებდა მისი ცხოვრების წესი, მსხვილი ოქროს სამაჯური, მარგალიტის ღილები და მარგალიტისავე საკინძეები!

„Mes pauvres parents“ — ასე იხსენიებდა იგი თავის მშობლებს და არა მხოლოდ ჩვეულების გამო, ამ სიტყვებში ნამდვილ თანაგრძნობას აქსოვდა, რადგან თვითონვე აღიარებდა, მის მშობლებს რა უვარგისი შვილი ჰყავდათ. თურმე სორბონაში იურისპრუდენცია უნდა ესწავლა, მაგრამ იქ სწავლა მალე მობეზრებია და ლუქსემბურგის დამწუხრებულ ბინადართა ცალყბა თანხმობით ნატიფ ხელოვნებათა შესწავლა მოუნდომებია, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა საამისო ნიჭი გააჩნდა თუ არა. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს არცთუ სევდიანი თავმომწონეობის გარეშე, გათამამებულ, მარცხიან ბავშვად თვლიდა. მშვენივრად იცოდა, მშობლებს გულს რომ უკლავდა, მაგრამ არც შეეძლო და არც ინდომებდა თავის ცხოვ-

¹ ჩემი საბრალო დედა (ფრანგ.).

² ჩემი საბრალო მშობლები (ფრანგ.).

³ ციხე-დარბაზი (ინგლ.).

რება სხვაგვარდ წარმართა, მხოლოდ აღიარებდა, ჩემი მშობლები მართალნი არიან, რომ წუხან, დროსტარების მეტი არაფერი ვიცი და ასეთი ბოძე-მური ცხოვრებით გადაგვარების გზაზე ვდგავარო. ამ უკანასკნელ რაც შეეხება, როგორც მალე გაირკვა, გადაგვარების მხოლოდ ის რიგად და ხელოვნებაში გაუბედავად და დუნედ რომ იწაფებოდა. ამ საექსპონენტში საექვო სასიყვარულო თავგადასავალსაც ერია ხელი.



ბიზლიქოთქა

დროდადრო მარკიზი სადილად მარტო მოსვლას წყვილად მოსვლას ამჯობინებდა. მაშინ მახაჩეკს მოზრდილ მაგიდას შეუკვეთავდა, ყვავილებით საგანგებოდ მოართვევინებდა და შვიდ საათზე ერთ ქალბატონთან ერთად მობრძანდებოდა. ქალბატონი მართლა ძალიან ლამაზი იყო. მარკიზს გემოვნებას ვერ დაეუწუნებდი, თუმცა ეს *beauté dediabile*¹-ს სილამაზე სწრაფად წარმოვიდგინე გახლდათ. მაშინ კი თავის ეკვილობის ხანაში ზაზა — ასე ეძახდა მარკიზი ქალს — ამქვეყნად ულამაზესი არსება გახლდათ — სისხლით და ხორციით პარიზელი, გრიზეტის ტიპის ქალი, მაგრამ გაკეთილშობილებული ძვირფას ატელიჟში შეკერილ თეთრი ან ფერად-ფერადი საღამოს კაბებით, — რომელთაც ცხადია, მარკიზი უყვარდა, — და დამშვენებული მისივე ნაჩუქარ-იშვიათი ძველებური სამკაულით. ტანსაცმელს, მაგრამ კობტა შავგრემან ქალს ყოველთვის უსახელო კაბები ეცვა და თვალწარმტაცო შიშველი მკლავები მოუჩანდა, ფანტასტიკურად აფუმფულებული თმა კეფას უფარავდა, ზოგჯერ თავზე ჩალმისებურ, ვერცხლის ფოჩებიან, მოხდენილ თავსაფარს იყრავდა, ფოჩები აქეთ-იქით ეკიდა, ხოლო შუბლთან ფრთები ჰქონდა ბუჩქად დატანებული, ზაზას ასევე ამშვენებდა აპრეზილი ცხვირი, ტიტინა, საამური ტუჩ-პირი და გიჟმატი თვალები.

ამ წყვილის მომსახურებას არაფერი სჯობდა. მშვენივრად ულხენდნენ თავის შამპანურს, რომელიც ენაცვლებოდა ნახევარ ბოთლ ბორდოს, ვენოსტა მარტო რომ სვამდა. ექვი არ იყო და არც არაფერი გახლდათ გასაკვირი, რომ მარკიზს თავდავიწყებამდე უყვარდა ზაზა და სხვას არაფერს დაეძებდა. აგიჟებდა მისი ვნების აღმძვრელი დეკოლტე. მისი ტიტინი, მისი შავი თვალების გიზგიზი. ისიც, რა თქმა უნდა, მის სიყვარულს თავს არ არიდებდა და თვითონაც სიამოვნებით პასუხობდა. ყოველ ღონეს ხმარობდა მისი გრძნობების აღსაგზნებად. რითაც ასეთ ბედს სწეოდა და ბრწყინვალე მომავალზე ოცნებებს უქმნიდა ნიადაგს. მე, ჩვეულებრივ, „მადამს“ ვუწოდებდი, მაგრამ მეოთხედ თუ მეხუთედ „madame la Marquise“²-მეთქი მივმართე, და ამით დიდ ეფექტსაც მივალწიე. ზაზა სიხარულნარევი შიშისგან აიღუნა და მიჯნურს კითხვით მიაპყრო სიყვარულით აღსავსე მზერა, ამ უკანასკნელმაც სიყვარულითვე შეაგება თავისი მხიარული თვალები, მაგრამ როგორღაც მაინც დაირცხვინა და თავის თეფშს დაასო მზერა.

სხვათა შორის, ზაზა არც ჩემთან კეკლუცობას იშლიდა და მარკიზიც ექვიან კაცს თამაშობდა, თუმცა მის ერთგულებაში, საცა სამართალია, ექვი არ უნდა შეჰპარვოდა.

— ზაზა, შენ მე გამაგიჟებ, *tu me feras voir rouge*,³ თუ არმანს თვალს არ მოაცილებ. ალბათ სულ არ გენაღვლება, ორმაგ მკვლელობაში რომ იქნები დამნაშავე და ზედ კიდევ თვითმკვლელობაც რომ დაემატება... გამოტყ-

¹ სიხორბისა და ახალგაზრდობის (ფრანგ.).
² ქალბატონი მარკიზი (7) (ფრანგ.).
³ სიღიჟებდე მიძიყვან (ფრანგ.).

დი, ხომ გირჩევნია ის შენს გვერდით იჯდეს სუფრასთან, სმოკინგში გამოქიმული, მე კი ლურჯ ფრაკში გამოწყობილი ორივეს გემსახურობოდეთ.

განა საოცარი არ არის, ჩემი მოკლილობის დროს ნარკოტიკული ფიქრები მან სიტყვიერად რომ გაიმეორა და როლების შეცვლა მასაც აზრად რომ მოუვიდა? როცა ორთავეს დესერტის ამოსარჩევად სადილად მივართვი მენიუ, მეყო სითამამე და მარკიზს ზაზას ნაცვლად გუბანსუბე:

— მაშინ თქვენ უფრო მძიმე ტვირთი მოგიწევდათ, ბატონო მარკიზო, რადგან კელნერობა ხელობაა, ხოლო მარკიზობა pure et simple¹ საქმე გახლავთ.

— Excellent!² — სიცილით წამოიძახა ზაზამ. მისი ჯიშის ხალხს საერთოდ სიამოვნებს მოსწრებული სიტყვის გაგონება.

— თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ იმ pure et simple მარკიზობას უფრო კარგად გაუძღვებით, ვიდრე მე თქვენს ხელობას გავუძღვებოდით?

— მე მგონი, არც თავაზიანი საქციელი იქნება და არც სწორი, — მიუუბნო მე, — თქვენ ვინმეს მომსახურების უნარი და სურვილი მოგაწეროთ. ბატონო მარკიზო.

ზაზა ამ ჟრაზამაც გაამხიარულა.

— Mais il est incomparable, ce gaillard!³ შენი აღტაცება ბოლოს მომიღებს, — თეატრალური, სასოწარკვეთილი ჟესტით წარმოთქვა მარკიზმა. — მით უმეტეს, რომ მან პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

სიტყვა აღარ შემიბრუნებია, მათ ისე მოვცილდი, მაგრამ რომ იცოდეთ, ის საგარეო კოსტიუმი, რაშიც მარკიზმა თავის ადგილზე წარმომიდგინა, სულ ცოტა ხნის წინ უკვე შეძენილი მქონდა და სხვა ტანსაცმელთან ერთად დაბინავებულიც ერთ პატარა ოთახში, სასტუმროს შორიახლოს, ქალაქის ცენტრის ერთ მყუდრო უბანში რომ დავიჭირავე. ოთახი ღამის გასათევად არ დამიჭირავებია, რადგან ასეთი შესაძლებლობა იშვიათად გამომიჩნდებოდა, იგი ჩემი პირადი გარდერობის შესანახად მჭირდებოდა, რათა სხვისი თვალისგან მოფარებით ტანსაცმლის გამოცვლა შემძლებოდა, როცა თავისუფალ საღამოს ოდნავ უფრო დახვეწილად ცხოვრებას მოვიწოდებდი, ვიდრე სტანკოსთან ერთად მიწევდა ხოლმე. ის სახლი ერთ პატარა cité-ში, ანუ რკინის ჭიშკრით გამოცალკევებულ ეზოში იდგა და შიგ ერთი ასეთივე წყნარი ქუჩიდან შეიძლებოდა შესვლა. იმ ქუჩაზე არც მალაზიები იყო და არც რესტორნები; იდგა მხოლოდ რამდენიმე პაწია სატუმრო და იმ ტიპის კერძო სახლები, სადაც კონსიერჟის ჯიხურის ღია კარიდან მუდამ მოფუსფუსე, სქელ კონსიერჟესა და მის ქმარს დაინახავდით, ქმარს, ჩვეულებრივ, წინ ერთ ბოთლი ღვინო ედგა და გვერდით კატა ჰყავდა მიყუყუული. დიახ, ცოტა ხნის წინ, ერთ ასეთ სახლში, ალერსიან, ჩემს მიმართ კეთილად განწყობილ ხანდაზმულ ქვრივთან დავიჭირავე ოთახი. მის ოთხთახიან ბინას მესამე სართულის ნახევარი ეჭირა და აი, ამ ბინაში, ზომიერ ფასად დამითმო მან საძინებელი სალონის მსგავსი ოთახი, სადაც იყო გასაშლელი საწოლი და მარმარილოს ბუხარი, ბუხარზე შემოდგმული სარკის გარდა ოთახის მორთულობას შეადგენდა დასადგმელი ქანქარიანი საათი და დანჯღრეული რბილი ავეჯი. იატაკამდე დასულ ჟვანჯარაზე გამოხუნებული ზავერდის ჟვარდები

¹ მარტივი და ნათელი (ფრანგ.).

² ჩიხებულია (ფრანგ.).

³ შეუღარებელი ვინმეა ეს თავხედი ბიჭი! (ფრანგ.).

ეკიდა, ხოლო ფანჯრიდან მოჩანდა ვიწრო შიდა ეზო და სამზადი სახლების მიწის სახურავები. მოშორებით სენტ-ონორეს უბნის მდიდრული სახლების უკანა კედლებს დაინახავდით, იქ, სალამობით, მსახურთა საძილე ოთახებისა და სამზარეულოების განათებულ ფანჯრებში მოფუსფუსე მსახურები. მო-
ახლეები და მზარეულები მოჩანდნენ ხოლმე. ალბათ სადღაც იქვე იქნებოდა მონაკოს მთავრის რეზიდენცია, მთელი ეს მყუდრო, პატარა cité-ს მას შემდეგ მო-
ნოდა და რა წუთშიც მოისურვებდა, შეეძლო მთელ ამ კვარტალში ორმოც-
დახუთი მილიონი აეღო. მაშინ ამ უბანს, ალბათ, დაანგრევდნენ, მაგრამ,
ეტყობა, მთავარს ფული არ სჭირდებოდა, ამგვარად, ერთხანს ამ მონარქისა
და დიდი კრუპიეს სტუმარი გახლდით, და გამოგიტყდებით, ამაზე ფიქრი და-
ლიანაც მზიბლავდა.

„პრინტემპსში“ ნაყიდი ჩემი მოხდენილი საგარეო კოსტიუმი კვლავ თა-
ვის ადგილზე ეკიდა მეოთხე დორტუარის დერეფანში მოთავსებულ კარადაში. მაგრამ ახლად შეძენილ ტანსაცმელს: სმოკინგსა და აბრეშუმის სარჩულიანი პელერინით გაწყობილ პალტოს, მის შესაფერ მჭრქალ ცილინდრსა და ლაქის ფეხსაცმელს, — რომლის არჩევანი, ჩემდაუნებურად, სიყმაწვილის ერთმა მკაფიოდ შემონახულმა შთაბეჭდილებამ, კერძოდ, ატაშესა და მუსუსის როლ-ში მიუღწერ-როზეს ნახვამ განაპირობა, — სასტუმროში, სხვისი თვალის და-სანახად, ნამდვილად ვერ შევინახავდი; ისინი ჩემი ნაჭირავები ოთახის მომიჯ-ნავე „cabinet de toilette“-ში, შპალერგამოკრულ პაწია ოთახში მქონდა ჩასაცმელად გამზადებული და მტერისაგან კრეტონის ფარდა იფარავდა. ხოლო გახამებული თეთრი პერანგები, შავი აბრეშუმის წინდები და ბაფთები ოთახში, ლუი მეტეჟესმეტეს სტილის კომოდში მეწყო. ატლასის ყო-შებიანი საგარეო კოსტიუმი ჩემს ტანზე არ იყო შეკერილი, იგი მაღა-ზიაში ვიყიდე და იქვე მომარგეს, მაგრამ ისე უზადოდ მადგა ტანზე, რომ ჩაცმა-დახურვაში გაცნობიერებული ნებისმიერი კაცი ნაძლევს ჩამოვიდოდა. მეძვირე თერძთან ექნება შეკერილიო, როგორ გგონიათ, ჭაინც რისტვის მქონდა გადამალული ჩემს ოთახში ის კოსტიუმი, ან სხვა ლამაზი ნივთები?

ერთხელ ხომ მოგახსენეთ: დროდადრო მინდოდა, საცდელად და სა-ვარჯიშოდ, უფრო დახვეწილ ცხოვრებას ვზიარებოდი, ელევანტურ რესტო-რანში მესადილა, რივოლის ქუჩაზე, ელისეს მინდვრებზე თუ ჩვენი სასტუმ-როს რანგის რომელიმე სასტუმროში, თუნდაც ჩვენსაზე უფრო მდიდრულშიც, რიცში, ბრისტოლში, ან მერისში, ხოლო შემდეგ კარგ თეატრში, დრამის თეატრი იქნებოდა ეს, კომიკური ოპერა, თუ სულაც გრანდ-ოპერა. ლოჯაში დაგბრძანებულიყავი, ეს, როგორც ხედავთ, უკვე ორმაგ ცხოვრებას ნიშნავ-და, ხოლო მთელი მისი მომზიბლაობა ის გახლდათ, რომ მე თვითონ არ ვი-ცოდნი, რომელი იყო ჩემი ნამდვილი სახე და რომელი გადაცმული: იქნებ ის, როცა კელნერის ლივრეა მეცვა და „სენტ ჯემს ენდ ალბანის“ სტუმრებს მლიქვნელურად ვემსახურებოდი, თუ ის წარმოსადეგი უცნობი, ვისაც ზედ ეტყობა, საჭიროთო ცხენი რომ ეყოლება. ხოლო ნასადილევს ნაირ-ნაირ მდიდრულ სალონებში რომ დაიარება ხოლმე. მაშინ მე თვითონ ვემსახურე-ბოდნენ კელნერები, რომელთაგან, სხვათა შორის, ჩემს საქმეში ვერც ერთი ვერ გამიტოლდებოდა. მე ორივე შემთხვევაში გადაცმული შეთქმოდა, რად-გან ამ ორ გამოვლენილ ფორმას შორის არსებული შეუნიღბავი სინამდვი-ლე, ანუ ჩემი ნამდვილი მე, გაურკვეველი იყო, რადგან იგი სინამდვილეში

¹ საგარდურობო (ფრანგ.)

არ არსებობდა. ვერც იმას გეტყვიო, ამ ორთაგან ერთ-ერთი როლი, ვთქვათ, იმ წარმოსადეგი უცნობისა. მეორეს ნამდვილად მერჩია თუ არა სხვისი შობ-სახურება ისე ლამაზად და ზინებულად გამოძდიოდა, რომ სულაც არ იყო სავალდებულო. მაინცდამაინც მაშინ მეგრძნო უფრო ბედნიერად თავი, როცა აქეთ შემსახურებოდნენ — მოგეხსენებათ, ერთსა და ერთსავე ბუნებრივი და უტყუარი ნიჭი და უნარი სჭირდება, რამდენიც მეორეს, და აი, შორს აღარ იყო ის საღამოც, გარდასახვის იმ მეორე ნიჭსა და უნარს, ანუ ბატონ-კაცობის შეშნობას მტკიცედ რომ მომთხოვდა, მართლა უზენაეს ბედნიერებას მომანიჭებდა და ნეტარების ბურანში გამხვევდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ბერმანულიდან

თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა
(შეცვლილი სახით).

მათი შინ უოფნა ძალზე მახარებს.
ჩახან შიგნიდან ჩაკეტეს კარი.
შენ გარედანაც გადაურაზე,
ყოტა ხანს მაინც ვიქნები წუნარად.

ძიძა

(შეშინებული და ავისმაუწყებელი
წინათგრძნობით).

რა განიზრახე?

მედეა

იშის ცდაში ვარ.
ის ნაბოძვარი რარიგად გახვრის.

ძიძა

ვაი-ვაგლაბზე ფიქრობ ნამდვილად.
ჩაღაც ისე ხარ გაქვავებული.
სახეზე გატყობ. ერთი სული გაქვს.
საცოდამა დაატრიალო.

მედეა

ჩემ სახეს ნუკი ათვალე რებ.
მხოლოდ ბრძანება დააგვირგვინე.

ძიძა

(ჩელ-წელი გადის).

ვაი, საწყალ ხალხს რა გვეშველება!

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“
№ 5, 1989 წ. № 3, 1990 წ.

ბრმა მოციქული

(შემოქყავს პატარა ბიჭს).

ბაცო, მედეა არის აქ ხადმე?

მედეა

ერთადერთ სიტუვით გაზაგებინე.

კრეონმა იმ განძს შეახო ბელი
და გამოგართვა? იჩქითად!

მოციქული

(სწრაფად მიახლის).

ღიას.

მედეა

მაშ, საწადელი ახდენილია!
ბეჭედი თითზე მოურგებოდა.
პატავმოყვარე მეფის ასულმა
დაუფიქრებლად შიშველ კისერზე
თავი ფარღული ჩამოიკიდა.
ეპ. უსინათლო არ იყო ნეტავ.
სულ გამოწლილვით მომიყვებოდი.
რეც გულზე ყოტა მომეშვებოდა.
მაშ, გაძეგება აღარ მომიწევს.
აბა აქ დიდხანს დავრჩები?

მოციქული

(კვლავ სწრაფად წამოიძახებს).

არა!

მედეა

ნებს მომიყვე, რაც განიცადე.

მოციქული

(მძიმე-მძიმედ იწყებს).

როგორც მიბრძანე, მეფე კრეონის
წინაშე მუხლი რომ მოვიყარე
და ჯადოქმნილი ოქროს ბეჭედი
ხელში შეპყრა და ვლაპარაკობდი,
თვალი შეახწრო უძვირფასებს განძს
და მეტიხმეტად ესაიამოვნა.
უცებ, არც ვიცი, საიდან გაჩნდა,
ანაზღად მკლავში მწვდა იაზონი
და აღგზნებულმა წამოიძახა,
ხელთ უპყრიაო ჯადოქრის განძი.
წამსვე ხელიდან წამგლიჯა იგი.
ცეკვა-თამაშით გაემართა და
გულით იღხენდნენ. მეფე კრეონმა
ჩაიხიოთხითა. სიცილ-ხარხარი
იხმოდა ირგვლივ. ხმაზე ვიცანი,
რომ საპატარძლო ეშხით მღეროდა.
ბერძენმა გმირმა, ცოტა ხნის შემდეგ,
ოქროს ბეჭედი მეფეს გადასცა.
ჩემი გულისთვის არვის ეცალა,
არც უურადღება მოუქცევიათ,
ხანამ პატარძლის შესამოსელი
ხალხში უცხად არ გამოვაჩინე.
რაც იაზონის ამონაკვნესი
მე უურში დამწვდა, ხანძროთაგან
დღემდე კხეთი სასიამოვნო
ამოიხერხეს ხმა ჭერ არ მხმენია.
ხტოდა, ცეკვავდა, ხან ბუკს უხმობდა
და გულიანად მზიარულობდა.
ახე ცეკვავდნენ, დახტუნაობდნენ
და ბუკს უკრავდნენ დანარჩენებიც.
მათ მიხვრა-მოხვრას მე ვერ ვხედავდი;
უმაწვილს ვუთხარი, რაც კი აქ ხდება,
ძირფესვიანად ამიწერე-თქო.
უდარდელობა კვლავ გრძელდებოდა
და იაზონი რას აკეთებდა,
აღარ ესმოდა, ხანამ საცოლის
შესამოსელს არ შეახო ხელი.
მაშინ შეიგრძნო, რომ საპატარძლოს
ტანზე ემოსა ოქროს სამოსი.

(მოციქული მონათხრობს მიმიკითა და მოძრაობით ზუსტად ასრულებს).

მედეა

რაც შეასრულე, საკმარისია!
ამიერიდან იცოდე, ჩემგან
შენ მოწყალეა არ მოგაკლდება.

მოციქული

მარტოოდენ სიტყვა არ კმარა ჩემთვის,
ნათქვამის აზრიც გამაგებინე!

მედეა
ერქმუნული

ჭერ მოიცადე!

მოციქული

მე უბედურმა.

რამდენ ხანს უნდა ვიცადო ნეტავ?
მე იგრე მახსოვს, წინახწარგრძნობით,
შავბნელ საღამოს ვარაუდობდი.

მედეა

დრო, დრო მჭირდება ყველაზე მეტად
და ხალაქლაქოდ არა მცალია.
(გადის).

მოციქული

ვისთანაც უნდა დავბოგინებდი,
მაინც მონა ვარ; აღშფოთება რომ
გამოვამელავნო, საკუთარ კიხერს
წავიმტვრევ მხოლოდ. ახალ სამოსში
გამოხვეული, ეს ძველისძველი
სიბრძნე ხალხის. ის სამოსელი
ნამდვილად მე ვარ, ჩემი თავი კი...
ადრევე დაუბრწილ-დაგლეჯილი.

ბალღების აღმზრდელი

გაგიჭირდება, მოთმინება რომ იქონიო.

მოციქული

იოლი გგონია,

იგრე იოლად რომ მომიწოდებ.

ბალღების აღმზრდელი

ახეა, როცა ცალ-ცალკე ვმსჯელობთ,
ყველას მართალი გგონია თავი
და მეზობლების სიყვარულს, სწრაფვას,
ამით ხელს ვუშლით ყოველ ნაბიჯზე.

მოციქული

ღიას, სურვილი სურვილია წილ.
ღიას, მკვლელობა მკვლელობაა წილ.
მოდა, ზეიმობს გაიძვერობა,
ამპარტავნობა, კარიერიზმი.
ის მსაჭულია; ხშირად მის მათრახს
ამ ჩვენს ზურგებზე გააქვს მხუილი.
სიმწრით გავყვირით, სიხლში ვიხერებით.

კი ხარხარებს, რადგანაც ჩვენს
მეხით ტყეება.
ბალღების აღმზრდელი
ანდრე

მარად განსოვდებ
სიღვას სიტყვა, ადამიანთა
სუდრი ხშირად მწუხარებაა
საო გლოვა და მოთქმა-ჩივილი
ქრ კიდევ ცინცხლად ჩამეხმის უურში.
ერთ ხაათის განმავლონაში
იმ ათასობით მოკვდავ კვდებანი
ღმერთები მხოლოდ იმან ცდილობენ
სიტო სიკეთე რომ გვინაწილონ.

მოტივული

იინი ჩვენ სისხლს გვწოვენ და სვამენ.
მათ ხედში საიდან არის
ველას სიცოცხლე, არც ბერდებიან,
რომ არც ხხეულის ძალას გარგავენ
და არ არღვევენ თანაფარდობას?

იაზონი

(გახელებული შემოვარდება).
სად ხარ, მედეავ, ეშმაკის კერძო?

მედეა

(შემოდის).

სარის ბუბუნის ჩამეხმა უურში,
აღხათ სურს, ვნებით გამომიტყუოს.
მისი საქორწინო ხარცეული
სცხლის კვამლშია და იბუგება —
რა გნებავს ჩემვან?

იაზონი

სიტყვას წარმოვთქვამ:
კმარა ღმერთისგან გარიჟილობა,
ესოდენ ტანჯვა, საშინელება,
ამდენი სისხლი, უღარტი და კვამლი
და ჯოჭობეთის შემწარაობა —
ეს უნდა შეთქვა.

წუცვლას წარმოვთქვამ:
შენთან შეხვედრის ის დღე დაიქცეს,
იყავ კრული და შერეწეებული,
თუმცა ეს შენი მწარე ღიმილი
მანიშნებს, ჩემი მტრობა-ქიშპობა
მაგ შენს მტრობასთან არაფერია.

მედეა

(ტივლი).

რაც შენ გაწუხებს, განაღვლიანებს,
სულაც არა ჩანს უოველდღიურად.

იაზონი

შენს მსუთავ ხულში ჭავარებულა
კიდვა, დაცინვა და განქიქება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა

გაცოფებული თავს რომ დამეხსნი,
ამ სასახლეში არავინ ძალუძს
რომ შეაშოწმოს, არის თუ არა
სამართლიანი, სისულელეა
მთლად უსაფუძვლოდ ადამიანის
წურგს უკან კიცხვა, თითქოს ვინმესთვის
უცაბელად წვნიანი შეგესხას.

იაზონი

ბიღწო დიაცო ქვესკნელის მატლო,
უხაშიზღრესო მინდა გულიდან
რომ ამოგძირკვო, ძალა მომეცით,
ძალა, ღმერთებო, და არა მარტო
ფუჭი სიტყვების როგორ დავიწყო?
ანდა ხათქმელი ვითარ წარმოვთქვა?

მედეა

პატიოსნებას გარიდებიხარ
და სამარცხვინო საქმეს ეწივი.
არ დაივიწყო, გაურიღები ვართ,
გაშიშვლებული შენი საცოლე
და ოქრომკერდით დამშვენებული
შენს წინ კეკლუცად იგრიბებოდა,
სიცოცხლის კისკისით დაბტუნაობდა,
შენ კი გარეულ ტახივით იდექ
მეუღლესა და დანიშნულს შუა.

იაზონი

აღალ-მართალი იყო ქალწული.
შენმა გვირგვინმა მოწამლა იგი
და წუთისოფელს გაწოასალმა.

მედეა

თუ დააკვირდი, ჩემი შევიღების
ქორცვა ტუჩები მის ტუჩებში ხომ
არ აგერია? ჩემს გონებაში
ღრმად ჩაიბეჭდა ქორწილის ღამე
და დამნაშავეც ის იყო, რადგან
თვალეებში არჩნდა დანაშაული.

იაზონი

ო, როგორ არის ვადახლართული
უველა დაცემა და უველა მარცხი.

მეფეა

მეფე კრეონი უწინბელია?

იანონი

მეფე კრეონსაც ბოლო მოეღო.
რად შეკითხები? მეკვარია, მეკვარია.
უცებ თითიდან წახდვრა ბეკელი.
თანდათანობით გაგანიერდა
და იატაკზე დაიწყო ხტუნვა.
მერე ანაზღად კალარა თმიდან
გვირგვინს ჩამოსცდა, ყელსაც და მკერდსაც.
შემდეგ ქონიან კიპლარს შიადგა
და კამარივით წელს შემოერტვა.
ის დაიღმია ენით უთქმელი
ტყვილისაგან, ბეკელი წელზე
შემოტმასნილი უქერდა, კვეთდა
და ბოლოს ორად გაჭყო კრეონი.
ყელში ძალუშად რომ წაუჭირა,
ამახობაში გულიც გაუხკდა.
როცა მუცელი გაეპო, შემდგომ
ფეხებიც მოსწყდა, ასეთი ტანჯვით
გარდაიცვალა მეფე კრეონი.

მეფეა

მე მხოლოდ მაგის მიშპაძველი ვარ.
როცა ძალღურად მოკვდება კაცი
და უპატრონოდ შიატოვებენ,
ძალღმა და უვავმა უნდა შესანსლოს.
და თუ ხიცოცხლეს გამოცხადმა,
ის ასო-ახოდ უნდა აკუწო.

იანონი

შურისძიება, ტანჯვა, წამება,
ხაშინელება, გამძვინვარებულს
თუკი ოდესმე მოგსვლია თავში,
რაც წინახწარი განზრახვით ბქენი,
ერთად შეეკრიბე, შევაკავშირე
და აღმოჩნდა, რომ გულშემწარავად
ხალხის ბადეში გაბმა, გაგუღვა.
ნიშნის მოგება, ღვარძლიანობა,
სულ ქარაგმებით ხაუბრის გაბმა,
ვინმე ფებს ფებზე რომ შემოპკრავს და
ღაიტანჯება, ანდა გასკდება,
შენ იგ სიცილად არა გუოფნის და
სიამოვნებას განიქებს მხოლოდ.
ამიტომ შინდა, რაიც მართლა ხარ,
გადაგვარებულნი ის დაგიძახო —
პატრიარქილი ადამიანი.

მეფეა

მარტო მაგისთვის გასწარვე და
სხვა არაფრისთვის მახულხარ ჩემთან?
ლანძღვა-გინებრქმუნეუფაფრქვია
და სიბრალეუფა-შეწიქმება
ღირდა კი მოსვლა?

იანონი

ბარემ მეც ჩიქო

რადგანაც ამდენ უბედურებას.
შოშავლისთვის რომ აშაადებ ალბათ,
ვეღარ იიტანს ჩემი გონება.

მეფეა

შენი სხეული ჭერ არ მიბრწილია:
უღიმღამო და ბნელით მოცული
რამდენიმე წელს გაუძლებს იგი,
სანამ ბოღმა და ბრაზი დაახრჩობს;
დიდი დრო უნდა, მარადისობას
რომ შეუერთდეს. ჩემი გოდება
და შეგონება დაიმახსოვრე.

იანონი

იანონ, ახლა რა გეშველება?
თუმც ბომ შითხარი, ერთ დროს ნაღველი
გაგისკლება და გადაგიტანსო.

ძიძა
(შემოდის)

ვაი, ღმერთებო გაგვირისხდებიან
ვაი და უი შიტოვებულებს.
უი, ღმერთები ხასჩელს გვადებენ!
ვაი და უი დამნაშავეებს.
ხად დავიშალოთ, თავს რით ვუშველოთ?
ნეტავ, ადგილი თუ არის სადმე,
რამენაირად რომ შეგვიფაროს?
მწუხრი ჩამოწვა, შეძრწუნებულნი
აღმოვჩნდით ღამის ოკეანეში,
მაგრამ ხუყველგან მოგვაკითხავენ,
თუმც ჩვენ ხმაური აღარ გვაშინებს,
იმდენს გავუვირით ხრინწიან ხმებით.
საით გავიქცე? ვაი, ჩემ თავს, რომ
ქოქობითიდან მომესმის კენესა!

მეფეა

რა დაგეშართა, ასე რომ მოთქვამ,
თუ მეკვდრების ჩივილს ჩვენ შემოგეჩივი?

ძიძა

რად წუ დასწავა, რადგან ხანაძის
სკოლაში გარეშე ვიქნები.
კვლახთვისაც წუ ვაგვიყვანა და
სისუცს ხაცოცხლებს წუ ჩამიშვარებ. —
უნს სამყოფელში ავადი წარგვტაცა
უნაზარტებმა ხანახაობამ.
არს ეუარნენ და ხისხლში ცურავდნენ
სულსუფშაობით შენი შეიღებია.

მედი
(სდუშს).
ძიძა

სისუცი უნდა გამოგვიანო,
არ გეუტრება, რომ გეუტრები? —
ხელად ჩამჭრასლი აქვთ მათ ავადის ჩინი.
სიტყვას ვერ ხდრავენ, არადა ესმით
და შეკრდნი არცერთს გული არ უცდებს.

იასონი

ხელის ყველაფერს ხელთ ედება,
ხეშს ავადწინ ხდება და მიხარია.
ვარ დაშობილია, დანცირებულა,
თიქმის მიწასთან გასწორებულა.
პტივაცრელი და თავმოტრელი
მხოლოდ ახლა ვგრძნობ ჩემს გაწიხლებას.
ვარ, შეიღებია!
(გულამომწდარი იატაკზე დაეშვება).

ბალღიგის აღმზრდელი

დადუმებულან

ტავილისაგან, არადა დმერთი
ადარ შეიხნენს მათი შშობლების
ლოცვა-ვედრებას. ისანი შეფოთის
მხვერპლნი არიან, აუტანელნი
გარეშობაში თავნახი დასცათ.
ქაქონების გზა იხილეს უკვე
და ხისხლის აჩრდილს მიუახლოვდნენ.

ძიძა

თავი ანები ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს!
შეადიშვალემა შედილობისა
ხომ ხაადრევათ დასტურს თავალი. —
ახა შეხედე ერთი შედრის,
მარგალიტავით ორი ქაბუკი
პატონხანი თვლებივით წაშში
ხულ მთლად გაუქრა, ის კი იციანის,
იციანის არადამიანი! —
მიხი ტურების უშწყოთ ცმაყუნს

ჩატომდაც ექვის თვალთ შეცვტარა!
თუ ვანსე ვწაშე შეიქაბება,
მიხი იმ გნიდან ჩამოცადება
და უხილაავად, მოუტავებლად
ხმვის ტირ-ვატახის გაწაარებაც
მხოლოდ და მხოლოდ შეგის ბრადია.



ქართული
იასონი ბიზლიქოთევა

ძიძავ, გამოძენს შეიღებიაკენ,
რომ ხახოლოდ კიდევ ვიხილო,
მათ გვამს ვეშთხვიო ცივა ტურებით
და უწოდჩაო სხეულს შევეხო.

ძიძა

ადამიანი, წუთუ კარის წინ,
რომ ატუზულა და იშუტრება,
თან იქადის და თან იღმიტება,
თავის ოთახის კართან მუქარით
მდგომ შედეას ვერ შედავ?

იასონი

შეხე, თვადები ცრემლით შექვს ხავბი,
ვედარას ვხედავ, არავის ძალუძს,
რომ ჩემს გულისტქმას გადაედობოს.

მედი

(გაბრაზებული ხმით ხმამალა შეტყვირებს).

უკან დაიწი

ძიძა

შვილების მამას

არ უშვებ ხისხლში, შეხვლას უკრძალავ
შენს სამყოფელში, ხადაც ხისხლისგან
დაწრეტელ გვამებს, ხანამ ვსულდგმულობთ,
ვედარასოდეს ვედარ ვიხილავთ?

ბალღიგის აღმზრდელი

ყველახთვის გზა აქვს გადადობილი.

ძიძა

შენ თვითონ ჩატომ არ მიიხწრადი,
ჩატომ არ ჩქარობ ცხედრების ჩახვას?
აქ ვის უდგახარ, ან რა ვაციებებს?
წუთუ ჩვენს თვალში შენი შეიღებია
ფარისხველურად გიუვარდა მხოლოდ.

არც დედობრივი გრძნობა გყარნახობს,
რომ შინ შეიჭრა. ვაუებს უჩუმრად
გადაეხვიო?

მო ქალბატონო,
ნუ ხდუმხარ, დიან, გამაგებინე!

მედეა

(მშვიდი აუღელვებელი კილოთი).

ჩვენს ბედ-იღბალთან მაგის კავშირი
დიდი ხანია გაწყვეტილია
და მას აქამდე არ შეუგნია?

იანონი

მედეა!

ძიძა

ასეთ ვითარებაში

შენს გაღიმებულ სახეს ვუყურებ.
რომ ვაკვირდები შწარავ ნაოჭებს.
ჩაცვენილ თვალებს, ხშირად ვუღსაკლავ
და ჩახლერილ ხმას, მტანჯველი ეპვი
გულს მიღრღნის ამ დროს და საკუთარ თავს
რომ არც კი უნდა ვეკითხებოდე,
გაოგნებული კვითხულობ მაინც,
რადგან სიშართლე ამ შემთხვევაში
სისულღედეგზე უარესია.
რახან აქ დგახარ და გველოდები,
რაკი კუსაზე არ ხარ შემცდარი
და უგონობას არაფერს სჩადი,
მაშინ პასუხი მაინც გამეცო.

მედეა

თითოეული რაზედაც ფიქრობთ,
რატომ არ გინდათ, პასუხი ვახცეთ?
დახვი შეკითხვა და უპასუხე.

ძიძა

შემწარავ სიტყვებს კი არ არბილებ,
თანდათანობით უფრო ამძაფრებ.
მაცივ-მაცხელებს და მეზიზღება
მორჩილი გული, გამოგიტყდები,
ძალიან მიმიძიხ შენთან დარჩენა.
გაწვალვებულო, გამწარებულო,
ბოლო დროს შენი ნამოქმედარის
სულ არაფერი არ გამეგება.

მედეა

მიტომ გავყვირი, ბრალი მიმიძღვის,
რადგან თვით შე ვარ შეიღების მკვლეელი.

ძიძა

(გულამომშტდარი).



ასე ამავად როგორღა ამხარბ.

ქართული საბჭოთავო კავშირის
განმანათლებლებელი

გადარეული.

ძიძა

შვილთა ქალი.

იანონი

მარჯვენა როგორ დაგემორჩილა,
როცა მახვილით გაუპე გული?
(აღშფოთებული მედეასკენ გაქინდება,
მაგრამ უცებ ერთ ადგილას გაშეშდება).

მედეა

თითქოს ბერძენზე არ გავთხოვილვარ
და არც ქორწილი გადაგვებადოს.
რახაც კი ვგრძნობდი ამ ხნის მანძილზე,
ასე თუ რატომ გარდავიქმენი.
ერთიმეორეს როგორ შეერწყა
და ერთად როგორ გაერთიანდა
ხალისი, ცრემლი, შურისძიება,
ახლადა მინდა მოგიტბროთ ყველას.

იანონი

შენ ჩემი გენი, მოშავლის თახლი
ამ ქვეყანაზე ამოძირკვე და
ძირფეხვიანად გაანადგურე,
თან გულ-მუცელში ცეცხლი დამინთე
და ცოცხალი მკვდრად გარდამაქციე-
მიგიხვდი, მხეცო, რომ მოგეკალი,
დაცხრებოდი და შევბას ვიგრძნობდი,
მაგრამ ჩერაც ვერ გამოიკვევია,
შენი სახქელით მეც შეშველებია?

მედეა

ახლა შენ ხტერი. შენს აბდაუბდა,
უწრო სიტყვებს აინუნშიაც
არ ვაგდებ, არა. ერთხელ ხომ უნდა
დახქილიყავი, რადგანაც მკერდში
ქვის გული ვიძევს. ხაცოლოს გამო
ღვიძლი შეილიც კი გააცურე და
შოხუც შეუღლებს უპატოონოდ
და ბიწირად ხომ შეპყრობოდი,
ვინც არი შეილი შეა და აღწარდა.

ჩაღმნით მელში ჭერ კადვს ჩვილებს
ხტლიკინებს რომ შესციკინებდი,
ორთა სხეული უკანკალებდათ,
ღვლებულა, ღონეშისდილი,
იცილ-ხარხარით ქანცგამოცლილი
საშვებს ჰაერში აჩუჩქლავებდი.
სულ მთლად თოთოებს ამ ჩემი კალთით
ღვატარებდი, ცქერით ვტკბებოდი,
სწი ხისხლი და ხორცი რომ იუვნენ...

იანონი

შემიშვი-მეტქი!

მეღვა

ბაუშვები ახლა

ზე მკუთხნიანი მათი სხეულის
სემია, ჩემი, რადგან ბელიოსს
წილთა მშვენება შე გამოვტაცე.
მთლად იანონს გაუწულა სულ მთლად
შთამომავლობა. როგორც ღმერთებთან
ღმერთი სულდგმულობს, მათი საბებაც
სარადიული, მარად იცოცხლებს.

იანონი

გმუდარები, ვით ბრალეული,
საკოცხელად არც მივეყარები,
იღონდ წამიერ შევასწრო თვალი,
რათა დავრწმუნდეს, რაც ჩემი იყო
და საბუდამოდ რაიც დავყარგე.

მეღვა

ხომ სიყვარული იმარჯვებს ბოლოს
და არა ვნება. შემედლო განა,
უფრო დიადა გამარჯვებისთვის
რომ მიმედწია, ვიდრემდის თავად
სიყვარულია? ჩვენ შორის დავა
მიგვარდებოდა, სულ რომ სადავო
არა გვქონოდა, ჩემს სიბერეშიც,
ჩემდამი ზიზღშიც, მაშ ვინ მიუძღვის
ცოდვა და ბოალი თუ არ იანონს:
ცივ ხამარეში რომ ჩავინთქმები,
მაგის ბრალია, რაკი სულ მუდამ
აგი საქმისკენ მომიწოდებდა. —
მამახადაწე, ხერძენი კაცი
კოლხეთში რომ არ ჩამოსულიყო,
ახალგაზრდული დარდიმანდობით
შავხვეტებიან ბნელ ხახახლეში
ცნკვა-თამაშით გავერთობოდი
და მელიოსის შთამომავალთან
ჩემს ძმასთან ერთად ვიხიგინებდი.
ახლა ჩვენ შორის ვულაურილობამ

და მძულვარებამ დაიხადგურა,
ამიერიდან თავისუფალი
და იმნაირი ახალგაზრდა ხარ,
შენს სიციოცხლეში ჭერ არასოდეს
რომ არ უოფილხარ. —



ამიტომ ვწავალი

იხვი ვწავალი შენს ჭელობას, **წარმოშული**
როგორც ვარულავ ჩემს ხანდამდგომელს
ზიზღით და შიშით უმწერ მომავალს
და არ ესწრაფვი თანამეცხედრეს
გული და სული გაუნალისო,
რადგან სიციოცხლის მომწრაფებელი
დამპალი ხისხლი ვიდგას ძარღვებში.
ბოლოს და ბოლოს ხელგაშვერილი
მათხოვარი ხარ და ვაგლას გლახას,
ვინც კი თავს ვგრე იოლად გასცემს!

იანონი

ეს საწუვეარი გამომილოცი
უკან წაიღე წუთვლა, ღმეშია
მაიმუნად ნუ გადამაქციე!
მოშკალი, იღონდ ნუ შემაჩვენებ!

მეღვა

შე ვდუშვარ.

ბალღებინ აღმზრდელი

ძალგობს, რომ არ დაუთმო!

ძიძა

მკვლელობას ხომ ვერ გამოიხუიდი?
მაშ, ხინანული გამოამტლავნი!
ავ საქმეს ველარ მოინანიებ!
გულში ამბობის ცეცხლი მიღვივის,
განა მარტო მე, უკლებლივ უვილას,
იხინი კაცის ბედს მისტირთან,
შენს ხილვაზე კი იღიმებიან.

მეღვა

ჩემი შვილების სიყვდილის შერე,
შემწევს კი ძალა, რომ მოშიტევოთ?
ხანაშ რაიმე ხათქმელს იტყოდი,
ქობს, რომ წინასწარ აწონ-დაწონო!
ღიმშორეული დაგინაზივარ,
მე კი ტირილით მიხკდებო რაგი,
აი, აქ ვდგავარ ჩასუქებული
და დონდლოდ გულ-მკერდმოჭირჩვებული
შავკანიანი კადარა ქალი,
ახეთმა ტლანქმა, მოუხეშავმა.

წერწეტასავით გინდათ ვიცეკვო?
გარდუვალია დაუშნობა!
ქმარს რომ შადარებთ, მახაც უყვარდა
ჩათვლირებულთ ქალების ტანა.
დედის სახელსა რცხვენიდათ შვილებს
და გაშირბოდნენ ანაზდეულად.
როცა კი კოცნას დავუპირებდი.
უაღბად გავიგე, უაღბად, მელიოს,
ამდენი მოთქმა, მდურვა, ჩივილი,
ეს ყველაფერი წულის ნაყვა იყო.
წყალი კი მაინც მიედიინება.

დღე ასე იყო დაუსრულებლივ!
კარებთან თეთრი ცხენები მოჩანს.
(წელში მოხრილები თანდათანობით
ქვევითკენ ეშვებიან, სცენის სიღრმეში ეტლში
შებმული თეთრი ცხენები ჩანს).

უკანასკნელად გაუქვენებლად
მივემგზავრები.

(დაიძრება, უცებ ზეწარგადაფარებული
ბავშვების სულთმობრძავი სბეულები
გამოჩნდება).

იანონი

აქ დამიტოვე!

მედეა

(გვამებს ეტლში ალაგებს).

არა, ასეთი ძვირფასი ტვირთი
უცხო მხარეში უნდა წავიღო
და გადავუშვა ხალი კლდეების
სამფლობელოში. თუ ლუსკუმები
მიცვალებულთა კუთვნილ სამარეს
დაიფარავენ, შენი ვაყების
ძვალშესაღავი შენ არასოდეს
გეცოდინება, რათა სიბერე
რომ მოგიხტება და მათი ნახვა
მოგუნატრება, შვილების ნეშტიც
რომ ვერ იხილო და უნაყოფო,
ამაო ძებნით მათი საფლავი
რომ არ წახილწო.

იანონი

ძალიან მკაცრი

განაჩენია.

მედეა

(მიმართავს).

წინ გამიძებნი!

მიდი, აქარდის ხომ კობტაპრუწა
და ქარაფშუტა ახალგაზრდა ბარ.

ცოტა ხანს დარჩი, მრუსობის გარდა
შენ ხომ ხსენა რაშე არ გებერბება.
არხად ხახელი არ გააშეღო
ვინ დავიდგები წინ უსახელო!

წინ უსახელო!
შენი თესლით რომ სიკვდილი თებო?

ვაიმე, ვაი!

მედეა

წინ გამიძებნი!

იანონი

(მოთქმა-გოდებით ეტლს გვერდით მისდევს.
სცენის სიღრმეში სასახლიდან
გვრგვინვის ხმა მოისმის).

მედეა

ამ სასახლეში ჩვენ რაც ვიშრომეთ,
წარხულს ჩაბარდა სუყველაფერი.
იციო, რა გითხრათ, უოველი კაცი
თავის ბედს უნდა დაემორჩილოს.
ეს სახლ-კარი და ავლაფიდება
ზღვის ფსკერის ქვემოთ ათას საყენით
კიდევ ღრმად უნდა ჩაიძიროს და
უკლებლივ უველა თან ჩაგიტანოთ.

მონეპი

ვაი ჩვენ, ეს რა განაჩენია!
მაშ, ქალბატონო, ეს მწარე ბვედრი,
მთლად ამოწყვეტა, ბოლოს მოღება,
ნუთუ ნაშდვილად დავიმსახურეთ?

მედეა

თქვე ხუდელებო, განა არ იციო,
სიკვდილი ბევრად იოლი რაა,
ვიდრე სიცოცხლე! —

აქედან წახვალ!

რატომ ვაუოვნებთ, ჩაწყუთ ბარგი!
(ეტლი, ცხენები და მედეა გაუჩინარდებიან.
სასახლის ყველა კარი იკეტება, თანდათანობით
ბნელდება).

მონეპი

ვაიმე ჩვენ თავს, გვიშველეთ რაშე!
ბინდი ჩამოწვა, ცოდვა ტრიალებს!
წყვედიადი დგება! გვიშველეთ!
უკუნეთია!

ბალღების აღზრდელი

სულ ამაოა

ქვენი უვირილი. ხათქახუთქისგან
ჩნა ზანზარებს.

ძიძა

მოხუც მსახურსაც.

კალა ფები რომ სამარეში მაქვს.
შენს მზრუნველ ძიძას ბინიდან მაგდებ?

მონები

ვაი და უი. მიწა ირუევია!

ერთ-ერთი მონა

რავისუფლება არ გვეღირსება?
მამ, თავს გაქცევით უნდა ვუშველოთ?

მონები

გენშით. ჩვენს ფეხქვეშ მიწა გუგუნებს.
ამ მიწის რუევას ვერსად წაუხვალთ
საცოდავებო, გულში რაც გქონდა
ჩაფიქრებული: იმედი, სწრაფვა
და გულისწყრომა მთლად ჩაგვეშალა?

უცხო შრმა

შეშმა შეშაყრო, ვედარას ვხედავ,
შორიახლოდან მხოლოდ ხმა მესმის.

ბრმა მოციქული

სამოწყალო პურს უხვად მოგცემენ
ჩემს გარდა ახლა უველას დაგიდგათ
ქატარა ღამე. აბა, თქვენც სცადეთ
უსინათლობა, რანაირია
გოგირდისფერი უკუნი ღამე,
ხელმოკლეობა და გაქირვება.
ეს საბოლოო მოწყალებაა
მათგან, რომლებიც სამოწყალო პურს
მოაქტამამდეც უხვად გვაქმევდნენ.
ღმერთებივით ხომ ისინიც მუდამ
ჩვენზე წრუნავდნენ. აუროდებულ და
გაცვეთილ ძონძებს ძლივსღა ვატარებთ.
გასწორდით წიელში, მძლავრი მკლავები
ჭერ ხომ ტანზე გაქვთ! მოკლე ხანში ხომ
უკუნი ღამე. ამჭერად განა
მარტო თვალდებში, მალე ეურებშიც
დაიხადგურებს. ეურში მიწივის

აუტანელი, მკისე ეღარუნი.
პირსაც უწია უკუნმა ღამემ
და თვალდებდათბრილ კაცოვით ისიც
ამიტომ არის ხმაგაქმენდილი.
პირდაღებული შავი უფსკრული ურკუნულნი
უკვე წიხახწარ გამოვტანი. ბიზლიქოთქვა
მასში კი სისხლი მიუღინება.
უკუნმა ღამემ უეცრად უველას
გონი დაუბნო და დაუბნელა.
ამდენი მოთქმით და ვაი-ვიშით
ნერწყვი გამიშრა, ნაღველი გახკდა.
დავერუვდი, კრუნჩხვა შემართება და
თანაც ძვლები შტებს. ადიდებული
და ამღვრეული მღინარეები
სრული წალღავით იშუქრებიან.
თითქოს უველანი გარდავიქმენით:
ირგვლივ დუშოლი გამეფებულა.
მათთანაც, ვინც ჩვენ სამოწყალო პურს
მოაქტამამდეც უხვად გვაქმევდა.
დიახ, გულუხვად. შრომა და გარჯა
ახეტნაირად გადაგვბდეს.
რომ საბოლოოდ უკუნმა ღამემ
ჩვენ შავ მიწაში დაგვასამაროს.
ბნელმა მოიცვა სუუველაფერი.

მონები

მატულობს გერგვინვა, ბეჭა-ქუხილი.
მგონია, ფეხქვეშ გვეცლება —
ჩვენ, გარიყულებს!

ძიძა

და განციტხულებს!

უცხო შრმა

მე თავბრუ მესხმის.
ბალღების აღზრდელი

უველანი ვწულებით

მოციქული

ასე დაფახდა ჩვენი ამაგი.
ძირფენვიანად ამოგვაგდებენ
და გამეფდება სრული ხიჩუმე.
დაუძლურებული სხეულები.
თვალდავებულნი და პირდაბმულნი
ამიერიდან უაზრობაა,
რაც ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება.

(სრული სიჩუმე გამეფდება).



თარგმნა ლია იმერლიზვილიძე

1880 წლის აპრილის ერთ შუადღეს ჩემს კაბინეტში შემოვიდა დარაჯი ანდრეი და საიდუმლოდ მომახსენა, რედაქციაში ვილაც ბატონი მობრძანდა და რედაქტორის ნახვას თხოულობსო.

— ალბათ მოხელეა, — დაუმატა ანდრეიმ, — კოკარდიანი ქუდი ახურავს...

— სთხოვე, სხვა დროს მოვიდეს, — ვთქვი მე, — დღეს არა მცალია. უთხარი, რედაქტორი მხოლოდ შაბათობით ლეზულობს-თქო.

— სამი დღის წინათ იყო, თქვენ გკითხულობდათ, ამბობს. დიდი საქმე მაქვსო. იხვეწება, ლამის იტიროს. შაბათს არ შემიძლიაო, ამბობს... რას მიბრძანებთ, შემოვიყვანო?

მე ამოვიოხრე, კალამი დავდე და კოკარდიან ბატონს ლოდინი დავუწყე. დამწყები მწერლები და, საერთოდ, ისეთი ხალხი, ვინც რედაქციის საიდუმლოებას არ იცნობს და სიტყვა „რედაქციის“ გაგონებაზე სასოებით ცახცახებს, კარგა ხანს გალოდინებენ. რედაქტორის ნებართვის შემდეგ დიდხანს ახველებენ, ცხვირს იხოცავენ, ნელა აღებენ კარს. უფრო ნელა შემოდიან და ამით კარგა დროს გართმევენ. კოკარდიან ბატონს კი არ დაუხანებია. ანდრეიმ ძლივს მოასწრო კარის მიხურვა, რომ ჩემს კაბინეტში აღმოჩნდა მალალი, მხარბეჭიანი მამაკაცი, რომელსაც ცალ ხელში ქალაღდის შეკრულა ეჭირა, მეორეში — კოკარდიანი ქუდი.

ჩემს ნახვას ასე მოწადინებული კაცი თვალსაჩინო როლს თამაშობს მომავალ მოთხრობაში. ამიტომ აუცილებელია მისი გარეგნობის აღწერა.

როგორც უკვე ვთქვი, იგი მალალია, მხარბეჭიანი და ბრგე, კარგი მუშა ცხენივით. მთელი სხეული ჭანსალი აქვს და ძლიერი. სახე — ვარდისფერი, ხელები დიდი. მკერდი ფართო, დაკუნთული, თმა ხშირი, როგორც ჭანმრთელ ყმაწვილს. ორმოცსაა მიღწეული. გემოვნებით აცვია, უკანასკნელ მოდაზე შეკერილ ახალთახალ კოსტიუმშია გამოწყობილი. მკერდზე ოქროს მსხვილი ძეწკვი ჰკიდია, ბრელოკებიანი, ნეკზე პაწაწინა ვარსკვლავებივით უბრწყინავს ბრილიანტის ბეჭედი. რაც მთავარია და ყველაზე მნიშვნელოვან რომანის ან მოთხრობის ცოტად თუ ბევრად წესიერი გმირისათვის, იგი ძალზე ლამაზია. მე არც ქალი ვარ და არც მხატვარი. მამაკაცის სილამაზისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ კოკარდიანმა ბატონმა თავისი გარეგნობით ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. მისი მსხვილი, დაკუნთული სახე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ამ სახეზე ნახავთ ნამდვილ ბერძნულ, კეზიან ცხვირს, თხელ ბავებებს და ლამაზ ცისფერ თვალებს, რომლებიც სიკეთეს ასხივებენ და კიდევ

რადაცას, რისი სახელის მოძებნაც მიჭირს. ეს „რადაც“ შეიძლება შენიშნოთ პატარა ცხოველების თვალეში, როცა ისინი მოწყენილები არიან ან რაიმე სტიკივით. მუდარას, ბავშვური გულწრფელობის, მორჩილი მოთმინების გამო-მეტყველება... ეშმაკ და ძალიან ჭკვიან ადამიანებს არასოდეს არა აქვთ ასეთი თვალეები.

სახეზე აწერია უბრალოება, გულღიობა, გულწრფელობა, *სიმშრატეფანი* თუ არ სტყუიან, როცა ამბობენ, სახე სულის სარკეაო, მაშინ კოკარდიანს *შაქანი* ტონის პირველი გაცნობისას შემედლო პატიოსანი სიტყვა მიმეცა, რომ მას ტყუილის თქმა არ ეხერხება. სანაძლეოს დადებასაც არ მოვერიდებოდი.

მოვიგებდი ამ სანაძლეოს თუ წავაგებდი, მკითხველი შემდგომ დაინახავს. წაბლისფერი თმა და წვერი ხშირი აქვს და აბრეშუმით რბილი. ამბობენ, რბილი თმა ნაზი, „აბრეშუმით“ სულის ნიშანიაო... ბოროტმოქმედთ და ავ, ჭიუტი ხასიათის ადამიანებს, უმეტეს შემთხვევაში, უხეში თმა აქვთ. მართალია ეს თუ არა, — ამასაც მკითხველი შემდგომ დაინახავს...

არც სახის გამომეტყველება, არც წვერი — არაფერი ისეთი ნაზი და რბილი არა აქვს კოკარდიან ბატონს, როგორც მიხრა-მოხრა დიდი, მძიმე სხეულისა. ამ მიხრა-მოხრაში ჩანს მისი ზრდილობა, სიმსუბუქე, გრაცია და, მომიტევეთ ამ გამოთქმისთვის — ერთგვარი ქალურობაც. არც ისე გაუჭირდება ჩემს გმირს ნალის გაღუნვა ან სარდინის კოლოფის მუკში მოსრესვა, მაგრამ არც ერთი მისი მოძრაობა არ ამყლვანებს ფიზიკურ სიძლიერეს. კარის სახელურს ან შლაპას ისე ეხება, თითქოს პეპელააო: ნაზად, ფრთხილად, თითის წვერებით. ნაბიჯი უხმაურო აქვს, ხელის ჩამორთმევა — სუსტი. მის შემხედვარეს გავიწყდება, რომ იგი გოლიათივით ღონიერია და ცალი ხელით შეუძლია იმის აწევა, რასაც ხუთი ანდრეისთანა კაცი ერთად ვერ მოერევა. მის მსუბუქ მოძრაობას რომ შესცქერი, არ გჯერა, რომ თვითონ ძლიერი და მძიმეა. სპენსერს იგი სინატიფის ნიმუშად შეედლო დაესახელებინა.

კაბინეტში რომ შემოვიდა, დაიბნა. მის ნაზ, მგრძნობიარე ბუნებას ალბათ ეხამუშა ჩემი პირქუში, უკმაყოფილო გამომეტყველება.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის! — დაიწყო რბილი, მსუყე ბარიტონით. — უდროო დროს შემოგეჭვრით და გაიძულეთ, ჩემთვის გამონაკლისი დაგეშვათ. თქვენ ისეთი მოუცლელი ბრძანდებით! მაგრამ იცით, ბატონო რედაქტორო, მე ხვალ ოდესაში მივემგზავრები ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საქმის გამო... რომ შემძლებოდა ამ მგზავრობის შაბათამდე გადადება, მერწმუნეთ, აღარ გთხოვდით ჩემთვის გამონაკლისის დაშვებას. მე თვითონ პატივს ვცემ წესებს, იმიტომ რომ წესრიგი ძალიან მიყვარს...

„რამდენს ლაპარაკობს!“ — გავიფიქრე ჩემთვის და ხელი კალმისკენ გავიწოდე, რომ მეგრძნობინებინა, დრო არა მაქვს-მეთქი (იმ ხანებში ძალიან მომაბეზრეს თავი მომსვლელებმა).

— მხოლოდ ერთ წუთს წაგართმევთ! — განაგრძობდა ჩემი გმირი მობოდიშე ხმით. — მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ წარმოგიდეთ... სამართლის კანდიდატი ივან პეტროვიჩ კამიშოვი, სასამართლოს ყოფილი გამომძიებელი. არა მაქვს პატივი, მწერლების წრეს ვეკუთვნოდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენთან სწორედ სამწერლო მიზნით მოვედი. თქვენ წინაშე დამწყებთა რიცხვში მოხვედრის მსურველი, თუმცა უკვე ორმოცს მივუახლოვდი. მოგეხსენებათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

— ძალიან სასიამოვნოა... რით შემიძლია გემსახუროთ?

დამწყებთა რიცხვში მოხვედრის მსურველი დაჯდა და ისე განაგრძო. თან მავედრებელი თვალებით იატაკს დასცქეროდა:

— პატარა მოთხრობა მოგიტანეთ, რომელიც მინდა თქვენს/გაზეთში და-
იბეჭდოს. გულახდილად ვეტყვი, ბატონო რედაქტორო, მოთხრობა/არც სა-
ხელისა და დიდებისათვის დამიწერია, არც კაზმული სიტყვებისათვის... ამ კარგ
საქმეთათვის უკვე დავბერდი. საავტორო გზას მხოლოდ მქრქანს/საქმის ბრახ-
ვით ვადგები... მინდა ფული ვიმოვო... ამჟამად არაფერს არ ვაკეთებ... სა-
სამართლოს გამომძიებლად გახლდით ს-ს მაზრაში. ხუთ წელზე მეტი ვიმსა-
ხურე, მაგრამ ვერც კაპიტალი დავაგროვე. ვერც პატიოსნება შევიწარმე...
კამიშოვმა კეთილი მზერა მესროლა და წყნარად გაიცინა.

— მოსაბეზრებელი სამუშაოა... ვიმსახურე, ვიმსახურე, ჩავიქნიე ხელი
და დავანებე თავი. ახლა საქმე აღარაფერი მაქვს და თითქმის ულუკმაპუროდ
დავრჩი... თუ თქვენ ჩემს მოთხრობას დაბეჭდავთ, ვერ წარმოიდგენთ რა
დიდად დამავეალებთ... როგორ დამეხმარებით, გაზეთი დავრდომილთა ხანაგა
არ არის, არც ყარიბთა თავშესაფარი... ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ... მოიღეთ
მოწყალება...

„სტყუი!“ — გავიფიქრე მე.

ბრელოკები და ნექზე წამოცმული ბეჭედი ცუდად ეხამებოდა ლუკმაპუ-
რისთვის წერას, თანაც, კამიშოვს სახეზე სუსტმა, მხოლოდ გამოცდილი თვა-
ლისთვის შესამჩნევმა ჩრდილმა გადაურბინა, რაც მხოლოდ იმათ ემართებათ,
კინც იშვიათად ტყუის.

— როგორია თქვენი მოთხრობის სიუჟეტი? — ვკითხე.

— სიუჟეტი... როგორ გითხრათ? სიუჟეტი ახალი არ არის... სიყვარუ-
ლი, მკვლელობა... წაიკითხეთ და თვითონ ნახავთ... „სასამართლოს გამომძიებ-
ლის ჩანაწერებიდან“...

ალბათ სახე შემეკმუნა, იმიტომ რომ კამიშოვმა დაბნეულად აახამხამა
თვალები, შეცბა და სასწრაფოდ ჩაილაპარაკა:

— ჩემი მოთხრობა დაწერილია სასამართლოს ყოფილ გამომძიებელთა შაბ-
ლონის მიხედვით, მაგრამ... თქვენ მასში ნახავთ სინამდვილეს, სიმართლეს...
ყველაფერი, რაც შიგ არის გამოსახული, თავიდან ბოლომდე ჩემ თვალწინ
ხდებოდა... მე მოწმეც გაბლავართ და, წარმოიდგინეთ, მოქმედი პირიც.

— სიმართლე მთავარი არ არის... არ არის აუცილებელი უეჭველად ნახო,
რომ აღწერო... ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს
საწყალ მკითხველს დიდი ხანია უელში ამოუვიდა და გაბორიო და შკლია-
რევსკი. მობეზრდა იდუმალებით მოცული მკვლელობები, მაძებართა ხრიკები
და გამომძიებელთა არაჩვეულებრივი საზრიანობა. მკითხველი, რა თქმა უნდა,
ბევრნაირია, მაგრამ მე იმათზე მოგახსენებთ, ვინც ჩემს გაზეთს კითხულობს.
რა ჰქვია თქვენს მოთხრობას?

— „ნადირობისას მომხდარი დრამა“.

— ჰმ... არც ისე სერიოზული თემაა... თანაც, სიმართლე გითხრათ,
იმდენი მასალა დამიგროვდა, ნამდვილად აღარ შემიძლია ახალი რამის მიღება,
დიდი ღირსებითაც რომ გამოირჩეოდეს...

— ჩემი მოთხრობა მიიღეთ, ძალიან გთბოვთ... სერიოზული არ არისო,
ამბობთ... ძნელია რამის თქმა, როცა ჯერ არ გინახავთ... ნუთუ ვერ წარმო-
გიდგენიათ, რომ სასამართლოს გამომძიებელმაც შეიძლება სერიოზულად წე-
როს?

კამიშოვმა ეს ყველაფერი ვნის ბორძიკით წარმოთქვა, თან თითუბით ფან-

ქარს აწვალებდა და თავის ფეხებს დასცქეროდა. ბოლოს იმით დაამთავრა, რომ ძალიან აღელდა და თვალები აახამხამა.

შემეცოდა.

— კარგი, დატოვეთ. — ვუთხარი. — ოღონდ ვერ შეგპირდებით, რომ თქვენს მოთხოვნილებას უახლოეს ხანში წაგიკითხავ. მოცდა მოგიწევთ.

— დიდხანს?

— არ ვიცი... გამოიარეთ ასე ორი, სამი თვის მერე...

— დიდხანს გამოდის... მაგრამ ძალას ველარ დაგატანთ... იყოს ნება

თქვენი....

კამიშოვი ადგა და ქუდს დასწვდა.

— გმადლობთ აუდიენციისათვის, — თქვა მან. — დავბრუნდები ახლა შინ და იმედით ვიცოცხლებ. სამი თვის იმედი! მაგრამ, ალბათ თავი მოგაბეზრეთ. ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ!

— მოითმინეთ, ერთი რამ მინდა გკითხოთ, — ვუთხარი მე, თან მის სქელ, წვრილი ასოებით ნაწერ რვეულს ვფურცლავდი. — თქვენ აქ პირველ ბირში წერთ... ალბათ, სასამართლოს გამომძიებელში საკუთარ თავს გულისხმობთ?

— დიახ, მაგრამ სხვა გვარით. ჩემი როლი ამ ამბავში ცოტა საჩოთი-როა... უხერხული იყო საკუთარი გვარით გამოსვლა... მაშ, სამი თვის შემდეგ?

— დიახ, ადრე ალბათ ვერ შევძლებ...

— კარგად ბრძანდებოდეთ!

ყოფილი სასამართლოს გამომძიებელი გალანტურად გამომემშვიდობა, ფრთხილად შეეხო კარის სახელურს და გაქრა, მაგიდაზე კი თავისი თხზულება დამიტოვა. რვეული ავიღე და მაგიდის უჯრაში შევიწინაზე.

ლამაზი კამიშოვის მოთხოვნა ჩემს უჯრაში ორ თვეს იდო. ერთხელ რედაქციიდან აგარაკზე რომ მივემგზავრებოდი, გამახსენდა და თან წავიღე.

ვაგონში გადავშალე და კითხვა შუიდან დავიწყე. შუაგულმა დამაინტერესა. იმავე სადამოს, მიუხედავად მოუცლელობისა, მთელი მოთხოვნა წავიკითხე. სულ თავიდან სიტყვა „დასასრულამდე“, რომელიც გაკრული ხელით იყო მიწერილი. ღამით კიდევ ერთხელ წავიკითხე მოთხოვნა, განთიადისას კი ტერასაზე წინ და უკან დავდიოდი და საფეთქლებს ვისრესდი, თითქოს მინდოდა თავიდან ამომესრისა ახალი, უეცრად გაჩენილი, მტკივნეული აზრი... აზრი კი ნამდვილად მტკივნეული იყო, პირდაპირ გაუსაძლისი....

მეჩვენებოდა, რომ მე, თუმცა არც სასამართლოს გამომძიებელი ვიყავი და არც, მით უმეტეს, ნაფიცი ფსიქოლოგი, ჩავწვდი ერთი ადამიანის საშინელ საიდუმლოს, რომელთანაც არაფერი მესაქმებოდა... დავდიოდი ტერასაზე და თავს ვირწმუნებდი, რომ ჩემივე აღმოჩენა არ უნდა დამეჭერებინა...

კამიშოვის მოთხოვნა ჩემს გაზეთში არ მოხვედრილა იმ მიზეზთა გამო, რომლებიც მოტანილია მკითხველთან ჩემი საუბრის ბოლოს. მკითხველს მე კიდევ შევხვდები. ახლა კი, დიდი ხნით დავშორდები და წასაკითხად შევთავაზებ კამიშოვის მოთხოვნას.

ეს მოთხოვნა დიდი ღირსებით არ გამოირჩევა. ბევრია გაქიანურებული, დაუხვეწავი ადგილი... ავტორს უყვარს ეფექტები და მაგარ-მაგარი ფრაზები... ეტყობა, რომ თავის სიცოცხლეში პირველად წერს და ხელი გაუჩვეველი აქვს, გაუწაფავი.. ამის მიუხედავად, მისი მოთხოვნა მაინც მსუბუქად იკითხება. ფაბულაც აქვს, აზრიც და, რაც ყველაზე მთავარია, ორიგინალურია, აღსანიშ-

ნავია ისიც, რასაც ჰქვია sui generis'. ზოგიერთი ლიტერატურული ღირსებაც გააჩნია. წაკითხვა ღირს... აი, ისიც.



სასამართლოს გამომძიებლის ჩანაწერი

თავი I

— ქმარმა ცოლი მოკლა! ოპ, რა სულელი ხართ! მომაწოდეთ ბოლოს და ბოლოს შაქარი!

ამ წამოძახილმა გამომაღვიძა. გავიზმორე და მთელ სხეულში სამძიმე ვიგრძენი... შეიძლება ხელი დაგიბუუდეს, ან ფეხი, მე კი ამჯერად მეჩვენებოდა, რომ მთელი სხეული, თავიდან ფეხის ქუსლამდე გაბუყებული მჭონდა. შეხუთულ, გამომფიტავ ატმოსფეროში, ზუზებისა და კალიების ბზუილში ნანასადილევს ძილი კი არ გამხნევეს, გთენთავს... ერთიანად მოშეებული, ოფლად გაღვრილი ავდექი და ფანჯარასთან მივედი. საღამოს მეექვსე საათი იყო. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა და ისეთივე გულმოდგინებით აცხუნებდა, როგორც სამი საათის წინ. დაისამდე და სიგრილემდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი.

— ქმარმა ცოლი მოკლა!

— გეყოფა ტყუილები, ივან დემიანიჩი! — ვთქვი მე და ივან დემიანიჩის ცხვირს მსუბუქი წკიპურტი ვუთავაზე. — ქმრები ცოლებს მხოლოდ რომანებში ხოცავენ და ისიც ტროპიკებში. სადაც აფრიკული ვნებები მღელვარებენ. ჩემო კარგო, ჩვენ კი ისეთი საშინელებებიც გვეყოფა, როგორცაა სახლის გატეხვა, ქურდობა ან სხვისი სახელით ცხოვრება.

— სახლის გატეხვა... — თავის მოკაუჭებულ ცხვირქვეშ გამოსცრა ივან დემიანიჩმა. — ოპ, რა სულელი ხართ!

— რას იზამ, ჩემო კარგო? რა ჩვენი ბრალია, თუ ადამიანის ტვინის შესაძლებლობებს ზღვარი აქვს? ისე, ივან დემიანიჩი, დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ასეთი სიცხისგან გამოვსულულდები. აი, შენ ხომ ჰკვიანი მყავხარ, მაგრამ ალბათ შენი ტვინიც ამყავდა და გამოთაყვანდა ამ პაპანაქებაში.

ჩემს თუთიყუშს უბრალოდ თუთიყუშში ან ფრინველის შესაფერი რაიმე სახელი კი არ ჰქვია, არამედ ივან დემიანიჩი. ეს შემთხვევით მოხდა. ერთხელ ჩემმა მსახურმა პოლიკარპმა, გალიას რომ ასუფთავებდა, ისეთი რამ აღმოაჩინა, ურომლისოდაც ჩემს კეთილშობილ ჩიტს დღემდე მხოლოდ თუთიყუშად მოიხსენიებდნენ. ზარმაცს სრულიად მოულოდნელად გაუელვა თავში, რომ ჩემი თუთიყუშის ნისკარტი ძალიან წააგავდა ჩვენი სოფლის მედუქნის ივან დემიანიჩის ცხვირს. ამ დღიდან მოყოლებული, თუთიყუშს სამუდამოდ შერჩა გრძელცხვირა მედუქნის სახელი და მამის სახელი, პოლიკარპის წყალობით მთელმა სოფელმა ჩემი უცნაური ჩიტი ივან დემიანიჩად მონათლა. პოლიკარპისვე სურვილით ფრინველი ხალხში გამოვიდა, მედუქნემ კი ნამდვილი სახელი დაკარგა და სიცოცხლის ბოლომდე სოფლელთა ყბაში „გამომძიებლის თუთიყუშად“ დარჩა.

ივან დემიანიჩი ჩემი წინამორბედის, ჩემს დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე გარდაცვლილი სასამართლოს გამომძიებლის — პოსპელოვის დედისაგან ვიყო

. ერთგვარად თავისებური (ლათ.).

დღე-ვიციდღე მუხის ძველებურ ავეჯთან, სამზარეულოს ხარახურასთან და მთელ იმ საოჯახო მეურნეობასთან ერთად, რაც მიცვალებულს დარჩა. ჩემს კედლებს დღემდე ამშვენებს მისი ნათესავების ფოტოსურათები, ჩემი საწოლის თავზე კი ჯერ ისევ ჰკიდია თვითონ ოჯახის უფროსის პორტრეტი. მიცვალებული გამხდარი, ძარღვიანი, წითურთულეაშიანი და სქელტუჩა კაცი, თქვენსგანაა მოკარკლული ზის ვახუნებულ, კაკლის ხის ჩარჩოში და თვალს არ მამორებს მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე მის საწოლში ვწევარ... კედლიდან ერთი სურათიც არ ჩამომიხსნია, ერთი სიტყვით — ბინა ისევე დავტოვე, როგორც მივიღე. მეტიმეტად ზარმაცი ვარ საიმისოდ, რომ საკუთარ კომფორტზე ვიზრუნო და არ ვუშლი ჩემს კედელზე ჩამოკიდებას არათუ მოცვალებულებს, არამედ ცოცხლებსაც, თუკი ისინი ამას მოისურვებენ.¹

ივან დემიანიჩს ისევე ეხუთებოდა სული, როგორც მე. ბუმბულს იქე-ქავდა, ფრთებს ფარჩხავდა და ხმამაღლა გაიძახოდა ჩემი წინამორბედის — პოსპელოვისა და პოლიკარპისგან ნასწავლ ფრაზებს. სადილის შემდგომი თავისუფალი დრო რომ რაიმეთი შემევსო, გალიის წინ დავჯექი და თუთიყუშს მივაჩერდი. იგი ძალიან ცდილობდა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა იმ სატანჯველიდან, რასაც სიციხე და მის ბუმბულში ჩაბუდებული მწერები აყენებდნენ... საცოდავი ჩიტო ძალზე უბედური ჩანდა...

— რომელ საათზე ინებებს ხოლმე გაღვიძებას? — მომესმა ვილაკის ბანი წინკარიდან...

— გააჩნია! — უბასუხა პოლიკარპის ხმამ... — ზოგჯერ ხუთ საათზე დგება, ზოგჯერაც დილამდე ხვრინავს... საქმე აქვს თუ რა....

— თქვენ მისი კამერდინერი ხართ?

— მსახური. აბა, ხელს ნუ მიშლი. გაჩუმდი... ვერ ხედავ, ვკითხულობ?

წინკარში გავიხედე. იქ, დიდ წითელ სკივრზე ჩემი პოლიკარპი გამოტილიყო და, ჩვეულებისამებრ, რალაც წიგნს კითხულობდა. თავისი მძინარა, მუდამ გაშტერებული თვალეებით წიგნს ჩასჩერებოდა, ტუჩებს ამოძრავებდა და იბღვირებოდა. ეტყობა, აღიზიანებდა უცხო კაცი, მაღალი, წვერიანი გლეხი, სკივრის წინ რომ იდგა და ამოდ ცდილობდა საუბრის გაბმას. ჩემს გამოჩენაზე გლეხი ერთი ნაბიჯით მოშორდა სკივრს და ჯარისკაცივით გამომეჭიმა. პოლიკარპმა უქმაცოფილო სახე მიიღო, წიგნიდან თავი არ აუღია, ისე წამოიწია.

— რა გინდა? — ვკითხე გლეხს.

— გრაფმა გამომგზავნა, თქვენო კეთილშობილებავ. გრაფი სალამს გითვლით და გთხოვთ დაუყოვნებლივ ეახლოთ...

— განა გრაფი ჩამოვიდა? — გავიკვირვე მე.

— დიახ, ასეა, თქვენო კეთილშობილებავ... წუხელის ჩამობრძანდა... აი, წერილიც, ინებეთ...

— ისევ ჩამოვხეტა — ჩაილაპარაკა ჩემმა პოლიკარპმა. — ორი ზაფხული მშვიდად ვცხოვრობდით უიმისოდ, ახლა ისევ სალორედ აქცევს მთელ მაზრას, სირცხვილი და თავის მოჭრა არ აგვეცდება.

— გაჩუმდი, შენ არავინ გეკითხება!

— არც არის საჭირო... თვითონვე ვიტყვი, ისევ მთვრალი დაბრუნდებით

¹ მკითხველს ვთხოვ, მაბატოს ასეთი გამოთქმები, ისინი ბლომიდაა საწყალი კამიშოვის მოთხრობაში და თუ არ ამოვწილე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის უკეთ დახასიათების მიზნით საჭიროდ მივიჩნევ მისი მოთხრობის დაბეჭდვა in toto. — ა. ჩ.

იმისგან და ტბაში იბანავებთ ტანისამოსიანად... მერე მიდი და წმინდე! სამ დღეს ვერ მოარჩულე!

— რას აკეთებს ახლი გრაფი? — ვკითხე გლეხს.

— სადილობას აპირებდა, როცა მე თქვენთან გამოგზავნი... მანამდე თვე ზაობდა საბანაოზე... რა პასუხს მიბრძანებთ?

წერილი გავხსენი და შემდეგი წავიკითხე:

ეროვნული
გმობლობა

„ჩემო ძვირფასო ლეკოკ! თუ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, ჯანმრთელი და არ დაგვიწყებია შენი მარად მთვრალი მეგობარი, წუთსაც ნულარ დაკარგავ, შეიმოსე და ისწრაფე ჩემკენ. მხოლოდ წუხელის ჩამოვედი, მაგრამ უკვე მოწყენილობისაგან ვკვდები. გელი, უსაზღვროა მოუთმენლობა ჩემი. მინდოდა თვითონ ვხლებოდი და წამომეყვანე ჩემს ბუნაგში, მაგრამ სიცხემ ერთიანად გამთანგა. ერთ ადგილზე ვზივარ და მარაოს ვიქნე. აბა, რას იტყვი, როგორა ხარ? როგორ არის შენი ბრძენი ივან დემიანიჩი? ისევ ეომები შენს პედანტ პოლიკარპს? სასწრაფოდ გამოემგზავრე და ყველაფერი მიაშვე.

შენი ა. კ.“

საჭირო არ იყო ხელმოწერის ნახვა, ისედაც ვიცანი ჩემი მეგობრის, გრაფ ალექსეი კარნეევის გაუვარჯიშებელი, მთვრალი ხელით ნაწერი მსხვილი უშნო ასოები.

წერილის სიმოკლე, ერთგვარი სახუმარო ტონი და ენამახვილობის პრეტენზია მოწმობდნენ, რომ ჩემმა გონებაშეზღუდულმა მეგობარმა ბლომად დაზია საფოსტო ქაღალდი, ვიდრე ამ წერილს შეთხზავდა.

— რას მიბრძანებთ პასუხად? — გაიმეორა გლეხმა. ერთბაშად ვერ ვუპასუხე ამ კითხვას, ჩემს ადგილზე ყველა წესიერი კაცი შეყოყმანდებოდა. გრაფს ვუყვარდი და გულწრფელად სურდა ჩემთან მეგობრობა, მე კი მეგობრობის მსგავსი არაფერი მაკავშირებდა მასთან, არც კი მიყვარდა. ამიტომ, უფრო პატიოსანი საქციელი იქნებოდა, ერთხელ და სამუდამოდ უარმეყო მისი მეგობრობა, ვიდრე წავსულიყავი და მეთვალთმაქცა. თანაც გრაფთან გამგზავრება ნიშნავდა კიდევ ერთხელ გადავარდნას იმ ცხოვრებაში, რომელსაც ჩემი პოლიკარპი „ლორულს“ უწოდებდა და რომელიც ორი წლის წინათ, მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე გრაფი პეტერბურგში წავიდოდა, არყევდა ჩემს ჯანმრთელობას და მიფიტავდა გონებას. ამ თავაშვებულმა, უჩვეულო ცხოვრებამ, წრეგადასულმა ლოთობამ და სიგიჟემ, მართალია, ვერ მოასწრეს ჩემი ორგანიზმის განადგურება, მაგრამ სამაგიეროდ მთელ გუბერნიას მოედო ჩემი სახელი... პოპულარული გავხდი... გონება სრულ სიმართლეს მეუბნებოდა, სირცხვილის აღმური მიწვავდა სახეს არცთუ შორეული წარსულის გამო, გული მეკუმშებოდა შიშით იმის გაფიქრებაზე, რომ ძალა არ შეყოფოდა გრაფთან წასვლაზე უარის სათქმელად, მაგრამ დიდხანს არ მიყოყმანია. ბრძოლა წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა.

— ჩემი სალამი გადაეცი გრაფს. — ვუთხარი მოპატიუეს, — მადლობა მოახსენე, რომ ვახსოვარ... უთხარი, ძალზე მოუცლელაა-თქო და... უთხარი...

და სწორედ იმ წუთს, როცა ენაზე მადგა მტკიცე უარი, უეცრად მძიმე გრძნობა დამეუფლა... ახალგაზრდა კაცი, სავსე სიცოცხლით, ძალღონით, სურვილებით, ბედმა სოფელში გადმოისროლა. მარტოობამ სევდა მოჰგვარა, მოწყენილობა დაეუფლა...

გამახსენდა გრაფის ბაღი, დიდებული, გრილი ორანჟერეები, ვიწრო, ჩაბნელებული ხეივნები... ბებერი ცაცხვების მწვანე თალებით დაჩრდილული ეს ხეივნები კარგად მიცნობდნენ... იცნობდნენ იმ ქალებსაც. ჩემს სიყვა-

იქნებოდა რომ ეძებდნენ აქ, ბინდბუნდში... გამახსენდა საუცხოო, სასტუმრო
 დარბაზი, ჩავერდის დივნები, მძიმე ფარდები, ბუმბულივით ფაფუკი ხალიჩე-
 ბი და მათში ჩაბუდებული სიზანტე, ის სიზანტე, ასე ძალიან რომ უყვარდა
 ბაღვაშრდა, ჯანმრთელ ცხოველებს... გამახსენდა ჩემი დაუოკებელი, უოკებელი
 გვარ ზღვარს გადასული სმა და ქეიფი, ჩემი სატანური ქედმაღლობა და სიზ-
 ლი სიცოცხლისადმი... და ჩემი ვეება სხეული, ძილით დაოსებულნი
 აღვისო მოძრაობის სურვილით...

— უთხარი, მოვა-თქო!
 გლახმა თავი დამიკრა და გავიდა.
 — მცოდნოდა, ვინ იყო, არ შემოვუშვებდი იმ ეშმაკეულს! — ჩაიბუზ-
 ლუნა პოლიკარპმა და სწრაფად, უაზროდ დაუწყო წიგნს ფურცვლა.

— დაანებე თავი წიგნს და წადი, შეკაზმე ზორკა! — ვუთხარი მკაცრად.
 სწრაფად!

— სწრაფად... როგორ არა... ახლავე ავდგები და გავიქცევი... საქმეზე
 რომ მიდიოდეს, კიდევ პო, მაგრამ რა... წავა ახლა ეშმაკებთან რქების სამტე-
 რევადა!

ეს ყველაფერი ნახევრად ჩურჩულით იყო ნათქვამი, მაგრამ ისე, რომ
 მეც გამეგონა.

თავხედობა რომ ჩაიღინა, ლაქია წინ გამომეჭიმა და დამცინავი ღიმილით
 დაელოდა ჩემს საბასუბო აფეთქებას, მაგრამ მე თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ
 მისი სიტყვები არ გამიგონია. დუმილი — ყველაზე კარგი და ბასრი იარაღია
 პოლიკარპთან საომრად. ეს აბუჩად ამგდები ყურის მოყრუება მის შხამიან
 სიტყვებზე განაიარაღებს და ნიადაგს აცლის მას. როგორც სასჯელი, ეს უფ-
 რო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე პანლური ან ლანძღვა-გინების კორიანტელი.
 როცა პოლიკარპი გავიდა ცხენის შესაკაზმად, მე წიგნს დავხედე, რომელ-
 საც იგი კითხულობდა... ეს გახლდათ „გრაფი მონტე-კრისტო“, დიუმას სა-
 შინელი რომანი... ჩემი ცივილიზებული ბრიყვი ყველაფერს კითხულობს.
 დუქნის აბრებიდან დაწყებული ოგიუსტ კონტამდე, რომელიც სკივრში მი-
 დევს სხვა, მივიწყებულ წიგნებთან ერთად; მაგრამ ნაბეჭდისა და ნაწერის
 მთელი მასიდან მხოლოდ საშინელი, მძაფრად მოქმედი რომანები მოსწონს,
 დიდებული „ბატონებით“, საწამლავეებით, მიწისქვეშა ხერხელებით, დანარჩენს
 ყველაფერს „სისულელეს“ ეძახის. მის კითხვაზე მომავალში კიდევ მომიწევს
 საუბარი, ახლა კი — მივემგზავრები.

მეოთხედი საათის შემდეგ ჩემი ზორკას ფლოქვები უკვე ამტვერებდნენ
 სოფლიდან გრაფის მამულისკენ მიმავალ გზას. მზე უკვე ღამის საბუდარს
 უახლოვდებოდა, მაგრამ სიცხე და ბული ისევ იგრძნობოდა... გავარვარებული
 პაერი უძრავი იყო და მშრალი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გზა ვეება ტბის
 პირას გადიოდა... მარჯვნივ წყლის მასას ვხედავდი, მარცხნივ მზერას ესალ-
 ბუნებოდა მუხნარის ნორჩი, საგაზაფხულო სიმწვანე და მაინც სახეზე საპა-
 რის სუნთქვას ვგრძნობდი.

„გააედარდება!“ — გავიფიქრე და გვარიანი ცივი წვიმა ვინატრე...
 ტბას მშვიდად ეძინა. ერთი ჩქამითაც არ მისალმებია ჩემი ზორკას ფრე-
 ნას და მხოლოდ პატარა მექვიშიას წრიპინი არღვევდა უძრავი გოლიათის სა-
 მარისებურ მდუმარებას. მზე ისე იხედებოდა შიგ, როგორც დიდ სარკეში და
 დამაბრმავებელ სხივებს აფრქვევდა მთელ ზედაპირზე — ჩემი გზიდან შორი-
 ეულ ნაპირამდე. მოკრილ მზერას ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბუნება თა-
 ვის შუქს მზისგან კი არა, ტბისგან იღებდა.

პაპანაქებამ რული მოკვარა ყველას და ყველაფერს, რაც ტბაში და მის მწვეანე ნაპირებზე, ცოცხლობდა... მიმალულიყვნენ ფრინველები, აღარ დასრიალებდნენ თევზები, სიგრილის მოლოდინში გაყუჩებულიყვნენ კრიჭინები და კუტკალიები. ფდაბნოდ ქვეულიყო არემარე მხოლოდ ხანდახან შემაგდებდა ჩემი ზორკა ტბისპირა კოლოების ხშირ ღრუბელში და კიდევ შორს ტბის შუაგულში ძლივს მოძრაობდა სამი პატარა შავი ნაწი-ჩაწი-მეფეების, ბებერი მიხეისა, რომელსაც მთელი ტბა იჯარიით აედო.

მე მივდიოდი არა პირდაპირი გზით, არამედ შემოვლით, მრგვალი ტბის ნაპირის გასწვრივ. პირდაპირი წასვლა მხოლოდ ნავით შეიძლებოდა, ხმელეთით მგზავრობისას კი დაახლოებით რვა ვერსი ზედმეტი უნდა გამეველო. მთელი გზის მანძილზე ტბას გავყურებდი და ვხედავდი თიხნარ ვალმა ნაპირს, რომელსაც თეთრ ზოლად გასდევდა აყვავებული ალუბლის ბალი. ალუბლებს იქით გრაფის საბძელი აღმართულიყო, ჭრელ-ჭრელი მტრედებით მოფენილი, და თეთრად ქათქათებდა გრაფის ეკლესიის პატარა სამრეკლო. თიხნარ ნაპირთან საბანაო იდგა, იალქნით შემოკრული, მოაჯირებზე ზეწრები შრებოდა. ამას ყველაფერს ვხედავდი და მეჩვენებოდა, რომ ჩემი ნაცნობი გრაფისგან სულ რაღაც ერთი ვერსი მაშორებდა, სინამდვილეში კი გრაფის მამულამდე რომ მიმეღწია, თექვსმეტი ვერსი უნდა გამეველო.

გზაში ვფიქრობდი ჩემი და გრაფის უცნაურ ურთიერთობაზე. მინდოდა ამეწონ-დამეწონა ყველაფერი, მომეწესრიგებინა, მაგრამ ამაოდ — ჩემთვის ეს ამოცანა გადაუჭრელი აღმოჩნდა.

რამდენი არ ვიფიქრე. რამდენი არ ვეწვალე, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ცუდად ვიცნობდი საკუთარ თავს და, საზოგადოდ, ადამიანებსაც. ისინი, ვინც მეც მიცნობდნენ და გრაფსაც, სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ ჩვენს ურთიერთობას. ვიწროშუბლიანებს, თავიანთ ცხვირებს იქით რომ ვერაფერს ხედავდნენ, უყვარდათ იმის მტკიცება, თითქოს დიდებულ გრაფს „ღარიბი და უგვარო“ სასამართლოს გამომძიებელი თავის კუდად, ლოთობის თანაზიარად მიაჩნდა: მე, ამ სტრიქონების დამწერი, მათი ჭკუით ფეხქვეშ ვეგებოდი და ველაქუცებოდი გრაფს ნასუფრალის გულისთვის! ისინი ფიქრობდნენ, რომ დიდგვაროვანი და მდიდარი გრაფი, მთელი ს-ს მაზრის საფრთხობელა და შურის საგანი, ძალიან ჭკვიანი და ლიბერალური ბრძანდებოდა; სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა მისი მოწყალე მეგობრობა უბოვარ გამომძიებელთან და ლიბერალიზმიც, რომელმაც გრაფი უგრძნობელი გახადა იმისადმი, რომ მას „შენობით“ მივმართავდი.

უფრო ჭკვიანები ჩვენს ახლო ურთიერთობას „სულიერი ნათესაობით“ ხსნიდნენ. მე და გრაფი თანატოლები გახლავართ. ორივემ ერთი უნივერსიტეტის კურსი დავასრულეთ, ორივე იურისტები ვართ და ორივემ ძალზე ცოტა რამ ვიცით: მე რაღაც კიდევ მახსოვს, გრაფმა კი დაივიწყა და ალკოჰოლში ჩაახრჩო ყველაფერი, რაც კი ოდესმე იცოდა. ორივე ამაყები ვართ და მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი რაღაც მიზეზების გამო ველურებივით ვუფრთხიით საზოგადოებას. არც ერთს არ გვაწუხებს, რას იტყვის ჩვენზე ხალხი (ანუ ს-ს მაზრა), არც ერთი არ გამოვიჩრჩევით მაღალი ზნეობით და ორივეს ცუდი ბოლო გველის. აი, ასეთი „სულიერი ნათესაობა“ გვაკავშირებს ერთმანეთთან. ამაზე მეტის თქმა ჩვენს ურთიერთობაზე არც ერთს ჩვენს ნაცნობს არ შეუძლია.

თუმცა უეჭველად იტყოდნენ, რომ სცოდნოდათ, როგორი სუსტი, რბილი და დამყოლი ბუნებისაა ჩემი მეგობარი გრაფი და რამდენად ძლიერი

და მტკიცე ვარ მე. უფრო მეტსაც იტყოდნენ, რომ სცოდნოდათ. როგორ ვუყვარვარ გრავს და როგორ არ მიყვარს იგი მე! მან პირველმა შემომთავაზა შეგობრობა, მე პირველმა მივმართე „შენობით“. მაგრამ როგორი ტონით! ის გულაჩუყებული მომეხვია და მოკრძალებულად მთხოვა, შემეგობრობასთან, მე კი ზიზღითა და სიძულვილით აღსავესემ მივახალე: *მეგობრობა შენობით*

— ერთი შენც, გეყოფა სისულელის ჩმახვა!

ეს „შენობით“ მიმართვა მან მეგობრულ გამოხატულებად მიიღო და მას შემდეგ თვითონაც პატიოსნად, ძმურად, მხოლოდ „შენობით“ მელაპარაკებოდა...

ღიან, უფრო უკეთესი, უფრო პატიოსნური საქციელი იქნებოდა მომებრუნებინა ჩემი ზორკა და მოვბრუნებულყავი უკან პოლიკარბთან და ივან დემიანიჩთან.

შემდგომ არაერთხელ მიფიქრია: რამდენ უბედურებას ავიცდენდი, რამდენ სიკეთეს ვუზამდი მოყვასთ, იმ საღამოს რომ მყოფნოდა გამბედაობა და უკან გამოვბრუნებულყავი. ან ჩემი ზორკა გაცოფებულიყო და შორს გავეტაცე იმ საშინელი, ვეება ტბიდან! რამდენი მტანჯველი მოგონება ამ შორდებოდა, მაჭლაჭუნასავით არ დამაწვებოდა გულსა და გონებაზე, არ მაიძულებდა წამდაუწუმ შემეშვა კალმისთვის ხელი და თავზე წამეველო! მაგრამ, წინასწარ არაფერს ვიტყვი, მით უმეტეს, რომ კიდევ ბევრჯერ მიწევს მწარე ამბებზე შეჩერება. ჭერჯერობით კი ვიმხიარულოთ...

ზორკამ გრავის მამულის ჭიშკარში შემაქროლა. ზედ ჭიშკართან წაიბორძიკა, მე უზანგი ფეხიდან გამისხლტა და კინალამ ძირს გადმოვარდი.

— ცუდი ნიშანია, ბატონო! — გამომძახა გრავის გრძელი საჩინიბოს ერთ-ერთ კართან მდგარმა გლეხმა.

მე ვჭერა, რომ ცხენიდან ჩამოვარდნილმა კაცმა შეიძლება კისერი მოიტეხოს, მაგრამ ნიშნებისა არაფერი მწამს. სადავე გლეხს გადავეცი, მათრახის ტარით ბოტფორტებიდან მტვერი ჩემოვიბერტყე და სახლისკენ გავიქეცი. არავინ გამომგებებია. ოთახებში კარ-ფანჯრები ერთიანად დაეღოთ, მაგრამ ჰაერში მაინც მძიმე, უცნაური სუნი იდგა. ეს იყო ძველი, მიტოვებული სახლის სუნი, მას შეერთებოდა სასიამოვნო, მაგრამ მკვეთრი, დამათრობელი სურნელი სათბურის მცენარეებისა, რომლებიც ახლახან გადმოეტანათ ორანჟერეიდან ოთახებში... დიდ დარბაზში, ღია კისფერი აბრეშუ-მით გადაკრულ დივანზე ორი ჩაქყლექილი ბალიში იდო, დივანის წინ, მრგვალ მაგიდაზე, დავინახე ჭიქა შიგ ჩარჩენილი სითხით, რომელსაც რიგული ბალზამის ძლიერი სუნი ასდიოდა. ყველაფერი ეს მოწმობდა, რომ სახლი უკაცრიელი არ იყო. მაგრამ თერთმეტევე ოთახი მოვიარე და მაინც ძებორციელი ვერაფერ აღმოვაჩინე. სახლშიც ისეთივე სიცარიელე სუფევდა, როგორც ტბის გარშემო...

ეგრეთ წოდებული „მოზაიკური“ სასტუმრო დარბაზიდან ბაღში გადიოდა მინის დიდი კარი. ხმაურით გამოვალე ეს კარი და მარმარილოს ეტრასით ბაღში დავეშვი. აქ, ხეივანში, რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და უეცრად ოთხმოცდაათი წლის დედაბერი ნასტია დავინახე, რომელიც ოდესღაც გრავის ძიძა იყო. ამ დალეულ, დანაოკვებულ, სიკვდილისაგან დავიწყებულ არსებას პატარა მელოტი თავი და ჩხვლექია თვალები აქვს. მის სახეს რომ უყურებ, უნებურად გახსენდება მეტსახელი „კოტი“, მსახურებმა რომ შეარქვეს. ჩემს დანახვაზე დედაბერი შეკრთა და კინალამ ხელიდან გააგდო ნაღებიანი ჭიქა. ორივე ხელით რომ მოჰქონდა.

— სალამი, კოტო! — ვუთხარი მას.

მან აღმაცერად გამომხედა და ჩუმად ამიარა გვერდით. ხელი მხარში ჩავავლე...

— ნუ გეშინია, სულელო... სად არის გრაფი? დედაბერმა ყურებზე მანიშნა.

— ყრუ ხარ? განა როდის დაყრუვდი?

დედაბერს, მიუხედავად მხცოვანი ასაკისა, სმენაც მშვენიერი აქვს და მხედველობაც. მაგრამ მაინც ურჩევნია ცილი დასწამოს საკუთარ გრძნობის ორგანოებს... თითოთ დავემუქრე და გავუშვი. კიდეც რამდენიმე ნაბიჯი გავიარე და ბები შეემომესმა, მერე კი ადამიანებიც დავინახე. იმ ადგილას, სადაც ხეივანი განივრდებოდა და თუჯის სკამებით გარშემორტყმულ პატარა მოედანს ქმნიდა. მაღალი, თეთრი აკაციების ჩრდილქვეშ მაგიდა იდგა, რომელზედაც სამოვარი ბრწყინავდა. მაგიდის გარშემო ადამიანები საუბრობდნენ. მე ბალახზე ჩუმად გავიარე და მოედანს მივუახლოვდი. იასამნის ბუჩქს ამოფარებულმა თვალებით გრაფს დავუწყე ძებნა.

ჩემი მეგობარი, გრაფი კარნევი, მაგიდასთან იჯდა დასაკეც სკამზე და ჩაის მიირთმევდა. ტანთ ქრელი ხალათი ემოსა, რომელიც ორი წლის წინ მქონდა ნანახი, თავზე ჩაღის ქაღი ეხურა. სახე შეფიქრიახებულს ჰქონდა, ნაოჭებად შეყრილი, უცხო კაცს ეგონებოდა, სწორედ ამ წუთას რაღაც სერიოზული საზრუნავი გასჩენიაო... გარეგნულად გრაფი სრულებით არ გამოცვლილიყო ჩვენი ორწლიანი განშორების მანძილზე. ისეთივე პატარა, გამხდარი და მოშვეებული სხეული ჰქონდა, ისეთივე ვიწრო, ქლექიანივით მხრები და ციციქნა, წითური თავი. პატარა ცხვირი ძველებურად ვარდისფერი უჩანდა, ლოყებიც ისევე ემჩვარებოდა, როგორც ორი წლის წინ. სახეზე გამბედაობის, სიძლიერის, ვაჟკაცურობის ნატამალი არ ეტყობოდა... მხოლოდ სისუსტე, აპათიურობა და უნდობლობა. შთამბეჭდავი ჰქონდა მხოლოდ გრძელი, ძირს დაშვებული უღვაშები. ჩემს მეგობარს ვილაყამ უთხრა, გრძელი უღვაშები ვიხდებო, იმანაც დაუჯერა და ახლა ყოველ დღით ზომავს, რამდენად გაიზარდა მცენარეულობა მის გაცრეცილ ბაგეთა ზემოთ. ამ უღვაშებით ის მიაგავს უღვაშიან, მაგრამ ძალიან პატარა და სუსტ კნუტს.

გრაფის გვერდით იმავე მაგიდას უჯდა ჩემთვის უცნობი სქელი კაცი, რომელსაც დიდი, გაკრეჭილი თავი და მეტიმეტად შავი წარბები ჰქონდა. მსუქანი სახე მწიფე ნესვივით უპრიალებდა. უღვაშები გრაფზე გრძელი ჰქონდა, შუბლი პატარა, ტუჩები მოკუმული, თვალებით ზარმაცად შესჩერებოდა ცას... სახეზე სიმსუქნე მორეოდა, მაგრამ ნაკვთები მაინც გამხდარი ტყავით უხეში ჰქონდა, რუსს არა ჰგავდა... სქელ კაცს არც სერთუჯი ეცვა, არც ფილეტი, პერანგისამარა იყო, რომელზეც მუქად ემჩნეოდა ოფლისგან დასველებული ადგილები. ის სელტერის წყალს მიირთმევდა და არა ჩაის.

მაგიდიდან საპატიო მანძილზე იდგა დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი, მას წითელი, მსუქანი კეფა და გაფარჩხული ყურები ჰქონდა. ეს იყო გრაფის მოურავი, ურბენინი. მისი ბრწყინვალების ჩამობრძანებასთან დაკავშირებით ახალი, შავი სამოსი ეცვა და ძალიან იტანჯებოდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა წითელ, მზემოკიდებულ სახეზე. მოურავის გვერდით ის გლეხი დავინახე, მე რომ წერილი მომიტანა. მხოლოდ ასლა შევამჩნიე, რომ ამ გლეხს ცალი თვალი არ ჰქონდა. ჭანდაკებასავით უძრავად გაჭიმულიყო და შეკითხვებს ელოდა.

უნდა გამოგართვას კაცმა ეგ მათრახი, კუხმა, და ძვალ-რბილი გა-

გიერთიანოს. — ეუბნებოდა მას მოურავი თავისი შთამაგონებელი, რბილი ბანით. — შეიძლება ბატონის ბრძანების ასე აგდებულად შესრულება? განა არ უნდა გეთხოვა დაუყოვნებლივ მობრძანებულებით და ზუსტად გაგვეგო. როდის შესძლებდა მოსვლას?

— დიან, დიან. — ნერვიულობდა გრაფი. — ყველაფერი უნდა გაგვეგო! თქვა, მოვალნი! მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის? ის მე ახლავს მკლარდებდა!

— მაინც რისთვის დაგკირდა ასე სასწრაფოდ? — ჰკითხა გრაფს სქელმა კაცმა.

— მისი ნახვა მსურს!

— სულ ეგ არის? მე თუ მკითხავ, ალექსეი, ეგ შენი გამომძიებელი კარგს იზამს, თუ დღეს საკუთარ კერქვეშ დარჩება. მე ახლა სტუმრების თავი არა მაქვს.

თვალეები გამიფართოვდა. რას ნიშნავდა ეს მასპინძლური, მბრძალუბლური „მე“?

— მერე ის ხომ სტუმარი არ არის? — მავედრებელი ხმით უთხრა ჩემმა მეგობარმა. — ხელს არ შეგიშლის დაისვენო მგზვარობის შემდეგ. შეგიძლია, არ მოერიდო!.. აი, ნახავ, რა კაცია! მაშინვე შეგიყვარდება და დაუშვებობრდები, ჩემო კარგო!

იასამნის ბუჩქს მოვშორდი და მაგიდისკენ გავემართე. გრაფმა დამინახა. მიცნო და სახე დიმილმა გაუბრწყინა.

— აი, ისიც! აი, ისიც! — წამოიძახა სიამოვნებისაგან გაწითლებულმა და ფეხზე წამოხტა. — რა კარგია, რომ მოხვედი!

ჩემთან მოირბინა, შეხტა, მომეხვია და ჩხვლეტია ულვაშებით რამდენჯერმე მომჩხაპნა ლოყა. ხვევნა-კოცნას ხანგრძლივი ხელის ჩამორთმევა მოჰყვა, მერე თვალეებში ჩამაშტერდა...

— სერგეი, შენ სულ არ გამოცვლილხარ! ისევ ისა ხარ! ძველებურად ლამაზი და ღონიერი! მადლობელი ვარ, რომ პატივი დამდე და მოხვედი!

გრაფის მკლავებს რომ თავი დავაწლიე, მოურავს მივესალმე. ჩემს კარგ ნაცნობს, და მაგიდას მივუჩქექი.

— ოჰ, ჩემო კარგო! — განაგრძო ჩაღელვებულმა და ჭახარებულმა გრაფმა. — რომ იცოდე, როგორ მიხარია შენი სერიოზული ფიზიონომიის დანახვა! არ იცნობ? ნება მიბოძე წარმოგიდგინო: ჩემი კარგი მეგობარი, კეტან კაზიმიროვიჩ პშეხოცკი. ეს კი, — ახლა სქელს მიუბრუნდა და ჩემზე ანიშნა, — ჩემი ძველისძველი მეგობარია, სერგეი პეტროვიჩ ზინოვიევი! აკაური გამომძიებელი...

შავწარბა უცნობმა ოდნავ წამოიწია და თავისი მსუქანი, საშინლად ოფლიანი ხელი გამომიწოდა.

— ძალიან სასიამოვნოა, — ჩაიბურტყუნა და შემათვალიერა. — მობარული ვარ.

გრძნობები რომ გადმოაფრქვია და დაწყნარდა, გრაფმა დამისხა ცივი, მოწითალო-მურა ფერის ჩაი და ჩემი ხელისკენ გამოსწია ნამცხვრის კოლოფი.

— მიირთვი... მოსკოვში რომ გამოვიარე, ეინემთან ვიყიდე. მე შენზე გაჯავრებული რ. სერიოეა, ისე გაჯავრებული, რომ ჩხუბსაც კი გიპირებდი! ის აწ გეყოფოდა, რომ თვითონ ერთი სიტყვა არ მოგიწერია ამ ორი წლის მანძილზე. არც ერთ ჩემს წერილზე პასუხიც არ მალირსე! ამას მეგობრობა არა ჰქვია!

— წერილების წერა არ მეხერხება, თანაც მიმოწერისთვის დრო აღარ მრჩება. ეგეც არ იყოს, მითხარი, რა უნდა მომეწერა?

— როგორ თუ რა?

— რა და, არაფერი. მე მხოლოდ სამი სახის წერილს ვცნობ: სასიყვარულოს, მისალოცს და საქმიანს. პირველს ვერ მოგწერდები, რომ შენ ქალი არა ხარ, მე კიდევ შეყვარებული; მეორე შენ არ გკვირდება, მესამე კი თავისთავად გამორიცხულია. იმიტომ, რომ ჩვენ არასოდეს საერთო საქმე არაფერი გვქონია.

— დავუშვათ, ასეა, — დამეთანხმა გრაფი, რომელიც ყველას და ყველაფერს სწრაფად ეთანხმებოდა. — მაგრამ მაინც ხომ შეგეძლო დაგეწერა თუნდაც ერთი სტრიქონი... მერე კიდევ, პოეტრ ეგორიჩმა მითხრა, ამ ორი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაუხედია აქაურობისთვისო, თითქოს ათასი ვერსის იქით ცხოვრობდე ან... არ კადრულობდე ჩემს მამულს. შეგეძლო აქ გეცხოვრა. გენადირა. გარდა ამისა, იქნებ უჩემოდ აქ რა ხდებოდა?

გრაფი ბევრს და დიდხანს ლაპარაკობდა. ერთხელ თუ დაიწყებდა რაიმეზე საუბარს, აღარ გაჩუმდებოდა და აღარც გაათავებდა. რაც არ უნდა წერილმანი ყოფილიყო სასაუბრო თემა.

ბგერების წარმოთქმისას დაუღალაფი იყო, როგორც ჩემი ივან დემიანოვი. მის ამ თვისებას ვერ ვიტანდი. ამჯერად ლაქია ილიამ შეაჩერა, დალაქავებულ. გაცვეთილ ლივრეაში გამოწყობილმა მალაღმა, თხელმა კაცმა. მან გრაფს ვერცხლის სინით შემოუტანა სირჩა არაყი და ნახევარი ჭიქა წყალი.

გრაფმა დალია არაყი, დააყოლა წყალი, მოიკმუხნა და თავი გააქნია.

— ველარ მოეშვი ამ არყის ყლურწვას? — ვუთხარი მე.

— ველარ მოვეშვი, სერიოჟა!

— მაშინ ლოთივით კმუხვნას და თავის ქნევას მაინც შეეშვი, საშინელებაა.

— მალე ყველაფერს შევეშვები, ჩემო კარგო... ეჭიმებმა ამიკრძაღეს სმა. ახლა მხოლოდ იმიტომღა ვსვამ, რომ ერთბაშად დანებება მავნებელია... ნელ-ნელა უნდა გადავეჩვიო...

შევხედე გრაფის ავადმყოფურ, გაცრეცილ სახეს, არყის სირჩას, ყვითელ ფეხსაცმლიან ლაქიას, შავწარბა პოლოხელს. რომელიც პირველი დანახვისთანავე რატომღაც გაიძვერად და თაღლითად მომეჩვენა, გადავხედე ცალთვალა. გაქიმულ გლებს და ყველაფერმა ამან შემზარა, სული შემეხუთა...

უეცრად მომინდა გავშორებოდი ამ ბინძურ ატმოსფეროს, მანამდე კი თვალი ამეხილა გრაფისათვის და დამენახვებინა ჩემი უსაზღვრო ანტიპათია მის მიმართ: ერთი პირობა კინაღამ წამოვდექი კიდევ წასასვლელად... მაგრამ არ წავსულვარ... ხელი შემიშალა (მრცხვენია ამის თქმა) უბრალო ფიზიკურმა სიზარმაცემ...

— მეც მომიტანე არაყი! — ვუთხარი ილიას.

ხეივანს და ჩვენს მოედანს გრძელი ჩრდილები დაეფინა.

ბაყაყების შორეული ყიყინი, ყვავების ყრანტალი და მოლაღურების სიმღერა უკვე მზის ჩასვლის აღსანიშნავად გაისმა. დგებოდა გაზაფხულის საღამო...

— დასვი ურბენინი, — წავჩურჩულე გრაფს. — ბიჭივით დგას შენ წინაშე.

— ოჰ, მე თვითონ ველარ მოვიფიქრე! პიოტრ ეგორიჩ. — მიუბრუნდა გრაფი მოურავს. — დაბრძანდით, თუ შეიძლება! გეყოფათ დგომა! ურბენინი დაჯდა და მადლიერი თვალებით გადმომხედა. ყოველთვის ჩანმრთელი და მხიარული. დღეს ავადმყოფი და მოწყენილი მეჩვენა. დათეთქვილი. მთვლემარე ჰქონდა, მზერა ზანტი და უხალისო... — რა არის თქვენთან ახალი, პიოტრ ეგორიჩ? რა არის ჰქონდა კარნევემა. — ხომ არ მომხდარა რაიმე ისეთი... უჩვეულო და უცნაური?

— ყველაფერი ძველებურადაა. თქვენო ბრწყინვალება...
 — არც ახალი გოგონები არიან? პიოტრ ეგორიჩ?
 წესიერი პიოტრ ეგორიჩი გაწითლდა.
 — არ ვიცი. თქვენო ბრწყინვალება... მე ამ საქმეში არ ვერევი.
 — არიან, თქვენო ბრწყინვალება. — დაიბუხუნა აქამდე ჩუმად მდგარმა ცალთვალა კუზმამ... — როგორ არ არიან.

— კარგები?
 — ყველანაირები. თქვენო ბრწყინვალება. ვის როგორი მოსწონს... შავები, თეთრები, ყველანაირები...

— ერთი ამას დამინდეთ!.. მოიცა, მოიცა... ახლა მაგონდები... ჩემი ყოველი ლოპორელა, ჩემი მესაიდუმლე ზოგ-ზოგ ამბებში... შენ, მგონი, კუზმა გქვია. არა?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალება...
 — მახსოვს, მახსოვს... აბა, ვის გულისხმობ? ალბათ გლების გოგონები არიან, არა?
 — ჰო, უმეტესად გლების გოგონები, მაგრამ უკეთესებიც არიან...
 — ეს უკეთესები სადღა იპოვეს? — ჰკითხა ილიამ და აღმაცერად გადახედა კუზმას.

— საადღგომოდ ფოსტის უფროსთან ცოლისდა ჩამოვიდა... ნასტას ივანოვნა... ცეცხლივით გოგოა, თვითონაც მომწონს, მაგრამ ფული არა მაქვს... ისეთი ლოყაწითელაა, ისეთი კარგი, რომ... არის კიდევ იმისი მჯობნიც. თითქოს სწორედ თქვენ გელოდათ, თქვენო ბრწყინვალება. სულ ახალგაზრდაა, ფუნჩულა, სბარტი... ერთ რამედ ღირს. იმისთანა ლამაზია, თქვენო ბრწყინვალება. პიტინბურგშიც ვერ ნახავდით...

— განა ვინ არის?
 — ოლენკა, მეტყვევ სკვორცოვის გოგო.
 ურბენინის სკამს კრიალი აუტყდა. მოურავი ხელებით მაგიდას დაეკრძნო, ერთიანად გაწითლებული ნელა წამოდგა და ცალთვალა გლებისკენ მიაბრუნა თავი. დადლილობისა და მოწყენილობის გამომეტყველება. მის სახეზე ძლიერმა მრისხანებამ შეცვალა...

— გაჩუმდი, თავხედო!.. — შეუტია პირქუშად. — ცალთვალა უნასო!.. რაც გინდა ის იყბედე. წესიერ ხალხს კი თავი დაანებე!
 — მე თქვენზე არ მითქვამს, პიოტრ ეგორიჩ. — უტიფრად ჩაილაპარაკა კუზმამ.

— არც მე გეუბნები ჩემზე, ბრიყვო! მაგრამ... მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალება. — მიუბრუნდა მოურავი გრაფს. — მაპატიეთ, ცოტა გავცხარდი, მაგრამ თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვდი, აგეკრძალათ თქვენი ლობორელისთვის, როგორც თავად ინებეთ თქმა, არ გავერცელებინა თავისი გულმოდგინება იმათზე, ვინც ყოველნაირ პატივისცემას იმსახურებს.

— მე რა... — აჩლიფინდა გულუბრყვილო გრაფი — მგონი, ისეთი განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.

განაწყენებული და უკიდურესად აღელვებული ურბენინი მაგიდას მოშორდა და ჩვენკენ გვერდულად დადგა. გულზე ხელეზღვრულია. თვალეზანაშხამებულმა თავისი გაწითლებული სახე მოგვართვა. ამოეფარა და ჩაფიქრდა.

იქნებ წინასწარ გრძნობდა, რომ ახლო მომავალში მის თავმოყვარეობას ათასჯერ უფრო მწარე შეტრაცს მოილოდა?

— არ შესმის, რამ გააბრაზა! — წამჩურჩულა გრაფმა. — უცნაური კაცია! განა რა ითქვა ისეთი, რომ ასე ეწყინა?

ორი წლის ფხიზელი ცხოვრების შემდეგ კიკა არაფერს ჩემზე იმოქმედა და ოდნავ შემათრო ტვინში და მთელ სხეულში სიმსუბუქე, სიამე ჩამელვარა. თანაც საღამოს სიგრილე შევიგრძენი. რამაც ნელ-ნელა განდევნა დღის პაპანაქება... თანამოსაუბრეებს გასეირნება შევთავაზე გრაფს და მის ახალ პოლონელ მეგობარს შინიდან სერაფუკები გამოუტანეს. წავედით, ურბენინი უკან გამოგვეყვა.

გრაფის ბალი, სადაც ვსეირნობდით, მისი განსაკუთრებული სილამაზის გამო განსაკუთრებული, საგანგებო აღწერის ღირსია. ბოტანიკური, სამეურნეო თუ შრავალი სხვა თვალსაზრისით ის უფრო მდიდარული და გრანდიოზულია ყველა სხვა ბაღზე. რომლებიც რდესმე მინახავს. ზემოთ აღწერილი მწვანეთალოვანი პოეტური ხეივანების გარდა იქ ნახავთ ყველაფერს, რაც კი შეიძლება ისურვოს ყველაზე უფრო აბირებული ნემიკრის მზერამ. აქ არის ყოველგვარი, ადგილობრივი თუ უცხოური ხეხილი, დაწყებული ბლითა და ქლიავით და გათავებული მსხვილი, ბატის კვერცხისოდენა გარგარით, თუთა, კოწახური, ფრანგული ჯიშის მსხალი და თვით ზეთისხილიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება... აქვეა ნახევრად დანგრეული ნავსით ამოგებული მღვიმეები, შადრევნები, წყალსატევები ოქროს თევზებისა და ჭანარისათვის, გორაკები, ფანჯატურები, შვირფასი ორანჟერეები, მამა-პაპათა ხელით შეგროვილი ეს იშვიათი სილამაზე, ვარდებით სავსე დიდრონი, პოეტური მღვიმეების, უსასრულო ხეივანების მთელი სიმდიდრე ბარბაროსულად იყო მიტოვებული. სარეველა ბაღებისა და ქურდის ნაჯახის სათარეშოდ, ყვავების საჩიჯნად, თავიანთ უშნო ბუდეებს უბოდიშოდ რომ იკეთებდნენ იშვიათ ზეთა ტოტებზე. ამ ქონების კანონიერი მემკვიდრე ჩემ გვერდით მოაბიჯებდა და მის მაძლარ, სმისაგან გამოთავყვანებულ სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოვებულა გაუდაბურული, ადამიანის დაუდევრობასა და სიზარმაცეზე მლაღადებელი სურათის დანახვისას, თითქოს თვითონ არ ყოფილიყო ბალის პატრონი. მხოლოდ ერთხელ, სხვათა შორის, შენიშნა მოურავს, ცუდი არ იქნებოდა, ბილიკებზე ქვიშა რომ მოგებნიათო. უქვიშობას მიაქცია ყურადღება. თუმცა ეს ქვიშა არავის არაფერში არ სჭირდებოდა, და ვერ დაინახა გამხმარი, ცივი ზამთრისგან დაღუპული ხეები, ვერც ბაღში მოსეირნე ძროხები. მის შენიშვნაზე ურბენინმა უპასუხა, რომ ბალის მოსაველელად ათი კაცი მაინც იყო საჭირო. მაგრამ რაკი მის ბრწყინვალეობას თავის მამულში ცხოვრება არ სურს, ბაღზე სახსრების დახარჯვა ზედმეტ ფუფუნებად და უსარგებლო საქმედ მიმაჩნიაო. გრაფი, რა თქმა უნდა, დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

— თან არცა შეალოია, სიმართლე რომ ითქვას! — ჩაიქნია ხელი ურ-

ბენინმა. — ზაფხულში მინდვრად ვარ. ზამთარში ქალაქში ხორბალს ვყიდი...
ბალი ვილას ახსოვს!

მთავარი. ეგრეთ წოდებული „გენერალური“ ხეივანი, რომლის მთელ მომხიბვლელობას ბებერი, დიდრონი ცაცხვები და მთელ სიგრძეზე ორ მწკრივად ჩარიგებული ქრელი ტიტების მასა ქმნიდა, ბოლოში ყველაზე უფრო კით თავდებოდა. ეს გახლდათ ქვის ყვითელი ფანჩატური. სადაც ერთ დროს ბუფეტი იყო ბილიარდით, კეგლით და ჩინური სათამაშოთი. ჩვენ უაზროდ გავემართეთ სამ ფანჩატურისკენ... მის შესასვლელთან ცოცხალი არსება დაგვხვდა, რომელმაც ცოტა არ იყოს ნერვები აუფორიაქა ჩემს არც ისე მამაც თანამგზავრებს.

— გველი! — უეცრად წამოიყვირა გრაფმა. ხელი მტაცა და გაფითრდა. — შეხედე!

პოლონელმა ნაბიჯი უკან გადადგა. ერთ ადგილზე გაშეშდა და ხელე-ბი ისე გაშალა, თითქოს მოჩვენებას გზას უღობავსო... ნახევრად დანგრეული ქვის კიბის ზედა საფეხურზე გაწოლილიყო ჩვენებური, რუსული გველგეს-ლა. ჩვენს დანახვაზე თავი წამოსწია და შეირბა... გრაფმა კიდევ შეჰყვირა და ზურგს უკან ამომეფარა.

— ნუ გეშინიათ, თქვენო ბრწყინვალეებავ! — ზანტად თქვა ურბენინმა და პირველ საფეხურზე შედგა ფეხი....

— რომ გვიკბინოს?

— არ გვიკბენს. კაცმა რომ თქვას, ამ გველების ნაკბენზე ცოტა გადა-ქარბებულად ლაპარაკობენ. მე ერთხელ მიკბინა ბებერმა გველმა. მაგრამ არ მოვმკვდარვარ. როგორც ხედავთ, ადამიანის ნესტარი გველისაზე უფრო საშიშია! — წაიფილოსოფოსა ურბენინმა და ამოიოხრა.

და მართლაც. ორი-სამი საფეხური არც კი აუვლო მოურავს, რომ გველი მთელ სიგრძეზე გაიჭიმა და ელვის უსწრაფესად ჩაძვრა ორ ფილას შორის ნაპრალში. ფანჩატურში შესულებმა მეორე ცოცხალი არსება დავი-ნახეთ. ბილიარდის ძველ, გახუნებულ და მაუდშემოხეულ მაგიდაზე პატა-რა ტანის ბერიკაცი იწვა. მას ლურჯი პიჯაკი და შარვალი ეცვა. თავზე ეო-კეის ქუდი ეხურა. მოხუცს ტკბილად, უშფოთველად ეძინა. მისი უკბილო, ხის ფულუროს მსგავსი პირისა და წვეტიანი ცხვირის გარშემო ბუზები და-ფაცურობდნენ. ჩონჩხივით გამხდარი, პირდაღებული და უძრავი, საცხედრე-დან ახლახან ამოტანილ გასაკვეთ გვამს წააგავდა.

— ფრანც! — ხელი წაჰკრა მას ურბენინმა. — ფრანც! — ზუთი თუ ექვსი მუჯღუგუნის შემდეგ ფრანცმა პირი დახურა, წამოიწია, თვალი მო-ავლო ყველას და ისევ დაწვა. წუთის შემდეგ პირი ისევ ღია ჰქონდა და მისი ცხვირის ირგვლივ მოსეირნე ბუზებს ისევ აფრთხობდა ჩვრინვით გამოწვე-ული მსუბუქი რბევა.

— სძინავს ღორს — გამოიოხრა ურბენინმა.

— ეს, მგონი, ჩვენი მებაღე ტრიხერია, არა? — იკითხა გრაფმა.

— სწორედ ის გახლავთ... ყოველდღე ასეა... დღისით მკვდარივით სძი-ნავს, ღამე ბანქოს თამაშობს. დღეს, როგორც მითხრეს, დილის ექვს სა-ათამდე უთამაშია...

— რას თამაშობს?

— აზარტულ თამაშობებს... ქალალდს.

— ასეთი ბატონები საქმეს ცუდად აკეთებენ... სულ ტყუილად იღებენ ჯამაგირს.

— იმიტომ კი არ მითქვამს, თქვენო ბრწყინავლებავ. — გონს მოეგო ურბენინი, — რომ შემოგჩივლოთ ან უკმაყოფილება გამოგხატო, უნებურად წამომცდა... მეცოდება, რომ ასეთი ნიჭიერი კაცი ვნებებს არის აყოლილი, ისე კი მშრომელია, არა უშავს რა... ტყუილად არ იღებს ჯამაგირს.

ერთხელ კიდევ შევხედეთ ბანქოს მოყვარულ ფრანსისკო და სტანჩატურიდან გამოვედით, ახლა ბალის კუტიკარისკენ გავემართეთ, მინდორში რომ გადიოდნა.

იშვიათია რომანი, სადაც ბალის კუტიკარი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდეს. თუ თვითონ არ შეგინიშნავთ, ჩემს პოლიკარპს ჰკითხეთ, მას ხომ თავისი ცხოვრების მანძილზე ბლომად უკითხავს საშინელი და არასაშინელი რომანები, ის უეჭველად დაგიდასტურებთ ამ უბრალო, მაგრამ მაინც დამახასიათებელ ფაქტს, არც ჩემი რომანი დარჩენილა უკუტიკაროდ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩემს კალამს ბევრი უბედურის გატარება მოუწევს მასში და თითქმის არც ერთი ბედნიერისა, რაც სხვა რომანებში პირიქით ხდება. ყველაზე უარესი კი ის გახლავთ, რომ კუტიკარი ერთხელ უკვე აღეწერე, მაგრამ არა როგორც რომანისტმა, არამედ როგორც სასამართლოს გამომძიებელმა... ჩემთან ეს კარი უფრო ბოროტმოქმედთ მოემსახურება, ვიდრე შეყვარებულებს.

მეოთხედი საათის შემდეგ, ტროსტებზე დაყრდნობილნი გორაკზე აღდიოდით, რომელსაც ჩვენში „ქვის სამარეს“ უწოდებენ. გარშემო სოფლებში ლეგენდად ჰყვებიან, რომ ამ ქვის გროვის ქვეშ რომელიღაც თათარი ხანი განისვენებს, რომელსაც თურმე ეშინოდა, რომ სიკვდილის შემდეგ მის გვამს მტერი შეაგინებდა და ახდერძად დაუგდია, საფლავზე ქვებისგან გორა აღმართათ. მაგრამ ეს ლეგენდა არა მგონია სიმართლე იყოს... ქვის პლასტები, მათი ურთიერთმდებარეობა და სიდიდე გამორიცხავს ადამიანის ხელის ჩარევას გორის წარმოქმნაში, ის ეუღლად აღმართულა მინდორში და ერთი წებედვით, გადმობრუნებულ ჩაჩს წააგავს.

გორაზე ასულებმა დავინახეთ მთელი ტბა, მისი მომზიბლავი და ენით აუწერელი სილამაზე, მზე აღარ ირეკლებოდა შიგ: უკვე ჩასულიყო და ტბის ზედაპირზე დაეტოვებინა ვანიერი, მეწამული ზოლი, რომელიც ტბის სანახებს სასიამოვნო, მოვარდისფრო-მოყვითალო ელფერს ანიჭებდა. ჩვენ ფერხით გადაშლილიყო გრაფის მამული — სახლი, ეკლესია და ბაღი, შორს, ტბის ვაღმა მხარეს რუხად მოჩანდა პატარა სოფელი, სადაც, ბედისკ განჩინებით ჩემი რეზიდენცია მქონდა. ტბის ზედაპირი ისევ ისე უძრავი იყო, ბებერი მოხელის ნავები, ერთმანეთს დაშორებულნი, ნაპირისკენ ისწრაფვოდნენ.

ჩემი სოფლის მახლობლად შავად იხედებოდა რკინიგზის სადგურა ლოკომოტივის კვმალიანად, ჩვენ უკან, „ქვის სამარის“ მეორე მხარეს ახალი სურათი იშლებოდა თვალწინ, სამარის ძირში გზა გადიოდა, მის აქეთიქით ბებერი ალვის ხეები აღმართულიყვნენ, ეს გზა გრაფის ტყისკენ მიდიოდა, რომელიც პორიზონტამდე გადაშლილიყო.

მე და გრაფი გორაზე ვიდექით, ურბენინმა და პოლონელმა, როგორც მძიმე ხალხმა, ქვევით, გზაზე მოცდა არჩიეს.

— ეს რა ჩიტია? — ვკითხე გრაფს და პოლონელზე ვანიშნე. — სად გადაეყარე?

— ძალიან სასიამოვნო ბატონია, სერიოზა, ძალიან სასიამოვნო! — შეშფოთებით ჩაილაპარაკა გრაფმა. — შენ ძალიე დაუმეგობრდები!

— ეგ ჭერ კიდევ საკითხავია. რატომ ხმას არ იღებს?

— ბუნებით სიტყვაძუნწია! სამაგიეროდ ძალზე ჭკვიანია!

— მაინც რა კაცია?

— მოსკოვში გავიცანი. ძალიან მომეწონა. მერე ყველაფერს გაიგებ.



სერიოზა, ახლა კი ნუ მკითხავ. ჩავიდეთ?

სამარიდან ჩამოვედით და ტყისკენ გავყევით გზას. შესამჩნევად უჩვეულოდ დასწრეს წავიდეთ. შესამჩნევად უჩვეულოდ წავიდეთ. შესამჩნევად უჩვეულოდ წავიდეთ. შესამჩნევად უჩვეულოდ წავიდეთ.

ნელდა. ტყიდან მოისმოდა გუგულის ძახილი და დაქანცული სტვენა ახალგაზრდა ბულბულისა.

— ჰეი! ჰეი! — გავიგონეთ ბავშვის წკრიალა ხმა უკვე ტყესთან მისულემა. — აბა. დამიჭირეთ!

და ტყიდან გამოხტა ხუთიოდე წლის. სელივით თეთრთმიანი, ცისფერკაბიანი გოგონა. ჩვენს დანახვაზე ხმამაღლა აკისკისდა. ხტუნვა-ხტუნვით მიეჭრა ურბენის და მუხლებზე მოეხვია. ურბენიმა ხელში აიყვანა და ლოყაზე აკოცა.

— ჩემი ქალიშვილია. საშა! — თქვა მან. — იცნობდეთ. საშას ტყიდან მოსდევდა თხუთმეტით წლის გიმნაზისტი. ურბენის დაიხურა და ისევ მოიხადა. მის უკან ნელა მოძრაობდა წითელი ლაქა, ამ ლაქამ მაშინვე წიბპყრო ჩვენი ყურადღება.

— რა საოცრებაა! — წამოიძახა გრაფმა და ხელზე ხელი მტაცა. — უყურე, რა მშვენიერია! ვინ არის ეს გოგონა? არც კი ვიცოდი, თუ ჩემს ტყეში ამისთანა ნაიადები ბინადრობდნენ!

ურბენის შევხედე, რომ მეკითხა ქალიშვილის ვინაობა და, უცნაურია. მაგრამ იმ წუთას პირველად შევამჩნიე, რომ მოურავი ძალიან მთვრალი იყო, კიბორჩაბლასავით გაწითლებული ერთი შექანდა, მერე იდაყვზე ჩამებლაუჭა.

— სერგეი პეტროვიჩი! — ჩამჩურჩულა ყურში და არყის სურნელი შემომათრქვია. — გევედრებით, ნულარაფერს ათქმევინებთ გრაფს აქ ქალიშვილზე. შეიძლება ზედმეტი მოუვიდეს. როგორც საზოგადოდ სჩვევია. ეს კი მეტისმეტად ღირსეული პიროვნებაა!

„მეტისმეტად ღირსეული პიროვნება“ ცხრამეტი წლის მშვენიერი, ქერათმიანი ქალიშვილი იყო. ცისფერი, კეთილი თვალები და გრძელი კულულები ჭკონდა. ღია წითელი ფერის, ნახევრად ბავშვური, ნახევრად ქალიშვილური კაბა ეცვა. წითელწინდებიან კობტა ფეხებზე პაწაწინა, თითქმის ბავშვური ფეხსაცმელები ეცვა. მრგვალი მხრები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მისი ცქერით ვტკბებოდი, კეკლუცად ეშმუშნებოდა. თითქოს სცივაო, ანდა ჩემი მზერა ჩხვლეთდა.

— ასეთი ახალგაზრდა სახე აქვს და ასე განვითარებული ფორმები! — წამჩურჩულა გრაფმა, რომელსაც ადრეულ ჭიყმაწვილეშივე დაკარგული ჭკონდა იმის უნარი, რომ ქალისთვის პატივისცემით შეეხედა და არა გარყვნილი ცხოველის თვლით.

მე კი, მახსოვს, გულში საამო გრძნობა ჩამელვარა. ჭერ კიდევ პოეტი ვიყავი და ტყის მაისის საღამოს, ცაზე აკიაფებული მწუხრის ვარსკვლავის გარემოცვაში შემეძლო ქალისთვის მხოლოდ პოეტურად მეცქირა... წითელკაბიანი ქალიშვილს ისეთივე სასოებით შევყურებდი, როგორც ტყის, მთების, ლაყვარდოვანი ცის ჭკრეტა მჩვეოდა. სიღვე შემომრჩენოდა ჭერმანელი დედისგან შემკვიდრებით გადმოცემული სანტიმენტალობის ნაშთი.

— ვინ არის? — იკითხა გრაფმა.

— მეტყევე სკორცოვის ქალიშვილია, თქვენო ბრწყინვალეებავ! —
თქვა ურბენინმა.

— ეს ის ოლენკაა, რომელზედაც ცალთვალა გლენი ლაბარაკობდა?

— დიახ, ახსენა მისი სახელი. — უპასუხა მოურავმა და თვალეზგა-
ფართოებულმა ვედრებით შემომხედა.

წითელკაბიანმა ქალიშვილმა ისე ჩაგვიარა, ^{უჩინველნი} ^{ვეტუბოლუდჳნი} ^{ქურავითარო}
ყურადღება ჩვენთვის არ მოუქცევია. მისი თვალეზი სადღაც, სხვაგან იყუ-
რებოდნენ. მაგრამ მე, რომელიც ქალებს კარგად ვიცნობ, სახეზე ვგრძნო-
ბდა მის გუგებს.

— რომელია გრაფი? — გავიგონე ზურგს უკან მისი ჩურჩული.

— აი ეს, გრძელულვაშიანი, უპასუხა გიმნაზისტმა.

ვერცხლივით წვრილა სიცილი მოგვესმა... ეს იყო იმედგაცრუებულის
სიცილი... მას ეგონა, რომ გრაფი, ამ უზარმაზარი ტყეებისა და ვრცელი
ტბის პატრონი, მე ვიყავი და არა ლოთისსახიანი, გრძელულვაში პიგმეი.

ურბენინის ძალუმი მკერდიდან ამომხდარი თებრა გავიგონე, რკინის კა-
ცი ძლივსღა ინძრეოდა.

— გაუშვი მოურავი, ჩავჩურჩულე გრაფს, ან ავაღაა ან...

მთვრალია.

— თქვენ, მგონი, ავად ხართ, პიოტრ ეგორიჩ, — მიუბრუნდა გრაფი
ურბენინს — მე არ მქირდებით, ამიტომ აღარც დაგაყოვნებთ.

— ნუ წუხდებით, თქვენო ბრწყინვალეებავ, გმადლობთ ყურადღებისთ-
ვის, მაგრამ ავად არა ვარ.

უკან მივიხედე, წითელი ლაქა არ იძვროდა, ჩვენ მოგვჩერებოდა...
საბრალო ქერათმიანი თავი! რას ვიფიქრებდი მაისის იმ წყნარ საღა-
მოს, რომ ეს გოგონა ჩემი მშფოთვარე რომანის გმირი გახდებოდა?

აბლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს თბილ ფანჯრებს ავად ეხეთქება
შემოდგომის წვიმა და სადღაც, ზემოთ, ქარი ღმუის, შევეყურებ ბნელ ფან-
ჯარას და ლამის წყვდიადის ფონზე ვცდილობ წარმოსახვის ძალით გავა-
ცოცხლო მშვენიერი აჩრდილი... და აი, ეხედავ მის ბავშვურად უმანკო,
წრფელ, კეთილ სახეს, მოსიყვარულე თვალებს, მინდა დავაგდო კალამი და
დავხიო, დავწვა ყოველივე, რაც უკვე დავწერე, რისთვის შევაშფოთო ამ
ახალგაზრდა, უცოდველი არსების ხარე ჩემს მაბსოვრობაში?

მაგრამ აქვე, ჩემს სამელნესთან დგას მისი ფოტოგრაფიული პორტრე-
ტი, ამ პორტრეტზე ქერათმიანი თავი წარმოდგენილია ზნედაცემული მშვე-
ნიერი ქალის მთელი ამოი დადებულებით, მოქანცული, მაგრამ გარყვნი-
ლებით გაამაყებული თვალეზი სურათზე უძრავია, აქ სწორედ ის გველია,
რომლის ნაკბენსაც ურბენინი ვერ უგულოებელყოფდა.

მან კოცნა უძღვნა ქარიშხალს, ქარიშხალმა კი ყვავილი შიგ ძირში
გადატეხა, ბევრი მიიღო, სამაგიეროდ, საფასურიც მეტიმეტად ძვირი
გადაიხადა, მკითხველი ალბათ მიუტყვევებს ცოდვებს...

ჩუუნ ტყეში შევედით, ფიქვები თავს გაბეზრებენ მდუმარე ერთფე-
როვნებით, ერთი სიმაღლის არიან, ერთმანეთს ჰგვიანან და წლის ყველა
დროს ერთნაირად გამოიყურებიან, არც სიკვდილი იციან, არც საგაზაფხულო
გამოცოცხლება, სამაგიეროდ, გიზიდავენ თავიანთი პირქუშობით; უძრავ-
ნი არიან და უხმაურონი, თითქოს მოსაწყენ საფიქრალს ფიქრობდნენ.

— ხომ არ დავბრუნებელიყავით? — შემოგვეთავაზა გრაფმა, შეკითხ-
ვას პასუხი არ მოსყოლია, პოლონელისთვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა.

ურბენინს თავისი ხმა გადამწყვეტად არ მიაჩნდა. მე კი ძალზე მესიამოვნა ტყის სიგრილე, ფისის სუბრეკლით გაყვანილი ჰაერი და არ მინდოდა დაბრუნება. თანაც საჭირო იყო დაღამებამდე როგორმე მოგვეკლა დრო, თუნდაც უბრალო გასეირნებით. მოახლოებულ ველურ ღამეზე ტკბილად მიღიტივებდა გულში. მრცხვენი იქნა, მაგრამ უკვე მომავალი მომავალ სიამოვნებაზე გრაფი წამდაუწუმ საათზე იყურებოდა. ბოდა, მასაც აწუხებდა ლოდინი ვგონობდით, რომ გვესმოდა ერთმანეთისა.

მეტყვევის პატარა სახლთან, რომელიც ფიჭვებს შორის, მომცრო კვადრატულ მოედანზე მიყუჩულდყო, ხმაძალალი, გაბმული ყეფით შემოგვხვდა ორი ცეცხლისფერი, ჩემთვის უცნობი ჯიშის ციციქნა ძაღლი. გველთევზებით მოქნილები და მბზინავნი, ურბენინი რომ იცნეს, კუდები მზიარულად ააქიცინეს და მასთან მიიბრუნეს. რაც იმას ნიშნავდა, რომ მოურავი ხშირად სტუმრობდა მეტყვევის სახლში. აქვე სახლთან შეგვხვდა ვიღაც ყმაწვილი, უჩექმებოდ და უქულოდ. გაოცებულ სახეზე მსხვილი კორფლი ეყარა. ერთ წუთს თვალედაქცეტილი მდუმარედ მოგეჩერებოდა. მერე ალბათ იცნო გრაფი, უეცრად მებრუნდა და სახლში კისრისტებით შევარდა.

— ვიცი, რატომაც გაიქცა. — გაიცინა გრაფმა. — მახსოვს... ეგ მიტკაა. გრაფი არ შემცდარა. წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მიტკა სახლიდან გამოვდდა, სინით არყის სირჩა და ნახევარი ჭიქა წყალი მოქქონდა.

— ჯანმრთელობას გისურვებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ! — თქვა მან და ბრიყვეული, გაოცებული სახე ღიმილმა გაუბადრა.

გრაფმა არაყი დალია, წყალი მიაყოლა. მაგრამ ამჯერად აღარ დამანჭულა. სახლიდან ასიოდე ნაბიჯზე თუჯის სკამი იდგა, ისეთივე ძველი, როგორც ძველი ფიჭვები. ჩვენ ამ სკამზე ჩამოვსხედით და მაისის საღამოს წყნარი სილამაზის ჯვრეტას შევუდექით. ჩვენს თავზე ურანტალით დაფრინავდნენ ყვავები, სხვადასხვა მზრიდან მოისმოდა ბუღბუღლთა სიმღერა; მხოლოდ ეს ხმები არღვევდა საყოველთაო მდუმარებას.

გრაფს არ შეეძლო ჩუმად ყოფნა თვით გაზაფხულის წყნარ საღამოსაც კი, როცა ადამიანის ხმა ყველაზე ნაკლებად გესიამოვნება.

— არ ვიცი, კმაყოფილი დარჩები თუ არა, — მომიბრუნდა იგი. — ვაბშმად უბა და ნანადირევი შევუკვეთე. არაყზე დასაყოლებლად ცივი ზუთხი და გოჭი გვექნება პირმუშხათი.

თითქოს ამ პროზამ გააბრაზაო, პოეტურმა ფიჭვებმა უეცრად კენწეროები შეარჩიეს და ტყეს ჩუმმა დრტვინვამ გადაურა. გრილმა ნიავმა გადაუქროლა განაკაფს და ბალახს ვაეთამაშა.

— კარგი, გეყოფათ! — გაუჯავრდა ურბენინი ცეცხლისფერ ძაღლებს. რომლებიც თავიანთი ალერსით პაპიროსის მოკიდებას არ აცლიდნენ. — მე მგონი, იწვიმებს. ჰაერში წვიმის სუნი დგას. დღეს ისე ცხელოდა, რომ სწავლული პროფესორი არ არის საჭირო წვიმის საწინასწარმეტყველოდ. ყანისთვის კარგი იქნება.

„მერე რაში გარგია ეგ ყანა. — გავიფიქრე ჩემთვის. — თუ გრაფი ყველაფერს, სასმელს გადააგებს? წვიმამ თავი არც კი უნდა შეიწუხოს“

ტყეს ისევ გადაუქროლა ნიავმა. ამჯერად უფრო ძლიერად, ფიჭვებისა და ბალახის დრტვინვაც უფრო ხმაძალლა გაისმა.

— წავიდეთ სახლში. — წამოვდექით და ზარმაცად გავბრუნდით უკან, პატარა სახლისკენ. — სჯობს ჭერათმიანი ოლენკა იყო. მივუბრუნდი ურბენინს. — და

აქ იცხოვრო, მხეცებთან, ვიდრე სასამართლოს გამოძიებელი და ადამიანებთან ცხოვრობდე... უფრო მშვიდად იქნები. ასე არ არის, პოეტრ ეგორიჩი — ვინც გინდა ის იყავი, ოღონდ სული მშვიდად გქონდეს, სერგეი პეტროვიჩი.

— ამ მშვენიერ ოლენკას მშვიდად აქვს სული? — სხვისი სულის ამბავი მხოლოდ ღმერთმა იცის. მგონია, რომ შესაშფოთებელი არაფერი არ უნდა ჰქონდეს. სადარდებელი არაფერი აქვს და პატარა ბავშვივით უცოდველია... ძალიან კარგი გოგონაა აი, როგორც იქნა, ცამაც გვამცნო წვიმის მოახლოება...

— მოისმა გრუხუნნი, თითქოს შორს ეკიპაჟმა ჩაიარა, ან კეგლს თამაშობენო... სადღაც, ტყის გაღალმა, დაიჭუხა... მიტკამ, რომელიც თვალს არ გვაშორებდა, სასწრაფოდ პირჯვარი გადაისახა.

— ქუხს! — შეშფოთდა გრაფი. — აი სიურპრიზი! გზაში ალბათ წვიმაც მოგვისწრებს... თან როგორ ჩამოხველდა! ვთქვი, დავბრუნდეთ-მეთქი, ვინ დაგიჯერა!

— წვიმას იმ პატარა სახლში შევეფარებით, — შევთავაზე მე.

— როგორ თუ იმ სახლში? — თქვა ურბენინმა და როგორღაც უცნაურად აახამხაჟა თვალები. — წვიმამ იქნებ მთელი ღამე არ გადაიღოს, მამ მთელი ღამე იქ ისხდებით? ნუ იხებებთ, ნუ შეწუხდებით. მოგანაგრძეთ გზა, მიტკა კი წინ გაიქცევა, ეკიპაჟს გამოგიგზავნით.

— არაფერია, მთელ ღამეს ალბათ არ იწვიძებს... კეჭა-ქუხილის ღრუბლები ჩქარა იფანტებიან ხოლმე... ეგეც არ იყოს, ახალ მეტყევეს ჯერ არ ვიცნობ, ამ ოლენკასთან საუბარიც ურიგო არ იქნებოდა... ვნახედით, რა ჩიტიია...

— მე თანახმა ვარ! — თქვა გრაფმა.

— იქ როგორ შეიძლება თქვენი მარძანება, როცა იქაურობა... მიუღავებელია? — ვნა დაება შეშფოთებულ ურბენინს. — იმ ჩახუთულ სახლში ჯდომა რა სიამოვნებაა, თქვენო ბრწყინვალება... არ მესმის!.. რა გაცნობა გამოვა, როცა მეტყევე ავადა...

ამჯერა იყო, მოურავს ძალიან არ უნდოდა, რომ ჩვენ მეტყევის სახლში შევსულიყავით. ხელებიც კი გაშალა, თითქოს გზას გვიღობავსო... სახეზე შევატყვე, საამისო მიზეზი ჰქონდა. დიდ პატივს ვცემ სხვათა მიზეზებს და საიდუმლოებას, მაგრამ ამჯერად ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა. მე ჩემი გავიტანე და სახლში შევედი.

— დარბაზში შემობრძანდით! — კი არა თქვა, რაღაცნაირად ამოისლოკინა ალტაცებისგან სუნთქვაშეკრულმა ფეხშიშველა მიტკამ.

წარმოიდგინეთ მთელ დედამიწის ხურგზე ყველაზე პატარა დარბაზი. შეუღებავი ხის კედლებით, კედლებზე „ნივას“ ოლეოგრაფიები, ნივარებიან ჩარჩოებში ჩასმული ფოტოსურათები და ატესტატები ჰკიდია... ერთი ატესტატი რომელიღაც ბარონის მადლობას წარმოადგენს ჩანგოძლივი სამსახურისთვის, დანარჩენები — ცხენებისაა, აქა-იქ, კედელზე სურს აცოცებულა.. კუთხეში, პატარა ბატის წინ წყნარად ციმციმებს და ვერცხლის პურანგზე ირეკლება ცისფერი ალი. კედლებთან სკამები ჩაურჩებიათ, ეტყობა, ახალი ნაყიდია... ზედმეტი მოსვლიათ, მაგრამ მაინც დაუდგამთ, აბა სად წაეღოთ... აქვე შეყუყულან ფურჩალებითა და მაქმანებით გაწყობილ თეთრ, ქათქათა შალითებში გამოხვეული საფარძლები და დივანი, დგას მრგვალი, პრილა მაგიდა, დივანზე თვლებს შინაური კურდღელი. ირგვლივ

მყუდროებაა, სისუფთავე და სითბო — ყველავეს ეტყობა ქალის ხელი, წიგნებიანი თაროებიც კი უბიწოდ, როგორღაც ქალურად გამოიყურება, თითქოს სურს გითხრათ, უწყინარი რომანებისა და მშვიდი ლექსების მეტს არაფერს ვინახავო... ასეთი მყუდრო, თბილი ოთახების მომზადებლობა და სინესტისაგან თავშესაფარს ეძიებ...

მიტკამ ჰმაურით, ქსუტუნით, სულის ბერვით და ასანთის ჩხაკუნით აანთო ორი სანთელი და რძესავით ფრთხილად დადგა მაგიდაზე. ჩვენ სავარძლებზე ჩამოვსხედით, ერთმანეთს გადავხედეთ და გავიციინეთ...

— ნიკოლაი ეფიმოვიჩი ავად არის და წევს. — მასპინძელთა არყოფნა აგვიხსნა ურბენინმა. — ოლგა ნიკოლაეენამ კი ალბათ ჩემი ბავშვები გააცილა...

— მიტკა, კარი დაკეტილია? — გავიგონეთ სუსტი ტენორი მეზობელი ოთახიდან.

— დაკეტილია, ნიკოლაი ეფიმოვიჩი! — ამოიხროტინა მიტკამ და კისრისტენით გაეარდა მეორე ოთახში.

— ჰო, ჰო... ნახე, ყველა კარი დაკეტილია თუ არა.. — გაიმეორა იმავე სუსტმა ხმამ — გასაღებით, კარგა მაგრად... თუ ქურდები შემოძვრებიან, დამიძახე... თოფით დავიფრენ იმ არამზადებს, იმ სალახანებს, იმათ...

— უეჭველად, ნიკოლაი ეფიმოვიჩი!

ჩვენ გაგვეცინა და კითხვით შევხედეთ ურბენინს. ის გაწითლდა და შეცბუნების დრამატულად ფანჯარაზე ფარდის სწორება დაიწყო... რას ნიშნავდა ეს ყოველივე? ჩვენ ისევ გადავხედეთ ერთმანეთს.

მაგრამ გაოცების დრო აღარ იყო. გარედან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა, მერე წინკარში აბმაურდნენ და კარი გააჯახუნეს. „დარბაზში“ წითელკაბიანი ქალიშვილი შემოფრთხილდა.

— „მიყვარს ქუჩილი მაისის თვეში!“ — წაიმღერა მან მაღალი, წრიპინა სოპრანოთი, სიმღერას სიცილი მოაყოლა, მაგრამ უეცრად ჩვენ დაგვინახა და ერთბაშად გაჩერდა, დადუმდა.

დაბნეული ქალიშვილი წყნარად გაბრუნდა და იმ ოთახში გავიდა, საიდანაც ეს არის ახლა მამამისის, ნიკოლაი ეფიმოვიჩის ხმა მოისმოდა.

— არ გველოდა! — ჩაიციხა ურბენინმა.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონა ჩუმად შემოვიდა, კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა და თვალთვლება დაგვიწყო. თამამად, პირდაპირ გვიყურებდა, თითქოს მისთვის უცნობი ადამიანები კი არა, ზოოლოგიური ბაღის ბინადარი ცხოველები ვიყავით. წუთით ჩვენც ასევე მდუმარედ, გაუნძრევლად შევცქეროდით... თანახმა ვიქნებოდით, მთელი წელი ვმჯდარიყავი ასე და მისთვის მეცქირა — ისეთი მშვენიერი იყო იმ საღამოს, ატკრეცილი ლოყები, სუნთქვაგახშირებული, ამავალ-ჩამავალი მკერდი, ქერა კულულები — ჩამოშლილი შუბლზე, მბრებზე, მარჯვენა ხელზე, რომლითაც საყელოს ისწორებდა; დიდრონი, მბრწყინავი თვალები... ეს ყოველივე ერთ პატარა სხეულზე, ერთი შეხედვით აღსაქმელად, ერთხელ შეხედავ ამ პატარა სივრცეს და უფრო მეტს დაინახავ, ვიდრე მაშინ, მთელი საუკუნეები რომ გემზირა უსასრულო პორიზონტისთვის... მე დინჯად შემომცქეროდა, ქვემოდან ზევით, კითხვის გამომხატველი მზერით; როცა მისი თვალები ჩემგან გრაფზე ან პოლონელზე გადაინაცვლებდნენ, მათში საწინააღმდეგოს ვკითხულობდი: ზემოდან ქვემოთ მოძრავ მზერას და სიცილს...

პირველმა მე ამოვიღე ხმა...

— გაგეცნობით. — ვუთხარი ქალიშვილს: წამოვდექი და მასთან მივედი. — ზინოვიევი... ეს კი. გაიცანით. ჩემი მეგობარო გარდა კარნევი... გთხოვთ, მოგვიტევეთ, რომ დაუპატიჟებლად შემოგვეპირით თქვენს მშვენიერ სახლში. რა თქმა უნდა. ამას არ ვიზამდით, ქაქუჩისთვის არ დავეფრთხეთ...

ზინოვიევი

— რა მოხდა მერე. ჩვენი სახლი ამით არ დაინგრევა! — თქვა მან. გაიცინა და ხელი გამომიწოდა. მშვენიერი კბილები გამოუჩნდა. მის გვერდით სკამზე ჩამოვჯექი და ვუამბე. რა მოულოდნელად დაგვატყდა თავს აედარი. საუბარი ამინდზე ჩამოვარდა — ყველა დასაწყისის დასაწყისზე ვიდრე ჩვენ ვსაუბრობდით. მიტკამ ორჯერ მოასწრო გრაფისთვის არყისა და მასთან განუშორებელი წყლის მიტანა. გრაფმა ისარგებლა იმით, რომ მისკენ არ ვიხედებოდი, ორჯერვე სიამოვნებით დაიმანჭა და თავი გადააქნია.

— ხომ არაფერს მიირთმევდით? — მკითხა ოლენკამ და ჩემს პასუხს არ დალოდებია. ისე გავიდა ოთახიდან.

წვიმის პირველი წვეთები მიწებზე ახმაურდნენ... ფანჯარასთან მივედი... უკვე სავსებით ბნელოდა. ვერაფერი დავინახე. გარდა ძირს დაცურებული წვეთებისა და საკუთარი ცხვირის ანარეკლისა. ელენას შუქმა გაიბრწყინა და რამდენიმე უახლოესი ფიჭვი გაანათა.

— კარი დაკეტილია? — ისევ გავიგონე სუსტი ტენორი. — მიტკა, შე არამზადავ. შენა. დაკეტე კარი! ო. ღმერთო, რა შეგცოდნ!

ღარბაზში დედაკაცი შემოვიდა. რომელსაც სარტყლით ჩადაჭერილი ორმაგი მუცელი და ბრიყვეული, გაბეზრებული სახე ჰქონდა. მდაბლად დაუტრა თავი გრაფს და მაგიდას თეთრი სუფრა გადაათარა. მას ფრთხილად შემოჰყვა მიტკა საუზმეულით ხელში. სულ მალე სუფრაზე გაჩნდა არაყი, რომი, ყველი და თევზით რომელიღაც შემწვარი ფრინველი. გრაფმა არაყი დალია. ჭამით კი არაფერი ჭამა. პოლონელმა ექვით დაყნოსა ფრინველი და დაქრას შეუდგა.

— უკვე წვიმა დაიწყო! შეჩედეთ! — ვუთხარი შემოსულ ოლენკას.

წითელკაბიანი ქალიშვილი ჩემს ფანჯარასთან მოვიდა და სწორედ იმ წამს ორივე თეთრმა შუქმა გაგვანათა... ზემოთ ჭახანი ვაისმა. და უეცრად მომეჩვენა, რომ რაღაც დიდი. მძიმე მოსწყდა ეას და გრუხუნით დაენარცხა დედამიწას... ფანჯრის მიწები და გრაფის წინ მდგარი არყის ჭიქები აზრიადნენ და თავიანთი მინისებრი ხმა გამოსცეს... დარტყმა ძლიერი იყო...

— გეშინიათ მეხის? — ვკითხე ოლენკას.

მან ლოყა თავის მრგვალ მხარს შეახო და ბავშვურად, ნდობით შემომხედა.

— მეშინია. — წაიჩურჩულა მცირე დაფიქრების შემდეგ. — მეხმა მე დედა მომიკლა... ამაზე ვაზეთებშიც წერდნენ... დედა მინდორში მიდიოდა და ტიროდა... ძალიან მწარე ცხოვრება ჰქონდა... ღმერთმა შეიბრალო და თავისი ციური ელექტრობით მოკლა.

— საიდან იცით, რომ იქ ელექტრობაა?

— მე ვსწავლობდი... იცით, მეჩისგან მოკლულები, ომში დახოცილები და მძიმე მშობიარობას გადაყოლილნი სამოთხეში ხვდებიან... ეს წიგნებში არ წერია. მაგრამ კეშმარიტებაა. დედაჩემი ახლა სამოთხეშია. ალბათ მეც მეხი მომიღებს ოდესმე ბოლოს და სამოთხეში ვიქნები. თქვენ ვანათლებული ბრძანდებით?

— დიან...

— მაშინ არ დამცინებთ. გეტყვით, როგორ მინდა მოვკვდე. ჩავიცვა ყველაზე ძვირფასი, მოდური კაბა, როგორც ამ დღეებში აქაურ მდიდარ მემამულეს, ქალბატონ შეფერს ეცვა. ჩელებზე სამაჯურები ავისხა... ავიდე „ქვის სამარის“ წვერზე და მეხს მოვაკვლევინო თავი, ისე, რომ ღამ დამინახოს... საშინელი ქექა და უეცარი დასასრული... გამიგონებ?

— რა ველური ფანტაზიაა! — გამეცინა მე და საზარელი. ტური სიკვდილის წინაშე ღვთიური შიშით გაფართოებულ თვალებში ჩაბედე. — უბრალო კაბით არ ისურვებდით სიკვდილს?

— არა... — თავი გააქნია ოლენკამ... თანაც მინდა ყველამ დამინახოს. — ეგ თქვენი კაბა ყველა მოდურ და ძვირფას სამოსს სჯობს... ძალიან გიხდებათ. მაგ კაბით მწვანე ტყის ალისფერ ყვავილს ჰგავხართ.

— არა, ტყუილია! — მიამიტად ამოიხრა ოლენკამ. — ეს იაფფასიანი კაბაა, ამიტომ კარგი ვერ იქნება.

ჩვენს ფანჯარას გრაფი მოუახლოვდა აშკარა განზრახვით — გამოლაპარაკებოდა ღამაზ ოლენკას. ჩემი მეგობარი სამ ევროპულ ენაზე საუბრობს, ქალებთან მუსაიფს კი ვერ ახერხებს. უხერხულად გაჩერდა ჩვენ გვერდით, უაზროდ გაიღიმა. „პოო“. ჩაიბურტყუნა და უკანვე გაბრუნდა, არაყის გრაფინისკენ.

— ოთახში რომ შემოდით. — ვუთხარი ოლენკას, — მღეროდით: „მიყვარს ქუხილი მაისის თვეში“. განა ამ ლექსს მღერიან?

— არა, მე ჩემებურად ვმღერი ყველა ლექსს, რომელიც კი ვიცი.

შემთხვევით უკან მივიხედე. ურბენინი ჩვენ შემოგვეკეროდა. მის თვალებში ზიზღი, ბრაზი ამოვიკითხე. რაც სულ არ შეეფერებოდა მის კეთილ, რბილნაკეთებიან სახეს.

„ნომ არ ეკვიანობს?“ — გავიფიქრე ჩემთვის.

ჩემი გაოცებული მზერა რომ შეამჩნია, საწყალი წამოდგა და წინკარში გავიდა, ვითომ საქმისთვის. სიარულობაც კი ეტყობოდა, რომ აღელვებული იყო. ქუხილი გაძლიერდა და გახშირდა... ელვა განუწყვეტლივ ანათებდა თავისი საამო, დამაბრმავებელი შუქით ცას, ფიქვებს, სველ მიწას... წვიმა გადაღებას არ აპირებდა. ფანჯარას მოვცილდი. წიგნებიან თაროებთან მივედი და ოლენკას ბიბლიოთეკის თვალიერება დავიწყე. „მითხარი, რას კითხულობ, და გეტყვი ვინა ხარ“ — მაგრამ თაროებზე სიმეტრიულად განლაგებული ქონებიდან ძნელი იყო რაიმე დასკვნის გამოტანა ოლენკას გონებრივ დონესა და „განათლების ცენზზე“ ეს იყო რაღაც უცნაური ნარევი. სამი ქრესტომათია, ბორნის ერთი წიგნი, ევტუშევსკის ამოცანები, ლერმონტოვის მეორე ტომი, შკლიარევსკი, ჟურნალი „საქმე“, სამზარეულო წიგნი, „ფსონი“... კიდევ შემეძლო ჩამომეთვალა, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც თაროებიდან „ფსონი“ გადმოვიღე და გადავფურცლე, ოთახის კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდა სუბიექტი. რომელმაც მაშინვე აარიდა ჩემი ყურადღება ოლენკას განათლების ცენზს. ეს იყო ჩითის ხალათსა და დახეულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი, საკმაოდ ორიგინალური სახის პატრონი, ლურჯად დაქსელილი, ფელდფებელის ულვაშებითა და ბაკენბარდებით შემკული სახე ფრინველის ფიზიონომიას მიუგავდა, ისე ჰქონდა წაწვეტიებული, ჭითქოს ცხვირის წვერისკენ მიისწრაფისო... ასეთ სახეებს, მგონი, „დოქის დრუნჩას“ ეძახიან, ამ სუბიექტის პატარა თავი ისე ქანაობდა გრძელ, გამხდარ, დიდხვანჩიან კისერზე, როგორც შოშიას

ბუდე ქარში... უცნაურმა კაცმა ამოვრეული. მწვანე თვალები მოგვავლო და გრაფს მიაშტერდა...

— კარი დაკეტილია? — იკითხა მუდარით.

გრაფმა გადმომხედა და მხრები აიჩეჩა.

— ნუ გეშინია, მამილო! — უთხრა ოლენკამ...
ტილია... წადი შენს ოთახში!



— საბჭელიც დაკეტილია?

— ეს ცოტა ვერ არის... ხანდახან ატრევეს ხოლმე, — გვიჩურჩულა ურბენინმა, რომელიც წინკარიდან მობრუნდა. — ქურდების ეშინია და როგორც ხედავთ, კარის დაკეტვის ამბავი ძალიან აწუხებს... ნიკოლაი ეფიმოვიჩი. — მიუბრუნდა უცნაურ სუბიექტს. — წადი შენს ოთახში და დაიძინე! ნუ გეშინია, ყველაფერი დაკეტილია!

— ფანჯრებიც დაკეტილია?

ნიკოლაი ეფიმოვიჩმა სწრაფად მოიბრინა ყველა ფანჯარა, მოსინჯა საკეტები, ჩვენთვის არც კი შემოუხედავს. ისე წაფრატუნდა თავის ოთახში.

— ხანდახან ემართება ხოლმე ასე საცოდავს, — აგვიხსნა ურბენინმა მისი წასვლის შემდეგ. — კარგი კაცია, სასიამოვნო, თანაც ოჯახის პატრონი... ასე კი მოსდის! თითქმის ყოველ ზაფხულს გონება ერევა...

ოლენკას შევხედე, შემცბარს სახე მოერიდებინა ჩვენთვის და თავის არეულ წიგნებს ალაგებდა. ეტყობოდა, რცხვენოდა შეშლილი მამის გამო.

— ეკიპაეი უკვე მოვიდა, თქვენო ბრწყინვალეებავ! — თქვა ურბენინმა. — შეგიძლიათ გაემგზავროთ, თუ ისურვებთ!

— საიდან გამოჩნდა ეს ეკიპაეი? — ვიკითხე მე.

— მე ვაეაგზავნე კაცი...

წუთის შემდეგ გრაფთან ერთად კარვტაში ვიჭექე, ქუხილის ხმას ვუსმენდი და ვბრაზობდი...

— მაინც გამოგვაბრძანა სახლიდან იმ პიოტრ ეგორიჩმა, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! — ვბუზღუნებდი გვარიანად გულმოსული. — ხეირიანად არც კი შეგვახედა ოლენკასთვის! ხომ არ შევუჭამდით... ბებერი ჩერჩეტი! ექვიანობისგან კინალამ გასკდა... შეყვარებულია იმ გოგოზე...

— დიახ, დიახ... წარმოიდგინე, მეც კი შევნიშნე, სახლშიც ექვიანობის გამო არ გვიშვებდა, ეკიპაეიც ექვიანობის გამო მოგვიყვანა... ჰა, ჰა!

— წვერში ჭალარა გარეგია, სულში კი ეშმაკი უზის... თუმცა, ჩემო ძმაო, ძნელია არ შეგიყვარდეს ეს წითელკაბიანი გოგონა, როცა ყოველდღე ხედავ ისეთს, როგორიც დღეს ვიხილეთ! მეტიმეტად მშვენიერია! მაგრამ იმის დინგისთვის არ არის გაჩენილი... ამდენი კი უნდა ესმოდეს და ასე ეგოისტურად აღარ ექვიანობდეს... გიყვარდეს, მაგრამ ნურც სხვას შეუშლი ხელს, მით უმეტეს, იცი, რომ საშენო არ არის... ვერ უყურებ ზებერ რეგვენს!

— გახსოვს, როგორ იფეთქა, როცა კუჩმამ ჩაის სმისას მისი სახელი ახსენა? — ჩაიქირქილა გრაფმა. — მე მეგონა, ყველას დაგვერეოდა მაშინ... ასე მხურვალედ არასოდეს იცავენ იმ ქალის პატიოსნებას, ვის მიმართაც გულგრილნი არიან...

— იცავენ, ძმაო... მაგრამ საქმე ეგ არ არის... მთავარი სხვა რამეა... დღეს რომ ჩვენზე ასე მბრძანებლობდა, სხვა დროს რას უზამს პატარა ხალხს, იმათ, ვინც მის განკარგულებაშია! ალბათ მეკუჭნავეებს, ეკონომებს, მონადირეებს და სხვა მცირეთ ამა ქვეყნისა ახლოსაც არ გააკარებს იმასთან!

სიყვარული და ეჭვიანობა ადამიანს უსამართლოდ, უსულგულოდ, კაცმოძულედ აქცევს... დაგენიძლავები, რომ ამ ოლენკას გულისთვის უკვე ბევრ ხელქვეითს გაუმწარებდა სიცოცხლეს. ამიტომ ჭკვიანურად მოიქცევი, თუ დიდად არ დაუჭერებ მის საჩივრებს მსახურებზე და მისი რჩევით არ დაიბნობ ვინმეს, საერთოდ. გიჯობს დროებით შეუზღუდო უფლებებზე რელი გაუვლის, მერე კი საშიში აღარ იქნება. ბუნებით კეთილშობილი ტიოსანი კაცია...

— ოლენკას მამა როგორღა მოგეწონა? — გაიცინა გრაფმა.

— შეშლილია... საგიჟეთში უნდა იჯდეს, ტყეს კი არ ზედამხედველობდეს... ისე, ტყუილი არ გამოგივა, თუ შენი მამულის ჭიშკარზე აბრას გამოპკიდებ წარწერით: „საგიჟეთი“ ნამდვილი ბედლამი გაქვს! ეს მეტყვევებელი კოტი, ბანკოზე გადარეული ფრანცი, შეყვარებული ბებერი, ეგზალტირებული ქალიშვილი, გალოთებული გრაფი... უკეთესს სად ნახავ?

— ეს მეტყვევებელი ხომ ჯამაგირს ღებულობს! როგორღა მუშაობს, თუ გიყვია?

— ალბათ ურბენინი მხოლოდ ქალიშვილის გულისთვის ინახავს... წელან თქვა, ნიკოლაი ეფიმოვიჩს თითქმის ყოველ ზაფხულს ასე ემართებაო... მაგრამ, ვეჭვობ, მართალი იყოს... მარტო ზაფხულობით კი არა, მუდმივად ავად იქნება... საბედნიეროდ, შენი პიოტრ ეგორიჩი იშვიათად ტყუის და, თუ იტყუებს, ყოველთვის გასცემს ხოლმე საკუთარ თავს...

— შარშან ურბენინმა შემატყობინა, ბებერი მეტყვევებელი ათონზე ბერად მიდისო. და მის მაგივრად შემომთავაზა „გამოცდილი, პატოსანი დამსახურებული“ სკოროცოვი... მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე, როგორც ყოველთვის ვეთანხმები ხოლმე, წერილი ხომ სახე არ არის — ვერ შეატყობ, ტყუის თუ მართალს ამბობს.

კარეტა ეზოში შევიდა და სადარბაზო კართან გაჩერდა. ჩვენ გადმოვედით. წვიმამ უკვე გადაიღო. აედრის ღრუბელი, ელვის კვესებით და ბრაზიანი გრუბუნით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მიიჩქაროდა, თანდათან აჩენდა ღურჯ, ვარსკვლავიან ცას, თითქოს, მძიმედ შეიარაღებული ძალა — რაკი გააცამტვერა ყოველივე და აკრიფა საზარელი ხარკი — ახალი გამარჯვებებისკენ ისწრაფვისო... ჩამორჩენილი პატარა ღრუბლები ისე მისდევდნენ უკან, თითქოს ეშინოდათ, ვერ დავეწვითო... ბუნებამ თავისი სახე დაიბრუნა...

ეს იგრძნობოდა წყნარ, სურნელოვან პაერში, რომელიც სავსე იყო განცხრომით და ბუღბუღის მელოდიებით, მძინარე ბალის მღუმარებაში. ამომავალი მთავარის მოალერსე შუქში... ტბა გამოფხიზლებულიყო დღის ძილისაგან და ადამიანის ყურს მსუბუქი ბუტბუტით ამცნობდა თავის ამბავს... ასეთ დროს სასიამოვნოა მინდორში მყუდრო ეტლით სეირნობა ან ტბაზე ნიჩბებით სრიალი... მაგრამ ჩვენ სახლში შევედით... იქ სხვაგვარი „პოეზია“ გველოდა.

თვითმკვლელი ჭკვია იმას, ვინც ფსიქიკური ტკივილით შეწუხებული, ან აუტანელი ტანჯვით დათრგუნვილი შუბლში ტყვიას იკრავს; იმათ კი, ვინც უბადრუკ, სულის გამომფიტავ ვნებებს აპყვება გაზაფხულის, სიკაბუკის წმინდა დღეებში, საბელი არ მოეძვევებათ ადამიანურ ენაზე, ტყვიას სამარის სიმშვიდე მოპყვება. დაღუპულ ახალგაზრდობას — გლოვითა და მტანჯველი მოგონებებით დამძიმებული წლები. ვინც უმიზნოდ გაფლანგა თავისი გაზაფხული, ის გაიგებს ჩემი სულის ახლანდელ ყოფას. მე ჯერ კიდევ არ დავბერებულვარ, არც კალარა გამრევია, მაგრამ უკვე ცოცხალი

ალარა ვარ, ფსიქიატრები ჰყვებიან, რომ ვატერლოოს ბრძოლაში დაჭრილი ერთი ჯარისკაცი ჰკუაზე შეცდა. მერე კი ყველას არწმუნებდა და თვითონაც სჯეროდა, რომ ვატერლოოს ბრძოლაში მოკლეს. ხოლო რასაც ახლა მისი სახით ზედავდნენ, მხოლოდ და მხოლოდ აჩრდილო იყო. მისი ძველი არსებობის ანარეკლი. სწორედ ამ ნახევრად სიკვდილის შესაგვს რაღაცას განვიცდი ახლა მეც...

— ძალიან მიხარია, რომ მეტყვევებთან არაფერი ჰქამე, მადა არ წაიხდინე, — მითხრა გრაფმა, როცა შინ შევდიოდით. — მშვენივრად ვივარაუდებო... ძველებურად... აბა, მოგვართვი! უბრძანა ილიას, რომელიც ქურთუკს ხდიდა და ხალათს აცმევდა.

სასადილო კოთახისკენ გავემართეთ. აქ, გაწყობილ მაგიდაზე, უკვე „სიციოცხლე დუღდა“. ყველა ფერის და ყველანაირი სიმაღლის ბოთლები ისე ჩაემწყრივებინათ, როგორც თეატრის ბუფეტის თაროებზეა ხოლმე დამარილებული. დამწნილებული თუ სხვაგვარი საუნამეული მეორე მაგიდაზე ეწყობო არაყის გრაფინთან და ინგლისურ სასმელთან ერთად. ღვინის ბოთლების გვერდით კი ორი ლანჯარი იდგა ერთი გოჭით. მეორე ცივი ზუთხით.

— აბა... — დაიწყო გრაფმა და სამი ჭიქა გაავსო, თან ისე იბუზებოდა, თითქოს სცივაო, — გაგვიმარჯოს! აილე შენი ჭიქა, კაეტან კაზიმიროვიჩ!

მე დავლიე, პოლონელმა კი თავი გააქნია. თავისკენ მიიწია ზუთხი, დაყნოსა და ჭამას შეუდგა.

შეიძახეებს ვაზოვ, მოშიტრევოს, ახლა იძულებული ვიქნები, სრულიად „არარომანული“ ამბავი აღეწერო.

— აბა... „მათ კიდევ თითო დალიეს“. თქვა გრაფმა და მეორედ შეავსო ჭიქები. გაბუდე, ლევო!

ჩემი ჭიქა ხელში ავიღე შევბუდე და დავდგი...
ეშმაკმა წამილოს, კარგა ხანია აღარ დამილევია, — ვთქვი მე. — იქნებ გამეხსენებინა წარსული? დიდხანს აღარ მიფიქრია, ხუთი ჭიქა შევაფსე და ერთიმეორეს მიყოლებით ჩაბაში ჩავისანი, სხვაგვარად სმა არ იცოცოდი. უმცროსი მოსწავლეები უფროსებზე სწავლობენ ჩაპიროსის წევას: გრაფმაც, ჩემმა შემხედვარემ, ხუთი ჭიქა დაისხა, რკალივით მოიხარა, დაიმანჭა და თავის ქნევით დალია. ჩემი ხუთი ჭიქა მას თავის მოწონებად მოეჩვენა, მე კი სულაც არ მიფიქრია მეტრადანა სმის ნიჭით, მხოლოდ დათრობა მიხლოდა, კარგი, მაგარი დათრობა. რაც უკვე დიდი ხანი იყო, აღარ განმეცადა სოფელში განმარტოებულს, დავლიე, მაგიდას მივეუჯექი და გოქს შევაქაპე.

თრობამ დიდხანს არ მალოდინა, მალე ვიგრძენი მსუბუქი თავბრუსხვევა. მკერდში სასიამოვნო სიგრილე ჩამელვარა — ბედნიერი, ექსპანსიური მდგომარეობის დასაწყისი უეცრად. უოველოგვარი შესამჩნევი გადასვლის გარეშე მეტისმეტად გავმხიარულდი, სიყაროელის, მოწყენილობის შეგრძნებამ ადგილი დაუთმო სრულ მხიარულებას, აღტაცების გრძნობას. გავიღიმე უეცრად მომინდა ვბუდობა, სიცილი, აღამიანებთან ყოფნა, გოქის ხორც ვლექავდი და სიციოცხლის სისაფხვეს ვგრძნობდი, კმაყოფილი ვიყავი ცხოვრებით, თითქმის ბედნიერი.

— რატომ არაფერს სვამთ? მივმართე პოლონელს.

— ეგ საერთოდ არ სვამს, თქვა გრაფმა. ჩუ დაატან ძალას.

— რამდენ ხანს მისცე უბრა სვამდეთ!

პოლონელმა ზუთბის დიდმა ნაქვრი ქაილო პირში და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მისმა მღუშარებმა უფრო წამაქეზა.

— მომისმინეთ, კაეტან... დამავიწყდა თქვენი მამის სახელი... რომ სულ ჩუმადა ხართ? — ვკითხე. — ჯერ არ მქონია ბედნიერება მამის გაგონებისა.



გაფრენილი მერცხლის მსგავსი მისი ორი წარბი ზე შემომხედა.

— ძალიან გსურთ, რომ ვილაპარაკო? — მკითხა ძლიერი პოლონური აქცენტით.

— კარგი იქნებოდა.

— როსთვის?

— მაპატიეთ, მაგრამ გემზე, სადილობისას, სრულიად უცხო და უცნობი ადამიანები ერთმანეთში საუბარს გააბამენ ხოლმე, ჩვენ კი უკვე რამდენიმე საათია ერთმანეთს ვიცნობთ. ვათვალისწინებთ და ჯერ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. განა მოსაწონია ეს?

პოლონელი დუმდა.

— რას გაჩუბებულობართ? — ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ. — მიბასუხეთ რამე!

— არ მსურს გიპასუბოთ, თქვენს ხმაში სიცილი მესმის, მე კი დაცინვა არ მიყვარს.

— სულაც არ დაცინის! — შეშფოთდა გრაფი. — საიდან მოიტანე, კაეტან? ის ხომ მეგობრულად...

— მე გრაფები და თავადები არ მელაპარაკებოდნენ ასეთი ტონით! — თქვა კაეტანმა პირქუშად. — არ მიყვარს ასეთი ტონი.

— მაშ საუბრის დროსად არ გამბღიოთ? — არ ვისვენებდი მე, თან ისევ ვსვამდი და ვიციხოდდი.

— იცი, რატომ ჩამოვედი აქ? — შემაწვევითინა გრაფმა, რომ საუბარი სხვა რამეზე გადაეტანა. — ჯერ არ მოთქვამს შენთვის? მივდივარ პეტერბურგში ერთ ნაცნობ ექიმთან, ვისთანაც მუდმივად ვმკურნალობ და ჩემს ავადმყოფობას შევჩივი. ის მისმენს, მსარჩაყს და ბოლოს მეუბნება: „თქვენ მშიშარა ხართ?“ მშიშარა არა ვარ, მაგრამ მაინც გავფითრდი: „არა, არა ვარ“. — ვეუბნები.

მოკლედ მოსკერი, ძმაო... მომბუზრდა.

ჩქარა სიკვდილი მიწინასწარმეტყველა. თუ პეტერბურგიდან სადმე არ წავიდოდი! მთელი დღიძლი დაავადებული მაქვს ამდენი სმისგან... პოდა, გადავწყვიტე აქ ჩამოვსულიყავი. პეტერბურგში ჯდომა მართლაც სისულელეა... როცა იმისთანა დიდებული, მდიდარი მამული გაქვს... მარტო ჰაეა რად ღირს!.. სხვა თუ არაფერი, საქმეს მაინც შეგიძლია ხელი მოკიდო! შრომა ყველაზე უკეთესი, ყველაზე რადიკალური წამალია. მართალს არ ვამბობ, კაეტან? მეუბნებოდას მიუბედავ და სმას შევეშვები. ექიმმა ერთი ჭიქის დალევა კი ამიკრძალა... ერთი ჭიქისა!

— პოდა, შენც ნულარ დაოდე.

— არცა ესვამ... დღეს უკანასკნელია შენთან შეხვედრის აღსანიშნავად (გრაფი ჩემკენ გადმოიწია და ლოყაზე მაკოცა)... ჩემი საყვარელი, კარგი მეგობრის ხათობით, ხვალისა კი წვეთსაც აღარ გავიკარებ! ბახუსი დღეს სამუდამოდ შემწყიდლობება... გამომშვიდობებოდა სერიოზულად, კონიაკით შევსვამ... ვაო...

ჩვენ კონიაკი დავლიეთ.

— გამოვყანმრთელდები. ჩემო სეროჟა, და მეურნეობას მივხედავ! ურბენინი კეთილი, საყვარელი კაცია... ყველაფერი ესმის. მაგრამ რა შეპატრონეა? რუტინიორია და სხვა არაფერი! უნდა უფროსლები გამოიწეროს, იკითხოს, ყველაფერს თვალი ადევნოს. მონაწილეობას მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში. მას კი საამისოდ განაწესებენ! რუთუ ოლენკა... უყვარს? ჰა-ჰა! მე სვითონ მივხედავ ყველაფერს, იმას კი თანაშემწედ გავიხდი... არჩვენებში მივიღებ მონაწილეობას, საზოგადოებას გავართობ... ჰა? აქაც ხომ შეიძლება ბედნიერად ცხოვრება? როგორ გგონია? აი, უკვე იცინი! დამცინი ხომ? შენთან მართლაც არ შეიძლება ლაპარაკი!

მხიარულად ვიყავი, ვიცინოდრი. მაცინებდა გრაფი, სანთლები, ბოთლები, თიხისგან ნაძერწი კურდღლები და იხეები, სასადილო ოთახის კედლებს რომ ამშვენებდნენ... არ მაცინებდა მხოლოდ კაეტან კაზიმიროვიჩის ფხიზელი ფიზიონომია, ამ კაცის იქ ყოფნა მალიზიანებდა.

— არ შეიძლება ეს შლიახტიჩი ეშმაკებთან გავაგზავნოთ? — წაგჩურჩულე გრაფს.

— რას ამბობ! ღვთის გულისათვის... — დაფრთხა გრაფი და ორივე ხელზე მეცა, თითქოს მისი პოლონელის მიბეგვას ვაპირებდი. — იჯდეს, რას ვიშლის?

— არ შემიძლია მაგის ცქერა! მისმინეთ! — მივუბრუნდი პშეხოცკის. — თქვენ ჩემთან საუბარი არ ისურვეთ, მაგრამ გთხოვთ მომიტევეთ, ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი თქვენი სასაუბრო უნარის ახლო გაცნობისა...

— მოეშვი! — სახელო მომჭაჩა გრაფმა. — გთხოვ!

— მანამდე არ მოგეშვებით, სანამ პასუხს არ გამცემთ. — განვაგრძობდი მე. — რას იბღვირებით? იქნებ ახლაც სიცილი გესმით ჩემს ხმაში?

— მეც რომ იმდენი დამელია, რამდენიც თქვენ, მაშინ დაგელაპარაკებოდით, ახლა კი თქვენი ტოლფარდი ვერ ვიქნები... — ჩაიბუზღუნა პოლონელმა.

— ჩვენ ერთმანეთის ტოლფარდნი არა ვართ, სწორედ ეს იყო დასამტკიცებელი... მეც სწორედ ამის თქმას ვაპირებდი... ბატი ლორის ამხანაგი ვერ იქნება. მთვრალი ფხიზელს არ ენათესავება... მთვრალი ხელს უშლის ფხიზელს, ფხიზელი — მთვრალს. გვერდით, სასტუმრო ოთახში, მშვენიერი რბილი დივნები დგას! კარგია მათზე წამოწოლა პირშუშბიანი ზუთბის შემდეგ. იქ ჩემი ხმა არ ისმის, ხომ არ ინებებდით იქ წაბრძანებას?

გრაფმა ხელები გაასავსავა, თვალები აახამჩამა და სასადილო ოთახში სიარულს მოჰყვა. ის მშვიშარაა და „მაგარი“ ლაპარაკის ეშინია... მე კი, როცა მთვრალი ვარ, მართობს გაუგებრობა და ვინმეს უკმაყოფილება...

— ვერ გამოვიდა ვერ გამოვიდა! — წამოიკვენესა გრაფმა, რაკი არ იცოდა, რა ეთქვა ან რა ექნა...

ის კი იცოდა, რომ ჩემი შეჩურჩება ძალზე ძნელი გახლდათ.

— მე ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ. — განვაგრძობდი ჩემსას. — იქნებ მშვენიერი აღამიანი ბრძანდებით, ამიტომ თქვენთან წინასწარ ჩხუბი არ მინდა... არც გეჩხუბებით... მე მხოლოდ მინდა გავაგებინოთ, რომ ფხიზელ კაცს მთვრალთან არაფერი ესაქმება... ფხიზელის გვერდით ყოფნა მთვრალ ორგანიზმზე გამალიზიანებლად მოქმედებს! შეიგნეთ ეს!

— რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ! — ამოიხრა პშეხოცკიმ. — თქვენ მე მოთმინებას ვერ დამაკარგვინებთ. ახალგაზრდავ...

— ნუთუ მართლა? მე რომ ჩიუტი ღორი გიწოდოთ, არც მაშინ გაჩვენდებით?

პოლონელი მხოლოდ გაწითლდა. გაფითრებული გრაფი მომჩანს მისი მუდარით შემომხედა და ხელები გაშალა.

— ძალიან გთხოვ, შეიკავე თავი!

მე უკვე გავითავისე მთვრალის როლი და მინდოდა გამეგრძელებინა ლაპარაკი, მაგრამ გრაფისა და პოლონელის ბედად, ნაბიჯების ხმა მოისმა და ოთახში ურბენინი შემოვიდა.

— ღმერთმა შეგარგოთ! — დაიწყო მან. — მოვედი, თქვენო ბრწყინვალეზე, რომ გავიგო, ხომ არაფერს მიბრძანებთ.

— ბრძანებით ვერ არაფერს გიბრძანებთ. სათხოვარი კი მაქვს... — უბასუბა გრაფმა... — ძალიან მიხარია, რომ მოხვედით, პიოტრ ეგორიჩ... დაბრძანდით, ივანშმეთ ჩვენთან ერთად, თან სამეურნეო ამბებზე ვისაუბროთ...

ურბენინი დაჯდა. გრაფმა კონიაკი დალია და თავისი მომავალი საქმიანობის გეგმები გადმოუშალა. დიდხანს და მომქანცველად ლაპარაკობდა რაციონალური მეურნეობის საკითხებზე. ერთსა და იმავეს იმეორებდა. ურბენინი ისე უსმენდა, როგორც დარბაისელი ადამიანი უსმენს ბავშვებისა და ქალების ლაქლაქს. ზანტად და ყურადღებით. უხას ჭამდა და მოწყენილი დაპყრებდა თავის თევშს.

— მშვენიერი ნახაზები ჩამოვიტანე! — თქვა სხვათა შორის გრაფმა. — შესანიშნავი ნახაზებია! გინდათ, გიჩვენოთ?

კარნევი წამოხტა და კაბინეტში გაიქცა ნახაზების მოსატანად. ურბენინმა ისარგებლა მისი არყოფნით. სწრაფად დაისხა ნახევარი ჩაის ჭიქა არაყი და არაფერი მიუყოლებია. ისე დალია.

— საშინელია ეს არაყი! — თქვა მან და სიძულვილით შეხედა გრაფის.

— რატომ გრაფის თანდასწრებით ქარა სვამთ, პიოტრ ეგორიჩ? — ვკითხე მე. — ნუთუ გეშინიათ?

— სჯობს. ვითვალთმაქცო და ჩუმად ვსვა, სერგეი პეტროვიჩ. ვიდრე გრაფის თვალწინ დავლიო. გრაფს უცნაური ხასიათი აქვს... მე რომ ოცნათასი მოვიპარო, თავისი უზრუნველობის გამო არაფერს იტყვის, მაგრამ დახარჯული შაურთანის ანგარიში თუ არ ჩავაბარე ან მის დასანახად არაყი დავლიე. მაშინვე აწუწუნდება, ყაჩაღი მოურავი მყავსო. თქვენც ხომ იცით, რომ ასეა.

ურბენინმა ისევ დაისხა ნახევარი ჭიქა და დალია.

— მგონი, თქვენ წინათ არ სვამდით, პიოტრ ეგორიჩ. — ვკითხე მე.

— დიახ. ახლა კი ვსვამ... ბევრსა ვსვამ! — წაიჩურჩულა მან... — დღე და ღამე ვსვამ. ერთ წუთსაც არ ვისვენებ. გრაფსაც კი არასოდეს უსვია იმდენი. რამდენსაც მე ახლა ვსვამ... ძალიან მიმძიმს, სერგეი პეტროვიჩ! ერთმა ღმერთმა უწყის. რა სიმძიმე მაწევს გულზე! სწორედ დარდისგან ვსვამ... მე თქვენ ყოველთვის მიუვარდით და პატივს გცემდით, სერგეი პეტროვიჩ, ამიტომ გამოგიტყდებით... სიხარულით ჩამოვიბრჩობდი თავს!

— ამისთანა რა დაგეშართათ?

— სიბრძნევე ჩემი... მართო ბავშვები კი არ არიან ბრიყვები... ორმოცდაათი წლის სულელებიც არიან ქვეყნად. მიზეზს ნუ მკითხავთ.

გრაფი შემოვიდა და მის აღსარებას ბოლო მოუღო.

— მშვენიერი, ლიქიორია! — თქვა მან და მაგიდაზე „შესანიშნავი ნახაზების“ ნაცვლად პენელიტელთა სტეკლით დალუქული მრგვალი ბოთლი დადგა. — მოსკოვში რომ გამოვიარე, დებრესთან ვიყავი, არ გასინჯავ, სერიოზა?

— შენ ავი ნახაზებისთვის წახვედი? — ვუთხარე. — ნახაზებისთვის? რომელი ნახაზებისთვის? თუმცა, მართალი ხარ! მაგრამ, ძმაო, ჩემს ჩემოდნებში უშემაკიც კი ვერაფერს იპოვის... ვეძებე, ვეძებე და მივანებე თავი... ლიქიორი ძალიან კარგია, არ გინდა?

ურბენინი კიდევ ცოტა ხანს იჯდა. მერე დაგვემშვიდობა და წავიდა. მისი წასვლის შემდეგ წითელ ღვინოს მივადექით. ამან საბოლოოდ მომიტავა ხელი. სწორედ ისე დავთვერი, როგორც ვნატრობდი გრაფთან მიმავალი, სული სიმბნევით ამევსო, ავცუტდი, უჩვეულოდ გავმბიარულდი, არაბუნებრივი, სასაცილო გამირობის ჩადენა მომიხდა, რომ ყველა გამეოცებინა.. იმ წუთს ისე მეჩვენებოდა, რომ შემეძლო მთელი ტბის გადაცურვა, ყველაზე აბურღული საქმის გახსნა, ყველაზე ძალიან დაძვინკვება... სამყარო, მთელი თავისი ნაირფეროვნებით, აღტაცებას ამგვრიდა, მიყვარდა იგი და, ამავე დროს, მსურდა გამეღიზიანებინა. შხამიანი ჩუმობით დამეგულა, გამემასხარავებინა... სასაცილო შევთვალა პოლონელს და გრაფი უნდა გამეცამტვერებინა, მანვილი სიტყვით დამეთრგუნა, მიწასთან გამესწორებინა.

— რას გაჩუმებულხარ? — დავიწყე. — ილაპარაკეთ, მე გისმენთ. ჰა-ჰა-ჰა! ძალიან მიყვარს, როცა სერიოზული, სოლიდური სახის ადამიანები ბავშვურ სისულელეებს ლაპარაკობენ!.. ეს ისეთი დაცინვაა, ისეთი დაცინვაა ადამიანის ტვინისა!... საბუ არ შეესატყვისება ტვინს! რომ არ იცრუო, იდიოტური ფიზიონომია უხდა გქონდეს, თქვენ კი ბერძენ ბრძენთა სახეები გაქვთ!

არ დამიმთავრებია... ენა დამიბა იმ აზრმა, რომ არაჩაობებს ველაპარაკებოდი, ნახევარი სიტყვის ღირსნიც რომ არ იყვნენ. მე მჭირდებოდა დარბაზი, სავსე ხალხით, ბრწყინვალე ქალებით, ათასობით სანთლით... ავდექი, ავიღე ჩემი ჭიქა და ოთახებში სიარულს მოვყევი. როცა ვქეიფობთ, სივრცით არ ვიზღუდებით, არ გვყოფნის ერთი სასადილო დარბაზი, მთელ სახლს ვეპატრონებით. ხშირად კი მთელ მამულსაც...

„მოზაიკურ“ სასტუმრო ოთახში თურქული ტახტი ამოვირჩიე, წამოვიწეი და ფანტაზიის სამყაროში გადავეშვი. ბროლის კოშკის აგება დავიწყე, მთვრალმა, მაგრამ ერთიმეორეზე გრანდიოზულმა და უსაზღვრო ოცნებებმა მოიცივეს ჩემი ახალგაზრდა ტვინი... ახალი სამყარო გადაამეშალა, სავსე და მათრობელი ხიბლით და აუწერელი სილამაზით.

ისღა მაკლდა, რითმებით დამეწყო ლაპარაკი. გრაფი ჩემთან მოვიდა და ტახტის კიდეზე ჩამოჯდა... რაღაც უნდოდა ეთქვა: ჩემთვის რომ რაღაც განსაკუთრებულის თქმას აპირებდა, ჯერ კიდევ ზემოთ აღწერილი ხუთი ჭიქის შემდეგ შევნიშნე მის თვალებში, ვიცოდი, რაზეც სურდა საუბარი...

— რამდენი დავლიე დღეს! — მითხრა. — ეს ჩემთვის ყველა საწამლაზე უარესია... მაგრამ დღეს უკანასკნელია... ღმერთმანი, უკანასკნელია.. მე მაქვს ნებისყოფა...

— კარგი, კარგი... — სერიოზა, ჩემო მეგობარო, კიდევ ერთხელ... უკანასკნელად ხომ არ გაგვეგზავნა ქალაქში ტელეგრაფა?

— კი ბატონო, გაგზავნე.

— საბოლოოდ ვიქეიფოთ, როგორც წესი და რიგია... აბა, ადექი, დაწერე... — თვითონ გრადს არ შეუძლია ტელეგრამის დაწერა, მეტიხმეტად გრძელი და ნაკლული გამოსდის. წამოვდექი და დავწერე:

„ს... რესტორანი „ლონდონი“, გუნდის მეპატრონე კარპოვის რედაქციის ნებლივ ჩამოდი ორი საათის მატარებლით. გრაფი“.

— ახლა თერთმეტს თხუთმეტი აკლია, — თქვა გრაფმა, — კაცს სადგურამდე ჰენებით სამი მეოთხედი საათი დაჭირდება, maximum საათი... კარპოვი ტელეგრამას პირველი საათისთვის მიიღებს... მატარებელს ალბათ მიუსწრებს... თუ ვერ მიუსწრო, მაშინ საბარგოთი ჩამოვა.. არა?

ტელეგრამა ცალთვალა კუჭმას გაატანეს... ილიას უბრძანეს, ერთი საათის შემდეგ სადგურზე ეტლები გაეგზავნა.. მე, დროის მოსაკლავად, ნელ-ნელა დავიწყე ლამპებისა და სანთლების ანთება ყველა ოთახში, მერე როიალს თავი ავხადე და კლავიშები მოვსინჯე...

მერე, მახსოვს, იმავე ტახტზე ვიწეკი, არაფერზე არ ვფიქრობდი და ხმის ამოუღებლად, ხელით ვიშორებდი ლამპარაკის გუნებაზე მოსულ გრადს... ბურანში მყოფი, ძილ-მღვიძარე, მხოლოდ ლამპის მკვეთრ სინათლეს ვგრძნობდი და საამო სიმშვიდეს განვიცდიდი... წითელკაბიანი გოგონას ზატება დამიდგა თვალწინ. მას თავი გვერდზე გადაეხარა, თვლებში ეფექტური სიკვდილის წინაშე შიში ჩასდგომოდა და პატარა თითით შემუქრებოდა...

მეორე გოგონას აჩრდილმა, შავით მოსილმა, ამაყმა და სახეგაფითრებულმა, გვერდით ჩამიარა და ვედრებით თუ ყვედრებით შემომხედა.

მერე ხმაური, სიცილი, სირბილი ჩამესმა, შავმა, უძირო თვლებმა დამიჩრდილეს ლამპის სინათლე, ვხედავდი მათ ბრწყინვას, მათ სიცილს... მსხვილ ტუჩებზე გადაშლილ ღიმილს... ეს ბოშა ქალი ტინა იღიმებოდა...

მღუმარედ მოვუჭირე ხელზე ხელი და მოვიზიდე...

— წამო იქით... ჩვენები ყველანი ჩამოვიდნენ...

— დარჩი... აქ კარგადა ვარ, ტინა..

— მაგრამ აქ... ძალიან დიდი სინათლეა... ნამდვილი გიჟი ხარ... რომ შემოვიდნენ...

— ვინც შემოვა, კისერს მოვუგრებს... აქ კარგადა ვარ, ტინა... ორი წელი გავიდა, რაც არ მინახავხარ...

დარბაზში როიალზე დაუკრეს, „აჰ, მოსკოვო, მოსკოვო, თეთრბჭევიანიო“... ერთად დაიღრიალა რამდენიმე ხმამ...

— გესმის, როგორ მღერიან... არავინ არ შემოვა...

— ჰო, ჰო...

ტინასთან შეხვედრამ ბურანიდან გამომათხიზლა... ათი წუთის შემდეგ მან დარბაზში შემიყვანა, სადაც ნახევარწრედ იდგა გუნდი... გრაფი სკამზე ამხედრებულიყო და ხელებით ტაქტს ითვლიდა... პშეხოცკი მისი სკამის უკან იდგა და გაოცებული შეჰყურებდა მომღერალ ჩიტუნებს... მე კარპოვს ხელიდან გამოვგლიჯე ბალალაიკა და გავაბი:

— „ქვემოთ... ვო-ო-ო-ლგის გა-ყო-ლე-ე-ებით“

— „გა-ყო-ლე-ებით...“ — აიტაცა გუნდმა.

— „ვაი, ნუ დამწვი, ნუ დამდაგე... ჩქარა მითხარი“...

მე ხელი ჩავიქნიე და მაშინვე, ელვის სისწრაფით გადავედი სხვაზე...

— „ღამე გიჟური, ღამე საამო...“

არაფერი ისე არ მიღიზიანებს ნერვებს და არ მიღიტინებს სულში,

როგორც ეს მკვეთრი გადასვლები. ალტაცებისგან ავცახცახდი, ცალი ხელი
ტინას მოვხვიე, მეორეთი ბალალაიკას ჰაერში ექნევი და ვმღეროდი:
„ღამე გიყური, ღამე...“ ბალალაიკა ხმაურით დაასკდა იმის და ხმსხვრე-
ვებად იქცა...



ქრქვენი

— ღვინო!

ჩემი შემდგომი მოგონებანი ქაოსს წააგავს... ყველაფერი უკმაყოფილოა
არეული, აბურღული, ბუნდოვანია და გაურკვეველი... მახსოვს ადრეული
დილის ნაცრისფერი ცა... ჩვენ ნავით მივცურავთ... ტბა ოდნავ ღელავს,
თითქოს ბუზღუნებსო ჩვენი უმსგავსო საქციელის შემხედვარე... მე ნავის
შუაგულში ვდგავარ და ვირწევი... ტინა მარწმუნებს, წყალში გადავარდებიო,
და დაჯდომას მთხოვს... მე ხმამალა გამოეთქვამ წუხილს იმის გამო, რომ
ტბაზე „ქვის სამარესავით“ მალალი ტალღები არ არის და ჩემი ყვირილით
ვაფრთხობ წყლის ლურჯ ზედაპირზე თეთრ ლაქებად მოციმციმე ალკუნებს.
შემდეგ დგება გრძელი, ცხელი დღე გაუთავებელი საუზმეებით, ათწლიანი
ნაყენებით, პუნშებით, აურზაურით... ამ დღიდან მხოლოდ ზოგიერთი მო-
მენტი მახსოვს... მახსოვს, როგორ ექანობდი ბაღის საქანელაზე ტინასთან
ერთად, ფიცრის ერთ თავში მე ვდგავარ, მეორეში ის, მე მთელი სხეულით,
გაშმაგებული ვმუშაობ, რამდენადაც ძალა მომდევს, და თვითონაც არ ვიცი
რა მსურს; ის, რომ ტინა საქანელადან მოწყდეს და სასიკვდილოდ დაშავდეს
თუ პირდაპირ ღრუბლებამდე აფრინდეს? ტინა მკვდარივით გაფითრებულა
მაგრამ ამაყი და თავმოყვარე კბილს კბილზე მაგრად აჭერს, რომ უეცარი
წამოძახილით არ გასცეს თავისი შიში. ჩვენ სულ მალა, მალა მივფრი-
ნავთ და... არ ვიცი, რით დამთავრდა ყოველივე მერე მე და ტინა შორე-
ულ ზვიანში ვსეირნობთ, რომლის მწვანე თალი მზეს გვიჩრდილავს, პოე-
ტური ბინდბუნდი, შავი ნაწნავეები, მსხვილი ტუჩები, ჩურჩული... ამის შემ-
დეგ გვერდით მომყვება პატარა კონტრაქტო, ქერა, ცხვირწვეტიანი, ბავშ-
ვისთვალეობა არსება, რომელსაც მეტისმეტად წვრილი წელი აქვს, მასთან
იმდენ ხანს ვსეირნობ, ვიდრე ტინა არ შეგენიშნავს და ჩხუბს არ ამიტებავს.
ბოშა ქალი გაფითრებულია, გაცოფებული... „წვეულს“ მეძახის და გაბრა-
ზებული ქალაქში აპირებს დაბრუნებას. ფერმკრთალი, ხელებაკანკალებული
გრაფი ჩვენ გარშემო დარბის და, ჩვეულებისამებრ, სიტყვებს ვერ პოუ-
ლობს ტინას დასამშვიდებლად. ბოლოს და ბოლოს ბოშა სილას მაწნის...
უცნაურია, მამაკაცის ნათქვამი სულ უბრალო, კოდნავ შეურაცხყოფელი
სიტყვა ცოფს მაყრევიწებს, ქალებისგან მიღებული ალიყურის მიმართ კი
სრულიად ინდიფერენტული ვარ... ისევ გრძელი სეირნობა „ნასადილევს“,
ისევ გველი კიბეზე, ისევ პირზე ბუზებდასეული მძინარე ფრანცი, ისევ
ბაღის კუტიკარი... წითელკაბიანი გოგონა ქვის სამარეზე დგას და ჩვენი
დანახვისთანავე ხელიკივით ქრება.

საღამოს მე და ტინა ისევ მეგობრები ვართ, ისევ შფოთიანი ღამე,
მუსიკა, ლალი სიმღერა, ნერვების გამალიზიანებელი გადასვლები... და არც
ერთი წუთი ძილი.

— ეს თვითმკვლელობაა! — წამჩურჩულა ურბენიშმა, რომელიც ცო-
ტა ხნით შემოვიდა სიმღერის მოსასმენად.

რა თქმა უნდა, მართალს ამბობს, შემდეგ, მახსოვს, მე და გრაფი
ერთმანეთის პირისპირ, ვდგავართ და ვკამათობთ, ჩვენ მახლობლად მი-
ღი-მოღის შავწარბა კაეტანი, რომელსაც მხიარულებაში მონაწილეობა არ
მიუღია, მაგრამ ამის მიუხედავად, არ სძინებია და ერთთავად აჩრდილივით

თან დაგვყვებოდა... ეს უკვე მტრედისფერია და ყველაზე მაღალი ხის წვერზე ოქროსფერად იღვრება ამომავალი მზის სხივები. ირგვლივ ბავშვების გნიასია. შოშიების გალობა. შრიალი. ღამით დამძიმებულ ფრთხილად ქუნი. ისმის ნახრის ზმუილი და მენაბირეთა შეძახილები. ჩვენ მანდობლად მარმარილოს პატარა მაგიდაა. მაგიდაზე მკრთალი ალით იწვება სანთელი, ყრია პაპიროსის ნამწვავები. კანფეტის ქაღალდები, დამწვარი ლი ქიქები, ფორთოხლის ქერქები...

— შენ უნდა აილო ეს! — ვეუბნები გრაფს და ვუწვდი ქაღალდის ფულის დასტას. — ძალით აგაღებინებ!

— ისინი ხომ მე მოვიწვიე და არა შენ! — მარწმუნებს გრაფი და ცდილობს ჩემს ღილს ჩაეჭიდოს. — აქ მე ვარ პატრონი... მე გიმასპინძლე. შენ რატომ უნდა გადაიხადო ფული? გაიგე, რომ ამით შეურაცხყოფას მაყენებ!

— მეც დავიჭირავე ისინი, ამიტომაც ვიხდი ნახევარს. არ გინდა აილო? არ მესმის, რა მწყალობელი გამომიჩნდი, იქნებ გგონია, რომ რაყი სატანა-სავით მდიდარი ხარ. უფლება გაქვს დამამცირო? დაღახვროს ეშმაკმა, კარპოვი მე დავიჭირავე და მევე გადავუხდი! არ მინდა შენი ნახევარი! ტელეგრამა ხომ მე დავწერე!

— რესტორანში, სერჩიოვა, შეგიძლია გადაიხადო, რამდენიც ჭაგე-ზარდება, ჩემი სახლი კი რესტორანი არ არის... ეგეც არ იყოს, მართლა არ მესმის, რატომ იწუხებ თავს. ვერ გამოგია შენი თავგამოდება. შენ ცოტა ფული გაქვს, მე კი იმდენი, რომ აღარ ვიცი, რაში დავხარჯო... სამართლიანობაც ჩემს მხარეზეა.

— მაშ არ აიღებ? არა? არც არის საჭირო...
სანთლის მკრთალ ალით მიმაქვს კრედიტის ქაღალდები. ცეცხლს ვუკიდებ და ძირს ვყრი. კაეტანს უეცრად კენესა აღმოხდება მკერდიდან, თვალები უფართოვდება, ფითრდება და თავისი მძიმე სხეულით მიწას ენარცხება, ცდილობს ხელებით ჩააქროს აალებული ფული... ახერხებს კიდევ.

— თქვენი ვერაფერი გამოგია! — ამბობს და დამწვარ ქაღალდებს ჩიბეში იტენის. — ფულის დაწვა რა საჭიროა! შარშანდელი ნაწვერალია თუ სასიყვარულო წერალები? უმჯობესია, ვინმე დატიკს მიგცე, ვიდრე ცეცხლში დაიფრფლოს.

სახლისკენ მივდივარ... იქ, ყველა ოთახში, დივანებზე და ხალიჩებზე, მიყრილ-მოყრილად გასავათებელი, ჩამოსული მომღერლები და სძინავთ.

ჩემი ტინა „მოზაიკურ“ სასტუმრო დარბაზში სოფაზე წევს... ხელები გაუშლია და მძიმედ სუნთქავს. ალბათ საქანელა ესიზმრება... ოთახში „კოტი“ დასუნსულებს და მახვილი თვალებით ბოროტად აცქერდება იმას, ვინც ერთბაშად დაარღვია მიყრუებულ მამულის სამარისებული მდუშარება... ის ტყუილად არ ირჩება და არ დააბრუნებს თავის ბებერ ძვლებს...

აი, ყველაფერი. რაც მებხიერებას შემორჩა იმ ორი ველური ღამიდან, დანარჩენი ან ვეღარ დიტივა მთვრალმა გონებამ ან უხერხულია აღსაწერად... მაგრამ ესეც საკმარისია!

არასოდეს ასე მონდომებით არ ვუტარებოვარ ზორკას, როგორც იმ დღით. საკრედიტო ბილეთები რომ დავწვი... ალბათ მასაც ეჩქარებოდა შინ დაბრუნება... ტბა წყნარად მიავლოვდა აქაფებულ ტალღებს, თავის სარკეში ირეკლავდა ამომავალ მზეს და დღის ძილისთვის ემზადებოდა... ტყე და სანაპირო ტირიფები უძრავად გარინდულიყვნენ, თითქოს დღის ლოცვაში ჩანთქმულანო... ძხელი აღსაწერია ჩემი სულის მაშინდელი მდგომარე-

ობა. ბევრ ლაპარაკს არ მოყვები. ვიტყვი მხოლოდ, რომ უსაზღვროდ გა-
მეზარდა და იმავე დროს კინალამ სირცხვილით დავიწვი. როცა მოსახვე-
ვიდან თვალი მოვკარი ტბის პირას მოფუსფუსე ბებერი მიხეის წმინდა. პა-
ტიოსანი შრომითა და ავადმყოფობით გასავათებულ სახეზე მხედავთ თვისი გა-
რეგნობით ბიბლიურ მეთევზეებს გაგონებთ... მთლად მსადავო გეტყვით
და ზეცასაც სასოებით აპყურებს... როცა ნაპირზე უძრავად დგას და თვალს
ადევნებს მიმავალ ღრუბლებს, შეიძლება იფიქრო, ცაში ანგელოსებს ხედავ-
სო... მიყვარს ასეთი სახეები...

მიხეის დანახვაზე ცხენს სადავე უეცრად მოვწიე და მოხუცს ხელი
გავუწოდე. თითქოს მისი პატიოსანი, დაკორძებული ხელის შეხებით მსურ-
და ცოდვებისაგან განვწმენდილიყავი... მან შემომხედა თვისი წვრილი, გამ-
კრიახი თვალებით და ჩაიციხა.

— გამარჯობა, კარგო ბატონო! — მითხრა მან და უგერგილოდ ჩამო-
მართვა ხელი. — ისევ დაიწყე ცხენის ქენება? ის უქნარა ხომ არ ჩამოსულა?

— ჩამოვიდა.

— აკი ვთქვი... სახეზე გეტყობა... მე კი აქ ვდგავარ და შევცქერი... ეს
ქვეყანა რაც იყო, ისევ იქნება. ამათა ამათება... ერთი უყურე! იმ გერმა-
ნელს სიკვდილი კარს მოსდგომია, ის კი ამათებაზე ზრუნავს... ბედავ?

მოხუცმა ჯობით მიმანიშნა გრაფის საბანაოსკენ. იქიდან სწრაფად მო-
ცურავდა ნავი. შიგ ფოკეისქუდიანი, ლურჯქურთუკიანი კაცი იჯდა — გრა-
ფის მებაღე ფრანცი.

— ყოველ დილით კუხბულზე ფული მიაქვს და მალავს... სულელს იმ-
დენი არ ესმის, რომ მისთვის ფულსა და ქვიშას ერთი ფასი აქვს... მოკვდე-
ბა — თან ვერ წაიღებს. მომეცი, ბატონო, ერთი სიგარა!

მე პორტსიგარი გავუწოდე. სამი პაპიროსი ამოიღო და უბეში დამალა.

— ჩემს ძმისშვილს წაუღებ... გაეზარდება.

მოუთმენელი ზორკა აცმუყდა და გაფრინდა. მოხუცს მადლიერი გამო-
ვემშვიდობე, რაკი საშუალება მომცა დაღლილი მზერა მის სახეზე დამეს-
ვენებინა. ის დიდხანს მაყოლებდა თვალს.

შინ პოლიკარპი შემომეგება... მან ზიზლით, გამანადგურებლად შეათ-
ვალიერა თვისი ბატონის სხეული, თითქოს სურდა გაეგო, ამჯერადაც ვი-
ბანავე ტანისამოსიანად თუ არა.

— გილოცავთ! — ჩაიბუზლუნა უკმეხად. — დიდად სასიამოვნოა!

— ჩუმად, ბრიყვო! — ვუთხარი მე.

მისი სულელური ფიზონომია მალიზიანებდა. სწრაფად გავიზადე. საბანი
წავიხურე და თვალები დავხუჭე.

თავბრუ დამეხვა, მთელი სამყარო ნისლმა დაბურა. ნისლში ნაცნობმა
სურათებმა გაიელვეს... გრაფი, გველი, ფრანცი, ცეცხლისფერი ძაღლები,
წითელკაბიანი გოგონა, შეშლილი ნიკოლაი ეფიმიჩი.

— ქმარმა ცოლი მოკლა! ოპ, რა სულელი ხარო!

წითელკაბიანმა გოგონამ თითი დამიქნია, ტინამ შუქი დამიჩრდილა თა-
ვისი შავი თვალებით და... ჩამეძინა...

— რა ტკბილად და უმფოთველად სძინავს! ამ ფერმკრთალ, დაქანცულ
სახეს და ბავშვურად უმანკო ღიმილს რომ შეხედავ, ამ წყნარ სუნთქვას რომ
მიაყურადებ, შეიძლება გეგონოს, საწოლზე სასამართლოს გამომძიებელი კი
არა, თვით დამშვიდებული სინდისის განსახიერება წევსო! შეიძლება იფიქრო,
კრაფი კარნეევი ჯერ არ ჩამოსულა, ლოთობა, ბოშები და აურზაური ტბაზე კი

სულაც არ ყოფილა... ადექით, უთვალთმაქცესო კაცო! თქვენ იმის ღირსი არა ხართ, რომ მშვიდი ძილით დატკბეთ! ადექით!

მე თვალი გავახილეთ და ტკბილად გავიზმოხრე... ფანჯრიდან ჩემს საწოლამდე მზის ფართო სხივი გაქიმულიყო, რომელშიც მტვრის თეთრი ნაწილაკები ტრიალებდნენ და ერთმანეთში ირუოდნენ, რის გამოც სხივს მტკვარილი სითუთრე გადაკვროდა... სხივი ხან ქრებოდა ჩემს თვალთაგან, ხან ისევ ჩნდებოდა, იმის მიხედვით, შედიოდა მის არეში თუ გამოდიოდა საწოლ ოთახში წინ და უკან მოაჩუქლი ჩვენი ძვირფასი სამაზრო ექიმი პაველ ივანოვიჩ ვოზნენსკი. ექიმს გრძელი, გახსნილი სერთუკი ეცვა, რომელიც ისე განივრად ადგა ტანზე, თითქოს საკიდზეა ჩამოცმულიო, ხელები უჩვეულოდ გრძელი შარვლის ჯიბეებში ჩაეყო, კუთნიდან კუთნისკენ, სკამიდან სკამისკენ, პორტრეტიდან პორტრეტისკენ მიმოდიოდა და ბევრ თვალებს უჭუტავდა ყველაფერს, რაც კი მის მზერას ელოებოდა, რაკი ჩვეულებად ჰქონდა, ცხვირი ჩაეყო ყველგან, სადაც კი შესძლებდა, ხან კისერწაგრძელებული, ხანაც დახრილი, სათვალღერებდა ხელსაბანს, ჩამოშვებული ფარდის ნაოჭებს, კარის ღრმვოს, ლამპას... თითქოს რაღაცას ეძებს ანდა სურს დარწმუნდეს, ყველაფერი მთელია და თავის ადგილზეა თუ არა... სათვალღერამოცმული მიაშტერდებოდა ნაბზარს თუ ლაქას კედელზე, მოიღუშებოდა, შეფიქრიანდებოდა, გრძელი ცხვირით დაყნოსავდა, საგულდაგულოდ აფხეკდა ფრჩხილით... ყველაფერ ამას აზვარისმითყემლად, შეუცნობლად აკეთებდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულების გამო, მაგრამ როცა მზერა სწრაფად გადაჰქონდა ერთი საგნიდან მეორეზე, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დიდი მცოდნეა და ექსპერტიზას ატარებსო.

— ადექით, როცა გეუბნებიან! — მალვიძებდა იგი თავისი მკდერი ტენორით, თან სასაპნეში იყურებოდა და ფრთხილად ბეწვს აცლიდა საპონს.

— ა... ა... ა... გამარჯობათ, ბატონო ქუტა! — დავამთქნარე მე, როცა ხელსაბანზე დახრილი ექიმი დავინახე. — რა ხანია არ მინახავხართ!

მთელი მაზრა დასცინოდა ექიმს და „ქუტას“ ეძინდა ერთთავად მოჭუტული თვალების გამო, მეც დავცინოდი, გაღვიძებული რომ დამინახა, ვოზნენსკი ჩემთან მოვიდა, საწოლის კიდეზე ჩამომიჯდა და მაშინვე თავის მოჭუტულ თვალებთან ასანთის კოლოფი მიიტანა...

— ასე სძინავთ მხოლოდ ზარმაცებს და იმათ, ვისაც სინდისი სუფთა აქვთ, — თქვა მან, — თქვენ კი არც ერთთ მიეკუთვნებით, არც მეორეთ, ამიტომ, მეგობარო, ცოტა ადრე უნდა ადგეთ ხოლმე...

— რომელი საათია?

— სადაცაა თურთმეტი გახდება.

— ეშმაკსაც წაუღიხართ, ქუტიკო! ვინ გეხვეწებოდათ, ასე ადრე რომ მალვიძებდით? მხოლოდ დილის ექვს საათზე დავიძინე და თქვენ რომ არა, საღამომდე გემრიელად ვიძინებდი.

— პო! — გავიგონე მეზობელი ოთახიდან პოლიკარპის ბანი. — ცოტა ეძინა! მეორე დღეა სძინავს და მაინც არ ეყო! იცით, დღეს რა დღეა? — მკითხა ოთახში შემოსულმა პოლიკარპმა და თან ისე შემომხედა, როგორც ჰკვიანები უყურებენ ბრიყვებს.

— ოთხშაბათი, — ეუპასუხე.

— დიახ, როგორ არა, სწორედ თქვენთვის გააკეთეს ისე, რომ კვირაში ორი ოთხშაბათი ყოფილიყო...

— დღეს ხუთშაბათია! — თქვა ექიმმა. — პაშ, ჩემო კარგო, მთელი

ოთხშაბათი ძილში გაატარეთ? მშვენიერია! დიდებულია! ნება მიბოძეთ გკითხოთ რამდენი დალიეთ?

— ორი დღე და ღამე არ მიძინია. დაღევით კი... არ ვიცი რამდენი დაელიე.



პოლიკარპი გავისტუმრე და ჩაცმა დავიწყე. თან გუგუნიანი რომელი ორი „გიგური, საამო“ ღამის ამბებს რაც ასე ქარგია რომანსებში, სინამდვილეში კი საზიზღრობაა და სიმახინჯე. აღწერისას ვცდილობდი, „მსუბუქი ქანრის“ საზღვრებს არ გავცდენოდი, მხოლოდ ფაქტები მომეთხრო და მორალს არ გამოვდევენებოდი, თუმცა ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება იმ ადამიანის ბუნებას, ვისაც დასკვნების გამოყვანა და შედეგებზე მსჯელობა უყვარს... თავი ისე მეჭირა, თითქოს უბრალო რამეზე ვსაუბრობდი, რაც სრულიად არ მაწუხებდა. ვერიდებოდი პაველ ივანოვიჩის უბიწოების შელახვას და რაკი ვიცოდი გრაფისადმი მისი სიძულვილის ამბავი, ბევრი რამ დავფარე, ბევრიც გაკვრით მოვიხსენიე, და მაინც, მიუხედავად ჩემი სახუმარო ტონისა, ექიმი მთელი თხრობის მანძილზე ყურადღებით შემომცქეროდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და მოუთმენლად იჩეჩდა მხრებს, ერთხელაც არ გაუღიმიოდა... ეტყობოდა, ჩემმა „მსუბუქმა ქანრმა“ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

— რატომ არ იცინით, ქუტა? — ვკითხე, როცა თხრობა დავასრულე.

— ეს ყველაფერი რომ სხვას მოეთხრო და არა თქვენ, და კიდევ ის ამბავი არ მომხდარიყო, არაფერს არ დავიჭერებდი. მეტისმეტად ამაზრზენია, მეგობარო!

— რა ამბავს გულისხმობთ?

— გუშინ საღამოს ჩემთან იყო გლეხი, რომელსაც ასე მოურიღებლად გაუმანსპინძლდით ნიჩბით... ივან ოსიპოვი...

— ივან ოსიპოვი... — ავიჩეჩე მხრები, — პირველად მესმის!

— მაღალი, წითური... კორფლიანი... აბა გაიხსენეთ! თქვენ მას თავში ჩაართყით ნიჩაბი.

— არაფერი არ მესმის! არავითარ ოსიპოვს არ ვიცნობ, არც ნიჩაბი ჩამირტყია ვინმესთვის, ეს ყველაფერი თქვენ მოგელანდათ, ბიძია!

— ღმერთმა ქნას, მართლა მომლანდებოდეს... ის ჩემთან მოვიდა საკარნეევოს თემის სამმართველოს მომართვით და სამედლიცინო ცნობა მთხოვა. მომართვაში ნათქვამია, და თვითონაც იფიცება, რომ კრილობა თქვენ მიყენეთ... არც ახლა გახსოვთ? კრილობა დარტყმისგან აქვს, შუბლს ზემოთ, თმისანი ნაწილის საზღვარზე... ძვლამდე ჩაგიჭრიათ, ჩემო ბატონო!

— არ მახსოვს! — ჩავიბურტყუნე მე. — ვინ არის? რას საქმიანობს?

— კარნეევის ერთ-ერთი გლეხთაგანია, იქ, ტბაზე, მენიჩბედ გყოლიათ, როცა ქეიფობდით.

— ჰე... შეიძლება! არ მახსოვს... ალბათ მთვრალი ვრყავი და შემთხვევით მომივიდა...

— არა, შემთხვევით არ მოგსვლიათ, რალაცაზე გასჯავრებიხართ, დიდხანს გილანძლიათ, მერე კი გაცეცხლებული მივარდნილხართ და მოწმეებას თვალწინ, ჩაგირტყამთ... თანაც დამუჭრებიხართ, მოგკლავ, შე არამზადაო!.. მე გავწითლდი, ოთახში გავიარ-გამოვიარე.

— მომკალით და არ მახსოვს! — ვუთხარი ექიმს, თან გონება დავძაბე, რომ როგორმე გამეხსენებინა, — არ მახსოვს! თქვენ ამბობთ, „გაცეცხლებული“... სიმთვრალეში მართლაც მიუტყვევებლად საზიზღარი ვარ!

— ჰო, უკეთესს ვერ ინატრებ.

— გლენს ალბათ აურზაურის ატეხვა უნდა, მაგრამ მთავარი ეს არ არის... თვითონ ფაქტია უსიამოვნო, ცემა-ტყეპა... ნუთუ მე ჩხუბი შემეძლია? ნეტა, რისთვის დავარტყი საწყალს?

— დიახ.. ცნობა, რა თქმა უნდა, მივეცი, სხვაგვარად არ შემეძლო, მაგრამ მაშინვე ვურჩიე, თქვენთვის მოემართა... მოურიგდით როგორმე...¹ ლიან დაშავებული არ არის, მაგრამ ოფიციალურად თუ ვიმსჯელებთ,² ჩემი მიყენებული ჭრილობა, თანაც ძვლამდე დასული, სახუმარო ამბავი არ არის... არც თუ იშვიათად, თავის სულ უბრალო დაზიანება, რომელსაც მსუბუქ ნაცემად სთვლიან, ქალას ძვლების გამკვდარებით თავდება, ეს კი ad patres³ გამგზავრებას ნიშნავს.

ჭუტა მსჯელობამ გაიტაცა, ადგა, კედლის გასწვრივ ბოლთის ცემას მოჰყვა, და ხელების ქნევით დამიწყო თავისი ცოდნის მარაგის გადმოშლა ქირურგიული პათოლოგიის დარგში... ქალას ძვლების გამკვდარება, ტვინის ანთება, სიკვდილი და სხვა საშინელებანი ერთმანეთის მიყოლებით იფრქვეოდა მის ბაგეთაგან, ამას მოჰყვებოდა დაუსრულებელი ახსნა-განმარტება მაკროსკოპული და მიკროსკოპული პროცესებისა, რაც ახასიათებს ამ ბუნდოვან და ჩემთვის უინტერესო terram incognitam².

— კარგი, გეყოფათ! — შევაჩერე მისი სამედიცინო ლაყბობა... — ნუთუ ვერ გრძნობთ, რა მომაბეზრებელია ეს ყოველივე?

— არა უშავს რა... მისმინეთ და იტანჯეთ... იქნებ სხვა დროს უფრო ფრთხილად იყოთ და სისულელეები აღარ ჩაიდინოთ... ამ ოხერი ოსიპოვის გულისთვის, თუ არ მოურიგდებით, შეიძლება სამსახურიც დაკარგოთ! თემიდას ჭურუმი ცემა-ტყეპისთვის გაასამართლონ... სირცხვილი არ არის?

პაველ ივანოვიჩი ერთადერთი ადამიანია, ვის სენტენციებსაც გულგრილად ვისმენ და არ ვიბღვირები, ვისაც უფლება აქვს კითხვით ჩამხედოს თვალეში და ხელი აფათუროს ჩემი სულის კუნჭულებში. ჩვენ მეგობრები ვართ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ერთმანეთს პატივს ვცემთ, თუმცა საჩოთირო ანგარიშებიც გვაქვს გასასწორებელი... ჩვენს შორის შავ კატასავით გაიარა ქალმა ამ მარადიულმა casus belli-მ³ გაგვეწვლა, მაგრამ ვერ წაგვაჩხუბა ერთმანეთს და, დღესაც მშვიდობიანად ვცხოვრობთ. ჭუტა ძალიან კარგი კაცია... მიყვარს მისი უბრალო, არაპლასტიკური, დიდცხვირა სახე, მოჭუტული თვალები და წითური წვერი. მისი მაღალი, თხელი, ვიწრომხრებიანი ფიგურა, რომელსაც სერთუკი და პალტო ისე ჰკიდია, როგორც საკიდარს, მისი უშნოდ შეკერილი შარვალი მუხლებთან უამრავ ნაოქს იკეთებს და უღმერთოდ ითელება ჩექმებით; თეთრი ყელსახვევი ყოველთვის გვერდზე აქვს მოქცეული... მაგრამ არ იფიქროთ, რომ ფეთხუმიია... თუ მის კეთილ, ფიქრიან სახეს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ თავის გარეგნობაზე საზრუნავად არა სცალია და ეს საქმე არც ეხერხება... ახალგაზრდაა, პატიოსანი, გულმოდგინე, უყვარს თავისი მედიცინა, ერთთავად გზაშია— ყოველივე ეს საკმარისია იმისათვის, რომ მის სასარგებლოდ ავხსნათ მისი უბრალო ჩაცმულობის ყველა მარცხი. მან, არტისტის მსგავსად, არ იცის ფულის ფასი და აუღელვებლად სწირავს კომფორტსა და ცხოვრებისეულ სიამეს თავის ზოგიერთ გატაცებას. ამიტომაცაა, რომ ლარები და უპოვარი ჩანს... არ ეწევა, არ სვამს, ქალებზე ფული არ ეხარჯება, მაგრამ მაინც ის ორი

¹ მამაპაპისკენ (ლათ.)

² უკნობ ქვეყანას (ლათ.)

³ ომის საბაბვა (ლათ.)

ათასი, რომელსაც სამსახური და პრაქტიკით შოულობს. ისევე ადვილად მისდის ხელიდან. როგორც მე ჩემი ფული. როდესაც ქვიშის გამი მიდგას. ორი ვნება ალატაკებს მას: ფულის გასესხება და საგაზეთო საცხადებების მიხედვით ნივთების გამოწერა. სესხს სიტყვის უთქმელად ატლევს ყველას. ვინც კი სთხოვს. კრინტსაც ათ დაძრავს დაბრუნებაზე... უწყვეტად ლურსმნით ვერ ამოუჩიჩქნი ტვინიდან ადამიანის კეთილსინდისიანებას. მსგავსად ბრყვილო რწმენას. ეს რწმენა უფრო რელიგიურად მკლავდებდა საგაზეთო განცხადებებში ნაქებ-ნადიდები საგნების გამოწერისას. იწერს ყველაფერს. საჭიროს და არასაჭიროს. იწეოს წიგნებს. ქოგრიტებს. იუშორისტულ ყურნალებს. „ასი ნივთისაგან შემდგარ“ სუფრის მოწყობილობას. ქრონომეტრებს... რა გასაკვირია. რომ ბევრ უვანოვიჩთან მოსულ ავადმყოფებს მისი ოთახი არსენალი ან მუზეუმი ჰგონიათ... მას ატყუებდნენ და კიდევაც ატყუებენ. მაგრამ რწმენა ძველებურად ძლიერი და გულუბრყვილო აქვს... ისე, კაცური კაცია და ჩვენი რომანის ფურცლებზე კიდევ არაერთხელ შევხვდებით...

— უპ, კარგა ხანს შემოვრჩი. — აწრიალდა უცებ, როცა თავის იაფფასიან, ცალსარქველიან საათს დახედა. რომელიც მოსკოვიდან გამოიწერა „ხუთი წლის თავდებობით“, მაგრამ უკვე ორჯერ შეაკეთებინა. — ჩემი წასვლის დროა, ძმაო! კარგად იყავით და იცოდეთ, ეს გრაფის ქეჩები სასიკეთოდ არ დამთავრდება! თქვენს ჩანმრთელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... პო, მართლა. იქნებით ხვალ ტენელოში?

— რა ხდება იქ ხვალ?
— ხატობაა ყველა იქ იქნება. თქვენც წამოდით! აუცილებლად წამოდით! სიტყვა მივეცი. რომ უსჯველად მოხვალთ. მატყუარად ნუ გამომიყვანთ...

ვის მისცა სიტყვა — ამის კითხვა საჭირო არ იყო. ჩვენ გვესმოდა ერთმანეთისა. ექიმი გამოშემშვიდობდა. თავისი ძველი პალტო ჩაიცვა და წავიდა.

მარტო დავრჩი... უსიამოვნო ფიქრები რომ მომეშორებინა, საწერ მაგიდასთან მივედი და მიღებულ ქაღალდების თვალიერება დავიწყე. ვცდილობდი, არაფერზე არ მეფიქრა. ყურადღება არაფრისთვის არ მიმექცია... კონვერტში, რომელიც პირველი მომხვდა ხელში. შემდეგი შინაარსის წერილი იღო:

„სერიოზა, ჩემო სულიკო! მაპატიე, რომ გაწუხებ. მაგრამ ისეთნაირად გაკვირვებასა ვარ, არც კი ვიცო, ვის მივმართო... ეს უკვე აღარაფერს არა ჰგავს. რა თქმა უნდა, დაკარგული აღარ დამიბრუნდება, მაგრამ ქურდებს თუ ხელს დააფარებენ, წესიერ ქალს მშვიდად ვეღარ გაუვლია და ეგ არის. შენ რომ წახვედი, დივანზე გამეღვიძა და ბევრი ჩემი ნივთი ვეღარსად ვიპოვე. მომპარეს სამაჯური, ოქროს საკინძი. ათი ცალი მარგალიტი მძივიდან, პარტმონეტიდან ასი მანეთი ამომაცალეს. მინდოდა გრაფთან მეჩივლა. მაგრამ იმას ეძინა და მეც წამოვედი. ძალიან ცუდი ამბავია. გრაფის სახლი ჰქვია, ქურდები კი ისე დათარეშობენ, როგორც დუქანში. უთხარბ გრაფს. გკოცნი და გემშვიდობები. შენი მოყვარული ტინა“.

მისი ბრწყინვალეების სახლი რომ ქურდებით იყო სავსე. ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ გახლდათ. ამიტომ ტინას წერილი იმ ცნობებს მივუმატე, რომელიც მეხსიერებაში უკვე გამაჩნდა. აღრე თუ გვიან მათთვის მსვლელობა უნდა მიმეცა... ქურდებს ვიცნობდი.

შავთვალა ტინას წერილმა, მისმა მსხვილმა, მსუყე ხელწერამ მოზაიკური სასტუმრო დარბაზი გამახსენა და ისეთი სურვილი აღმიძრა. ნამთვრალეებზე

რომ დალევა მოგინდება. თავს მოვერიე და ნებისყოფის დაძაბვით შევუდე-
ქი მუშაობას. პირველად ძალიან მოსაბეზრებელი მეჩვენა ბოჭაულთა გაქრუ-
ლი ხელით ნაწერის გარჩევა. მერე ჩემი ყურადღება ნელ-ნელა მიიპყრო ქვე-
ლობის ამბებმა და სიამოვნებით განვაგრძე მუშაობა. მთელი დღი
წერ მაგიდასთან ვიჯექი. პოლიკარპი დროდადრო შორიანლოს ჩამიგონებდა!
უნდობლად დასცქეროდა ჩემს სამუშაოს. ჩემი სიღინჯისა არა სჭეროდა!
ველ წუთას ელოდა, რომ წამოვდგებოდი და ზორკას შეკაზმვას ვუბრძა-
ნებდი; საღამოს, ჩემი შეუპოვრობის შემხედვარემ, როგორც იქნა, დაიჭრა
და მოღუშული სახე კმაყოფილებისგან გაუნათდა... ფეხაკრეფით დაიწყო
სიარული, ჩურჩულით ლაპარაკობდა... როცა ჩემი ფანჯრის წინ გარმონის
დაკვრით ჩაიარეს ანაღაზრდებმა. ქუჩაში გავიდა და გაუჩავრდა:

— აქ რას დადიხართ, ეშმაკის კერძებო, სხვა ქუჩაზე გაიარეთ! არ იცით,
უსჯულოებო, რომ ბატონი მუშაობს.

საღამოს, სასადილო ოთახში სამოვარი რომ შემოდგა, წყნარად შემოა-
ლო ჩემი კარი და ალერსიანად მიმიხმო ჩაის დასალევად.

— მობრძანდით, ჩაი მიირთვით! — თქვა და ნაზად ამოიოხრა. თან
მოწიწებით იღიმებოდა.

ჩაის რომ ვსვამდი, ზურგიდან უჩუმრად მომიახლოვდა და მზარზე მა-
კოცა...

— აი, ასე არა სჯობს, სერგეი პეტროვიჩ, — თქვა წყნარად. მიაფუ-
რთხეთ იმ თეთრ ეშმაკს, გაწყდა იმისი... რა საკადრისია, თქვენი შეგნებისა
და განათლების პატრონი ასეთ სულმოკლეობას სჩადიოდეთ? თქვენ კე-
თილშობილურად უნდა იქცეოდეთ... ყველა პატივს უნდა გცემდეთ, თქვენი
უნდა ეშინოდეთ... თუ იმ უწმინდურს გადაეკიდებით და ხალხს თავებს და-
უხეტქავთ, ანდა ტბაში ტანისამოსიანად იბანავენთ, მაშინ ყველა იტყვის:
„ტვინის ნატამალიც არ გააჩნია, უმაქნისი კაციაო!“ საბელიც ასეთი გაგი-
ვარდებათ! ლოთობა ვაქარს შეეფერება და არა კეთილშობილს... კეთილ-
შობილს სწავლა ესაჭიროება, სამსახური...

— აბა, კარგი, კარგი... გეყოფა...

— ნუ აპყვებით გრაფს, სერგეი პეტროვიჩ! თუ მეგობარი გინდათ, ექიმს
პაველ ივანიჩი რით დაიწუნება? ეგ არას, ჩამოხეული დადის, თორემ ჰკუა-
დიდი აქვს!

პოლიკარპის გულრწფელობამ სული გამითბო... — ალერსიანი სიტყვის
თქმა მომიხდა მისთვის.

— რომელ რომანს კითხულობ ახლა? — შევეკითხე.

— გრაფ მონტე კრისტოს. აი ნამდვილი გრაფი ვინ არის! თქვენს ფე-
თხუმს კი არა ჰგავს.

ჩაის შემდეგ ისევ სამუშაოდ დავჯექი. იქამდე ვმუშაობდი, ვიდრე ქუ-
თთოები თავისთავად არ ჩამომეწია და დაღლილი თვალები არ დამეხუჭა...
დასაძინებლად რომ ვწვებოდი, პოლიკარპს ვუბრძანე, ხუთ საათზე გამაღვი-
ძე-მეთქი.

მეორე დღეს, დილაუთენია ტენევისკენ მივაბიჭებდი, სადაც ხატობა
უნდა გამართულიყო. რომელზედაც ჩემმა მეგობარმა კუტამ, პაველ ივა-
ნოვიჩმა მიმიწვია. გზადაგზა მზიარულად ვუსტვენდი და ტროსტით ყვავილებს
ვცელავდი. მშვენიერი დილა იყო. გვეგონებოდათ, თვით ბედნიერება დასცქე-
როდა დედამიწას და ნამის აღმასებში ირეკლებოდა. გამვლელის გულს თა-
ვისკენ იზიდავდა... დილის მუქით გარემოცული ტყე წყნარი და უძრავი

იყო, თითქოს ჩემს ფეხის ხმას და ჩემგან დამფრთხალი ჩიტების უნდო ყრიაშულს აყურადებდა... ჰაერი გაყვლილიყო გაზაფხულის სურნელით და ნაზად ელამუნებოდა ჩემს ჩანმრთელ ფილტვებს. ვისუხთქავდი / ამ ჰაერს, აღტაცებული თვალს ვავლებდი სივრცეს, ვგრძნობდი გაზაფხულის ახალგაზრდობას და მეჩვენებოდა, რომ ნორჩი არყები, გზისპირა და ყოველგვარ გამუდმებით მოზუზუნე მაისის ხოჭოებიც იზიარებდნენ ჩემს სიხარულს.

„რატომ არის, რომ ადამიანები თავიანთ ვიწრო, უბადრუკ ქობებში იყუყუებიან, ვიწრო და უბადრუკ აზრებს ელოლიავენებიან, როცა აქ ამდენი სივრცეა აზრისთვისაც და სიცოცხლისთვისაც, რატომ არ მოისწრაფიან აქეთ?“ ჩემს გაპოეტურებულ წარმოსახვას არ სურდა დამდაბლებულიყო ზამთარსა და ლუკმაბურზე ფიქრით, არ სურდა ედარდა ამ ორ სამწუხარო საზრუნავზე, რომელიც პოეტებს ცივი, პროზაული პეტერბურგისკენ, უსუფთაო მოსკოვისაკენ ერეკება, სადაც ლექსებისთვის ჰონორარს ლებულობენ, შთაგონებას კი ვერ პოულობენ.

გვერდით ჩამივლიდნენ ხოლმე გლეხთა ალალები, მებატონეთა ბრიკები, ისინი წირვაზე ან ბაზრობაზე მიიჩქაროდნენ, წამდაუწუმ ქუდს ვიხდიდი, გლეხებსა და ნაცნობ მემამულეებს სალამზე ვპასუხობდი, ყოველი მათგანი მთავაზობდა, დაბრძანდით, წაგიყვანთო, მაგრამ ფეხით სიარული მერჩივნა და ყველას უარს ვეუბნებოდი. სხვათა შორის, სადოლე ეტლით გრაფის მებალე ფრანცმაც ჩამიარა, მას ლურჯი ქურთუკი ეცვა და უოკვის ქუდი ეჩურა... მიბლეტელი თვალებით ზანტად შემომხედა და კიდევ უფრო ზანტად მიიტანა ქუდთან ხელი, მის უკან, ეტლზე მიბმული იყო რკინის სალტევებშემოჭერილი ხუთვედროიანი კასრი, ეტყობა, არაყისა... ფრანცის საზიზღარმა სახემ და მისმა კასრმა ცოტათი გამიფუჭეს პოეტური გუნებ-განწყობა, მაგრამ პოეზიამ ისევ მალე აღმიტაცა, როცა ზურგს უკან ეკიპაჟის ხმაური მომესმა და შემობრუნებულმა მძიმე შარაბანი დაეინახე, რომელშიც წყვილი ქურანა ცხენი ება, შარაბანში ყუთის მაგვარ ტყავგადაკრულ დასაჯდომზე ჩემი ახალი ნაცნობი, „წითელკაბიანი ქალიშვილი“ იჯდა, ორი დღის წინ რომ „ელექტრობისგან“ მოკლულ დედაზე მელაპარაკებოდა... ოლენკას ლამაზი, ახლადდაბანილი, ოდნავ ნამძინარევი სახე ერთბაშად გაუნათდა და ოდნავ აილანდა, როცა ტყისა და გზის გამყოფ ზოლზე მიმავალი დამინახა, მან მხიარულად დამიქნია თავი და ისე აღერსიანად გამიღიმა, როგორც მხოლოდ დიდი ხნის ნაცნობები იღიმებიან ხოლმე.

— დილა მშვიდობისა! — გავძახე მე.

მან ხელი დამიქნია და თავისი მძიმე შარაბანიანად ისე სწრაფად მიმეფარა თვალთაგან, რომ ვერც კი მოვასწარი დავმტკბარიყავი მისი მშვენიერი, ნორჩი სახის ცქერით. ტანზე დიდლილებიანი მუქი მწვანე ფერის ტურნიური ემოსა, თავზე განიერფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა, მაგრამ მაინც უწინდელზე ნაკლებად არ მომწონებია. სიამოვნებით გავესაუბრებოდი და მოვისმენდი მის ხმას, კარგი იქნებოდა მზის შუქზე ჩამებედა მის ღრმა თვალებში, როგორც იმ სალამოს ვიხედებოდი ელვის სინათლეზე, მინდოდა გადმომესვა უშნო შარაბანიდან და შემეთავაზებინა, რომ დანარჩენი გზა ჩემთან ერთად გაევლო, ალბათ ასეც მოვიქცეოდი, საზოგადოებრივი ქცევის წესებს რომ არ შევებორკე, რატომღაც მომეჩვენა, რომ ისიც სიამოვნებით დაეთანხმებოდა ჩემს წინადადებას... ტყუილად ხომ არ მომხედა ორჯერ, როცა შარაბანი მალალი თხმელების იქით უხვევდა...

ტენევიდან ჩემს საცხოვრებელ ადგილამდე ექვსი ვერსი იყო — ახა-

ლგაზრდა კაცისთვის მშვენიერი დილით ეს მანძილი თითქმის უძნიშვნელოა. შვიდი საათი ახალი დაწყებული იყო, რომ უკვე საზიდრებსა და ბაზრობის ბალაგანებს შორის მივიკვლევდი გზას ტენევოს საყდრისაკენ. თუმცა ადრე რიანი დილა იდგა და არც წირვა გამოსულიყო. მაგრამ უკვე იგრძნობოდა სავაჭრო ყრიაშული. ფორნების კრიალი, ცხენების ჰიხვინი. ძრავების მღვანე ვილი, სათამაშო საყვირების ხმა — ყველაფერი ეს ერთვოდა შრეშრეშის ხმას შების შეძახილებს და უკვე შექეფიფიანებული გლებების სიმღერას. რამდენი მხიარული საზეიმო სახე, რამდენგვარი ტიპი ჩანდა ირგვლივ. რა ლამაზი და მოძრავი იყო კაშკაშა ფერის სამოსით აკრელებული და დილის მზით გაჩახჩახებული მთელი ეს მასა! ფუთფუთებდა ეს მრავალათასიანი ბრბო. მოძრაობდა, ხმაურობდა, რომ რამდენიმე საათში მოესწრო თავისი საქმე და საღამოს ისევ დაშლილიყო. მოედანზე კი, თითქოს მოსაგონებლად, დაეტოვებინა თივის ნარჩენები, აქა-იქ დაბნეული ქერი და თხილის ნაკუჭი... ხალხი ჭგროდ ეშურებოდა საყდრისკენ და იქიდანაც ასევე გამოდიოდა.

საყდრის ჭვარი მზესავით ოქროს სხივებს ისროდა, ისე ელავდა, თითქოს ოქროსფერი ცეცხლით იწვისო. უფრო ქვევით ისეთივე ცეცხლით იწვოდა საყდრის თავი და მზეზე ლაპლაპებდა ახლად შეღებილი მწვანე გუმბათი. მბრწყინავ ჭვარს იქით გამჭვირვალე, შორეული სილურჯე იშლებოდა. ხალხით სავსე ეზო გავიარე და საყდარში შევედი. წირვა ის იყო დაწყებულიყო და, მე რომ შევედი, ჭერ ისევ სამოციქულოს კითხულობდნენ. გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ კითხვა და საცეცხლურის ქნევით მოარული დიაკვნის ფეხის ხმა არღვევდა. ხალხი მდუმარედ, უძრავად იდგა, სასოებით შესცქეროდა გაღებულ აღსავლის კარს და ყურადღებით უსმენდა გაბმულ კითხვას. სოფლური ზრდილობის წესები, ან, უფრო სწორად, სოფლური წესიერება მკაცრად კიცხავდა ეკლესიაში მოკრძალებული სიჩუმის დარღვევის ყოველგვარ ცდას. ყოველთვის მრცხვენოდა, როცა ეკლესიაში ყოფნისას რაიმე მაიძულებდა გაღიშებას ან ლაპარაკს. საუბედუროდ, იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ეკლესიაში არ ვხვდებოდი ნაცნობებს. მათი რიცხვი, სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი იყო. ჩვეულებრივ, შევიდოდი თუ არა, მაშინვე მომადგებოდა ვინმე „ინტელიგენტი“ და ამინდზე გრძელი შესავლის შემდეგ თავის უბადრუკ საქმეებზე დამიწყებდა ლაპარაკს. მე ვპასუხობდი „ჰოს“ ან „არას“, მაგრამ თავაზიანობა ნებას არ მაძლევდა სულ უყურადღებოდ დამეტოვებინა მოსაუბრე. თავაზიანობა ძვირად მიღირდა: ვსაუბრობდი და თან შემკრთალი ვაპარებდი თვალს მეზობელი მლოცველებისკენ. ვშიშობდი, არ შეურაცხმეყო ისინი ფუჭი ლაყბობით.

ამჯერადაც თავი ვერ დავალწიე ნაცნობებს. შესვლისთანავე დავინახე იქვე კართან მდგომი სწორედ ის „წითელკაბიანი ქალიშვილი“, რომელიც ტენოვოში მომავალს გზად შემომხვდა.

საბრალო, ერთიანად აქარხლებული და გაოფლილი, ბრბოში იდგა და მავედრებელი მზერით ეძებდა მხსნელს. ხალხში გაქედდილიყო. ვერც წინ მიდიოდა. ვერც უკან და მუკში მაგრად მომწყვდელ ჩიტს წააგავდა.

— ღვთის გულისათვის, წინ გამიყვანეთ! — მითხრა და სახელოზე ჩამებლაუჭა. — აქ ძალიან დახუთული ჰაერია და... სივიწროვე... ძალიან გთხოვთ!

— კი მაგრამ, წინაც რომ სივიწროვეა? — ვუთხარი მე.

— იქ სუფთად ჩაცმული ხალხია, წესიერი... აქ კი მდაბიოები დგანან. ჩვენთვის წინა ადგილებია განკუთვნილი... თქვენც იქ უნდა იდგეთ... ალბათ აწითლებულიც იმიტომ კი არ იყო, რომ სივიწროვე და დახუთუ-

ლი ჰაერი აწუხებდა მის პატარა თავს ადგილის დარდი არ ასვენებდა! შევიწყნარე ამ პატივმოყვარე გოგონას თხოვნა, ფრთხილად გავიკვლიე გზა და ზედ ამბიონთან გავიყვანე. სადაც უკვე თავი მოეყარა ჩვენი ბაზრის მთელ საპატიო საზოგადოებას. ოლენკა მისი არისტოკრატიული მონიჭებულს შესაფერის ადგილზე დავაყენე. თვითონ უკან მივდექი ბაზრის დავეუწყე თვალთვალი.

მამაკაცები და ქალები, ჩვეულებისამებრ, ჩურჩულებდნენ და ქადაგებდნენ. მომრიგებელი მოსამართლე კალინინი თავისა და ხელების ქნევით ხმადაბლა უამბობდა მემამულე დერიაევს თავისი ავადმყოფობის ამბავს. დერიაევი თითქმის ხმამაღლა ლანძლავდა ექიმებს და მოსამართლეს ურჩევდა ვიღაც ევსტრატ ივანიჩთან ემკურნალა. ქალებმა რომ ოლენკა დაინახეს, სალაპარაკო მასალა-გაუჩნდათ და ჩურჩულ-კურკური მორთეს. ერთი ქალი-შვილი კი, მგონი, მართლა ლოცულობდა. მუხლებზე დაჩოქილი, შავი თვალებით წინ იყურებოდა და ტუჩებს ამოძრავებდა. ვერ შეამჩნია, ქუდიდან როგორ ჩამოუცურდა კულული და ფერმკრთალ ლოყაზე ჩამოეწეწა... ვერც ის შეამჩნია, რომ მე და ოლენკა მის გვერდით გავჩერდით.

ეს გახლდათ მოსამართლე კალინინის ქალიშვილი, ნადეჟდა ნიკოლაევნა. როცა ვთქვი, ჩემსა და ექიმს შორის შავ კატასავით გაიარა ქალმა-მეთქი, ამ ქალიშვილს ვგულისხმობდი... ექიმს ისე უყვარდა იგი, როგორც შეუძლიათ სიყვარული მასავით კარგ ადამიანებს. ახლა ჩემი ძვირფასი ქუტა, პაველ ივანიჩი, მის ახლოს სარგადაყლაპულივით გაჭიმულიყო. მკლავები ძირს დაეშვა, კისერი წაეგრძელებინა. დროდადრო სიყვარულით სავსე, გვერდულ მზერას მიაპყრობდა ქალიშვილის დაძაბულ სახეს... თითქოს მის ლოცვას დარაჯობსო. თვალებში ვნებიანი ნატვრა ედგა — ყოფილიყო გოგონას სალოცავი საგანი, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, იცოდა ვისთვის ლოცულობდა იგი... არა მისთვის... ჩემკენ რომ მოიხედა, პაველ ივანოვიჩს თავი დავუქნიე და ორივენი გამოვედით ეკლესიიდან.

— მოდი, ბაზრობას ჩამოვუაროთ, — შევთავაზე მე.

პაპიროსებს მოვეუკიდეთ და დახლებს დავუყვებით.

— როგორ არის ნადეჟდა ნიკოლაევნა? — ვკითხე ექიმს, როცა იმ კარავში შევდიოდით, სადაც სათამაშოებით ვაჭრობდნენ.

— არა უშავს რა... მგონი, ჩანმრთელადაა... — მიპასუხა ექიმმა და თვალგამოკუტული დააცქერდა პატარა, ლურჯსახიან და ალისფერმუნდირიან ჩარისკაცს. თქვენი ამბავი იკითხა...

— რა ამბავი?

— ისე, საერთოდ... ჩავრობს, რომ დიდი ხანია მათთან არ ყოფილხართ... თქვენი ნახვა სურს, უნდა გაიგოს, რატომ აიყარეთ გული მათ ოჯახზე ასე მოულოდნელად... ჯერ თითქმის ყოველდღე დადიოდით, მერე კი... ერთბაშად მოიკვეთეთ. აღარც კი ესალმებით.

სტყუით, ექიმო... მართალია, მოუცლელლობის გამო ვეღარ ვინახულე კალინინები, ამას მე თვითონაც ვაღიარებ. მაგრამ მათთან ძველებურად კარგი ურთიერთობა მაქვს, სალმითაც ყოველთვის ვესალმები, თუკი მათი ოჯახიდან ვინმე შემხვდა.

და მაინც, წინა ხუთშაბათს მამამისს რომ შეხვდით, საჭიროდ არ მიიჩნიეთ მის სალამზე გეპასუხათ.

არ მიყვარს ეს ჩერჩეტი მომრიგებელი მოსამართლე, — არ შემიძლია დამშვიდებით შევხედო მის ცხვირს-პირს, მაგრამ თავშეკავება მყოფნის

მივესალმო და ჩამოვართვა გამოწვდილი ხელი. ხუთშაბათს ალბათ ვერ დავინახე ან ვერ ვიცანი. თქვენ დღეს უფუნებოდ ხართ, ჩემო ქუტა. ამიტომაც ასე ჩამაცვივდით...

— ძალიან მიყვარხართ. ძვირფასო. — ამოიოხრა პაველ ივანოვიჩმა, მაგრამ თქვენი არ მჯერა... „ვერ დავინახე, ვერ ვიცანი“... არც თქვენს და ვის მართლება მინდა, არც მიზეზების მოსმენა... რა საჭიროა, რა საჭიროა ფერი ეს ტყუილია? ძალიან კარგი კაცი ხართ, მაგრამ თქვენს ავადმყოფ ტვინში ლურსმნის წვეტივით ამოჩრილა ერთი პაწაწინა ნაწილი, რომელსაც, მაპატიეთ და, ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია...

— უმორჩილესად გმადლობთ...

— ნუ მიბრაზდებით. გეთაყვა... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ ცოტათი ფსიქოპათი ბრძანდებით. ზოგჯერ, თქვენდა უნებურად, თქვენი კეთილი ბუნების საწინააღმდეგოდ, ისეთი სურვილები გიჩნდებათ და ისე იქცევით, რომ ყველა, ვინც წესიერ კაცად გიცნობთ, ჩიხში ემწყვდევა... პირდაპირ საკვირველია, როგორ ხდება, რომ თქვენი მაღალზნეობრივი პრინციპები, რომელთა ცოდნის პატივიც მაქვს, ასე კარგად ეწყობიან იმ უეცარ აგზნებას, რომელსაც შედეგად ამაზრზენი სისაძაგლე მოსდევს ხოლმე! ეს რა ცხოველია? — უეცრად სხვა ხმით მიუბრუნდა ვაჭარს პაველ ივანოვიჩი და თვალებთან მიიტანა ხის სათამაშო, რომელსაც ადამიანის ცხვირი, ცხენის ფაფარი და ზურგზე რუხი ზოლები ჰქონდა.

— ლომი, — დაამთქნარა გამყიდველმა... — ან იქნებ სხვა რამე მხეცი... რას გაიგებ!

სათამაშოების ბალაგანებიდან „წითელი“ დახლებისკენ გავემართეთ, სადაც უკვე გახურებული ვაჭრობდნენ.

— ასეთი სათამაშოები მხოლოდ ატყუებენ ბავშვებს, — თქვა ექიმმა. — ყოვლად მცდარ წარმოდგენას უქმნიან ფლორასა და ფაუნაზე, თუნდაც ეს ლომი, მაგალითად... ზოლიანია, წითელი და თანაც ჭყვიის... განა ლომები ჭყვიან?

— მომისმინეთ, ჩემო ქუტა. — ვუთხარი მე. — თქვენ ალბათ რალაციის თქმა გსურთ და ვერ მიბედავთ... მითხარით... თქვენი სმენა მაშინაც კი მსიამოვნებს, როცა უსიამოვნო ამბებზე მესაუბრებით...

— სასიამოვნოა თუ უსიამოვნო, ჩემო მეგობარო, მაინც მომისმინეთ... თქვენთან ძალიან ბევრი სალაპარაკო მაქვს...

— დაიწყეთ... მე კი ერთ ვეებერთელა ყურად გადავიქცევი.

— მე უკვე გაგანდეთ ჩემი ვარაუდი, რომ ფსიქოპათი მგონიხართ. ახლა, თუ ინებებთ, დამამტკიცებელ საბუთებსაც მოგახსენებთ... გულახდილად ვილაპარაკებ, ზოგჯერ მკაცრადაც... ჩემი სიტყვები იქნებ კიდევაც გენამუშოთ, მაგრამ ნუ გამინაწყენდებით, ჩემო კარგო... ხომ იცით, რა გრძნობაც მაკავშირებს თქვენთან: ამ მაზრაში ყველაზე მეტად მიყვარხართ და პატივს გცემთ... იმიტომ კი არ გელაპარაკებით, რომ გისაყვედუროთ ან გაგკიცხოთ, არც თქვენი გაკენწვლა მსურს. მოდით, ობიექტურად განვსაჯოთ... მიუყერძოებელი თვალის განვიხილოთ თქვენი ფსიქიკა, როგორც განვიხილავდით ღვიძლს ან კუჭს...

— კარგი, განვსაჯოთ ობიექტურად. — დავეთანხმე მე.

— დიდებულია... დაეიწყეთ თუნდაც თქვენი და კალინინის ურთიერთობით... თქვენს მეხსიერებას თუ ჩაეკითხებით, იგი გიპასუხებთ, რომ კალინინების ოჯახში სიარული მაშინვე დაიწყეთ, როგორც კი ჩვენს დალოც-

ვილ მანრაში ჩამოხვედით. თქვენი ხაცხოვრობა არ უძებნიათ... თავიდანვე არ მოეწონეთ მომრიგებელ მოსამართლეს თქვენი ქედმაღლური გამომეტყველების, დამკინავე ტონისა და მოქვიფი გრაფთან შეგობრობის გემო. ვერც ელირსებოდით მასთან სტუმრობას. თვითონვე რომ უჩქარებულად პირველად გახსოვთ? თქვენ გაიცანით ნადევდა ნიკოლაევნა ბიჭლიჩიშვილი ყოველდღე დაიწყეთ მათთან სიარული... როცა არ უნდა მოსულიყო კაცი, თქვენ მუდამ იქ ხვდებოდით... შეხვედრით ძალიან გულითადად გხვდებოდნენ, გფერებოდნენ, როგორც შეეძლოთ... მამაც, დედაც, პატარა დებიც... ახლობელივით შეგიყვარეს... ალტაცებულნი იყვნენ თქვენით. ხელისგულზე ვატარებდნენ, თქვენს პატარა ხუმრობაზეც გულიანად იცინოდნენ... მათთვის განიერების, კეთილშობილების, ჯენტლმენობის მაგალითი იყავით... თქვენც თითქოს გრძნობდით ყველაფერ ამას და სიყვარულზე სიყვარულით მასუბნობდით — ყოველდღე მიდიოდით, წინასაღღესაწაულო მზადებისა და ალიაქოთის დროსაც კი, დაბოლოს არც ის უბედურა სიყვარული დარჩენილა თქვენთვის საიდუმლოდ, რომელიც ნადენკას გულში აღძარიოთ... ხომ ასეა? იცოდით, რომ თავდავიწყებით უყვარდით და მაინც დადიოდით, დადიოდით... მერც, გახსოვთ, რა მოხდა, ჩემო კარგო? შარშან, სრულიად მოულოდნელად, არც აცივეთ, არც აცხველეთ და ვიხიტები უეცრად შეწყვიტეთ. გელოდნენ ერთ კვირას... ერთ თვეს... გელიან ახლაც, თქვენ კი არა და არ ჩნდებით... გწერენ და არ უპასუხებთ... ბოლოს, სალაშიც დაუძვირეთ... თქვენ, ვინც ზრდილობის წესებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, ასეთი საქციელი უდიერობის უმაღლეს გამოვლინებად უნდა მიგაჩნდეთ! რატომ ამოიკვეთეთ კალინინების ოჯახიდან ფეხი ასე ერთბაშად? გაწყენინეს? არა... მოგბეზრდათ? მაშინ შეგეძლოთ ნელ-ნელა ჩამოსცილებოდით ამ შეურაცხყოფელი, ყოველად აუხსნელი უცქეობის გარეშე...

— სტუმრად სიარულს თავი დავანებე. — ჩავიცინე მე. — და მაშინვე ფსიქოპათად მომნათლეს, რა მიამიტო ბრძანდებით, ჩემო კარგო ქუტა! განასულ ერთი არ არის ერთბაშად შეწყვეტ ნაცხოვრობას თუ თანდათანობით? ერთბაშად უფრო პატიოსნურიცაა — ნაკლები თვალთმაქცობა გამოდის, რა სისულელეა ეს ყველაფერი!

— დაეუშვათ, მართლაც სისულელეა და ასეთი უკმეხი საქციელისთვის რაღაც ფარული მიზეზები გაგაჩნიათ, რასაც უცხო თვალი ვერ შესწვდება. მაგრამ როგორ აუხსნათ თქვენი შემდგომი მოქმედება?

— მაგალითად, რომელი?

— მაგალითად, როდესაც ერთხელ ჩვენს სამანრო გამგეობაში მობრძანდით, არ ეიცო რა საქმისთვის, და თავმჯდომარემ გკითხათ, კალინინებთან რატომ აღარ ჩანხართ, თქვენ უპასუხეთ... აბა, გაიხსენეთ, რა უპასუხეთ? მეშინია, არ დამაქორწინონო! აი, რა წამოგცდათ! და ეს განაცხადეთ სხდომის დროს, ხმაშიაღლა, გარკვევით, ისე, რომ დარბაზში მყოფ ასივე კაცს კარგად გაეგონა! ლამაზი საქციელია? თქვენი სიტყვების პასუხად სიცილი და უწმაწური ხუმრობა გაისმის საქმროთა გამოკერის თემაზე, თქვენს ფრაზას აიტაცებს ვილაც არამზადა, მიდის კალინინებთან და სადილობისას ნადენკას მიახლის... რისთვის აწყენინეთ ასე ძალიან, სერგეი პეტროვიჩ?

პაველ ივანოვიჩმა გზა გადამიღგა და ისე განაგრძო, თან მავედრებელი, თითქმის ცრემლიანი თვალებით შემომცქეროდა:

— რისთვის, რა დაგიშავეს? იმისთვის, რომ ამ კარგ გოგონას უყვარხართ? დაეუშვათ, მამამისს, როგორც ყველა სხვა მამას, მართლაც ჰქონდა

მსგავსი განზრახვა... იგი, თავისი ქმარობის მოვალეობის გამო, ყველა გვეგულსხმობს: თქვენც, მეც, მარკუზინსაც... მშობელი ყველა ერთნაირია... შეიძლება მისი ქალიშვილიც, რომელსაც ასე უყვარხართ. და თქვენს ცოლობას... მაგრამ ნუთუ ამისთვის ეკუთვნით ასეთ მწვავე სიყვარულს? განა თქვენ, ჩემო ბიძია, თვითონვე არ ცდილობდით, რომ მისი სიყვარული წასულიყო? ყოველდღე დადიოდით ჩვეულებრივი სტუმრები ასე ჩვირად არ დადიან. დღისით ნადეჟდა ნიკოლაევისთან ერთად თევზაობდით, საღამოს ბაღში სეირნობდით და ყოველნაირად იცადით თქვენს სიყვარულს, არც მაშინ შეგიცვლიათ ქვევა, როცა გაიგეთ, რომ უყვარხართ... შეიძლება ამის შემდეგ ვინმეს ექვი შეჰპარვოდა თქვენს ერთად განზრახვაში? მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შეირთავდით! თქვენ კი... თქვენ წუწუნი მორთეთ, მასხრად აიგდეთ! რისთვის? რა დაგიშავეს?

— ნუ უვირით, ქუტია, ხალხი გვიყურებს. — ვუთხარი ბაველ ივანოვიჩს და გვერდი ავუარე. — მოვრჩეთ ამ ლაპარაკს, ასე დედაკაცები ჩხუბობენ. მხოლოდ ორიოდ სიტყვას გეტყვით და ამით გაყათავით, კალინინებთან იმიტომ დავდიოდი, რომ მოწყენილი ვიყავი და თანაც ნადეჟდა მომწონდა... ძალიან საინტერესო გოგონაა, იქნებ კიდევაც შეპერთო, მაგრამ შევიტყუე, რომ თქვენ ჩემზე ადრე ყოფილხართ, მისი ხელის პრეტენდენტი, რომ მის მიმართ გულგრილი არ ბრძანებულხართ, იმიტომ დავინიერე უკან... ჩემი მხრავ ბოროტება იქნებოდა, წინ გადავდგომოდი თქვენისთანა კარგ ყმაწვილს.

— Merci სიკეთისათვის! მე თქვენთვის არ მითხოვია, მოწყალება მოილეთ-მეთქი, თანაც თქვენი ახლანდელი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიკოუეს ამბობთ, ტყუილობრალოდ ლაპარაკობთ, არც ეს უფიქრდებით თქვენს სიტყვებს... გარდა ამისა, ჩემს კარგ ყმაწვილობას ხელი არ შეუშლია თქვენთვის, ერთ-ერთი უკანასკნელი სტუმრობისას, ფანჩატურში, ისეთი რომ შეგეთავაზებინათ ნადეჟდასათვის, რაც კარგ ყმაწვილს შეეძლებოდა, თუ მას შეირთავდა!

— ოპო-ო! საიდან იცით, რა შევთავაზე, ჩემო ქუტიკო? ალბათ თქვენი საქმე არც ისე ცუდადაა, რაკი ასეთ საიდუმლოს განდობენ!.. თუმცა მთლად გაფითრდით სიბრაზისაგან და ლამის კიდევაც მცემოთ... სულ დაგავიწყდათ, რომ ობიექტურად უნდა განგვესაჯა საქმე! რა სასაცილო ხართ, ქუტია! მოდი, მოვეშვათ ამ უაზრობას... ფოსტაში წავიდეთ!

ჩვენ საფოსტო განყოფილებისკენ გავემართეთ, რომელიც თავისი სამი სარკმლით მხიარულად გადმოჰყურებდა საბაზრო მოედანს, რუხ მესერს იქით ნაირფერად უვაოდა ჩვენი ფოსტის მოხელის მაქსიმ ფიოდოროვიჩის ყვავილნარი, მაქსიმ ფიოდოროვიჩი მთელ მაზრაში ცნობილი იყო ყვავილებით, მის მოვლით, გაზონების, ყვლების და სხვა ამგვარის გაშენებით.

ჩვენი მას ფრიად საამო საქმიანობით გართულს წავადექით, სიამოვნებისგან გაწითლებული, მომღიმარე იჯდა თავის მაგიდასთან და წიგნივით ფურცლავდა ასმანეთთან ქალიშვილის მსრვილ დასტას, ეტყობოდა, მის გუნებ-განწყობაზე სხვისი ფულების დანახვაც კარგად მოქმედებდა.

— გამარჯობათ, მაქსიმ ფიოდოროჩი! — მივესალმე მას. — სიდანა გაქვთ ამდენი ფული?

— აი, ბატონო ჩემო, სანქტ-პეტერბურგში ავზავნიან. — ტყბილად გაი-

ლიმა მოხელემ და ნიკაპით მიმითითა კუთხისკენ. სადაც საფოსტო განყოფილების ერთადერთ სკამზე ადამიანის მუქი ფიგურა იჯდა...

ჩემს დანახვაზე ფიგურა ადგა და ჩემთან მოვიდა. ვიცანი ჩემი ახალი ნაცნობი, ახალი მტერი. რომელსაც გრაფთან ლოთობის დროს ისე ძალიან ვაწყენინე...

ერყინებენ
გინებენ

— სალამი, — მითხრა მან.

— გამარჯობათ, კაეტან კაზიმიროვიჩ. — ვუპასუხე მე. თან თავი ისე დაეიჭირე, ეითომ მისი გამოწვდილი ხელი ვერ შეენიშნე. — გრაფი როგორ ბრძანდება?

— გმადლობთ. არა უშავს... ოღონდ ცოტა მოწყენილია... ყოველ წუთს გელოდებით...

პშეხოცკის სახეზე ეწერა, რომ ჩემთან საუბარი სურდა. რამ გაუჩინა ასეთი სურვილი იმ „ღორის“ შემდეგ. რომლითაც მე შევამკე. ან რამ შეუცვალა ქცევა?

— რამდენი ფული გქონიათ! — ვუთხარი და გასაგზავნ ასმანეთიანების დასტას დავაკქერდი.

უეცრად, თითქოს ვილაყამ თავში ჩამკრაო, ერთ ასმანეთიანს მომწვარი კიდე და მთლად დამწვარი კუთხე დავუნახე... ეს სწორედ ის ასმანეთიანი იყო, მე რომ უნდა დამეწეა შანდორის აღზე. როცა გრაფმა უარი მითხრა ბოშებისთვის გადასახდელი ფულის აღებაზე. იმას პშეხოცკიმ სტაცა ხელი, როცა მე ძირს დავაგდე.

— სჯობს, ვინმე ღარიბს მივცე. — თქვა მაშინ. — ვიდრე ცეცხლში დაიწვას.

რომელ ღარიბს უგზავნიდა ახლა?

— შეიძლი ათას ხუთასი მანეთი. — გაბმით დაითვალა მაქსიმ ფიოდორიჩმა. — სავსებით სწორია!

უხერხულია სხვის საიდუმლოში ჩახედვა. მაგრამ ძალიან მომინდა გამეგო, ვისი ფული იყო და ვის უგზავნიდა პეტერბურგში შეეწარბა პოლონელი? ეს ფული მისი ნამდევლად არ იქნებოდა. გრაფი კი პეტერბურგში ვერავის გაუგზავნიდა.

„მთვრალ გრაფს წაგლიჯა. — გავიფიქრე მე. — თუ ყრუ და ბრიყვი კოტი ახერხებს გრაფის ძარცვას, ამ ბატს რაღად გაუჭირდებოდა მის ყიბეში ჩაძრომა?“

— ჰო... მართლა, მეც გავაგზავნი ფულს. — გაახსენდა პაველ ივანოვიჩს. — ბატონებო, ვერც კი დაიჭერებთ! თხუთმეტ მანეთად ხუთ ნივთს მივიღებ! კოგრს, ქრონომეტრს, კალენდარს და კიდევ რაღაცას... მაქსიმ ფიოდორიჩ, მათხოვეთ ქალაქის ფურცელი და კონვერტი!

ქუტამ გაგზავნა თავისი თხუთმეტი მანეთი, მე ავიღე ჩემი გაზეთები, წერილები და საფოსტო კანტორიდან გამოვედი...

ეკლესიისკენ გავემართეთ. ქუტა გაფითრებული და შემოდგომის დღესავით დაღვრემილი მომყვებოდა. არ ელოდა, თუ ასე ააღელვებდა საუბარი, რომლის დროსაც ცდილობდა „ობიექტური“ ყოფილიყო.

ეკლესიაში ზარებს რეკდნენ, კარიბჭიდან ნელა ეშვებოდა ხალხის ტალღა. რომელსაც ბოლო თითქმის არ უჩანდა. ბრბოს თავზე აზიდული ძველი ბაირალები და მუქი ქვარი წინ უძლოდნენ ლიტანიას. მზე მზიარულად დასაცმციმებდა სამღვდლო შესამოსელს, ღვთისმშობლის ხატი დამაბრმაველ სხივებს აფრქვევდა...

— აი, ჩვენებოც... თქვენი უკიდურესი დასაშურის თავკაცებზე მიძიოთა... ბრბოსგან განსაჯევიებით რომ დაშლგარიყვნენ...



— სულერთია... მივიდეთ მათთან. ნაცნობებს მივუახლოვდი და თავის დაკვრით მივეხალმე. მოსამართლე... და კიბრჩხალასავიან... მან ვითომ ვერ შეამჩნი...

— მშვიდობით, ჩემო ანგელოზო. — მტირალი ხმით ჩაილაპარაკა მან და ქალიშვილსა თუ მჭრთალ შუბლზე წაშობრა. — შინ მართო გაემგზავრე...

კიდევ ერთხელ ეამბორა შვილს. ტკბილად გაუღიმა თავკაცებს. მერე შუბლი მკაცრად შეიჭრა. ცალ ქუსლზე მკვეთრად შეტრიალდა და მის უკან მდგარ გზირის ბალთიან გლებს დაუყვირა:

— ბოლოს და ბოლოს მომგვრიონ... მშვიდობით... მელიტა იქნება გაიწვა... მისკამართლეს ცხენებმა ზანზალა... მათი ტანის ბაღბონ გაიწვა... მათი ტანის ბაღბონ გაიწვა...

— რა მედიდური ღორია. — წავხურჩულე ეჭიმს. — წავიდეთ აქედან! ნადედა ნიკოლაევენასთან არ გსურთ საუბარი? — შეითხა პაველ ივანჩიმა.

— შინ მიმეჩქარება, არა მცალია. უკიდურესი დასაშურის თავკაცებზე მიძიოთა... მუ ყველას ერთად დავუკარო, თავი და ბალაგანებისკენ წავედე. ბრბოში რომ მივიკვლევდი გზას, უკან მოვიხედე. მინდოდა მოსამართლის ქალიშვილი დაძვინახე. ის მე მომჩერებოდა, თითქოს სურდა გაეგო... გავფიქვნი...

— როსტვის?! — შევითხებოდნენ მისი დაჯვარებული. მკერდში რაღაცამ მიჩხვლიტა. გულში მტკინა, შემრცხვე ჩემი ბრიყვუ... ლი საქციელისა. მომიხდა ფეხრად დაგბრუნებულად და ჩემი სათნო... კიდევ ბოლომდე შეფურცენელი სულიც, მთელი სიწმინდელით მოვფერებოდი. მივალერსებოდი ჩემგან განაწყენებულ ქალიშვილს. რომელსაც ასე მხურვალედ ვუყვარდი. მინდოდა მეფიქვა, რომ დაძვინახე მე, აი არა, ჩემი წყევლი სიამაყე... მისი სიამაყე, სიციოცბლეს, მიწამლაგდე, სუნთქვას მიშლიდა. ნაბიჯს არ მადგმეუინებდა. ბრიყვული, თავმომწონე, ამაო სიამაყე! ვანა შემძლო მე, უსულგულო კაცს. შესარიგებლად გამეწოდებინა ზელი, როცა ვხედავდი, რომ ჩემს ყოველ მოძრაობას მაზრის, ჭორიკანა, დედაკაცების და „გვებუდიოი დუდაბრების“ ყვბაზელი თვალები დარაჯობდნენ? უმჯობესი იყო მასზე გადაეტანათ დამცინავი მზერა. მას, მისეოდნენ, ვიდრე ეჭვი შეკპარვოდათ ჩემს „ქელუნრელოაასა“ და სიამაყეში, რისთვისაც ასე მათასებდნენ ბრიყვი დიაცები.

როცა პაველ ივანოვიჩს ველაპარაკებოდი იმ მიზეზებზე, რომელთა გა...

მოც უეცრად შევწყვიტე კალინინებთან სიარული. მთლად გულწრფელი და მართალი არ ვიყავი... ნამდვილი მიზეზი დაეთარე. იმიტომ, რომ ჩემი წვრილ-მანობისა მრცხვენოდა... ისეთი მცირე იყო. როგორც თოფი... აი, ისიც, ბოლო მისვლისას. როცა ზორკა შეეტლეს დაეშტოვე და კალინინების ზღურბლზე ფეხი შეედგა. უეცრად მომესმა ფრაზა: **კალინინები**

— ნადენკა, სადა ხარ? შენი საქმრო მოვიდა!

ამას ამბობდა მამამისი, მომრიგებელი მოსამართლე, ალბათ არ ეგონა, რომ მეც გავიგონებდი მაგრამ გავიგონე და ჩემი თავმოყვარეობა შეილახა.

„შე საქმრო ვარ? — გავიფიქრე ჩემთვის... — ვინ მოგცა უფლება, რომ საქმროს შეძახი? რა საფუძველი გაქვს საამისოდ?“

თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში... ჩემი სიამაყე აბობოქრდა და ყველაფერი დამავიწყა. რაც მანსოვდა კალინინებთან მომავალს... დამავიწყდა რომ მე მოვბიბლე გოგონა და თვითონაც უკვე იმ ზომამდე ვიყავი მოზიბ-ლული, რომ ერთი საღამოც აღარ შემეძლო უმისოდ გამეტარებინა... დამავიწყდა მისი თვალები, რომლებიც დღედაღამ გონებიდან არ მშორდებოდ-ნენ, მისი კეთილი ღიმილი მელოდირი ხმა... დამავიწყდა ზაფხულის წყნარი საღამოები, რომლებიც აღარასოდეს განშეორდებიან არც ჩემთვის და არც მისთვის... ყველაფერი ერთად დაამსხვრია სატანურმა სიამაყემ. შიამიტი მამის ბრიყვეული ნათქვამით აფორიაქებულმა... გაყოფებული გამოვბრუნ-დი, ზორკას მოვაბტი და გავაქენე, თან გულში დავიფიცე, ჰკუა მესწავლე-ბინა კალინინისთვის, რომელმაც გაბედა და ჩემი თანხმობის გარეშე თავისი ასულის საქმროდ დაქსა...

„თანაც ვოზნესენსკის უფვარს ეს ქალო... — საკუთარ საქციელს ვა-მართლებდი შიხისაკენ მიმავალი... — იმან ჩემზე ადრე დაიწყო მის გარშემო ტოილი და უკვე საქმროდ ითვლებოდა, როცა მე გავიკახი აღარ შეეუშ-ლი ჩელს...“

მას შემდეგ არც ერთხელ აღარ ვყოფილვარ კალინინებთან, თუმცა ზოგ-ჯერ ძალიან ვიტანჯებოდი ნადენკას ნატვრით, ჩემი გული ისწრაფვოდა მის-კენ, ისწრაფვოდა წარსულის განახლებისკენ... მაგრამ მთელმა მაზრამ იცოდა განხეთქილების ამბავი, იცოდა, რომ მე „ქორწინებას გამოვეტეცი“... განა ჩემი სიამაყე რაიმეს დათმობდა?

ვინ იცის? კალინინს რომ ის ფრაზა არ ეთქვა და არც მე ვყოფილიყა-ვი ასე უაზროდ ამაყი და მგაძნობიარე, იქნებ არც მე დამჭირვებოდა უკან მიხედვა და არც იმას გამოეყოლებინა ასეთი მზერა... მაგრამ ისევ ეს მზე-რა სჯობდა, ისევ წყენა და სავცედური სჯობდა იმას, რაც ამ თვალეებში ტე-ნევოს ეკლესიასთან შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ ამოვიკითხე! დარ-დი, ახლა რომ ამ შავი თვალეების სიღრმეში ჩანდა, მხოლოდ დასაწყისი იყო იმ საშინელი უბედურებისა, რომელმაც უეცრად მოვარდნილი მა-ტარებელივით ერთბაშად აღგავა საბრალო ქალიშვილი პიროსაგან მიწისა... ყვავილი რა მოსატანია იმ საზარელ ნაყოფთან შედარებით, ასევე რომ მწიფდებოდა მისი ნაზი სიღულისა და სევდიანი სულის მოსაშაშად!

ტენევოდან წამოსული იმავე გზას დავადექი, რომლითაც დილას მოვე-დი, მზე უკვე საშუადღეოზე ასულიყო... გოებისა საზიდრები და მეშამულე-თა ბრიჩეები ახლაც დილანდელივით მიტკობდნენ სმენას კრიალითა და ზანზალაკების წკრიალით, ისევ ჩამიარა მებალე ფრანცმა არაყის კასრით, ამ-ჯერად ალბათ სავსეთა... ისევ შემომხედა თავისი ამღვრველი თვალეებით და

ბელი ქუდთან მიიტანა საღმის ნიშნად არ შესიამოვხა მისი საზიზღარი ფი-
ზიონომიის დანახვა. მაგრამ ამ შებყვდრით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდი-
ლება ამჟერადაც ერთბაშად გააქარწყლა მეტყვევის ქალიშვილმა ოლენკამ.
რომელიც თავისი მძიმე შარაბანით წამომიწია...



— მეც წამიყვანეთ! — გავძახე მას.
გოგონამ მზიარულად დამიქნია თავი და მეეტლე გააჩერა. მე მის გვერ-
დით დავჯექი და შარაბანი კრიალით გაგორდა გზაზე. ფუთი უნდა წავსვლა
გასდევდა ტენევის ტყის სამეფოსიან განაკათს. ორადე წუთი ჩუმად ვათ-
ვალიერებდით ერთმანეთს.

„მართლა რა მშვენიერია! — გფოქრობდი მე და სიამოვნებით შევცქე-
როდი მის ლამაზ კისერსა და პუტყუნა ნიკაპს. — რომ ეთქვათ, ნადენკასა
და ამას შორის ერთ-ერთი აირჩიეო ამას ავირჩევდი. ეს უფრო სადაა. ნორ-
ჩი, უფრო დიდბუნებიანი და ფართო გაქანების... კარგ ხელში თუ მოხე-
და — კარგი რამე დადგება! ის კი პირქუშია. მეოცნებე... ჰკვიანი“.

ოლენკას ფეხებთან ორი თოფი ქსოვილი და რამდენიმე ფუთა იდო.
— რამდენი რამ გიყიდიან! — ვთქვი მე. — რად გინდათ ამდენი ქსო-
ვილი?

— ამაზე მეტიც მჭირდება! — მიპასუხა ოლენკამ. — ეს ისე, სხვათა შო-
რის ვიყიდე... ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი საზრუნავი მაქვს! დღეს მთე-
ლი საათი ბაზრობაზე ვიხეტიალე. ივალ ქალაქს მომიწევს საყიდლებზე
წასვლა... მერე შევერვა იქნება საჭირო... მისმინეთ, ხომ არ იცნობთ ისეთ
ქალებს, რომ მკერავებად დაჭირავენა შეიძლებოდეს?

— ათა, არ იცნობ... მაგრამ რად გინდათ ამდენი რამ? ან ვის უნდა
შეუყუროთ? თქვენი თჯარი ხომ არც ისე დიდია... ერთი, ორი სული და
მორჩია...

— რა უცნაურები ხართ მამიკაცები! არაფერი არ გესმით! აი, როცა
ცოლს შეიერთავთ, თვითონვე გაბრაზდებით, თუ ჯერისწერიდან მობრუნებუ-
ლი ცოლი ფეთხუმი და ულაზათო აღმოჩნდება. ვიცი, რომ პიოტრ ეგორო-
ვიჩი ღარიბი არ არის, მაგრამ მაინც უბერხულია, თავიდანვე ცუდ დიასახლი-
სად გამოეჩნდა...

— რა შუაშია პიოტრ ეგორიჩი?
— კმ, ისე იცინის, თითქოს არ იცოდეს! — თქვა ოლენკამ და ოდნავ
გაწითლდა.

— თქვენ, ქალიშვილო, გამოცანებით ლაპარაკობთ...
— აბა, მაშ არ გაგიგიათ? მე ხომ პიოტრ ეგორიჩზე ვთხოვდები!
— თხოვდებით? — გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა... — პიოტრ
ეგორიჩი ვინ არის?

— ოპ, ღმერთო ჩემო! ვინ არის და ურბენინი!
მის ავარდისფერებულ, მომღიძარე სახეს შევხედე...
— თქვენ... თხოვდებით? ურბენინზე? კარგი ხუმარა ყოფილხართ!

— სულაც არ შეხუმრება... არც კი მესმის, რა არის აქ სახუმარო...
— მაშ, თხოვდებით... ურბენინზე... — ჩავილაპარაკე და თვითონაც არ
ვიცი, რატომ გავფითრდი. — თუ ეს ხუმრობა არ არის, მაშ სხვა რა და-
ვარკვა?

— არავითარი ხუმრობა! არ ვიცი, რა მოგეჩვენათ ასე საოცრად და
უცნაურად... — ტუჩებგაბუსხულმა მიპასუხა ოლენკამ.
მთელი წუთი მდუმარედ ვისხედით... ვუყურებდი ლამაზ ქალიშვილს, მის

ნორჩ, თითქმის ბავშვურ სახეს და მივირდა. როგორ შეეძლო ასე საშინ-
ლად ეხუმრა? მაშინვე წარმოვიდგინე მის გვერდით ხშირი წველი. სახე-
წითელი ურბენინი, რომელსაც გაფშვკულ ყურები და ხეშტიკოვანი ჰქონ-
და. ამ წველებს შეხებას შეიძლება მიწოდებდნენ და კარგად უნდა ახლო-
ხანს აწვევებულ ქალს სწეული. ჩუთუ ასეთ სურათზე ფიქრი არ აშინებს
ტყის ღამაზე ფერიას, რომელსაც შეუძლია პოეტურად დასაქვანოვანებაზე გა-
ლაკნილი ელვა და მოგროვებულ ქვე-ქუჩილი. მე რომ ვე ვარ, შეეცაო შეე-
შინდი!

— მართალია, ცოტა შებერია. ამოთორა ოლენკამ. სამავიეროდ
უყვარვარ... მისი სიყვარული საიძედოს.

— საქმე საიძედოს სიყვარულით კი არა, ბედნიერებითა.

— მასთან ბედნიერი ვიქნები. ქონება, ღვთის შაღლით, კარგი აქვს,
არც უბირო ვიანქვა. მხნაური გახლავთ სიყვარულით ქორწინდებიან? ვიცი,
რაც არის ეს სიყვარულით გათხოვება.

— ჩემო ბავშვო, ვუთხარი და თავხარდაცემულმა ჩავხედე ნათელ
ღვალეებში. — როდისღა მოასწარიო ამ სწავრელი ცხოვრებისეული სიბრძ-
ნით თქვენი მატარა თავის გამოტენა? დავუშვათ, რომ შენუბრებით, მაგრამ

სად იწავლეთ ასეთი უხეში ბებრული ხუმრობა? სად ან როდის?
— ოლენკამ განცვიფრებით შემომჩნედა და მხრებზე აიჩიქა:

— არ შესის, რას მეუბნებით. ჩქვამან, არ მოგწონთ, რომ ახალ-
გახარდა ქალიშვილი ბებერს მიუკება ცოლად, არა?

— ოლენკა უეცრად აენტო, ნერვულად აათამაშა ნიკაპი და ჩემი პასუხის-
თვის არ დაუცდის. სწრაბად აღაპარაკდა.

— არ მოგწონთ? მაშინ კეთილი რწებეთ და თვითონ წაბრძანდით იმ გა-
მოყრუებულ ტყეში. სადაც ააქვანების და შეშლილი მამის შეტი არავინ
არის... იცადეთ იქ ვიდრე ახლოგაზრდა საქმრო მოგაკითხავდეთ! იმ სადა-
შენს ძალიან მოგეწონათ, მაგრამ ამა უკეთი ხამთარში ნახეთ, როცა სიკვდილი
სანატრელი გაგახდებათ.

— ეს ყველაფერი სისულელეა. ოლენკა, მოუფიქრებელი საქციელი!
თუ მართლა არ ხუმრობთ, მაშინ აღარ უნდა, რა ვთქვა! ვიჯობთ, გაჩუმდეთ,
რე შეურაცხყოფთ აქაურობას თქვენი ენით. თქვენს ადგილზე ცხრაჯერ ჩა-
მოვიხრჩობდი და ვს, თქვენ კი ქსოვილებს ყიდულობთ... იღიშებით! ოო-ჰ!

— სწავს თუ არახერი, ბავისი უფლით უმყურნალებს მამას... წაიხურ-
ჩულა მან...

— რამდენი გკიროდებათ მამათქვენის საშუკუნალოდ? — წამოვიყვირე
მე. — შე მოგცემთ! ასი? ორასი? მასსი? სტყუით, ოლენკა! მამათქვენის
შუკუნალოდ აქ არაფერ აშუაშია!

— ოლენკასგან მოსმენილმა ახალმა ამბაუმა ჩნე ამალელუა, რომ ვერც კი
შეგნიშნე. როგორ გასცდა შარაბანი ჩემს სოფელს, როგორ შეუბოია გრაფის
უხარში და მოურავის კაოწის გაჩერდა... ბავშვებო შესახვედრად გამოცვიდ-
ნენ, მამულმარე ურბენინი ოლენკას მიუჭრა, რომ გადმოსტლაში მიხმარებოდა.

— ამის დანახვაზე შარაბინიდან გადმოვხტი და დაუშვიდობებლად გავი-
ქეცი გრაფის საბლისკენ. აქ კიდევ ერთი ახალი ამბავი მელოდა.

— რა კარგია, რომ მოხუცი! — ნომეგება გრაფი და გრძელი, წვეტიანი
ულვაშებით მომჩიქანა ლოყა. — უკეთეს დოოს ვერც შეარჩევდი. ეს არის,
ახლა დავსაედიმ სასაუხმოდ... რა თქმა უნდა, იცნობ, ალიბაბ ბევრჯერ
უყვანებოდა სასამართლოს ამბების გამო. მისი ქაშა!

გრაფმა ორივე ხელით მიმითითა ორ მამაკაცზე. ისინი რბილ სავარძლებში ისხდნენ და ცივად მოხარულ ენას შეექცეოდნენ. ერთი მათგანი, ჩემდა სამწუხაროდ, მომრიგებელი მოსამართლე კალინინი გახლდათ. მეორე — ჩია, ჭალარა ბერიკაცი, რომელსაც მთვარისებურად გამწვანებული კეფა ჰქონდა, ჩემი კარგი ნაცნობი, მდიდარი მემამულე ბაბაევი იყო. მას ჩვენს მაზრაში მუდმივი წევრის თანამდებობა ეჭირა. მისალმებისას გაოცებულმა შევხედე კალინინს... ვიცოდი, როგორ სძულდა გრაფი, რა ხმებს უყრიდა მთელ მაზრაში იმას, ვისთანაც ახლა გემრიელად მიირთმევდა ცერცვით შეზავებულ ენას და ზედ ათწლიან ნაყენს აყოლებდა. როგორ შეეძლო წესიერ კაცს ამ სტუმრობის ახსნა? მოსამართლემ ჩემი მზერა დაიჭირა და ეტყობოდა, მიმიხვდა.

— დღევანდელი დღე ვიზიტებს მივუძღვენი. — მითხრა მან. — მთელი მაზრა უნდა მოვიარო... მის ბრწყინვალეებასაც ვესტუმრე, როგორც ხედავთ.

ილიამ მეოთხე კაცისთვისაც დადგა ჭურჭელი. მე დავჯექი, არაყი გადავკარი და საუზმეს მივყავი ხელი...

— არ არის კარგი, თქვენო ბრწყინვალეებავ... არ არის კარგი! — განაგრძო კალინინმა ჩემი მოსვლით შეწყვეტილი საუბარი. — ჩვენ, პატარა ხალხს, ცოდვად არ ჩაგვეთულება, თქვენ კი დიდებული კაცი ბრძანდებით, მდიდარი ბრწყინვალე... დაუდევრობა თქვენთვის ცოდვაა.

— მართალია, ცოდვაა... — დაეთანხმა ბაბაევი.

— რა მოხდა? — ვიკითხე მე.

— კარგი რჩევა მომცა ნიკოლაი იგნატიჩმა! — თავით მანიშნა მოსამართლეზე გრაფმა... — ჩემთან მოვიდა... სასაუზმოდ დაჯდა. მე კი წუწუნი დავიწყე, მოწყენილობა მკლავს-მეთქი...

— შემომჩივლა, მოწყენილობა მკლავსო... — შეაწყვეტინა გრაფს კალინინმა. — მოწყენილი ვარ, სევდა მომერიაო... ესაო, ისაო... ერთი სიტყვით, გულგატეხილი ბრძანდება... ონეგინივით... მე კიდევ ვეუბნები, თქვენივე ბრალია-მეთქი. თქვენო ბრწყინვალეებავ... როგორო? როგორ და, ისე-მეთქი... მოწყენილი რომ არ იყოთ, უნდა იშრომოთ-მეთქი... მამულს მიხედოთ... ჩინებული მამულია, გასაოცარი... ბრძანა, გადაწყვეტილი მაქვს ასე მოვიქცეო, მაგრამ მოწყენილია... ეტყობა, გამამხიარულებელი, აღმგზნებელი ელემენტი არ გააჩნია... ასე ვთქვათ... ძლიერი შეგრძნებები აქლია...

— მერე, რა რჩევა მიეცით?

— კაცმა რომ თქვას, არავითარი რჩევა არ მიმიცია, მხოლოდ გავბედე და მის ბრწყინვალეებას საყვედური შევკადრე. როგორ მოხდა-მეთქი, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ ასეთი ახალგაზრდა... განათლებული, ბრწყინვალე კაცი ასე კარჩაკეტილი ცხოვრობთ-მეთქი. განა ეს ცოდვა არ არის-მეთქი? არც არსად დაბრძანდებით, არც არავის ეპატივებით, საზოგადოებაში არ ჩანხართ... თითქოს მოხუცი იყოთ ანდა განდევნილი... რა დაშავდებოდა წვეულებები რომ მოგეწყობოთ... ეურფიქსები, ასე ვთქვათ?

— რისთვის სკირდება ეს ეურფიქსები? — ვიკითხე მე.

— როგორ თუ რისთვის? ჭერ ერთი, თუ სალამოებს მოაწყობს. მისი ბრწყინვალეება საზოგადოებას გაეცნობა... შეისწავლის, ასე ვთქვათ... მეორეც, საზოგადოებას პატივი ექნება უფრო ახლოს გაიცნოს ჩვენი მხარის ერთ-ერთი უმდიდრესი მიწათმფლობელი... როგორც იტყვიან, აზრთა ურთიერთგაზიარება იქნება, საუბრები, მხიარულება... მერედა, თუ დავუკვირდებით, რამ-

დენი განათლებული ქალიშვილი გვყავს. რამდენი კვალერი... რა მუსიკალური საღამოები შეიძლება გავმართოთ. რა ცეკვები, რა პიენიკები — თვითონ განსაჯეთ! დარბაზები ვრცელზე ვრცელია, ბაღში ფანჯარები და ა. შ. ისეთი სამოყვარულო სპექტაკლები და კონცერტები შეიძლება ვიმართოს. რომ მთელი გუბერნია სახტად ღარჩეს... ომერთმანი, თვითონ განსაჯეთ ახლა ყველაფერი ტყუილუბრალოდ იკარგება. მიწაშია დაკრძალული მაშინ კი... მონდომებაა მათლოდ საჭირო! მე რომ იმდენი შეძლება მკონდეს, როგორც მის ბრწყინვალეობას. გიჩვენებდით, როგორ უნდა ცხოვრება! ბატონი გრაფი კი მოწყენილია! ომერთმანი, მოსასმენადაც სასაცილოა... სირცხვილიც კია...

და კალინინმა თვალები ააბამნა იმის საჩვენებლად, რომ მართლაც რცხვენოდა...

— ეს ყველაფერი მართალია. — ბრძანა გრაფმა, სუფრიდან ადგა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო. — მე მართლაც დიდებული საღამოების მოწყობა შემიძლია... კონცერტები, სამოყვარულო სპექტაკლები... ეს ყოველივე მართლაც მშვენივრად შეიძლება გაკეთდეს. ამას გარდა, ასეთი საღამოები მარტო საზოგადოების გასართობად კი არ გამოდგება. მათ აღმზრდელობითი გავლენაც ექნებათ! განა ასე არ არის?

— რა თქმა უნდა. — დავეთანებ მე. — როგორც კი ჩვენი ქალიშვილები შენს უღვაშიან ფიზიონომიას დაინახავენ, მაშინვე ცივილიზაციის სულით განიმსჭვალებიან.

— შენ სულ ხუმრობ. სერიოზულად. — განაწყენდა გრაფი. — მეგობრულად კი არასოდეს არაფერს არ მიბრძვ! ყველაფერი სასაცილოდ გეჩვენება! უკვე დროა, ძეგობარო, დაივიწყო ეს სტუდენტური ოინები!

გრაფი ბოლოს ცემას მოჰყვა. თან გრძობად. მოსაბეზრებლად მიხსნიდა, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობას მისი საღამოები. მუსიკა, ლიტერატურა, სცენა, ცხენით ნადირობა. მარტო ნადირობაც კმაროდა მთელი მაზრის საუკეთესო ძაღვების გასაერთიანებლად...

ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ ამაზე! — უთხრა გრაფმა კალინინს დამშვიდობებისას.

მაშ. ნებას დართათ მაზრას. იმედი იქონიოს, თქვენო ბრწყინვალეობა? — ჰკითხა მოსამართლემ.

— რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა... მე ამ აზრს განვაფიქრებ. ვეცდები... მობარული ვარ... დიდად მობარული... ასე გადაეცით ყველას...

უნდა გენახათ, რა ნეტარება ეწერა სახეზე მომრიგებელ მოსამართლეს, როცა თავის ეკიბაში ჯდებოდა და ამბობდა: „წავედით!“ ისე იყო განბარებული, რომ დაივიწყდა ჩვენ შორის არსებული წყენა. დამშვიდობებისას „გეთაყვაო“. მიიხრა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

დასრულებულია შემოქმედებისათვის

!



გერმანულიდან
თარგმნა ლამარა ნაროშვილმა

თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა

(ბოდლერისა და ჩვენს დრომდე)

III ნაწილი

შესავალი თანამედროვეობა

37

წლებიდან იყოფილა. წერა, სიურსები დაიწყო, 4 წლის შემდეგ ანაზღად შეწყვიტა. შემდეგ ხანგრძლივი დუმილი და მოუხვედარი მოგზაურობის წლები. შორს, აზიაში წახვლის სურვილი, რომელიც ვერ განხორციელდა ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აფრიკაში მოხვდა. მსახურობდა კოლონიურ ჯარში, ქვისსამტეხლოში, ხაექსპორტო ფირმებში. ბოლოს იარაღით ვაჭრობდა აბისინიის ნეგუსისათვის. მოკლედროს ემსახურა გეოგრაფიულ საზოგადოებებს ცნობებს აწვდიდა აფრიკის გამოკვლევებში მხარდასაჭერად. ხანმოკლე განვითარების საოცარი ტემპით აღმშენებელი პროექტორმა მოღვაწეობაში ორ წელიწადში მიიღო საკუთარი საწყისის, მაგრამ ახევე, მის უკან მდგარი ლიტერატურული ტრადიციის აფეთქებასთან შექმნა საკუთარი ენა. რომელიც დღემდე რჩება თანამედროვე ლირიკის პირველად

ლი ლექსით. შემდეგ — თავისუფალ ლექსში გადავიდა. ხოლო აქედან Illuminations (1872-73) და Saison en enfer (1878)-ის ასინტრიული რიტმიზებული პროზით დაწერილ ლექსებამდე მივიდა. წინამორბედლოვან შემზადებული ფორმათა ეს გათანაბრება დამოკიდებული ლირიკის სასარგებლოდ ხდება. რომელიც საგნობრივს, ისევე როგორც ფორმისეულს. თავისი თავისუფლების ნებისმიერ შედეგებზე იყენებს მისი შემოქმედების დაუფრთხად და პროზად არ არის ჩვენი კვლევის საგანი უფრო მიზანშეწონილია სხვაგვარი დაუფრთხად პირველი პერიოდი. დაახლოებით 1871 წლის შუამდე — განსაზღვრა ლექსების ხანა და მეორე — ბუნდოვანი, ენოტერული ლექსების ხანა.

რემბოს პროზა უპირველესად ბოდლერის თეორიულ ნაწარმოებთან განხორციელებად გვესახება. მაგრამ აქ სრულიად სხვაგვარი სურათია „ბოროტების ევალიების“ შეფუთვებით. მაგრამ მოწესრიგებული და მკაცრ ფორმებში გამოთქმული დამბულობა აქ აბსოლუტურ დისონანსად იქცა თემები ზოგჯერ ინტუიტურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ბში.

ეს პროზები ბუიან დე კოსტმა სიყვირით მიიჩნია, რომდენიმე მახვილგონივრული, მაგრამ არცთუ მთლიან უზადო მტოყვების სარგებელზე, რომლის მიხედვით Les Illuminations-ის თარგმანი წარმოადგინდა მისთვის.

ახეთი ზოგიერთი ფაქტი რემბოს პიროვნებისა.
 ამ ფაქტების სამხატვრო შეფასება მისი შემოქმედებაც მას თანამედროვეობაში შეფუთვით რემბოს ამოსავალი სიტყვა-ცნობა აფეთქება. მისი შემოქმედება დაიწყო წლები.
 * გაგრძელება დასაწყისი იმ „საფენე“-ში 3
 † ნეგუსი - იმპერატორის ტიტული ეთიოპიაში (მოსაზრება შეიქმნა)

რად წუდებიან და ერთმანეთში ქაოსურად
ახლართებიან. ამ პოეზიის გულიგულს თემატი-
კა კი არ შეადგენს, არამედ ბოხოქარი მღელვარე-
ბა. 1971 წლიდან მასში აზრობრივი ხტრუქ-
ტურის ნაკვალევსაც ვეღარ იპოვიტ. არამედ
მხოლოდ ფრაგმენტებს, დატეხილ ხაზებს,
გრძობადად შეკვეთრ, მაგრამ ირეალურ ხურათ-
ხატებს, თანაც ქაოსი იმ ერთიანობაში ფეთ-
ქავს, რომლის ენად ქცევასაც აიძულებენ: ხა-
ხელდობრ აზრხალმატებულ, კეთილმშოვიან და
არაკეთილმშოვიან ელერადობათა ერთიანობაში.
ლირიკული აქტი სულ უფრო მეტად გადაინაცვ-
ლებს შინაარსიდან დიქტატორულ ხედვაზე
და, შესაბამისად, გამოთქმის უჩვეულო ტექნი-
კაზე. ეს ტექნიკა არ საკიროებს სინტაქსური
წესრიგის ნგრევას. ვულკანურ რემბოსთან ეს
ძალზე იშვიათად ხდება. მით უფრო ხშირია იგი
წყუნარ მაღარმებსთან. რემბოსთვის საკმარისია, ქა-
ოსური შინაარსი ისეთ წინადადებაში მოაქციოს,
რომელიც პრიმიტიულობამდე გამარტივებული.

დეზორიენტაცია

ახეთი პოეზია ამფორიაქებელია, ი. რივიე-
რი 1928 წელს რემბოს შესახებ წერდა: „მი-
სი მოწოდება ჩვენი დეზორიენტირებაა“. ეს
შეხედულება იმითაც ხწორია, რომ იგი რემ-
ბოს პოეზიაში შეიცნობს ამ მოწოდებას, ამასვე
ადახტურებს კლოდელის რივიერისხადმი მიწერი-
ლი ერთი წერილი, სადაც იგი illuminations-ის
პირველი წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილე-
ბებს უწიარებს მას: „როგორც იქნა, თავი და-
ვადწიე ტენისა და რენანის უგვან სამყაროს,
ამ ხაზარელ მექანიზმს, რომელსაც მართავს
ხისტი და, გარდა ამისა, შეცნობადი და შესწავ-
ლადი კანონები. ეს იყო ზებუნებრივის გა-
ცხადება“. იგი გულისხმობდა მეცნიერულ პო-
ზიტივიზმს, რომელიც ეურდნობა რწმენას
რომ მთელი სამყარო და ადამიანიც ტოტალურ
ახსნას ექვემდებარება. იგი აზრჩობს იდუმალე-
ბით მსაზრდოებელ შემოქმედებით და ხუ-
ლიერ ძალებს, ამიტომაც, ბუნდოვანი პოეზია,
რომელიც ექსტრემული მეცნიერული აზროვნე-
ბის ახსნადი სამყაროდან ფანტაზიის ექსტრემულ
იდუმალებით მოცულ სამყაროში იჭრება. შე-
იძლება ისტორიულ მისიად მივიჩნიოთ, რომე-
ლიც მგრძნობიარე ადამიანს ებმარება ახეთ-
სავე თვითგარდაქმნაში. არსებითად აქ უნდა
ვეძიოთ რემბოს პოეზიის ძალა, რითაც მან კლო-
დელი და ბერი სხვა შეითხველი მონუსხა. მი-
სი ირეალური ქაოსი ხსნა იყო შემოქმედი
რეალობისაგან, კლოდელი ამას უმაღლის თავი-
სი რწმენის გარდაქმნელ იმპულსს, მაგრამ ან
ახალი რწმენისათვის კლოდელი მართო აგებს

ქაოსს. რემბოს ბოდღერზე ნაკლებად შეიძლება
დავხაზოთ ქრისტიანად, თუნდაც მის პოეზია-
ში რელიგიური ექსტაზის მინათებავე ძალებს
გგრძნობდეთ. ეს ძალებს, მისთვის ცარიელი ზე-
ბუნებრიობის არარსი ანოქტება.
რემბოს პოეზია მთელ უფრო მადეზორიენ-
ტირებელია. ვინაიდან ვისივენიდან ამოდის,
რომელიც არა მხოლოდ დაზიანებულია უბეზი-
ბიძგებისაგან, არამედ ჩადოსხურ მელოდიებ-
საც გამოსცემს, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება
გრჩებათ. თითქოს რემბოს რაღაც არამი-
წიერი ნეტარება მსქვალავდეს, თითქოს ის
სხვა სამყაროდან იყოს მოვლენილი, უად-
მას „ანთებული მანუვლის ბუჩქს“ უწოდებს, სხვა-
ბისთვის იგი ანგელოზია, გასხვივსნებული, აღ-
ტაცებული, მაღარმემ „განდევნილი ანგელოზი“
დაარქვა მისი დისონანსური შემოქმედება უად-
რესად წინააღმდეგობრივ შეფასებებს იწვევს.
ამ შეფასებებიდან მოჩანს რემბოს უდიდეს პო-
ეტად აღიარებასა და სრული გაუფასურებას
თითქოს მისი შემოქმედება სქესობრივი მომ-
წიფების პათოლოგიური დარღვევებით დაავა-
დებული კაბუკის ნაცოდვილარი იყოს. მასზე
უწომოდ გაზვიადებული ლეგენდები შეიქმნა,
მაგრამ ობიექტური ანალიზი ამ გაზვიადებებს
აღვილად გაფანტავს, თან, მას იმის აღიარე-
ბაც მოუბდება, რომ ეს გაზვიადებები პირდა-
პირი შედეგია იმ ძალებისა, რომელსაც რემბო
ახსივებს, როგორც უნდა იყოს ეს შეფასე-
ბები, თავისთავად, ფაქტი ერთია: რემბოს ფე-
ნომენს გვერდს ვერ ავუვლით. მან მეტეო-
რივით გაიელვა და გაქრა, მაგრამ თავისი ცე-
ცხლოვანი კვალი სამუდამოდ დააჩნია პოეზიის
ზეცას, ის აეტორები, რომლებიც რემბოს გვიან
გაიცნენ და მისი ზეგავლენით არ უწერიან
ლექსები, აღიარებენ, რომ მათი პოეზიაც
იმავე „შინაგან მდგომარეობათა“ გამოსატვის
აუცილებლობიდან მოდის, რომელიც გარკვე-
ულ კულტურულ პერიოდებში მეორდება
ახეთი აზრი გოტფრიდ ბენმა გამოთქვა.

ნათელმხილველის წერილები

(ცარიელი ტრანსცენდენტია,
წინასწარგანზრახული ანომალია,
დისონანსური „მუსიკა“)

1971 წელს რემბომ ორი წერილი დაწერა,
რომლებშიაც მოშავალი პოეზიის პროგრამა მო-
ხაზა. ეს პროგრამა ემთხვევა მისი პოეტური
შემოქმედების მეორე პერიოდს, რადგან ეს
წერილები ცნება „ნათელმხილველის“ (voyant)
ირგვლივ ტრიალებენ, მათ ჩვეულებრივ „voyant

— წერილებს" (გვ. 251 შმდ.) უწოდებენ. ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პოეტურ შემოქმედებას თან ხდევს ამ შემოქმედებაზე ტოლფასოვანი რეფლექსია. პოეტის ნათელმზილველის რანგში აყვანა ახალი არ არის. ეს აზრი ბერძნებიდან მოდის. აღორძინების ხანის პლატონიზმმა იგი კვლავ გააცოცხლა. რეზომ ამ აზრს მონტენთან გაეცნო, რომელიმაც ერთ ეხეში თავისებურად გაერთიანა პლატონის მიერ ორგან გამოთქმული მსჯელობა პოეტურ სიშმაგეზე. რეზომ მონტენის ეს ნაწყვეტი მოწაფეობაშივე დაიწეპირა. შესაძლებელია, ვ. ბიუგოს აგანაც მიიღო ერთგვარი იმპულსი. მთავარი კი ის არის, როგორ აღიქვა რეზომ ეს ძველი აზრი. რას ხედავს ნათელმზილველი პოეტი, და როგორ ხდება იგი ასეთად? პასუხები სრულიად არაბერძნული და ძალზე თანამედროვეა.

პოეზიის მიზანია „შეუცნობელში შეაღწიო“, ან კიდევ: „უხილავი დაინახო, მოუსმენელი გაიგონო“. ჩვენ ვიცნობთ ამ ცნებებს. ისინი ბოლტერისაგან მომდინარეობენ და იქაც, ისევე, როგორც აქ, ცარიელ ტრანსცენდენციას აღნიშნავენ. არც რეზომ განმარტავს მათ უფრო ზუსტად. იგიც სახილველი მიზნის უარყოფით დახასიათებასთან ჩერდება და განმარტავს მას, როგორც არა—ჩვეულებრივს და არა—რეალურს, არამედ. უბრალოდ, როგორც სხვაგვარს, მაგრამ არ ტვირთავს მას შინაარსით. ამას რეზომს ლექსებიც ადასტურებენ. მათი დაუოკებელი გაქრა ხინამდვილიდან, უპირველესად, თვით ამ დაუოკებელი სწრაფვის განმუხტვას, ისევე, როგორც ხინამდვილის დეფორმაცია სურათხატებად, რომლებიც, მართალია, ირეალურია, მაგრამ არ არის ქეშმარიტი ტრანსცენდენციის ნიშნები. „შეუცნობელი“ რეზომსთანაც შინაარსდაცლილი დაძაბულობის პოლუსია. პოეტური ხედვა თვითნებურად დანგრეული ხინამდვილის მიღმა ცარიელ იდუმალებას ქვრეტს.

ვინ არის ამ „ხედვის“ სუბიექტი? ხაქვეყნოდ ცნობილია რეზომს პასუხი ამ კითხვაზე. რომ „მე“ რაღაც სხვაა, როცა თუნუქი საყვირად იღვიძებს, ეს მისი დამხაზურება როდია, მე ჩემი აზროვნების აყვავებას ვესწრები, მე ვუჭვრეტ მას, მე ვუსმენ მას, ხეშს ჩამოვყრავ, ხილრმეში კი მყის სიმფონია შეირბევა. შევდომავ თქვა: „მე ვფიქრობ“, უნდა ითქვას: „მე მფიქრობენ“. ვარჯისი სუბიექტი, მაშასადამე, არ არის ემპირიული „მე“. მის ადგილს სხვა ძალები იკავებენ. ძალები ქვემოდან, წინაპიროვნული წარმომავლობისა, მაგრამ განმკარგულებელი უფლებამოსილების მქონენი. მხოლოდ ისინი გვევლინებიან შესაფერ ორგანოდ „შეუცნობლის ხაქვრეტად“. ამ სიტყვებში ადვილად საცნობია

მისტკური სქემა: „მე“-ს თვითუარყოფა, რადგან ღვთაებრივი ინსპირაცია ორგუნავს მას. მაგრამ ეს დათრგუნვა ახლა ქვემოდან მოდის. „მე“ ქვევით იძირება, სადაც კოლექტიური სიღრმისეული შრეები („l'âme universelle“) განძარცვავენ ძალაუფლებისაგან. ჩვენ ვეფავართ იმ ზღურბლთან, საიდანაც თანამედროვე პოეზია ცდილობს ახალი ცრფქვეთის მოცემაც გაცვეთილ სამყაროს უფრო შეეფევა, არაცნობიერის ქაოსში მოიძიოს. გასაგებია, თუ რატომ მიიჩნევენ მე-20 საუკუნის სიურრეალისტები რეზომს ერთ-ერთ თავიანთ წინამორბედად.

უაღრესად საყურადღებოა აზრთა შემდეგი თანმიმდევრობაც: „მე“-ს თვითგანძარცვა ძალაუფლებისაგან ხორციელდება ოპერატიული აქტის მეშვეობით. მას ღირიურობს ნება და ინტელექტი. „მე მიინდა პოეტი გავხდე და ვმეშაობ, რათა გავხდე იგი“... — ასეთია ნების განკარგულება. რაც ნიშნავს „უველა შეგრძნების ხანგრძლივ უსაზღვრო, რაციონალურად გამიზნულ აღრევას“. და უფრო მკვახედ: „მთავარია უსახური სული შეიქმნა, იმ კაცის მსგავსად, რომელიც თავის სახეზე მეტეკებს გადიანერგავს და გაზრდის“. პოეტური შთაგონება ამოქმედდება თვითდასახიჩრების, სულის ოპერატიული დამახიჩების მეშვეობით. უველაფერი ეს კი საშუალებაა „შეუცნობელში მოხახვედრად“. ამ „შეუცნობლის“ მჭვრეტი პოეტი არის „ღრმად სწეული, დიდი ბოროტმოქმედი დიდად განკიცხული — და უველა მცოდნეთა შორის უპირველესი“. ანომალია, ამგვარად, აღარ არის მხოლოდ დათმენილი ხვედრი, როგორც ერთ დროს რუსოსთან გვხვდებოდა, არამედ წინასწარგანზრახული განდგომაა. შემოქმედებითი აქტი ამიერიდან უკავშირდება იმ წინაპირობას, რომ ნებად დაამახიჩგოს სულიერი ხატი, რადგან მხოლოდ ასეთი სიმახიჩგე ხდის შესაძლებელს ბრმად გაიქრას წინაპიროვნულ ხილრმეში, ისევე — ცარიელ ტრანსცენდენციასში. ჩვენ შორს ვართ ბერძენთა ზეშთაგონებული ნათელმზილველისაგან, ვისთვისაც მუზებს ღმერთების სიტყვა ჩამოქონდათ.

მსგავსი ოპერაციებით შექმნილ პოეზიას უწოდებენ „ახალ ენას“. „უნივერსალურ ენას“, რომლისთვისაც სულ ერთია, ექნება მას ფორმა თუ არა, იგი ნარევია „უცნაურის, იდუმალის, საზარელისა და მომზიბლავის“, უველარახვი გათანაბრებულია. მათ შორის მშვენიერისა და მახიჩისა. მათი ღირებულების ვრთადერთი მაჩვენებელია მღელვარების აღძვრა და „მუსიკა“. უველგან, მთელ თავის შემოქმედებაში, რეზომ დაპარაკობს მუსიკაზე, რომელსაც „უცნობ მუსიკას“ უწოდებს. ეს ენის

„სასახლეებში, რომლებიც ძვლებითაა ნაგები“,
 „ტელეგრაფის ბოძების რკინის სიმღერაში“.
 იგი „აბაღ ურვათა ნათელი მღერაა“, „უველაზე
 ინტენსიური მუსიკაა, საიდანაც განდევნილია
 რომანტიკული ხასიათის კეთილბოვანი ვნე-
 ბანი“. იქ, სადაც მის პოეზიაში საგნები ან
 არსებები ხმას გამოსცემენ, ღრიალი და უვი-
 რილია, რომელიც სიმღერასა და მელოდიაში
 რიკოშეტივით იჭრება: ეს დისონანსური მუსი-
 კაა, დავუბრუნდეთ წერილებს. მშვენიერი წი-
 ნადადება გვხვდება: „პოეტი ხაზომს იმ შე-
 უცნობლით საზღვრავს, რომელიც მისი დროის
 ხულისკვეთებაში ფეოქავს“. ამას უშუალოდ მო-
 ვუვება ანომალიის პროგრამად გამოცხადება:
 „იგი არის ნორმად ქცეული ანომალია“. ამ გან-
 ცხადების მწვერვალია: „პოეტი შედის შეუც-
 ნობელში და, თუ საკუთარი ხილვები თავადაც
 აღარ გაეგება, ისინი დაინახა მაინც, დაე,
 დაიღუპოს გაუგონარ და სახელდაურქმეველ
 საგნებში თავისი უზარმაზარი ნახტომისაგან:
 სხვა საშინელი მუშაკები მოვლენ და დაი-
 წყებენ იმ საწიერიდან, სადაც მას ძალამ
 უმტყუნა“.

პოეტი თავისი მძლავრი ფანტაზიის მეშვეო-
 ბით შეუცნობელში იჭრება და მასში იღუპება,
 სამყაროს ასაფეთქებლად იღვწის, რემზომ
 იგრძნო, რომ თანამედროვეობის ურთიერ-
 მტრული ძალაუფლების მქონენი — ტექნიკუ-
 რი მუშაკი და პოეზიის „მუშაკი“, ერთმა-
 ნეთს სადღაც თანხვდებიან, რადგან ორივე დიქ-
 ტატორია: ერთს დედამიწა უპყრია, მეორეს —
 სული.

ტრადიციასთან კავშირის
 განუხვეტა

ამ პროგრამის შეამბოხე ხასიათი, ახევე —
 თვით პოეზიისაც, წარსულისკენაა მიმართული
 და იქ ტრადიციის გამანადგურებლად გვევლი-
 ნება, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ რემზომ
 უმანვილობასა და კაბუკობაში გატაცებით კი-
 თხულობდა წიგნებს, მისი ლექსები ხავსეა თა-
 ნამედროვე და მე-19 საუკუნის დასაწყისში
 მოღვაწე ავტორების შემოქმედების გამოძახი-
 ლით. მაგრამ ეს გამოძახილი მკვახრე უღერადო-
 ბიხაა, რომელიც რემზომსაგან მოდის და არა ამ
 ავტორთაგან. ლიტერატურულმა მემკვიდრე-
 ობამ, შედგენი გადაბურების თუ გაუიწვის გა-
 მო, სრულიად იცვალა სუბსტანცია. ამ გამო-
 ძახილებს რემზომ შემოქმედების განხილვისა-
 თვის მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნე-
 ლობა აქვთ ისინი მხოლოდ იმას ადასტუ-
 რებენ, რაც არაერთხელ იქნა მანამდეც დადას-

ტურებული. სახელდობრ: ვერც ერთი შემოქმე-
 დი ვერ დაიწყება სიცარიელეში. მაშასადამე,
 არც რემზომ შემოქმედება წარმოადგენს ამ
 მხრივ რაიმე სპეციფიკურს. სპეციფიკურო-
 ბა თავს იჩენს წაკითხულის თვითნებურ შე-
 ცვლასა და მის პოეზიაში, რომელსაც ტრადი-
 ციასთან კავშირის განწყვეტა უწერს და მის ში-
 მართ ზიზღით განგაწყობს: „მწყვეტა-კრულვა
 წინაპრებს!“ — ვკითხულობთ მეორე ნათელ-
 მხილველის წერილში. გადმოცემით შემორჩა
 მისი სიტყვები, სადაც იგი ხასაცოლოდ იგდებს
 ლუვრის მუზეუმს და ეროვნული ბიბლიოთეკის
 გადაწვას მოგვიწოდებს. შესაძლოა, ეს ბაღ-
 ლურად ეღერდეს, მაგრამ განწყობილებით მის
 უკანასკნელ ნაწარმოებს (Saison) სავსებით
 ეთანხმება, თუმცა მისი ავტორი ამ დროისათვის
 უკვე კაბუკი იყო და ბავშვი ნამდვილად აღარ
 ეთქმოდა. საზოგადოებისა და ეპოქისაგან რემ-
 ზომს განდგომა წარსულიდან მომდინარე ლო-
 გიკური შედეგია. მიზეზები აქ არა პიროვნე-
 ბებში, არამედ თანამედროვე ისტორიულ ვი-
 თარებებშია საძიებელი. წარსული, უწყვეტი
 ცნობიერების კვდომისა და მისი ერზაცის —
 ისტორიზმისა და მუზეუმებში შექუჩების შე-
 დეგად, თანდათან ტვირთად იქცა და ამან
 მე-19 საუკუნის ზოგ შემოქმედში უკურთაქ-
 ცია მოგვცა, რასაც წარსულის სრული უარ-
 ყოფისაკენ მივყავართ, იგი თანამედროვე პოე-
 ზიისა და ხელოვნების ერთ-ერთი განუშორებე-
 ლი სიმპტომათაგანია.

მოწაფეობაში რემზომ თავგამოდებული მუშა-
 ნისტი იყო, მაგრამ მის ნაწერებში ანტიკური
 სამყარო დამახინჯებულად გვევლინება. მითი
 აქ დადაბლებულია — იგი სრულიად ორდინა-
 ლურ ამბებს გადმოგვცემს. „ქალაქის გარეუბ-
 ნელი ბაკი ქალები“, ვენერა მუშებს არაყს
 ასმევს; ერთ დიდ ქალაქში ირმები დიანას ძუძუს
 წოვენ, გროტესკული, რომელიც ვ. ბიუგოსთან
 შუასაუკუნეთა დროლერაიების (Drôlerien)
 გამოძახილია, აქ, ისევე, როგორც დომიესთან,
 ანტიკური სამყაროს ღმერთებს მოიცავს, ეს
 დამახინჯება რადიკალურ ხასიათს ატარებს
 ხონეტში Venus Anadyomène, სათაური გვახ-
 ხენებს ერთ-ერთ უღამაზეს ანტიკურ მითს:
 აფროდიტეს (ვენერას) დაბადებას ზღვის ქაფი-
 დან, მასთან უჩვეულო წინააღმდეგობაშია ში-
 ნაარსი: მწვანე თუნუქის აბაზანიდან აიძარბე-
 ბა მსუქანი ქალის სხეული ნაცრისფერი ყე-
 ლით, წითელი ლაქებით დაწინწკლული ზურგი-
 თა და ბარძაყებზე ამოტვიფრული სიტყვებით:
 „Clara Venus“, ანატომიურად ზუსტად მინიშ-
 ნებულ ადგილას სიმხივნე ამომჭდარა, რემზომ
 ლექსები ზოგიერთმა პაროდიად მიიღო იმ დროს
 გავრცელებულ პოეზიაზე (უპირველესად, პარ-

სტრუქტურა (სტრუქტურა), მაგრამ ამ პარადიგმაში, ნუმრობის
ტრადიციული არ არის. ახალი თავად მოთოსს უბიზ-
ებს, ხაერთოდ ტრადიციას. მშვენიერებას. ეს
არის აგრესია დეფორმირებისაკენ ლტოლვის
კანსამუხტავად. რომელსაც (და ხაოცარი
წორედ ეს არის) იმდენი არტისტულია გააჩ-
ნა, რომ ხიმახინჯეს სტილითა და ლოგიკის ძალა
ხანტიკოს.

უფრო დაუნდობლად ალაშქრებს რემბო
მშვენიერებისა და ტრადიციის წინააღმდეგ
ლექსში *Ce qu'on dit au poète à propos de
lleurs*. როცა დაუნდობლად ამხსნარავენს უვა-
ილდების ლირიკას, ვარდებს, იას, შროშანს,
იასამანს, ახალ პოეზიას ხხვა ფლორა უფრო
ხიბლავს: ნუ უმღერი ვაზის რქას, უმღერე
თამბაქოს, ბამბას, კარტოფილის დაავადებას,
სანთლის ცრემლი სჯობია უვაილს. მშობლიურ
მცენარეებს — ეგზოტიკურ მცენარეთა გაოფ-
ლილი ბამბის ქსოვილი. შავი ლაფვარდის ქვეშ.
რკინის ხაუკუნეში, შავი ლექსები უნდა იწერე-
ბოდეს, რომლებშიც რითმა ამოსხლტება. „რო-
გორც ნახშირორქანა ნატრიუმის ხხივი, რო-
გორც თხევადი კაუჩუკი“ ტელეგრაფის ანძებია
მათი ლირა, მოვა ვინმე და დიდ სიუვარულს
უმღერებს, სიუვარულს — „ავაჯაქ ქალს ბნელი
წენდობისა“.

ახალი ეპოქა და ქალაქის
კოეზიკა

წინამდებარე ტექსტი გვიჩვენებს რემბოს
დამოკიდებულებას ახალ ეპოქასთან. იგი გაო-
რებულია ისევე, როგორც ბოდლერი, მტრუ-
ლადაა განწყობილი სიახლეთა მიმართ. რად-
გან მას მოაქვს მატერიალური გაუმჯობესება
და მეცნიერული განმანათლებლობა, მეორე
მხრივ, იგი სიახლეთა წვდომას ესწრაფვის.
რადგან ახალ ხანას ახალი გამოცდილება მო-
აქვს, რომლის სიმკაცრე და დამე — მკაცრ და
„შავ“ ლექსს მოითხოვს. აქედან მოდის რემბოს
ქალაქის პოეზია, რომელსაც Illuminations-ის
ცაქლში ვხვდებით. იგი გრანდიოზული ქა-
ლისაა და ბოდლერის სიზმარეული ქალაქი
შერეალურ განზომილებებში გადაბუჯვს. მათ
შორის საუკეთესონი ville ან villes-ითაა დახა-
თაურებული (გვ. 194 შმდ.), ერთმანეთთან და-
უკავშირებელი, დახვავებული სურათებით გვი-
ხატავენ ლექსები ფანტაზიისა თუ მომავლის
ქალაქებს. აქ დროისა და სივრცის საზღვრები

უფლებებზეა ფილია, უფლები, მასიური მოძრაობის
ხშირობა და ღრსაღებნი: ნივთიერა და ანა-
ნივთიერა, ერთმანეთშია ათქვეფილი, მწყეშსს
ბროლის ქონებზე და კილენძის ქალაქის მო-
რის უფსკრულდება და ნაპოვნი
„პოთეოზო მხხრევა“ ხელოვნური
ხელოვნური ზღვა, ეკლესიის უფლებები, კლასი-
ფუტის დიამეტრიანი ფოლადის უფლებები, კლასი-
შაზარი მანდლები: ქალაქის ზედა ნაწილი იწე-
შეაკრილი ცაში, რომ ქვედა ნაწილი საერთოდ
აღარ ჩანს უოველივე ეს გამოთქმულია ასეთ
წინადადებებში (გვ. 195): „ქვედაფერი ინტიმუ-
რი განდევნეს ამისთანა ქალაქებში, არც ერთი
ძეგლი ხიგუისა არ შემოგვრჩია, მილიონობით
ადაშიანიღარ არც ერთი არ იცნობს მეორეს, და
მიანც, ერთის ცხოვრება ისეთივე ძალდატანება,
როგორც ეველი დახარბებისა: მოჩვენებებია ეს
ადაშიანები. ქვანახშირის ბოლია მათი ტყის ჩრდი-
ლი და მათი ზაფხულის დამე უცრემლოდ იხო-
ცვბიან, უიშედოდ უევართ და „ქუჩის შლამ-
ში ზღუქუნებს მომხიბლავი ბოროტმოქმედება“.

ამ სურათების ხლართის დაშლა შეუძლებე-
ლია, ვერც მშვიდ აზრს მიაგნებთ მათში. აზრი
სწორედ ამ სურათების ქაოსურობაშია. იგზნე-
ბული ფანტაზიის ნაყოფი — მათი შერეალური
განზომილებების ქაოსი — არავითარ ცნებით
ახსნას არ ექვემდებარება. მაგრამ აქ მკვეთრად
აღქმული ნიშნებია დიდი ქალაქების განახლება-
თა მატერიალური და ხულიერი ელემენტებისა,
მათი საშინელებებისა, რომლებიც მათ მომწუხ-
ხველ ძალას წარმოადგენს.

ქალაქის მრისტიანული მემკვიდრეობის
იპსულეგითიობის წინააღმდეგ

„Une saison en enfer“

როგორც რემბოს დამოკიდებულება ქრის-
ტიანობასთან? არავითარ დაქცეული ქრისტი-
ანობა. როგორც ბოდლერთან, გვხვდება. მისი
ლექსებიდან ჩანს, რომ იგი ამბობს იწყებს და
მარტვილობით ამთავრებს: ვერ დაძლია ქრის-
ტიანული მემკვიდრეობის დამორგუნველი შე-
გავლება. რა თქმა უნდა, ეს ბევრად უფრო
ქრისტიანულია, უადრე სრული გულგრილო-
ბა, ან სკეპტიკური ირონია, რემბოს ქანვი იმან
მოწმობს, რომ იგი სწორედ იმის შეგავლენას
განიცდის, რის წინააღმდეგაც ამხედრებულა.
მან ეს თავადაც იცოდა. „Une saison en en-
fer“ ში ეს ცოდნა პოეზიას იქცა. მაგრამ ქრის-
ტიანობის წინააღმდეგ ამბობი არ ხედდება.
იგი უფრო მტანჯველი და სუფისმიერი ხდება,
ბოდოს კი დუმილით წვდება, ეს ერთი მხარეა

1 ფრანგი ლირიკოსების ერთი გგუფი, რომ-
ლებიც საზეიმო სიზუსტით ლექსავდნენ ასტი-
კურ მიხიებს

მისი ქანისა უოველგვარი შემკვდრეობის წინააღმდეგ. მაგრამ ასევე მისი სწრაფიცა „შეუცნობლიხაკენ“, იმ ცარიელი ტრანსცენდენციისაკენ, რომელსაც იგი სხვაგვარად ვერ წარმოაჩენს. თუ არა არსებულის სრული დანგრევით.

პირველი პერიოდის ტექსტები შეიცავს ყველაზე დაუფარავ თავდასხმებს და გადადის ქრისტიანული ხულის ფსიქოლოგიურ განადგურებაზე. ასე მაგალითად, ლექსში Les premières communions მოზარდი გოგონა მარცხდება თავისი ამბობებული ინსტიქტების წინაშე. რომლებიც ქრისტიანობამ აქცია ბოროტ ძალად. რადგან ქრისტიანობას მიუძღვის ბრალი მათ დათრგუნვაში. რეზო უფრო შორსაც მიდის. 1872 წელს მან დაწერა პროზაული ნაწარმოები, რომელიც იწვება სიტყვებით Bethsaida, la piscine des cinq galeries. ნახ საფუძვლად უდევს იოანეს საბარებაში აღწერილი ამბავი ქრისტეს მიერ განრღვეულის სასწაულებრივი განკურნებისა ბეთსაიდის ტბასთან. მაგრამ ამბავი მთლიანად შეცვლილია. ხეობრები ჩადიან უვითელ წყალში. მაგრამ ანგელოზი არსად ჩანს. არავინ კურნავს მათ. ქრისტე დვას სვეტს მიყრდნობილი და ვარინდებულ უყურებს მობანავეებს. რომელთა სახეებიდან სატანა ეღრიცება. მაგრამ აი, ერთი წამოდგა და გამართული ნაბიჯით დაადგა ქალაქისკენ მიშავად გზას. ვინ განკურნა იგი? ქრისტეს სიტყვაც არ უთქვამს. არც გაუხედავს დამბლადაც მულისკენ. იქნებ სატანამ? ტექსტი დუმს ამის შეხახებ. იგი მხოლოდ იმით კმაყოფილდება. რომ სხეულთა სიბხლოვეს სიგრცობრივად ახლოს ათავსებს ქრისტეს ფიგურას. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა მიგვახვედროს, რომ ქრისტეს არ მოურჩენია იგი; ალბათ, არც სატანას. არამედ იმ ძალამ განკურნა, რომლის შესახებაც არავინ იცის. თუ ხად ბინადრობს იგი და რას წარმოადგენს ცარიელი ტრანსცენდენცია.

მოკლედ შევებებით Une saison en enfer-ს („ქოქობეთში უოფნა“). რადგან იგი შეიცავს რეზოს უცნაესენელ სიტყვას ქრისტიანობისადმი. ტექსტი შედგება შვიდი მოზარდილი პროზაული ნაწილისაგან. მისი ენა შეიცავს შრავალფეროვან, გვერდიგვერდ მოთავსებულ და ურთიერთგადაუკვეთელ მოძრაობებს. აქ არის უკუხვლითი ბიძგები, რომლებიც საოქმელს იწყებენ და არ ამთავრებენ; მოფარფატე ან ნაბქარვად ამოგლეჯილ სიტყვათა დაზვინვა; კოჩვები, რომლებზეც არავითარი ქასუბი არ ჩანს. შიგადაშიგ რათულ წინადადებათა გრძელი პერიოდების მოშაჯადოებელი და თან ავბედილი სიგაფის მულოდია. შინაარსობრივად ეს

ნაწილები რეზოს ყველა აქამომდელი ფაზის ერთგვარი გადახედვაა. მაგრამ იშვარად, რომ ცდილობს რა მოიშოროს განვლილი ფაზები, რეზო თავიდან იხლართება მათში. რათა მერე საბოლოოდ უკუაგდოს ისინი. ასე იქმნება ამ ფორიაქებელი უკუშანი რაც უვვარდა, ახლ სძულს. კვლავ შეეყრებენ და კვლავ შეიძულებს. რასაც ურთუწინააღმდეგაშე მოს ეუბნება, მერეში უარყოფს. შემდგომში ისევ იმეორებს. ამბობი საკუთარი თავისკენაა მიმართული. მხოლოდ დასასრული უხვამს ყველაფერს წერტილს. იგი გამოთხოვებაა უოველგვარ სულიერ-გონით ეგზისტენციასთან.

უსამშობლობა (მიუხაფრობა) ნივთიერ, სულიერ და გონებითს ტრადიციულ სამყაროში — ასე შეიძლება დავაჯამოთ ამ ზიგზაგის ზოგადი აზრი. ეს ებება ქრისტიანობასაც, აქ ქრისტიანულ ატრიბუტებს შეხვდებით — ქოქობეთს, ეშმას, ანგელოზს. — მაგრამ ისინი სიტყვიერ და მეტაფორულ მნიშვნელობათა შორის მერყეობენ და მხოლოდ იმაში არიან უტყუარნი, რომ ბრმა მღელვარების ნიშნებს ქმნიან. „ჩემი საზიზღარი ფურცლები შეჩვენების დღიურიდან“. — ასე უწოდებს რეზო ეშმასადმი მიძღვნილ ნაწარმოებს. „წარმართის სიხხლი დაბრუნდა. საბარება გაქრა. მე ვტოვებ ევროპას. მსურს ვიცურაო. ბალახები ვაელო. ვინადირო. წვენი ვსვა. მაგარი რომ არის მდელარე მეტალივით, მე — გადარჩენილმა“. მაგრამ ამ წინადადებებს შორის ვკიოხულობთ: „ბარბად ველოდები ღრმერთს“ და ცოტა ქვემოთ: „არასოდეს ვყოფილვარ ქრისტიანი, იმ რასის წარმოშადგენლებს ვეკუთვნი, რომლებიც ტახტვაში მღეროდნენ“. იგი უბმობს „შეჩვენების ნეტარებას“, რომელიც არ მოდის, არც ქრისტე და არც სატანა არ მოდიან. მაგრამ გრძობს მათ ბორკილებს. „ქოქობეთში ვგრძობ თავს. მაშასადამე. ვარ კიდევ იქ“ ქოქობეთი მოჩობაა კატეხიზმოს უღელქვეშე წარმართებს არა აქვთ ქოქობეთი. ამიტომაც უარყოფს კატეხიზმოს წარმართობა.

ასეთი წინადადებები იმაზე მეტყველებენ, რომ მათი მთქმელი ქრისტიანობას ტრავმანავით განიცდის. მღელვარება აქ გრიმასია, ამბობი და დალუქვაა ერთდროულად. სწორედ ეს ნიშნავს მისთვის ქოქობეთში უოფნას. მას რომ უცილოდ ქოქობეთი უნდა ერქვას ეს ქრისტიანული იძულების შედეგია. თუმც არ დაიხმის, მაგრამ ტექსტში მეაფიოდ იგრძნობა კითხვა: ხომ არ არის თანამედროვე სამყაროს, ისევე როგორც საკუთარი ხულიერი სამყაროს აღრეულობა, ქრისტიანული ბედისწერის მერვერსია? მაგრამ საკითხს, რომელსაც წამოჭრის, რეზო არ წვევს „Saison“-ის მეორე მთა.

ვარს თქმის კონტინენტის შიშველობა. „ევროპის
კაობებთან“ იქნის დაღწევა დახვედრის ხი-
ლიანაგან გაქცევა, სურვილი იქნება რომ „ცხა-
თი ამტარობს“ და თან არ იქნება იქნება. რომ
ქრისტეს გარეშით ფილიანტროფი დაიხადა. ეს თე-
მა ხუთ უფრო და უფრო თავისუფლდება
ზავნაგებინაგან და გარკვეულ მიმართულებას
იღებს, მას მივყავართ შემოდგომაში, ზამთარ-
ში, ლამებსა და ზამთრულ უბედურებაში —
ქრისტეა ჩემს თმასა და ჩემს მხრებში და ჩემს
გულში. სრული შინაგანი გადაწვისაგან
ჩნდება გადაწვეტილება — „ნაოკებიანი სინამ-
დვილზე ლიკრის გულში“. ევროპის გაქცევის და
ბეკატს ხაქმიანობას მიპყობს ხელი.

რემზომ გადაწვეტილება აღასრულა კადრც-
მან თავი დამარცხებულად სენო სულიერი ეგ-
ნისტენტის გადარქველ წინააღმდეგობათა წი-
ნაზე, პოეტმა, რომელმაც უმელოზე შორს შე-
დწია „შეუცნობელში“, ვერ გაიგო, რა არის
ეს „შეუცნობელი“. იგი შემობრუნდება და ში-
ნაგან სიკვდილს ირჩევს, დუმდება მის მიერ-
ვე აფეთქებულ სამუაროს წინაშე, რომელ-
მაც უვლანზე მძიმე წინააღმდეგობა ქრისტეა-
ნული შემკვიდრებობით გაუწია. მან ვერ და-
ცხროს პოეტის უზომო წუთრული ზერეალუ-
რის მიმართ. ისიც, უოველივე მიწიერივით,
ვარსო ეჩვენა, აფეთქებით, რომლითაც რემზომ
უოველი, რეალური და ტრადიციული, ცაში
„ტუორცა, ქრისტეანობაც დააწიანა. ბოდლერმა
თავისი შერგებებიდან სისტემა შინც შექმნა,
რემზოსთან იგი ჭაობად, ბოლოს კი დუმლიად
იქცა. უოველივე ამის შემდეგ სიმართლედ
გამოიქურება რემზომ დას ნათქვამი, — იგი
ქრისტეანად მოკვდაო, რაც ღვთის მოშიშის ხი-
ცრულად მიიჩნევს.

ბელგონური მე და
დეკანონიზაცია

„შეს, რომელიც რემზოს პოეზიაში მეტყვე-
ლებს, ისევე ვერ ავხსნით მისი პიროვნებიდან
„მოსვლით, როგორც „ბორბტების უვავილე-
ბის“ „მე“-ს, ვინაც საამისო სურვილი ექნება,
შეუძლია ურმისა და ვაბუკის გამოცდილება
მოიშველომს ტექსტთა ზოგიერთი ფსიქოლო-
გიური განმარტებისათვის, მაგრამ მათი პოეტუ-
რი სუბიექტის შესაცნობად ეს ნაკლებად გა-
მოგვადგება. დეპუშანიზაციის პროცესი ჩქარ-
დება, რემზოს „მე“, მის დისონანსურ მრ-
ვალბშიანობაში, ნაყოფია იმ ოპერატიული
თვითგარდაქმნისა, რომლის შეხებებაც შემოთ-
ვისაუბრეთ და ამიტომ — იმავე წარმოსახვი-
თს ხელიწია, საიდანაც მისი პოეტური სი-

ლიზა იღობს სათავეს. ამ „მე“-ს ჩაღუბს ნების-
პეტა ნიღბით წარმოგვიდგეს, უოველივეარი
არსებობას ფორმა, დრო და ხალისი მთიკვას,
როცა რემზოს Saison-ის დახვედრის მიერ გა-
ლურ წინაპრებზე დამარჯობს, ეს კადრც/შე-
იძლება პირდაპირ გავიგოთ. რემზომ რამდენი-
მე წინადადების შემდეგ უკვე უფროსი მე
ქველგან მიცხოვრია; არ არის ოქაბი, რომელ-
საც არ ვიცნობდე, ჩემს თავში შეხბიის ვაქო-
თა შარავნებია, ბიზანტიის ხედებია, იერუსა-
ლიმის მიწაყრილებია“. ეს მოტორული ფან-
ტაზია და არა ავტობიოგრაფია, აღმოსავლეთი და
პრიმიტიულობა აღაგზნებს „მე“-ს, იგი კლანე-
ტარული ხდება, ანგელოზად და გრძნულად
გამვლინება რემზოთი იწვება პოეტური ხუნი-
ექტისა და ემიირიული „მე“-ს არნახული გა-
თიშვა, რახაც დღეს ეზრა პაუნდთან, სენ-ჟონ
პერსთან ვადახტურებთ, და რაც უკვე თავის-
თავად კრძალავს, თანამედროვე ლირიკა ბიო-
გრაფიულ ნაწარმოებად გავიგოთ.

რემზოც თავის სულიერ ხვედრს თანადრო-
ულობის ზეპიროვნულ ვითარებებში ხედავს,
„სულიერი ბრძოლა ისევე დაუნდობელია, რო-
გორც მამაკაცთა შერკინება“ (გვ. 280), — ამ-
ბობს იგი იმავე ტექსტში, სადაც ვერლენის
წინაშე თავის მოწოდებას იცავს — იუოს
უფრო ღრმად დაცემული, მაგრამ შორეული
სივრცეების შიჩრალიც, თუმცა ხხვათაგან ვერ-
გაგებული, მომკვდინებელი თვით სინაზეშიც,
იგი ამაყია იმით, რომ იცის: „ამ უჩვეულო
ვნებებს ამაფორიექებელი ავტორიტეტი გაჩ-
ნია“ (გვ. 181). ერთი მისი შემორჩენილი გამო-
თქმა გვაუწყებს: „ჩემი უპირატესობა ისაა, რომ
გული არ გამაჩნია“, რომანტიკულ პოეზიაში
მას სძაგს „მგრძნობიარე გულები“. ერთ მის
პოეტურ სტროფში ვკითხულობთ: „ახე ვთა-
ვისუფლდები ადამიანთა ტაშისაგან, მდებალი
სწრაფვინაგან და მიფურინავ“ (გვ. 182).

ეს არ არის მხოლოდ პროგრამა, თვით პოე-
ზიაა დეპუშანიზებული, უმისამართო, მაშასადა-
მე, მონოლოგური; არცერთი სიტყვა მხმენელის
დასაპყრობად: იგი ისეთი ხმით მეტყველებს,
რომლისთვისაც არ მოიძებნება გამგები, უპირ-
ველესად კი იქ, სადაც წარმოსახული „მე“
სრულიად უპიროვნო გამოთქმებში უკუიქ-
ცევა დიფერენცირებული გრძნობები ადგილს
უთმობენ ნეიტრალურ ვიბრირებას, უფრო ძლი-
ერს, ვიდრე ე. ა. პოს შემოქმედებაშია. ეს კარ-
გად ჩანს თუნდაც მის ერთ პროზად დაწერილ
ლექსში Angoisse (გვ. 184). ხათაური თითქოს
სრულიად გარკვეულ სულიერ მდგომარეობაზე
მიგვითითებს. მაგრამ სწორედ იგი არ ჩანს,
თვით შიშსაც კი აღარ აქვს ჩვეული ხახე-არის
კი იგი ხაეროოდ აქვს რახაც აღვიქვამთ, ფიქსა-

ციას დაუქვემდებარებელი ინტენსიობაა, რომელიც ბევრი რამის ნარევი: იმედის, მარცხის, უფინის, გრიძის, შეკითხვის. — უველაფერი ხწრაფადაა თქმული და ხვდა თემაზე ხწრაფადვე გადახული. ვიდრე ტექსტი მდინარესავით შეუერთდებოდეს წყლოლებს, ტანჯვას და მარტვლობას. რომელთა შესახებ ვერაფერს შეიტყობთ — რატომ არიან და საიდან გაჩნდნენ. უველაფერი ეს გაურკვევლობის ბურანშია გახვეული; როგორც მხატვრული სახეები, ისე ემოციები ისევე გაურკვეველია, როგორც ორი ქალი, რომლებსაც ტექსტი გაკვრით მოიხსენიებს. შესაძლებელია ემოციაში შიშის იგულისხმებოდეს. მაგრამ იგი ამდენად დაცლილებულია ამ გრძობის ნორმალურ კონტურებს, რომ „შიშის“ ადამიანური სახელი აღარ შეეფერება.

თუ რემზოს ლექსებში ადამიანი შემოქყავს, იგი უსათუოდ უსამშობლო მწირია, ან მხოლოდ გრიძისა. სხეულის ცალკეული ნაწილები, რომლებიც მთელთან დისკროპორციულ დამოკიდებულებაშია, წინა პლანზეა წამოწეული და დატვირთულია სპეციალური ანატომიური ტერმინებით, რომლებიც მკაცრ გასაგნობრიობას იწვევენ. ისეთი მშვიდი ლექსიც კი, როგორცაა Le Dormeur du val. შეიძლება დეჰუმანიზაციის ნიშნად დავსახოთ. პატარა მდელოდან, რომელიც „სხივებს აუქაფებია“, სიკვდილისაკენ — მივდივართ. პარალელურად, ლექსის ენა, დახაწვისში წუნარი, ხაზვიმომ ეღერადობისაა. ბოლოს კი სრულიად ფხიზელ წინადადებაშივე ჩამოდის, რომელიც გვაუწყებს, რომ მშვიდად მიინარე — მკვდარი ქარისკაცია. ტაატი ვეშვებით სიკვდილისაკენ და მხოლოდ სულ ბოლოს, ანაზდად და სრულიად მოულოდნელად ვდგებით მომხდარი ფაქტის წინაშე, ლექსის მხატვრული შინაარსი ნათელიდან ბნელისაკენ მისი მოძრაობის პროცესია. მაგრამ თანაგრძობის გარეშე, ცივი გულდამშვიდებით, რომელიც არ ახსენებს სიკვდილს, უბრალოდ, იმავე სიტყვას იყენებს, რომლითაც პატარა მდელო დაიხასიათა: იე „ნახვრეტია მწვანისა“, ოღონდ ახლა მრავლობით რიცხვშია ნათქვამი; „ორი ნახვრეტი მარჯვენა მხარეს“. მოკლეული მჭვრეტელის თვალში წმინდა სურათ-ხატია, მოსალოდნელი შეკრთომა გულისა არ ჩანს, სამაგიეროდ არის დინამიური მხატვრული სტილი, რომელიც ადამიანის მკვდრად უოფნას რიკოშეტივით იყენებს. რათა ეს მოძრაობა მკვეთრად შეაჩეროს.

რემზოს პოეტურ სუბიექტში ძლიერდება მღელვარება, რომელიც წარმოსახულ სივრცეში იჭრება. „შეუცნობლსაკენ“ ტიტულმა აიძულენ მას, ბოდლერის მსგავსად, „ლაეკარდის უფსკრულზე“ ილაპარაკოს. „წინააღმდეგობის სახლობენ ამ სიმაღლეზე, ზრტყლსმწველს ჯიხოს დამარცხების უფსკრულიცაა, „ციცხლის კაა, სადაც ზღვები და იგავები ერთმანეთს ხვდებიან“. ანგელოზები სინათლისა და ინტენსიობის წერტილებია, სიმაღლის, სივრცის და ამოუცნობი სიჭარბის მარად ანთებადი და კრობადი ნიშნები. მაგრამ ეს ანგელოზები ღმერთისგან არ მოდიან, და არც მისი შემონათვალი მოაქვთ. რემზოს ადრეულ ლექსებშიც თვალშიხსატეშია დახაზვრულის გაკრა სივრცეში, ასეა, მაგალითად, „Ophelie“-ში, ამ ოფელიას აღარაფერი აქვს ხაერთო შექსპირის ოფელიასთან. მას თავვეე მიაქანებს მდინარე, მაგრამ შორეული სივრცე იხსნება მის გარშემო — ოქროს ვარსკვლავები, რომელთაგანაც იღუმალი სიმღერა იღვრება. შორით მოვარდნილი მთის ქარები, ზღვათა ღრიალი, უსასრულოს შიში ოფელია თავად ამალღებულია მარადიულ სახეში: ათას წელზე მეტია, მიაქანებს მას მდინარე, ათას წელზე მეტია, უმღერის მისი ხიმღერა მათს სიგიფეს, ვიხი ენაც „დიდმა ხიღვებმა“ აღრიეს, ზეამალღება იძისა, რაც ახლოა, სიშორის მეშვეობით რემზოს მთელ შემოქმედებას დინამიურ ხქემად გასდევს. სულ უფრო ხწრაფად ხორციელღება იგი, ზოგჯერ ერთ წინადადებაშიც კი, მღელვარება დითორამბული ხღება. „ოოკები გავეკიმე კოშკიდან კოშკამდე, უვაილწნულები — ფანქრიდან ფანქრამდე, ოქროს ქაქვები — ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე და ვცეკვავე“ (გვ. 174). ეს არის ვრუერი ცეკვა მიწის არმქონეთა, როგორც ბოდლერის Sept Vieillards-ის ბოლოშია, სიშორე ბოლოს აღარ იწვევს ამალღებას, არამედ — განადგურებას, პროზით დაწერილი ლექსი Nocturne vulgaire (გვ. 177) იწყება სიტყვებით: „ქარი ბზარებს აჩენს კედლებში, ბინების საზღვრებს აფეთქებს“. ამაში შეიძლება რემზოს პოეზიის სპროგრამო სიტყვები დავინახოთ. ხქ სურათ-ხატებს ქმნის უველა სივრცული მდგომარეობის აფეთქებანი, რეზრენივით იმერებს იგი ბოლოს შესაგად სიტყვებს.

მისი გვიანი პერიოდის ბუნდოვანი ლექსი „Larmie“ (გვ. 125) გამოცანებით შეტყველებს, მათ გამოცნობაში ვერ დაგვეხმარება ვერც ლექსთან სრულიად დაუკავშირებელი სათური და ვერც ტექსტის შინაარსი შეუფერა-

ბელი სათაური თანამედროვე ლირიკის ძირითად ნიშნად რჩება. აქ, ისევე, როგორც თითქმის მთელ თანამედროვე ლირიკაში, უპირატესია ლექსი განვმარტოთ არა მოძრავი სურათ-ხატების, არამედ თვითონ მოძრაობის პროცესის გათვალისწინებით. მდინარესთან მსმელი ზის; რასაც სვამს, ზიზღს ჰგვრის. ეს ანაკრუსეა. ასიმეტრიულ ადგილზე ბიძგი ჩნდება. გრიგალი სახეს უცვლის ზეცას; შავი ქვეუნიები, ზღვები, ანძები, სვეტები ლურჯ და მუში. ზემოთ ჩნდება რკინიგზის სადგურები; წულის მასა ტუეებს დაატყდება თავს, უჩულის ღოდები — ქაობებს. რა მოხდა? დედაშიწის გარკვეული ლანდშაფტი ერთბაშად იქცა ცის გამოყინვარების ხანის ლანდშაფტად, რაშიც შემდეგ მიწაც ჩაერთვება. ტექსტი მთავრდება ნახვაში კაცის არეული სიტყვებით: ეს არის დასასრული, რომელიც კი არ ამთავრებს, არამედ თავიდან იწყებს. გამოცანას, სადაც მხოლოდ ერთი ცხადი: აქტი, რომელიც საზღვრებს შლის მძვინვარე სიმორთა შემოჭრით.

„შიმშილი“ და „წყურვილი“ უველაზე ხშირია რემბოს ენაში. ეს ის სიტყვებია, რომლებსაც ერთ დროს მისტიკა და დანტე იუენებდნენ ბიბლიის წაბადვით: წმიდა სურვილის გამოსახატავად. რემბოსთან ისინი გვიჩვენებენ იმ მარტოულებას, სადაც შიმშილისა და წყურვილის გრძნობას სიკვდილი არ უწყობია: „Comédie de la faim“ ის დასასრული გვაუწყებს: უველა არსებას — მტრედებს, წადირს, თევზებს, უკანასკნელ პეპლებსაც სწყურიათ, — მაგრამ ვის შეუძლია დადნეს აქ, სადაც უწინამძღვრო ღრუბელი დნება! (გვ. 128). იმავე, 1872 წელს, დაიწერა „Fêtes de la faim“ შიმშილის ეს დღესასწაულებია: კამო ქვები, ხაზშირი, რკინა, რივის ქვა — შავი ქაერის ნაფლეთებში და ხმაწკრილა ლაევარდის ქვეშ. შიმშილი, რომელიც დაუოკებელია. რადგან გზა ლაევარდისაკენ გადაკეტილია. თავის თავს ჩააფრინდება, ის იქცევა წინააღმდეგობის პოეზიად, ბნელი გაზღების „დღესასწაულად“. რომელმაც იცის, როგორ გაზღეს უბედურება. „ავადშეოფი წყურვილი მიბნელებს სისხლძარღვებს“ (გვ. 131).

Le Bateau ivre

(მთვრალი ხომალდი)

ამ თავში რემბოს სახელგანთქმულ ლექსზე „მთვრალ ხომალდზე“ ვიხსენებთ (1871). მან იგი დაწერა, როცა ჯერ კიდევ არ ენახა ეგზოტიკური ზღვები და ქვეუნიები. აქ რომ გაბრ-

წყინდნენ, ზოგი ფიქრობდა. თათქოს ასეთი სურათ-ხატების შეხაქმნელად ილუსტრირებულმა უურნალებმა უბიძგა. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რასაც თვითონ ლექსი. არავითარი კოსტრუქციული რეალობა აქ არ არის. მთიერი და მღერვამოსილი ფანტაზია ქმნის განდევნილ, სიყვარულით მბრუნავ, სრულიად ირრალურ სურათებს. ეგზალტირებულ ხილვებს. შევლევარების აზრით, ეს მან ისეხა სხვა პოეტებისაგან, მაგრამ ეს ნახეხობა, რომელიც ისედაც სრულიად გადაკეთებულია, ვერ ფარავს, რომ ამ ლექსს ენერჯის უსაკუთრესი ცენტრი გააჩნია. ეს ლექსი ვ. პიუგოს *Plein Ciel*-ს (*La légende des siècles*-ში) (საუკუნეთა ლეგენდა) შეადარეს: აქაც ცაში აკრილი ხომალდია. მაგრამ პიუგოსთან ეს სურათ-ხატები პროგრესისა და ბედნიერების ტრივიალურ პათოსს ემსახურება. „მთვრალი ხომალდი“ კი მარტოსულისა და დამარცხებულის გამინადგურებელ თავისუფლებას გამოხატავს. ამ ლექსის მოძრაობის ხტრუქტურას არ გააჩნია არავითარი სხვა წინამორბედი, გარდა თავად რემბოსი. ეს არის უკიდურესი, მაგრამ თანმიმდევრული, უკვე „ოფელიაში“ მოქმედი ზეამაღლება დასაზღვრულისა უსაზღვროს მეშვეობით.

მოქმედებათა მატარებელი ხომალდია. თუქმელად, მაგრამ არაორაზროვნად ჩანს, რომ ეს მოქმედებები პოეტური სუბიექტის კუთვნილებია. სურათ-ხატების შინაარსები ისეთი მკვეთრი და სწრაფია, რომ ადამიანისა და ხომალდის სიმბოლური მსგავსება მხოლოდ ნაწარმოების მოძრაობის მთლიან პროცესში ჩანს. თავად მოძრავი შინაარსები ბილული, მკვეთრად მონიშნული დეტალებია: რაც უფრო უცხო და ირრალური ხდება სურათ-ხატები, მით უფრო მიწიერია მათი ენა. ამას ხელს უწყობს პოეტური ტექნიკაც, რომელიც ტექსტს აბსოლუტურ მეტაფორად გარდაქმნის. მხოლოდ ხომალდზე ლაპარაკობს და არსად — განსიმბოლოებულ „მე“-ზე. თუ რარიგ თამაში და გაბედულია ეს ლექსი, კარგად ჩანს შემდეგიდანაც: როცა ბენვილმა იგი რემბოს წაუკითხა, უსაყვედურა, რატომ არ დაიწყეო სიტყვებით: „მე ხომალდი ვარ, რომელიც“... ბენვილმა ვერ გაიგო, რომ მეტაფორა აქ აღარ იყო ჩვეულებრივი შედარების ფიგურა, არამედ იდენტობის შემქმნელი. აბსოლუტური მეტაფორა გვიანი ლირიკის გაბატონებულ ხტილურ საშუალებად რჩება.

„მთვრალი ხომალდი“ ერთი განვრცობის აქტია. შიგადაშიგ შემთხვევითი შეყოვნებებია ჩართული, რომელთა გაშლა-განვრცობაც შემდეგ უფრო მძაფრდება, რათა ზოგ ადგილას

ქაოსურად იფეთქოს. მოქმედება იწყება ერთ-
გვარი სიმშვიდით. ხომალდი ქერ მხოლოდ
მდინარის თავვერე მიცურავს. მაგრამ ეს სიმშვი-
დე გამოწვეულია განრადების ზიზღით. ხო-
მალდს აღარ ენადვლება ნაპირზე დაზოცილ მე-
ზღვაურთა ეკიპაჟი. შემდეგ ეველაფერი მუა-
რი ერთხანად იშლება. დაღმა დაქანებული
ცურვა ცეკვად იქცა. ხომალდს გრიგალი მი-
აქანებს ზღვებზე, უკან ჩამოტოვებული ქვეყნე-
ბის გასწვრივ. იგი ცეკვავს მწვანე ღამებში,
სიმყრალეში, ხიფათში, სიკვდილისა და „მომ-
ღერალი ფოსფორის“ ნიშნის ქვეშ. უფრინვე-
ლო ეთერში ატუორცნილ აგურის კედლის-
ფერ ზეცას ეხლება და ანგრევს. — ვიდრე არ
დაუდგება შემობრუნების სურვილი — ევრო-
პის მონატრება. მაგრამ ამ გრძნობას ველარ
მიყვავართ სამშობლოში. ხომალდს აგონდება
პატარა იდილია ბავშვზე, რომელიც მწუხრის
სურნელში გუბნისთან, თამაშობს. მაგრამ ყოვე-
ლივე ეს უმწეო ოცნებად რჩება. რადგან ხო-
მალდმა ზღვათა და ვარსკვლავთა არქიპელაგის
უსაზღვროება შეისუნთქა და თავს ევროპის
ვიწროებისათვის სამუდამოდ დაკარგულად
გრძნობს. როგორც დასაწყისში. სიმშვიდეს
ზიზღიც ახლდა, ასევე დასასრულის დაღლილი
სიმშვიდე ახლავს წინამავალ სტროფთა გამა-
ნადგურებელ ექსპანსიას. ეს არის უძღურების
სიმშვიდე, უსაზღვროებაში მარცხითა (ხომალ-
დის მსხვრევეითა) და დასაზღვრულის მიმართ
სრული უუნარობით აღძრული სიმშვიდე.

ლექსი დაწერილია სალექსო ტექნიკის დიდი
სიზუსტით. მას წინადადებათა მარტივი სტრუქ-
ტურაც აქვს. რაც ნათქვამის ფორმას გამ-
ქვირვალებას ანიჭებს. აფეთქება ხდება არა სინ-
ტაქსურ წუობაში, არამედ წარმოდგენებში. აფ-
ეთქების შთაბეჭდილებას ის უფრო ამძაფრებს,
რომ იგი წინადადებათა შეკავშირებასთან ფორ-
მალურ დისონანსშია. თვით წარმოდგენები ფან-
ტაზიის პროტუბერანცებია. რომლებიც არა მარ-
ტო სტროფიდან სტროფში, არამედ ბწყარიდან
ბწყარში, ზოგჯერ ბწყარის შიგნითაც, შორე-
ულსა და ველურს კიდევ უფრო მეტ სიშორესა
და სიველურეს სძენს. სურათ-ხატები ერთმა-
ნეთთან დაუკავშირებელია. ერთი არ გამომდი-
ნარეობს აუცილებლობით მეორისაგან, ან
რომ, თავისუფლად შეიძლება მთელი სტრო-
ფების გადანაცვლება-გადმონაცვლება. შთაბეჭ-
დილებას აძლიერებს ისიც, რომ სურათ-ხატე-
ბის ცალკეულ კომპლექტებს კმნის დაპირის-
პირებულთა შერევა, საგნობრივად შეუთავსე-
ბელთა გაერთიანება მშვენიერიცა — უსახურ-
თან, დაუხვეწავისა — ექსტაზურთან. აღსანიშ-
ნავია ასევე სპეციალური, უპირატესად — სა-
ნაოსნო ტერმინების გამოყენება. ქაოსი აქ

ქერ კიდევ მუარ (ურყევ) სინტაქსურ ჩარჩო-
ებში დუღს.

და მაინც, ეს ქარნი ნაწევრდება.
მოდრაობის მიმართულებები კვლავაც უფრო
მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსები. ლექსის
დინამიკა სურათ-ხატების სქმისთვის და შეუ-
კავშირებელი წარმოჩენის სქმის სქმლევა, რად-
გან ისინი ავტონომიურ მოძრაობათა მატა-
რებელნი არიან. ეს მოძრაობები ცხადად
ვლინდება სამ აქტში. ზიზღით განრიდება.
ამბობი, ზეგანზომილებაში შექრა და განად-
გურების სიმშვიდეში ჩაძირვა. ეს კმნის არა
მარტო „მთვრალი ხომალდის“ მოძრაობის, არა-
მედ რემზოს მთელი პოეზიის სტრუქტურას.
მისი ქაოსი ბევრ დეტალში აღარ ექვემდებარება
განმარტებას მაგრამ ასეთი პოეზიის ინტერ-
პრეტაცია შესაძლებელია, თუ მისი მოძრაო-
ბის სტრუქტურას მივაგნებთ. აქედან ლო-
გიკურად გამომდინარეობს, რომ ასეთი ლირი-
კა ხულ უფრო აბსტრაქტული ხდება. ეს ნიშ-
ნავს, რომ მას, თავისი წმინდა დინამიზმის სა-
ამებლად, შინაარსთა რეალობები გაუგებრობა-
დ დაქყავს. ეს ახასიათებს თანამედროვე ლი-
რიკის დიდ ნაწილს, უპირველესად ისეთს, რო-
მელიც რემზოს პოეზიას ენათესავება.

სამშავი მოძრაობის სტრუქტურა ასახავს მის
დამოკიდებულებებს რეალობისა და ტრანსცენ-
დენციის მიმართ: ესაა რეალობის დაუოკებელი
დეფორმაცია, სიშორეში გაქრა, დასასრულს
მარცხი. რადგან რეალობა ძალზე ვიწროა,
ხოლო ტრანსცენდენცია ძალზე ცარიელია. ერ-
თი წინადადება პროზიდან ყოველივე ამას
ერთ ცნებათა ქაქვში მკრავს: „რელიგიური
თუ ბუნებრივი მისტერიები, სიკვდილი, დაბა-
დება, მომავალი, წარხული, სამუაროს შექმნა,
არარა“ (გვ. 218), ქაქვს ამთავრებს „არარა“.

დასავსული სინამდვილე

რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად, პოე-
ზია, მით უმეტეს, ლირიკა შეაფახოს. იმის მი-
ხედვით, თუ რამდენად ზუსტად და სრულ-
ყოფილადაა მის სურათ-ხატებში ასახული რეა-
ლობა. პოეზია იმთავითვე იტოვებდა თავისუფ-
ლებას რეალურის გადაადგილებისა, საბეცვლო-
ლებისა, განზრახ შემოკლებისა, დემონიზაციისა,
ხულის ძვრათა მედიუმად, ფართო ცხოვრე-
ბისეული ვითარების სიმბოლოდ ქტევისა;
მთავარია, უწევს თუ არა ანგარიშს ეს გარ-
დაქმნები ობიექტურად არსებულ ვითარებას,
რამდენადაა ისინი, პოეტური გამონავონის
მიუხედავად. ქერ კიდევ რეალური სამუაროს
შესაძლებელი კავშირები და რა ზომით რჩებიან

ისინი იმ მეტაფორული ნატოვანი ძალის ჩარ-
 ჩობებში, რომელიც უკვე ენაში დასაბამიდან
 არსებობს და ამიტომ განსაზღვრულია. რეზობიდან
 მოყოლებული ამ ვითარებას ლირიკა სულ
 უფრო ნაკლებად უწევს ანგარიშს. მას სულ
 უფრო ნაკლებად ადარდებს მეტაფორების ნა-
 წილთა კავშირი და მათი რანგობრივი დირე-
 ბულება. მით უფრო მართებს დამკვირვებელს,
 რეალობას ევრიისტიკულად მიმართოს შედარე-
 ბისათვის, რადგან მხოლოდ ასე გამოჩნდე-
 ბა ამიერიდან განხორციელებული რეალობის
 მსხვერვის მასშტაბი და, ასევე, ძველი მე-
 ტაფორული. სტილის აფეთქების სიმძაფრეც-
 ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში რეზობ თა-
 ვის შეგობარს ვერღენს ათქმევინებს: „რამ-
 დენი ლამე გამოთენებია თერთად შიხი მძინა-
 რე სხეულის გვერდით. რათა ჩავწვდომოდი,
 რატომ სურდა მას (რეზობს) ასე ძლიერ რეა-
 ლობიდან ამოვარდნა“ (გვ. 218). ვერღენის ფიქ-
 ტიური სიტყვებით თავად რეზობ ლაპარაკობს.
 მას თვითონაც არ შეეძლო ამ ამოვარდნის
 მიზეზი აეხსნა. მაგრამ მისი შემოქმედება გვი-
 ჩვენებს სრულიად ნათელ შესატყვისობის მის
 რეალობისადმი დამოკიდებულებასა და „შეუ-
 ცნობლისადმი“ ლტოლვას შორის. რეზობს ის
 „შეუცნობელი“, რომელსაც ვეღარ შევავსებთ
 ვერც რწმენით, ვერც ფილოსოფიითა და ვერც
 მითოსით, უფრო ძლიერია, ვიდრე ბოდლერი-
 სი; იგი დაძაბულობის პოლუსია; ხოლო რაკი
 პოლუსი ცარიელია. ეს დაძაბულობა უკუ-
 დარტყმაა რეალობაზე, ხოლო რაკი ეს რეა-
 ლობა, თუნდაც ცარიელი ტრანსცენდენ-
 ციის წინაშე. უკმარია, ტრანსცენდენციისაკენ
 სწრაფვა რეალობის უმიზნო ნგრევად იქცა. ეს
 დამსხვრეული რეალობა გვევლინება როგორც
 საერთოდ რეალობის უკმარობის, ისე „შეუ-
 ცნობლის“ მიუწვდომლობის ქაოსურ ნიშ-
 ნად. მსგავს მოვლენას შეიძლება ახალი ხა-
 ნის დიალექტიკა ვუწოდოთ. იგი განსაზღვრავს
 საერთოდ ევროპულ პოეზიასა და ხელოვნებას.
 „ჩემთვის სურათ-ხატი ნგრევათა ქამია“. —
 იტყვის მოგვიანებით კაბლო პიკასო.

გავიხსენოთ ბოდლერის ერთი წინადადება,
 რომლის მიხედვითაც ფანტაზიას წინ უსწრებს
 „დანაწევრების“ აქტი. ეს „დანაწევრება“,
 რომლის მონათესავე ცნებად უკვე ბოდლერთან
 „დეფორმირება“ რეზობს შემდეგ პოეზიის
 ფაქტიურ მეთოდად იქცა. რამდენადაც რეა-
 ლობა ამ პოეზიაში ჯერ კიდევ არსებობს (ან
 შეგვიძლია ლექსი ევრიისტიკულად რეალობას
 შევუწონოთ), იგი განიცდის გაფართოებას, გა-
 ნაწევრებას, გაუხახურებას, კონტრასტების და-
 ძაბულობას, თანაც, იმ ზომით, რომ იგი მუ-
 დამ ირეალურში გადადის, თაურსტიკიებად

რეზობს ობიექტურ სამყაროში წყალი და ქარი
 გვევლინება. ადრეულ ლექსებში ჯერ კიდევ მო-
 თკილნი, ისინი შემდეგ მოსკდებიან ლამაზად
 და გრგვინვად. გამყინვარების ხანის სტრუქტურ-
 ბად, რომლებიც ამხვრევენ უოველივე დრო-
 ულ და სივრცისეულ წესრიგს, ტრამალები,
 უდაბნოები, მორიზონტები ვეღარც უნდა
 მოსად იქცა“ (გვ. 124). თუ მისი სტილის
 მოხვედრილ საგნებსა და არსებებს გადავხე-
 დავთ, გაგვაოცებს, როგორი შეფოთით იჭრე-
 ბა იგი უკვე სივრცეში. სიმაღლესა თუ სი-
 ღრმეში, არსად ჩერდება, ინტიმურს აუცხო-
 ებს (რასაც უმეტესად იმით აღწევს, რომ მას
 არც სივრცობრივად ხაზღვრავს და არც დრო-
 ით); ესაა შარაგზები, მანანწალები, კახე-
 ბი, ლოთები, დუქნები, აგრეთვე ტყეები, ვარ-
 სკვლავები, ანგელოზები, ბავშვები და კვლავ
 ვულკანის კრატერები, ფოლადის ხარაჩოები,
 გლექჩერები, შეჩეთები ან ცირკისა და ბალაგ-
 ნების სამყარო, რომელსაც პოეტი „თავაწუკვი-
 ტილი გრიმასების სამოთხეს“ უწოდებს (გვ.
 172).

სიმბინჯის ინტენსივობა

ახეთ რეალობებს ვეღარ დავუკავშირებთ
 რაიმე ცენტრს. სადაც ხაგანი, ქვეყანა, არსება
 ხვათათვის საზომი იქნება. უოველივე ეს
 ეგზალტირებული ინტენსივობის ცეცხლოვანი
 ნაკვალევია. მის გამოსახვას არაფერი აქვს
 საერთო რეალიზმთან რა ხახისაც არ უნდა
 იუოს. სიმბინჯე, რითაც რეზობს პოეზიაში აღ-
 ბუჭდილია რეალობის მიმანიშნებელი უოველი
 ხაგანი, აგრეთვე, უნდა გავაგოთ როგორც ინ-
 ტენსივობა. ასევეა მშვენიერებაც. მის ლექსებ-
 ში შედმიწვევით „ლამაზ“ ადგილებს შეხვედ-
 რით, ლამაზს ხატოვანების ან ენის ელერადო-
 ბის თვალსაზრისით. მაგრამ გადამწვევითა
 ის, რომ ეს „მშვენიერი“ ადგილები მართო არ
 გვხვდება, არამედ — სხვა, „მახინჯი“ ადგილე-
 ბის გვერდით. ლამაზი და მახინჯი გვევლი-
 ნება არა საპირისპირო დირებულებებად, არა-
 მედ — კონტრასტულ მიმზიდველობად. მათი
 ობიექტური სხვაობა მოხსნილია, ისევე რო-
 გორც განსხვავება ჭეშმარიტსა და მცდარს შო-
 რის, მშვენიერისა და მახინჯის შემჭიდროება
 წარმოშობს კონტრასტების დინამიკას. რომ-
 ელიც აქ მთავარია. იგი თვით სიმბინჯისგანაც
 უნდა აქმნებოდეს.

სიმბინჯე ადრინდელ პოეზიაში უპირატესად
 იუო ბურლესკური, ან პოლემიკური ნიშანი ზნე-
 ობრივი არასრულფასოვნებისა. გავიხსენოთ
 „ილიადას“ თერსიტე, დანტეს ჯოკობეთი, გვი-
 ნი შუა საუკუნეების სამეფო კარის პოეზია.

რომელიც მდაბიო წარმოშობის ადამიანებს მახინჯებად წარმოხაზავდა. ეშმა მახინჯი იყო. უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, შემდეგ ნოვალისთან. უფრო გვიან ბოდლერთან. „მახინჯი“ დაუშვეს. როგორც „საინტერესო“ და ისეთი შემოქმედებითა ნების ხელისშემწყობი. რომელიც საპირობებს ინტენსივობასა და ექსპრესიულობას. რემბოსთან იგი მოწოდებულია ეშახუროს გრძნობად ენერჯიას. რომელიც გრძნობადი რეალობის სრული დეფორმაციისაკენ მიიწრაფვის. პოეზია. რომელსაც თავის საგნებში უფრო ზესაგნობრივი დაძაბულობის მიმართებები აინტერესებს. ვიდრე შინაარსები. „მახინჯს“ იმისთვისაც საპირობებს. რომ იგი, როგორც „მშვენიერის“ ბუნებრივი გრძნობის პროვოკაცია. აღიერებს შოკდრამატიკას. რომელიც ტექსტსა და მკითხველს შორის უნდა წარმოიშვას.

1871 წელს დაიწერა ლექსი Les Assis („მხბდომარენი“) — რამდენადაც ტექსტის ენობრივი სითამამე სათაურის ასე გადმოტანის ნებას გვაძლევს. ვერლენის გადმოცემის თანახმად, რემბომ იგი ქალაქ შარლევილის ერთ-ერთი ბიბლიოთეკარის გამო დაწერა. ვისზედაც გაქაავრებული იყო. აქნებ ასეც იყო. მაგრამ ლექსის გაგებაში ეს ცოტას გვშველის. ანატომიური ტერმინებით, ახალშექმნილი სიტყვებით, უარგონებით აჭრელებული ენით ქმნის იგი გაუგონარი სიმახინჯის მითოსს. არსად არ ახსენებს ბიბლიოთეკას, არც ბიბლიოთეკარებს. არც წიგნებს. ლაპარაკობს ქდომისაგან გაპირუტყვებულ. გამოლენჯებულ. გაბოროტებულ ბებერთა ხროვაზე. უფრო მეტიც: მათზეც კი არა. არამედ აშაზრუნენ წვრილმანებზე: შავ სიმსივნეებზე, ნაუვაფილარებზე. მწვანით შემორკალულ თვალეებზე, ცვილის თითებზე, რომლებიც ბარდაუის ძვალს ჩაფრენიან, წინა თავის ქალაზე „გადადღაბნილ ბუზლუნზე“, ძველ კედლებზე, კეთროვან გამოწყარს. რომ მგავს, მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ფიგურები: უცნაური ჩონჩხები, ელიასური ავხორცობით ჩამოცნული სკამის ჩონჩხზე. მათი ფეხები ჩაწვნიან სკამის რაქიტულ ბერკეტებს დილიდან საღამომდე. უკვე უოველთვის და საპუდამოდ. მჩხვლეთავი მზეები ახურებენ მათ კანს, თვალეები გაურბით ფანჯრებისაკენ. „სადაც თოვლი ჰკნება: სკამების ჩალაში ხრჩოლავენ ძველი მზეები, რომელთა მცხუნვარება ერთ დროს მარცვლიულს ამწიფებდა: მუხლებით კბილებს მიბჯენილნი სხედან ბებრები. „მწვანე პიანისტები“, ათივე თითს სკამს ქვევადან უტყაპუნებენ, მათი თავები არწევრიან მათი მიხრწნილი ფანტაზიის სატრფიალო ვაუშაძღრო-

ბაში. თუ დაუძახებ, აღიუურშემოკრული კატებივით აჩხვლდებიან, ნელა გაშლიან ბეჭის ძვლებს, მოღუნული ფეხებით წამოჩანჩალდებიან: ქაჩალი ლაგები ნაცყისფერ კედლებს ებეთქება, დერეფნის სიბნელეში პირდაპირ თუქუქუნუნებდათ მათი ფრაკის ლილები ზეფს მუქქვეფუნებულ მზერაში იცხრილება ნაცემ ძაღლთა შხამი. დასხდებიან თუ არა. წვირიან მანუეტებში მუშტებს ძირავენ: გამხმარი ნიკაპის ქვეშ კანკალებს გასასკდომად გამზადებული ჩირკვლების კონა; ოცნებობენ უფრო კარგ სკამებზე; მელნის ყვავილები არწევენ მათ ოცნებას, თესლ-მძიმეებს აფრქვევენ.

ასეთი სიმახინჯე არ არის გადმოღებული ასლი არამედ პროდუცირებულია. მრავლობითი არსებები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის არიან, ადამიანები კი არა. ჩონჩხები ნივთებს შენივთულნი. ნივთებიც იმათი ამხანაგები არიან. ვინც მათზე სხედან; ამას ერთვის უმწეო გაბოროტება და დაძაბუნებული სექსუალობის ბინდისფერი მდგომარეობა. ეს უველაფერი ქოჩხეთური დაცინვითაა ნათქვამი, რაც დაფარული რჩება ლექსის თითქმის მუსიკალურ ელერადობაში. პოლიანობაში იგი მელოდისა და სურათ-ხატების დისონანსია. რაც „მშვენიერისგან“ შემორჩა. ისიც დისონანსს ეშახურება. ან თვითონაც დისონანსურია და ლირიკულ თაურპოტენციებს ბანალურთან აერთებს: „მელნის ყვავილები“, „თესლ-მძიმეები“ და შემდეგ ეს „თესლ-მძიმეები“. კვლავ გაღამაზებული მათი შედარებით გლადიოლისებზე კრიკინობელებას ნახტომებთან. მახინჯის როლი ხრულიად ნათელია. თუ მას, ასე ვთქვათ, „ნორმალურ“ მახინჯს შევადარებთ. აღმოჩნდება, რომ ეს პოეტური სიმახინჯე ნორმალური სიმახინჯის დეფორმაციას ახდენს. იხევე როგორც უოველივე ნამდვილისას. რათა ამ ნგრევით უფრო ძლიერ გამოკვეთოს ზერეალურში გაჭრა, რაც ამ დროს მხოლოდ სიცარიელეში გაჭრია.

თერომეტი წლით ადრე ბოდლერმა დაწერა Les sept viel lards. აქაც ადამიანთა და ხაგანთა სიმახინჯეა ესახული. მაგრამ მას უფრო მრავალმხრივი ორიენტაცია აქვს. ხანახაობის იდგილი და მოქმედება ზუსტი თანმიმდევრობითაა განვითარებული: ჯერ მოწიშნიმე ქალაქი, შემდეგ გარეუბნის ქუჩა, მას მოსდევს დროის განსაზღვრა (დილაადრიაინია); გამოჩნდება მოხუცი კაცი, მთელი ტანით გამოკვეთილი, მას მოსდევს მეორე, მესამე... ბოლოს ხულ შვიდნი აღმოჩნდებიან. ლირიკული „მე“ ზუსტი ემოციით პასუხობს: სასოწარკვეთა. შეძრწუნება და შემაქამებელი მსჯავრი. სიმახინჯე აქ მთელი თავისი მიწიერი სიმძაფრითაა გადმოცემუ-

ლი. თან საკუთარ თავში გაწიანაწორებულია და, რაც მთავარია, სივრცეს, დროსა და ეფექტს არის დაქვემდებარებული. ერთი მოხუცია იუდასთანაა შედარებული. — ესეც ორიენტაციაა იმით, რომ ტექსტი ნაცნობ ფიგურას უკავშირდება, იგი ნაცნობში, ინტიმურში დაბრუნების შესაძლებლობას ქმნის, ისევე, როგორც სუბიექტის მდებარეობას ამ საზარელ სანახაობაში რაღაც სითბოს მსგავსი შემოაქვს, რადგან იგი, ტანჯვის მიუხედავად, ამიანური მდებარეობაა. ასეთი ორიენტაცია რემბოსთან სრულიად გამორიცხებულია. მისი მოხუცები კოლექტიური ჯგუფის განხილვებია. ეს ჯგუფი კი შედგება ანატომიური და პათოლოგიური დეტალებისაგან და არა სახეებისაგან. სივრცისაგან აქ რაღაც ნაშთებია შემორჩენილი. დრო აქ მხოლოდ „მუდამა“ დამახასიათებელია, რომ ხსენებული დეტალების შეთხვევის რეალური ბიძგი (შარლევოლის ბიბლიოთეკა) უბრალოდ მინიშნებულები კი არ არის, იგი, როგორც ჩანს, რეალურთან შედარებად დიდ მიმართებას მოიძიებდა. სიმბოინჯის უზომო პროდუცირება სრულიად მოკლებულია ინტიმურობას. რომელიც თვით საზარელშიც კი არ არის გამორიცხებული. თანამედროვე ლირიკოსის მადეფორმირებელმა ნებამ იგი სრულ აზოლაკიაში მოაქცია.

გრძნობადი ირეალობა

რემბოს ხურათ-ხატების შინაარსთა რეალობასთან შედარებას მხოლოდ ევრისტეკული ლირებულება თუ ექნება... როგორც კი დაკვირვება უფრო ღრმად შეიჭრება, იგი „ძულელებული“ ექნება აღიაროს, რომ აქ ფონს უდარ გავა ისეთი ცნებებით, როგორცაა „რეალური“ და „ირეალური“. გზის გამკვლევიად აქ, როგორც ჩანს, აგობებს ცნება „გრძნობადი ირეალობა“. ამით შემდეგ ვაულისხმობთ: დეფორმირებული სინამდვილის მახალა ძალზე ხშირად ამეტყველებულია სიტყვათაჯგუფებში, რომელთა თითოეული შემადგენელი ნაწილი გრძნობადი თვისების მქონეა. მაგრამ მსგავსი ჯგუფები საგნობრივად შეუთავსებადს აერთიანებს ნორმიდან ისეთი გადახვევის ხარჯზე, რომ გრძნობად თვისებათაგან ირეალური წარმონაქმნი ჩნდება. აქ მუდამ ხილული ხატებია, ოღონდ ისე-

თები, რომლებიც ვერახოდებს მოხვედებიან ფიზიკური თვალის საწინაშე. ისინი ბევრად სტილდებიან იმ თავისუფლებას, რომელსაც ენის მეტაფორული ფუნქციონირება ანიჭებდა პოეზიას. „ქუჩის ორცობილია...“ შეფთავის მუცელზე შემდგომი მუცელის წვინტლი“... მართალია, ასეთი „ხურთხატები“ ზოგჯერ რეალობაში არსებულ თვისებებს ამტარებენ კიდევ. მაგრამ ისინი არ არიან სინამდვილისკენ მიმართულნი, არამედ ნგრევის დინამიკას მიმყვებიან, რომელიც, თითქმის ეწევა რა უჩინარი „შეუცნობლის“ მაგივრობას. თვითონ რეალობას მის სახეთა საზღვრების გადაწვევ-გადმოწვევით, უკიდურესობათა ნაძალადევი შეერთებით, გრძნობადად მდებარე და ამადელებელ „შეუცნობლად“ გარდაქმნის. რეალური წესრიგი შეცვალო და მაინც გრძნობადის ფარგლებში დარჩე. — ეს ძველი პოეზიის მეთოდის გახლავთ. რემბოსთან ზოგჯერ ვხვდებით საამისო მაგალითებსაც. წითელ ალამს ჰქვია: „სისხლიანი ხორცის ალამი“. ამ სურათის რეალური ბიძგი — წითელი ფერი — სიტყვით არ გამოიხატება; ენა მაშინვე მიმართავს საზარელისადმი მიდრეკილების გამომხატველ მეტაფორას. მაგრამ ასეთ შემთხვევებში მხოლოდ თესლშია ჩაბრუნებული ის, რაც სხვა უამრავ შემთხვევაში სრულადაა გაშლილი და რემბოს გრძნობად ირეალობას მისი შოკ-დრამატიკის ასპარეზად ხდის.

„ხორცის უვავილები, რომლებიც ვარსკვლავთ ტუეებში იშლებიან“; „ხის ქოშებში გამოწყობილი მწყემსთა ლექსები ბალში იღრინებიან“; „ქალაქის ქუჩური, რომელიც წითელია და შავი, როგორც სარკე, როცა „შეზობულ კთახში ლამფა წრეს უვლის“ — უველაფერი ეს გრძნობადი სინამდვილის ელემენტებია, ოღონდ უველაფერი კონტრაქციით, ნახტომებით, ადგილის შენაცვლებითა და ახალ-ახალი კომბინაციით შერეალობად ქმნილია. სწორედ ამიტომ აღარ ვცხებდებს ახალი წარმონაქმნი უკან, რეალობისაკენ, არამედ მშერას თავად აქტიხაკენ მიმართავს, რომელმაც იგი შექმნა. ეს აქტი კი დიქტატორული ფინტაზიის აქტია. ამ ცნების გამო, რომელიც რემბოს პოეზიის განმსაზღვრელ ძალის აღნიშნავს, ახრი ეკარგება მხოლოდ ევრისტეკულ პრინციპებზე დაყრდნობით ტექსტის რეალობასთან შედარებას. ჩვენ ვიმყოფებით სამყაროში, რომლის რეალობაც მხოლოდ და მხოლოდ ენაშია.

1 ამასთან დაკავშირებით იხ. პ. კოფმანსტალის შენიშვნა ნოვალისის თაობაზე: „გასათვარი პოეტური ფრაზები ისეთია, რომ დიდი ფიზიკური გარკვეულობითა და სიყბადით აღწერენ რაღაც ფიზიკურად შეუძლებელს: ეს არის კეშმარტი ქმნილებანი სიტყვისა“ (Aufzeichnungen, 1959, გვ. 183)

დრამატურული ფანტაზია

დრამატურული ფანტაზიისთვის აღქმადაკვირვება და აღწერა უცხოა; მისი სტიქია შეუზღუდავად კრეაციული თავისუფლებაა. სუბიექტის ძალმორქმული ენა ანგრევს რეალურ ხაზყაროს, რომელსაც ხურს თავად შექმნას და არა აღიქვას თავისი შინაარსები. რემბოს პარიზული ცხოვრებიდან შემოგვრჩა მისი ერთი გამოხატულება: „შხატვრობიდან როგორმე უნდა განვდევნოთ მეთანდობის ძველი ჩვეულება, რათა იგი (შხატვრობა) სუფერენული გახდეს. ობიექტთა რეპროდუქციების ნაცვლად შხატვრობამ უნდა აღგვაგზნოს ხაზის, ფერისა და გარე ხაზყაროსთან დაკავშირებული, მაგრამ გამარტივებული და დამორჩილებული კონტურების შესწერებით, როგორც „ხამდვილმა მაგიაში“ ამას წინათ ეს სიტყვები მოიშველიეს მე-20 საუკუნის შხატვრობის განსამარტავად (პიკასოს 1913 წლის პარიზის გამოფენის კატალოგი). სამართლიანადაც, რადგან ამით ისევე, როგორც რემბოს ლექსებით, თანამედროვე შხატვრობაა განქვრეტილი. რომლის განმარტებაში საგნობრივი სინამდვილე ვერ დაგვენბარება. სუბიექტის აბსოლუტურ თავისუფლებას ნებავე თავად წარმოჩნდეს. სრულიად ნათელია, თუ რა წვლილი მოუძღვის ჩერკიდევ ბოდლერის თეორიულ მსჯელობებს ფანტაზიის შესახებ თანამედროვეობის პოეტურა და შხატვრული პრაქტიკისათვის ხიადაგის შემზადებაში.

რუსო, პო. ბოდლერი ლაპარაკობდნენ „შემოქმედებითს ფანტაზიაზე“. თანაც: უკვე იმგვარად, რომ ამ ფორმულის სიმძიმე მკვეთრად იხრებოდა შემოქმედებითი უნარისაკენ, საყურადღებოა, რომ რემბო ამ ფორმულას მის ფუძე-სიტყვაშიც აღიერებებს. იგი ლაპარაკობს „შემოქმედებითს იმპულსზე“, ერთგან, რომელიც მისი ესთეტიკური შეხედულების ერთგვარ შექამებად გვევლინება. წერია: „შენი მებსიურება და შეგრძნებები მხოლოდ საცებად უნდა იქცეს შენი შემოქმედებითი იმპულსისათვის. რაღა დარჩება იმ ქვეუნიხაგან, რომელიც ოდესღაც დატოვე? ერთია უბადი: აღარაფერი შერჩება მას თავისი პირვანდელი იერისა“ (გვ. 211). შემოქმედებითი იმპულსი უკან ტოვებს ხამყაროს საშინელ და უცხო სახეს, იგი ძალადობის აქტია. რემბოს ერთი საცვანძო სიტყვა გვაუწყებს „საზარელი“ (atroce).

დრამატურული ფანტაზია თავდაური აუენებს სივრცითს წესრიგს. აი, რომდენიმე მაგალითი: ეტლები ცაში მიგრიალებენ, ტბის სიღრმეში ხალონია; უმადლესი მთის მწვერ

ვალებზე ზღვა გადაშლილია. უკინიგზის ლიანდაგი გადის სასტუმროს შიგნით და მის თავზე, მაგრამ ასეთი ფანტაზია თავდაური აუენებს ნორმალურ დამოკიდებულებას ადამიანსა და საგანს შორის. „შხატვრული ჰკილი: თავისი ხათის ძენჯვზე“ (გვ. 111). ეს ფანტაზია აერთიანებს სრულიად დაშორებულთ, გრძნობადს წარმოსახულთან: „მომაკვდილებლად დაღვრეპილი დილის რძის ჩუბჩუხით, უკანასკნელი საუკუნის ღამით“ (გვ. 111). იგი იყენებს ირეალურ ფერებს, კერძოდ, ისეთებს, რომლებიც ნივთებს არ ესადაგება, რითაც უფრო აუცხოვებენ მათ, და ეს უველაფერი ბოდლერის სურვილების აღსრულებად გვევლინება: ცისფერი წიწმატელა, ცისფერი ქაღალაგი, მწვანე პიანისტები, მწვანე ლავვარდი, მწვანე სიცილი, შავი მთვარეები, სიშორეში გაქრილი ფანტაზია ამრავლებს საგნებს, რომლებიც სინამდვილეში ერთადერთია: ელინები, ფლორიდები, მალსტრემება და ა. შ. ისინი ამით უფრო გრძნობად-ინტენსიურნი ხდებიან, მაგრამ, ამავე დროს, კარგავენ რეალობას. ამ მეთოდს შეესატვისება რემბოს სხვა მიდრეკილებაც: — უოველგვარი ლოკალური და ჩვეული ხაზღერის მოშლა ზოგადი სიტყვით „უველა“: „უველა მკვლელობა და ბრძოლა“, „უველა თოვლი“, მრავლობითობა და მსგავსი განზოგადება ფანტაზიის ძალაუფლების იარაღია, რომელიც სინამდვილეში იჭრება, ერთიანად აურ-დაურევს, უკუაგდებს მას და ახალ ზე-რეალობებად შეანივთებს.

სიზმარული ხილვები, ბოდლერის მსგავსად, არაორგანულს მიელტვიან, რათა მისი შესვეობით სიმტკიცე შეიძინონ და შეუცნობელში უკუიქცნენ. „ტკივილის თამს მე ვიგონებ ჩემთვის საფირონის, შეტალის ტყვიებს“ (გვ. 171). ერთ ერთ უველაზე სრულყოფილ, პროზად დაწერილ ლექსს ჰქვია Fleurs („უველილები“) (გვ. 146).

ზვირთებით ზეიმართებიან წინადადებათა პერიოდები, ქმნიან დამაბულობას, რასაც თუმცა დახასრული აცბრობს, მაგრამ მისი გაგება შეუძლებელია. სურათ-ხატების მოძრაობა აბსოლუტური ფანტაზიისა და აბსოლუტური ენის წმინდა მრუდეებია. სწორედ მათ მოერგებათ შესანიშნავად არაორგანული, ვით ირეალობისა და როგორც აქ — მაგური სილაპაზის ნიშანი: ოქროს საფეხური, მწვანე ბავერდი, ბროლის შუშები, რომლებიც შავ იერს იღებენ, როგორც ბრინჯაო მზეში. სათითო იხსნება ვერცხლის, თვალებისა და თმის ფილიგრანულ ნიბზე; აქატზე მიმობნეული ოქროს ზოდები, წითელი ხის სვეტები ზურმუხრის ტაძარი, ლალის წერწვიტა წნე

ლები... ასეთ გარემოში ვარდი და ვარდები
ქაყრა - ჩარეალურობის მსხვერპლი ხდებიან
და იდუმალი ნათესაობით ფუტყარან შხამს
უკავშირდებიან, რადგან ამ ფანტაზიის სიღრ-
მეში მაგიური სილამაზე და განადგურება
ერთია.

შხამიანი მცენარეები და ვარდები, სხვა-
გან — ჭუჭუი და ოქრო ცხოველბატული ფორ-
მულია დისონანსებისა. რომლებსაც ამგვარი
ფანტაზია თავის ქმნილებებს დაანათლავს. ხში-
რად ეს მკვეთრი ლექსიკური დისონანსებია,
რად ეს მკვეთრი ლექსიკური დისონანსებია,
ერთად, სიტუვათქვეყნებია, რომლებიც პეტე-
როგულ საგნებს ან ლირებულებებს უმცო-
რეს ენობრივ სივრცეში მოაქცევენ: კუპრისა-
გან გაბრუნებული მზე; ივლისის დილა ზამთრის
ფერფლის გემოსი; სპილენძის პალმები; სიზმ-
რები, „როგორც მტრედეების სკორე“ თუ
რაიმეს უნებურად შინაურული, ჩვეული ელფე-
რი მიეცემა, იგი მაშინვე რიკოშეტით ნად-
გურდება, უმეტესად ტექსტის ბოლოში, უბე-
ში ან სულაც ვულგარული სიტუვის შემოჭრით.
ამ პოეზიის სურვილია ანაზღეული გაწვე-
ტა და არა დასრულება, ხაუურადღებოა, ასევე,
დისონანსი თქმის წესსა და ნათქვამს შორის,
ხალხური ლექსის მდლოდია ედერს რეზბოს
ერთ-ერთ, აზრით ყველაზე ბუნდოვან ლექსში
Chanson de la plus haute tour მის სხვა
ლექსში — Les chersheuses de poux — დახ-
ვეწილ ლირიკულ ენაზეა გადატანილი უწმინ-
დურება, დამძიმებული ქვენა გრძნობები,
ტილების დაქვარის რიტუალი, ქაოსი და აბ-
სურდულობა ფზიზელი კომპაქტურობითაა და-
ხატული. საპირისპირონი სრულიად უწფოთ-
ველი თანამიმდევრობით მისდევენ ერთიმეო-
რეს, უარყოფილია უოველგვარი „მაგრამ“,
„მაინც“ და ა. შ.

Les illuminations

(ბანათიბანი)

აქედან ამოხვლით შეიძლება დავახასია-
თოთ Les illuminations, ეს ხათაური მრავალ-
ბნიშვნელოვნად შეგვიძლია გავიგოთ, როგორც
„ფერის ანაბეჭდი“ ან „განათებანი“ ამ ნაწარ-
მოების შინაარსობრივი დანაწევრება შეუძლი-
ბელია, საიდუმლოებით მოცული სურათ-ხა-
ტები და მოქმედებანი ჩვენ თვალწინ ჩიფ-
ლიან; ენაში მონაცვლეობს ექსტაზი და მკვეთ-
რი გაწვევტა, ერთ ტონში დაფინებული გამეო-
რებები და პაერში გამოკიდებული სიტუვათ-
ქავეები. იშვიათია, რომ ნაწარმოების ხათაუ-
რი მის გაგებაში დაგვეხმაროს, დაქუსტაცა-

ბული თემატიკა მერყეობს პერსპექტიულ და
რეტროსპექტულ ბედვას შორის, ზიზღსა და
(ცნობიერების) გასხვივსებას შორის წინას-
წარმეტყველებასა და უარყოფას შორის სივრ-
ცეში დაფრქვეულია მდელვარება, რომელიც
ვარსკვლავებიდან სამარეებამდეა მდელი —
სამუოფელია უსახელო სახეუა მკვლელის და
ანგელოზებისა. ეპირუსი, იაპონია, არანეთი,
კართაგენი, ბრუკლინი ერთ ხცენაზე იურის
თავს, ბოლო ის, რაც რეალობაში ერთმანეთ-
თანაა დაკავშირებული, პირიქით, სრულიად
მოკლებულია კონტაქტს (მაგ. Promontoire,
გვ. 181), ნაწილების დრამატიკა — სამყარო
დაამსხვრიონ, რათა უწყებრიგობა იქცეს უჩი-
ნო იდუმალებათა გრძნობად ეპიფანიად (გამო-
ცხადებად). ტექსტის დასაწყისი ბიძგის მიმცე-
ში იდენსა თუ ვითარებისაგან ისეა დაშორებუ-
ლი, რომ მაშინვე იღებს ფრაგმენტის სახეს,
როგორც სხვა სამყაროდან ჩვენთან შემთხვე-
ვით მოხვედრილი რამ, აქა-იქ რაღაცაა მოთხ-
რობილი, ასეა მაგ. „Conte“-ში (გვ. 174), მე-
ფე — რომელი? კლავს ქალებს; იხინი კვლავ
მოდიან, კლავს თავის კაცებს; იხინი უკან მო-
ბუვებიან მას, „როგორ შეიძლება დაგათროს
ნგრევამ, გაგაბაბუკოს სიხასტიკემი“ არამიწი-
ერი სილამაზის გენია შეხვდება მეფეს; ორი-
ვენი კვდებიან, „მაგრამ მეფე გარდაიცვალა
თავის ხასახლეში და ბუნებრივ ახაკში“. ექსტა-
ტიკური მკვლელობა და სიკვდილი არ ხერხდე-
ბა; მოკლულები ცოცხლობენ, გენიასთან ერთად
ვინც მოკვდა, შემდგე თავისი ბუნებრივი სიკვ-
დილით კვდება, იქნებ, ამ ხაწარმოების აზრი
შემდგეა; თვითონ განადგურებაც არ გამო-
დის, ვერ ხორციელდება. — სწორედ მას
მივუვართ ტრივიალურთან ყველაზე თვალ-
შისაცემი კი ამ „ზღაპარში“ ისაა, რომ იგი
თხრობის სრულიად ჩვეული საშუალებებით
აბსურდულობას გადმოსცემს, თან ისე, რომ
ისიც უკმარისია — „უოვლისმცოდნე მუსი-
კა აკლია ჩვენს ლტოლვას“. — გამტნობს
დასასრულს რიკოშეტი.

Les illuminations — ტექსტია, რომელიც
არ ფიქრობს მკითხველზე, მას არ სურს გა-
გებულ იქნეს, იგი წარმოადგენს ძალუცინაცი-
ური განმუბტვის ელქექს და თუ მაინც ესწ-
რაფვის რამეს, ესაა — აღძრას ის შიში
ხიფათის წინაშე, რომელიც ხიფათის სიუ-
ვარულისაგან მომდინარეობს, ამას გარ-
და, იგი წარმოადგენს ტექსტს „მე“-ს გარე-
ში, რადგან „მე“, რომელიც ზოგიერთ ნაწილში
წარმოჩნდება, არის ის ხელოვნური, უცხო მე-
ობა, რომელიც ნათელმზილველის წერილებშია
მონიშნული, მაგრამ illuminationa გვიმტყიცებს,
რომ მისი პოეტი, როგორც ამას ერთი წინადა-

დება გვაუწყებს. „გამომგონებელია სრულიად სხვა დამსახურებისა. ვიდრე უველა მისი წინამორბედი“ (გვ. 174). ეს ნაწარმოები თანამედროვე გააბსოლუტებული ფანტაზიის პირველი დიდი ძეგლია.

წაშენის ტექნიკა¹

შესაძლოა, illuminations-ს მიეკუთვნება ლექსი Marine-ც (ზღვის სურათი) ყოველ შემთხვევაში. უკანასკნელმა გამომცემლებმა იგი მასში შეიტანეს (გვ. 188). ეს ლექსი 1872 წელს დაიწერა და საფრანგეთში პირველი სრულიად თავისუფალი ლექსია. საფრანგეთში ლექსის მკაცრი საზომის უკუგდება უფრო თვალშისაცემი იყო (და დღესაც ასეა). ვიდრე სხვა ქვეყნებში იგი ანომალური პოეზიის უფრო მძაფრად ნაგრძობი სიმპტომიცაა. რემბონ თავის განმანაწევრებელ ფანტაზიას ამიერიდან ფორმის ენა მიუსადაგა. იგი მას ახიმეტრიულ სტრიქონებად გარდაქმნის. რომელიც ძალიან უაბლოვდება მის ლირიკულ პროზას. ამით იგი, ფორმის მხრივაც, ბოდლერთან შედარებით, წინ უწერს ნაბიჯს გადადგამს.

„ზღვის სურათის“ შემდეგ თავისუფალმა ლექსმა მთელ ფრანგულ ლირიაში მოიკიდა ფეხი. აპოლინერი, მ. შაკობი, ჯ. ელუარი მე-20 საუკუნეში თავისუფალი ლექსის ვირტუოზებად გვევლინებიან. იგი სწორედ იმ ლირიკულ ტიპის ფორმისეული ნიშანია, რომელიც — ნებისით თუ უნებლიეთ — რემბონს მისდევს.

ზღვის სურათი

- ვერცხლისა და სპილენძის ეტლები — ფოლადისა და ვერცხლის კიჩოები — ქაფავენ ქაფს. —
- მალა სწევენ ეკალთა ღეროებს.
- ბარის მდინარეები
- ზღვის უკუქცევის უსაზღვრო ნაკლები მიემართებიან წრიულად აღმოსავლეთისაკენ,
- ტუს სვეტებისაკენ.
- ქებირების საძირკვლისაკენ.
- რომელსაც ნაპირზე სინათლის გრიგალი ეხლება.

¹ კონსტანტინოპოლში გამოიყენება, როცა ერთი კადრი თანდათან სუსტდება და ქრება. მეორე კი ერთდროულად ძლიერდება. რაღაც მომენტში ეკლანსე ორივე კადრია (მთარგმნ. შენიშვნა).

ლექსი ორმაგ კონტრასტს შეიცავს: ერთი, მეტრულ განაწევრებულობასა და პირვად დანაწევრებულ მშვიდ თქმას შორის და მეორეც, ამ უკანასკნელსა და ლექსის უაღრესად გაბედულ შინაარსს შორის. ლექსი — ზომიერი თავდაპერილობით ამწკრივენს წინადადებებს. მხოლოდ ორგან უკავშირდება ისინი ერთმანეთს — თანაც, სრულიად უწონადო დამანაწევრებელი ნაწილაკებით. სწორედ ამ დამაქაფშირებელ საშუალებათა გვერდის ავლა აყენებს ამ ლექსს ჩვეულებრივ პროზაზე მაღლა. იდუმალებაში ხვევს მის ფხიზელ მეობადაკარგულ ენას: ეს მაგიური სიფხიზლეა. ამას ემატება ისიც, რომ სიტუციით მასალა უშეტესწილად ნომინალურია. ორიოდვე ზმნა უკან იხვევს სიგნების წინაშე, რომელთა ხატოვანება ამქერად უფრო მნიშვნელოვანია. ვიდრე მათი მოძრაობა. და მაინც, რაღაც რადიკალური ხდება. იგი ირვადური ფანტაზიის საუფლოდან მოდის. ლექსი იწყება სტრიქონით, რომელსაც არ ესადაგება სათაური: ვერცხლის და სპილენძის ეტლები. მეორე სტრიქონი უფრო შესაბამისია: „ფოლადის და ვერცხლის კიჩოები“. ორივე — ეტლებიცა და კიჩოებიც — „ქაფავენ ქაფს“. „მალა სწევენ ეკალთა ღეროებს“. შემდეგ დაპარაკია „ბარის მდინარეებზე“. ზღვის უკუქცევის კვალზე და უველაფერი ეს მიემართება „ტუს სვეტებისაკენ“, „ქებირების საძირკვლისაკენ“ — ორივენი სინათლის გრიგალითაა გადათქერილი.

კარგად მოჩანს ტექსტის დინამიკა: აქ ორი სფეროა ერთად მოცემული, საზღვაო (გემი, ზღვა) და საბმელეთო (ეტლი, ველი); მაგრამ ისინი ისეა ერთმანეთთან გადაჯვარედინებული რომ ერთი მეორეში წაფენით შედის და საგანთა ყოველგვარი ნორმალური გათიშულობა მოხსნილია. ზღვის სურათი, ამავე დროს, „სმელეთის სურათია“ და პირუკუ, აქ პრაფერია მეტაფორის მსგავსი: პოეტს არ ხუროს იმის თქმა, რომ გემი ზღვას გადაამკვეთს ისე, როგორც ეტლი დედამიწას. ზმნები ერთდროულად ორივე სფეროს მოიცავენ. ასევე — ცალკეული სიტუვათგუფები („ბარის მდინარეები“ და „ს. შ.“). მეტაფორის მაგიტრობიექტურად განსხვავებულთა აბსოლუტური გაიგივებაა. საუჭრადღებოა, რომ ტექსტში დაპარაკია არა ზღვაზე, არამედ ქაფზე და ზღვის უკუქცევაზე, არა გემზე, არამედ — კიჩოზე. პოეტურ ხერხს — მთელის მაგიტრო ნაწილი დაბატო. უველა დროში აყენებდნენ. მაგრამ რემბონთან ამ ხერხს უფრო ძლიერი შემოქმედების ძალა აქვს, რადგან უპირატესად ახახლებს რა მხოლოდ საჯნის ნაწილებს.

უძველესი შემოქმედების ნაგებობა რომელიც შემდეგ მთელი ობიექტური წესრიგის შექმნის.

ეს პირველი, მშვიდი და ლაკონური პატარა ლექსი საფრანგეთში არა მარტო პირველი თავისუფალი ლექსია, არამედ პირველი მაგალითიც თანამედროვე წაფენის ტექნიკისა, რომელიც თავის მხრივ, დერეალიზაციის, გრძობადი ირეალობის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. რა არის ის ახალი, რომელსაც იგი წარმოქმნის? ობიექტურის თვალსაზრისით, იგი შეიძლება მხოლოდ უარყოფითად განვსაზღვროთ: იგი არა-სინამდვილე-საგანთა განსხვავებულობის განადგურება. ამის შედეგად წარმოშობილი იდუმალება აუხსნელი რჩება. ერთმანეთში წაფენილი საგნები ნებისმიერად და შენაცვლებით მოძრაობენ — ასევე მთელი ტექსტიც! ათი სტრიქონიდან, ხუთ ცოტა, სამი-ოთხი თუ შეიძლება გადავადგილოთ ისე, რომ მთელი ორგანიზმი არ დავარღვიოთ ფანტაზიას. რომელიც ყველაფერ ამას წარმოქმნის. შეიძლება თავისუფლება ვუწოდოთ. ეს დადებითი ცნებაა. მაგრამ თუ მოვიხდომებთ ასეთი თავისუფლება უფრო ზუსტად განვსაზღვროთ. კვლავ უარყოფითი განსაზღვრებები მოგვეძებოდა, რადგან ეს თავისუფლება საგნობრივი წესრიგიდან გაქრება. განსხვავებულთა ერთმანეთში ირეალური წაფენაა. ფანტაზიის ამგვარი თავისუფლება მთლიანობაში ძლიერი და მხატვრულად დამაჯერებელია. მაგრამ ცალკეულ ეტაპებზე მას აუცილებლობა არ გააჩნია. ეს თანამედროვე პოეზიის ძირითადი ნიშან-თვისებაა: მისი შინაარსები შენაცვლებადია, მაშინ როცა თქმის წეხი სტილს იმ კანონს ემორჩილება, რომელსაც საკუთარი სიცხადე გააჩნია.

წაფენის ტექნიკა დღემდე რჩება მხატვრობასა და პოეზიას შორის მრავალი საერთო ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად. საინტერესოა, რომ პრუსტი მას საფუძვლიან ანალიზს უძღვნის A l'ombre des jeunes filles en fleurs. შედგენილი ქალიშვილების ჩრდილში (1914, გვ. 117, მშდ)-ის მესამე ტომში იგი აგვიწერს ფიქტიურ მხატვარ ელსტირთან სტუმრობას. ამ სცენის აღწერაში ჩანს ულამაზო მსახურებები, რომლებიც ხაოცრად ეთანხმება თანამედროვე მხატვრობის ესთეტიკურ შეხედულებებს. ჩვენ უფლება გვაქვს ისინი რეშუმოს მეთოდის დადასტურებადაც მივიჩნიოთ და ამით კიდევ ერთხელ გავხაზოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე მხატვრობას პოეზიამ გაუკვალა გზა. შემოქმედის ძლიერების მაჩვენებელი, პრუსტის მსჯელობის დასკვნის მიხედვით, არის „სიზმარი“, ე. ი. რეალობაზე აღმატებული ფანტაზია. ისევე, როგორც

პოეზია — მეტაფორებით. მხატვრობაც „მეტაფორიზის“ მეშვეობით გარდასახავს საგნობრივს ისეთ ხატებად, რომლებიც რეალურ სამყაროში არ არსებობს: მხატვარს ტირის შემოქმედების შესახებ ვაიხსნელოთ: „მისი ყველაზე ხშირი შემოქმედებითი მდგომარეობა იმაში, რომ ~~მისი~~ მხატვრული ხელოვნებაში ზღვასა და ხმელეთს შორის საზღვარს შლის. ქალაქი „ზღვის გამომსახველობითი საშუალებითაა წარმოსახული. ზღვა კი „ქალაქის გამომსახველობითი საშუალებებით“. ასე წარმოიშობა „ირეალური და მისტიკური“ სურათ-ხატი. სადაც | საგანთა და სფეროთა ერთიანობა დარღვეულია. ხოლო მათი ნაწილები გარდაქმნილია განსხვავებულთა მათი ნაწილები გარდაქმნილია განსხვავებულთა ახარეალურ „ტოლობად“. სწორედ ისე, რასაც რეშუმოს „ზღვის სურათში“ ვხედავთ. პრუსტი რომ თავის ესთეტიკას „ზღვის სურათის“ მაგალითზე ავითარებს, შემთხვევითობაა, მაგრამ ფრიად საგულისხმოა.

აბსტრაქტული პოეზია

